საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოს ეროვნული უშიშროება

მონოგრაფია

რეკომენდებულია დასაბეჭდად და
მინიჭებული აქვს მონოგრაფიის
სტატუსი სტუ-ს სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
21.09.2022, ოქმი №15

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

მთავარი რედაქტორი
ირაკლი გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

დარგობრივი რედაქტორები:
ჯემალ გახოკიძე, სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ჯემალ გაბელია, სამართლის დოქტორი, პროფესორი;
არჩილ გეგეშიძე, გეოგრაფიის დოქტორი;
არსენ გვენეტაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
იგორ კვესელავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თამარ ლომინაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ნინო ოდიშელიძე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი;
ალექსანდრე სიჭინავა, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი;
გია სოფაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
იოსებ ქართველიშვილი, ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ნიკა ჩიტაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მარიამ ჯიქია, სამართლის დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები
პროფ. ავთანდილ დემეტრაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
პროფ. ვახტანგ მაისაია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

© ჰენრი კუპრაშვილი 2022
ISBN 978-9941-33-339-2

UDC 351.746

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ურთულეს გეოპოლიტიკურ არეალში მოქცეული საქართველო საშიში გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში ვერ გამოავლინა შესაბამისი მზაობა. სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის მიღმა, წინასწარი გათვლებისა და სიტუაციის მოდელირების გარეშე გადაიდგა ბევრი სავალალო ნაბიჯი. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია საქართველო შედგეს, როგორც ქმედითი სახელმწიფო, ამიტომაც მისთვის ამ პრობლემის მოგვარება არის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ცენტრალური არქიამოცანა. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია მოწმობს, რომ უშიშროების უზრუნველყოფა იყო და არის ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ამიტომაც მოიაზრებს მეცნიერება ეროვნულ უშიშროებას სახელმწიფოს ღირებულებათა პირამიდის უმაღლეს საფეხურზე. ეროვნული უშიშროების პოლიტიკა მოითხოვს ხელისუფლების ხელში ძალაუფლების უფრო გააზრებას, რადგან ძალაუფლება გამოიხატება იმ ხარისხით, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს ჰქონდეს ზეგავლენა და გააკონტროლოს საკუთარი ბედი. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ინტერპრეტაციის ორი პოზიციიდან, ტრადიციული მიდგომა აქცენტს აკეთებს სახელმწიფოზე და ეროვნული უშიშროების პოლიტიკას მოიაზრებს, როგორც სახელმწიფოს წინსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალებას. მეორე, ნეოლიბერალური მიდგომით კი, უმთავრესია ადამიანი, მისი უფლებები და მათ რეალიზებაზე კეთდება აქცენტიც, ვინაიდან ადამიანი სახელმწიფოსა და ეროვნულ სუვერენიტეტზე მაღლა დგას.

საქართველოს განვითარების სტრატეგიის ძირითად პრობლემათა ანალიზის საფუძველზე აუცილებელია გამოიყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აღმშენებლობის პრიორიტეტული არეები და შემდეგ განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემის კონკრეტული შინაარსი, რამაც აუცილებლად კომპლექსში, განცალკავების გარეშე უნდა მოიცვას: მმართველობის სისტემის რეფორმა და უშიშროება; საზოგადოებრივი მშენებლობა და უშიშროება; ეკონომიკის განვითარება და უშიშროება; საგარეო პოლიტიკა და უშიშროება; საინფორმაციო პოლიტიკა და უშიშროება; თავდაცვის პოლიტიკა და უშიშროება; სოციალური დაცვა და უშიშროება; ბუნებისდაცვითი პოლიტიკა და უშიშროება; ენერგეტიკული პოლიტიკა და უშიშროება; მიგრაციული პროცესების მართვა და უშიშროება; განათლების პოლიტიკა და უშიშროება და სხვ. ეროვნული უშიშროების ამ ცალკეულ მიმართულებათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის საჭიროა მისი ყველა ნაწილის საერთო კონცეპტუალურ საფუძველზე გააზრება, ერთიანი სტრუქტურული ფორმით ნარმოდგენა. ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია, ეროვნული უშიშროების ელემენტარულ საკითხებში ერკვეოდეს არა მხოლოდ სპეციალისტი, არამედ პოლიტიკოსი და სტუდენტიც. როგორც ანატომიის ცოდნა არის აუცილებელი სამედიცინო სპეციალობის სტუდენტისათვის, ასევე აუცილებელია ეროვნული უშიშროების საფუძვლების შესწავლა სოციალური მეცნიერებების, სამართლის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების და სხვა მრავალი სპეციალობის სტუდენტისათვის. მისაბაძია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სადაც საქართველოში პირველებმა შემოიღეს საგანი „ეროვნული უშიშროების საფუძვლები“.

ნაშრომში განხილულია ეროვნული უშიშროების თეორიის პრობლემის არსი და საწყისი დებულებები, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები; ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიული პრიორიტეტები, ეროვნული უშიშროების საფრთხეები, მუქარები, გამოწვევები და რისკები. გადმოცემულია მისი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები, მის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, საშუალებები, ფორმები და მეთოდები.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლების, პოლიტიკოსების, ეროვნული უშიშროების სფეროს მკვლევრებისა და პრაქტიკული მუშაკებისათვის, აგრეთვე ამ პრობლემით დაინტერესებულ ადამიანთა ფართო წრისათვის.

UDC 351.746

Chief Editor: **Irakli Gabisonia**, Doctor of Law, Professor

Sectoral Editors:
Jemal Gabelia, Doctor of Law, Professor;
Jemal Gakhokidze, Doctor of Law and Political Sciences, Professor;
Archil Gegeshidze, Doctor of Geography;
Arsen Gvenetadze, Doctor of Medical Sciences, Professor;
Igor Kveselava, Doctor of History, Professor;
Tamar Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor;
Tamar Lominadze, Doctor of Technical Sciences, Professor;
Nino Odishelidze, Doctor of International Relations, Professor;
Alexander Sichinava, Doctor of Economics, Professor;
Gia Sopadze, Doctor of Geography, Professor;
Ioseb Kartvelishvili, Engineer-system Technician, Doctor of Technical Sciences, Professor;
Nika Chitadze, Doctor of Geography, Professor;
Mariam Jikia, Doctor of Law and Social Sciences, Professor.

Reviewers: **Avtandil Demetrashvili**, Doctor of Legal Sciences, Professor;
Vakhtang Maisaia, Doctor of Political Sciences, Professor.

Henri Kuprashvili

The National Security of Georgia

After the restoration of the country's independence, Georgia, being in a difficult geopolitical area, had to face dangerous challenges. The country failed to show appropriate readiness ensuring national security. There was no proper information provision, so lots of unfortunate decisions were made without preliminary calculations and modeling of the situation. It is impossible to establish Georgia as an effective state without ensuring national security. That is why, solving the mentioned problem is a strategically important, central task for the country. The history of world civilization testifies the fact ensuring security always was and is one of the main goals of the existence of a person, society and state. That is why, science believes that national security stands at the highest level of the pyramid of state values. National security policy requires a more accurate understanding of the power available to the government. The degree of power is determined by the level at which the state can influence and control its own destiny. From two positions of interpretation of national security policy, the traditional approach is focused on the state and considers the national security policy as a means of creating favorable conditions for the development of the state. Second, according to the neoliberal approach, the most important thing is a person, his rights, so the emphasis is placed on their realization, as both the state and national sovereignty are of secondary importance.

Based on the analysis of the main problems of the development strategy of Georgia, it is necessary to distinguish the priority areas of state and public development. Only after that, we can define the specific content of the national security system which should comprehensively and without separation include: Governance system reform and security; Public construction and security; Economic development and security; Foreign policy and security; Information policy and security; National Defense policy and security; Social protection and security; Environmental policy and security; Energy policy and security; Management and security of migration processes; Education policy and security and etc. In order to integrate the above mentioned separate directions of national security into a single system, it is necessary to understand all parts on a common conceptual basis and present them in a single structural form.

We think that according to the current political situation of the country, specialists, politicians and even ordinary citizens must be familiar with elementary issues of the national security. Like students of medical specialty, who need to have a thorough knowledge of anatomy, the students of social sciences, law, information and communication technologies and many other specialties need to obtain knowledge of the basics of national security. In this regard, it is worth noting the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University. Since 2021, for the first time in Georgia, students have the opportunity to study the subject "Basics of National Security". The paper discusses the initial provisions of the theory of national security and the essence of the problem, its methodological foundations; strategic priorities of the country's state development, national interests and security, threats to national security, threats, challenges and risks. The paper also considers the peculiarities of its legal regulations, the principles of the state and public activities ensuring legal regulations, basic directions, means, forms and methods.

The paper includes the following issues: **The First Chapter: Subject of National Security, Research Methodology and Its Legal Bases**: 1.1. Subject of National Security; 1.2. Research Methodology of the National Security Theory; 1.3. Legal Foundations of the National Security System. **The Second Chapter: State Building, Dialectics of National Interests and National Security**: 2.1. State Reconstruction; 2.2. Dialectic of national interests and National Security of Georgia; 2.3. National Security - terms, essence, characterization of the general problematic situation: 2.3.1 Anatomy of terms: Security and Safety; 2.3.2. The essence of the National Security and the characterization of its general problematic situation; 2.3.3. Classification of the National Security, its criteria and indicators. **The Third Chapter. Fundamental values of the National Security and its Policy**: 3.1. Personal Security; 3.2. Public Security; 3.3. State Security. **The Fourth Chapter. Current Subsystems (including types and components) of the national security system**: 4.1. Information Security: 4.1.1. Dialectic of Information Security (including information age, information technology revolution, information society): 4.1.1.1. Morphology of Information; 4.1.1.2. Information-technological Revolution, Information Society, infrastructure of knowledge management; 4.1.1.3. The fifth space of military action and confrontation; 4.1.1.4. The development of technologies and the issue of using terms in the Information (cyber) Space. 4.1.2. Metamorphic aspects of Information Security: 4.1.2.1. Information Safety and Information Security: 4.1.2.1.1. Information Safety; 4.1.2.1.2. Information Security; 4.1.2.2. Cyber Security and Cyber Safety: 4.1.2.2.1. Cyber Security; 4.1.2.2.2. Cyber Safety. 4.1.3. Informational-psychological Security; 4.2. Economic Security: 4.2.1. Food Security; 4.2.2. Foreign Economic Security; 4.2.3. Financial Security; 4.2.4. Budgetary Security; 4.2.5 Industrial-technological Security);4.3. International Security; 4.4. Military Security, Hybrid War: 4.4.1. Military Security; 4.4.2. Hybrid War. 4.5. Legal Security. **The Fifth Chapter. Situational subsystems of the national security system**: 5.1. Political security: 5.1.1. Domestic Political Aspects of Political Security; 5.1.2. Foreign Policy Aspects of Political Security. 5.2. Energy Security; 5.3. Environmental Security; 5.4. Social Security; 5.5. Demographic Security; 5.6. Security of the Sphere of Cultural, Spiritual and Moral Values; 5.7. Educational-scientific Security; 5.8. Health Security. **The Sixth Chapter. Problematic Aspects of National Security of Georgia**: 6.1. Specific Problems of National Security of Georgia: 6.1.1. The Concept of National Security; 6.1.2. System of Planning and Coordination of National Security Policy. 6.2. Theoretical and Practical Aspects of Information-analytical and Technological Provision of National Security of Georgia: 6.2.1. Information Analysis and Forecasting Technologies and Information Systems; 6.2.2. Some Aspects of Information Analysis and Forecasting Technologies and Implementation of Information Systems in Practice; 6.2.3. State Policy of Systematic Provision of National Security. **The Seventh Chapter. Safety Protection** (Human: Health, Safety, Environment, Technologies).

The work is intended for students, teachers, politicians, researchers and practical workers in the field of national security, as well as for a wide circle of people interested in this problem.

უნიკალური სამეცნიერო კვლევა

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ბატონ ჰენრი კუპრაშვილის მონოგრაფია „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ წარმოადგენს უნიკალურ, ერთ-ერთ სერიოზულ სამეცნიერო კვლევას. ნაშრომში წამოწეული თემატიკა ნაკლებად არის გაშუქებული სამეცნიერო-აკადემიური თუ პუბლიცისტურ-ლიტერატურული კუთხით როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში. საქმე ეხება ეროვნული უშიშროების აკადემიურ მიმართულებას და მის თეორიულ საწყისებს.

მონოგრაფიაში მაღალმეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული და გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიული პრიორიტეტები, ეროვნული უშიშროების საფრთხეები, მუქარები, გამოწვევები და რისკები. ნათლადაა გამოკვეთილი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები, მის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, საშუალებები, ფორმები და მეთოდები. საინტერესოდაა წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული უშიშროების მრავალმხრივი ფაქტორები, მათ შორის - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სხვა. ამასთან ერთად, ავტორს წარმოჩენილი აქვს, თუ რა განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ორგანოებს და ის საშუალებები, რომლებიც ახორციელებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა ხასიათის ზომებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მონოგრაფიაში მოცემულია „ეროვნული უშიშროებისა“ და „ეროვნული ინტერესების“ განმარტებები და მათი მეცნიერული განსაზღვრება, რომელიც,

როგორც პოლიტიკური ტერმინი, აუცილებლად დაიმკვიდრებს თავის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უშიშროების კვლევებსა და ქართულ სამეცნიერო-აკადემიურ ლექსიკონში. ამასთან ერთად, საკმაოდ ორიგინალური ფორმითაა შეფასებული და განხილული ჰიბრიდული ომის ფენომენი და კლასიფიცირებული ეროვნული უშიშროების კონტექსტში.

ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ ვრცლადაა დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურა და ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ეხება ეროვნული უშიშროების თემატიკასა და ანალიზს, განსაკუთრებით - ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია საინფორმაციო და კიბერუშიშროების საკითხებზე. გაანალიზებულია უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა ჩვენს ტერიტორიაზე და, დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ისეთი ძირგამომთხრელი საქმიანობები, როგორიცაა, მაგალითად, ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი სახეობა - საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება.

ავტორმა გამოიყენა საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევითი მეთოდები, მათ საფუძველზე შეისწავლა ჰიბრიდული ომის ტიპოლოგია და მისი შემადგენელი კომპონენტები. საქართველოში განვითარებული თანამედროვე რეალიების, მათ შორის - ახალი სახის საფრთხეების ფონზე, ნათლად გამოკვეთა საკვლევი საკითხის თემატიკა. კონტენტ-ანალიზის ფარგლებში განიხილა რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური მოვლენა, რომელიც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს საქართველოს ეროვნული უშიშროების რაობას და მის სპეციფიკას. მოცემული გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.

მონოგრაფია განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უშიშროების, გეოეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და საინფორმაციო უშიშროების საკითხებზე მომუშავე მკვლევრებისა

და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს საზოგადოებრივი და სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებით. ეს წიგნი, როგორც სახელმძღვანელო ლიტერატურა, ასევე რეკომენდებული უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსების სწავლებისათვის, როგორებიცაა, მაგალითად: „უშიშროების თეორია“, „ეროვნული უშიშროების შესავალი“, „ეროვნული უშიშროების პრობლემები“ და ა.შ., რომლებიც უკვე დამტკიცებულია და ადაპტირებული სხვადასხვა უნივერსიტეტისა და სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისათვის.

ღრმა პატივისცემით,

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრი (პოლონეთის რესპუბლიკა).

05.05.2022 წელი

ნაშრომი, რომელიც დაფიქრებას მოითხოვს

ჰენრი კუპრაშვილის სახელი ქართველი, და არა მხოლოდ ქართველი, საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი მისი განუმეორებელი, ფენომენალური მიღწევებით იმ სფეროში, რომელიც ახლოსაა ტრადიციულ სპორტთან, მაგრამ არანაკლებ წარმატებულია ჰენრი კუპრაშვილი, როგორც მკვლევარი, ანალიტიკოსი, ერთობ სპეციფიკურ, პროფესიულ სამსახურგამოვლილი პიროვნება. წინამდებარე ნაშრომი სწორედ მისი მეცნიერული მიღწევების ერთ-ერთი შედეგია და წარმოადგენს ინდივიდუალურ კვლევით პროგრამას, რომლის დაკვირვების საგანი სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობის, წარმატებული ფუნქციონირების ის სფეროა, რომელსაც ეროვნული უშიშროება ეწოდება.

დაინტერესებული მკითხველი თავად გაეცნობა წიგნის კომპოზიციას, მის არქიტექტონიკას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნებისმიერი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო თანმიმდევრობა - ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ჰენრი კუპრაშვილის ნაშრომში ეს დილემა მე შემდეგ ლოგიკურ ჯაჭვში დავინახე:

- ეროვნული უშიშროების კონცეფციის საწყისი პოსტულატები;

- ეროვნული უშიშროების საფრთხეები, რისკები და გამოწვევები;

- ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები, ფორმები და მეთოდები;

- ეროვნული უშიშროების პრობლემატიკა და საქართველო.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ყურადღებას გავამახვილებ ეროვნული უშიშროების საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და, რაც ახლოსაა ჩემს პროფესიულ საქმიანობასთან - ეროვნული უშიშროების სამართლებრივ უზრუნველყოფაზე.

ეროვნული უშიშროება და მისი პრობლემატიკა თავისთავად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსათვის. განსაკუთრებით აქტუალურია იგი საქართველოსათვის, რომელიც კავკასიის (და არა მხოლოდ კავკასიის) უმთავრესი გეოსტრატეგიული ქვეყანაა. სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის, ევროპულ და ევროატლანტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციის სწრაფვითა და კონსტიტუციური ვალდებულებებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების ფუნდამენტურ ღირებულებებს შესაძლოა საფრთხეები, გამოწვევები შეექმნას.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად დიდია, წერს ავტორი, რომ მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა სახელმწიფოს ძირითადი კანონით არის გარანტირებული. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციის ტექსტში 2017 წლამდე უშიშროების მაღალ მნიშვნელობასა და ინტერესზე კონსტიტუციური დონისა და ხარისხის რამდენიმე რეგულაცია მეტყველებს. უწინარესად ეს არის ეროვნული უშიშროების საბჭო და თანამედროვე კონსტიტუციონალიზმისათვის არსებითად იშვიათი - საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება, პარლამენტის თანხმობით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ქვეყანაში ან მის ნაწილში შეზღუდოს ადამიანის ათზე მეტი ძირითადი კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება. ვიზიარებ წინამდებარე ნაშრომის ავტორის სკეპტიკურ დამოკიდებულებას 2016-2018 წლების კონსტიტუციური რეფორმის შედეგად ამ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური დებულებების გადასინჯვების მიმართ. როგორც ცნობილია, ეროვნული უშიშროების საბჭო ჩაანაცვლა

სათათბირო ფუნქციით აღჭურვილმა ეროვნული თავდაცვის საბჭომ.

ამ წიგნის მკითხველს არ გაუჭირდება, დაინახოს, რომ ავტორი მართებულად იყენებს წარსულის პროფესიულ გამოცდილებასა და შედეგებს აწმყოს ანალიზისა და, შესაბამისად, მომავლის უკეთ დაგეგმვისა და გამოწვევებისადმი ღირსეულად გამკლავებისათვის.

ცხადია, ჰენრი კუპრაშვილის წიგნში „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ ინტელექტუალი მკითხველი სადავო საკითხებსაც აღმოაჩენს, ზოგიერთ მოსაზრებასაც უკუაგდებს. პირადად ჩემთვის სადავოა ეროვნული უშიშროების პოლიტიკური კატეგორიის ვიწრო და ფართო გაგება. ჩემი აზრით, ის, რაც ავტორს ეროვნული უშიშროების ვიწრო გაგებად მიაჩნია (გვ.6) - ფართო გაგებაა, რამეთუ პირველი მეტად ზოგად ცნებებს შეიცავს, რასაც ავტორი მე-18 გვერდზე აღიარებს.

ავტორს ოპონენტები, განსაკუთრებით 2016-2018 წლის კონსტიტუციური რეფორმის მომხრეთა რიგებიდან გამოუჩნდება იმ დილემაზე, რომელიც ეროვნულ უშიშროებასა და ეროვნული უსაფრთხოების ცნებათა და ფორმულათა პრიორიტეტების დადგენის საკითხში იკვეთება. ეს ასეა, მაგრამ საკვლევი პრობლემის აქტუალურობით, მის პრობლემატიკაში საკმაოდ ღრმა წვდომით, პროფესიული და მოქალაქეობრივი პოზიციით ჰენრი კუპრაშვილის ,,საქართველოს ეროვნული უშიშროება" გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს, როგორც საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნში ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების დიალექტიკა არის საყრდენი მოქალაქეობრიობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში, რომელიც ისევე საჭიროა გონებრივი განვითარებისათვის, როგორც კეთილშობილება - ზნეობრივი სრულყოფილებისათვის.

დაბოლოს, ჰენრი კუპრაშვილის წიგნი „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ არა მხოლოდ პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი მეცნიერებების აკადემიური წრეებისათვის არის ღირებული, არამედ, მისი დიდაქტიკური დატვირთვიდან გამომდინარე, დიდად წაადგება საგანმანათლებლო სფეროს მთლიანად.

ავთანდილ დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე (1996-2001 წწ.)

სარჩევი

პირველი თავი - ეროვნული უშიშროების საგანი, კვლევის მეთოდოლოგია და იურიდიული საფუძვლები 17

1.1. ეროვნული უშიშროების საგანი 17
1.2. ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგია 30
1.3. ეროვნული უშიშროების სისტემის იურიდიული საფუძვლები . 47

მეორე თავი - სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების დიალექტიკა 60

2.1. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა 60
2.2. საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების დიალექტიკა 78
2.3. ეროვნული უშიშროება - ტერმინები, არსი, ზოგადი პრობლემური სიტუაციის დახასიათება 92
2.3.1 ანატომია ტერმინებისა: უშიშროება და უსაფრთხოება 92
2.3.2. ეროვნული უშიშროების არსი და ზოგადი პრობლემური სიტუაციის დახასიათება 121
2.3.3. ეროვნული უშიშროების კლასიფიკაცია, კრიტერიუმები, ინდიკატორები 134

მესამე თავი - ეროვნული უშიშროების ფუნდამენტური ღირებულებები და მათი უზრუნველყოფის პოლიტიკა 155

3.1. პიროვნების უშიშროება 155
3.2. საზოგადოებრივი უშიშროება 163
3.3. სახელმწიფო უშიშროება 167

მეოთხე თავი - ეროვნული უშიშროების სისტემის აქტუალური ქვესისტემები (სახეები, კომპონენტები) 174

4.1. ინფორმაციული უშიშროება 175
4.1.1. ინფორმაციული უშიშროების დიალექტიკა (ინფორმაციული ეპოქა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, ინფორმაციული საზოგადოება) 175
4.1.1.1. ინფორმაციის მორფოლოგია 175
4.1.1.2. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, ინფორმაციული საზოგადოება, ცოდნის მართვის ინფრასტრუქტურა 201
4.1.1.3. საომარი მოქმედებისა და დაპირისპირების მეხუთე სივრცე 224
4.1.1.3.1. ინფორმაციული ომების თეორიის განვითარების ეტაპები 224
4.1.1.3.2. კიბერომი და კიბერსივრცე 242

4.1.1.4. ტექნოლოგიების განვითარება და საინფორმაციო (კიბერ) სივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხი 264
4.1.2. ინფორმაციული უშიშროების მეტამორფოზული ასპექტები 280
4.1.2.1. ინფორმაციული უშიშროება და ინფორმაციული უსაფრთხოება 280
4.1.2.1.1. ინფორმაციული უშიშროება 280
4.1.2.1.2. ინფორმაციული უსაფრთხოება 295
4.1.2.2. კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება 298
4.1.2.2.1. კიბერუშიშროება 298
4.1.2.2.2. კიბერუსაფრთხოება 305
4.1.3. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება 314
4.2. ეკონომიკური უშიშროება 336
4.2.1. სასურსათო უშიშროება 344
4.2.2. საგარეო-ეკონომიკური უშიშროება 347
4.2.3. საფინანსო უშიშროება 358
4.2.4. საბიუჯეტო (ფისკალური) უშიშროება 363
4.2.5 სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროება) 359
4.3. საერთაშორისო უშიშროება 364
4.4. სამხედრო უშიშროება, ჰიბრიდული ომი 396
4.4.1. სამხედრო უშიშროება 397
4.4.2. ჰიბრიდული ომი 419
4.5. სამართლებრივი უშიშროება 438

მეხუთე თავი - ეროვნული უშიშროების სისტემის სიტუაციური ქვესისტემები (სახეები, კომპონენტები) 459

5.1. პოლიტიკური უშიშროება 460
5.1.1. პოლიტიკური უშიშროების შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ასპექტები 462
5.1.2. პოლიტიკური უშიშროების საგარეო-პოლიტიკური ასპექტები 466
5.2. ენერგეტიკული უშიშროება 468
5.3. ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროება 477
5.4. სოციალური უშიშროება 484
5.5. დემოგრაფიული უშიშროება 486
5.6. კულტურული, სულიერი და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების სფეროს უშიშროება 489
5.7. საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროება 491
5.8. ჯანდაცვითი უშიშროება 497

მეექვსე თავი - საქართველოს ეროვნული უშიშროების პრობლემური ასპექტები 500

6.1. საქართველოს ეროვნული უშიშროების სპეციფიკური პრობლემები 500
6.1.1. ეროვნული უშიშროების კონცეფცია 500
6.1.2. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა 521
6.2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები 535
6.2.1. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების საინფორმაციო სისტემები . 535
6.2.2. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების საინფორმაციო სისტემების პრაქტიკაში განხორციელების ზოგიერთი ასპექტი 560
6.2.3. ეროვნული უშიშროების სახელმწიფო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფა 567
მეშვიდე თავი - **უსაფრთხოების დაცვა (ადამიანი: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემო, ტექნოლოგიები)** 581
დანართი:
პროფ. ჰ. კუპრაშვილის დიაგრამები 619
გამოყენებული ლიტერატურის სია 625
საკუთარ სახელთა საძიებელი 670
ავტორის შესახებ 680

პირველი თავი

ეროვნული უშიშროების საგანი, კვლევის მეთოდოლოგია და იურიდიული საფუძვლები

1.1. ეროვნული უშიშროების საგანი

ეროვნული უშიშროება სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეროვნული უშიშროების, როგორც ღია, დინამიკური სოციალური სისტემის შესწავლის სპეციფიკა ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა შორისაა: წვდომა ცოდნის სანდოობაზე, მეცნიერული ანალიზის საშუალებების არჩევაზე, გამოყენებულ სამეცნიერო კვლევის მეთოდებსა და პროცედურებზე. ეს მახასიათებლები აუცილებელია არა მხოლოდ ეროვნული უშიშროების სისტემის შესწავლისათვის, არამედ მისი ფუნქციონირებისათვისაც. ეროვნული უშიშროება მოიცავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უშიშროების ყველა მიმართულებას. იგი გამოიხატება ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მდგრადი და უსაშიშრო განვითარების მოთხოვნილებაში.

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია მოწმობს, რომ უშიშროების უზრუნველყოფა იყო და არის ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რამდენადაც მის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანი და ნებისმიერი სოციალური გაერთიანება, მათ შორის, სახელმწიფო. ამიტომაც მოიაზრებს მეცნიერება ეროვნულ

უშიშროებას სახელმწიფოს ღირებულებათა პირამიდის უმაღლეს საფეხურზე. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ინტერპრეტაციის ძირითადად ორი მიდგომა არსებობს: ტრადიციული და ნეოლიბერალური. პირველი მიდგომით აქცენტი კეთდება სახელმწიფოზე და ეროვნული უშიშროების პოლიტიკა მოიაზრება, როგორც სახელმწიფოს განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალება, რამაც მთლიანობაში უნდა უზრუნველყოს ქვეყნისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა. მეორე, ნეოლიბერალური მიდგომით კი, უმთავრესია ადამიანი, მისი უფლებები, შესაბამისად მათ რეალიზებაზე კეთდება აქცენტიც, რადგან ადამიანთან შედარებით სახელმწიფოს და ეროვნულ სუვერენიტეტს ნეოლიბერალები მეორეხარისხოვანად თვლიან.

როგორც ანატომიის შესწავლა არის აუცილებელი სამედიცინო სპეციალობის სტუდენტისათვის, ასევე აუცილებელია ეროვნული უშიშროების საფუძვლების შესწავლა სოციალური მეცნიერებების (ეკონომიკა, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები), სამართლის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ინფორმატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული სისტემები) და სხვა მრავალი სპეციალობის სტუდენტისათვის. სხვანაირად შეუძლებელია სახელმწიფომ მიიღოს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტი.

ურთულეს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ არეალში მოქცეული ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობა

სულ ახლახან აღიდგინა და ბოლომდე დასრულებული სახელმწიფოებრივი სახე ჯერ კიდევ ვერ მიუღია, ძალიან ძნელად გადასალახი პოლიტიკური (შიდა და საგარეო), სამხედრო, ეკონომიკური, ინფორმაციული და სხვ. საშიში გამოწვევების წინაშე დგას. ნებისმიერი ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ ხელისუფლებაში არაკვალიფიციური საჯარო მოხელეების მომრავლების შედეგად, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სახელმწიფოში, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობა იქმნება.

დამოუკიდებლობის გასულმა წლებმა როგორც ქართველ პოლიტიკოსებს, ისე მეცნიერებს ნათლად დაანახა, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესი არცთუ ისე იოლი, უფრო მეტიც, ურთულესიც კი აღმოჩნდა. მიმდინარე მრავალფეროვანი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე საჭიროა, მეტი გულისყურის გამოჩენა ახალგაჩენილი პრობლემებისადმი, მნიშვნელოვნად გაფართოება მათი წარმომქმნელი მოვლენების წრის და ცხოვრების სფეროების.

ცხადი გახდა, რომ ინფორმაციულ ეპოქაში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესი აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ სამხედრო სფეროთი, როგორც ეს წინა ეპოქებში იყო და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარეს. თანამედროვე მსოფლიოში არსებული საფრთხეები, რისკები და მუქარები, ისევე როგორც მათი წყაროები, წინააღმდეგობრივი, მრავალფეროვანი და დინამიკურია, სავსეა ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებით, მკვეთრი

შეუსაბამობებით. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს სჭირდება არა უცხოეთიდან კალკირებული, არამედ უშუალოდ ქართულ რეალობაზე აგებული ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული ცოდნა და სამართლებრივი ნორმები, რაც აუცილებელია საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის ასაშენებლად.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათი მთავრობები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და ფინანსებს არ იშურებენ უშიშროების კვლევების გასანვითარებლად. მაგალითად, აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოსთან შექმნილია მიმართულება „უშიშროების მეცნიერება“ (Science of Security - SoS), რომელიც აქცენტირებულია უშიშროების თემაზე კვლევეთი სამუშაოების წახალისებაზე და აფინანსებს კიდეც. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვლევებს, რომლებიც მიმართულია კიბერუშიშროებისა და კიბერუსაფრთხოების დისციპლინასა და კიბერთავდაცვაში საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. „უშიშროების მეცნიერება“ (Science of Security - SoS) მუშაობს 3 ძირითადი მიმართულებით:

- აკადემიური წრეების ჩართვა ფუნდამენტურ კვლევებში, რაც შემდგომ ხარვეზების აღმოჩენის, კიბერსივრცის დახვეწისა და საჯაროობის მაღალი მაჩვენებლის გარანტიაა;

- დიდი ყურადღება ექცევა კიბერუსაფრთხოების აკადემიურად შესწავლას, აკადემიური პრინციპების ხელშეწყობას, კერძოდ, კიბერუსაფრთხოების მკვლევრებმა უნდა დაიცვან

რთული ბალანსი გამოცდილების გაზიარებასა და პლაგიატიზმს შორის;

- ზემოთქმულ ორ პრინციპზე დაყრდნობით, SoS-ის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სრულად მოცვა, რათა ამერიკის ყველა მოქალაქემ გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა ეროვნული კიბერუსაფრთხოების სისტემაში.[1]

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე გამორიცხულია საქართველო შედგეს, როგორც ქმედითი სახელმწიფო, ამიტომაც ქვეყნისათვის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა არის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ცენტრალური არქიამოცანა. ინფორმაციული ეპოქისა და გლობალიზებული მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ყველა სფეროში მიმდინარე არაპროგნოზირებადი ცვლილებების გარდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის ნიშანდობლივია უცხო სახელმწიფოთა მხრიდან სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ინტერესისა და ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობათა მწვავე კომპლექსის მუდმივად არსებობა.

ასეთ სიტუაციაში საკუთარი სიტყვა უნდა თქვან არა მხოლოდ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და ინფორმატიკის დისციპლინების, არამედ ყველა დარგის სამეცნიერო მიმართულების მკვლევრებმა (ეროვნული

[1] შაქარიშვილი, დ. კიბერუსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. The Foreign Policy Council – FPC. 2019. https://foreignpolicycouncil.com/2019/02/20/კიბერუსაფრთხოება-ეროვნუ/

უშიშროება ხომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ყველა სფეროს მოიცავს), ასევე, ცხადია, უმაღლესმა სასწავლებლებმაც, რომლებიც ქვეყანას უმზადებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. ამის განხორციელება მოითხოვს ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ელემენტარული საკითხების გარკვეულ ცოდნას, რაც არა მხოლოდ შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ, არამედ რიგითმა მოქალაქეებმაც.

საფრთხეებით ყოველმხრივ გარემოცულ საქართველოში სტუდენტმა (პოლიტიკოსმა და სხვ.) უნდა იცოდეს, რომ ქვეყნის ეროვნული უშიშროების სფერო მოიცავს მრავალ საკითხსა და პრობლემას, მათ შორისაა:

- საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა და მისი ცალკეული ქვესისტემები (სახეები, კომპონენტები);
- საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის სტრუქტურა, ფუნქციები და ამ სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზა;
- საქართველოს ეროვნული ინტერესების შინაარსი და მისი ფორმირების მექანიზმები;
- საქართველოს ეროვნული ინტერესების საშინაო და საგარეო საფრთხეები, მუქარები და რისკები;
- საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, საფრთხეებსა და გარემოს შორის ურთიერთობის ხასიათი;

- საქართველოში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიები;
- თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდგომარეობის თავისებურებები, მსოფლიოსა და რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვალებადობის ტენდენციები და სხვ.

ნაშრომის „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ ობიექტია ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების სისტემა პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად ეროვნული ინტერესების დაცვის სფეროში.

ნაშრომის საგანია ეროვნული უშიშროების სისტემა, მისი სახეები (ქვესისტემები), საგარეო და საშინაო საფრთხეების, მუქარებისა და რისკებისაგან უზრუნველყოფის კანონზომიერებები, პრინციპები, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები.

ნაშრომის მიზანია სისტემატიზებულად და კომპლექსურად წარმოაჩინოს ეროვნული უშიშროების ზოგადი თეორიის ძირითადი დებულებები და მისი სტრუქტურული ელემენტების განვითარების პროცესი სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში. იგი შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს მკითხველს ფუნდამენტური თემების შესწავლაში (საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრა, ამ ინტერესებისადმი რეალური და პოტენციური მუქარების გარკვევა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის, ანუ ამ მუქარების

თავიდან აცილების ან მათი გაუვნებელყოფის პოლიტიკის ფორმულირება და სხვ.).

ნაშრომი არის ერთგვარი სისტემური ინსტრუმენტი:

- თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ღირებულებათა პირამიდის ანატომიაში გარკვევის;
- ეროვნული ინტერესისა და ეროვნული უშიშროების თანაფარდობის გააზრების;
- შიდა და საგარეო გარემოს სტრუქტურული შეფასების;
- პოლიტიკური (შიდა და საგარეო), ეკონომიკური, სოციალური საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ანალიზური აღქმის;
- მზარდი უშიშროების აქტორების როლის ჰარმონიზების;
- ეროვნული უშიშროების სხვადასხვა აქტორთან მიმართებაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების პოლიტიკის პრინციპების კვალიფიციური ფორმულირების;
- ძირითადი ეროვნული ღირებულებების, ინტერესებისა და საფრთხეების სპექტრის შესახებ კონსენსუსის ფორმირების;
- მიმდინარე და მოსალოდნელი საფრთხეებისა და შესაძლებლობების დაძლევის სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბების;
- საერთაშორისო გამოწვევების ფონზე სახელმწიფოს როლისა და საერთაშორისო სისტემაში აქტორების

პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებზე სამართლებრივი და ანალიზური ცოდნის და სხვ.

ნაშრომი „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ მკითხველს გამოუმუშავებს პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომებს და არგუმენტაციის კარგ უნარს, უჩვენებს სახელმწიფოს შესახებ ცოდნის რეალურ ღირებულებას, გაზრდის მის ჩართულობასა და ინტერესს, მეტი გამოცდილება მიიღოს ამ აუცილებელი ცოდნის დაუფლებით. ნაშრომი ხელს შეუწყობს მკითხველში შემეცნებითი საქმიანობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის აქტივიზაციას, თანამედროვე საქართველოს რთულ, წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ პროცესებში კომპეტენტურ ორიენტაციას, დაფუძნებულს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების წარსულისა და თანამედროვე პოლიტიკური რეალიების შემოქმედებით გააზრებაზე; აამაღლებს პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებას, რომელიც პოლიტიკური სინამდვილის თანამედროვე აღქმის ადეკვატური იქნება.

უშიშროების უზრუნველყოფა ქვეყნისათვის იყო, არის და იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მოთხოვნილება. ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას აქვს ეროვნული უშიშროების პრობლემა, იმ ზომით, რა ზომითაც იგი პასუხისმგებელია საკუთარ არსებობასა და ამგვარი არსებობის პირობების უზრუნველყოფაზე.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, უპასუხოს ქვეყნის წინაშე არსებულ ნე-

ბისმიერ - როგორც შიდა, ისე საგარეო გამოწვევას: სუვერენიტეტის დაკარგვა, ეკონომიკის ნგრევა, საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების (სულიერი, კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებები, ტრადიციები...) რღვევა, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემის (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები და სხვ.) შეცვლა, ერის სიჯანსაღისა და მომავალ თაობაზე ზრუნვის მოტივაციის გაუფასურება (ჯანდაცვის, ნარკომანიისა და სხვ. პრობლემები) და სხვ. ეროვნული უშიშროება იძლევა იმ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების დახასიათებას, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა-განვითარების ოპტიმალური პირობების დაცვისათვის ეფექტურ საქმიანობას.

ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი ქვესისტემა (სახე, კომპონენტი): პოლიტიკური უშიშროება (შიდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); საერთაშორისო უშიშროება; ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; საინფორმაციო უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება; სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

ეროვნული უშიშროება, როგორც პოლიტიკური კატეგორია, შეიძლება განვიხილოთ როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით - ეს არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საშინაო და საგარეო საშიშროებისაგან დაცულობა, ფართო გაგებით - ქვეყნის საზოგადოებრივი სისტემის უნარი, უზრუნველყოს ერის საიმედო არსებობისა და უსაშიშრო განვითარების მიზნით მისი ცხოველქმედების, მდგრადობისა და სტაბილურობის მაღალი დონე, კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა გარე სამყაროსთან ურთიერთობაში.

ეროვნული უშიშროების ყოვლისმომცველი და ეფექტური უზრუნველყოფა არის თანამედროვე საქართველოს მდგრადი განვითარების საფუძველი, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ. სახეებისა და საქმიანობის ასპექტების სისტემურ ერთიანობას, არამედ განვითარებასა და უშიშროებას შორის ურთიერთობას ანუ არის ურთულესი მოვლენა, ურთიერთდაკავშირებული ელემენტების რთული სისტემა, რომელიც მოიცავს კონცეპტუალური მიზანდასახულობისა და დებულებების, სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების, მთელი რიგი საშუალებების, მეთოდებისა და ფორმების ერთობლიობას, რომლებიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული ან ადეკვატური რეაგირება მოხდეს წარმოშობილ საფრთხეებსა და მუქარებზე კონსტიტუციური უშიშროების, ეკონომიკური უშიშროების, სამხედრო უშიშროების, საზოგადოებრივი

უშიშროების, საინფორმაციო უშიშროების, საერთაშორისო უშიშროების, გარემოსდაცვითი უშიშროების და სხვ. მიმართ.

სამწუხაროდ, ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა ეროვნული უშიშროებისა და სახელმწიფო უშიშროების ფუნქციური შინაარსის გაგების თვალსაზრისითაც კი. საქართველოში დღემდე ბევრი ვერ აცნობიერებს და ერთმანეთში ურევს, მაგალითად, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ძალოვანი უწყებების ფუნქციებს. ვერ ითვალისწინებენ, რომ გამოვლენილი და უკვე არსებული საფრთხეების ნეიტრალიზებისათვის არსებობენ შესაბამისი ოპერატიული სტრუქტურები, მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო, შსს, სუს-ი და სხვ. ხოლო ეროვნული უშიშროების საბჭო უნდა იყოს ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებულია **მოსალოდნელი საფრთხეების გამოვლენასა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა ვარიანტების შემუშავებაზე**, ეუ-ს აპარატი უნდა მუშაობდეს ექსპერტ-ანალიტიკოსეთან (ეუს-თან ინტეგრირებულ კვლევით ცენტრებთან სხვ.) მოსალოდნელი საფრთხეების გამოვლენაზე და კურირებადი სფეროების მიხედვით ამუშავებდეს ქვეყანაში ეროვნული უშიშროების მდგომარეობის საერთო ანალიზს, პროგნოზს და აწვდიდეს ხელისუფლებას მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად მისაღებ გადაწყვეტილებათა ვარიანტებს.

როგორც აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ეროვნული უშიშროების კვალიფიციური სპეციალისტების არსებობას, რომელთაც ექნებათ მკაფიო და ზუსტი ცოდნა

ეროვნული უშიშროების მიმართულებების, მექანიზმების, სტრუქტურის, ძირითადი საშუალებების, მეთოდების, მისი უზრუნველყოფის ფორმებზე, ასევე, ურთულეს გეოპოლიტიკურ გარემოში, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მყოფ საქართველოს მოქალაქეებსაც უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის შესახებ.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებელებში ამ საგნის წაკითხვას წინ უნდა უსწრებდეს პირველი კურსის პირველ სემესტრში პოლიტიკის მეცნიერებების საფუძვლები (პოლიტოლოგია), ხოლო მეორე სემესტრში უნდა იქნეს წაკითხული „ეროვნული უშიშროების საფუძვლები“, რაც შესაბამის პირობას შეუქმნის და გარკვეულწილად მოამზადებს შემდგომ კურსებზე სტუდენტების მიერ სპეციალური საგნების სათანადოდ გააზრებასა და დაუფლებას. მაღალ კურსებზე კი შეიძლება წაკითხულ იქნეს ეროვნული უშიშროების უშუალოდ შესასწავლ სპეციალობასთან კავშირში მყოფი საგანი - კომპონენტი (ეროვნული უშიშროების სახე, ქვესისტემა), მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტებისათვის - „საერთაშორისო უშიშროება“, სამართლის სპეციალობის სტუდენტებისათვის - „სამართლებრივი უშიშროება“. ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის – „ეკონომიკური უშიშროება“, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის - „ჯანდაცვითი უშიშროება“ და სხვ.

1.2. ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგია

ეროვნული უშიშროების თეორია, ისევე როგორც ნებისმიერი თეორია არის მეცნიერული ცოდნის ფორმა, რომელიც იძლევა სინამდვილის კანონზომიერებებისა და არსებითი კავშირების მთლიანობაში წარმოდგენის საშუალებას. ეროვნული უშიშროების თეორია არის უშიშროების სპეციალიზებული თეორიების საფუძველი, რომელიც განიხილავს და ავითარებს ეროვნული უშიშროების მსოფლმხედველობით, მეთოდოლოგიურ ზოგად საკითხებს და უშიშროების ცალკეულ კონცეფციებს, რომლებიც ქმნიან მის სტრუქტურას.

ეროვნული უშიშროების თეორიული პრინციპების დონეზე იკვეთება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ზოგადი სურათი, ყალიბდება პიროვნების, საზოგადოებისა და ბუნების ღირებულებები, მიზნები და ინტერესები, დგინდება უსაშიშრო განვითარების გზები. ეროვნული უშიშროების ზოგადი თეორია საშუალებას იძლევა ნათელი გახდეს საქართველოს ეროვნული უშიშროების სფეროსათვის დამახასიათებელი მექანიზმები და პროცესები. უშიშროების ზოგადი თეორიის ფორმირებას ახდენენ პოლიტიკის, სამართალის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კონფლიქ-ტოლოგიის, ფსიქოლოგიის, სისტემოლოგიის და სხვა მეცნიერებები, იგი აერთიანებს პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ტექნიკური და სხვა მეცნიერებების გამოყენებით ასპექტებს, რომლებიც ორიენტირებულია სხვადასხვა ხასიათის გარე და შიდა ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედების პირობებში ადამიანის, საზოგადოებისა

და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის სუბიექტების, პრინციპების, ფორმების, მეთოდების კვლევებზე. ამ მეცნიერებათა დანიშნულება და ამოცანაა: მსოფლმხედველობრივი საკითხების განხილვა, უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობის, პრიორიტეტების, საზღვრების შესახებ კონცეფტუალური იდეების შემუშავება, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა, მონაწილეობა კონცეფციების ჩამოყალიბებაში.

განსაკუთრებულ როლს ასრულებენ უშიშროების სპეციალური თეორიები, რომლებიც ავლენენ ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების უშიშროების უზრუნველყოფის კონცეფციებსა და მექანიზმებს სხვადასხვა სოციალური სისტემის ფუნქციონირების სფეროში. უშიშროების სპეციალური თეორიებია: ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროების სპეციალური თეორია; ეკონომიკური უშიშროების სპეციალური თეორია; ინფორმაციული (კიბერ) უშიშროების სპეციალური თეორია; ტექნოლოგიური უშიშროების სპეციალური თეორია და სხვ. უშიშროების სპეციალური თეორიების როლს ასრულებენ აგრეთვე: სამედიცინო მეცნიერებები, სამხედრო მეცნიერებები, სეისმოლოგია, რადიოლოგია, შრომის უსაფრთხოების თეორია, რისკის თეორია, კატასტროფის თეორია და სხვ. მათი მიზნები და ამოცანებია: საფრთხის წყაროების შესწავლა, სახიფათო სიტუაციების პროგნოზირება კონკრეტულ სფეროში; ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება საფრთხეებისა და მუქარების მოსაგერიებლად კონკრეტულ სფეროში; ეროვნული უშიშროების სისტემების

სტრუქტურისა და ფუნქციების განვითარება კონკრეტულ სფეროში და ა.შ.

მთლიანობაში ეროვნული უშიშროების თეორიასთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია გამოყენებითი მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებები, ტექნიკური მეცნიერებები, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები და სხვ.

საქართველოში არსებული მეცნიერებების სწავლის სფეროების დადგენილი კლასიფიკატორიდან [2] უშიშროების თეორიის ძირითადი ორიენტირები მაგალითად, შეიძლება იყოს შემდეგ სფეროებში: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031) - ეკონომიკა (0311), პოლიტიკის მეცნიერება (0312.1.1), საერთაშორისო ურთიერთობები (0312.1.2), დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა (0312.2.1), უშიშროების [3] კვლევები (0312.2.2), ფსიქოლოგია (0313), სოციოლო-

---

[2] საქართველოს მინისტრის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ", 12/04/2019. [12.09.2022]

[3] სამწუხაროდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებაში (№69/ნ; 2019 წლის 10 აპრილი) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ტერმინი „უსაფრთხოება", რამდენიმე ადგილას გამოყენებულია არასათანადო კონტექსტში, მათ შორის, გამოყენებულია სოციალური მეცნიერებების ბლოკში და „უშიშროების კვლევების" მაგივრად წერია „უსაფრთხოების კვლევები" (სხვათა შორის, არ არის გათვალისწინებული ინგლისურ ენაზე თარგმნილი ტერმინების Security-ისა და Safety-ის ინგლისურ ენაში გამოყენების კონტექსტიც).

გია (0314.1.1); სამართალი (0421); ბიოლოგია (0511), ეკოლოგია (0521.1.2); ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (06) - კომპიუტერის გამოყენება (0611), ინფორმატიკა (0613.1.1), კომპიუტერული მეცნიერება (0613.1.2), ინფორმაციული სისტემები (0613.1.3); თავდაცვა და უსაფრთხოება (1031.1.1), სამხედრო მეცნიერება (1031.1.2) და სხვ. მათ ინტერესებშია, პირველ რიგში, ეროვნული უშიშროების დარგობრივი თეორიის ზემოაღნიშნული იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიება, შემუშავება.

გარკვეულ მსოფლმხედველობრივ პოზიციებზე და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების არსენალზე დაყრდნობით, ეროვნული უშიშროების თეორია იკვლევს მის კომპეტენციასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელ სპექტრს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უშიშროების ყველა თეორიისთვის საწყისი, ფუნდამენტური კონცეფციების არსის გარკვევა.

ეროვნული უშიშროების თეორიაში აქტიურად გამოყენებადი ცნებებია: „უშიშროება“, „საფრთხე“, „საშიშროება“ „მუქარა“, „გამოწვევა“, „რისკი“, „საფრთხის წყარო“, „საფრთხის ობიექტი“, „საფრთხის დონე (ხარისხი)“, „დაცულობა“, „უშიშროების დონე (ხარისხი)“, „უშიშროების სუბიექტი და ობიექტი“, „უშიშროების მექანიზმები“, „უშიშროების ფაქტორები“, „უშიშროების ტექნოლოგიები“, „შრომის უსაფრთხოება“, „ტექნიკური უსაფრთხოება“ და სხვ.

ცნებათა კომპლექსი, რომელიც აღწერს უშიშროების, საფრთხეების (საშიშროების), რისკების, მუქარებისა და გამოწვევების სისტემას და ამ სისტემისათვის წინააღმდეგობის გამწევ კონტრსისტემას, არის უშიშროების უზრუნველყოფისა და შესწავლის მეთოდოლოგიის პრობლემატიკა. საჭიროა გაირკვეს წარმოდგენილ „საქართველოს ეროვნული უშიშროებას“ რა ადგილი უკავია როგორც ეროვნული უშიშროების თეორიას მეცნიერული ცოდნის სისტემაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს არა მხოლოდ მისი ურთიერთობა უშუალოდ უშიშროების სპეციალიზებულ თეორიებთან, არამედ ასევე აუცილებელია სოციალურ, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და სხვ. ფუნდამენტურ მეცნიერებებთან მისი ურთიერთობის დაზუსტებაც. უნდა იყოს ცნობილი: ეროვნული უშიშროების თეორია სამეცნიერო ცოდნის რომელ სფეროს განეკუთვნება, რომელ მეცნიერებებს ეყრდნობა საკუთრივ მისი მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელ მეცნიერებებთან ურთიერთობს იგი, ხოლო თავად კი რომლებისთვის გამოდის როგორც იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური ორიენტირი?

უდავოა, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის და მის სტრუქტურაში შემავალი უშიშროების ქვესისტემების კერძო სტრატეგიების მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიური ზოგადი საკითხების განიხილვა და გავითარება არის ეროვნული უშიშროების თეორიის საფუძველი და აქედან გამომდინარეობს ეროვნული უშიშროების

თეორიის ძირითადი ამოცანები და მისი ძირითადი კვლევის საკითხებიც:

- უშიშროების პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო ცოდნის მიმოხილვა, მათი კლასიფიკაცია, მსოფლმხედველობრივი საფუძვლის, განვითარების დონის, უშიშროების სპეციალიზებული თეორიების თავისებურებების დადგენა; მათ შორის, თავად ეროვნული უშიშროების თეორიის და მის მიერ გადასაჭრელ ამოცანათა არსებობის აუცილებლობისა და შესაძლებლობის დასაბუთება;

- უშიშროების ობიექტისა და კვლევის საგნის მეტი ეფექტური დამუშავებისათვის სპეციალიზებული თეორიების მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა (კვლევის მიდგომების, საშუალებების, მეთოდიკის და სხვ. შერჩევა და შეფასება);

- უშიშროების სპეციალიზებული თეორიების მიერ გამოყენებული ფუნდამენტური ცნებების ანალიზი და განსაზღვრა და, შესაბამისად, ამ ცნებებით ასახული მოვლენების ზოგადი დახასიათებაც;

- სოციალური ძალებითა და ფაქტორებით წარმოშობილი საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ბუნებისა და არსის პოლიტოლოგიური (სოციოლოგიური, ფილოსოფიური და სხვ.) დახასიათება, უშიშროების სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციების შემუშავება, უშიშროების სისტემებისა და მისი უზრუნველყოფის მეთოდების შედარებითი ანალიზი.

იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხეების, მუქარების, რისკებისა და უშიშროების პრობლემები განსაკუთრებით აისახება ადამიანთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან მიმართებაში, ეროვნული უშიშროების თეორიაც განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან. მისი შინაარსის უმეტესი ნაწილი პოლიტიდა სოციალური ხასიათისაა, თუმცა საინფორმაციო ეპოქამ სრულიად ახალი საფრთხეები და გამოწვევები მოიტანა, გაჩნდა კიბერსივრცე თავდაცვის ახალი, თანაბარუფლებიანი სფერო ზღვასთან, ჰაერთან და ხმელეთთან ერთად. წინ წამოიწია სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის უშიშროების გაგების პარალელურად წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ელემენტმა - უსაფრთხოებამაც. ცხადია, გაფართოვდა სხვა სამეცნიერო სფეროებთან ურთიერთობის არეალიც.

თავისი თეორიული სტატუსის მიხედვით, ეროვნული უშიშროების თეორია მოქმედებს როგორც კვლევის სპეციალური სფერო, რომელიც მიმართულია გადაკვეთაში მყოფი ერთობლივი, კომპლექსური პრობლემის გადაჭრაზე.

ეროვნული უშიშროების თეორიასთან მიმართებაში მეთოდოლოგიურ ფუნქციებს ახორციელებს:

სისტემების ზოგადი თეორია (Systems theory).[4] რამდენადაც მისი ობიექტი იგივე სისტემებია (ელემენტების

[4] სისტემების ზოგადი თეორიის დამფუძნებლად ითვლება *კარლ ლუდვიგ ფონ ბერტალანფი* (Ludwig von Bertalanffy; 1901-1972) ავსტრიელი ბიოლოგი, შემდეგ განავითარეს სხვა მეცნიერებმა. სისტემური მიდგომა ეფუძნება კვლევის ობიექტების, მოვლენების ან პროცესების ერთიან ხედვას და წარ-

ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან), მაგრამ ეროვნული უშიშროების თეორია წყვეტს ამ სისტემების სტაბილურობის, დაცულობის, შენარჩუნების, უშიშროების პრობლემებს მათზე დესტრუქციული ძალების (ფაქტორების) ზემოქმედების პირობებში;

კონფლიქტოლოგია. ვინაიდან, სოციალური პროცესის შექმნასა და განვითარებაში არსებობს დესტრუქციული ზეგავლენა, რაც გარკვეულ წილად დაკავშირებულია კონფლიქტურ სიტუაციებთან;

მართვის ზოგადი თეორია. როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე ნებისმიერი ქვესისტემა მის ჩარჩოებში, არის მისი ჩამომყალიბებელი კომპონენტებით რაოდენობრივად და ხარისხობრივად გამორჩეულად რთული და მრავალფეროვანი, რომელთათვისაც დამახასიათებელია ასეთივე მრავალფეროვანი ურთიერთქმედება, ურთიერთკავშირი, საკუთარი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ სისტემაში, ფუნქციის შესრულებაში, ურთიერთქმედების ხასიათში გამორჩეულად დიდი რაოდენობის სხვადასხვა დესტრუქციულ ფაქტორთან. შესაბამისად, ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხეების, მუქარებისა და რისკების პრევენცია ვერ მიიღწევა პროცესებზე გარკვეული საინფორმაციო და მმართველობითი ზემოქმედების გარეშე.[5]

მოადგენს ყველაზე უფრო უნივერსალურ და ადექვატურ მეთოდს ნებისმიერი ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური და სხვა სისტემების ანალიზისა და გამოკვლევისათვის.

[5] მართვის თეორია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს მართვის პროცესებს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, პრინციპებს, შინაარსს, მმართველობითი ურთიერთობების ფორმებს და მათი წარმოშობისა და

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად ეროვნული უშიშროების თეორია, თავის მხრივ, არის მეთოდოლოგიური საფუძველი უშიშროების სპეციალიზებული თეორიების შემუშავებისთვის. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ეროვნული უშიშროების თეორია შეუძლებელია არ დაეყრდნოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მარეგულირებელ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. ამაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს გაეროს წესდება, უშიშროების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული აქტები, ასევე სახელმწიფოს კონსტიტუცია.

ეროვნული უშიშროების თეორია თავისი საგნის, ამოცანებისა და სამეცნიერო ცოდნის სისტემაში საკუთარი ადგილის მიხედვით იყენებს კვლევის მეთოდთა მისთვის მისაღებ კომპლექსს. ამავდროულად, ის არ საჭიროებს შეიმუშაოს რაიმე განსაკუთრებული, კონკრეტული მეთოდები. გამოყენებული მეთოდების ძირითად, ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს რეალიზმის, პრაგმატიზმისა და დიალექტიკის იდეები და დამოკიდებულებები. მათ შორის, პირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შეფასებების რეალიზმი, ობიექტუროზა და კონკრეტულობა, პრაქტიკაზე დაყრდნობა და მისი გადამწყვეტი როლის აღიარება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების განხილვისას.

განვითარების კანონებს. მართვის თეორიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და კატეგორიებია: მართვა, სისტემა, სუბიექტი, ობიექტი, მართვის მიზანი და პრინციპები, მმართველობითი ურთიერთობები, მეთოდები, ფუნქციები და მართვის პროცესი.

დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა არის რეალობისადმი მიდგომა, მისი ურთიერთგამომრიცხავი განვითარებისა და მრავალფეროვანი კავშირების გათვალისწინებით. პრაქტიკის წინააღმდეგობების და უშიშროების საკითხებზე მისი ამსახველი თეორიის გამოვლენა და ანალიზი, რომელიც ასახავს მას, საფუძვლად უდევს კვლევის მთელ პროცესს და განსაზღვრავს სხვა მეთოდების ბუნებას.

ეროვნული უშიშროების თეორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ისტორიული და ლოგიკური მიდგომების შეხამებას**, როდესაც პრობლემების თეორიული ანალიზი მუდმივ კავშირშია ისტორიულ ფაქტებთან, ხოლო საფრთხეების, მუქარებისა და რისკების შესახებ შეხედულებების ისტორიის განხილვა ეფუძნება გარკვეულ თეორიულ მოდელებს, განსახილველი პრობლემების ლოგიკურ დამუშავებას.

ეროვნული უშიშროების თეორია **წარმოუდგენელია სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენების გარეშე.**[6] ამ მეთოდების არსენალი საკმაოდ ფართოა და თითოეულ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე გამოყენების სფერო, როგორც ობიექტის ტიპთან, ასევე მისი კვლევის სტადიასთან მიმართებაში. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი:

სკრიფტინგის, სცენარების მეთოდი (Scripting method);

---

[6] Wilson, T. L., Hershey, D. A., The research methods script. Teaching of Psychology, 23(2), 1996, 97-99. https://doi.org/10.1207/s15328023top2302_5 [25.03.2022]

მიზნის ხის მეთოდი[7] (a Goal Tree) არსებობს საბოლოო მიზანი, ის იყოფა ქვემიზნებად, ქვემიზნები - პრობლემებად და ა.შ., ანუ დაშლა ამოცანებად, რომელთა გადაჭრაც შეგვიძლია);

მორფოლოგიური ანალიზის მეთოდი (Method of morphological analysis);[8]

საექსპერტო შეფასების მეთოდი (Evaluation);

ალბათური ანალიზის მეთოდი (Probabilistic method);

სტატისტიკური ანალიზის მეთოდი (Statistical method) - მათემატიკური მოლოდინის თეორიები, თამაშები და ა.შ.;

კიბერნეტიკული ანალიზის მეთოდი (Cybernetic method) - შავი ყუთის ობიექტი;

ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდი (Vector optimization);

ქსელური ანალიზის მეთოდი (Networking method);

მატრიცული (სტრუქტურული) ანალიზის მეთოდი (Matrix methods);

ეკონომიკური ანალიზის მეთოდები (Methods of Economic Analysis) და სხვ.

---

[7] ებრაელი ფიზიკოსისა და ფილოსოფოსის *ელიაჰუ გოლდრატის* (Eliyahu M. Goldratt) სისტემების შეზღუდვების თეორია (Theory of constraints; TOC), რომელიც ჩამოაყალიბა 1984 წელს გამოცემულ წიგნში „მიზანი" (The Goal), აქედან მიზნების ხის მეთოდი (a Goal Tree) განავითარა *უილიამ დეტმერმა* (Willam Dettmer) წიგნში „ლოგიკური აზროვნების პროცესი" (2007).

[8] პრობლემების მოგვარების გზები თავად პრობლემებში იმალება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება მეთოდი „მორფოლოგიური ყუთი", რომელიც შვეიცარიელმა ასტროფიზიკოსმა *ფრიც ცვიკიმ* (Fritz Zwicky, 1898-1974) განავითარა.

ეს მეთოდები აუცილებელია მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრისას - მეცნიერული ცოდნის სისტემაში უშიშროების ზოგადი და სპეციალიზებული თეორიების არსის, ადგილის, როლის გარკვევა, საწყისი ცნებების შინაარსისა და კორელაციის განსაზღვრა. მეტად საჭიროა ისინი საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ანალიზისა და უშიშროების სისტემების (თეორიული მოდელების) შედარებისთვის.

სისტემატური მიდგომის იდეებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოიყენება სხვა სამეცნიერო მეთოდებიც სხვადასხვა კომბინაციებში:

ემპირიული - დაკვირვება, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, გამოკვლევა და სხვ.;

თეორიული - ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, შედარება, განზოგადება, საზროვნო ექსპერიმენტი, ფორმალიზაცია, სხვადასხვა სახის მათემატიკური ტექნიკა და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის ე.წ. ევრისტიკული მეთოდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წყდება პროგნოზირებადი ან კონსტრუქციული ამოცანები, ხორციელდება ახალი იდეების, მიდგომების და გადაწყვეტილებების ძიება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში.[9]

---

[9] ევრისტიკული მეთოდი – გულისხმობს პრობლემის/ამოცანის პირობების ანალიზს, ძირითადი პრობლემის კერძო ასპექტებად დაყოფას, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა-შეფასებას, პრობლემის გადაწყვეტის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და გადაჭრის თანმიმდევრული ეტაპების დადგენას.

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევაში გამოიყენება მეთოდებიც, რომლებიც დაკავშირებულია გნოსეოლოგიასთან, აქსიოლოგიასთან, სტრატიფიკაციასთან, კულტუროლოგიასთან და სხვ.

გნოსეოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს გარესამყაროს შეცნობადობის საკითხი. ეროვნული უშიშროების თეორიის ფორმირება ხდება ძირითად კითხვაზე დადებითი პასუხიდან გამომდინარე. ამასთან, არ ხდება, არც ინტუიტივიზმის, არც შეუცნობელი სფეროს გრანდიოზულობის უარყოფა, რომლის თანდათანობითი შეცნობა ახდენს სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენების რეგულარულ ტრანსფორმირებასა და მეცნიერული პარადიგმების გადაფორმატირებას. მეთოდოლოგიის გნოსეოლოგიური ასპექტი:

- ახდენს პროცესებისა და მოვლენების სიღრმისეული არსის შემეცნების თავისებურებათა გამოაშკარავებას ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში;
- აჩვენებს ამ რთული პრობლემატიკის შესწავლის დროს სხვადასხვა სუბიექტის მიერ დაშვებულ ტიპიურ შეცდომებს;
- ახდენს ორიენტირებას შემეცნების ამ სპეციფიურ სფეროში რეალობის ჩაწვდომის საიმედო საშუალებების ძიებაზე (ხელს უწყობს მოჩვენებითობისგან რეალობის გარჩევის უნარის ფორმირებას).

მეთოდოლოგიის **აქსიოლოგიური ასპექტი**:

- იძლევა ეროვნული უშიშროების თეორიის სოციალური ფასეულობის გააზრების საშუალებას;

- განმარტავს მოცემული თეორიის ფორმირების წინაპირობის შემადგენელ სოციალურ შეკვეთას;

- შემოფარგლავს ფასეულობათა წრეს, რომლის დაცვასა და განვითარებაზე არის ორიენტირებული ეს მეცნიერული მიმართულება.

ეროვნული უშიშროება წარმოადგენს არსებობის, ასევე, სახელმწიფოს, საზოგადოების, პიროვნების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების პირობას. ეროვნული უშიშროების მოშლა იწვევს სახელმწიფოს დეგრადაციას ან ნგრევას, სოციალურ დეზორგანიზაციას, მოქალაქეების მიერ ეროვნული იდენტურობის დაკარგვას. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა – არის სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარი ამოცანა, ვინაიდან ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყველა მიღწევა იწყებს მუშაობას არა მათ, არამედ სხვა სახელმწიფოთა სასარგებლოდ. ეროვნული სახელმწიფოების პრინციპით კაცობრიობის სტრუქტურირებაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნული უშიშროების თეორიის სამიზნეა თანამედროვე პარადიგმაში სოციალური ყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტა – ოპტიმალურ კულტურულ და ბუნებრივ გარემოში ადამიანების ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა.

კულტუროლოგიური ასპექტი აჩვენებს, რომ:

– კულტურის კორექტული განვითარება წარმოადგენს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვა-

ნეს სტრატეგიულ ინსტრუმენტს (მაშინ, როცა პათოლოგიური ტრანსფორმაცია შესაძლოა გახდეს მისი დაკარგვის ფაქტორი);

– საზოგადოების კულტურული განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება ეროვნული უშიშროების ეფექტური უზრუნველყოფის ხელშემწყობი გარკვეული ღონისძიებები. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებისას ნეგატიური შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ჩამორჩენა სოციუმის კულტურული დონის განვითარებისგან, ასევე, გასწრებაც (ზომების მიღება, რომელთა სარეალიზაციოდ საზოგადოება მზად არ არის, ჯერ ვერ „მომწიფდა“ ამ დონეზე).

ეროვნული უშიშროების თეორიის წინაშე მდგომ ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის მიერ უშიშროების დაკარგვის დასაწყისის მაჩვენებლების გამომუშავება. რაც უფრო ადრე გაიგებს საზოგადოება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის არასათანადო დონეზე ყოფნის შესახებ, მით მეტია ამ საქმიანობის დეფექტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის შანსები ქვეყნისთვის მინიმალური დანაკარგებით.

სოციალური **სტრატიფიკაცია** – არის სოციალურ ჯგუფებად, ფენებად, კლასებად საზოგადოების სტრუქტურირების პროცესი. ერთდროულად, სოციალური სტრატიფიკაცია – არის ფუნდამენტური სოციოლოგიური თეორია და სოციოლოგიურ გამოკვლევათა გლობალური მიმართულება.

სოციალური სტრატიფიკაციის ძირითად დებულებათა რიცხვს განეკუთვნება:

- საზოგადოებაში სოციალური განშრევების თეორიული საფუძვლები;
- სხვადასხვა სოციალური სტრატების გამოყოფის კრიტერიუმები;
- სოციალური სტრუქტურების თეორიები;
- სოციალური მობილურობის კონცეფცია (ერთი სტრატიდან მეორისკენ აღმავალი და დაღმავალი გადაადგილება).

სტრატიფიკაციულ თეორიათა უმეტესობის საფუძველს წარმოადგენს მრავალგაზომვადი სტრატიფიკაციის კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს ყველაზე განსხვავებული კრიტერიუმების მეშვეობით საზოგადოების სტრატიფიცირების შესაძლებლობაში. ეს კონცეფცია მეტად პროდუქტიული აღმოჩნდა, ასევე, კრიმინოლოგიური კვლევების თვალსაზრისითაც.

ეროვნული უშიშროების თეორიაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება კრიტერიუმებისა და საზომი სკალების დადგენას, რომელიც საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს და გაიზომოს საფრთხეები, მუქარები და რისკები, უშიშროების ხარისხი და უშიშროების ობიექტების დაზიანება. ამის საფუძველზე ყალიბდება მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებების, დიზაინის, ტექნოლოგიური და ოპერატიული ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტების

რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, უშიშროების შესაბამისი სუბიექტების დასკვნები. ასეთი პარამეტრები გამოიყენება ეროვნული უშიშროების მიზნების ფორმირებაში და ამ მიზნების მიღწევისა და დაკისრებული ამოცანების გადაჭრის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებისას. ეროვნული უშიშროების თეორიის მიერ გამოყენებული ძირითადი კატეგორიებია: უშიშროების ობიექტი და სუბიექტი, უშიშროება, საფრთხე, მუქარა, გამოწვევა, რისკი, სტაბილურობა, ზიანი, ინტერესი, დაცულობა და სხვ.

ეროვნული უშიშროების, როგორც სოციალური სისტემის კვლევაში გამოიყენება მეთოდები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი პოლიტიკურ და ფაქტორულ ანალიზს უკავია. ეროვნული უშიშროების საერთო სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური კომპონენტების ხედვის გააზრება, მისი არსის გაგება განსაზღვრავს ეროვნული უშიშროების პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიურ მართებულობას, მის დასაბუთებულობას. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ქართულ სისტემას უსათუოდ სჭირდება სათანადო სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება. საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტი ხელს უწყობს მისი ზოგადი კანონზომიერებების აღქმას, აგრეთვე, მათი გარდაქმნის სპეციფიკას სხვადასხვა პირობებში. პოლიტიკური ანალიზი, როგორც სოციალური სისტემების შესწავლის მეთოდი, ეხმარება, გამოავლინოს რეფორმირებული საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ყველა სუბიექტის როლი და

მნიშვნელობა, სწორად განსაზღვროს ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეროვნული მიზნები და ძირითადი მიმართულებები, რაც საშუალებას იძლევა, დანახული იქნას პოლიტიკა, როგორც ეროვნული მიზნების უშიშროების უზრუნველყოფის სუბიექტების კონკრეტული საქმიანობა, დააკვირდეს სახელმწიფოს წარმოშობას და ნამდვილ როლს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.

1.3. ეროვნული უშიშროების სისტემის იურიდიული საფუძვლები

სამეცნიერო ცოდნის სისტემაში ეროვნული უშიშროების ზოგადი თეორია მნიშვნელოვან მაინტეგრირებელ როლს ასრულებს. სხვადასხვა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერება ავითარებს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის როგორც დოქტრინულ-თეორიული, ისე ტექნიკური, ინსტიტუციური ხასიათის საშუალებებსა და ელემენტებს. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა დამოკიდებულია სახელმწიფოს სამართლებრივ პოლიტიკაზე, საკანონმდებლო მხარდაჭერასა და ეროვნული უშიშროების დამცველი სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო ინსტიტუტისა და საზოგადოების კოორდინაციაზე. აქედან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების ზოგადი თეორიის ერთ-ერთი ფუნქცია არის მისი უზრუნველყოფის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შემუშავება.

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ასეთი მექანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ინსტრუმენტე-

ბის იერარქიის შექმნა, რომლის მიზანი უნდა იყოს სისტემატური მიდგომის გამოყენებით დაცულობის მდგომარეობის უზრუნველყოფა.

დღეისათვის მკვლევართათვის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ეროვნული უშიშროების საფუძვლებისა და მისი სამართლებრივი პარამეტრების სრულყოფა. ეროვნული უშიშროება სამართლებრივი რეგულირების შედარებით ახალი საგანია. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ეროვნული უშიშროების გარკვეული საკითხები სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იყო, ისინი შედარებით ახლახან აღმოცენდა რეგულირების დამოუკიდებელ კომპლექსურ სფეროში, როგორც უშიშროების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების სამართლებრივი საფუძვლების შექმნას სათავე დაედო 1995 წლიდან, როდესაც კონსტიტუციის 73-ე მუხლში გაჩნდა ჩანაწერი „ეროვნული უშიშროების საბჭო“, ხოლო 1996 წლის 24 იანვარს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“. იგი, ისევე როგორც ყველა შემდგომი დოკუმენტი, შეიცავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულ „უშიშროების“ ფართო განმარტებას, რომლის მიხედვითაც, უშიშროება განისაზღვრება, როგორც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მდგომარეობა. ამავე დროს, სასიცოცხლო ინტერესები არ არის გაგებული, როგორც შესაძლო ინტერესების მთელი ნაკრები, არამედ ის, რაც უზრუნველყოფს პროგრესული განვითარების შესაძლებლობას.

კანონი განსაზღვრავს უშიშროების უზრუნველყოფის ობიექტებს: პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო. ამავდროულად, სახელმწიფო ასევე არის უშიშროების სუბიექტიც, სადაც დაცული უნდა იყოს პიროვნების უფლებები და თავისუფლებები, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოებისა და საკუთარი უშიშროებაც, მაგრამ მხოლოდ კონსტიტუციური წესრიგის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილში.

ეროვნული უშიშროების სამართლებრივი უზრუნველყოფა მოითხოვს იმ ობიექტის მკაფიო განსაზღვრას, რომელშიც ურთიერთობა ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას, ამ რეგულაციის საგანსა და ამოცანებს, რომელთა გადაჭრისთვისაც იგი მოწოდებულია ამ ობიექტის ფარგლებში.

ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სამართლებრივი ასპექტები, არის საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“.[10] მასში განსაზღვრულია: ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროები; ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ღირებულებები და ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პრინციპები. კანონის მე-3 თავში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესი“ ჩამოყალიბებულია:

[10] საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, 04/03/2015. https://matsne.gov.gc/ka/document/view/2764463?publication=11 [25.03.2022]

- ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ორგანიზების წესი;

- „ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების“ ნუსხა, შესაბამისი განმარტებებით (ეროვნული უშიშროების კონცეფცია;

- საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;

- უშიშროების სფეროში ეროვნული სტრატეგიები).

საუბარია ასევე უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესის, მისი დაგეგმვის მაკოორდინირებელი უწყებების შესახებ.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სამართლებრივი მდგომარეობის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს უშიშროებასთან დაკავშირებულ მოქმედ ძირითად კანონმდებლობას, რომელიც მოცემულია ქვეყნის კონსტიტუციაში და ასევე - ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებში, რომლებიც ეხება უშიშროების უზრუნველყოფას პირდაპირ ან არაპირდაპირ და მოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ხშირად ურევენ სამხედრო კანონმდებლობასთან, მაშინ, როდესაც უშუალოდ სამხედროებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ჩვეულებრივ არეგულირებს დისციპლინას შეიარაღებულ ძალებში და რომელიც სხვაგვარად ცნობილია, როგორც სამხედრო სამართალი. სამხედრო კანონმდებლობა, როგორც წესი, უშიშროების

უზრუნველყოფის კანონმდებლობის ნაწილია, ისევე როგორც პოლიციის, დაზვერვის და სხვ.

პარლამენტი ადგენს საკანონმდებლო ბაზას შეიარაღებული ძალებისათვის, დაზვერვისა და უშიშროების სამსახურებისათვის, სამართალდაცვისა და საზღვრის დაცვის სააგენტოებისათვის. ამ მიზნით, პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონმდებლობა, შეიტანოს ცვლილებები არსებულ კანონებში, დეტალურად შეისწავლოს მინისტრებისა და უშიშროების წარმომადგენლების საქმიანობა გამოკითხვის, მოსმენის, ოფიციალური დოკუმენტების განხილვისა და ექსპერტული აზრის გამოყენებით.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა მოიცავს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ყველა იმ ინსტიტუტს, რომელთა მოვალეობაა უზრუნველყოს:

- ქვეყნის უშიშროება;

- პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა;

- ქვეყნისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და მუქარების წინასწარ არიდება;

- საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან, უწესრიგობისა და ძალადობისგან და სხვ.

ეს ინსტიტუტებია: ეროვნული უშიშროების საბჭო, უშიშროების სამსახურები, შეიარაღებული ძალები, სამართალდამცავი ორგანოები, საზღვრის დაცვის სამსახურები, დაზვერვის სამსახურები და სხვ. უშიშროების სამსახური რეაგირებს

საზოგადოების საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათ უშიშროებას.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მოიცავს საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებსაც ადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხებები. ასეთი სტანდარტების მიღება შესაძლოა წინაპირობა იყოს ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. ამის მაგალითია ევროკავშირის სტანდარტები. არსებობს აგრეთვე სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ადგენს ასევე გარკვეულ სტანდარტებსა და ვალდებულებებს უშიშროების დაცვისათვის.

ეროვნული უშიშროების კანონმდებლობა მრავალფეროვანი და კომპლექსურია. თითოეულ ქვეყანას უშიშროების უზრუნველყოფის სისტემასთან, მის სააგენტოებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული კანონებისა და ნორმების ერთობლიობა აქვს. არ არსებობს უშიშროების უზრუნველყოფის კანონმდებლობის იდეალური მოდელი. ასეთი კანონმდებლობის შექმნა საკმაოდ რთულია. ეფექტური და ქმედითი უშიშროების უზრუნველყოფის შესაქმნელად აუცილებელია ისეთი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც ეფუძნება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებათა დაცვას. ამდენად, ეროვნული უშიშროების კანონმდებლობის შექმნისას უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინება.

ეროვნული უშიშროების კანონმდებლობა მოიცავს ეროვნულ-სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც შეეხება საჯარო ინსტიტუტებს. ეს არის კანონები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება უშიშროების უზრუნველყოფას ან მასზე ახდენს ზემოქმედებას, აგრეთვე - კანონმდებლობა, რომელიც შექმნილია კონკრეტულად უშიშროების უზრუნველყოფისათვის. საკონსტიტუციო დებულებები და სხვა ზოგადი ეროვნული კანონმდებლობა უშიშროების უზრუნველყოფასთან მიმართებით დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკურ ეროვნულ კონტექსტზე. როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს უშიშროების უზრუნველყოფის კანონმდებლობის უნივერსალური მოდელი, მაგრამ ყველა იურისდიქციაში, პრეცედენტულ კანონმდებლობაში შეიძლება მოიძებნოს რიგი პრეცედენტები. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კანონმდებლობა კონკრეტული ქვეყნისთვის შექმნილი სპეციფიკური კანონების, წესებისა და რეგულაციების კომპლექსური ერთობლიობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს სტანდარტები, პრინციპები და საუკეთესო გამოცდილების მაგალითები, რომლებსაც შეიძლება დაეფუძნოს ეროვნული უშიშროების კანონმდებლობა.[11]

---

[11] ვაშაყმაძე, მ., საქართველოს უსაფრთხოების სექტორის სამართლებრივი საფუძვლები. შვეიცარიის თავდაცვის, სამოქალაქო დაცვის და სპორტის ფედერალური დეპარტამენტის უშიშროების პოლიტიკის დირექტორატი (SIPOL). ჟენევა-თბილისი. 2014. https://www.dcaf.ch/sites/default/files-/publications/documents/The-Legal-Framework-of-SSG-Georgia_2014_geo.pdf; ალაფიშვილი, ლ., საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა, ანგარიშვალდებულების და ზედამხედველობის აქტუალური საკითხები. სამართლის ჟურნალი, თსუ-ს გამომცემლობა, #1, 2018.

ეროვნული კანონმდებლობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, შესაძლოა, სხვადასხვა სახის იყოს და შეეხებოდეს მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შტოს ან საქმიანობას. მაგალითად:

თავდაცვის კანონმდებლობა. თავდაცვის ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს ყველა კანონს, რომლებიც შეეხება ეროვნული თავდაცვის ინსტიტუტების როლს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ისევე როგორც წესებს, რომლებიც არეგულირებს ეროვნული თავდაცვის პროცედურებს. ეს არის კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს:

- შეიარაღებული ძალების უფლებებსა და მოვალეობებს;

- სამინისტროების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს;

- პირობებს, რომლებშიც ხორციელდება ეროვნული თავდაცვა;

- პირობებს, რომლებშიც ყველა სხვა თავდაცვის ოპერაცია ხორციელდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

- ფინანსურ მართვასა და ადმინისტრაციულ რეგულაციებს;

- სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობებთან დაკავშირებულ პრობლებს და სხვა.

თავდაცვის კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ყველა რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტსა და საუკეთესო გამოცდილებას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს:

- დემოკრატიულ კონტროლს;

- ანტიკორუფციული საქმიანობისა და კეთილსინდისიერების განმტკიცების კონტროლს;

- ქცევის კოდექსს;

- ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას;

- ზედამხედველობის, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს;

- გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რეაგირებასა და ეფექტურობას.

სამხედრო სამართალი. სამხედრო სამართალი განსხვავებული სამართლებრივი სისტემაა, რომელიც მოქმედებს შეიარაღებულ ძალებთან და ზოგ შემთხვევაში - სამოქალაქო პირებთან მიმართებით. სამხედრო სამართლის ძირითადი მიზანია შეიარაღებულ ძალებში დისციპლინისა და წესრიგის შენარჩუნება. სამხედრო სამართლის სტრუქტურა, წესები და პროცედურები შეიძლება ძირეულად განსხვავდებოდეს შესაბამისი სამოქალაქო სტრუქტურის, წესების და პროცედურებისაგან. ჩვეულებრივ, სამხედრო სამართალი მოითხოვს ცალკე სასამართლო სისტემას, რომელსაც უფრო მკაცრი წესები და პროცედურები აქვს შეიარაღებული ძალების დისციპლინირებულობისა და ოპერაციული ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. სამხედრო სამართალი ეროვნული უშიშროების დემოკრატიული მართვის იმავე სტანდარტებით და პრინციპებით უნდა იმართებოდეს, რითიც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა კომპონენ-

ტი. აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს ნებისმიერი სასამართლო სისტემის მოსამართლეების დამოუკიდებლობასა და კეთილსინდისიერებაზე. ასევე მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის დაცვა.

სამართალდაცვის კანონმდებლობა. პოლიცია სამოქალაქო ძალაა, რომელიც პასუხისმგებელია დანაშაულის პრევენციაზე, დეტექციასა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე. პოლიციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ქცევისა და ეთიკის კოდექსებს, უნდა აკონკრეტებდეს მანდატებს და ადგენდეს ძალის, განსაკუთრებით - მომაკვდინებელი ძალის გამოყენების ფარგლებს. კანონმა ასევე უნდა განსაზღვროს დასჯადი საქციელი, სანქციების მექანიზმები, როლები და პასუხისმგებლობები, მოახდინოს ზედამხედველობისა და მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაცია.

კანონმდებლობა დაზვერვის შესახებ. აუცილებელია არსებობდეს კანონმდებლობა დაზვერვის სამსახურების შესახებ - ამ სამსახურების განსაკუთრებული ბუნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გასაიდუმლოების კულტურის გამო. კანონის უზენაესობის დასაცავად და ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად დაზვერვის სააგენტოები უნდა შეიქმნას კანონის საფუძველზე. მათი ფუნქციები და უფლებამოსილება უნდა ეყრდნობოდეს საკანონმდებლო ბაზას. უნდა მუშაობდეს სამართლებრივი კონტროლის სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსაკუთრებული უფლებები არ აღემატებოდეს სამართლებრივად დადგენილ პარამეტრებს.

დაზვერვის სამსახურის ზედამხედველობა აუცილებელია როგორც სამსახურის შიგნით, ისე აღმასრულებლის, პარლამენტისა და გარე და დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების მხრიდან. ამ პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს სამოქალაქო საზოგადოება და მედიაც.

ზედამხედველობა. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სამოქალაქო ზედამხედველობის ძირითადი განმახორციელებელია პარლამენტი და მისი კომიტეტები. თუმცა სამოქალაქო საზოგადოებას, აუდიტის ინსტიტუტებს, ინსპექტორებს, სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს, ომბუდსმენს, სხვა სპეციალურ კომიტეტებს, მედიას, ინტერესთა ჯგუფებს აქვთ უფლება და პასუხისმგებლობა, მონაწილეობა მიიღონ ზედამხედველობის პროცესში. სამოქალაქო საზოგადოებასა და მის ორგანიზაციებს დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. ისინი აფასებენ და დეტალურად შეისწავლიან ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მუშაობის ხარისხს, წარმოადგენენ რჩევებს, ექსპერტიზას, ანალიზს; რეკომენდაციებს, ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას. მათ ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები და მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტების შემუშავებასა და კანონების გადახედვაში. უშიშროების სექტორის ზედამხედველობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მედია. მას შეუძლია საზოგადოების ინფორმირება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საკომუნიკაციო არხის შექმნა საზოგადოებასა და მთავრობას შორის.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ზედამხედველობა შეიძლება შეეხებოდეს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტურობას, კანონმდებლობის აღსრულებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ფინანსურ ზედამხედველობას, სამხედრო და სამოქალაქო პირების, ადამიანის უფლებების დაცვას.

ზედამხედველობა ფართო ცნებაა, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მმართველობაში. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ზედამხედველობის როლი აღიარებული იყოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის კანონმდებლობაში, მისი პრაქტიკაში განხორციელება კი - ინსტიტუციალიზებული.

საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაციის მიერ გამოცემულ უშიშროების კანონებისა და სტრატეგიების მოკლე მიმოხილვაში დახასიათებულია ქვეყანაში მიღებული ძირითადი დოკუმენტები: საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ"; საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ"; საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ"; საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ"; საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ"; ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია; საქა-

რთველოს მთავრობის დადგენილება „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020 წლების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია; ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია; სამოქალაქო თანას-წორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ; სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით დამტკიცების შესახებ და სხვ.[12]

[12] საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი უსაფრთხოების კანონებისა და სტრატეგიების მოკლე მიმოხილვა. შემდგენელი: რ. ბახტაძე, მ. ჩირგაძე, ლ. აბესაძე, ნ. ბოჭოიძე, გ. მიქაუტაძე, ლ. ნაჭყებია, თ. ნაჭყებია. საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია, თბილისი, 2021 http://yata.ge/ge/wp-content/uploads/2021/03/უსაფრთხოების-დოკუმენტი.pdf [25.03.2022]

მეორე თავი

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების დიალექტიკა

2.1. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა

სახელმწიფოებრიობა, როგორც ღირებულება, გულისხმობს საკუთარი ქვეყნის, როგორც ერთიანი მთლიანობის აღქმას და ამ მთლიანობის დაცვისა და შენარჩუნების ყველა პირობის უზრუნველყოფის ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს; იგი ასევე გულისხმობს მოსახლეობის მიერ საკუთარი თავის მიკუთვნებას ქვეყნის, როგორც ერთიანი მთელისადმი. სახელმწიფოებრიობის ღირებულების გათავისება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ბედს უკავშირებს ქვეყნის ბედს, ითავისებს ქვეყნის კულტურას, მის ისტორიასა და მომავალს. ცდილობს არ ჩამორჩეს პროგრესს და იღწვის თანამედროვე სახელმწიფოს სრულყოფისათვის და ამავდროულად, ილტვის არ დაკარგოს საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით საკუთარი სახელმწიფოს როლი საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ერთგვარად ჰიპერტროფირებულია - ძლიერია სახელმწიფოზე დამყარებული არარეალისტური იმედები; მოსახლეობას ატროფირებული აქვს საკუთარი, უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობისა და ვალდებულების შეგრძნება (თითქოს ინერციით განაგრძობს ისევ სხვის სახელმწიფოში ცხოვრობას); მოსახლეობის ეს ნა-

წილი ამაყობს წარსულით, მაგრამ თავს არ იტკიებს, ბოლომდე გააცნობიეროს, თუ რატომ იბრძოდნენ თავგანწირვით ისტორიული ქართველები საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად, ძალებს არ ზოგავდნენ მისი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ გაჭირდა სრულფასოვანი, წელში გამართული სახელმწიფოს აშენება. თანამედროვე ქართველებში ძლიერია პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულის განცდა, თუმცა იგი ატარებს თითქოს უფრო ილუზორულ, განყენებულად არსებული ძვირფასი და ლამაზი ნივთის სიყვარულის ხასიათს. სამწუხაროდ, დღეისათვის, მცირე გამონაკლისის გარდა, ზოგადად ქართველებში შეიმჩნევა რეალური სახელმწიფოებრიობის განცდის ერთგვარი უქონლობა. შეიძლება ამაზე გავლენას ახდენს ის ფაქტიც, რომ ინფორმაციულ ეპოქაში სახელმწიფოების როლი და გავლენა (რაც წინა ინდუსტრიულ ეპოქაში განუზომლად დიდი იყო) თანდათანობით შესამჩნევად მცირდება, ამავე დროს, დღეისათვის პოპულარული თანამედროვე ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენით პრიორიტეტული გამოკვეთილად ხდება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები, ადამიანის უფლებები და არა - სახელმწიფო ინტერესები, მთლიანად სახელმწიფო როგორც ასეთი და სხვ. არ არის გამორიცხული, რომ ამას ასევე ხელს უწყობდეს გარკვეულწილად ისიც, რომ მრავალი ასეული წლის განმავლობაში სხვის სახელმწიფოებსა და სხვის მორჩილებაში ცხოვრებას შეიძლება ერთგვარად შეეგუა კიდეც

რაღაც ნაწილი ქართველებისა, მაგალითად, ცნობილია, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოში ახალი დინასტიის დამაარსებელ *ფარნავაზამდე*[13] ქვეყანა ირანის სამეფოს პროვინცია იყო, ხოლო ქართლის მეფე *ფარნაჯომ* [14] ფარნავაზიანის შემდეგ, ქართლს ძალიან დიდხანს - უცხოტომელი მეფეები, შემდეგ 7-8 საუკუნე სხვა უცხოტომელები - ირანელი ხოსროიანები და სასანიანები მართავდნენ, თბილისი 4 საუკუნე იყო - არაბების მფლობელობაში, საუკუნეზე მეტი მონღოლების ხელში, შემდეგ თითქმის 3 საუკუნე ისევ ირანელების ხელში, ბოლოს, 2 საუკუნე კი - რუსების ხელში და სხვ. ფაქტია, რომ ყველას თვალი აქეთ ეჭირა, ქართველს სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდა და იგიც იარაღით ხელში გამუდმებით ბრძოლაში იყო, თოხის აღებასაც ძლივს ასწრებდა, ძალიან ცოტა ხნით თუ მოუწია სრულყოფილად ცხოვრება საკუთარ სახელმწიფოში. შეიძლება ამან შექმნა კიდეც ზოგიერთ ქართველში **სახელმწიფოებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვანი დეფიციტი.**

თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოებრივი სტატუსის დამკვიდრება საქართველოში მისი საზოგადოების წინაშე პრინციპულად ახალი ტიპის პრობლემებს აყენებს. **სუვერენულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ფიზიკური არსებობისა და სრულფასოვანი განვითარების**

---

[13] ფარნავაზ I (სპარს. ფარნა - დიდება) - *ლეონტი მროველის* მიხედვით, ქართლის (იბერიის) პირველი მეფე ძვ. წ. IV–III საუკუნის I ნახევარში და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

[14] ფარნაჯომი - ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის (იბერიის) IV მეფე. მეფობდა ძვ. წ. II საუკუნის 70-იან წლებში.

ყველა პირობა. ამ ვალდებულებათა აღსრულება დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, ქვეყნის მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან. სუვერენული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ნიშნავს სახელმწიფო სუვერენიტეტის სტატუსის უზრუნველმყოფი პოლიტიკური და ინტელექტუალური სამსახურების განვითარებას, სახელმწიფო მმართველობაში სისტემური და სტრატეგიული აზროვნების კულტურის დამკვიდრებას.

დღეს მთელი სიგრძე-სიგანით დადგა აუცილებლობა არა ბუტაფორიული, არამედ ქართული, ქმედითუნარიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა, რაც შეიძლება სწრაფად არასახელმწიფოებრივი აზროვნების ჩაჟანგული სინდრომის გადალახვისა და მიუჩვეველი სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებისა. საქართველოს მოქალაქემ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარი ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, უნდა გააცნობიეროს, რომ ძალიან ზოგადად და მოკლედ, სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს საკუთარ სუვერენულ უფლებამოსილებას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, არის საზოგადოების თითოეული წევრის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის გარანტი.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ უამრავი მოსაზრება არსებობს, თუმცა ყველაზე უკეთ, ყველაზე მარტივად მისი არსი სამი საუკუნის წინ ჩამოაყალიბა *თომას ჰობსმა* (Thomas

Hobbes; 1588-1679), რომლის მიხედვითაც, ბუნებრივ პირობებში ყოველ ადამიანს საშიშროება ემუქრება სხვა ადამიანების მხრიდან, რადგან მიმდინარეობს „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ". ისინი განიცდიან ერთმანეთისადმი მუდმივ შიშს და ეძებენ უშიშროების გარანტიას. ასეთ სიტუაციაში ჰობსი გამოსავალს სუვერენული სახელმწიფოს შექმნაში ხედავს. ადამიანები ინსტინქტურად უერთდებიან



თომას ჰობსი (Thomas Hobbes; 1588-1679). უ.ფეიტრონის გრავიურა

ერთმანეთს და აყალიბებენ უშიშროების პაქტებს, რომლებიც იცავს თითოეულის უშიშროებას. ადამიანები ქმნიან სუვერენულ სახელმწიფოებს, ნებით დებენ სოციალურ კონტრაქტს ერთმანეთთან და გადასცემენ მათ გარკვეულ საკუთარ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ქმნიან სუვერენულ მთავრობას, რომელსაც გააჩნია საჭირო ძლიერება, რათა დაიცვას ისინი საგარეო თუ საშინაო მტრებისა და ხელისშემშლელი

ფაქტორებისგან. ასეთი „მშვიდობისა და წესრიგის“ პირობებში ადამიანები უშიშრად გრძნობენ თავს და აქვთ საშუალება, იღვაწონ ბედნიერებისათვის.[15]

მოკლედ, სახელმწიფოში იგულისხმება ფიქსირებულ ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანები, რომელთაც აქვთ საერთო კანონები, ჰყავთ მთავრობა, რომელსაც შესწევს უნარი, წარმართოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროება. „სახელმწიფო“ ხშირად წარმოადგენს „ქვეყნის“ სინონიმს და შესაძლოა ისინი იდენტურ ცნებებად იქნეს გამოყენებული, თუმცა ქვეყანა არის უფრო გეოგრაფიული ტერიტორია, სახელმწიფო კი - მისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ბერძნული, ასურული და ურარტული ისტორიული წერილობით წყაროების მიხედვით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ძვ. წ. XII საუკუნეში იყო დიაოხი (დაიაენი, ტაოხი), რომელმაც არსებობა შეწყვიტა ძვ. წ. VIII საუკუნეში (შემდგომში ეს რეგიონი ტაო-კლარჯეთად ჩამოყალიბდა), როდესაც დაპყრობილ იქნა ასევე ქართული სამეფოს, კოლხას მიერ. პირველ ქართულ სახელმწიფოდ კი ითვლება კოლხეთის სამეფო (ძვ. წ. VI-I ს.ს.), რომელმაც მთლიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში (პირველი ქალაქური ტიპის დასახლებები, საკუთარი მონეტების „კოლხური თეთრის“

[15] ჰობსი თ., ლევიათანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017, იხ. https://library.iliauni.edu.ge [25.03.2022]

მიმოქცევა და სხვ.) წერილობითი წყაროების მიხედვით, ერთიანი ქართული სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა, როგორც მემატიანე ***ლეონტი მროველი***[16] გვამცნობს, პირველად მოხდა ძვ. წლების IV-III საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც იბერიის მეფე ***ფარნავაზ I***-მა ქვეყანა ცენტრალურ რეგიონად და რვა საერისთავოდ დაყო. მმართველ ერისთავებს თვითონ ნიშნავდა.[17] ამგვარი დაყოფა შემდგომშიც შენარჩუნდა. VI-VIII საუკუნეებში საერისთავოების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. XI-XII საუკუნეებში, ბაგრატიონთა დინასტიის მიერ საქართველოს გაერთიანებისა და ქვეყნის ტერიტორიული გაფართოების შემდგომ, შესაბამისად კიდევ უფრო განვითარდა და გართულდა საერისთავოების რეგიონალური იერარქიული სტრუქტურაც.

პირველი თანამედროვე სახის ქართული სახელმწიფო იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). რომელიც მრავალი პარამეტრით იმ დროინდელ მსოფლიოში წარმოადგენდა ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. ხელისუფლების სათავეში არჩევნების გზით მოსული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მატარებელი პარტია **იყო ევროპაში პირველი, ხოლო მსოფლიოში მეორე მოვლენა** (ავსტრალიაში ლეიბორისტული პარტია), როდესაც ცნობილია, რომ ევროპაში ამ ტიპის სოციალ-დემოკრატიული პარტიები მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან

---

[16] ლეონტი მროველი - „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებული პირი, რომელსაც მიეწერება ამ კრებულში შესული თხზულებები: „მეფეთა ცხოვრება“, „არჩილის წამება“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“.
[17]მროველი ლ., ცხოვრება ფარნავაზისი http://www.georoyal.ge/?id=1946 [25.03.2022]

აღწევენ წარმატებას, ფართოდ იწყებენ არჩევნების გზით სახელისუფლებო სადავეების ხელში აღებას.

საქართველოს სახელმწიფო პროგრესული ღირებულებების დეკლარირებასა და მათი ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით, ზოგ შემთხვევაში, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების განვითარების წინამორბედადაც გვევლინება. მაგალითად, ეს სათლად ჩანს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაშიც. დოკუმენტში აქცენტი კეთდება დემოკრატიულ უფლებებსა და კერძო ინიციატივის



ნოე ჟორდანია
(1868-1953)
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლიდან სიკვდილამდე (დევნილობაში 1921 წლიდან). იგი იყო მსოფლიოში მე-2, ხოლო ევროპაში პირველი მთავრობის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატიიდან.

ხელშეუხებლობაზე, დეკლარირებულია ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უფლებები და სხვ. კონსტიტუცია აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით. კონსტიტუცია, ასევე, აღიარებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

სამწუხაროდ ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს არ მიეცა განვითარების საშუალება, რადგან. ჩრდილო მეზობელმა ცალმხრივად, თვითნებურად დაარღვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს მოწერილი ხელშეკრულება და 1921 წლის 11 თებერვალიდან რუსეთი დიდი სამხედრო ძალებით (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, *სემიონ ბუდიონის* და *დმიტრი ჟლობას* კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა (დიდი ბრიტანეთი ვერაგულად შეუთანხმდა რუსეთს და საკუთარი ჯარი გაიყვანა საქართველოდან) ქვეყანამ მარტის მეორე ნახევრამდე მაინც შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მთავრობა იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და პოლიტიკურ ემიგრაციაში წასულიყო. ნ. ჟორდანიამ უარი თქვა კაპიტულაციაზე, რითაც არ მიცა საშუალება რუსეთს იურიდიულად გაეფორმებია ტერიტორიების მიერთება და სამართლებრივი დივიდენდები მოეპოვებინა.

სამწუხაროდ, ე.წ. „მენშევიკური საქართველოს“ წარმოსახვის საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული კლიშეებიდან ბევრი ვერ განთავისუფლდა, რაც ხშირად ხელს უშლის ობიექტური მეცნიერული კვლევის განხორციელებას და იმ პერიოდის ობიექტურად წარმოჩენას. სხვათა შორის, ასევე, საჭიროა განვთავისუფლდეთ საქართველოში დამკვიდრებული მოტრაიბალისტურო პოლიტიკური მავნე პრაქტიკისაგან, როდესაც ობიექტური კონსტრუქციული კრიტიკის ნაცვლად, ყოველი წინა ხელისუფლების ან არსებულის (ნ. ჟორდანიას,

ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილის და სხვ.) მიმართ, მხოლოდ ბიოლოგიური სიძულვილით გაჟღენთილ ლანძღვა-გინება ისმის.

70 წლის შემდეგ საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა[18] და დღეს ოფიციალურად საერთაშორისოდ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოა, რაც ნიშნავს, რომ აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება (ძალაუფლება) თავისივე ტერიტორიაზე; კონსტიტუციით იგი არის უზენაესი ქვეყნის საშინაო საქმეებსა და დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში ჩაწერილია, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში, რომელიც პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მათგანაც იმავეს მოითხოვს. საქართველოსთვის მიუღებელია მისი სუვერენიტეტის შეზღუდვის, მათ შორის - თავისუფალი საგარეო-პოლიტიკური არჩევანის იძულებით შეცვლის და საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევის ცდები“.

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის მიხედვით, ხელისუფლებას ჩამოყალიბებული აქვს ქვეყანაში

[18] თუმცა არც მას მიეცა ნორმალური განვითარების საშუალება. ალიანსში მყოფმა გარე და შიდა ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა არაერთი დარტყმა მიაყენეს საქართველოს სახელმწიფოს (კანონიერად არჩეული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების უკანონო, ყოვლად გაუმართლებელი გზით დამხობა და სხვ.).

საზოგადოებრივი აღმშენებლობის პროგრამა, რომლის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები ეფუძნება შემდეგ ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს:

- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
- თავისუფლება;
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- უშიშროება;
- კეთილდღეობა და მშვიდობა.

საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის, წინაშე დგას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უაღრესად რთული ამოცანა, რომელიც მიუღწეველია ეროვნული მთლიანობის გარანტირებულად მაფორმირებელი პროცესის გარეშე. ეროვნული მთლიანობა, ერთობა, კონსოლიდირებული და ძლიერი ერი - არის ის სუბიექტი, რომელსაც, ფაქტობრივად, ერთადერთს შეუძლია ლეგიტიმური გახადოს ხელისუფლებაც და ხელისუფლების მიერ გადადგმული ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯი.

ეროვნული მთლიანობის აღმშენებლობის თვალსაზრისით, საქართველოში არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ის ბზარი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხელისუფლებას განიხილავს, როგორც ეროვნული პრობლემებისადმი საკმარისზე ნაკლებად მგრძნობიარეს. ამავე დროს, სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებს ის გარემოებაც, რომ თითქმის არ არსებობს დაპირისპირებულ მხარეთა შორის არა მხოლოდ

დიალოგის კულტურა, არამედ თვით ამ დიალოგის სურვილიც კი. ამასთან, საზოგადოებაში ჯერჯერობით არც იგრძნობა სიძულვილისგან განთავისუფლების მოთხოვნა.

დღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, უცხოურ ცივილიზაციასთან უშუალო და გაზრდილი კონტაქტის შედეგად, ახალი ძალით ღვივდება და ყალიბდება ეთნოცენტრიზმი, რომელიც უცხოელების სიძულვილში გამოიხატება. ხელისუფლება ცდილობს, ამას დაუპირისპიროს კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ღირებულებათა დასავლური სისტემის ეროვნულ დონეზე გათავისების პროცესს და იმ გაგებას, რომ ერი და დემოკრატია არის პროცესი და არა - მდგომარეობა.

ეროვნული მოძრაობის, დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და გამოცხადების შემდგომ, გარკვეულ პერიოდში, სულიერ ცხოვრებაში ხდებოდა შემობრუნება ეკლესიისაკენ, რომელსაც ეროვნული მთლიანობის მშენებლობაში მნიშვნელოვანი და სერიოზული როლი ეკისრებოდა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნევა გარკვეული სეკულარიზაციის ტენდენცია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ადვილი არ აღმოჩნდა დემოკრატიული მშენებლობის პროცესში, წინააღმდეგობრივ გარემოში გზის გაკვლევა, ისე როგორც მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ირყევა ნიჰილიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმს შორის.

არ არსებობს ერთიანობა ღირებულებათა გადაფასების პროცესში, რომლის დროსაც: მოვალეობას ტრადიციულ ორიენტაციასა და საზოგადოებრივი ნორმების აღიარებაზე

უპირისპირდება პირადი თავისუფლებისა და თვითგამოხატვისკენ სწრაფვა; ტრადიციული ორიენტირების მნიშვნელობის დაკარგვა იწვევს რისკზე წასვლისათვის მზადყოფნის მასობრივ შემცირებას და ზრდის რწმენას, რომ უშიშროებისაკენ მისწრაფება უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ და სხვ.

თანამედროვე საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ოჯახური ურთიერთობები და თანაცხოვრებითი ტრადიციები ქმნიან. ამავე დროს, დღეისათვის საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფის ფორმებს ჯერ კიდევ ძველი პოლიტიკური სისტემის კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს. საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს შიგნით მცხოვრები მოსახლეობა ჯერ კიდევ არ გრძნობს თავს საერთო ხვედრის წინაშე მდგარ ერთიან ერად; ქვეყნის მოსახლეობას არ გააჩნია ყველას მიერ გაზიარებული ძირითად ღირებულებათა სისტემა, არა აქვს ჩამოყალიბებული საერთო ხედვა ქვეყნის მომავლისა, ჯერაც არ ჩამოჰყალიბებია თანაარსებობისა და სოციალური ყოფის საზოგადოებრივად შეთანხმებული ფორმები, არ გააჩნია ქვეყნის განვითარების ზოგადი მიზნების შეთანხმებული გაგება.

ქვეყანაში არ არის ბოლომდე გააზრებული: ეროვნული შეკავშირებულობა - გაცნობიერება იმისა, რომ ერთიანი ერის წევრად საკუთარი თავის აღქმა არის მსოფლიოს მიერ დადებითად შეფასებული გამოცდილება; ეროვნული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების პრო-

ცესები; საზოგადოებაში შეთანხმებულ გაგებათა ფორმირების პროცესის პირობები, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: საქართველოს საზოგადოების მიერ აღიარებული ძირითადი ღირებულებები, ქვეყნის განვითარების ზოგადი მიზნები, საზოგადოების ორგანიზაციის მისაღები ფორმები; მართვის პროცესები და სტრუქტურები, რომლებიც ასახავენ ამ პროცესებს, განსაზღვრავენ მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ორმხრივ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს.

გასათვალისწინებელია საფრთხეები: მიუხედავად კონსოლიდაციური მისწრაფებისა, ქართული ეთნოსის შიგნით მთლიანად არ არის დაძლეული პარტიკულარიზმის საფრთხე, რომელსაც აქვს როგორც ისტორიული, ისე ეკონომიკური საფუძვლები; განათლების დაბალი ცენზის გამო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ძლიერდება ეთნოცენტრიზმი და ქსენოფობია; მაჟორიტარიზმი[19] გამოვლენილი როგორც უმრავლესობის ეთნიკურ ამბიციაში, ისე უმრავლესობის რელიგიისადმი განსაკუთრებულ ყურადღებაში, საფრთხეს უქმნის როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობებს; საფრთხე დაემუქრა საქართველოს კულტურასა და ქვეყნის კულტურულ თვითმყოფადობას, რომელიც დაუცველი აღმოჩნდა კულტურათა გამანიველირებელი გლობალური შემოტევის წინაშე, რასაც აძლიერებს კიბერსივრცის არასათანადოდ დაცულობა, თანამედროვე სოციალური ქსელების, ელექტრონული მედიის მოძალება.

---

[19] მაჟორიტარიზმი, როდესაც უმრავლესობა დომინირებს უმცირესობაზე, ანუ უმცირესობამ უმრავლესობის თვალსაზრისს უნდა დაუთმოს.

დგება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და განვითარების საკითხი, რომელიც ეხება ენას, ხელოვნებას, ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რასაც თანამედროვე „მასკულტურაში“ ათქვეფა ემუქრება. სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ეთნიკური თანხმობის უქონლობა პოლიეთნიკურ გარემოში. ამჟამად საქართველოში ცოტა თუ მოიძებნება ქართველი, ე.ი. დომინანტი ერის წარმომადგენელი, რომელმაც იცოდეს, რა სულიერებით ცხოვრობენ საქართველოს სხვა ეთნოსის ადამიანები. გარდა ამისა, საქართველოში არის რეგიონები, რომლებშიც არათუ მცირდება, არამედ ძლიერდება კიდეც პარტიკულარიზმის საფრთხე.

ძველი ორიენტირების დაკარგვა დაკავშირებულია თანამედროვეობის კრიზისთან, რომელიც ადამიანებს აიძულებს, ახალი უსაფრთხო გარემო ეძებონ. ინდივიდუალიზაცია და ცხოვრების სტილის პლურალიზაცია აძლიერებს ცალკეული მოქალაქის დაუცველობას.

მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში დემოკრატიის თვალსაზრისით. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო და ხალხმა ვერ განავითარა ის პირობები, რომლებიც ქმნის მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესებში უშუალოდ მონაწილეობის საფუძვლებს.

მოსახლეობა ცალკეული ინდივიდუმების, ინტერესთა ჯგუფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ ინტელექტუალური ელიტის სახით ვერ ახდენს სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლის და-

წესებას. ფართო ფენები პასიურობას იჩენენ არჩევნებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებისას, თვალს ხუჭავენ ფალსიფიკაციის შემთხვევებზე და სხვ.

ხელისუფლებისა და განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების მენტალიტეტი ისეთია, რომ ცალკეულ თანამდებობის პირებს, მაგალითად, მერებსა და მათ სამსახურებს ვერ წარმოუდგენიათ, თავიანთ საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლი დაუწესონ. იგივე მდგომარეობაა სამინისტროთა და დეპარტამენტთა უმეტესობაში.

პარტიებს შორის ურთიერთობას აკლია პოლიტიკური დიალოგის კულტურა. ჯერაც არ ჩამოყალიბებულა გაგება, რომ არც ერთი მოკამათე მხარე არ უნდა ამბობდეს უარს თავის რწმენაზე, მაგრამ მათ შეუძლიათ მივიდნენ ინტერაქციის ისეთ მდგომარეობამდე, რომელშიც რწმენათა კანონს ძალა არ გააჩნია.

სამოქალაქო საზოგადოება არის სახელმწიფოს მართვის არა ატრიბუტული, არამედ სუბსტანციური ნიშანი. ხელისუფლებამ რომ მართვითი ფუნქციები განახორციელოს, მას სამოქალაქო საზოგადოება სჭირდება.

თანამედროვე პირობებში სამოქალაქო საზოგადოებას ალტერნატივა არ გააჩნია. ამის გამო სამოქალაქო საზოგადოება განიხილება, ერთი მხრივ, როგორც მართვის სისტემისათვის ადეკვატური გარემოს ფორმირების ინსტრუმენტი და, მეორე მხრივ, თავად მართვის სრულყოფის უალტერნატივო იარაღი.

სახელმწიფოს მართვის სისტემაში ოთხი კომპონენტია - საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება. ესაა სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოუდგენელია რომელიმე კომპონენტის გარეშე.

მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დემოკრატიის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. ახალი დამოუკიდებლობის ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება, თანამედროვე სამყაროს საერთო საინფორმაციო სივრცისა და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების გათვალისწინებით, გარკვეული დრო დასჭირდებათ სახელმწიფოსა და დემოკრატიის, როგორც პროცესის, სრულყოფილად ასამოქმედებლად.

დემოკრატიის ძირითადი არსი შეიძლება განიმარტოს, როგორც სახელმწიფოს ცხოვრებაში ხალხის მონაწილეობა და გადაწყვეტილებების რაც შეიძლება ახლოს მიტანა იმასთან, ვისაც ეს ეხება. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებას ევალება, არა თვითონ აკეთოს ესა თუ ის აუცილებელი საქმე, არამედ შექმნას პირობები, რათა საქმე ერთობლივად გაკეთდეს. შესაბამისად, სახელმწიფოსა და ხელისუფლების როლი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაყალიბოს დემოკრატიის ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის მონაწილეობას ქვეყნის მართვაში როგორც წარმომადგენლობითი, ისე უშუალო დემოკრატიის ფორმებით.

ერთი შეხედვით, დღევანდელ საქართველოში ამოქმედებულია თითქმის ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ არ არის დემოკრატია. მართალია, გვაქვს თითქმის ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, მეტნაკლებად დემოკრატიული კანონები, მაგრამ არ გვაქვს დემოკრატიული პროცესები. ამჟამად საქართველოს აქვს სტანდარტული პოლიტიკური ინსტიტუტები, რაც სჭირდება სტანდარტულ დემოკრატიულ სისტემას, მაგრამ, რაკი პროცესები არ არის და ურთიერთობები დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის მოუგვარებელია, საჭიროა ინსტიტუტები, რომლებიც ამ ურთიერთობებს შეუწყობენ ხელს. აუცილებელია ამ ურთიერთობათა საფუძველზე აგებული პოლიტიკური ძალების დინამიკური წონასწორობა.

გასათვალისწინებელია პოლიტიკური აზროვნების ის ნაკლი, რომ ხშირ შემთხვევაში გაუგებარია პოლიტიკური პროცესების უნიკალურობა. დასავლეთმა შეიძლება უამრავი რამ გვითხრას, მაგრამ ქართულ სახელმწიფოში ბევრ ჩამოსაყალიბებელ ინსტიტუტს ვერ დაგვიხასიათებს, ვერ მიგვითითებს იმ აუცილებლობაზე, რომ ესა თუ ის ინსტიტუტი უნდა დავაარსოთ, რაკი იგი მარტო ჩვენია და მარტო საქართველოს პოლიტიკური სისტემისათვის არის დამახასიათებელი.

საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი - ზედაპირზე ჩანს მოსახლეობის ჭარბი პოლიტიზება, პოლიტიკურ პარტიათა და ძალთა სიჭარბე, მაშინ, როცა

სიღრმისეულად გამოვლენილია პოლიტიკურ პარტიათა სისუსტე, საზოგადოების შიში პოლიტიკაში მონაწილეობისა, უნდობლობა პოლიტიკური ლიდერების მიმართ, საერთო აპათია და პასიუროზა. შესამჩნევია პოლიტიკიდან პირად ცხოვრებაში „გაქცევის“ ტენდენცია, მეტისმეტი ინდივიდუალიზმი და სოციალური დეზინტეგრაციის სხვა ნიშნები. ამავე დროს, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საზოგადოებას, რომლის უმრავლესობაც მხოლოდ ეგოისტური მისწრაფებებით ცხოვრობს, მომავალი არ გააჩნია.

2.2. საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების დიალექტიკა

სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების საფუძველთა საფუძველია ეროვნული ინტერესები, ეროვნული ღირებულებები, ეროვნული მიზნები და ეროვნული ფასეულობები, რომლებიც განსაზღვრავენ ერის ერთიანობას, სახელმწიფო და კულტურულ აღმშენებლობას, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის სახეს. ამასთან, მათი მეშვეობით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად, ხდება ერის იდენტიფიკაცია საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიები ერთმანეთშია გადახლართული და მთლიანად განაპირობებს ერთმანეთს, ეროვნული უშიშროების კატეგორიის განსაზღვრისას ეროვნული ინტერესის კატეგორიის

იგნორირება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამ პრობლემაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით შემდეგ თანამიმდევრობას:

პირველი, ეროვნული ინტერესების განსაზღვრას;

მეორე, ამ ინტერესებისადმი რეალური და პოტენციური საფრთხეების გარკვევას;

მესამე, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის, ანუ ამ საფრთხეების თავიდან აცილების ან გაუვნებელყოფის პოლიტიკის ფორმულირებას.

მაგალითად, ამერიკელი ავტორები „ეროვნული უშიშროების" ცნების წყაროს „ეროვნული ინტერესების" თეორიაში ეძებდნენ. მკვლევართა უმეტესობა ეროვნული ინტერესების კატეგორიების ფორმულირებისას მასში ეროვნული უშიშროების კატეგორიას გულისხმობდა და ამ უკანასკნელს გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. შედეგად, ეროვნული ინტერესების ფორმულირება პრაქტიკულად იქცა ეროვნული უშიშროების ფორმულირების სინონიმად.

ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უშიშროების ფუნქციური როლები თვალსაჩინო გახდება, თუ „ჩავიხედავთ" მთლიან საგარეო-პოლიტიკურ პროცესში. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის საგარეო ურთიერთობაში ყველა დროისათვის ფუნდამენტური ეროვნული ინტერესებია:

1. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა;

2. ტერიტორიული მთლიანობა;

3. კეთილდღეობა და ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა;

4. ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და სხვ.

საგარეო პოლიტიკის მიზანია ამ ეროვნული ინტერესების დაცვა, ანუ უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელება.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ინტერესების დაცვისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის კატეგორიები ასახავს საგარეო-პოლიტიკური პროცესის თითქმის თანმხვედრ ფუნქციებს ორივე ფაზაში - საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაში. ცხადია, რომ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავება წარმოუდგენელია ეროვნული ინტერესებისა და ამ ინტერესებისადმი საფრთხეების განსაზღვრის კონცეფციის ფორმულირების გარეშე.

ეროვნული ინტერესები ტრადიციულად იყოფა:

- ინტერესებად საგარეო-პოლიტიკურ სფეროში (საერთაშორისო);

- ინტერესებად შიდაპოლიტიკურ სფეროში (ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და სხვ.).

ეროვნული ინტერესების რეალიზებისათვის სახელმწიფოები ირჩევენ როგორც მშვიდობიან, ისე ძალისმიერ გზას. ეროვნული ინტერესების რეალიზების მშვიდობიან მეთოდში იგულისხმება დიპლომატიური არხების გამართვა და ამოქმედება, კომპრომისების მიღწევა მოლაპარაკებების პროცესის

გზით, სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება და სხვ. ეროვნული ინტერესების ძალისმიერი მეთოდით რეალიზება კი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენების მუქარას ან გამოყენებას.

ეროვნულ ინტერესებს აყალიბებს მოქალაქეთა (ხალხის) მოთხოვნილებები, მათი ღირებულებითი ორიენტაცია, განისაზღვრება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და სახელმწიფოს სხვა ორგანიზაციების შესაძლებლობებით; საზოგადოების მორალური, ზნეობრივი და ინტელექტუალური პოტენციალით. გარდა ამისა, ეროვნული ინტერესების შემადგენელია სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული განცხადებები, რომლებსაც შეიცავს კონსტიტუცია ან საკონსტიტუციო კანონები.

ეროვნულ ინტერესებს განაპირობებს მრავალი ფაქტორი: გეოგრაფიული მდებარეობა, ნედლეულის რესურსებით უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარების დონე, საგარეო და საშინაო საფრთხეების არსებობა და ა.შ. სხვა სიტყვებით, ეროვნული ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სულიერი განვითარების ძირითად პარამეტრებთან. ცხადია, ამას თან ერთვის არსებული საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური რეალიების დონე და მასშტაბები. ერთი სიტყვით, ერის განვითარების კონკრეტული ისტორიული ეტაპის შესაბამისი ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე

გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები.

ეროვნული ინტერესების არსი ნათლად ჩანს მის დამახასიათებელ ნიშნებში. ეროვნული ინტერესები:

- მოწოდებულია უზრუნველყოს მოცემული სოციუმის გადარჩენა, უშიშროება, ქვეყნის მდგრადი და პროგრესული განვითარება;
- მიმართულია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო ამოცანების გადასაჭრელად, სხვადასხვა საფრთხისა და მუქარის გასანეიტრალებლად და თავიდან ასაცილებლად;
- წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სოციალური ჯგუფებისათვის დასახული მიზნების მისაღწევად მოქმედების მოტივსა და საბაბს;
- მისი რეალიზება ხდება პოლიტიკის სხვადასხვა სახეების (საგარეო და შიდა, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.) საშუალებით;
- წარმოადგენს ამა თუ იმ სფეროში შეგნებულ, ფორმულირებულ და ოფიციალურად გაცხადებულ პრიორიტეტებს.

ეროვნული ინტერესების კლასიფიკაცია ხდება სოციალური ნიშნის მიხედვით და მასში გამოიყოფა სამი ჯგუფი:

- პირველი რიგის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები;
- მეორე რიგის მნიშვნელოვანი ინტერესები;

- მესამე რიგის ინტერესები.

პირველი რიგისას განეკუთვნება ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ ფასეულობებთან, რომელთა დაკარგვამაც შეიძლება შეარყიოს თვითონ მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის საფუძვლები (სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა, კონსტიტუციური წყობა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ერის ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა და სხვ.).

მეორე რიგის ინტერესები დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებასთან, საზოგადოების სოციალურად მნიშვნელოვანი მონაპოვრების დაცვასთან, სოციალური, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლის, ორგანიზებული დანაშაულობანის და სხვ. დაძლევასა და აღკვეთასთან.

მესამე რიგში ერთიანდება დანარჩენი ინტერესები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ხელსაყრელი პირობების შექმნასთან, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების წინსვლის, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის განვითარება, დემოკრატიული საზოგადოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზება, გარემოს დაცვა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო და კეთილმეზობლური თანამშრომლობის გამყარება და სხვ.

საზღვრები ინტერესთა ამ სამ ჯგუფს შორის არის პირობითი და დინამიკური. კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ინტერესმა შეიძლება შეიძინოს სტატუსი - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ან - პირიქით.

ეროვნული ინტერესების, ანუ პიროვნების, საზოგადოებისა და ხელისუფლების დაბალანსებული ერთობლივი ინტერესების შეგნებასა და ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ღირებულებები. მაგალითად, საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში შემდეგნაირად არის განსაზღვრული ეროვნული ღირებულებები:

- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
- თავისუფლება;
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- უშიშროება;
- კეთილდღეობა;
- მშვიდობა.

ეროვნული ღირებულებები არის ფუნდამენტური ნორმები, რომლებიც გამოხატავს გარკვეული სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ერის არსებობისა და განვითარებისათვის. ღირებულებების შინაარსს განაპირობებს საზოგადოების კულტურული მიღწევები.

ღირებულებათა სამყარო - ესაა, პირველ ყოვლისა, კულტურის სამყარო, სიტყვის ფართო გაგებით; ესაა ადამიანის სულიერი მოღვაწეობის, მისი ზნეობრივი შეგნების სფერო,

მისი ერთგულება იმ შეფასებებისადმი, რომლებიც პიროვნების სულიერი სიმდიდრის საზომად არის ქცეული.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ კონცეფციაში ჩამონათვალი გაფართოვდება და აღინიშნება, რომ ქართველი ხალხის ეროვნული ღირებულებებია:

- საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მისი ისტორია. სახელმწიფო ენა და ქართველური ენები (მეგრული და სვანური).
- ქართველური ენის მატარებელი ყველა ადამიანი (მათ შორის, ლაზები, მეგრელები, სვანები, ფერეიდნელი და თურქეთის ქართველები და სხვ.).
- ქართული ანბანი.
- აფხაზები და აფხაზური ენა.
- ფოლკლორი (სიმღერები, ცეკვები, ეპოსი და სხვ.).

ქვეყნის ეროვნული ინტერესების იერარქია განსაზღვრავს მისი ეროვნული მიზნების სისტემასაც. ეროვნული მიზნები - ეს არის ფუძემდებლური ორიენტირები სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ცალკეულ მოქალაქეთა საქმიანობაში ეროვნული ინტერესების რეალიზებისათვის და მის დასაცავად. ეროვნული მიზნები ეროვნული უშიშროების სისტემაში ყველაზე უფრო მოძრავი ელემენტია. ისინი საზოგადოებაში განისაზღვრება და ფორმირდება ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების პრიზმაში. ეროვნულ მიზნებს პრაქტიკულ სიბრტყეში გადაჰყავს ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა, განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებსა და ფაქტორებში გამოხატულ მრავალ გარემოებაზე, რომელთა გამოვლენა და აღრიცხვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს. **ამ კონტექსტში მოიაზრება ეროვნული უშიშროების სისტემის ძირითადი ამოცანა - ეროვნული ინტერესების დაცვა სხვადასხვა სახის საშიშროებისაგან.**

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ინტერესების სისტემის ფორმირებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარების დონე. თუ ისინი მაღალ დონეზე არიან, მაშინ ადვილად წარმოიქმნება ერთიანი დაბალანსებული სისტემა „ერი-სახელმწიფო“, რომელიც უსათუოდ წარმოქმნის სხვადასხვა ინტერესთა გაწონასწორების მექანიზმებს.

სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოება განუვითარებელი და ძალზე სუსტია. შესაბამისად, **ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს მმართველი ელიტა, ბიუროკრატიული აპარატი, პარტიული ინტერესები, გაბატონებული პარტიული ძალების სუბიექტური წარმოდგენები ეროვნული ერთიანობის მოთხოვნილებებსა და ღირებულებების შესახებ.**

ეროვნული ინტერესების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია საზოგადოების მიერ მისი შეგნების ხარისხი. **ეროვნული ინტერესების შეგნებულად გააზრება და მისი მკაფიოდ გამოხა-**

ტვა აუცილებელია, რათა სახელმწიფოებრივი აზროვნება ნათლად გამოირჩეს ანგარებიანი პოლიტიკური ავანტიურისტების, მედროვეების ან პარტიული ვიწრო ინტერესებისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორსაც, თუ რამდენად შეუძლია მას სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალის გაერთიანება და შემჭიდროება. ასევე არსებითი ხასიათი აქვს მის დამოკიდებულებას ისტორიულ კონტექსტთან. ეროვნული ინტერესები ყალიბდება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის განმავლობაში, რაც თითოეული ხალხის სპეციფიკაში აისახება.

ქართველთა ეროვნული ინტერესები განისაზღვრება მათი მატერიალური და სულიერი კულტურით, ღირებულებითი ორიენტირებით, ტრადიციებით, გმირული წარსულის შესახებ ხსოვნით და სხვ.

დღევანდელ ვითარებაში აუცილებელია საქართველოს ეროვნული ინტერესების მნიშვნელობის უფრო ფართოდ წარმოჩენა, დომინირება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მისი აქტიური გამოვლინება პოლიტიკურ ბრძოლაში, მასმედიაში და სხვ. უფრო მეტიც, ეროვნული ინტერესები შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

საქართველოს ეროვნული ინტერესები და ძალთა ბალანსი სახელმწიფოთა ურთიერთობების სისტემაში განუყოფელია ისეთ ცნებასთან, როგორიცაა გეოპოლიტიკა. ამ ერთიანობაში ისინი ქმნიან იმ საფუძვლებს, რაზეც შენდება ეროვნული უშიშროების სისტემა, განსაკუთრებით - მისი საგარეო ასპექტი.

გეოპოლიტიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ერთ-ერთი ცნებათაგანი, გვაძლევს საშუალებას, რაღაც დოზით მაინც განიმარტოს საქართველოს ადგილი და ადგილმდებარეობის ტერიტორიულ-სივრცობრივი თავისებურებების ზეგავლენის ისტორიული ფორმები ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო პროცესებზე.

გეოპოლიტიკის სფერო მოიცავს სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, საშინაო და საგარეო უშიშროების უზრუნველყოფის, მთლიანობაში ეროვნული ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ საკითხებს. გეოპოლიტიკის სფერო ასევე გულისხმობს სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტების არსებობასაც:

- საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები;
- ეფექტური სახელმწიფო ძალაუფლება;
- მყარი სახელმწიფო მონოპოლია ძალის გამოყენებაზე;
- ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

საქართველოს მაგალითზე ამ კომპონენტებს შორის სახელმწიფოებრივი ბალანსი ჯერჯერობით აშკარად დარღვეულია და კრიტიკულ ზღვარზეა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს სუვერენიტეტი ნიშნავს, პირველ ყოვლისა, ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ერთიან შეიარაღებულ ძალებს, ერთიან ფინანსურ სისტემას, ერთიან საგარეო საზღვრებს, ერთიან საგარეო პოლიტიკას. სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის მიუღებელია მის

ფარგლებში რაიმე სახის შეიარაღებული ფორმირებები, გარდა კანონით გათვალისწინებულისა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს აქვს უპირობო მონოპოლია ძალის ლეგიტიმურად გამოყენებაზე. ეს უფლება მას მიანიჭა საზოგადოებამ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

სუვერენიტეტის, გეოპოლიტიკისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკვანძო როლს თამაშობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ამ ამოცანას კი ვერ გადაჭრი საგარეო საზღვრების მკაფიო კონცეფციისა და მისი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის სისტემის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ გეოპოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია საზღვრების პრობლემას. ტერიტორია და მოსახლეობა თუ არ არის საზღვრით შემოფარგლული, ვერც შექმნის განსაზღვრულ პოლიტიკურ სივრცეს (სახელმწიფოს). სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ სივრცეს, ყოველთვის გააჩნია ფიქსირებული საზღვრები, რომლებიც მისი სუვერენიტეტის მთავარი კომპონენტი და მისი ეროვნული უშიშროების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფოს სუვერენიტეტი იქცევა ცარიელ ფორმალობად, თუ მას არ გააჩნია საზღვრები, თუ ისინი წალეკილი და გაურკვეველია, თუ დაუცველია.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის დამაარსებელი *ფრიდრიხ რატცელი* (Friedrich Ratzel; 1844-1904) წერდა: საზღვარი - ეს არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო, იგი არის მისი ზრდის, ძა-

ლის ან სისუსტისა და მის ორგანიზმში ცვლილებების ნაშთი.[20] საზღვარი საჭიროა არა მარტო მტრის შემოჭრის შესაკავებლად, არამედ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთინტერესებზე დაფუძნებული კეთილმეზობლური ურთიერთობებისთვისაც. ასეთი საზღვრების არარსებობას შეიძლება სახელმწიფოებს შორის გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. როგორი პატარაც უნდა იყოს, სახელმწიფოს ნებისმიერი ტერიტორია მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. იგი რჩება სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლოდ, სახელმწიფოებრივი ორგანიზმის, მისი ისტორიის, მისი ღირსების განუყოფელ ნაწილად. სახელმწიფო ვალდებულია, ყველა საშუალებით მოუაროს და დაიცვას, რაც აქვს - ესაა წმინდა მოვალეობა და ეროვნული ინტერესი.

ტერიტორიული გადანაწილებები მსოფლიოში ან ცალკეულ რეგიონში საზღვრების ცვლილებები (განსაკუთრებით - ძალადობრივი), დაშლა ან ახალი სახელმწიფოების, კავშირების ან კოალიციების წარმოქმნა, ინტეგრაციული ან დეზინტეგრაციული პროცესები, როგორც წესი, განპირობებულია ძალთა ბალანსით. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრაქტიკა ადასტურებს, რომ ძალთა ბალანსის უგულებელყოფას მოაქვს მძიმე შედეგები. დაუბალანსებელ ძალას, რომე-

[20] იხილე, ქოჩორაძე, ო. (2008). გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები (კატეგორია "სივრცე"-ს პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შედარებითი ანალიზი). ჟურნ. *ხელისუფლება და საზოგადოება*. #3, გვ. 10. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/186972/1/Xelisufleba_Da_Sazogadoeba_2008_N3%20%287%29_T.%201.pdf [24.03.2021]

ლიც ზოგიერთი სახელმწიფოს საკუთარი გავლენის გაფართოების ამბიციებს კვებავს, შეუძლია უბიძგოს მათ სახიფათო და ავანტიურისტული პოლიტიკისკენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა სახელმწიფოს უშიშროება დამოკიდებულია მათ შორის ძალთა ბალანსის დაცვაზე.

სახელმწიფოები, ხშირად საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, მიდიან ძალთა ბალანსის დარღვევაზე, იმ ვარაუდით, რომ საუკეთესო უშიშროება არის მოწინააღმდეგე მხარეზე გარკვეული უპირატესობის მიღწევა. რამდენადაც ნამდვილი უშიშროება ეფუძნება შედარებით ძალთა ბალანსს, იმდენად მისი მუდმივად დარღვევა ასევე არღვევს თვით უშიშროებასაც (წარმოიქმნება ერთგვარი „მანკიერი წრე").

საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და მისი შემადგენელი სახეები (ქვესისტემები) ერთმანეთთან უშუალოდაა დაკავშირებული. ამავე დროს, მისი შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია მოცემულ მომენტში, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე თუ რა ამოცანები დგას. ეროვნული უშიშროების გეოპოლიტიკური ასპექტი გარკვეულწილად განსაზღვრავს როგორც უშიშროების სახეების (ქვესისტემების) შინაარსს, ისე მათი განხორციელების შედეგებს.

ეროვნული ინტერესები და ეროვნული უშიშროება არის ორგანულად და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული.

ეროვნული ინტერესებისათვის ნებისმიერი საფრთხე განხილულ უნდა იქნეს ეროვნული უშიშროების პრობლემად და მისი წარმოქმნის მომენტიდან მის დასაცავად ერთიანი ძალებით უნდა აღდგეს მთელი სახელმწიფო სისტემა, სამოქალაქო საზოგადოება. თუ არადა, შეიძლება შედეგად მივიღოთ ეროვნული ერთობის დაცემა, დაღუპვაც კი და უაზრო გახდეს წინა თაობების გაწეული ძალისხმევა.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიები ერთმანეთში იმდენადაა გადახლართული, იმდენად განაპირობებს ერთმანეთს, რომ ეროვნული უშიშროების კატეგორიის განსაზღვრისას ეროვნული ინტერესის კატეგორიის იგნორირება შეუძლებელია.

2.3. ეროვნული უშიშროება - ტერმინები, არსი, ზოგადი პრობლემური სიტუაციის დახასიათება

2.3.1. ანატომია ტერმინებისა: უშიშროება და უსაფრთხოება

აუცილებელია ტერმინების და მათთან დაკავშირებული ცნებების სიღრმისეული განმარტება, რათა გაადვილდეს საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემისა და მისი სტრატეგიის გააზრება.

ტერმინი „უშიშროება“, სიტყვის პირდაპირი გაგებით, ნიშნავს საფრთხის არარსებობას. სადაც: საფრთხე გულისხმობს ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ანუ კონკრეტული ობიექტის არსებობის პირობების (თვისებების) იმგვარ

ცვლილებას, რომელიც იწვევს მის დაზიანებას და პარალიზებას (თანმდევი შედეგებით).

საფრთხე არის სრულიად გაცნობიერებული, მაგრამ არა - ფატალური ალბათობა სახელმწიფო და ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მისაყენებლად. ზოგჯერ ცნებები „საფრთხე“ და „მუქარა“ ერთმანეთში ერევათ, მათ შორის ხედავენ უმნიშვნელო განსხვავებას. უფრო სწორი იქნება, თუ საფრთხე გააზრებული იქნება, როგორც ზიანის მიყენების გარკვეული ალბათობა, რომლის გარკვეულ დონემდე მიახლოებისას საფრთხე გადაიზრდება მუქარად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება საფრთხე არსებობდეს, ხოლო მუქარა არ იყოს და გარკვეულ გარემოებებში საფრთხემ მიიღოს მუქარის ხასიათი.

მუქარა კი არის მოქმედებაში მოყვანილი საფრთხე და იგულისხმება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების რეალური, უშუალო შესაძლებლობა; ამ შემთხვევაში საჭიროა გაიმიჯნოს მუქარები ზოგადად და კონკრეტულად ეროვნული უშიშროების მუქარები, რომლებიც ამ ნაშრომის ინტერესის სფეროა და მათში მოიაზრება: სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, მდგრადი განვითარებისა და უშიშროების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისათვის ზიანის მიყენების პირდაპირი და ირიბი შესაძლებლობა; სუვერენიტეტის დაკარგვა; საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების რღვევა; ეკონომიკის დანგრევა; შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება და სხვ.

გამოწვევა არის მუქარის გამოვლინება, რომელიც პოტენციური მსხვერპლისაგან დაუყოვნებლივ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს;

რისკი არის ისეთი მოვლენის ან მდგომარეობის დადგომასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, რამაც შეიძლება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაზე მოახდინოს უარყოფითი გავლენა. რისკები მოიცავს სამ კომპონენტს: 1. ხდომილობის (შემთხვევითი მოქმედების) ალბათობა; 2. გავლენის სიმძიმე ეროვნული უშიშროების შედეგებზე; 3. დროის მონაკვეთი, რა პერიოდშიც მოხდება შედეგი, თუ რისკი არ იქნება შემცირებული. რისკების შეფასება, ანუ გაზომვა გულისხმობს გამოვლენილი რისკების რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას: შესაძლო ხდომილობის ალბათობისა და გავლენის სიმძიმის შეფასებას. რისკის გავლენის სიმძიმის განსაზღვრის კრიტერიუმებია: მაღალი, საშუალო და დაბალი გავლენის სიმძიმის მქონე რისკები.

წარმოშობის წყაროდან გამომდინარე, საფრთხეებს (საშიშროებას) შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივი, ტექნოგენური, საწარმოო და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი:

1. **ბუნებრივი** ხასიათის საფრთხეებს (საშიშროებას) მიეკუთვნება ბუნებრივი კატაკლიზმების (მიწისძვრები, ზვავები, მეწყრები, წყალდიდობები, გვალვები და სხვ.) შედეგებით მიყენებული ზიანის შესაძლებლობა;

2. **ტექნოგენური** ხასიათის საფრთხეები (საშიშროება) დაკავშირებულია ტექნიკური ობიექტების (ატომური და ჰი-

დროელექტროსადგურები, ქიმიური, ნავთობისა და გაზის საწარმოები და მრეწველობის სხვა დარგები) ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილ გარკვეულ საფრთხეებთან (საშიშროებასთან);

3. **საწარმოო** ხასიათის საფრთხეები არის საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარები, მასალები, ნივთიერებები, სამუშაო მეთოდები, გარემო პირობები, ტექნიკური საშუალებები, შრომის ორგანიზება და სხვ.) ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული, რომლებიც საფრთხეს (საშიშროებას) უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

4. **სოციალურ-პოლიტიკური** ხასიათის საფრთხეები (საშიშროება) დაკავშირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობასთან. მათგან, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე გარემოსთვისაც, წარმოიშობა მუქარების უდიდესი რაოდენობა, რომელთა წყაროა სხვადასხვა სოციალური ძალის საქმიანობა (ერები, კლასები, პარტიები, დაჯგუფებები, ძალოვანი სტრუქტურები და სხვ.)

ამჯერად შედარებით ფართო განხილვის საგანია **სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის** საფრთხეებთან ასოცირებული „უშიშროება“, როგორც პოლიტიკური მეცნიერების კატეგორია, რომელიც **უშუალო კავშირშია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან** და მასში მოიაზრება ადამიანის მიერ თავისი ძი-

რითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საკუთარი უფლებების დაცულობის უზრუნველყოფაში მდგრადობის შეგრძნება.

<u>ტერმინის წარმოშობა.</u> ტერმინი „უშიშროება“ ნაწარმოებია ძველი ქართული სიტყვისგან „უშიშობა“ ზედმიწევნით: უშიშაროება→უშიშროება, რომელიც ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „უშიშრობა“.[21]

ეს ტერმინი გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, როგორიცაა: „ქართლის ცხოვრება“ - *ლეონტი მროველის* (VIII ს.) „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისაჲ *ლაშა-გიორგის*[22] *დროინდელი მემატიანე* (1223) „ცხორე[ბა გიორგი] მეფისა“, *ჯუანშერი* (VIII ს.) „ცხორებაჲ *ვახტანგ გორგასლისა*[23]...“, „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“,[24] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ჟამთააღმწერელი* (XIV ს.),[25] *ვახუშტი ბატონიშვილი* (1696-1757) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“[26] და სხვ. ტერმინ „უშიშობა“-ს კი საფუძვლად უდევს სიტყვა „შიში“. ტერმინ „შიში“-სა და

---

[21] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973

[22] *გიორგი IV ლაშა* (1213–1223) – საქართველოს მეფე. *თამარ მეფის* (1184–1213) და *დავით სოსლანის ძე* (გარდ. 1205).

[23] *ვახტანგ I გორგასალი* (დაიბადა დაახლ. V საუკუნის 40-იანი წლებში - 502) - ქართლის მეფე.

[24] *დავით IV აღმაშენებლი* (1089-1125), საქართველოს მეფე.

[25] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, „სახელგამი“, თბილისი, 1955.

[26] ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხე¬ლნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, „საბ¬ჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

მისგან წარმოებული ტერმინების მნიშვნელობა ლექსიკონებში ახსნილია შემდეგნაირად:

1. *სულხან-საბა ორბელიანის* (1658-1725) „ლექსიკონი ქართული“:

1) **შიში, სიში** - ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად. ერთ-ერთი ახსნილია ასე: **უღონოება** - შიში განვრდომილებისა, რამეთუ შეგვეშინის რაჲ, ჴვებულ ყოფასა უღონოებითა;

2) **საშიშარი** - შიშის ადგილი;

3) **საშიში** - შიშის საქმე (საქნელი).[27]

2. *ილია აბულაძის* (1901-1968) „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“:

1) **შიში** - ზარი, ტუქსვა, ძრწოლა, თრთოლა;

2) **შიშვა** - შინება;

3) **შიშნეული** - მოშიშე;

4) **შინება** - შეშინება, მშიშრება, დამედგრება, განკრთომა, დახსნა;

5) **უშიში** - უშიშარი, კრძალული.[28]

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:

1) **შიში** - მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით;

2) გამოწვეული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა;

3) **შიშობს** - ა) შიში აქვს რისამე (ეშინია). ბ) შეწუხებულია რაიმეს ცუდის მოლოდინით (ეშინია);

---

[27] ორბელიანი, სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. ტომი მეორე. „მერანი“, თბილისი, 1995.

[28] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

4) უშიშარი (უშიშრისა) - ა) ვისაც არაფრის არ ეშინია (გულადი, გაბედული, მამაცი). ბ) ასეთი ადამიანის შესაფერისი (უშიშარი გულის პატრონი). გ) სადაც საშიში არაფერია (უშიშარი ადგილი);

5) უშიშროება - უშიშრის თვისება (გულადობა, მამაცობა).[29]

<u>ტერმინის მნიშვნელობა.</u> ჩვენი წინაპრების მიერ, როგორც ამას ისტორიული წყაროები მოწმობენ, ტერმინი „უშიშროება“ (უშიშოებაჲ ტრადიციულად გამოყენებულია ძირითადად სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში (უშიშროება სახელმწიფოსი, უშიშროება ქვეყნის, უშიშროება საზოგადოების, უშიშროება ხელისუფლების და სხვ.).

მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი „უშიშროება“ (უშიშოებაჲ) სწორედ ამ კონტექსტშია გამოყენებული მრავალგზის:

1) „და დაჯდა *მირვან*[30] მცხეთას, მეფობდა ნებიერად და უშიშად“[31] (*ლეონტი მროველი.* ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ამ ნაშრომში ლეონტი მროველს ტერმინი გამოყენებული აქვს სამჯერ);

---

[29] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1986.

[30] *მირვან (მირიან) I* (ძვ. წ. 159-109) იბერიის მეფე. ფარნავაზიანთა დინასტიის მე-3 წარმომადგენელი, მეფობდა *ფარნავაზისა* (ძვ. წ. 304–239) და *საურმაგის* (ძვ. წ. 234–159) შემდეგ.

[31] ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, „სახელგამი“, თბილისი, 1955.

2) „სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძლუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“ ანუ მთლიანად სამეფოს საზღვრების უშიშროება უზრუნველყოფილი იყო. *(ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე.* ცხორე-[ბა გიორგი] მეფისა. ტერმინი გამოყენებულია ორჯერ); ასევე:

3) „იძებნეს უშიშოებაჲდა გამოიყვანეს მეფე მეფედ“ (მატიანე ქართლისაჲ ტერმინი გამოყენებულია ორჯერ);

4) *ჯუანშერი.* „ცხორებაჲ *ვახტანგ გორგასლისა...*“, აქაც ტერმინი გვხვდება ოთხჯერ;

5) „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, ამ ისტორიულ წყაროშიც ტერმინი გამოყენებულია სამჯერ;

6) ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ამ ნაწარმოებში ტერმინი ნახმარია ერთჯერ;

7) *ჟამთააღმწერელი* ტერმინს იყენებს ცხრაჯერ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე ტერმინს იცნობს *ვახუშტი ბატონიშვილიც.*[32]

ეს ტერმინი გვხვდება არა მარტო საისტორიო, არამედ სასულიერო (ჰაგიოგრაფიულ) და ასევე უძველეს მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ტერმინი შიში და მისგან წარმოებული სიტყვები ასევე გამოიყენება ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული მხატვრული ლიტერატურის უძველეს ძეგლში, მე-5 საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში *იაკობ ცურტაველის* „შუშანიკის

---

[32] ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

წამებაში“: „რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი.“.[33]

ტერმინ „უშიშ“-ის იყენებს მე-6 საუკუნის უცნობი ქართველი მწერალი ჰაგიოგრაფიული თხზულება *„ევსტათი მცხეთელის* მარტვილობაში“: „ესრეთ მტერთაგან უშიშ იქმნნეს“.[34] იგივე მდგომარეობაა უძველეს ნათარგმნ ლიტერატურაში. მწერალმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ *სარგის თმოგველმა*[35] XII საუკუნის შუა ხანებში გენიალურად თარგმნა სპარსელი პოეტის *ფახრ-ედ-დინ გორგანის*[36] სამიჯნურო პოემა „ვის ო რამინი“. ქართულად ცნობილი „ვისრამიანი“. მასში საერთოდ არაა ნახსენები ტერმინები უსაფრთხოება და საფრთხე, სამაგიეროდ, ტერმინი, „უშიშრობა“ (უშიშობა და სხვ.) 13-ჯერ არის გამოყენებული (თავები: 10, 31, 32, 39, 41-43, 49, 83-85, 87, 89). სამაგალითოდ გამოდგება, 42-ე თავი, სადაც ავტორი თვალნათლივ წერს: „ესრე უშიშრად გაჴდა გურგანი,

---

[33] ცურტაველი ი., შუშანიკის წამება. შემდგ. და რედ.: ო. ეგაძე. „ხელოვნება“, თბილისი, 1983.

[34] ქართული მწერლობა. ტ. 1, (V-X საუკუნეთა მწერლობა), რედ.: რ. სირაძე, „ნაკადული“, თბილისი, 1987.

[35] *სარგის თმოგველი* - XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი. მას ეკუთვნის რომანტიკულ-სათავგადასავლო პოემა „დილარგეთიანი“ („დილარიანი“), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მასვე მიეწერება XI ს. სპარსული პოემის „ვის ო რომანის“ პროზაული ქართული თარგმანი - „ვისრამიანი“.

[36] *ფახრ-ედ-დინ გორგანი (გორგანელი)* - მე-11 საუკუნის სპარსელი პოეტი. დაიბადა გორგანში (ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი). მისი პოემა რომანტიკული ეპოსის ერთ-ერთი პირველი ძეგლია. დედანი არ შემორჩენილა. ქართულ ენაზე შემონახულია მსოფლიოში მე-11–ისა და მე-17 საუკუნის ყველაზე ძველი თარგმანები. ქართულიდან ითარგმანა ინგლისურ (1914 წ.) და რუსულ ენებზე (1938 წ.).

რომელ ცხუარნი და მგელნი ერთად იყვნიან".[37](ანუ უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ისე უშიშარი გახადა ქვეყანა (გურგანი), რომ თხა და მგელი ერთად ძოვდნენ).

ტერმინ „უშიშროებას" იყენებდნენ ჩვენი სახელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწენი:

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836) - „რომელ მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა და ყოველივე დაბორკილებანი აღხოცეს".[38]

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) 1837 წელს *ნიკოლოზ პირველისადმი*[39] წარდგენილ ნაშრომში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წლამდე" იყენებს ტერმინს „უშიშროებას": „უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად".[40]

ილია ჭავჭავაძე (1837-1907), 1889 წელს „ივერიაში" (#90) გამოქვეყნებულ წერილში - „.რომ ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის".[41] ასევე „ქვათა ღაღადში" – „მას აქეთ, რაც *ვახტანგმა გორგასალმა* ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო

---

[37] ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. რედ.: გ. წერეთელი, გამომც. და სტ., სსსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, თბილისი, 1962.

[38] დოდაშვილი, ს. (1832) წერილი ტფილისიდან პეტერბურგს ძმისადმი. ჟურნ. "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", #2.

[39] ნიკოლოზ პირველი - რუსეთის იმპერატორი (1825–1855).

[40] ჭავჭავაძე ა., თხზულებანი. რედ. ი. გრიშაშვილი, „ფედერაცია", თბილისი, 1940.

[41] იხ., ჯორჯაძე ა., წერილები. მერანი", თბილისი, 1989.

მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი".[42]

ამ ტერმინს ილია ბევრგან ხმარობს – „დადგა ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა",[43] ამიტომ მოტანილია მხოლოდ რამდენიმე ციტატა.

ტერმინ „უშიშროებას" იყენებს ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი *ნიკო ნიკოლაძეც* (1843-1928): „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ უშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას".[44]

<u>ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ V-XIX საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში, სასულიერო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ჩვენი სახელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა ნაწერებში გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი „უშიშროება" (უშიშობა) და მაშინ, როდესაც საერთოდ არ გვხვდება ტერმინი „უსაფრთხოება", და არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ ეს უკანასკნელი არ არის შეტანილი ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში.[45]</u>

---

[42] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი. შეადგინა მ. ლებანიძემ (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა; ტ. 63. სერია I), „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984.

[43] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი. პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. 2, 1941.

[44] იხ., შუბითიძე ვ., (2003). ნიკო ნიკოლაძე - ოცდამეერთე საუკუნის მოაზროვნე. ნიკოლაძე ნიკო - 160. საიუბილეო კრებული, „ნეკერი", თბილისი, 2003.

[45] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. „მეცნიერება", თბილისი, 1973.

და ბოლოს, ქართული მეცნიერების კორიფეთა (აკადემიკოსები: *არნ. ჩიქობავა, ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ.ჭაბაშვილი*) რედაქტორობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ ქართული ენათმეცნიერების აყვავების ეპოქაში გამოცემულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" ტერმინი „უშიშროება", ასევე, სოციო-პოლიტიკურ კონტექსტშია ახსნილი: „მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს, რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე" და მაგალითებად მოყვანილია „სახელმწიფო უშიშროების დაცვა", „გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო" და სხვ.[46]

სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია (კონკრეტულად, 2004-2005 წლებიდან), ტერმინის - „უშიშროება" - გამოყენების საკითხმა და მისმა არასწორმა ფორმულირებამ გარკვეული უხერხულობა შექმნა. დაიწყეს შესიტყვებების - „ეროვნული უშიშროება" და „ეროვნული უსაფრთხოება" - ვოლუნტარისტულად შეუსაბამო კონტექსტში გამოყენება. არადა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველების მეტყველებასა და წერილობით სიტყვაკაზმულობაში კარგა ხანია ნათლადაა გარკვეული და განსაზღვრული ორივე ტერმინის შინაარსი, მნიშვნელობა და გამოყენების წესი ანუ ტერმინის - „უშიშროება" - სო-

---

[46] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1986.

ციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში გამოყენების წესს ადასტურებს მოღწეული წერილობითი წყაროებით დადასტურებული თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიცია, ხოლო მე-20 საუკუნეში ეს კიდევ უფრო განამტკიცა ქართულმა ავტორიტეტულმა ენათმეცნიერებამ, როდესაც მეცნიერულადაც დაადგინა ამ ტერმინის გამოყენების შინაარსობრივი კონტექსტი და გამოყენების არეალი.[47]

მოკლედ, ქართველები, როგორც ამას მოღწეული წერილობითი წყაროები (საისტორიო, სასულიერო-ჰაგიოგრაფიული, მხატვრული ლიტერატურა და სხვ.) მოწმობენ, ტერმინს - „უშიშროება“ (უშიშოებაი) ტრადიციულად იყენებდნენ მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში (უშიშროება სახელმწიფოსი, ქვეყნის, ადამიანის, საზოგადოების, ხელისუფლების და სხვ.) და ამ ტერმინს ხმარობდნენ ქართველთა სახელოვანი ჰაგიოგრაფები, მწერლები, მემატიანენი, მეცნიერები, პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწენი ანუ მე-5 საუკუნიდან 21-ე საუკუნის 10-იან წლებამდე მთლიანად, ერი თუ ბერი - *იაკობ ცურტაველი* თუ *ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებელი* თუ *შოთა რუსთაველი, სოლომონ დოდაშვილი* თუ *ილია ჭავჭავაძე, ნოე ჟორდანია* თუ *ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ივანე ჯავახიშვილი* თუ *ამბროსი ხელაია, კონსტანტინე გამსახურდია* თუ *ოთარ ჭილაძე, არნოლდ ჩიქობავა* თუ *ლავრენტი ბერია, ილია მეორე* თუ *ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე* თუ *მიხეილ*

---

[47] იხ. კუპრაშვილი ჰ., ეროვნული უსაფ¬რთხოება თუ ეროვნული უშიშროება?! „უნივერსალი“, თბილისი, 2014.

სააკაშვილი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, ამ ტერმინს იყენებდა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში. ეს ტერმინია გამოყენებული საქართველოს დემოკრატრიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაში (მუხლი. 72) და 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლები: 3, 22, 24-26, 41, 73, 78, 98, 99). ამ უკანასკნელში 2018 წელს ცვლილებების შეტანის შემდეგ ტერმინი „უშიშროება“ საბოლოოდ საკანონმდებლო დონეზეც გააქრეს.

და აი, სულ რაღაც, 15-17 წლის წინ, ხელისუფლებაში მოსული ზოგიერთი პოლიტიკოსის, არაკვალიფიციური, საქმეში ჩაუხედავი პირის მიკერძოებულმა და ვოლუნტარისტულმა ქმედებებმა სათავე დაუდო სავალალო ტენდენციას, რის შედეგადაც ძირძველი ქართული სიტყვა „უშიშროება" თვითნებურად გამოაცხადეს არასასურველ ტერმინად და ხმარებიდან ამოიღეს, ხოლო მის ნაცვლად ამკვიდრებენ განსხვავებული შინაარსის მატარებელ სიტყვას „უსაფრთხოება“, ანუ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოვლენის აღსანიშნავად მკვიდრდება ერთი ტერმინი „უსაფრთხოება“. მაგალითად, „ეროვნული უშიშროება“ შეცვალეს ტერმინით „ეროვნული უსაფრთხოება“ და სხვ.

ერთი სიტყვით, 21 საუკუნის პირველი ათეულის შუა წლებიდან ტერმინის „ეროვნული უშიშროება“ წარმოთქმის და გამოყენების ქართულ ტრადიციულ ვერსიას ჩაენაცვლა ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ ანუ გაჩნდა წარმოთქმისა და გამოყენების ახალი ვერსია, რომელსაც შეიძლება პირო-

ბითად ეწოდოს, „ნეოლიბერალური ვერსია“, რადგანაც იმ მომენტისათვის ამ ახალი ტერმინის ლობისტები, ძირითადად, ნეოლიბერალური იდეოლოგიის[48] პოზიციებზე იდგნენ.

ცნობილია, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოში ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო მუშაობა. მიმდინარეობდა კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის 45 წევრის, დარგობრივი სპეციალისტებისა და მეცნიერების მიერ პროექტის საფუძვლიანი განხილვა (მონაწილეობდა მთელი ქართული მეცნიერული ელიტა, ვისაც კი ამ სფეროში სიტყვა ეთქმოდა). ამავე დროს, პროექტი გაიგზავნა აბსოლუტურად ყველა სამინისტროსა და უწყებაში, სამხარეო სტრუქტურებში. შემოსული შენიშვნები იხილებოდა კომისიის შეკრებებზე. ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც 131 ადამიანი ესწრებოდა, კომისიის მხოლოდ ორმა პატივცემულმა წევრმა გამოთქვა აზრი ტერმინ „უშიშროების“ ტერმინ „უსაფრთხოებით“ ჩანაცვლების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ 131-დან მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონდა სხვა მოსაზრება და ორგანიზატორებს შეეძლოთ ყურადღება არც კი მიექციათ ამ აშკარად უმცირესობაში მყოფთათვის, მაინც დამატებით იქნა მოწვეული ენათმეცნიერები. მხოლოდ ამის შემდეგ ეთქვა დასაბუთებული უარი იმ ორ პიროვნებას.[49]

---

[48] ვგულისხმობ ნეოლიბერალიზმს თანამედროვე გაგებით, რომელსაც ძალიან ცოტა აქვს საერთო კლასიკურ ლიბერალიზმთან და წარმოადგენს უბრალოდ მის უკიდურესად შერყვნილ სახეცვლილებას.

[49] იმ პერიოდში ავტორს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში ეკავა საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის თანამდებობა და კურირებდა საბჭოში საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე მუშაობის პროცესს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ეს საკითხი მაშინ გადაწყდა არა პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების, თუნდაც მაღალ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოხელეების სუბიექტური მოსაზრებების მიხედვით, არამედ დარგის სპეციალისტებთან დამატებითი საფუძვლიანი კონსულტაციების შედეგად. მაშინ, როდესაც ზოგიერთი პიროვნება, რომელთა სპეციალობა და კვალიფიკაცია შორს იყო ენათმეცნიერებისგან, ხელისუფლებაში გავლენების მოპოვების შემდეგ, ენათმეცნიერებთან კონსულტაციის გარეშე, დააყენა რა საკუთარი თავის ქართული ენათმეცნიერების კორიფეზე, *არნოლდ ჩიქობავაზე* მაღლა, თვითნებურად შეუდგა შინაარსობრივად შეუსაბამო ტერმინის დამკვიდრებას მასმედიაში, საზოგადოებასა და ხელისუფლებაში.

რაც შეეხება შინაარსობრივად ტერმინ „უსაფრთხოების“ ასეთ აღქმას, ვითომცდა სიტყვის შინაარსი იმგვარად ესმით, რომ მათი გაგებით, ეროვნულთან კონტექსტში სწორედ უსაფრთხოება უნდა იქნეს გამოყენებული, ვოლუნტარისტულია და უგულებელყოფს ობიექტურად არსებულ კანონზომიერებას. სპეციალისტის მიერ მეცნიერულად დადგენილი და სახელმწიფოს მიერ აღიარებული ენის ნორმა აკადემიურ დონეზე საკამათო შეიძლება გახდეს ისევ ენის სპეციალისტისათვის და არა - დილეტანტებისათვის, რადგან რამდენი ადამიანიც არის, იმდენი სუბიექტური აღქმა არსებობს, ყოველი მათგანის ჭირვეულობაზე წესებისა და ნორმების ცვლა კი ქაოსს გამოიწვევს.

ტერმინ „უშიშროების“ მოწინააღმდეგეთა მეორე ახირება, რომ „უშიშროება“ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (КГБ-სთან) ასოცირდება და ამიტომ არ უნდა გამოვიყენოთო – ყოვლად უარგუმენტო, „ბავშვური“ უსუსური პოლიტიკური სპეკულაცია და უაზრო სენტიმენტალიზმია. გასაგებია, რომ მართლაც საშინელ ასოციაციებს იწვევს ამ ჯალათი საბჭოთა ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული ადამიანების ამაზრზენი, დანაშაულებრივი საქმიანობა.[50] გარკვეული დროის შემდეგ „კაგებეს“ ამგვარი ემოციური დატვირთვა აღარ ექნება, ქართული ენა კი დარჩება კიდევ ერთი ძირძველი ტერმინის გარეშე. „კაგებეს“-ს მენტალურად და შინაარსობრივად უნდა გაემიჯნო, ამოძირკვოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების წესიდან, მაგრამ ძველი ქართული სიტყვა რა შუაშია? „კაგებე“ კი არა, როგორც ერი და ქვეყანა, თვითონ რუსეთიც არ არსებობდა, როდესაც ქართველები ამ სიტყვას იყენებდნენ. გაუგებარია, ხელოვნურად რატომ უნდა შეელიოს რომელიმე ტერმინს და ამით გააღარიბოს მშობლიური ენა.

თუ რა იგულისხმება ტერმინ „უშიშროების“ შინაარსში, ამის შესახებ, როგორც დასაწყისში აღინიშნა, ქართულმა ისტორიოგრაფიამაც ასახა მისი ისტორიულად ტრადიციული

---

[50] პირადად ამ წიგნის ავტორი სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გაფრთხილებული იყო პირველად, 1967 წელს საქართველოსადმი გამოვლენილი „ზედმეტი“ პატრიოტიზმისათვის საბჭოთა არმიაში სამსახურის პერიოდში, მეორედ კი სამშობლოს თავისუფალებაზე ოცნებისათვის 1975 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ე.წ. „პირველ განყოფილებაში“ შემდგარ „ზემოდან“ მოსული სუს-ის ორი პოლკოვნიკის მიერ მოწყობილ მის დაკითხვაზე.

გაგება და ქართულმა ენათმეცნიერებამაც – სახელოვანი მეცნიერის, აკად. *არნოლდ ჩიქობავას* (1898-1985) ხელმძღვანელობით ხომ დიდი ხანია გამოიტანა სრულიად კომპეტენტური დასკვნა.

სწორედ ამ მეცნიერული და ისტორიული ტრადიციის საფუძველზე, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, როდესაც სოციალურ-პოლიტიკურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ინსტიტუტის შექმნისა და მისთვის სახელის დარქმევის აუცილებლობა, პირველად, ოფიციალურად შემოღებულ იქნა ორი სიტყვის გაერთიანებით ტერმინი „ეროვნული უშიშროება". შესაბამისად, 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციის 73-ე მუხლში ჩაიწერა „ეროვნული უშიშროების საბჭო",[51] ხოლო 1996 წლის 24 იანვარს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ".[52]

ცნობილია, რომ ტერმინი „National security" („ეროვნული უშიშროება") თანამედროვე გაგებითა და შინაარსით, ამერიკელებმა დაამკვიდრეს.[53] სწორედ ეს (ორ გაერთიანებულ

---

[51] საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995 (2014 წლის 15 მაისის მდგომარეობით).

[52] ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ. საქართველოს კანონი, 24/01/1996.

[53] ცნება „ეროვნული უშიშროება" პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად გამოყენებულია 1904 წელს პრეზიდენტ *თეოდორ რუზველტის* (Theodore Roosevelt, 1858-1919) წერილში აშშ-ის კონგრესისადმი, სადაც იგი პანამის არხის ზონის მიერთებას „ეროვნული უშიშროების" ინტერესით ასაბუთებდა. შემდეგ წლებში ეს პრობლემა ცენტრალურ ადგილს იკავებს ამერიკელ პოლიტოლოგთა გამოკვლევებში. ეროვნული უშიშროების საბჭო კი 1947 წელს პრეზიდენტმა *ჰარი ტრუმენმა* (Harry S. Truman, 1945-1953) შექმნა.

ინგლისურ სიტყვაში ჩადებული) შინაარსი იგულისხმეს ახალი ქართული პოლიტიკური ტერმინის – „ეროვნული უშიშროების“ - სახელწოდებაშიც. მოკლედ, საქართველოში 1995 წელს შემოღებულ ტერმინში „ეროვნული უშიშროება“, გათვალისწინებულ იქნა საქართველოში სიტყვა „უშიშროების“ გამოყენების ტრადიცია და ამავე დროს, ამერიკულ ტერმინთან მისი შინაარსობრივი თანხვედრა.

„უსაფრთხოება“, რაც შეეხება ამ ტერმინს, იგი მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე წერილობით წყაროებში საერთოდ არც გვხვდება.

ზოგადი განმარტებით უსაფრთხოება არის უბედური შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების არასასურველი შედეგებისაგან ადამიანის, გარემოს, სამრეწველო ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცულობის მდგომარეობა.

ტერმინის წარმოშობის ისტორია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტერმინი „უსაფრთხოება“ არ გვხვდება უძველესი დროიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე ქართულ საისტორიო წყაროებში, სასულიერო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურაში, ზეპირსიტყვიერებაში, პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა ნაწერებში. არც არის შეტანილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონში.[54]

[54] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტერმინ „უსაფრთხოებას" საფუძვლად უდევს სიტყვა „საფრთხე", რომელიც ამავე ლექსიკონში განმარტებულია, როგორც საშიში, სახიფათო რამე, ხიფათი, საშიშროება.[55] ჩვენი აზრით, საფრთხე უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული სიტყვისაგან „საბრჯე" (საფრჯე), რომელიც *ილია აბულაძის* „ძველი ქართული ენის ლექსიკონის" მიხედვით არის „მახე", ხაფანგი, „საცთური" ანუ „საფრჯე" თავისი შინაარსით არის საფრთხის შემცველი, სახიფათო.[56]

სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის" მიხედვით, „საბრჯე" არის მახე-ჯუნდი. მახე ზოგადი სახელი არს ყოველთა მახეთა (შემდეგ განმარტებულია თითოეულ მახეთაგანი: საბრჯე, ისხერტი, ირეჭი, საიფჯიო, ილინჭა, აკანათი, პოტიკო, ფაცერკოდი, გაწარი, გულყო, დასაკავი, სარეგვავი და სხვ.). სულხან-საბა ასევე განმარტავს ტერმინებს საფრთხილო - გასაკრძალავი და საფრთხოლი - დასაფრთხობელი, საფრთხული რამე.[57] „საბრჯესთან" კავშირშია ასევე სიტყვები „საფრჯეება", „ფრთხობა", „ფრთხილი", „საფრთხილო" და სხვ. ეს ტერმინები, მაგალითად, *სულხან-საბა ორბელიანთან* ასეა განმარტებული:

---

[55] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1986

[56] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. „მეცნიერება", თბილისი, 1973.

[57] ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. ტომი მეორე, „მერანი", თბილისი, 1993.

ფრთხილი – განკრძალული;[58]

საფრთხილო – გასაკრძალავი;

ფრთხოლა – პირუტყვთ შეშინება;

განფრთხობა – გამოფხიზლება;

საფრთხოლი – დასაფრთხობელი, საფრთხული რამე;

საფრთხული – იგივე საფრთხოლი, საფრთხოლი;

ფრთხჯნვა – ცხენთ შიშის ჴმიანობა და სხვ.[59]

ხოლო ძველი ქართული ენის ლექსიკონში კი ამდაგვარად:

საფრჴეება – დაბრკოლება;

ფრთხილი – ფხიზელი, მღვიძარე, მორიდებული

ფრთხილება – „კეტილ არს ფრთხილებაჲ“;

ფრთხობა – შეშინება, შეძრწუნება, კრთომა (უფრო პირუტყვებს ეხება);

სიფრთხილე, სიბრთხილე – სიფხიზლე „სთროდა მთრვალობითა მით სიფრთხილისაჲთა“ და სხვ.[60]

<u>ტერმინ უსაფრთხოების შინაარსი, მნიშვნელობა და გამოყენების სფერო.</u> ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ტერმინი „უსაფრთხოება“ („უსაფრთხოობა“) იგივეა, რაც „უსაშიშროება“, ამ უკანასკნელის საფუძველია – „უსაშიშრო“ ანუ რაც საშიში არ არის და უხიფათოა, თუნდაც, უსაშიშრო მდგომარეობა, უსაშიშრო

---

[58] ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით: განკრძალვა - „დამტკიცება“, მომზადება, გაფრთხილება, მსახურება, დაცვა, რიდება.

[59] ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. ტომი მეორე, „მერანი“, თბილისი, 1993.

[60] აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

მოძრაობა, უსაშიშრო სამართებელი.[61] აქედან გამომდინარე, „უსაშიშროება“ განიხილება, როგორც „უსაშიშროს“ თვისება, მაგ., საშიშროებისგან დაცვის უზრუნველყოფა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ენათმეცნიერთა მიერ ტერმინი „უსაფრთხოება“, მოიხსენიება „უშიშროებისაგან“ შინაარსობრივად განსხვავებულ კონტექსტში, როცა იგულისხმება საფრთხის წყარო, საწარმოო, ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენები და პროცესები.

<u>ტერმინის გამოყენება.</u> თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ტერმინი „უსაფრთხოება“ ასოცირდება ტექნიკური საქმიანობის შინაარსთან, ტექნიკის გამოყენებასთან, შრომის დაცვასთან, რის შესახებ ზემოთაც ითქვა. ამასთან შრომის დაცვის გამოყენებული ტერმინი შრომის უსაფრთხოების შინაარსი შემადგენელია თანამედროვე საერთაშორისო კომპანიებში ხმარებული, უფრო ფართო შინაარსის მქონე ცნება-ტერმინებისა - საერთაშორისო ტერმინი HSE ანუ, health (H), safety (S), Environment (E), რომელიც ქართულ ენაზე თარგმნისას იქნება: ჯანმრთელობა (ჯ), უსაფრთხოება (უ), გარემო (გ) ანუ შემოკლებით „ჯუმ“ ასევე, ფართოდ გამოიყენება ბიზნეს-კომპანიებში მეორე პოპულარული ტერმინი „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ - Health & Safety (H&S)), რომელებიც მოიცავენ სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ,

---

[61] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1986.

საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო, ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას და სხვა სახის გასატარებელ ღონისძიებებს (დაწვრილებით, იხ., ამ ნაშრომის მე-7 თავი).

მაგალითად, როდესაც იყენებენ ტერმინს „ადამიანის უსაფრთხოება“, მაშინ ამ კონტექსტში იგულისხმება: ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როდესაც შიგა და გარე ფაქტორების მოქმედება არ იწვევს სიკვდილს, გონების, ფსიქიკისა და მთლიანად ადამიანის ორგანიზმის განვითარებისა და ფუნქციონირების გაუარესებას, ხელს არ უშლის გარკვეული სასურველი მიზნების მიღწევას. თვალსაჩინოებისთვის საკმარისია ძალიან მარტივი მაგალითი: საწარმოო თუ სამშენებლო ობიექტზე დაცული უნდა იქნეს შრომის უსაფრთხოების წესები, რათა მუშამ ან თითი არ გაიჭრას, ან მშენებარე შენობის ხარაჩოდან არ გადმოვარდეს და სხვ.

მაგრამ კონტექსტი ტერმინისა „ადამიანის უშიშროება“ მოიაზრებს: ადამიანისა და მოქალაქისათვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისათვის, მათი უშიშროების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური ზომების გატარებას და სხვ. ცხადია, რომ დიდია მისი შინაარსობრივი სხვაობა ზემოთ განხილულ ტერმინთან „ადამიანის უსაფრთხოება“, რომელშიაც იგულისხმება ძირითადად, ადამიანის ფიზიკური დაზიანებისაგან დაცვა (მაგალითად, უსაფრთხოების ღვედებით და სხვ.).

ნათელია, რომ არ უნდა დაირღვეს ისტორიული ტრადიცია, ენათმეცნიერების მიერ მეცნიერულად დადგენილი ნორმები და ეს ტერმინები გამოიყენებულ უნდა იქნას შესაბამის კონტექსტში:

1. ტერმინი „უშიშროება“ გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ საფრთხის (საშიშროების) გაუვნებელყოფა (თავიდან არიდება) მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობას, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას (პოლიტიკის შემუშავება, სტრატეგია, კონცეფცია, დაგეგმვა და სხვ.), ანუ დაკავშირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან.

სწორედ წარმოშობის წყაროდან და საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე გამოიყენება, მაგალითად, ტერმინები: ეროვნული უშიშროება; ეროვნული უშიშროების საბჭო; სახელმწიფო უშიშროება; საერთაშორისო უშიშროება; პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (მაგრამ შინაარსობრივად სხვადასხვაა: სასურსათო უშიშროება და სასურსათო უსაფრთხოება, იხ., მე-7 თავი.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; ინფორმაციული უშიშროება და კიბერუშიშროება (სხვა შინაარსის შემცველია ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერუსაფრთხოება, იხ., ნაშრომის 4.1.1.4 ქვეთავი); საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანა-

თლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება; სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ეკანდაცვითი უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

2. ტერმინი „უსაფრთხოება“ კი გამოყენებულ უნდა იქნეს, როდესაც საფრთხე (საშიშროება) ბუნებრივი, ტექნოგენური ან საწარმოო ხასიათისაა და მის გასაუვნებელყოფად, თავიდან ასარიდებლად (მაგალითად, დაცულ იქნეს შრომის უსაფრთხოების წესები, რათა მუშა არ დაზიანდეს მშენებლობაზე ან საწარმოში, სახარატო დაზგასთან მუშაობის დროს და სხვ.) ხდება სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური, აპარატულ-პროგრამული, სანიტარიულ-ჰიგიენური, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა ღონისძიებების დასახვა-განხორციელება. აქაც, წარმოშობის წყაროდან და საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყენება, მაგალითად, ტერმინები: შრომის უსაფრთხოება; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოება; ფრენის უსაფრთხოება; მშენებლობის უსაფრთხოება; სატრანსპორტო უსაფრთხოება; საჰაერო უსაფრთხოება; საზღვაო უსაფრთხოება; ბიომეტრიული უსაფრთხოების სისტემა; ვირუსული უსაფრთხოება; კომპიუტერული უსაფრთხოება; მეტეოროლოგიური უსაფრთხოება; სახანძრო უსაფრთხოება; საველე უსაფრთხოება; საწარმოო უსაფრთხოება (მაგრამ სხვა არის „სამრეწველო უშიშროება“); რადიაციული უსაფრთხოება; სანიტარიული უსაფრთხოება; უსაფრთხოების ტექნიკა; ტექნიკური უსაფრთხოება; ტექნო-

გენური უსაფრთხოება; ქიმიური უსაფრთხოება; ელექტროუსაფრთხოება (მაგრამ სხვა არის „ენერგეტიკული უშიშროება"); ბირთვული უსაფრთხოება და სხვ.

ქართული ენის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც ტერმინი „Security" (უშიშროება) სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში გამოიყენება: „ეროვნული უშიშროება" (National security), „უშიშროების საბჭო" (Security Council), „საინფორმაციო უშიშროება" (Security information), ხოლო ტერმინი „Safety" (უსაფრთხოება), როგორც ქართულ ენაში, გამოიყენება ბუნებრივი, ტექნოგენური ან საწარმოო ხასიათის კონტექსტში: „წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოება" (Industrial Safety), „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება" (Road Safety), „უსაფრთხოების ღვედები" (Safety belt), „ტექნიკური უსაფრთხოების წესები" (Safety code regulation) და სხვ. შედარებისათვის ამ კუთხით განვიხილოთ ავტორიტეტული და ცნობილი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) დოკუმენტები. აქაც ტერმინი „Security" ქართული „უშიშროების" კონტექსტშია ნახმარი, რასაც ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებაც მოწმობს: Political Affairs and Security Policy Division, Emerging Security Challenges Division, Science for Peace and Security, Cooperation and Regional Security Division და სხვ., ხოლო ტერმინი „Safety" (უსაფრთხოება), იმავე ნატოს დოკუმენტებში ყუმბარების აფეთქებასთან და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ შრომის უსაფრთხოების კონტექსტშია გამოყენებული. ნატოში არსებობს კიდეც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიც: The

CNAD Ammunition Safety Group (AC/326 და Munitions Safety Information Analysis Center (MSIAC).

ზოგიერთ სხვა ენაში განსხვავებული მდგომარეობაა, მაგალითად, რუსულ ენაში მხოლოდ ერთი ტერმინი Безопасность (ბეზოპასნოსტ) გამოიყენება, მიუხედავად საფრთხის წარმოშობისა და იმისა, როგორია გაუვნებელყოფის შინაარსი და ხასიათი, რა კავშირშია სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან, ბუნებრივ, ტექნოგენურ, საწარმოო, სამუშაო პროცესებთან: "Национальная Безопасность" (ნაციონალნაია ბეზოპასნოსტ), "Техническая Безопасность" (ტეხნიჩესკაია ბეზოპასნოსტ) და სხვ.

ორივე ტერმინის ანალიზი მოწმობს, რომ ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ენობრივი ნორმების ჩარჩოებში, „უშიშროების" შინაარსის, სახეებისა და გამოყენების სფეროები არსობრივადაა განსხვავებული „უსაფრთხოების" შინაარსის, სახეებისა და გამოყენების სფეროებისაგან. ამასთან, ცალ-ცალკე თითოეული მათგანის შინაარსი, მოქმედების არეალი, სახეები და გამოყენების სფეროები იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, რომ მათი ხელოვნურად გაერთიანება ერთი რომელიმე ტერმინის სახელწოდებაში, მაგალითად, „უსაფრთხოების" ქვეშ, როგორც ამას მავანნი აკეთებენ, მიზანშეუწონელია, რადგანაც გამოიწვევს საქმიანობის სპეციფიკის აღრევას და სხვა თანამდევ გაუგებრობებს.

არ უნდა იყოს საკამათო და ძნელი გასაგები, რომ პოლიტიკური მედროვეებისა და არასპეციალისტების ახირებით არ უნდა ირღვეოდეს ავტორიტეტული ენათმეცნიერების

მიერ დადგენილი ენობრივი ნორმები, არსებული ისტორიული ტრადიცია. ცხადია, რომ შესაბამის კონტექსტში უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ეროვნული უშიშროება“. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველთა წინაპრებმა და ქართულმა ენათმეცნიერებამ უპირატესობა სწორედ ამ ტერმინს მიანიჭა.

ამ ტერმინების სათანადო ადგილზე გამოყენების ნათელი მაგალითია ასევე ტერმინები კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება (ვრცლად იხილე, მეხუთე თავის მეორე პარაგრაფი).

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვირუსები არა მხოლოდ კომპიუტერების ვიწრო სამიზნედ, არამედ არაპროგნოზირებად დამაზიანებელ იარაღად იქცა და მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგების მომტანი პრობლემა გახდა. ვირუსების შემქმნელთათვის კიბერსივრცის ბრძოლის ველზე კომპიუტერი არა მიზანი, არამედ საშუალება ხდება, ხოლო მრავალსვლიანი კომბინაციური სამიზნე - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახელმწიფო ინფრასტრუქტურები.

წარმოქმნილ საშიშროებასთან გამკლავებამ თავისთავად მოითხოვა ეროვნული და საერთაშორისო დონის სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები. პრობლემა შეეხო უკვე არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლების მიერ მუშავდება კიბე-

რსაშიშროებაზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა, ყალიბდება ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის ეროვნული უშიშროების სტრატეგია. საჭირო ხდება: კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ. პრობლემის გადასაჭრელად თუ მანამდე საკმარისი იყო ინფორმატიკის სპეციალისტების მიერ მიღებული ტექნიკური ზომები, დღეს უკვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო. პრობლემა გასცდა ინფორმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ კომპიუტერების ტექნიკურად დაცვისათვის ანტივირუსების შექმნის ვიწრო სფეროს. გლობალურმა საშიშროებამ პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის ველზე გამოიყვანა პოლიტიკოსები და სამხედროები, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფერო და არეალი. შეიქმნა ახალი რეალობა: 1. აქამდე, კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის საკითხებს ძირითადად იკვლევდნენ და იკვლევენ მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები; 2. ამჯერად, კიბერსივრცის პრობლემე-

ბის კვლევაში ფართოდ ჩაებნენ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ახალმა რეალობამ ცხადი გახადა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროება:

1. კომპიუტერული ვირუსების საფრთხეებისაგან კომპიუტერის (ქსელების) დაცვის უზრუნველსაყოფად კვლავ გამოყენებულ უნდა იქნეს ტექნიკური გაგების ტრადიციული ტერმინი „უსაფრთხოება“ (კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, კომპიუტერული უსაფრთხოება);

2. ბოლო ათწლეულებში კიბერსაფრთხეების, როგორც ტექნიკური პრობლემის განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად გადაწყვეტაზე გადასვლის შემდეგ, რადგან ტექნიკური ხასიათის საქმიანობის გამომხატველი ტერმინი „უსაფრთხოება“ სრულად ვეღარ ასახავს და ვერ გადმოსცემს მომხდარი ცვლილებების არსს, ამიტომ კიბერსივრცეში გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად შინაარსობრივად ახალი სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის გამოსახატად გამოყენებულ უნდა იქნას ძირძველი ქართული სოციალურ-პოლიტიკური გაგების ტერმინი „უშიშროება“ (კიბერუშიშროება, საინფორმაციო უშიშროება და სხვ.).

2.3.2. ეროვნული უშიშროების არსი და ზოგადი პრობლემური სიტუაციის დახასიათება

ეროვნული უშიშროება არის პოლიტიკური მეცნიერების კატეგორია. იგი იძლევა იმ სოციალური ინსტიტუტების

დახასიათებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა-განვითარების ოპტიმალური პირობების დაცვისათვის ეფექტურ საქმიანობას. უშიშროების პრობლემის შესახებ შეხედულებები ევოლუციას განიცდიდა ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რასაც განაპირობებდა სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიკა, მათი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილება, პოლიტიკური რეჟიმის ფორმები და სხვა.

რაც შეეხება უშუალოდ **ტერმინს „ეროვნული უშიშროება“**, პოლიტიკურ ლექსიკონში 1904 წელს პირველად გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა *თეოდორ რუზველტმა* (Theodore Roosevelt, 1858-1919) წერილში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი, სადაც იგი პანამის არხის ზონის მიერთებას „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა.

1947 წელს კი, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო, საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ინტეგრაციის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის რჩევების მისაცემად, უკვე თეთრ სახლთან შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭო,[62] ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ *ჰარი ტრუმენის* (Harry S. Truman, 1945-1953) დროს, როდესაც, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი „ეროვნული უშიშროების“ შესახებ.

---

[62] National Security Act of 1947 (Public Law 80-253), Section 101(a), now codified at (50 U.S.C. 3021).

შემდეგ მისი მიბაძვით ეროვნული უშიშროების საბჭოები შეიქმნა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, საქართველოშიც.[63]

ეროვნული უშიშროების ტერმინსა და მისი შინაარსის პრობლემას დიდხანს ეკავა ცენტრალური ადგილი ამერიკელ და სხვა ქვეყნების პოლიტოლოგთა გამოკვლევებში. ამერიკელი ავტორები „ეროვნული უშიშროების" ცნების წყაროს „ეროვნული ინტერესების" თეორიაში ეძებდნენ. მკვლევართა უმეტესობა ეროვნული ინტერესების კატეგორიების ფორმულირებისას მასში ეროვნული უშიშროების კატეგორიას გულისხმობდა და ამ უკანასკნელს გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ანიჭებდა: შედეგად, **ეროვნული ინტერესების ფორმულირება პრაქტიკულად იქცა ეროვნული უშიშროების ფორმულირების სინონიმად.**

ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიების ურთიერთკავშირს დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ურთიერთობებში კლასიკური რელიზმის პიონერი, შვეიცარული წარმოშობის ამერიკელი იურისტის, ეკონომისტის, ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის *არნოლდ ვოლფერსი* (Arnold Wolfers). „ეროვნული ინტერესების განსაზღვრა ხდება ფასეულობათა იერარქიიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაზე ხშირად ყველაფერი ეროვნული უშიშროებით იწყება", - განმარტავს იგი და სხვადასხვა

---

[63] საქართველოში კი, როგორც ცნობილია, ტერმინი „ეროვნული უშიშროება" პირველად ოფიციალურად გაჩნდა 1995 წელს, როდესაც კონსტიტუციის 73-ე მუხლში ჩაიწერა „ეროვნული უშიშროების საბჭო", ხოლო 1996 წლის 24 იანვარს პარლამენტმა მიიღო „კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ".

ფასეულობას შორის ურთიერთკავშირს ასე წარმოადგენს: „უშიშროება ფასეულობაა, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს ამა თუ იმ ხარისხით და რომლის მოპოვებასაც ის ასე თუ ისე ესწრაფვის. მას ბევრი საერთო აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში უზარმაზარი მნიშვნელობის სხვა ორ ფასეულობასთან - ძალასა და კეთილდღეობასთან. მაგრამ, თუ კეთილდღეობის საზომი სახელმწიფოს მატერიალური რესურსების რაოდენობაა, ძალისა კი – მისი უნარი, გააკონტროლოს სხვების მოქმედება. ობიექტური გაგებით, უშიშროების საზომია მუქარის არარსებობა შეძენილი ფასეულობებისათვის, ხოლო სუბიექტური გაგებით - შიშის არარსებობა ამ ფასეულობებისათვის საფრთხის წარმოქმნის წინაშე. ორივე შემთხვევაში ეროვნული უშიშროება შეიძლება საკმაოდ ფართოდ გავიაზროთ: თითქმის სრული საშიშროებიდან ან საშიშროების გრძნობიდან თითქმის სრულ უშიშროებამდე ან შიშის არარსებობამდე“.[64]

ეროვნული უშიშროება არის რთული, მრავალდონიანი, ღია, დინამიკური სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს სამპიროვანი მთლიანობა საბაზო სოციალური სუბიექტებისა - პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. თანაც, ამ სისტემის ფორმირება და ფუნქციონირება განპირობებულია ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური, დემოგრაფიული,

[64] Wolfers, A., Discord and Collaboration. Essay of International Politics. Foreword by Reinhold Niebuhr; Baltimore: The Johns Hopkins Press. 1962. https://www.cambridge.org/core/journals/american-political-science-review/article/abs/discord-and-collaboration-essays-on-international-politics-by-arnold-wolfers-baltimore-the-johns-hopkins-press-1962-pp-xvii-283-600/18FF5E9C8E3A690B7B9EE36ECE9602DE

სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა მრავალი ფაქტორის ზეგავლენით.

უშიშროება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს, როდესაც ყველა მუქარისა და გამოწვევის მოგერიება, საფრთხეების განეიტრალება ხდება დროულად მიღებული ზომებით ან საკუთრივ ერის მდგრადობის, სტაბილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის წყალობით. საგანგებო ზომების დროულად მიღებისათვის პასუხისმგებელი არიან ეროვნული უშიშროების კომპეტენტური სამსახურები, ხოლო ერის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობისათვის - ქვეყნის კომპეტენტური პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ტრადიციულად, ეროვნული უშიშროება გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ანუ მისი მოსახლეობისა და საარსებო სივრცის დაცვას, გარეშე მოძალადეთა შემოტევის საფრთხის აცილებას, შინაგანი წესრიგის დამყარებას. შესაბამისად, ინფორმაციულ ეპოქამდე ეროვნული უშიშროების პრობლემა ბუნებრივად წყდებოდა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებისა და მათი ეფექტური ორგანიზაციის ფორმებით.

დღევანდელ რეალობაში უშიშროების ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა: ცხოვრებამ წინ წამოსწია უშიშროების არასამხედრო ასპექტები; გამოვლინდა მათი გადამწყვეტი მნიშვნელობა გარანტიათა იმ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ყოფის უშიშროებას. დღეს მისი განსაზღვრება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ეროვნული უშიშროება არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საშინაო და საგარეო საფრთხისაგან დაცულობა, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რომლის ხარისხსაც განაპირობებს სახელმწიფოს მიერ მოსალოდნელი საფრთხეების ამოცნობისა და მათი დროულად განეიტრალების უნარი.

ქვეყნებში, სადაც ლიბერალურ ღირებულებებზე მაღლა დგას სახელმწიფო აღმშენებლობისა და მისი ინსტიტუტების გაძლიერების ინტერესები, ჩვეულებრივ ხმარებაშია სხვადასხვა დონის ცნებებად მიჩნეული, სხვადასხვა შინაარსის მქონე ტერმინები: „სახელმწიფო უშიშროება“ და „ეროვნული უშიშროება“, მაგრამ წინა პლანზე აყენებენ არა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემას, არამედ სახელმწიფო უშიშროებისას. ეს უკანასკნელი აღიარებულია სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმყარის გარანტად. სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფისათვის არსებობს პოლიტიკური პოლიციის ძლიერი ქსელი, სახელმწიფო უშიშროების დაწესებულებების დარღვევა კვალიფიცირდება ყველაზე მძიმე დანაშაულად.

ნეოლიბერალური დემოკრატიის საზოგადოებაშიც არსებობს ცნება „სახელმწიფო უშიშროება“, მაგრამ ამ საზოგადოებაში გამოკვეთილია კონსტიტუციის ცვლილების დემოკრატიული წესი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოირიცხება პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად არალეგალური საქმიანობა. აქ პოლიტიკური პოლიცია იცავს საზოგადოებასა და სახელ-

მწიფოს პოლიტიკური ექსტრემიზმისაგან. ლიბერალური დემოკრატიის საზოგადოებაში ძირითადად გამოიყენება ტერმინი „ეროვნული უშიშროება“, ამასთან, მასთან ერთი დონის ცნებებად ითვლება ტერმინი „სახელმწიფო უშიშროება“.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი განეკუთვნება სასიცოცხლოდ უაღრესად აქტუალურ პრობლემათა რიცხვს, რასაც განაპირობებს სხვადასხვა გარემოება. მხოლოდ ის ფაქტორი რად ღირს, რომ უშიშროების გადაჭრის საკითხი ადამიანისათვის მარადიულად იყო, არის და იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მოთხოვნილება; ასევე უმნიშვნელოვანესია ის ფაქტორი, რომ კაცობრიობის გადასვლამ ინდუსტრიული ეპოქიდან ინფორმაციულ ეპოქაში და ძირითად სტრატეგიულ რესურსად ცივილიზაციის განვითარების პროცესის დომინანტად ინფორმაციის გადაქცევამ, შესაბამისად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქამდე წარმოუდგენელმა განვითარებამ არნახული ცვლილებები და ტენდენციები წარმოაჩინა 21-ე საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკის, სამხედრო და სხვა სფეროებში.

სახელმწიფო, როგორც ცნობილია, არის ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი - მთლიანი სისტემა, რომლის შემადგენელია მრავალი ქვესისტემა, მაგალითად, პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო, სოციალური, სულიერი ცხოვრების და ა. შ. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სპეციფიკური ინტერესების სისტემური სფერო, რომელიც შეიძ-

ლება ზოგჯერ წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს ძირითად მატერიალურ და სულიერ ღირებულებებთან. ამ წინააღმდეგობებმა შეიძლება შექმნან საფრთხეების გარე და შიგა წყაროები არა მარტო ქვესისტემების ურთიერთობების სფეროსათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის უშიშროებისათვის, ადამიანისა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების მთელი კრებისისათვის. იმისათვის, რომ შეიქმნას ამ პროცესებზე თვალის მიდევნების, მათი ეფექტურად მართვისა და მათზე მიზანმიმართული ზემოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, სახელმწიფომ მთელი ამ ურთიერთობების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ჯგუფებად, რომელთაც ექნებათ საკუთარი არსებითი მახასიათებლები, განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი და დაექვემდებარებიან სისტემურ, პრობლემურ ანალიზს. აქედან ჩანს, რომ უშიშროების სფეროში მთლიანი ურთიერთობების გარკვეულ ქვესისტემებად კლასიფიკაცია აუცილებლად არის გასაკეთებელი. მუდმივი თვალის მიდევნება, ამ პროცესების შესწავლა თითოეულ ცალკე აღებულ ქვესისტემაში, იძლევა შესაძლებლობას, ერთდროულად გამოვავლინოთ გარე და შიგა საფრთხის ფორმირების ხელშემწყობი წინააღმდეგობანი, მათ შორის - მის ყველაზე საშიშ ფორმებში. შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსა და პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფრთხეების შინაარსიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც ცნობილია, ეროვნულ უშიშროებაში გამოიყოფა მთელი რიგი სახეები (ქვესისტემები):

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ეკოლოგიური და სხვ.

თანამედროვე ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს წინაშე მრავალი პრობლემა წამოჭრა არნახულად გლობალიზებულმა ინფორმაციულმა ეპოქამ, რომელშიც, ცივილიზაციის განვითარების უპრეცედენტო შესაძლებლობებთან ერთად, გამოიკვეთა სრულიად არაპროგნოზირებადი და ტექნოლოგიურად უზომოდ გამრავალფეროვნებული საფრთხეები, რომელთა წინაშეც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს განვითარებული სუპერსახელმწიფოების როგორც საშინაო პოლიტიკა, ისე საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემა უფრო და უფრო დაუცველი ხდება.

გეოპოლიტიკური რეალიები და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეც პირდაპირ თუ ირიბად აისახება, რაც უფრო აძლიერებს საშიშროებას ქვეყნისათვის. ამას ემატება სახელმწიფოს შიგნითაც არსებული უშიშროების სხვა საფრთხეები, მუქარები და რისკები. ამიტომაც საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ აუცილებელ წინაპირობად უნდა განვიხილოთ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის სრულყოფა.

ინფორმაციული ეპოქის გლობალური გამოწვევები კიდევ უფრო გამოკვეთს სერიოზული საფრთხეების შემცველ თანამედროვე ტენდენციებს: სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, ასევე საგარეო და საშინაო პოლიტი-

კას შორის ტრადიციულად არსებული მკვეთრი გამიჯვნა თანდათან იშლება და მათი ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირებით გამოწვეული ცვლილებები უშიშროების სფეროშიც აისახება. შეუძლებელი ხდება მთავრობების მიერ შიდა პოლიტიკისა და დიპლომატიურ-სტრატეგიული ორიენტაციების მთლიანობაში სრულად განსაზღვრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოთა გავლენაც თანდათან მცირდება (სახელმწიფო საზღვრების შეღწევადობა იოლდება, იზრდება რეგიონული ინტეგრაციული მოძრაობების, არასამთავრობო აქტორთა გამრავლების პროცესები, ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის მზარდი როლი და სხვ.). გადახედვას საჭიროებს ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო პოლიტიკური თანამშრომლობისა და ურთიერთობების პრინციპები და ნორმები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენს საფრთხეების თავიდან აცილების სფეროში შეთანხმებული და ეფექტური თანამშრომლობისათვის აუცილებელ სახელმწიფოთა ქცევის სტანდარტებს, რომლის კონტექსტია ის, რომ სისტემურად სრულყოფილი საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები და სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად აამაღლებს საფრთხეებთან ბრძოლის ეფექტურობასა და საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობათა უშიშროების უზრუნველყოფას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ ახალი საფრთხეების სახეები და ფორმები, მათი მოქმედებათა არეალისა

და სფეროების გაფართოება-გამრავალფეროვნების პრობლემები, რომლებიც საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და სხვა ტექნოლოგიურმა მეცნიერულმა მიღწევებმა წარმოაჩინა.

ცხადია, რომ საქართველოს წინაშეც სირთულისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა სრულიად ახალი გამოწვევებისა და გარდაუვალი საფრთხის წინაშე დააყენა კიბერსივრცეში მომდინარე საფრთხის მასშტაბურობის ზრდისა და მატების პრობლემებმა. ეს მოითხოვს გამახვილდეს ყურადღება, საჰაერო-სახმელეთო-საზღვაო სფეროების დაცვის თანაბრად, ახალი სფეროს - ქვეყნის კიბერსივრცის უშიშროების უზრუნველყოფასა და კიბერსივრცის სფეროს დაცვაზე.

უსათუოა გაძლიერდეს ხელისუფლების მიერ შესაბამის კანონმდებლობაზე დაფუძნებული ეროვნული უშიშროების თანამედროვე გამართული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და კიბერტერორიზმის საფრთხის წინაშე ქვეყნის მზადყოფნა.

საქართველოს უშიშროებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სხვ. ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას გარკვეულწილად განსაზღვრავს ასევე ეროვნული თავისთავადობის, სულიერი ცხოვრების, ზნეობრიობის, კულტურისა და ისტორიის ფასეულობათა სამყარო.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა იქმნება და ვითარდება კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიულ-

სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ამ სისტემის საფუძველს შეადგენს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ორგანოები და საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა ხასიათის ზომებს.

ეროვნული უშიშროების გამართულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და საზოგადოების დაცულობა მოსალოდნელი საგარეო და საშინაო საფრთხეების, მუქარების, რისკებისა და გამოწვევებისაგან, შესაბამისად უნდა უზრუნველყოს საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მდგრადი განვითარება, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და ცხოვრების ღირსეული დონე.

ეროვნული უშიშროების პოლიტიკა საფუძველია იმისა, თუ როგორ უზრუნველყოფს ქვეყანა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უშიშროებას. საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო პოლიტიკაში უნდა იყოს ასახული სახელმძღვანელო პრინციპები, ფასეულობები, ინტერესები, მიზნები, სტრატეგიული სიტუაცია, საფრთხეები, მუქარები, რისკები, გამოწვევები და წინმსწრები ზომები, რათა დაცული იყოს ეროვნული უშიშროება.

ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად ხელისუფლება სისტემურად უნდა იყოს მუდმივ, უწყვეტ რეჟიმში მომართული, იღებდეს შესაბამის ზომებს (პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ა.შ.) უშიშროების შესაბამისი დონის მისაღწევად; ასევე უნდა

იმოქმედოს როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მასშტაბით ტრანსნაციონალური საფრთხეების შემცირებისა და თავიდან აცილების მიმართულებით მიწაზეც, ჰაერშიც, წყალშიც, კიბერსივრცეშიც და კოსმოსშიც კი. დროულად განჭვრიტოს და თავიდან აიცილოს საგარეო და საშინაო საფრთხეები, შეძლოს სახელმწიფოს დაცვის, პიროვნებისა და საზოგადოების პროგრესული განვითარების გარანტირება.

ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში უნდა კეთდებოდეს სახელმწიფო ინტერესების სრულყოფილი ანალიზი, რომლის საფუძველზეც, მაგალითად, განისაზღვრება საქართველოსათვის რეალური საფრთხის შემცველ სახელმწიფოთა ჩამონათვალი.

ამ სახელმწიფოებთან მოსალოდნელი წინააღმდეგობის ანალიზის მიხედვით უნდა განისაზღვროს:

- მათგან, ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან, მოსალოდნელი დაპირისპირების შემთხვევაში მათი ბრძოლისუნარიანობის დონე (სუსტი და ძლიერი მხარეები);
- დაპირისპირების ხასიათი;
- არმიის, ფლოტის, სპეცსამსახურების და სხვ. მასაზრდოებელი წყაროები;
- მეხუთე კოლონის საკითხი;
- რესურსები;
- ეკონომიკა;
- მოწინააღმდეგის განვითარების დინამიკა (განვითარებისა და არსებობის წყაროები, სუსტი ადგილები);
- ზემოქმედების საშუალებები;

- მოსალოდნელი შედეგები და სხვ.

ამგვარი ანალიზი უნდა კეთდებოდეს მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ეროვნული ინტერესების დაცვის ყველა სხვა შემადგენელ ელემენტზე.

მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია მოწმობს, რომ სახელმწიფოების არსებობა, მათი გადარჩენა და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილის დამკვიდრება დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად აქვს სახელმწიფოს უნარი, გადაჭრას მის წინაშე მუდმივად მდგარი ახალ-ახალი პრობლემები. ამასთან, მზად იყოს უწყვეტ რეჟიმში პასუხი გასცეს ყოველ გამოწვევას (ძალისმიერი თუ „რბილი ძალით“ თავდასხმა-შემოტევები, გლობალიზაცია, სოციალური მარგინალიზაცია, სიღატაკე, შიმშილი, პანდემიები, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, უმუშევრობა, მიგრაცია და სხვ.). სწორედ ამიტომ არის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა ქვეყნისათვის მუდმივი ზრუნვის საგანი.

2.3.3 ეროვნული უშიშროების კლასიფიკაცია, კრიტერიუმები, ინდიკატორები

სახელმწიფო, როგორც ცნობილია, არის ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი - მთლიანი სისტემა, რომლის შემადგენელია მრავალი ქვესისტემა, მაგალითად, პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო, სოციალური, სულიერი ცხოვრების და ა. შ. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სპეციფიკური ინტერესების სისტემური სფერო, რომელიც შეიძლება ზოგჯერ წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს ძირითად მატე-

რიალურ და სულიერ ღირებულებებთან. ამ წინააღმდეგობებმა შეიძლება შექმნან საფრთხეების წყაროები არა მარტო უშიშროების ქვესისტემების ურთიერთობების სფეროსათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის უშიშროებისათვის, ადამიანისა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების მთელი კრებსისათვის. იმისათვის, რომ შეიქმნას ამ პროცესებზე თვალის მიდევნების, მათი ეფექტურად მართვისა და მათზე მიზანმიმართული ზემოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, სახელმწიფომ მთელი ამ ურთიერთობების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ჯგუფებად, რომელთაც ექნებათ საკუთარი არსებითი მახასიათებლები, განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი და დაექვემდებარებიან სისტემურ, პრობლემურ ანალიზს. აქედან წარმოიქმნება უშიშროების სფეროში მთლიანი ურთიერთობების გარკვეულ ქვესისტემებად კლასიფიკაციის აუცილებლობა. მუდმივი თვალის მიდევნება, ამ პროცესების შესწავლა თითოეულ ცალკე აღებულ ქვესისტემაში, იძლევა შესაძლებლობას, ერთდროულად გამოვლინდეს ის წინააღმდეგობანი, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საფრთხის ფორმირებას, მათ შორის - მის ყველაზე საშიშ ფორმებში.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში, რომელი ქვესისტემა (ეროვნული უშიშროების სახე) უნდა იყოს პრიორიტეტული, ამაზე ყველა ქვეყანას საკუთარი აქცენტები აქვს. მას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი (მოცემულ მომენტში ქვეყნის განვითარების დონე, საშინაო და საგა-

რეო ფაქტორები, გეოპოლიტიკური რეალიები, საერთაშორისო ვითარება გლობალურ თუ რეგიონულ დონეებზე და სხვ.). თუმცა არის რამდენიმე სახე, რომელთა უზრუნველყოფის გარეშე შეიძლება სახელმწიფო ძალიან სწრაფად ჩამოიშალოს და რომლებიც თითქმის ყველა სახელმწიფოსათვის არსებითად პრიორიტეტულია. ესენია: სახელმწიფო უშიშროება, ეკონომიკური უშიშროება, საზოგადოებრივი უშიშროება, სამხედრო უშიშროება, ინფორმაციული უშიშროება, საერთაშორისო უშიშროება და სხვ.

ეროვნული უშიშროების ნებისმიერი კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს რომელიმე, ყველაზე მნიშვნელოვან ერთგვაროვან მახასიათებელს. ეროვნული უშიშროება შეიძლება დაიყოს სხვადასხვა პოზიციიდან, მაგალითად, დასაცავი ობიექტის (პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო) მიხედვით:

- პიროვნების უშიშროება;
- საზოგადოების უშიშროება;
- სახელმწიფოს უშიშროება.

ეროვნული უშიშროების კლასიფიკაციის დროს ითვალისწინებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს თავისებურებებს, მათში წარმოქმნილი საფრთხეებიდან გამომდინარე. მაგალითად, ეროვნული უშიშროების სტრუქტურაში ტრადიციულად გამოყოფენ შემდეგ უშიშროების შემდეგ სახეებს (ქვესისტემებს):

- პოლიტიკური უშიშროება;
- ეკონომიკური უშიშროება;

- სოციალური უშიშროება;

- ინფორმაციული უშიშროება;

- სამხედრო უშიშროება;

- ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროება;

- საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროება;

- ენერგეტიკული უშიშროება;

- სამართლებრივი უშიშროება და სხვ.

ეროვნული უშიშროების სახეების კლასიფიკაცია ასევე შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა რესურსისა და ღირებულებების პოზიციიდან, რომლებსაც, მაგალითად, შეიძლება მიეკუთვნოს:

- სახელმწიფოს დამოუკიდებლობა;

- ეროვნული ეკონომიკა;

- ეროვნული კულტურა;

- ქვეყნის მოსახლეობა;

- ინფორმაცია და სხვ.

უშიშროების სახეები შეესაბამება ამ რესურსებსა და ღირებულებებს:

- პოლიტიკური უშიშროება;

- ეკონომიკური უშიშროება;

- სოციალური უშიშროება;

- ინფორმაციული უშიშროება და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში, რთული ფენომენების აღწერისას და საშიშროების რამდენიმე საფრთხის შეფასებისას, გამოიყენება უშიშროების კომბინირებული სახელწოდება ან შემოაქვთ პირობითი სახელი. უშიშროების კომბინირებული

სახელწოდების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გლობალური ეკოლოგიური უშიშროების კონცეფცია, რომელიც ახასიათებს კაცობრიობის დაცვის მდგომარეობას გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან.

დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემისა და მისი სახეების (ქვესისტემების) კრიტერიუმების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) განსაზღვრის პრობლემა. ეს განპირობებულია ეროვნული უშიშროების სხვადასხვა საკითხზე ქვეყანაში არსებული შეხედულებების ალტერნატიულობით, მაგალითად, საგარეო მუქარების, კრიზისების, საფრთხეებისა და რისკებისაგან საქართველოს დაცულობის დონის შეფასებაში და სხვ.

საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის სანდოობას განსაზღვრავს მისი შემადგენელი სტრუქტურული ქვესისტემების (სახეების) კანონზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე დამყარებული სისტემური გამართულობა და წესრიგი.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა აერთიანებს მთელ რიგ ცალკეული უშიშროების სახეებს (ქვესისტემებს), რომელთა საფუძველზე უფრო სრულად ფასდება სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ხარისხის მდგომარეობა არა მხოლოდ ინდივიდუალური საფრთხეებისაგან, არამედ მათი კომბინირებული ზემოქმედებითაც, როგორც კერძო ტიპის უშიშროებისა და ინტეგრირებული კონტრაქციის ზომების ერთობლიობა ერთობლივი საფრთხეების შემთხვევაში.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში, როგორც ცნობილია, მოიაზრება მრავალი კომპონენტი (ქვესისტემა, სახე): პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; ინფორმაციული უშიშროება; საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება და სხვ. ასევე, როგორც აღინიშნა, ქვეყნის განვითარების სპეციფიკიდან და მოცემულ მომენტში წარმოქმნილი ან პოტენციური მუქარებიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების შემადგენელ ელემენტებში შეიძლება შედიოდეს სხვა სახეებიც, მაგალითად: სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვითი და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება და სხვ.

უშიშროების ამ ცალკეულ მიმართულებათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის საჭიროა ყველა მისი შემადგენელი ნაწილის საერთო კონცეპტუალურ საფუძველზე გააზრება და ერთიანი სტრუქტურული ფორმით წარმოდგენა, ყველა მიმართულებით მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება და მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა. ამგვარმა პრაგმატულმა ორიენტაციამ უნდა განაპირობოს ყოველი მისი

შემადგენელი ნაწილის სტრუქტურა, რომელშიც აისახება შესაბამისი პრობლემური სფეროს ორგანიზაციის რაციონალური საფუძვლები და ძირითადი შემადგენელი ნაწილები:

1. განსახილველი კონკრეტული სფეროს განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები;
2. ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ამ სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება დაემუქროს;
3. ინდიკატორთა სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი საფრთხეების იდენტიფიკაცია;
4. უშიშროების სისტემის ფორმირებისათვის ხელისუფლების უახლოესი მოქმედების მიზნების განსაზღვრა;
5. უშიშროების მართვის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა:

- უშიშროების სისტემის მართვის პოლიტიკის ფორმირება, რაც გულისხმობს სტრატეგიის ყოველ კონკრეტულ ხიფათთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების მექანიზმების, აგრეთვე, ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო ყველა სახის რესურსის (ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვ.) განსაზღვრას;
- მართვის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება;
- იმ სახელმწიფო (არასახელმწიფო) ინსტიტუტების განსაზღვრა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკრეტული სფეროს უშიშროება;

- უშიშროების კონკრეტულ სისტემაში პასუხისმგებელი ინსტიტუტების დადგენა;

- ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების პროგრამის შემუშავება;

- უშიშროების სისტემის ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზის დამუშავება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უშიშროებისა და მისი ძირითადი კომპონენტების კრიტერიუმების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) სწორად განსაზღვრის საკითხს.

უშიშროების პარამეტრების დამუშავების აქტუალურობა განპირობებულია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა და განხორციელების პროცესში შექმნილი მდგომარეობის შეფასების აუცილებლობით, რათა ამ სფეროში შესაძლებელი იყოს შემდგომი გადაწყვეტილებების მიღება და უშიშროების, საგარეო-პოლიტიკური და თავდაცვითი საქმიანობის სფეროში დოკუმენტების, კონცეფციების, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისი შეფასება.

ძირითადი კრიტერიუმების გამოყენება საშუალებას იძლევა, გავიგოთ, რამდენად ადეკვატურია მოცემულ სფეროში არსებული საქმის ვითარების შესახებ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ხელმძღვანელთა ხედვა. არსებული პარამეტრები ხელს უწყობს გატარებული გარდაქმნების მეცნიერული ექსპერტიზის (რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების კონტროლის საფუძველია) სიზუსტესაც; ასევე არის მრავალი პრობლემის შესწავლისა და სოციალური მართვის საშუალება, რაც ასახავს

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის, მისი დინამიკის სხვადასხვა ასპექტს. გარდა ამისა, ინდიკატორთა ამგვარი სისტემა შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს მთავრობისა და ოპოზიციის რადიკალურად განსხვავებული მიდგომები ეკონომიკური რეფორმის, სამხედრო მშენებლობის, სოციალური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრაში.

ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს დაცვის ობიექტის ოპტიმალური ფუნქციონირების მოდელის მახასიათებლების ან მოცემული ობიექტის უშიშროების ფაქტორების მახასიათებლების საფუძველზე. **უშიშროების კრიტერიუმების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გამოიყოს უშიშროების მდგომარეობის ის არსებითი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინდიკატორებს უდევს საფუძვლად. თავის მხრივ, უშიშროების მდგომარეობის მთავარი მახასიათებლები, ჩვეულებრივ, ასახავს იმ მამოძრავებელ ძალებს, რომელთა საქმიანობაც ითვალისწინებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცულობის მიღწევასა და შენარჩუნებას.**

ცხადია, რომ მოცემული ფაქტორები სპეციფიკურია ეროვნული უშიშროების თითოეული სახისათვის. ასეთი ფაქტორებია ის პირობები, მოქმედება და ზომები, რომლებსაც შეუძლიათ დაცვის ობიექტის შენარჩუნების, განვითარებისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მუქარის, როგორც ნეგატიური პროცესების განვრცობის განსაზღვრული სტადიის, თავიდან აცილება ან საერთოდ ამ პროცესების შეჩერება.

ეროვნული უშიშროების კრიტერიუმების სისტემაში ასახულ ფაქტორებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება უშიშროების ობიექტის მდგომარეობის ჩამომყალიბებელი ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ფაქტორებისა და ეროვნული უშიშროების ვითარების მიზეზშედეგობრივი კავშირები ემპირიულად უნდა იყოს დადასტურებული, რაც იძლევა საფუძველს, უშიშროების ვითარების მამოძრავებელ ძალად ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის პირობა, ზომა, მოქმედება. ცხადია, რომ ამასთან, ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ ეროვნული და მისი ცალკეული სახეების უშიშროების უზრუნველყოფის ისტორიიდანაც.

ბევრი რამ არის დამოკიდებული ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მიმდინარე ან წარსული პროცესის მდგომარეობის ამსახველი ან მოსალოდნელი ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელთა სისტემის ხარისხზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნის მიღწევის დონის მაჩვენებელთა ინდიკატორების კლასიფიკაციის სრულყოფას, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდეს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ხარისხი, დადგინდეს მიმდინარე პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, თვალსაჩინო გახდეს, რამდენად და როგორ შეიძლება კონკრეტული შედეგის მიღწევა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.

ეროვნული უშიშროების სახეობების მიხედვით უნდა დადგინდეს შესაბამისი ინდიკატორები, მაგალითად:

1. ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის მდგომარეობა, მისი განვითარების ტენდენციები, როგორც ქვეყნის შინაგანი სტაბილობისა და მისი უშიშროების საფუძველი, ხელისუფლების მუდმივ დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს. **ქვეყნის სოციალური მდგომარეობის შეფასების ძირითადი ინდიკატორებია:**

- მოსახლეობის შემოსავლების შესაბამისობა საარსებო მინიმუმთან და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი;
- შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ზომა (ჯინის ინდექსი);
- სოციალური მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების შეფარდება საარსებო მინიმუმთან;
- უმუშევართა რაოდენობის შეფარდება შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასთან;
- პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით უმუშევართა რაოდენობის შეფარდება თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობასთან;
- სამუშაო ადგილების (მათ შორის - თავისუფალი სამუშაო ადგილების და შრომითი რესურსების) ტერიტორიული განაწილების შესაბამისობა;
- ფარული და აღრიცხული შემოსავლების შეფარდება;
- ერთი დასაქმებულის კმაყოფაზე მყოფ სულთა რაოდენობა;

- შობადობის მაჩვენებელი და სასურველი და სინამდვილეში დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდება;
- ხანდაზმული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში;
- დემოგრაფიული დაბერების ტემპი;
- ჩვილთა, ბავშვთა და მელოგინეთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი;
- სიკვდილიანობის ზოგადი მაჩვენებელი და სიკვდილიანობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
- თვითმკვლელობებისა და ფსიქიკური დაავადებების მაჩვენებლების დინამიკა;
- მაწანწალობისა და მათხოვრობის (მათ შორის - ბავშვთა) სტატისტიკა;
- გარე მიგრაციის საერთო დონე და მიგრანტთა პროფესიული და ასაკობრივი სტრუქტურა;
- შიდასახელმწიფოებრივი მიგრაციის შესაბამისობა ქვეყნის სტრატეგიული და რეგიონული განვითარების მიზნებთან;
- მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების მაჩვენებლები;
- სხვადასხვა ფორმის კომუნალური მომსახურებით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე და სხვ. (ბუნებრივია, რომ ინდიკატორთა სისტემის მუდმივი შევსება და დაზუსტება უნდა ხდებოდეს ქვეყნისათვის სოციალურ პრობლემათა სპეციფიკური ხასიათის შესაბამისად).

2. ინდიკატორები საგარეო პოლიტიკის სფეროში:

- უცხოეთის ქვეყნებში საქართველოს მიმართ ინტერესის ზრდა;
- უცხოეთის ქვეყნებთან თანამშრომლობითი ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა სფეროში ერთობლივი პროექტების რაოდენობა;
- მათი განხორციელების მაჩვენებლები;
- სხვადასხვა სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების პროცესის ტენდენციები;
- ამ ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობის ხასიათი;
- საქართველოს წარმომადგენლების პროფესიონალიზმისა და ადამიანური თვისებების შეფასება უცხოელი პარტნიორების მიერ;
- განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროში უცხოეთთან თანამშრომლობის ინტენსივობა;
- უცხოეთის სახელმწიფოებთან ინფორმაციული კავშირის ინტენსივობა;
- საქართველოში ტურიზმის განვითარება და სხვ.

3. ინდიკატორები ბუნებისდაცვით სფეროში:

- გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების მდგომარეობა;

- გარემოს ქიმიური დაბინძურების მდგომარეობა;

- წარმოებული პროდუქციის შესაბამისობა ბუნებისდაცვით მოთხოვნებთან;

- გარემოზე დატვირთვა და სხვ.

4. ინდიკატორები მიგრაციულ პროცესებზე დაკვირვების სფეროში:

1. ქვეყნიდან გასული და ქვეყანაში შემოსულ მიგრანტთა რიცხვი გამოხატული პრომილებში;

2. გარემიგრაციული სალდო;

3. მიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა;

4. მიგრანტთა ეთნიკური სტრუქტურა;

5. მიგრანტთა პროფესიული სტრუქტურა;

6. განსაკუთრებით - ინტელექტუალური პროფესიების მქონე ადამიანების მიგრაცია;

7. ინფორმაცია სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებზე:

8. რამდენი, სად, რა სახის განათლების მისაღებად, რამდენი არ ბრუნდება და ა.შ.;

9. ინფორმაცია იძულებით ადგილნაცვალ პირებზე:

- რაოდენობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სად არიან განთავსებულნი, არსებობის პირობები, შრომისუნარიანთა დასაქმების შესაძლებლობები და რეალიზაცია, დემოგრაფიული მაჩვენებლები, ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები, ემიგრანტთა რაოდენობა, ემიგრანტების ასაკობრივი და პროფესიული სტრუქტურა და ა.შ.;

- რეპატრიაციის მსურველთა რაოდენობა, მათი პროფესიული, ასაკობრივი, სოციალური სტრუქტურა, მათი განწყობა, მოლოდინები;

- ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიგრაციული განწყობა, მიზეზები, მოლოდინები;

- ვინ არის ყველაზე აქტიური სხვადასხვა ეთნიკური, ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების მიხედვით, რა ფაქტორები განაპირობებენ მიგრაციულ პროცესებს;

- თბილისის მოსახლეობის მიგრაციული სალდო;

- მიგრაციული სალდო რაიონებისა და ქალაქების მიხედვით;

- სოფლის მოსახლეობის მიგრაციული სალდო;

- სეზონური და ქანქარისებრი მიგრაციების ინტენსივობა და სხვ.

ეს მონაცემები შეჯერებულ უნდა იქნას იმ ინდიკატორებთან, რომლებიც ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჯანდაცვის და სხვა მდგომარეობას ასახავენ.

- **5. სამართლებრივ სფეროში ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ:**

- სახელმწიფოში შესაბამისი სამართლებრივი ინფრასტრუქტურის არსებობას;

- მოსახლეობისა და სახელმწიფო სტრუქტურებში სამართლებრივი ინფორმაციის ფლობის დონეს;

- მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას;

- საზოგადოების მიერ სახელმწიფო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას თავისი უფლებების დასაცავად;

- დანაშაულობების რაოდენობას, სახეებს, სიმძიმეს, მათი ჩადენის ხერხებსა და საშუალებებს;

- გახსნილ დანაშაულთა რაოდენობას და მის შეფარდებას რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობასთან;

- სასამართლოში გადაცემულ და სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობას;

- დანაშაულის ჩამდენი პირების ასაკსა და სოციალურ მდგომარეობას, მათ შორის - მცირეწლოვანთა დამნაშავეობას;

- სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელის ზომებს და მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობას;

- სასამართლოების მიერ განხილული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობას და სხვ.

6. ინფორმაციულ სფეროში ინფორმაციული უშიშროების შესაფასებლად სხვა კრიტერიუმებია, ინფორმაციული უსაფრთხოებისათვის - სხვა.

შეიძლება გამოიყოს ინფორმაციული უშიშროების ინდიკატორი, რომელიც ემსახურება უშიშროების პოლიტიკის აღსრულების ხარისხს და ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება უშიშროების უზრუნველყოფის სერვისების შედეგიანობის გასაზომად.

მაგალითად, ინდიკატორების სისტემის ძირითადი მაორგანიზებელი კლასია მიმართულება, რომელიც გულისხმობს ნორმატიული და საინსტრუქციო დოკუმენტების სრულყოფისა და მისი შესრულების ხარისხის შეფასებებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გავრცელება-შენახვის პროცესში და სხვ.

ასევე, მაგალითად, ხელისუფლების ინფორმაციული უშიშროების მაჩვენებლებია - ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასებულ იქნას ინფორმაციული უშიშროების დადგენილი პარამეტრების დარღვევის ალბათობა:

- ქვეყნის სახელისუფლებო ინსტიტუტების საჭირო საინფორმაციო მოთხოვნილებებით დაკმაყოფილება;
- ხელისუფლებაში ცირკულირებადი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ხელისუფლების ორგანოების დაცვა ნეგატიური ინფორმაციის გავლენისგან და სხვ.

სახელდობრ, ინფორმაციული უსაფრთხოების დასახასიათებლად, მისი ანალიზისა და პროგნოზირებისათვის გამოიყოფა, მაგალითად, ინდიკატორთა ჯგუფი - ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, მის ორგანიზაციულ-ტექნიკურ გამართულობასა და მზადყოფნას.

ამ შემთხვევაში (ინფორმაციული უსაფრთხოების) ინდიკატორების სისტემის ძირითადი კლასებია:

აპარატული - ამ ტიპის ინდიკატორთა შესაბამისად უნდა განხორციელდეს საინფორმაციო სისტემის ტექნიკური პარამეტრების პერიოდული გაზომვა და მისი ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად გამოცდების ჩატარება (მაგალითად, ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაზე, საიმედოობასა და მდგრადობაზე);

სტატისტიკური - განვითარებული ინფორმაციული სისტემის ქსელის მართვის ცენტრში მიმდინარე ყოველგვარ მონაცემთა სისტემური აღრიცხვა ინფორმაციის დაკარგვის, მისი დამახინჯების შესახებ. აბონენტების გრაფიკის ამსახავი სრული სტატისტიკური სურათის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დაფიქსირდეს უსაფრთხოების დარღვევის საშიშროება და სხვ.

7. ეკონომიკური უშიშროებისათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად თავად ინდიკატორები, არამედ მათი ზღვრული მნიშვნელობები, ანუ ზღვრული მნიშვნელობები, რომელთა შეუსრულებლობა ხელს უშლის რეპროდუქციის სხვადასხვა ელემენტის განვითარების ნორმალურ კურსს, იწვევს ნეგატიურ, დესტრუქციულ ტენდენციებს ეკონომიკური უშიშროების სფეროში. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უშიშროების მაღალი დონე მიიღწევა იმ პირობით, თუ ყველა ინდიკატორი (მათი მთელი კომპლექსი) იმყოფება გარკვეულ დასაშვებ საზღვრებში.

ეკონომიკური უშიშროების კრიტერიუმებად შეიძლება მოაზრებულ იქნას შემდეგი:

- ეროვნული ეკონომიკის უნარი რეპროდუქციის გასაფართოებლად - ახასიათებს წარმოების ძირითადი ფაქტორების ზრდა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით;
- მოსახლეობის ხარისხისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების უნარი - ახასიათებს მისი ბუნებრივი მატება;
- ფინანსური და საბანკო სისტემის სტაბილურობა - ბიუჯეტის დეფიციტის ხარისხის, ფასების სტაბილურობის დონის, ფინანსური და ფულადი ნაკადების და საანგარიშსწორებო ურთიერთობების ნორმალიზების, ბანკებისა და ეროვნული ფულადი ერთეულის მდგრადობის მაჩვენებლებით;
- საგარეო ვაჭრობის რაციონალური სტრუქტურა და მოცულობები - შიდა წარმოების საქონლის საგარეო ბაზარზე წვდომით, იმპორტის საშუალებით შიდა საჭიროებების მისაღები დონე, მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტეტი;
- სამეცნიერო პოტენციალის განვითარება და ადგილობრივი წამყვანი სკოლების შენარჩუნება, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ საქართველოს დამოუკიდებლობა სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში;
- ერთიანი ეკონომიკური სივრცისა და რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას და ერთიანი ქართული ბაზრის

ფუნქციონირებას, რეგიონული ბაზრების ინტეგრირებული სისტემით, მათი წარმოების სპეციალიზაციის გაზაზე;

- საზოგადოების კრიმინალიზაციის, ფინანსური და საწარმოო ინსტიტუტების რეიდერული მიტაცების, მისი სახელისუფლებო სტრუქტურებში დიფუზიის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური და სამართლებრივი პირობებით უზრუნველყოფა და სხვ.

ეროვნული ეკონომიკური უშიშროების დონე განისაზღვრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობით. მათ შორისაა:

- ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა საზოგადოებაში;

- სახელმწიფო სისტემისა და ეკონომიკის მთლიანობა, მათი სუვერენიტეტის ჩათვლით; სახელმწიფოსა და ეროვნული ეკონომიკის უშიშროების შიდა და გარე საფრთხეების აღკვეთისა და მათთან დაპირისპირების სისტემის ეფექტიანობა და სწრაფი განვითარება;

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნება და განმტკიცება.

გამოყოფენ რამდენიმე პარამეტრს, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს ეკონომიკური უშიშროების დონის საერთო საკრიტერიუმო შეფასებას, ესენია: სახელმწიფოს სარესურსო პოტენციალის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, პირველ რიგში: რესურსების, კაპიტალისა და შრომის

გამოყენების საერთო ეფექტურობა, აგრეთვე, შესაბამისობა განვითარებულ ქვეყნებში მის დონესთან; სტრატეგიულ რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნება. მათი ექსპორტის მოცულობა იმ რაოდენობით, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ეროვნულ ინტერესებს და ა.შ.

მესამე თავი

ეროვნული უშიშროების ფუნდამენტური ღირებულებები და მათი უზრუნველყოფის პოლიტიკა

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ყველა ქვესისტემა (ეკონომიკური უშიშროება; საერთაშორისო უშიშროება; ინფორმაციული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; ენერგეტიკული უშიშროება, პოლიტიკური უშიშროება და სხვ.). ერთმანეთს ავსებს და ამა თუ იმ ხარისხით მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს: პიროვნების უშიშროებას, საზოგადოების უშიშროებას და სახელმწიფოს უშიშროებას.

3.1. პიროვნების უშიშროება

პიროვნების უშიშროება არის მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების შიგა და გარე მუქარებისა და საფრთხეებისაგან დაცულობა, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და თვითონ პიროვნების მიერ და, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი გარდაქმნების სუბიექტს, შესაძლებლობა ეძლევა, მოახდინოს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების სრულყოფის რეალიზება. ძალზე მოკლედ, პიროვნების ინტერესებში მოიაზრება უზრუნველყოფა მისი: - უშიშროებისა და უსაფრთხოების; - კეთილდღეობის; - უფლებების და თავისუფლებების რეალიზების პირობების.

პიროვნების უშიშროებას უზრუნველყოფს არა მხოლოდ საკუთრივ პიროვნების ძალები და თვისებები, არამედ, პირველ რიგში, სახელმწიფო და საზოგადოება არსებული შესაძლებლობების მთელი სპექტრის ჩარჩოებში, მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი და საკანონმდებლო ველის ფარგლებში. როგორც ეროვნული უშიშროების სისტემის შედარებით ავტონომიური ქვესისტემა, ადამიანის უშიშროება წარმოგვიდგება ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობად, რომელთა მთლიანობაში გამოსახვა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე.

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს სპეციფიკის მიხედვით, რომელშიც ადამიანი აკეთებს საკუთარ პროფესიულ და სოციალურ არჩევანს, შეიძლება გამოიყოს:

- ადამიანის ეკონომიკური უშიშროება;
- ადამიანის სოციალური უშიშროება;
- ადამიანის პოლიტიკური უშიშროება;
- ადამიანის სულიერი და იდეოლოგიური უშიშროება.

მუქარებისა და საფრთხეების ხასიათის შესაბამისად, არსებობს ადამიანის საშინაო და საგარეო უშიშროება, რომელშიც იგულისხმება ადამიანის შინაგანი სტრუქტურის ელემენტების სოციალური დაცულობა და მისი ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ობიექტებთან. ამ აზრით, ადამიანის უშიშროების შინაგანი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

- ადამიანის განვითარების ღირებულებითი და კულტურული საფუძვლების უშიშროება;
- ადამიანის პირადი რწმენისა და მსოფლმხედველობის უშიშროება;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უშიშროება;
- ადამიანის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების უშიშროება;
- პრაქტიკული ქცევის ხაზის არჩევის უშიშროება;
- საკუთარი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვაში ადამიანის უშიშროება.

ადამიანის უშიშროების გარეგნული სტრუქტურა გამოხატავს მისი დაცულობის მდგომარეობას გარე გარემოებებთან ურთიერთქმედებაში, რომლებიც შეიძლება იყოს: საფრთხე, მუქარა ან რისკის სხვადასხვა ხარისხი.

ადამიანის უშიშროების გარეგნული სფერო შეიძლება სტრუქტურულად გამოისახოს ასეთი სახით:
- ადამიანის უშიშროება პიროვნებათაშორის ურთიერთობებში;
- ადამიანის უშიშროება ჯგუფურ ურთიერთობებში (იდენტიფიცირების უშიშროება);
- ადამიანის უშიშროება სოციალურ ინსტიტუტებთან ურთიერთობებში (ინსტიტუციური უშიშროება);
- ადამიანის უშიშროება პროფესიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობებში (პროფესიული უშიშროება);

- ადამიანის უშიშროება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობებში (კორპორაციული უშიშროება).

ამრიგად, ადამიანი მრავალი თვალსაზრისით არის უშიშროების ობიექტი - დაწყებული მისი ინტერესებისა და საჭიროებების დაცვის აუცილებლობიდან, დამთავრებული უსაფრთხო პრაქტიკული საქმიანობით. ადამიანის უშიშროება პრიორიტეტულ როლს ასრულებს ეროვნულ და გლობალურ უშიშროებას შორის ბალანსში.

ამ სიტუაციის სპეციფიკა განპირობებულია ადამიანის არსებობისა და განვითარებისათვის მუქარისა და საფრთხის ბუნებით; თავად ადამიანის, როგორც სოციალური ურთიერთობების სუბიექტისა და ობიექტის თავისებურებებით; აგრეთვე - ადამიანისათვის მუქარებისა და საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხასიათით.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ქვეყანა დაცილდა სოციალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას და შეუდგა საზოგადოებრივი სისტემის დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნას, ანუ პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებას, რომლებიც ადამიანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას ეფუძნება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეს ფორმა არა ქვეყნის ისტორიული, საკუთარი ევოლუციური განვითარების პროცესმა მოიტანა, როგორც ეს ევროპაში მოხდა, არამედ საქართველომ მიზანმიმართულად უნდა ააშენოს. მან თვითონ ხელოვნუ-

რად უნდა ჩამოაყალიბოს გარდაქმნის რეალიზაციის შესაბამისი მიდგომები და რეალიზაციის მისაღები ფორმები. ამას მთელი საზოგადოებისა და ხელისუფლების უდიდესი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი ძალისხმევა სჭირდება. ამგვარ პროცესში, ბუნებრივია, დგება ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სრულყოფის პრობლემა.

ცნება „პიროვნების უშიშროება“ მე-20 საუკუნის ბოლომდე, ინფორმაციული ეპოქის დადგომამდე, არც იყო ხმარებაში. მანამდე მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების იდეა დომინირებდა. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში ყოველთვის უპირატესობა ენიჭებოდა სახელმწიფო უშიშროების პრობლემებს. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, ლიბერალიზმის ზეგავლენით, სახელმწიფოს როლი და პრიორიტეტულობა თანდათან მცირდება და წინა პლანზე პიროვნების ფაქტორი გამოდის.

ადამიანი (პიროვნება) ხდება საზოგადოებრივი განვითარების პრიორიტეტული კრიტერიუმი და პარამეტრი. საზოგადოებაში ყველაფერი იწყება, ხდება და აქვს შედეგები არა თავად საზოგადოების, არამედ ადამიანისათვის, ხოლო მისი სოციალური კეთილდღეობის ხარისხი არის არა უბრალოდ ჰუმანიტარული, არამედ საზოგადოებრივი პროგრესის აბსოლუტური და ერთადერთი კრიტერიუმი. დღეს ამას პრაქტიკულად ადასტურებენ დემოკრატიული და სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით წინ წასული თანამედროვე სახელმწიფოები. შესაბამისად, უშიშროების ეროვნული სი-

სტემების განვითარების ძირითად ცივილიზებულ პარამეტრად იქცა არა სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, არამედ სწორედ ადამიანის (პიროვნების) უშიშროება.

პიროვნების სასიცოცხლო ინტერესები, მისი უფლებები და თავისუფლებები, მისი სტრუქტურული გამოვლინებები, როგორც სოციალურობის მცირე ფორმა შიდა და გარე გეგმებში, არის უშიშროების ობიექტები, რომელთა შინაარსიც აღწევს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების უშიშროების დანარჩენ ასპექტებში. პირადი უშიშროება განაპირობებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცივილიზაციურ სიმწიფეს, მისი განვითარების პროგრესულ მიმართულებას, მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სტრუქტურის ჰუმანისტურ არსს.

ადამიანის უფლებათა კლასიკური ცნება დაკავშირებულია ინდივიდუალური თავისუფლების იდეასთან.[65] ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. დიდწილად ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო კონცეფციის შემუშავება. განისაზღვრა უშიშროება ფართო გაგებით, რაც მოიცავს ადამიანების უშიშროებას შიმშილის, დაავადებებისა და რეპრესიებისგან, მათ შორის ყოველდღიური ცხოვრების მავნე დარღვევებისგან.

---

[65] ჯიქია მ., განათლების უფლების დაცვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით. სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა", რედ. კ. კორკელია, მომზადდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, თბილისი. 2021.

დროთა განმავლობაში, ეს კონცეფცია გაფართოვდა და მოიცვა ადამიანის ეკონომიკური უშიშროება, გარემოს უშიშროება, სურსათის უვნებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, პირადი უშიშროება, საზოგადოებრივი უშიშროება, პოლიტიკური უშიშროება და ქალთა და უმცირესობათა დაცვა. გაეროს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს უშიშროება და პიროვნებისა და თემების უშიშროება ურთიერთდამოკიდებულია; ანუ, როცა მოსახლეობა არ არის დაცული, არც სახელმწიფოა დაცული. ეს სერიოზულ გამოწვევას უქმნის ტიპურ მიდგომას უშიშროების სექტორის რეფორმისადმი, ხაზს უსვამს ახალი მიდგომების საჭიროებას, რომლებიც გააერთიანებს სახელმწიფოს ცენტრალურ როლს იმის აღიარებასთან, რომ სახელმწიფო ფაქტობრივად არის დამოკიდებულების ურთიერთობებით შეკრული და ერთიანი ინდივიდებისა და საზოგადოების დაცულობასა და უშიშროებასთან. უშიშროების სექტორის რეფორმის ამჟამინდელი მიდგომების წინაშე აღმოჩნდა ტრანსნაციონალური საფრთხეების გამრავლება, მათ შორის - ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტრაფიკი, იარაღით ვაჭრობა, ტერორიზმი, კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია, ორგანიზებული დანაშაული და შეიარაღებული ძალადობა, კიბერდანაშაული.

თანამედროვე ეტაპზე გაერომ 21-ე საუკუნის უშიშროებაში საერთოდ ახალი მიდგომები წამოაყენა, რითაც ყურადღების ცენტრში კიდევ უფრო ფართოდ ექცევა ადამიანის უშიშროება:

- ახლა უკვე ეროვნული უშიშროება გაგებული უნდა იქნეს არა, როგორც ქვეყნის უშიშროება, არამედ როგორც ხალხის უშიშროება;

- არა უბრალოდ უშიშროება, რომელიც მიღწეულ იქნა იარაღის ფლობა-გამოყენების შედეგად, არამედ, როგორც უშიშროება, რომელიც მიღწეულ იქნა განვითარების შედეგად;

- არა უბრალოდ, როგორც სახელმწიფოს უშიშროება, არამედ, როგორც თითოეული ადამიანის უშიშროება საკუთარ სახლში და საკუთარ სამუშაო ადგილზე;

- არა უბრალოდ დაცვა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებისაგან, არამედ, როგორც დაცვა ხალხთა შორის კონფლიქტებისაგან.

გაეროს მოხსენებაში პირდაპირაა მითითებული, რომ **ადამიანის უშიშროება - ეს არის: როდესაც ბავშვი არ კვდება, ავადმყოფობა არ ვრცელდება, ეთნიკური შუღლი კონტროლიდან არ გამოდის, ქალებზე არ ძალადობენ, ღარიბები არ შიმშილობენ, დისიდენტს გაჩუმებას არ აიძულებენ, ადამიანი სულიერად არ ითრგუნება.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადამიანის დაცვის მექანიზმებს ეძღვნება კარი მეშვიდე - „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, რომელშიც არის ექვსი თავი (XIX-XXIV) და 68 მუხლი (108-176). ქვემოთ მოცემულია ქცევათა ჩამონათვალი, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენონ პიროვნების უშიშროებას:

- დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ;

- დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ;
- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა;
- დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;
- დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ;
- დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ.

კოდექსის სხვა ნაწილებიც ამა თუ იმ სახით შეიცავს ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულს. თუ გათვალისწინებული იქნება გაეროს თანამედროვე მოთხოვნები, მაშინ კოდექსი საჭიროებს შესაბამის განახლებას. ასევე, სხვა ნორმატიულ დოკუმენტებშიც არის საუბარი აღნიშნული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე, მაგალითად, კანონში „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 38-ე მუხლი მიუთითებს, რომ ამ ინსტიტუტის საქმიანობის მთავარი პრინციპებია: ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა; ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა.

3.2. საზოგადოებრივი უშიშროება

საზოგადოებრივი უშიშროება აღიარებულია ეროვნული უშიშროების რიგით მეორე კომპონენტად, რომელსაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს

დაცულობის დონე უპირატესად სოციალურად საშიში ხასიათის შიდა საფრთხეებისგან. ეს არის ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით დადგენილი ნორმალური სოციალური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების პირად და მთლიანად საზოგადოების უშიშროების საკმარის დონეს. ძალზე მოკლედ, საზოგადოების ინტერესებში მოიაზრება უზრუნველყოფა მისი: - სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის; - სამოქალაქო თანადგომის; - სამოქალაქო თანხმობის.

საზოგადოებრივი უშიშროება უკავშირდება პიროვნების უფლებების, თავისუფლებისა და საკუთრების პატივისცემასა და დაცვას, მოქალაქეთა თანაცხოვრების პირობებში მათ კეთილდღეობას. საზოგადოებრივი უშიშროება მრავალ პრობლემას მოიცავს: ძარცვას, შევიწროებას, არასრულწლოვანთა დანაშაულს, ნარკოტიკულ საშუალებებს, შეურაცხყოფას, არასანქცირებულ ცხოვრებას, ხმაურს და სხვ. საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფა არის მთავრობის ფუნქცია, მან უნდა შეძლოს მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კეთილდღეობა და დაცვა საფრთხეებისაგან. სახელმწიფო თავისი უწყებებისა და ინსტიტუტების მეშვეობით ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის საზოგადოებრივი უშიშროება, მოქალაქეების ჰარმონიული და მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, მათი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საზოგადოებრივ უშიშროებას დათმობილი აქვს მე-9 კარი - „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ“, რომელშიც არის 8 თავი:

- დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ;
- სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა;
- დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ;
- დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ;
- საერთაშორისო ხასიათის დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის სფეროში;
- ნარკოტიკული დანაშაული;
- სატრანსპორტო დანაშაული;
- კიბერდანაშაული.

კოდექსში შეტანილი 300-მდე მუხლის გარდა, სხვა განყოფილებებშიც არის მუხლები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეხება საზოგადოებრივ უშიშროებას.

2015 წლამდე მოქმედებდა საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ (მიღ. 1998 წ.), რომლის მიხედვითაც, ეს სამსახური მოიაზრებოდა, როგორც საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სამართალდაცვის სპეციალურ გასამხედროებულ დაწე-

სებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ უშიშროებას საშინაო და საგარეო საფრთხისაგან. სისტემა მოიცავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

ნორმალური სოციალური ურთიერთობების ერთობლიობისა და საზოგადოების წევრების პირადი და მთლიანად საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფის სათანადო დონის მისაღწევად საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სოციალური ჰარმონიის ღირებულების პრიორიტეტის პირობებში დასაშვებია საზოგადოებრივი გარდაქმნის მხოლოდ ისეთი პროექტი, რომელშიც:

- ტრადიციული კულტურა არის პოლიტიკური აზრის ჩამომყალიბებელი ძირითადი ფაქტორი;
- ქვეყანაში პოლიტიკურ ინსტიტუტთა რეკონსტრუქცია უნდა ხდებოდეს არა რევოლუციური ნგრევის შოკური მეთოდებით, არამედ თანდათანობით, არსებულის ევოლუციურ ცვლილებაში;
- გარდაქმნის ორიენტირები, განვითარების ფორმები და კონკრეტული მიზნები საზოგადოებისათვის უნდა იყოს არა მარტო მისაღები და გასაგები, არამედ თვით მათი ფორმირება უშუალოდ საზოგადოებამ უნდა მოახდინოს.

სოციალური ჰარმონიის ღირებულების პრიორიტეტი უზრუნველყოფს იმას, რომ გარდაქმნის პროცესში საზოგადოება არ ხდება ამ სიახლეში ძალით „შეთრევის“ ობიექტი,

არამედ თვითონ გარდაქმნა ვითარდება საზოგადოებრივ მისწრაფებათა, მის შინაგან, სულიერ ძალთა ენერგიის ხარჯზე.

მიუხედავად გასული წლებისა, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები: - არასაკმარისია მათი როლი სოციალურ ყოფაში არსებული უამრავი პრობლემის გადაწყვეტაში; - ინერციულია მათი მონაწილეობა ქვეყნის საკანონმდებლო საფუძვლების ფორმირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი არსებობის სამოქალაქო ფორმები სადღეისოდ ქმნიან ერთადერთ ორგანიზაციულ საფუძველს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქალაქეთა მონაწილეობისათვის საზოგადოებრივი მშენებლობისა და მისი მოწყობის საქმეში; ამგვარი პირობები იძლევა რეალურ შესაძლებლობას საკუთარი ქვეყნის მდგომარეობაზე მოქალაქეთა პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების შექმნისათვის, მათში ქვეყნის მეპატრონის და არა - მისი მომხმარებლის სულისკვეთების ფორმირებისათვის; ეს არის საქართველოსათვის მისი საზოგადოებრივი ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პირობა. დღევანდელ ვითარებაში, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გაძლიერების პროცესში, წინ წამოიწია საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის პრობლემამ.

3.3. სახელმწიფო უშიშროება

ზოგადი განმარტებით, სახელმწიფო უშიშროება არის სახელმწიფოსა და საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი

მდგომარეობა, რომლის დროსაც ან არაფერი ემუქრება სახელმწიფოს არსებობას მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობებს, ან საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ის საიმედოდ არის დაცული მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებისაგან. ტრადიციულად, სახელმწიფოში იგულისხმება სხვადასხვა სოციალური ინტერესის ურთიერთთანხმობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰარმონიულობის მექანიზმი, საზოგადოების მმართველობის აპარატის, პოლიტიკური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ერთობლიობა.

სახელმწიფო არის ურთულესი სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სისტემებისა და ქვესისტემებისგან: - ეკონომიკური სისტემა; - საინფორმაციო სისტემა; - საფინანსო სისტემა; - ენერგეტიკული სისტემა; - სამართალდამცავი სისტემა; - თავდაცვის სისტემა; - ბუნებისდაცვითი სისტემა; - სოციალური სისტემა და სხვ.). თუ ეს სისტემები და ქვესისტემები გააზრებულად, მთლიანობაში არ იმართება, მაშინ საზოგადოება არ არის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად ორგანიზებული და მას არ გააჩნია სახელმწიფოს რეალური ნიშნები, შესაბამისად გამოიყურება როგორც ბუტაფორია. სახელმწიფო უშიშროებაც ბუტაფორიაა.

როგორც წესი, სახელმწიფო უშიშროების ელემენტებად მიიჩნევა: კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, რომელთა ურყეობაც შედის სახელმწიფოს ინტერესებში. ამ ინტერესებს მოიცავს ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა,

მართლწესრიგის დაცვა და კანონიერების უპირობო უზრუნველყოფა, თანაბარუფლებიანი და ურთიერთმომგებიანი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კარი მე-11, დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, თავი XXXVII - დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ - შეიცავს მუხლების ვრცელ ჩამონათვალს, რომელიც ეხება დანაშაულს, მიმართულს კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებისა და სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ: მუხლი 308. საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა; მუხლი 309. ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება; მუხლი 310. საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა; მუხლი 311. უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა; მუხლი 312. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა; მუხლი 313. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა; მუხლი 314. ჯაშუშობა; მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად; მუხლი 316. სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა; მუხლი 317. მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ; მუხლი 318. საბოტაჟი; მუხლი 319. უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ

საქმიანობაში დახმარება; მუხლი 320. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება; მუხლი 321. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა; მუხლი 322. საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა და სხვ.

ცხადია, რომ კოდექსის სხვა განყოფილებებშიც არის მუხლები, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ არის მიმართული (ტერორიზმი და სხვ.). წარმოდგენისათვის ეს ჩამონათვალიც საკმარისია.

დანაშაულით მიყენებული ზიანი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით ან განვითარების დესტრუქციით (შენელება, სტაგნაცია, დეგრადაცია), ან სახელმწიფოს მიერ ფუნქციის დაკარგვით, ან სახელმწიფოს განადგურებითაც კი, რომლის ფორმები სხვადასხვაა:

- სახელმწიფოს სრული განადგურება, მათ შორის, ავტოქთონი სახელმწიფოს შემქმნელი მოსახლეობისაგან ტერიტორიის დაცლა და გაფანტვა;
- სახელმწიფოს ნაწილებად დაშლა (ან ცალკეული ნაწილების მიერ სუვერენიტეტის მოპოვება ან მათი ჩაყლაპვა სხვა სახელმწიფოების მიერ);
- სუვერენიტეტის დაკარგვა (ტრანსფორმირება ვასალად, სხვა სახელმწიფოს კოლონიად ან პროტექტორატის დამყარება).

შედეგად, მივიღებთ სახელმწიფოს მიერ ფუნქციების მოსპობას ან ნაწილობრივ დაკარგვას.

სახელმწიფოს ფუნქციებია:

- ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;
- მოსახლეობის დაცვა საფრთხეების საშინაო და საგარეო წყაროებისაგან;
- საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარებისათვის სათანადო წანამძღვრებისა და პირობების შექმნა.

2015 წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ეს სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უშიშროებას. კანონის მიხედვით, სამსახურის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;

გ) საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობა;

დ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია;

ე) დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

ვ) თანაზომიერება და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) პოლიტიკური ნეიტრალობა.

სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად სამსახურის საქმიანობის მიმართულებებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან დაცვა;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა;

გ) ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა;

დ) ტერორიზმთან ბრძოლა;

ე) სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ვ) კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

ზ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მათი შესრულების კონტროლი;

თ) ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.

ეროვნულ და სახელმწიფო უშიშროებას შორის ურთიერთობის დახასიათებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი განსხვავდებიან, პირველ რიგში, მათი კომპონენტების სოციალური სტრუქტურების ინტერესების გაშუქების მასშტაბით. ეროვნული უშიშროება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო უშიშროება, მაგრამ ეროვნული და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის სფეროები შესაძლოა ერთმანეთს დაემთხვეს. მათი დამთხვევისა თუ არდამთხვევის კრიტერიუმია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულებების არარსებობა ან არსებობა. სხვადასხვა ჯგუფურ ინტერესებს შორის ანტაგონიზმის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფო და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საქმიანობის სფეროს შეთავსება. ამავდროს, თითოეული მათგანი (პიროვნების უშიშროებასთან ერთად) უშიშროებასთან მიმართებაში მოქმედებს, როგორც ფორმა შინაარსთან მიმართებაში და ურთიერთდამოკიდებულებაშია მასთან, როგორც კონკრეტული - აბსტრაქტულთან.

მეოთხე თავი

ეროვნული უშიშროების სისტემის აქტუალური ქვესისტემები (სახეები, კომპონენტები)

ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის პრობლემის სირთულე მოითხოვს საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას. ამოცანების კომპლექსი, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ისე ქვეყნის შიგნით ქმნის საფრთხეების ფართო სპექტრს ეროვნული უშიშროებისათვის. ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და მისი შემადგენელი ქვესისტემები (სახეები) მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამავე დროს, ქვესისტემებიდან, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით, ზოგი არის აქტუალური, ზოგი სიტუაციური. თითოეული ქვესისტემის აქტუალურობა, შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების მდგომარეობაზე, იმაზე თუ მოცემულ მომენტში სახელმწიფოს წინაშე რა ამოცანები დგას, ეროვნული უშიშროების, რომელი სფეროა განსაკუთრებულად პრიორიტეტული და მოითხოვს ყურადღების გამახვილებას. სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე სიტუაციიდან (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.) გამომდინარე სხვადასხვა სახის საფრთხე განსაკუთრებულად აქტიურდება, ზოგჯერ კი აქტიურობა ერთგვარად ნელდება და „მიძინებულ“ მდგომარეობას ინარჩუნებს, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ

მან აქტუალურობა დაკარგა და სახელმწიფოსაგან არ მოითხოვს შესაბამის რეაგირებას.

ამ თავში საუბარია იმ ქვესისტემებზე, რომლებიც თითქმის ყოველთვის აქტუალურია და ასეთადაც არის მეტ-ნაკლებად მიჩნეული უმეტეს ქვეყნებში (ინფორმაციული უშიშროება (კიბერუშიშროება, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (სასურსათო უშიშროება, საგარეო-ეკონომიკური უშიშროება, საფინანსო უშიშროება, საბიუჯეტო უშიშროება, სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროება); საერთაშორისო უშიშროება; სამხედრო უშიშროება; სამართლებრივი უშიშროება).

4.1. ინფორმაციული უშიშროება

4.1.1. ინფორმაციული უშიშროების დიალექტიკა (ინფორმაციული ეპოქა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, ინფორმაციული საზოგადოება)

4.1.1.1. ინფორმაციის მორფოლოგია

21-საუკუნეში ინფორმაციის როლის ახლებურად გააზრება, აგრეთვე, ინფორმაციის, როგორც ცივილიზაციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული რესურსისა და მამოძრავებელი ფაქტორის, ათვისება და მართვა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. მას არა მარტო ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვრელიც არის.

უდავოა, რომ ჩვენს სინამდვილეში საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო თანამედროვე საშუალებების, აგრეთვე, ინფორმაციოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარების პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან:

- ინფორმაცია არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნებისმიერი სფეროს განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი წყარო, ინფორმაციული ფაქტორი კი ნებისმიერი შიდაპოლიტიკური და გარეპოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია;

- ინფორმაცია არის საზოგადოების ყოველი წევრის პიროვნებად ჩამოყალიბების, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციური სტრუქტურების საფუძველი;

- ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, სხვადასხვა ადმინისტრაციულტერიტორიულ და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურას შორის პოლიტიკური მოდერნიზაციის, სახელმწიფოს მდგრადი განვითარების, მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობაა;

- ინფორმაცია არის საწყისი რესურსი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებისა და ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელებისათვის. სა-

ხელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, მისი დროული უზრუნველყოფა უტყუარი ინფორმაციით სახელმწიფოებრივი მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების, მმართველობის პროცესის ყველა სტადიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ცნობილია, რომ ლათინური სიტყვა ინფორმაცია (informatio – გაცნობა, გადაცემა, ცნობა, შეტყობინება), როგორც სამეცნიერო ტერმინი, სამეცნიერო ლიტერატურაში კიბერნეტიკის განვითარებასთან ერთად შემოვიდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ პერიოდიდან ვლინდება მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება ინფორმაციისადმი. მან ზოგადმეცნიერული კატეგორიის სტატუსი მალე მიიღო და გამოყენება ჰპოვა არა მარტო კიბერნეტიკაში, არამედ საბუნებისმეტყველო, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც.

მიუხედავად ამისა, ინფორმაცია კვლავ რჩება მეცნიერების ჯერ კიდევ ბოლომდე გამოურკვეველ, შინაარსის მრავალწახნაგოვნებით გამორჩეულ ფუნდამენტურ ცნებად. დღემდე გრძელდება ინფორმაციის ცნების ზოგადი თვისებებისა და კანონზომიერებების ძიება, მისი მნიშვნელობისა და არსის ახსნის მცდელობები.

ინფორმაცია რომ მარტივ ახსნას არ ექვემდებარება, არც არის გასაკვირი. ცნობილია, რომ სამყარო წარმოადგენს გარ-

კვეულ სისტემას, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას. თავის მხრივ, ეს სისტემა მოიცავს მილიარდობით (ტრილიონამდე) გალაქტიკას.[66]

ამ მილიარდობით გალაქტიკას შორისაა პატარა, ირმის ნახტომის გალაქტიკა (400 მილიარდამდე ვარსკვლავი), რომელშიც შედის ერთი ბეწო მზის სისტემა, დედამიწა და ადამიანიც.

ცხადია (შეუძლებელია მასშტაბების წარმოდგენაც კი),[67] რომ ადამიანს, როგორც სისტემის ყოვლად წარმოუდგენელ მცირე ნაწილაკს, შეუძლია **სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი შესწავლა მხოლოდ სისტემის შიგნიდან, ანუ მხოლოდ იმ განაპირამდე, სადამდეც ხელი (გონება) მიუწვდება. შესაბამისად, ადამიანებს ძალუძთ მოიპოვონ ინფორმაცია და ჩასწვდნენ სამყაროს თვისებების მხოლოდ რაღაც ნაწილს.** რა დონეზეც უნდა განვითარდეს მეცნიერება, ადამიანისათვის მხოლოდ შიგნიდან იქნება ხელმისაწვდომი და

---

[66] ჩვეულებრივ გალაქტიკაში შედის 10 მილიონიდან რამდენიმე ტრილიონამდე ვარსკვლავი. გალაქტიკების დიდი ნაწილი შედგება პატარა ვარსკვლავური სისტემებისაგან. როგორც წესი, გალაქტიკის დიამეტრი ათი ათასიდან ასი ათას სინათლის წლამდე მერყეობს. გალაქტიკის მასის დაახლოებით 90% უცნობ შავ მატერიაზე მოდის. ეს კომპონენტი ჯერჯერობით შეუსწავლელია. არსებობს თვალსაზრისი, რომ გალაქტიკის ცენტრში შავი ხვრელი მდებარეობს. სამყაროში, სავარაუდოდ, ტრილიონამდე გალაქტიკაა. არის სამი სახის გალაქტიკა: ელიფსური, სპირალური და არასწორი.

[67] სამყაროში დედამიწა იმდენად მცირე ნაწილს იკავებს, რომ ეს ადამიანის გონებისათვის ფაქტობრივად წარმოუდგენელია. უკეთ რომ იყოს გაგებული, ირმის ნახტომის გალაქტიკა ფეხბურთის მოედნის ზომამდე რომ შემცირდეს, მაშინ დედამიწა მასთან შედარებით ერთი შეუმჩნეველი მტვრის ნამცეცი იქნებოდა. ან დედამიწა რომ გახდეს პატარა მონეტის ხელა, მაშინ ირმის ნახტომის გალაკტიკის დიამეტრი გახდება ორი ათასი კილომეტრი.

შეეძლება სამყაროს შესახებ მხოლოდ მცირე (ისიც სუბიექტური) ინფორმაციის მოპოვება, ანუ ექნება მონაცემები უსასრულო სიმრავლიდან მხოლოდ რაღაც ნაწილაკის შესახებ. ამავე მიზეზით, გასაგებია, რომ ადამიანისათვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია, რომელიც მიღწევადი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური დამკვირვებლისათვის (სამყაროს შემოქმედისათვის...).

ასევე, ძნელია ისაუბრო აბსოლუტური ცოდნის ქონაზე, რადგანაც ის გააჩნია მხოლოდ აბსოლუტურ დამკვირვებელს. არსებულ სინამდვილეში, უბრალოდ, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის მიერ ცდისეული ცოდნისათვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება. ნებისმიერი მატერია (ობიექტი, სხეული) - სუბატომური ნაწილაკიდან დაწყებული, დამთავრებული მთლიანად მეტასამყაროთი - წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების სისტემას.

უწყვეტი მოძრაობის შედეგად (სივრცეში გადაადგილება, ურთიერთზემოქმედება და დროში განვითარება), იცვლება მატერიის მდგომარეობა.

მატერიის სისტემის (მისი ყველა ქვესისტემის) მდგომარეობათა სიმრავლე წარმოადგენს თავისთავად ინფორმაციას სისტემის შესახებ. სტრუქტურულობის თვისების განუსაზღვრელობისა და უსასრულობის ძალით, თავისთავადი ინფორმაციის რაოდენობა უსასრულოა ნებისმიერ მატერიალურ სხეულში.

შესაბამისად, ადამიანის წინ და ირგვლივ - შეუცნობელი სამყაროსა და აბსოლუტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის უსასრულობაა. აქედან გამომდინარე, ფართო გაგებით, ინფორმაცია, მატერიის როგორც საერთო თვისება, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს სამყაროში.

ეს არის თავისთავადი (პირველადი, ნამდვილი, ობიექტური, საწყისი) ინფორმაცია, როგორც მატერიის, მისი სხვადასხვა ფორმის (სტრუქტურის, მორფოლოგიის) ნივთიერი სხეულების მრავალფეროვნებად გარდაქმნის თვისება, რომელიც ურთიერთქმედებით გადაეცემა და აღიბეჭდება მათ აგებულებასა და წყობაში.

ალბათ ამ ინფორმაციას გულისხმობდა XX საუკუნის უდიდესი მეცნიერი ნორბერტ ვინერი, როდესაც ამბობდა, რომ ნამდვილი ინფორმაციის გაზომვა შეუძლებელია.

თავისთავადი ინფორმაციისაგან განსხვავდება ინფორმაცია ვიწრო გაგებით, ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ანუ მატერიალური სამყაროს ობიექტებისა და პროცესების შესახებ თავისთავადი ინფორმაციის აზრობრივი შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის სუბიექტური ცნობიერებით.

რეალური გარემოს აღქმის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი შეზღუდულია და რეალობას იგი აღიქვამს (აირეკლავს) სუბიექტურად, ანუ იმ შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რისი საშუალებაც ბუნებამ მიანიჭა.

საილუსტრაციოდ მხედველობის ორგანოც გამოდგება, რომელიც სრულყოფილი არ არის და ფერის სპექტრიდან მხოლოდ რაღაც გარკვეულ, შეზღუდულ ნაწილს აღიქვამს. ამ დროს სპეციალისტები თვლიან, რომ გარე სამყაროს შესახებ მთელი ინფორმაციის 90%-ზე მეტს ადამიანი იღებს სწორედ ამ შეზღუდული მხედველობის მეშვეობით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მზის (ან ხელოვნური) სინათლის არსებობაზე.

ამჯერად ინტერესის საგანი არის სწორედ მეორეული, ვიწრო გაგებით, „ადამიანური" ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასთან (დედამიწაზე სინამდვილის ასახვის უმაღლეს კატეგორიასთან) და გამოიყენება საზოგადოებაში (განვითარების ყველაზე მაღალ ფორმაში, დედამიწაზე), ანუ ინფორმაცია გარე სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც აღიქმება ადამიანის ან მასთან დაკავშირებული სპეციალური მოწყობილობის მიერ. ტექსტში შემდგომ ტერმინი „ინფორმაცია" გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტექსტში.

მკვლევრებს ინფორმაციის ბუნების, მისი არსის და განსაზღვრების შესახებ ჩამოუყალიბდათ სრულიად განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და წარმოდგენები, რაც აისახა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ცხადია ერთი რამ, ინფორმაციის ცნების განსაზღვრებისადმი მიდგომა ჯერჯერობით მაინც ინტუიციურ ხასიათს

ატარებს და, შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან იღებს განსხვავებულ აზრობრივ შევსებას:

- ჩვეულებრივ ყოფაში ინფორმაცია ეწოდება ნებისმიერ მონაცემს, ცნობას, ცოდნას, რომელიც ვინმეს აინტერესებს. მაგალითად, შეტყობინება რაღაც მოვლენის შესახებ ან ვიღაცის საქმიანობის შესახებ და სხვ.;
- ტექნიკაში ინფორმაცია არის შეტყობინება, რომელიც გადაიცემა ნიშნების ან სიგნალების სახით (ამ შემთხვევაში არსებობს კავშირის არხი, შეტყობინების წყარო, შეტყობინების მიმღები);
- კიბერნეტიკაში ინფორმაციად მოიაზრება ცოდნის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მართვისათვის, ორიენტირებისა და აქტიური მოქმედებისათვის, ანუ სისტემის შენარჩუნების, სრულყოფის, განვითარების მიზნით და სხვ.

მარტივი და ზოგადი განმარტებით, ინფორმაცია არის მატერიის (საგნის) და პროცესის ასახვის ფორმა, ანუ სამყაროსა და მასში არსებული საგნებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ ცნობა, შეტყობინება, რომელსაც აღიქვამს ადამიანი ან მასთან დაკავშირებული სპეციალური აპარატი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ შემთხვევაში ყურადღების არეალში მოქცეულია ძირითადად ის ინფორმაცია, რომელიც ეხება, პირველ ყოვლისა, ადამიანების ურთიერთობას, მათ ურთიერთქმედებას, მოთხოვნილებებს, ინტერესებს და სხვ.,

ანუ საზოგადოების მიერ გამოყენებული ინფორმაცია. საზოგადოებაში ცირკულირებს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს როგორც სოციალური, ისე ბუნების შესახებ ცოდნას, შეტყობინებას, ცნობას იმ ზომით, რა ზომითაც გამოიყენებს მას საზოგადოება, ანუ რამდენადაც არის ის საზოგადოებრივი ცხოვრების ორბიტაში მოქცეული. ამ ინფორმაციას ატყვია სოციალური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ღრმა კვალი, იგი არის საზოგადოების მოთხოვნილებების, ინტერესების, ფსიქიკური თვისებების, იმ ურთიერთობების ანაბეჭდი, რომელსაც ასახავს ინფორმაცია და რომელიც სარგებლობს ინფორმაციით.

შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულება ინფორმაციის სხვადასხვა სახისადმი ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ინფორმაცია არ შეიცავს უშუალოდ პოლიტიკურ მოტივებს. პოლიტიკური მიმართულება აქ შეიძლება გამოვლინდეს არაპირდაპირი გზით, იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისთვისაც გამოიყენება ეს ინფორმაცია.

ამ კონტექსტში, ინფორმაციის შესწავლისა და კვლევის ამოსავალი შეიძლება იყოს, მაგალითად, ინფორმაცია:

- როგორც მართვის სისტემის ოპტიმიზაციისათვის მასზე ზემოქმედების აუცილებელი მონაცემების ერთობლიობა;
- როგორც საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში დიდი რაოდენობით პროდუცირებადი ვიწროსპეციალიზებული მონაცემების ნაკრები;

- როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი რეზერვი და რესურსი, მსგავსად სხვა რესურსებისა: შრომითი, ენერგეტიკული, მატერიალური და სხვ.;

- როგორც ინტელექტუალური რესურსი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაში, საზოგადოების ინტელექტუალური საკუთრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომლის წილიც სულ უფრო მატულობს თანამედროვე მსოფლიოში და სხვ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში გვხვდება **ინფორმაციის შემდეგი ძირითადი სახეები:**

- პოლიტიკური;
- ეკონომიკური;
- სოციალური;
- ტექნიკური;
- საბუნებისმეტყველო;
- სამეცნიერო;
- ესთეტიკური;
- იდეოლოგიური და სხვ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ინფორმაცია ყოველთვის შეტყობინების სახით წარმოდგება. საინფორმაციო შეტყობინება დაკავშირებულია ინფორმაციის წყაროსთან, ინფორმაციის მიმღებთან და გადაცემის არხთან. შეტყობინება წყაროდან მიმღებამდე მატერიალურ-ენერგეტიკული ფორმით

(ხმოვანი, სინათლის, ელექტრონული და სხვა სიგნალების სახით) გადაიცემა.

ადამიანი შეტყობინებას გრძნობათა ორგანოების მეშვეობით აღიქვამს. ტექნიკაში კი ინფორმაციის მიმღები შეტყობინებას იღებს სხვადასხვა გამზომი და მარეგისტრირებელი აპარატურის დახმარებით.

ინფორმაციის განსაკუთრებულობა ისაა, რომ, მიუხედავად მისი უწყვეტად ზრდადი მოხმარებისა, მუდმივად იზრდება მისი თავმოყრა მზარდმატებად მოცულობაში.

ინფორმაციის დახასიათებისას ყურადღებას იქცევს მისი შემდეგი ნიშნები:

- ცირკულირების მასშტაბი - მინიმალურიდან (პიროვნული ურთიერთობებიდან უშუალოდ) მაქსიმალურამდე (გლობალურამდე);
- ცირკულირების დრო - სულ მცირე - ერთჯერადი, ხანგრძლივობის მიხედვით - გაურკვეველი;
- მოძრაობის მიმართულება - ან ჰორიზონტალური (ერთი სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის), ან ვერტიკალური (სხვადასხვა სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის. პირდაპირი - დირექტიულ-ნორმატიული, პირუკუ - საკონტროლო-საანგარიშო);
- ემოციური შეფერილობა - ზემოდან ქვემოთ მოძრაობის დროს იმპერატიულია, ხოლო ქვემოდან ზემოთ და ჰორიზონტალურად მოძრაობისას - შემთანხმებლური;

- შექმნის წესი - შეიძლება იყოს პერსონიფიცირებული (ინფორმაცია წამოსული ინდივიდიდან, რომელიც დაკავშირებულია ან არ არის დაკავშირებული მის სოციალურ როლთან) ან უპიროვნებო (ინფორმაცია წამოსული ჯგუფიდან, სტრუქტურიდან, აგრეთვე - ინდივიდიდან, მაგრამ მასზე მინიშნების გარეშე);

- შექმნის მიზანი - ზემოქმედება (თანხმობა, წაქეზება და სხვ.).

ასე რომ, **კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადად განასხვავებენ ინფორმაციის შემდეგ ტიპებს:**

- ინფორმაცია წარსულის შესახებ;

- ინფორმაცია აწმყოს შესახებ;

- ინფორმაცია მომავლის შესახებ (პროგნოზული - საორიენტაციო, ნორმატიული, გამაფრთხილებელი);

- გეგმური ინფორმაცია.

ინფორმაციას განასხვავებენ ადრესატის მიხედვითაც:

- შიდა ინფორმაცია და გარე ინფორმაცია.

ინფორმაცია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- საკომუნიკაციოს (ადამიანებს შორის კავშირის უზრუნველყოფა); მმართველობითს;

- სამეცნიერო-შემეცნებითს;

- სასწავლო-აღმზრდელობითს;

- სააგიტაციო-პროპაგანდისტულს და სხვ.

აგრეთვე, სხვადასხვა **კრიტერიუმიდან გამომდინარე, ინფორმაციას ყოფენ სახეებად.**

1. აღქმის მიხედვით:

- ვიზუალური - შეიგრძნობს მხედველობის ორგანო; აუდიალური - შეიგრძნობს სმენის ორგანო;
- ტაქტილური (შეხებითი) - შეიგრძნობს ტაქტილური რეცეპტორები;
- გემოვნებითი - შეიგრძნობს გემოს რეცეპტორები;
- სურნელებითი - შეიგრძნობს სუნის რეცეპტორები.

2. წარდგენის ფორმის მიხედვით:

- წერილობითი - ტექსტი, ციფრი, სპეცსიმბოლოებისა და სხვა სახით;
- გრაფიკული - გამოსახულების, ცხრილის, ფოტოგრაფიისა და სხვა სახით;
- ხმოვანი სიგნალების სახით - გადაიცემა ზეპირად ან ჩანაწერის საშუალებით;
- სინათლის სახით;
- რადიოტალღების სახით;
- ელექტრული და ნერვული იმპულსების სახით;
- მაგნიტური ჩანაწერების სახით;
- ჟესტებისა და მიმიკის სახით;
- ზეპირი, სიტყვიერი ფორმით (ლაპარაკი);
- სუნისა და გემოს შეგრძნებების სახით;
- ქრომოსომების სახით (რომელთა საშუალებითაც მემკვიდრეობით გადაეცემა ორგანიზმის ნიშან-თვისებები) და სხვ.

3. საზოგადოებრივი დანიშნულების მიხედვით:

- მასობრივი - ყოველდღიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ესთეტიკური;

- სპეციალური - სამეცნიერო, ტექნიკური, მმართველობითი (მენეჯერული), საწარმოო;

- პირადი - ცოდნა, უნარი, ინტუიცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინფორმაციის შემდეგი ძირითადი თვისებები:

- ობიექტურობა - ვინმეს აზრზე არ არის დამოკიდებული;

- რელევანტურობა - შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს (მოთხოვნებს);

- დროულობა - შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს დროის საჭირო მომენტში;

- უტყუარობა - ფარული შეცდომების უქონლობა. უტყუარი ინფორმაცია დროთა განმავლობაში შეიძლება დაძველდეს და საქმის ნამდვილ მდგომარეობას ვეღარ ასახავდეს;

- საიმედოობა - ასახავს ნამდვილ ვითარებას;

- სისრულე - ამომწურავია (მოცემული მომხმარებლისათვის), საკმარისია გასაგებად და გადაწყვეტილების მისაღებად;

- აქტუალურობა - მნიშვნელოვანი და არსებითია, პასუხობს დღევანდელობას;

- ხელმისაწვდომობა - მოცემული მომხმარებლისათვის მისი მიღების შესაძლებლობა;

- დაცულობა - ინფორმაციის არასანქცირებული ცვლილებებისა და გამოყენების შეუძლებლობა;

- ღირებულება (სარგებლიანობა, მნიშვნელობა) - უზრუნველყოფს დასმული ამოცანის გადაწყვეტას. საჭიროა სწორი გადაწყვეტილების მისაღებად;

- გარკვეულობა (სიცხადე, მკაფიოობა) - გამოხატულია ყველასათვის გასაგებ ენაზე.

გარდა ამისა, ინფორმაციას აქვს სხვა თვისებებიც:

- **ატრიბუტულობა** (მიკუთვნებულობა) - დისკრეტულია (ინფორმაცია შედგება ცალკეული ნაწილებისაგან, ნიშნებისაგან), უწყვეტობა (ინფორმაციის დაგროვების შესაძლებლობა);

- **პრაქტიკულობა** - ინფორმაციული მოცულობა და სიმჭიდროვე;

- **დინამიკურობა** (დაკავშირებულია ინფორმაციის დროში ცვლილებებთან) - კოპირება (ინფორმაციის გამრავლება), წყაროდან მომხმარებლისათვის გადაცემა, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, სხვა მატარებელზე გადატანა, მოძველება (მატარებლის - ფიზიკურად, ღირებულების - მორალურად).

ცნობილი მეცნიერი პროფ. **ალექსანდრე ქართველიშვილი**, როგორც ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი, განსაკუთრებულად გამოყოფს ინფორმაციის შემდეგ მახასიათებლებს: - კონფიდენციალურობა (მახასიათებლები იმისა, რომ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი არაავტორიზებული ინდივიდების, სუბიექტებისა ან პროცესებისათვის); - მთლიანობა (აქტივის სიზუსტის და სრულყოფილების დაცვის მახასიათებელი თვისება); - ხელმისაწვდომობა (ავტორიზებული

სუბიექტის მიერ მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის მახასიათებლები).

ინფორმაციის მატარებელი არის ინფორმაციის გადაცემის, შენახვისა და აღდგენის გარემო ან ფიზიკური სხეული (ელექტრო, სინათლის, სითბური, ხმოვანი, რადიოსიგნალები, მაგნიტური და ლაზერული დისკები, ბეჭდვითი გამოცემა, ფოტოგრაფია და სხვ.).

ინფორმაციაზე ტარდება გარკვეული ოპერაციები - ინფორმაციული ოპერაციები, ანუ ინფორმაცია შეიძლება: შექმნა, მიიღო, გადასცე, შეინახო, დაამუშაო, ეძებო, აღიქვა, დაანაწევრო, გაამრავლო, დააკომბინირო, დაშალო, გაზომო. გამოიყენო, გაავრცელო, გაამარტივო, დაიმახსოვრო, გარდაქმნა, შეკრიბო და სხვ.

ინტერესს იწვევს **ინფორმაციის გამზომი პარამეტრებიც** - ინფორმაციის რაოდენობისა და მონაცემთა მოცულობის შესახებ. შესაბამისად, ინფორმაციის **ხარისხის პარამეტრებია:** რეპრეზენტაბელურობა, შინაარსიანობა, საკმარისობა, მისაწვდომობა, აქტუალურობა, სიზუსტე, უტყუარობა, მდგრადობა.

ფაქტია, რომ საზოგადოებაში ინფორმაციული პროცესების განმსაზღვრელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. სოციალური ჯგუფების, ინდივიდების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ინფორმაციული ზემოქმედება - სოციალური ურთიერთქმედების მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიკური ფორმაა. იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და რაციონალურად არის ორგანიზებული ეს ფორმა,

ბევრად არის დამოკიდებული წარმოების, მეცნიერების, კულტურის, მთლიანად საზოგადოების პროგრესი. თავის მხრივ, ინფორმაციული ურთიერთზემოქმედების ეფექტიანობის, გამართულობის ხარისხი - საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ ობიექტურად ცირკულირებადი ინფორმაცია წარმოშობის მიხედვით კი არის ობიექტური, მაგრამ იგი, ამავე დროს, სუბიექტურიცაა, ვინაიდან აუცილებლად გულისხმობს მიმღების, გარდამქმნელისა და მომხმარებლის არსებობას.

ინფორმაცია გარკვეულწილად არის ცოდნა, მაგრამ არა - ყველაფრის, რასაც კაცობრიობა ფლობს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის, რომელიც გამოიყენება ორიენტირების, აქტიური მოქმედების, მართვის, ანუ სისტემის სრულყოფისა და განვითარების, მისი ხარისხობრივი და თვისობრივი სპეციფიკის დაცვის მიზნით.

ინფორმაციული კავშირი, ინფორმაციული ურთიერთქმედება, ანუ სინამდვილე მოვლენებისა და პროცესების შესახებ - ინფორმაციის მუდმივი ცვლაა. ინფორმაციის დინების უწყვეტობა უზრუნველყოფს მართვის პროცესის უწყვეტობას.

ვინაიდან მართვა სისტემაზე მიზანშეწონილი ზემოქმედების უწყვეტად განხორციელების პროცესია, სწორედ უწყვეტად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია მართვის სუბიექტს ზეგავლენა მოახდინოს სამართავ სისტემაზე. მართვის ყოველი ციკლი ინფორმაციის შეკრებითა და დამუ-

შავებით იწყება და ინფორმაციის მიღებით მთავრდება, რომელიც, თავის მხრივ, არის საწყისი მართვის ახალი ციკლისათვის. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის მნიშვნელობა განუზომელია, რადგანაც იგი იქცა სისტემის წარმომქმნელ დომინანტად.

ინფორმაცია და მართვა. მართვა დაკავშირებულია სისტემაზე მიზანმიმართული მმართველობითი ზემოქმედების შემუშავებასა და განხორციელებასთან, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, გადაცემასა და დამუშავებას, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებას.

მმართველი და მართვას დაქვემდებარებული სისტემები ვერ იარსებებს ინფორმაციის გარეშე, რომელსაც აქვს ერთგვარი სასიგნალო ხასიათი, რომელიც იძლევა იმპულსებს მიზნიდან აცდენის შესახებ და მოწესრიგების, ხარვეზების გამოსწორების სიგნალებს. აღიქვამს რა მათ, სისტემა რეაგირებს და შესაბამისად ახდენს საკუთარი მოქმედების, ქცევის გადაწყობას.

ინფორმაციის ნაკადების წყალობით, უზრუნველყოფილია უკუკავშირიც, რომელშიც აისახება მმართველობითი ზემოქმედების ქვეშ მყოფ სისტემაში მომხდარი ცვლილებები. ინფორმაცია ასევე უზრუნველყოფს წინმსწრებ ასახვასაც, რაც საშუალებას აძლევს მმართველობით სისტემას მოვლენებს „წინ" გაუსწროს. მმართველობით საქმიანობაში ინფორმაცია არის მონაცემების ერთობლიობა მმართველისა და მართვას დაქვემდებარებული სისტემების მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაციის გარეშე წარმოუდგენელია როგორც პროგნოზირება, ისე დაგეგმვაც, რადგან მის საფუძველზე იბადება პროგნოზები და გეგმები. ინფორმაციის გარეშე რთულია გადაწყვეტილების მომზადება. ინფორმაცია ასევე თავს იყრის საკონტროლო სტადიაზეც, რაც იძლევა მსჯელობის საშუალებას საკონტროლო ობიექტში რეალური ცვლილებების შესახებ.


ინფორმაცია არის საწყისი რესურსი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებისა და ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, მისი დროული უზრუნველყოფა უტყუარი ინფორმაციით - სახელმწიფოებრივი მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების, მმართველობის პროცესის ყველა სტადიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ინფორმაციული უზრუნველყოფა მართვის პროცესში ასრულებს გადამწყვეტ როლს. ინფორმაცია არის „აუცილებელი საკვები საშუალება“ მართვის პროცესის ზოგადი წინაპირობის შესაქმნელად, რომლის დროსაც ხორციელდება მართვის საგნისა და ობიექტის კავშირი მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.


საქართველოში დავით აღმაშენებლის შემდეგ ინფორმაცია დიდი პოლიტიკის რანგში არავის აუყვანია. იცოდა რა მისი ფასი, იგი ამისათვის არც ხარჯებს ერიდებოდა (მაგალითად, საათივით აწყობილი მსტოვრის ინსტიტუტი). სწორედ ამ დიდი მეფის გონივრული პოლიტიკით, მის მიერ ჩაყრილ

საძირკველზე აღმოცენდა დიდი და ძლიერი საქართველო. მაგრამ შემდეგ, განსაკუთრებით თამარის მმართველობის დროიდან, მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ინსტიტუტი მოშლილია. მაგალითად, სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის არარსებობის გამო საქართველო მოუმზადებელი შეხვდა მონღოლების გამოჩენას, რამაც საბოლოოდ კატასტროფული შედეგები მოიტანა.

სახელმწიფოს მართვის, მისი ინტერესების დაცვისა და ეროვნული უშიშროებისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის მნიშვნელობაზე საილაც მეტყველებს, მაგალითად, საქართველოსთან დაკავშირებული **ორი „ფრანგული“ ფაქტი** (დამაფიქრებელია და ჭკუის სასწავლებელი.







შეცდომებზე სწავლაც შეიძლება).

მსოფლიო პოლიტიკის ავანგარდში მყოფ საფრანგეთის მეფე ლუი XIV კარგად აწყობილი საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით ყოველთვის საქმის კურსში იყო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, შესაბამისად არც უჭირდა გადაწყვეტილებების მიღება. როდესაც აღმოსავლეთში მისმა პოლიტიკამ მოითხოვა, 1700 წელს თავისთან იხმო ცნობილი ბოტანიკოსი *ჟოზეფ ტურნეფორი* (Joseph Pitton de Tournefort, 1656-1708) და გაუშვა სამეცნიერო ექსპედიციაში (1700-1702) საბერძნეთში, აზიასა (მათ შორის - საქართველოში) და აფრიკაში. ცხადია, ამ ძვირად ღირებული მოგზაურობის მთელი ხარჯი სახელმწიფომ იკისრა.[68]

მცენარეების შესწავლა-შეგროვების პარალელურად, მეფის უშუალო დავალებით, მეცნიერს უნდა შეესწავლა და დეტალური სადაზვერვო ინფორმაცია წარედგინა არჩეული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და რელიგიური მდგომარეობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ იმ დროს ფრანგი პოლიტიკოსები (რომლებიც სხვადასხვა წყაროდან დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ საქართველოს შესახებ) უკეთესად ხედავდნენ და აფასებდნენ პოლიტიკურ მოვლენებს, ვიდრე „უშედეგო“ ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის - **ვახტანგ VI** და **სულხან-საბა ორბელიანი** (რაც სამშობლოს ტრაგიკული ბედით შეწუხებული ამ მოღვაწის ამაგს

---

[68] ტურნეფორი დე, ჟ. პ., მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმანა მ. მგალობლიშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, არ აუფერულებს), რომელიც 1714 წლის აპრილში წარდგა **ლუი XIV**-ის წინაშე. იგი კუ-

ვახტანგ VI
(1675–1737)
ქართლის გამგებელი
(ჯანიშინი) 1703-1714,
მეფე 1716-1724.





სულხანსაბა ორბელიანი
(1658—1725)
ქართველი მწერალი, მეცნიერი,
პოლიტიკური მოღვაწე.

რიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც ალბათ გამოწვეული იყო პოლიტიკური მართვის პროცესში ინფორმაციის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობით და მისდამი ზერელე დამოკიდებულებით, შესაბამისად, მათი ზერელე დამოკიდებულებით საერთაშორისო პოლიტიკურ და დიპლომატიურ პროცესების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფისადმი (დაქსაქსულ ქართულ სამეფო-სამთავროებში დაკარგული იყო დავითისა და თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და დიპლომატიური ტრადიცია და გამოცდილება). გაკვირვებას იწვევს და ძალიან უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ **ირანის სამეფოს მაღალჩინოსანმა,** შაჰის მიერ ირანის ჯარების სპასალარად და ირანის პროვინციის,

ქართლის[69] ოფიციალურ მმართველად დანიშნულმა მუსლიმანმა მოხელემ *ჰუსეინ ყული-ხანმა* (ვახტანგ VI-მ) არ იცოდა, რა ხდებოდა სახელმწიფოს დედაქალაქში, ისპაჰანში, სადაც მრავალი წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როგორც ირანელი მოხელე სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. იქ მაშინ უბრალო ადამიანისათვისაც კი ძალიან თვალსაჩინო იყო ევროპელების მხრიდან ირანისადმი გამორჩეული მხარდაჭერა, მომრავლებული ევროპელების აქტიურობა (დიპლომატები, სამხედრო ინსტრუქტორები და სხვ.) და ირანის ევროპულ

---

[69] შაჰინშაჰები ნიშნავდნენ პროვინციების მმართველებს, რომლებსაც ეწოდებოდათ „ვალი" („დამცველი"). ვალის გააჩნდა საკუთარი ადმინისტრაციული აპარატი, მმართველობის ორგანოები, კანონმდებლობა, ბიუჯეტი, საგადასახადო სისტემა და ვასალებიც ჰყავდა. შაჰინშაჰის მიერ დადგენილ ვალიებს შორის გორჯესთანის (ქართლის) ვალი მესამე ადგილზე იდგა (პირველზე ხუზისტანი, მეორეზე ლურისტანი), მაგრამ მისი ფაქტობრივი მდგომარეობა ირანის პროვინციების მმართველთა შორის ბევრად მნიშვნელოვანი გახლდათ. სხვათა შორის, სეფიანმა შაჰინშაჰებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაცია, სამამულო მიწათმფლობელობის ამოძირკვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიკვიდაცია ადგილობრივი დინასტიისა, რომლის წარმომადგენელნიც მართვა-გამგებლობის არაერთ სფეროში დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ახერხებდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ სეფიანთა სახელმწიფოს საფინანსო ნუსხაში არათუ არ აღირიცხებოდა წლიური შემოსავალი გორჯესთანის ვალისა, არამედ მას სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურ ჯამაგირსა და შიდა სპარსეთში მდებარე სოფლებსაც კი აძლევდნენ. ეს, დანარჩენი ვალიებისგან განსხვავებით, ბაგრატოვან ვალის პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა (მაგ., ტურნეფორის საქართველოში მოგზაურობის დროს ქართლის მეფე იყო *ერეკლე I*, იგივე *ნაზარ-ალი ხანი* და მას, როგორც შაჰისგან დანიშნულ ოფიციალურ მოხელეს 300 თუმანი ეძლეოდა ჯამაგირად). შაჰინშაჰის კარზე მყოფ ბაგრატოვან ვალისა და მის ნათესაობას საპატიო სტუმრის სტატუსით იღებდნენ და მეჰმანდარს (მესტუმრეს) უნიშნავდნენ. იხ., ჯავახიშვილი, ნ. ისტორიანი 2020 წელი, N114, N115, N116.
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ქართლის_ბაგრატიონები

ყაიდაზე მილიტარიზაცია. ვახტანგ VI ხომ საქართველოს ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებულია ნიჭიერ მმართველად (ყოველივე ქართულის პატრიოტი სახელმწიფოსაზოგადოებრივი მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, მეცნიერი, ქართული სტამბის დამაარსებელი, რუსთველოლოგიის პიონერი, შემოქმედი კანონთა წიგნისა „დასტურლამალისა“). ფიასკო განიცადა ქართლის ევროპულმა დიპლომატიამ, მიღებულ იქნა შესაბამისი უარყოფითი პოლიტიკური შედეგი: იმ დროს, თურქული აგრესიით, რომელიც ჯერ კიდევ სულთან სულეიმან I–იდან (1494 –1566) იღებს სათავეს, შეშფოთებული ევროპა საკუთარი პრობლემების მოგვარების გზებს ეძებდა. ამისათვის ირანი აირჩია სტრატეგიულ მოკავშირედ და მას გამალებით აძლიერებდა, რათა თურქეთისათვის დაეპირისპირებინა და ევროპისათვის საშინელი თურქული საფრთხე აეცილებინა. სწორედ ამ დროს ემოციებით დამუხტული ქართლის ელჩობა (სულხან-საბა ორბელიანი...) ლუი XIV-ს სრულიად საპირისპიროს – ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვდა?! წინააღმდეგ ირანისა, რომელსაც ევროპა თავის მაშველ რგოლად აღიქვამდა.

საფრანგეთის ისტორია მოწმობს, რომ ფრანგი პოლიტიკოსები შესანიშნავად ერკვევიან ინფორმაციის მნიშვნელობაში, მათ კარგად იციან მისი ფასი და, შესაბამისად, მის მოსაპოვებლად სახსრებსაც არ იშურებენ.

ამ თვალსაზრისით, ქართველები ზემოთ მოტანილი ფაქტიდან 300 წლის შემდეგაც მოიკოჭლებენ. ინტერესმოკლებული არ იქნება უახლოესი წარსულიდან ერთი ეპიზოდის

გახსენება. 1996-1998 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში შეიქმნა პოლიტომეტრიკული მეთოდის გამოყენებით ინტელექტუალური კომპიუტერული პროგრამა „აისი". მისი შექმნის პროცესში საჭირო გახდა ერთ-ერთი რეგიონის შესახებ გარკვეულ პარამეტრებში ინფორმაციის მოპოვება.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, ეს არასაიდუმლო, მაგრამ სახელმწიფოს მართვის პროცესისათვის ყოვლად აუცილებელი ინფორმაცია, არ აღმოჩნდა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესაბამის განყოფილებებში, არც სახელმწიფო კანცელარიის რეგიონულ სამსახურში და არც დარგობრივ (განათლების, ეკონომიკის, კულტურის და სხვ.) განყოფილებებში (არადა ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ სტრუქტურებში, სხვანაირად როგორ უნდა ემართად სახელმწიფოებრივი პროცესები). უფრო უარესი, არ აღმოჩნდა არც გუბერნატორის აპარატში. ბოლოს ინფორმაცია არასრული სახით მოპოვებულ იქნა გუბერნატორის აპარატის ტექნიკურ მუშაკებთან უშუალო ურთიერთობის შედეგად.

საოცრება ის იყო, რომ საქართველოს შესახებ დეტალური და სრულყოფილი ინფორმაცია რაოდენობრივი, თვისობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით შემთხვევით ნაპოვნი იქნა ფრანგების მიერ 90-იან წლებში გაკეთებულ კავკასიის გეოინფორმაციულ ატლასში.[70]

---

[70] ეს ძვირადღირებული პროგრამა ეროვნული უშიშროების საბჭომაც შეიძინა ამ წიგნის ავტორის დიდი ძალისხმევის შემდეგ, რომელიც იმ დროს ხელმძღვანელობდა საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურს და უძღვებოდა ამ პროგრამის დანერგვას.

დიახ, ფრანგებმა მნიშვნელოვანი თანხები გაიღეს იმისათვის, რომ იმ „მშფოთვარე" პერიოდში შეეკრიბათ ინფორმაცია (მუდმივად შევსებადი) და შეექმნათ კავკასიის გეოინფორმაციული ატლასი. დაინტერესებული ფრანგი (პოლიტიკოსი, სამხედრო, უშიშროების სპეციალისტი, ბიზნესმენი და სხვ.) დღეს კომპიუტერიდან უპრობლემოდ, ოპერატიულად (წვალებისა და დროის დაკარგვის გარეშე) მიიღებს კავკასიის, მათ შორის - საქართველოს ნებისმიერი რაიონის (!) შესახებ მისთვის სასურველ ზუსტ და უახლეს ინფორმაციას (მოსახლეობა, ეროვნება, ნათესები, პირუტყვის სულადობა, მდინარეები, უღელტეხილები, გზები, ქალაქები და სხვ. - სულ 68 პარამეტრი). პროგრამა საშუალებას იძლევა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაემატოს ახალი პარამეტრები. ამასთან, შეიძლება ახალი რუკების შედგენა ან ბაზაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის ცხრილებისა და გრაფიკული გამოსახულების რუკების სახით ამობეჭდვა, მაგალითად, რომელიმე რეგიონში მოულოდნელად შექნილ კრიზისულ თუ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით.

იმ პერიოდის საქართველოში ასეთი ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მთავარი საჯარო თანამდებობის პირთათვისაც კი ძალიან ძნელად მისაღწევი იყო, მაშინ, როდესაც საქართველოთი დაინტერესებულ ქვეყანებში გაცილებით უფრო მეტ სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროებში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ერთი რამ ცხადია, საერთაშორისო არენაზე ქვეყნების მიერ მსოფლიო მოვლენებზე გავლენის მოპოვების შესაძლებლობა ყოველთვის იყო და არის დამოკიდებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, საიდანაც, შესაბამისად, სახელმწიფოს ექმნება შესაძლებლობა. მსოფლიოში საქმის ამგვარი მდგომარეობა საქართველოს უბიძგებს იმისაკენ, რომ გააცნობიეროს ინფორმაციული ფაქტორის როლი, არსებული რეალობა სახელმწიფო მმართველობასა და ეროვნულ უშიშროებაში და მიიღოს შესაბამისი ზომები სახელმწიფოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის.

4.1.1.2. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, ინფორმაციული საზოგადოება, ცოდნის მართვის ინფრასტრუქტურა

პოსტინდუსტრიული ანუ ინფორმაციული ეპოქა, ინფორმაციული ერა არის თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციის მიღება-გადაცემაში, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის შეძენის წყაროების უსწრაფეს ხელმისაწვდომობაში ადამიანის განუსაზღვრელი შესაძლებლობების არსებობა, რაც წარმოუდგენელი იყო კაცობრიობის განვითარების წინა ეპოქებში.

ინფორმაციული ერას კონცეფციის ჩამოყალიბების სათავეებთან დგანან: ამერიკელი მეცნიერი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, კიბერნეტიკისა და ხელოვნური ინტელექტის თეორიის ფუძემდებელი *ნორბერტ ვინერი* (Norbert Wiener;



ნორბერტ ვინერი
(Norbert Wiener; 1894-1964)
ამერიკელი მეცნიერი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, კიბერნეტიკისა და ხელოვნური ინტელექტის თეორიის ფუძემდებელი

1894-1964); ამერიკელი ინჟინერი და მათემატიკოსი, ინფორმაციის თეორიის ფუძემდებელი *კლოდ შენონი* (Claude Elwood Shannon, 1916-2001); პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიის ფუძემდებელი, ამერიკელი



კლოდ შენონი
(Claude Elwood Shannon, 1916-2001)
ამერიკელი ინჟინერი და მათემატიკოსი, ინფორმაციის თეორიის ფუძემდებელი



დენიელ ბელი
(Daniel Bell; 1919-2011);
პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიის ფუძემდებელი, ამერიკელი სოციოლოგი და პუბლიცისტი

სოციოლოგი და პუბლიცისტი *დენიელ ბელი* (Daniel Bell; 1919—2011); ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი *ელვინ ტოფლერი* (Alvin Toffler, 1928); ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი, XX საუკუნის მენეჯმენტის თეორეტიკოსი, „ინფორმაციული მუშაკის" კონცეფციის

ავტორი *პიტერ დრუკერი* (Peter Ferdinand Drucker, 1909-2005); ესპანური წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი, ინფორმაციული საზოგადოების თეორიის უდიდესი სპეციალისტი *მანუელ კასტელსი* (Manuel Castells, 1942); კანადელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, კომუნიკაციის საშუალებების ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების სფეროს თეორეტიკოსი *მარშალ მაკლუენი* (Herbert Marshall McLuhan, 1911-1980) და სხვ.

ინფორმაციული რევოლუცია შეეხო:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას - პირველი გამომთვლელი მანქანების, კომპიუტერების შექმნა, ტრანზისტორების გამოგონება, მათი მინიატურიზაცია, გლობალური ქსელების დაბადება და სხვ.
- ურთულესი ტექნიკური სისტემების შექმნას, ეს კი ტექნოლოგიების განვითარების მიღწევებმა გახადა შესაძლებელი, რითაც, თავის მხრივ, მიღწეულ იქნა წინა წლებთან შედარებით, წარმოუდგენლად დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფად დამუშავება.
- ამ სისტემების მართვისა და ეფექტური მუშაობისათვის მეცნიერული ბაზის განვითარებას. განვითარების პროცესების მექანისტურად[71] ახსნის არასრულყოფილებამ გამოიწვია კვლევის მეთოდოლოგიაში ახალი - სისტემური მიდგომის წარმოშობა.

---

[71] მექანისტური მატერიალიზმი. მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარების ერთ-ერთი საფეხური და ფორმა; განვითარების ამ საფეხურზე მატერიალიზმი ცდილობს ბუნების ყველა მოვლენა ახსნას მექანიკის კანონებით.

- XX საუკუნის შუა ხანებში ნორბერტ ვინერმა შექმნა ახალი მეცნიერება - კიბერნეტიკა - ურთიერთკავშირისა და სისტემების მართვის შესახებ.

- კლოდ შენონის მიერ შემუშავებულმა ინფორმაციის თეორიამ კი შეცვალა ინფორმაციისადმი მიდგომა. იგი იქცა გარკვეულ სიდიდედ, რომლის გაზომვა და დიდ მანძილზე დანაკარგის გარეშე გადაცემა შეიძლება.



ელვინ ტოფლერი
(Alvin Toffler; 1928-2016);
ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი




პიტერ დრუკერი
(Peter Ferdinand Drucker; 1909-2005)
ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი, XX საუკუნის მენეჯმენტის თეორეტიკოსი, "ინფორმაციული მუშაკის" კონცეფციის ავტორი

ინფორმაციული რევოლუციის შინაარსში სულ უფრო მზარდი ხდება ინფორმაციის ხარისხი და საჭიროება; მთავარი გახდა არა საქონლის წარმოება, არამედ მომსახურების გაწევა, ანუ იკვეთება მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის ტენდენცია.

ამავე დროს წარმოიქმნა და ვითარდება: 1. სოციალური ქსელები (Facebook, Twitter...) და ინტერნეტმედია - შორმა მანძილმა და საზღვარგარეთმა თანდათან დაკარგა შინაარსი.

2. მასობრივი კულტურა. იქმნება მთელი რიგი სუბკულტურები – საკუთარი ენით, უპირატესობებით, ფასეულობებით და სხვ.

2022 წლის ივნისის მონაცემებით დღეს მსოფლიოში რვა



მანუელ კასტელსი

(Manuel Castells; დ. 1942)
ესპანური წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი, ინფორმაციული საზოგადოების თეორიის უდიდესი სპეციალისტი



მარშალ მაკლუენი

(Herbert Marshall McLuhan, 1911-1980)
კანადელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, კომუნიკაციის საშუალებების ადამიანსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების სფეროს თეორეტიკოსი

მილიარდი (7,934,462,631) ადამიანიდან ხუთმილიარდნახევარი (5,473,055,736), თითქმის 70 პროცენტი ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია.[72] ევროპის 800 მილიონი (841,461,507) მოსახლიდან ინტერნეტს მოიხმარს 750.795.876 ადამიანი მოსახლეობის 70%, ხოლო რაც შეეხება სოციალურ ქსელებს, აქ ლიდეროზს ფეისბუკი, რომლის აბონენტია ევროპის 562.148.282 მოსახლე (მთლიანად მსოფლიოში

[72] Internet Usage Statistics, Internet World Stats, 2022 იხ. https://www.internetworldstats.com/stats.htm [25.08.2022]

3,159,938,077 ადამიანი ანუ მოსახლეობის 40%).[73] საქართველოში კი ინტერნეტს მოიხმარს 3,628,500 ადამიანი, თითქმის იმდენივე ფეისბუკის აბონენტია.[74] სომხეთში ინტერნეტს მოიხმარს 2,288,566 აბონენტი, ხოლო აზერბაიჯანში - 8,745,304.

ახალი თეორიის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა *მანუელ კასტელსის* ტრილოგიამ. მან გამოიკვლია ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენების პროცესები 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის კუთხით, იმ რევოლუციისა, რომელმაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სათავე დაუდო საზოგადოების ფუნდამენტურ გარდაქმნას.

მეოცე საუკუნეში მეცნიერებაში მოხდა სამი დიდი რევოლუცია:

1. კვანტური;
2. ბიომოლეკულური;
3. კომპიუტერული.

ამ რევოლუციებმა მსოფლიოს შესძინა სამი დიდი აღმოჩენა:

1. ატომი;
2. გენი;
3. კომპიუტერი.

---

[73] Internet Usage in the European Union, Internet World Stats, 2022 იხ. https://www.internetworldstats.com/stats9.htm [25.08.2022]

[74] GEORGIA. Internet World Stats. 2022 https://www.internetworldstats.com/asia.htm#ge [25.08.2022]

აქედან გამომდინარე, განვითარების თვალსაზრისით, კაცობრიობამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა. ამ აღმოჩენებს არ მიუღიათ „წმინდა აკადემიური" სახე, ისინი არ დარჩენილან მხოლოდ აბსტრაქციისა და თეორიის სფეროში, პირიქით, მათ უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონიეს დანარჩენი მსოფლიოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

საკმარისია მეცნიერული აღმოჩენის ტექნოლოგიად ქცევა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენება, რომ მან უზარმაზარი სოციალურ-პოლიტიკური აზრი შეიძინოს. ასევე დაემართა აზროვნებისა და ინფორმაციის სფეროში მომხდარ რევოლუციას. ინფორმაციულმა რევოლუციამ შექმნა ციფრული სამყარო, რამაც ადამიანი თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებამდე მიიყვანა, ახალმა ტექნოლოგიებმა კი კომუნიკაციების წარმოუდგენელი შესაძლებლობები წარმოქმნა, ისე, რომ მეცნიერული ფანტასტიკა და რეალობა თითქმის გააიგივა.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ისეთი და იმდენადვე დიდი ისტორიული მოვლენაა, როგორიც მე-18 საუკუნის ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც გარდატეხა გამოიწვია კაცობრიობის განვითარებაში, საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის საფუძვლებში. ტექნოლოგიურ რევოლუციათა ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ხასიათდებოდნენ ყოვლისმომცველი გავლენით, იჭრებოდნენ ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში, იქცეოდნენ მისი ცხოველმყოფელმყოფლობის უმთავრეს ფაქტორად.

მანუელ კასტელსის აზრით, ყველა სხვა სახის ტექნოლოგიური რევოლუციისაგან განსხვავებით, იმ ტრანსფორმაციების - ცვლილებების ბირთვი, რომლებსაც დღეს მსოფლიო განიცდის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის დამუშავების ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული. ელექტრონიკაზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მეხსიერების შეუდარებელ მოცულობას, ინფორმაციული ბითის შერწყმისა და გადაცემის არნახულ სისწრაფეს ფლობს. Word-პროცესორზე მომუშავე ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რომ სწორედ ელექტრონულ ტექსტს ახასიათებს ტექსტის უკუკავშირების, ურთიერთქმედებისა და გადამუშავება-გარდაქმნის დიდი და არსებითი მოქნილობა, რაც მთლიანად ცვლის თავად კომუნიკაციის პროცესს.

ინფორმაციული რევოლუციისათვის ინფორმაციული ტექნოლოგია იგივეა, რაც ენერგიის ახალი წყაროები იყო ინდუსტრიული რევოლუციისათვის. როგორც *მანუელ კასტელსი* მიუთითებს, დღეს მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს: არა ინფორმაციისა და ცოდნის პრიორიტეტულობა, რაც გამოკვეთილი იყო წინამორბედ პირველ და მეორე ინდუსტრიულ რევოლუციებში, არამედ ამ ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება ისეთი ცოდნისა და მოწყობილობების გენერირებისათვის, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციებს და ახორციელებენ კომუნიკაციებს ინოვაციებსა და ინოვაციების გამოყენების მიმართულებებს შორის უკუკავშირის კუმულაციურ სივრცეში. გამომყენებლები არა მხო-

ლოდ სწავლობენ ტექნოლოგიებს, არამედ ქმნიან მათ, ამდიდრებენ და გარდაქმნიან ქსელებს, თავად პოულობენ ახალ სფეროებს. ახალი ტექნოლოგიების შემოყვანას, გამოყენებასა და ახალ სფეროებში წინ წაწევას შორის უკუკავშირი ახალ ტექნოლოგიურ პარადიგმაში ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. შედეგად, ვიღებთ იმას, რომ ტექნოლოგიის გავრცელება უსასრულოდ აფართოებს მის ძლიერებას იმ ზომით, რა ზომითაც ეს ტექნოლოგიები აითვისება და ახლებურად განისაზღვრება მომხმარებლის მიერ. ამრიგად, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები უბრალოდ გამოსაყენებელი ინსტრუმენტები კი არ არის, არამედ პროცესებია, რომელთა შემუშავებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი და გამომგონებელი (შემქმნელი) ერთ პიროვნებაში შეიძლება გაერთიანდეს, ანუ მომხმარებელმა შეიძლება ხელში ჩაიგდოს ტექნოლოგიებზე კონტროლი, როგორც ეს ინტერნეტის შემთხვევაში მოხდა.

ყველაზე დიდი ნიშანი, რომელიც ახალ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს, არის საკუთარი თავის განვითარებისათვის მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიების დაუყოვნებლივ გამოყენება, რითაც მსოფლიოს ერთიან მთელად აკავშირებს. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბიძგი მისცა ისეთი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ისეთი საზოგადოების ფორმირებას, რომლის განვითარების ძალა გახდა არა მატერიალური პროდუქციის, არამედ ინფორმაციული

პროდუქციის წარმოება. მატერიალური პროდუქცია სულ უფრო მეტი ინფორმაციისა და თეორიული ცოდნის მომცველია, რაც მის ღირებულებებში ინოვაციების, დიზაინისა და მარკეტინგის წილის გაზრდას ნიშნავს.

კულტურული და სოციალური ცვლილებების თვალსაზრისით, ინფორმაციული რევოლუცია გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე - ჯანმრთელობასა და განათლებაზე, პოლიტიკაზე და ა.შ. ერთი რამ ნათელია, მსოფლიო დღეს უფრო სწრაფი გახდა, რადგან არსებობს ინტერნეტი, მობილური ტელეფონები და ა.შ., მოხდა ეკონომიკის ელექტრონიზაცია - ისიც ციფრული გახდა. გლობალური ფინანსური ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. კომპიუტერის მართვა ხდება საათივით გლობალურად ინტეგრირებულ ფინანსურ ბაზარზე. მილიონობით დოლარის ღირებულების ტრანსაქცია შესაძლებელია ელექტრონულად სულ რამდენიმე წამში.

ინფორმაციული რევოლუცია ცვლის როგორც სამუშაო ადგილს, ისე თვითონ მუშაობის, შრომის შინაარსსაც. ეს ცვლილებები, მკვლევართა აზრით, გამოიხატება შემდეგში:

- უკვე „გადაწყვეტილებებს იღებს“ კომპიუტერული, სისტემური პროგრამა;
- სამუშაო და შრომა უფრო აბსტრაქტული ხდება. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშას მეტი კონტაქტი ჰქონდა თავის პროდუქტთან, ახლა, პოსტინდუს-

ტრიულ-ინფორმაციულ ერაში ამას აგვარებს აბსტრაქტული სიტყვები და სიმბოლოები დახვეწილი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით;

- სამუშაო ადგილზე ინტეგრაცია იზღუდება, ინფორმაციულმა რევოლუციამ ხალხი კომპიუტერს მიაჯაჭვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ საკუთარი თავის წარდგენა კომპიუტერისათვის უწევთ და, შესაბამისად, ნაკლები კონტაქტები აქვთ ერთმანეთთან;

- კომპიუტერის საშუალებით ზედამხედველს შეუძლია მუდმივად აკონტროლოს მომუშავე პერსონალი. კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრავს სოციალურ წესრიგს, აყალიბებს იერარქიულ დამოკიდებულებას დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის;

- სხვადასხვა სოციალური მოძრაობა, რომელიც სოციალური ქსელების (Facebook, Twitter და სხვ.) საშუალებით ყალიბდება, ამავე ქსელების მეშვეობით გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. ფეხს იკიდებს ე.წ. ციფრული (ელექტრონული) დემოკრატია;

- დიდი მასშტაბები შეიძინა ციფრულმა ურთიერთობებმა და სხვ.

წარმოიშვა კიბერსივრცე, ვირტუალური რეალობა, ანუ ციფრული სამყარო, სადაც კომუნიკაცია, პოლიტიკა, რელიგია და სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ცხადია, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს გარკვეული რისკებიც ახლავს, მაგრამ ჯერჯერობით ძნელია

იმის ამოცნობა, თუ რა უარყოფით შედეგებს შეიცავს ციფრული სამყარო. მის მიერ გამოწვეული ზოგიერთი ცვლილება გაცილებით ღრმა სოციალური ხასიათისაა. თანდათან ყალიბდება „პოსტადამიანური საზოგადოება“. ადამიანი სცილდება საკუთარ ადამიანობას. იქმნება ცხოვრების ახალი ფორმები (დროის შეგრძნების ახალ-ახალი ფორმები), ინგრევა კლასიკური ცხოვრების რიტმი.

კიბერსივრცემ წარმოშვა სხვა მრავალი პრობლემა:

- ვინაიდან მთავარი ხდება ქსელში ჩართვა, კომპიუტერული ქსელი, თავის მხრივ, ბოლოს მოუღებს კომუნიკაციის ისეთ მასობრივ საშუალებას, როგორიც ტელევიზიაა (ანუ ცენტრალიზებული მაუწყებლობა ჰომოგენური აუდიტორიისათვის), რადგან მისი მეშვეობით კომუნიკაციები ინდივიდუალური და ინტერაქტიული ხდება;
- ინტერნეტი ხელს უწყობს საზოგადოების ფრაგმენტაციას. თვით დღეს არსებული საკაბელო და თანამგზავრული ტელევიზია მიზნობრივ აუდიტორიაზეა მორგებული, წინასწარ შერჩეული ინფორმაციით აცალკევებს მაყურებლებს. საშუალება თავად იქცევა მესიჯად (გზავნილად). ხდება აუდიტორიის განსხვავებული ბაზრების უზრუნველყოფა კასტომიზირებული და დივერსიფიცირებული პროგრამებითა და არხებით;
- იზრდება და ყალიბდება ცხოვრების საშინაო წესი, რომელიც დასვენებასა და გართობაზეა ორიენტირებული;

- ინტერნეტი (ინტერაქციებისა და ინდივიდუალიზაციის) ხელს უწყობს ელექტრონული საზოგადოებების შექმნას, რომლებიც უფრო დააკავშირებენ ადამიანებს ერთმანეთთან, ვიდრე გააცალკევებენ. ხდება „ვირტუალური თანასაზოგადოებების“ შექმნა ქსელში;

- ყალიბდება „რეალური ვირტუალურობა“, რომელიც მოიცავს ტექსტის, აუდიო, ვიდეო, ვიზუალური ფორმების შენადნობს, ანუ მულტიმედიას. ფაქტობრივად, როდესაც ადამიანი იმყოფება დაძაბულ ქსელურ ურთიერთობებში და, შესაბამისად, შედის ურთიერთობებში სხვებთან, იგი გამოცდილებით იყენებს ერთადერთ რეალობას - მედიის რეალობას.

კასტელსი არ შემცდარა, როდესაც აღნიშნა, ეს სისტემა მთლიანად მოცული და ჩაფლულია ვირტუალურ სამყაროში, გამოგონილ სამყაროში, რომელშიც გარეგანი ანარეკლები არა მხოლოდ გვამცნობს რომელიღაც გამოცდილების შესახებ, არამედ თვითონ იქცევა გამოცდილებად.

XXI საუკუნეში პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა ცოდნა და ინფორმაციის გენერირების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ტექნოლოგიები, ე.წ. ინტელექტუალური ტექნოლოგიები გახდა. ახალი მსოფლიო - ეს კიბერსივრცეა, კომპიუტერების, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების სამყაროა, ქსელების მსოფლიოა, რომელთა გამოყენების მასშტაბებსა და ეფექტურობაზე პირდაპირაა დამოკიდებული ხალხებისა და სახელმწიფოების კეთილდღეობა.

დღეს იგებს ის, ვინც ინფორმაციისა და ცოდნის წარმოებაზე აკეთებს აქცენტს. ძველი დროისგან განსხვავებით, ცოდნა, ახალ-ახალი ინფორმაციების მოპოვება და გაცვლა აღარ არის რჩეულთა პრივილეგია. სახელმწიფოს ძლიერება და სიმდიდრე განისაზღვრება არა ცოდნის იმ ჯამით, რომელიც „მკვდარ ტვირთად“ დევს სადღაც ფუნდამენტური მეცნიერებების საფუძველში, არამედ ამ ცოდნისა და ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო დაუფლების შესაძლებლობებით და, მაშასადამე, მათი გავრცელების სიჩქარით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, კიბერსივრცის ათვისებით, კომუნიკაციის ქსელთა ქმედითობით. რაც უფრო მაღალია ინფორმაციის (ცოდნის) წარმოების, განაწილებისა და გავრცელების ტემპები, რაც უფრო სწრაფად გარდაიქმნება ისინი ახალ ტექნოლოგიებად, სასარგებლო გამოგონებებად, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ზრდის ტემპები.

ინფორმაციული რევოლუციის შედეგად არა მხოლოდ წარმოება, არამედ თვით ადამიანთა ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა შეიცვალა, გაიზარდა კულტურული, პოსტმატერიალისტური ღირებულებების მნიშვნელობა მატერიალურ ღირებულებებთან შედარებით. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი სოციალური სისტემა – ინფორმაციული საზოგადოება, სადაც პრიორიტეტულია არა საქონლის წარმოება და მომსახურება, არამედ ცოდნისა და ინტელექტის წარმოება და მოხმარება, რასაც გონებრივი შრომის წილის

გაფართოებასთან მივყავართ; შეიქმნა ინფორმაციული საზოგადოება, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს შემოქმედების უნარს და სადაც იზრდება ცოდნაზე მოთხოვნილება.

ტერმინი „ინფორმაციული საზოგადოება" XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში *ფრიც მახლუპმა* (Fritz Machlup, 1902 – 1983) და *თადაო უმესაომ* (Umesao Tadao, 1920 - 2010) შემოიღეს. *დენიელ ბელის* მიერ ნაწინასწარმეტყველები ინდუსტრიული საზოგადოების ინფორმაციულ საზოგადოებად გარდაქმნის თეორია განავითარეს იაპონელმა *იონეჯი მასუდამ* (Yoneji Masuda, 1905–1995) და სხვებმა. მასუდას მოსაზრების მიხედვით, კომპიუტერიზაცია ცვლის ადამიანის ბუნებას და გარდაქმნის მას Homo Sapiens-იდან Nomo Intelligens -ად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კომუნიკაციის სისტემებისა და კავშირების ახალი საშუალებები ამცირებენ ადამიანთა დამაშორებელ მანძილსა თუ სხვა, ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს. უფრო მეტიც, ისინი არ ცნობენ ქვეყნებისა და ხალხების გამყოფ საზღვრებს. ახალი ინფორმაცია, ახალი ცოდნა წარმოებული ერთი ინტელექტის მიერ, მყისიერად ხდება ყველას მონაპოვარი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. მსოფლიო არასდროს ყოფილა ამდენად ერთნაირი. იგი „გლობალურ სოფელს" ემსგავსება, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ. ყალიბდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოება, რომლის ერთიანობა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინტელექტუალური ტექნოლოგიებით.

ინფორმაციულია საზოგადოების განვითარების ეტაპი, რომელზეც ინფორმაცია და მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოების ნაყოფიერების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება; ხდება ასევე ცოდნის მოცულობის ექსპონენტური ზრდა, ცოდნის გაორმაგების დროის სწრაფი შემცირება;

ცოდნის მართვის ინფრასტრუქტურა. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ცოდნის გაორმაგებას დასჭირდა 1750 წელი, მეორე გაორმაგება მოხდა 1900 წელს, ხოლო მესამე - 1950 წელს. **ინფორმაციის მოცულობა ყოველწლიურად ორმაგდება** (მალე ეს დრო წარმოუდგენლად შემცირდება), ესაა „ინფორმაციული აფეთქება", მაგრამ მთავარი მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდა არ არის, მთავარია ის ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად არევოლუციონირებენ საკუთარ თავს და „ცოდნით ცოდნის" მოპოვების გზით ინფორმაციასა და ცოდნას აქცევენ ერთ-ერთ ისეთ მთავარ სოციალურ ღირებულებად, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს და მას წარმოების ძირითად პროდუქტად, საქონლად აქცევს.

ცნობილი ამერიკული კომპანიის Arthur Andersen LLP-ის ანალიტიკოსების შეფასებით, ცოდნის მოცულობა, რომელიც კაცობრიობის განკარგულებაშია, ორმაგდება ყოველ ხუთ წელიწადში. 21-საუკუნის 30-იან წლებში კაცობრიობის ცოდნა გაორმაგდება ყოველ 72 დღეში. მომავალი თაობა, ინფორმაციული თვალსაზრისით, სრულიად სხვა რთულ გარე-

მოში იცხოვრებს. ამ კომპანიამ კიდევ ერთი საინტერესო ფორმულა შეიმუშავა: ცოდნა არის ადამიანს პლუს ინფორმაცია, აყვანილი ამ ინფორმაციის გავრცელების საშუალებების ხარისხში.

თუ გაანალიზდება ბოლო 20 წლის განმავლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გზა, აშკარაა მოძრაობის ტენდენცია მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიიდან ინფორმაციასთან მუშაობის საშუალებებისაკენ, იმ სისტემებისაკენ, რომლებიც მომხმარებელს ეხმარება ეფექტურად გააანალიზოს, შეიმეცნოს ინფორმაცია და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. მაგრამ ინფორმაციის ანალიზის საშუალებები ჯერ კიდევ ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. როგორც Reuters-ის გამოკვლევებმა აჩვენა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს გამოკითხული სპეციალისტების უმეტესობამ ინფორმაციული გადატვირთვა დაასახელა შიდა კომუნიკაციის (მათ შორის - ინტერნეტის ქსელის) ეფექტურობის პრობლემად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ ორგანიზაციებს გაუჩინა ცოდნის, გამოცდილების დაგროვებისა და დაგროვილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გამოყენების პრობლემა. ამიტომ დღითი დღე სულ უფრო იზრდება ინფორმაციულ საზოგადოებაში ცოდნის ეფექტური გამოყენების, ცოდნის მართვის მნიშვნელობა.

სადღეისოდ ინფორმაციული სისტემების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის შეფასების რაიმე საყოველთაოდ აღიარებული მეთოდიკა არ არსებობს. კიდევ უფრო

რთულია ცოდნის მართვის (Knowledge management) სისტემის შექმნა-დანერგვის შეფასება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ინდივიდუალური შეფასებების გაკეთება. საუბარია უნივერსალურ, საყოველთაოდ გამოსადეგ მეთოდზე. ჩვენ განვიხილავთ სწორედ დღეს არსებულ მიდგომებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მიახლოებით მაინც შევაფასოთ გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობა.

ცოდნის მართვის კონცეფციები. არსებულ კონცეფციებს შორის ძირითადია მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ტექნოლოგიურ პლატფორმაზე ან ორგანიზაციის თანამშრომლებზე.

ცოდნის მართვის კონცეფციები ახდენს ბიზნესის ოთხი ამოცანის იდენტიფიკაციას, რომელთა გადაწყვეტაც აუმჯობესებს ორგანიზაციის საქმიანობას ცოდნის მართვის მეშვეობით: ინოვაცია, აღქმის უნარი (რეაგირების სისწრაფე), შრომის მწარმოებლურობა, კომპეტენცია.

ინოვაცია - ახალი იდეების მოძიება და განვითარება, ადამიანების გაერთიანება ვირტუალურ გუნდში, ფორუმების შექმნა „გონებრივი შეტევებისა“ და თანამშრომლებისათვის - ძირითადი პირობებია კონკურენტებთან უპირატესობის მოსაპოვებლად.

აღქმის უნარი (რეაგირების სისწრაფე) - თანამშრომლების მომარაგება საჭირო ინფორმაციით, საჭირო დროს ცვლილებებისადმი მაქსიმალურად ეფექტური და სწრაფი ადაპტაციისათვის.

შრომის მწარმოებლურობა - ცოდნის მასივების განმეორებითი გამოყენების ეფექტურობა; ამიტომაც ცოდნის მართვისას განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია კორპორაციული ინფორმაციული რესურსების დოკუმენტირებაზე, კატალოგირებასა და გავრცელებაზე.

კომპეტენცია - ორგანიზაციული ცოდნის განვითარება. კონცეფცია, რომელიც ცოდნას განიხილავს როგორც ორგანიზაციის კაპიტალს, ვარაუდობს, რომ ის შედგება შემდეგი აქტივებისაგან: საბაზრო, ადამიანური, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური საკუთრება.

საბაზრო აქტივებია არამატერიალური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო ოპერაციებთან.

ადამიანურ აქტივებში იგულისხმება: ორგანიზაციის თანამშრომლების ცოდნის ერთობლიობა, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები, პრობლემის გადაწყვეტის უნარი, ლიდერის მახასიათებლები, სამეწარმეო და მმართველობითი ჩვევები.

ინფრასტრუქტურული აქტივები - ტექნოლოგიები, მეთოდები და პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მუშაობას.

ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს პატენტებს (გამოგონებებს), საავტორო უფლებებს, სამრეწველო ნიმუშებს, საქონლისა და მომსახურების სასაქონლო მარკებს, სიახლეებს, გეოგრაფიული აღნიშვნებს, კომერციულ საიდუმლოებებს და სხვ.

ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობის მუდმივი ზრდა ასახავს ორგანიზაციის კიდევ უფრო მეტ დამოკიდებულებას არამატერიალურ აქტივებზე და, შესაბამისად, მოცემული კონცეფციის მნიშვნელობა კი მის - აქტუალურობას. უფრო მეტიც, წარმოიქმნება ახალი ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ არამატერიალურ აქტივებს და აწარმოებენ მხოლოდ არამატერიალურ პროდუქტს. ესაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კონსალტინგური და სხვა ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი რესურსი ცოდნაა.

ორგანიზაციის ცოდნის მართვის სისტემა. ცოდნის მართვის სისტემის შესაქმნელად აუცილებელია სამი სახის ინფრასტრუქტურა: ორგანიზაციული, სოციალური და ტექნოლოგიური.

ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა - ნაკრები რეგლამენტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციაში ინფორმაციის დამუშავების ფორმალურ მხარეს. მაგალითად, ხშირად ცოდნის მართვის სისტემის დანერგვას ხელს უშლის ორგანიზაციის შიდა კონკურენცია: ბევრი მიეჩვია და თვლის, რომ ცოდნის გაზიარება კოლეგისათვის მისთვის არაა ხელსაყრელი. თუ ორგანიზაციაში არის ცოდნის ბაზა, მაშინ ყოველი თანამშრომელი რისკავს, რომ მის ნოუ-ჰაუს ან იდეას მოიპარავენ და მიითვისებენ, ამიტომ ეს საკითხები საჭიროებს ნათლად რეგლამენტირებას.

სოციალური ინფრასტრუქტურა ეფუძნება კორპორაციულ კულტურას. სწორედ ორგანიზაციის თანამშრომლებს

შორის ურთიერთობათა ხარისხია მაქსიმალურად მნიშვნელოვანი ცოდნის გავრცელებისა და გამოყენებისათვის. მუშა ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ იმისი უნარი, რომ გაავრცელონ ინფორმაცია როგორც ერთმანეთს შორის, ისე ჯგუფშიც. თანამშრომლებს საკუთარი სამუშაო ადგილიდან ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ყველა სახის ინფორმაციასთან. ორგანიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის შემენა, ანუ უნარი, მოიპოვოს ცოდნა დროისა და შრომის მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე.

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა მხარდაჭერილი უნდა იყოს საძიებო არქიტექტურით, ვინაიდან შეუძლებელია ინტელექტუალური კაპიტალის მართვა მასთან სწრაფად და ადვილად შეღწევის გარეშე. ასევე შეუძლებელია ცოდნის მართვა მხოლოდ სათანადო დანართის დაყენებით და გაშვებით - როგორც წესი, ესაა რთული აპარატულ-პროგრამული კომპლექსი. თუ ცოდნა მიღებულია, მაშინ დგება საკითხი მისი შენახვის ადგილისა და ხერხის გარკვევასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ, მონაცემთა ბაზებისაგან განსხვავებით, ასეთი საცავი ეფუძნება არა ინფორმაციას, არამედ ამოცანებს და მათ ამოხსნებს. ცოდნის ბაზა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ძებნამ წარმოადგინოს ყველაზე უფრო რელევანტური შედეგები, რომლებიც შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს გამოყენებული.

სიძნელეები წარმოიქმნება ცოდნის მართვის სისტემის პროექტის დანერგვისას ინფრასტრუქტურების რომელიმე სა-

ხეობის ორგანიზებაში დაშვებული შეცდომების გამო. კერძოდ კი, ეს შეიძლება იყოს ტექნიკური პლატფორმის დაპროექტებისას დაშვებული შეცდომები, თუმცა ასეთი სახის შეცდომების გასწორება ბევრად ადვილია, ვინაიდან აპარატულ-პროგრამული საშუალებები შედარებით ნაკლებად არის მიბმული ბიზნესპროცესებთან ან ორგანიზაციის სოციალურ სტრუქტურებთან, რასაც ვერ ვიტყვით ორგანიზაციულ და სოციალურ ინფრასტრუქტურებზე.

პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამოცანებთან, რომელთა რეალიზებაც ხდება ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ხშირად გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა პასუხისმგებელი დანაყოფის არადროული რეაქცია რეგლამენტაციის საჭირო შეცვლასთან დაკავშირებით.

სოციალური ინფრასტრუქტურით გამოწვეულ პრობლემებს შეიძლება მიეკუთვნოს კოლექტივის გათიშულობა.

იდეაში ცოდნის მართვის სისტემა უნდა ასრულებდეს რამდენიმე ფუნქციას, მათ შორის:

• ექსპორტი - ცოდნის ამორჩევა გარე საცავებიდან, თემატიკის მიხედვით დახარისხება, ანალოგების გამოვლენა;

• შესრულება - პრობლემის ან თემის ფორმულირება, შესაბამისი ცოდნის მოძიება;

• შუამავლობა - ფარული ცოდნის შეფასება. მომხმარებელთა ინტერესის გათვალისწინებით, სისტემას შეუძლია ერთმანეთს დააკავშიროს ადამიანები, რომლებიც მუშაობენ

ერთსა და იმავე პრობლემებზე ცოდნის გასაცვლელად. ფუნქცია ხორციელდება ჯგუფური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ინტერნეტპორტალებით, სამუშაოთა ნაკადის მხარდამჭერი სისტემებითა და დოკუმენტების მართვის საშუალებით;

• შემეცნება - მიღებული ცოდნის გამოყენება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ჩართვა, რომელიც საშუალებას აძლევს სისტემას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.

ცოდნის მართვაში გადაწყვეტილებების რეალიზების პორტალური ვარიანტი პოპულარულია ევროპის ქვეყნებში. ჩვეულებრივ, ეს არის რესურსი, რომელიც ინტეგრირებულია სხვადასხვა ინფორმაციულ სისტემასთან და დანართთან. ეს არის კორპორაციული ბიბლიოთეკა, რომელიც დაყოფილია თემატურ განყოფილებებად და რომლებშიც ინფორმაციის განახლება ხდება რეალურ დროში. პორტალის თავისებურებაა პერსონალიზაციის შესაძლებლობა - მომხმარებელს შეუძლია ამოირჩიოს ის დანართი, რომელიც მას მოცემულ მომენტში სჭირდება. აშშ-ის ანალიტიკური ჯგუფ Meta grup-ის მონაცემებით, იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ნერგავენ ცოდნის მართვის სისტემებს, 81%-მა თავისი ყურადღება შეაჩერა პორტალურ ვარიანტზე.

სისტემის პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფა უნდა იყოს მასშტაბური, ანუ უნდა ჰქონდეს ორგანიზაციაში ცვლილებების შესაბამისად განვითარების შესაძლე-

ბლობა. ამასთან ერთად, სისტემები უნდა იყოს მაქსიმალურად ღია, ე.ი. უნდა იყოს მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობა სხვა სისტემებთან, რათა გარეშე პარტნიორებთან ურთიერთობისას ინფორმაციის გაცვლა ხდებოდეს ოპერატიულად, ზედმეტი დაყოვნების გარეშე.

ცხადია, რომ ინდუსტრიული ეპოქიდან ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლის შემდეგ კაცობრიობის განვითარებაში მომხდარი ყოვლისმომცველი გრანდიოზული ეპოქალური ცვლილებები ადამიანებისაგან სათანადო გაცნობიერებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, რადგან ისინი მთელი სისავსით აისახება თანამედროვე სახელმწიფოების საერთოდ შემდგომი არსებობისა და ქვეყნების ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.

4.1.1.3. საომარი მოქმედებისა და დაპირისპირების მეხუთე სივრცე

4.1.1.3.1. ინფორმაციული ომების თეორიის განვითარების ეტაპები

თანამედროვე გაგებით, ტერმინი „ინფორმაციული ომი“ პირველმა გამოიყენა უნგრული წარმოშობის ამერიკელმა ექსპერტმა *თომას რონამ* (Thomas P. Rona, 1923-1997) [75] საავიაციო და თავდაცვის ტექნიკის მწარმოებელი კორპორაცია „ბოინგისათვის“[76] 1976 წელს გაკეთებულ ანგარიშში „იარაღის სისტემები და ინფორმაციული ომი“. არსებითად,

[75] შემდგომში, 1980-იან წლებში იგი გახდა თეთრი სახლისა და თავდაცვის სამინისტროს მრჩეველი რონალდ რეიგანისა და უფროსი ბუშის პრეზიდენტობის დროს.

[76] იგი ამ კორპორაციაში მუშაობდა 1959-1984 წლებში.

მისმა ამ ნაშრომმა მთელი ორი ათეული წლით გაუსწრო თანამედროვეობას.[77] მას შემდეგ, უამრავი ადამიანი შეეცადა განესაზღვრა ეს ტერმინი, მრავალი ტომი მიეძღვნა ინფორმაციული ომების თემას, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. არა მარტო მკვლევრები და პრაქტიკოსები, არამედ უწყებებიც კი ხშირად, არა მარტო ტერმინს, არამედ მთლიანად ამ სფეროს სხვადასხვანაირად განმარტავენ და სხვადასხვა სახელებითაც კი მოიხსენიებენ. მოკლედ, ფაქტია, რომ ინფორმაციული ომების პრობლემების კვლევისადმი არ არის ჩამოყალიბებული ერთნაირი აკადემიური მიდგომა.

ინფორმაციული ომის თეორიას (პრაქტიკასაც) საფუძვლად დაედო სწორედ *თომას რონას* მიერ გასული საუკუნის 70–იან წლებში წამოწეული საკითხები. იგი შიგა და გარე ინფორმაციული ნაკადების ანალიზისას, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ინფორმაციული ნაკადების მნიშვნელობის შესახებ და იძლეოდა რჩევას ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით გამახვილებულიყო: გაზარდო საკუთარი ინფორმაციის მოცულობა, მოუსპო მოწინააღმდეგეს ჭეშმარიტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა, მოწინააღმდეგის ინფორმაციულ ნაკადებში განათავსო მოჩვენებითად სარწმუნო, სინამდვილეში კი ყალბი ინფორმაცია. მოწინააღმდეგის ინფორმაციულ ნაკადებზე ზემოქმედება კი, მისი აზრით, გამოიწვევს მნიშვნელოვან შედეგებს:

---

[77] ზოგიერთი ტერმინის „ინფორმაციული ომი“ კონტექსტის მიუხედავად ფაქტიურ ავტორად მიიჩნევს ჟურნალისტ *დეილ მაინორს* (Dale Minor), რომელმაც 1970 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ინფორმაციული ომი“.

- მოწინააღმდეგეს დააეჭვებს საკუთარი ცოდნის არაადეკვატურობაში, ამ გაურკვევლობის გამო კი თავს შეიკავებს აგრესიული მოქმედებებისაგან;
- საკუთარ უცოდინრობაში დაეჭვებული მოწინააღმდეგე, დაიწყებს საკუთარი რესურსების გადანაწილებას, რათა მეორე მხარეს შეუხღუდოს შესაძლო არჩევანის საშუალება, რითაც მისი გამარჯვების შანსები კიდევ უფრო შესუსტდება.



ჯონ მალხაზ დევიდ შალიკაშვილი
(1936–2011), ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გენერალი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი 1993–1997 წლებში.

ინფორმაციული სივრცის განვითარების ტენდენციებმა, ***თომას რონს*** ანგარიშის დაწერიდან 20 წლის შემდეგ, მოითხოვა კვლავ დაბრუნებოდნენ ინფორმაციული ომის პრობლემატიკას.

სამხედრო თვალსაზრისით, ტერმინი „ინფორმაციული ომი“ გამოყენებული იქნა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში, რაც დაკავშირებული იყო პერიოდთან, როდესაც „ცივი“ ომის დამთავრების შემდეგ აშშ-ს შეიარაღებული ძალების წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები და ამერიკელმა



სამხედრო თეორეტიკოსებმა გააქტიურეს კვლევები ამ მიმართულებით. 1991 წელს ერაყში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ იქცა ამ ტერმინის აქტიურად გამოყენების ერთგვარ კატალიზატორად. შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავჯდომარის *ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის* 1993 წელს გამოცემულ #30 დირექტივაში მოცემულია ბრძოლის ველზე ინფორმაციული ომის ძირითადი დებულებების საკმაოდ დეტალური დასაბუთება - გადმოცემულია მართვის სისტემებთან ბრძოლის კონცეფცია.

კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამერიკის სამხედრო უნივერსიტეტის პროფესორის, *რობერტ ბანკერის* (Robert J. Bunker) მიერ 21-ე საუკუნეში აშშ–ს შეიარაღებული ძალების ახალი სამხედრო დოქტრინისადმი (Force XXI) მიძღვნილ სიმპოზიუმზე 1996 წელს გაკეთებულმა მოხსენებამ[78] სიახლე შემოიტანა სამხედრო მოქმედებების მთლიან თეატრში, იგი გაიყო ორ შემადგენელ ნაწილად – ტრადიციული სივრცე და კიბერსივრცე. ამასთან, კიბერსივრცეს მიენიჭა ბევრად მეტი მნიშვნელობა. ამრიგად, სამხედრო მოქმედებათა წარმოების სფეროთა რიცხვში, მიწას, ზღვას,

[78] Bunker, Robert J. (1996). Advanced Battlespace and Cybermaneuver Concepts: Implications for Force XXI.“ Parameters 26.3 : 108-120. Print. http://scholarship.claremont.edu/cgu_fac_pub/132/ [25.08.2022]

ჰაერსა და კოსმოსთან ერთად ჩაერთო ინფოსფერაც. როგორც სამხედრო ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, ახალ ომებში განადგურების ძირითადი ობიექტები იქნებიან ინფორმაციული ინფრასტრუქტურა და მოწინააღმდეგის ფსიქიკა (გაჩნდა ახალი ტერმინიც "human net-work").

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საინფორმაციო ომების სტრატეგიული საკითხების ცნობილი უკრაინელი მკვლევარი ***გიორგი პოჩეპცოვი*** გამოყოფს 4 ეტაპს ინფორმაციული ომების თეორიის განვითარებაში.[79]



პირველი ეტაპი: *მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი* - აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო უნივერსიტეტის (ალაბამა) მეცნიერთა ჯგუფმა გააკეთა მომავლის ომების პროგნოზი და ჩამოაყალიბა ინფორმაციული ომის წანამძღვრები, განსაკუთრებულად აღინიშნა ის, რომ ომის ველზე ყველაზე სუსტ ადგილი იქნება ჯარისკაცის ტვინი;

მეორე ეტაპი: *მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასასრული* - ამერიკელმა ანალიტიკოსებმა, აშშ-ს უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სკოლის პროფესორმა ***ჯონ არქილამ*** (John Arquilla) და სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა

[79] Почепцов, Г. Г., Информационные войны. Новый инструментарий политики. Алгоритм, Москва, 2015.

დევიდ რონფელდმა (David Ronfeldt) ფუნდამენტურად გააშუქეს ინფორმაციული სტრატეგიის, კიბერომების და ინფორმაციული ომების პრობლემები. ამ თვალსაზრისით, მათი რედაქციით 1997 წელს გამოვიდა საინტერესო წიგნი „ათენის ბასაკში: მზადება კონფლიქტებისათვის ინფორმაციულ ეპოქაში".[80]



დევიდ რონფელდი

მესამე ეტაპი: *ესაა 21 საუკუნის გარიჟრაჟი* – ამ დროიდან შეიმჩნევა მიმდინარე ომების ეპიცენტრში მოხვედრილი პრაქტიკოსი სამხედროების მნიშვნელოვანი გააქტიურება, რომლებმაც სამხედრო ოპერაციებთან ერთად, დაიწყეს უკვე გავლენის ოპერაციებზე[81] საუბარიც, ამავე დროს, ხელი მიჰყვეს აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას.[82]

მეოთხე ეტაპი: მიმდინარეა, საჭიროებს ეპოქის შესაბამის ახალ თეორიებსა და ანალიტიკოსებს.

---

[80] Arquilla, J., Ronfeldt, D., In Athena's Camp: Preparing for Conflict in the Information Age, RAND Corporation (MR-880), 1997.

[81] გავლენის ოპერაცია, როდესაც მიზნების რეალიზება ხდება არა ფიზიკური, არამედ ინფორმაციული სივრცის ინსტრუმენტარიების საშუალებით.

[82] იხილე, მაგალითად,, Influence warfare. How terrorists and governments fight to shape perceptions in a war of ideas. Ed. by J.J.F. Forest. - Westport - London, Pages 392, 2009; Ideas as weapons. Influence and perception in modern warfare. - Ed. by G.J. David Jr, T.R. McKeldin III. – Washington, 2009.

ინფორმაციული ომების თეორიის განვითარების ყველა ეტაპზე, ადგილი აქვს თეორეტიკოსების პრაქტიკოსებით მუდმივად ჩანაცვლების ფაქტს, შემდგომშიც ეს ციკლი კვლავ მეორდება, რადგანაც დაგროვილი გამოცდილება ითხოვს მის ახალ გააზრებას. პირველი ეტაპის მკვლევართა შორის უნდა გამოიყოს აშშ-ს უმაღლესი სამხედრო-საჰაერო სკოლის პროფესორი *ჯორჯ სტაინი* (George J. Stein) და ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი *რიჩარდ შაფრანსკი* (Richard Szafranski). *ჯორჯ სტაინისთვის* [83] ინფორმაციული ომი არის, ინფორმაციის დახმარებით ეროვნული მიზნების მიღწევის საშუალება. მისი აზრით, ინფორმაციული ომი გულისხმობს საკუთარ ბაზაში იდეებსა და ეპისტემელოგიას, რამდენადაც მას აინტერესებს პროცესი, თუ როგორ ფიქრობენ და როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ადამიანები. ჯერ კიდევ ოცი წლის უკან მკაფიოდ იყო განსაზღვრული გადაწყვეტილებათა მიღების სფერო, სფერო როგორც სამხედროთა ინტერესების გამომხატველი.

რიჩარდ შაფრანსკი 1994 წელს ხაზგასმით მიუთითებდა მენტალური განზომილებისა და უმაღლესი ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ.[84] ომის ობიექტად მას მიაჩნია ოპონენტის იძულება დაემორჩილოს ჩვენს ნებასურვილს. იგი აკეთებს დასკვნას: „მოწინააღმდეგის ღირებულებათა ცოდნა და

[83] Stein, George J., Information Attack: Information Warfare In 2025, research paper presented to 'Air Force 2025', 1996.
http://csat.au.af.mil/2025/volume3/vol3ch03.pdf

[84] Szafranski, R. Neocortical warfare? The acme of skill // In Athena's camp. Ed. By J. Arquilla, D. Ronfeldt. - Santa Monica, 1997.

მისი რეპრეზენტაციული სისტემის[85] გამოყენება, გვაძლევს შესაძლებლობას სათანადოდ შეაფარდო ღირებულებები, იურთიერთობო მტრის ვერბალურ[86] და არავერბალურ ენაზე მოწინააღმდეგის ტკივილებთან."



კარგად ჩანს, რომ პირველი მონახაზები ძირითადად ორიენტირებული იყო ინფორმაციული ომის ადამიანურ განზომილებაზე, რამდენადაც იგი წარმოადგენდა გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში შეღწევის უმთავრეს საშუალებას. შემდგომში უკვე აქცენტი კეთდება ტექნიკურ ორიენტაციაზე და მთავარი ხდება არა კონტენტი,[87] არამედ დაცულ ინფორმაციულ დინებებში შეღწევა. ამჟამადაც, კვლავ ვუბრუნდებით ადამიანურ განზომილებებს, მხოლოდ უფრო მაღალ საფეხურზე - ცოდნისა და ღირებულებების დონეზე. ამასთან, ყოველი შემდგომი ეტაპი კი არ აუქმებს წინას, არამედ აფართოებს მის შესაძლებლობებს.

---

[85] რეპრეზენტაციული სისტემა – ადამიანის 5 გრძნობის ორგანო (მხედველობა, სმენა, შეგრძნება, ყნოსვა და გემო), რომელთა საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიღება, შენახვა და ქცევის განხორციელებისას შესაბამისი მოგონების აქტივირება.

[86] ვერბალური – სიტყვიერი, ზეპირი.

[87] ინფორმაციული შემავსებელი, შინაარსი

ფაქტია, რომ ინფორმაციულო ომების თეორიის განვითარების ეტაპების მონაცვლეობის დროს, აქცენტი კეთდება ადამიანური განზომილებიდან ტექნიკურზე, ხოლო შემდეგ, კვლავ ადამიანურ განზომილებაზე.

ინფორმაციული უშიშროების ამერიკელი მკვლევარი, ჯორჯთაუნის ინსტიტუტის დირექტორი, კომპიუტერული მეცნიერებების პროფესორი, სამხედრო-საზღვაო ასპირანტურის თავდაცვის ანალიზის დეპარტამენტის პროფესორი ***დოროთი დენინგი*** (Dorothy E. Denning)

1999 წელს დაბეჭდილ საკუთარ წიგნში აქცენტს აკეთებს ტექნიკურ განზომილებაზე და მისი განმარტებით ინფორმაციული ომი მიმართულია ინფორმაციული რესურსებისკენ.[88] იგი, ასევე ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას საკმაოდ ადვილად შეიქმნას ცრუ ინფორმცია ან გაყალბდეს არსებული ინფორმაცია. დოროთი დენინგი, მკაფიოდ განასხვავებს შემტევ ინფორმაციულ ომს და თავდაცვითისაგან.

დოროთი დენინგის შეხედულებებთან ახლოა აშშ–ს სამხედრო-საზღვაო აკადემიის მოწვეული პროფესორის, ***მარტინ ლიბიკის*** (Martin C. Libicki) ინფორმაციული ომის განმარტებაც, ესაა ინფორმაციის შეტევა ინფორმაციაზე. სხვათაშორის, აქედან გასაგები ხდება ნებისმიერი ფიზიკური შეტევის ამერიკული სამხედრო გაგება, როგორც ინფორმაციულისა,


---

[88] Denning, D.E., Information warfare and security. ACM Press. 1999. https://archive.org/details/informationwarfa00denn

თუ კი საფრთხე ექმნება ინფორმაციული ფუნქციის შესრულებას, მაგალითად, როდესაც ნადგურდება სატელეფონო სადგური ან სატელევიზიო ანძა.

მარტინ ლიბიკი ცალკე პარაგრაფს უთმობს მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში ინფორმაციის შეყვანას. ამ პროცესს ზღუდავს მხოლოდ ის, რომ ფორმატირებული ფაქტები ძალიან არ უნდა განსხვავდებოდნენ იმ ფაქტებისგან, რომელებიც საყოველთაოდაა ცნობილი.

მარტინ ლიბიკი, წიგნში „დაპყრობები კიბერცივრცეში“ გამოყოფს ორი ტიპის სტრუქტურას: „მოედნებს“, რომლებსაც



არ ეშინიათ სხვების ინტერვენციის და „ციხე-სიმაგრეებს“, რომლებიც თავს იცავენ სხვათა ინტერვენციისაგან. ციხე-სიმაგრეს განლაგებული აქვს მრავალი ფილტრი, რომლებიც აფერხებენ ინფორმაციის შიგნით მოხვედრას. მოედანს აქვს მრავალი გზა, ამიტომ მოიერიშე ცდილობს საკუთარი ხმაური განათავსოს იმ გზის ჩარჩოებში, საიდანაც ხელი შეეშლება გადაწყვეტილების მიღებას. სხვა ყველა ინფორმაციას, რომელთაც კავშირი არ აქვთ გადაწყვეტილების მიღებასთან, იგი უწოდებს გასართობ ინ-

ფორმაციას. მარტინ ლიბიკი ხაზგასმით აღნიშნავს ნარატივების[89] შესწავლის აუცილებლობაზე, რამდენადაც სწორედ მათში იჭვრიტება ახალი ცნობები.[90] ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ნარატივი ძალიან მკაფიოდ ანსხვავებს ჩვენიანებსა და არაჩვენიანებს.

მარტინ ლიბიკი, 1995 წელს, ასევე აღნიშნავდა, რომ ინფორმაციული ომისა და ეკონომიკურის შეხამებისას წარმოიშობა ინსტრუმენტარიების ორი ტიპი: ინფორმაციული ბლოკადის და ინფორმაციული იმპერიალიზმის. იგი ინფორმაციულ ბლოკადას აკავშირებს საზოგადოების ისეთ განვითარებასთან, როდესაც მათთვის ინფორმაციული ნაკადები იქნება ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც საქონლის ნაკადებია. აი, მაშინ შეიძლება შეიქმნას ასეთი ნაკადებისგან ქვეყნის ბლოკირების საჭიროების სიტუაცია. ინფორმაციული იმპერიალიზმი მას გამოყავს ეკონომიკური იმპერიალიზმის ცნებიდან. სავაჭრო ომები მოწოდებულია დაიცვას საკუთარი მწარმოებელი. კორპორაცია იცავს საკუთარ უნარებსა და ცოდნას და ყველანაირად აფერხებს სხვა ქვეყნების მიერ მათ ხელში ჩაგდებას.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, დღეს, გეოპოლიტიკა არის თამაში, სადაც ყველაზე უკეთ მუშაობს ფინანსური და კომერციული იარაღი. ეს ახალი გეოეკონომიკური თამაში

---

[89] ნარატივი - თხზულება, თხრობა; სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში.

[90] Libicki, M., Conquest in cyberspace. National security and information warfare. - Cambridge, 2007.

იქნება უფრო ეფექტური და დახვეწილი, ვიდრე წარსულის გეოპოლიტიკური შეტაკებები, მაგრამ ის ამით არ ხდება უფრო ნაკლებად დაუნდობელი და დამანგრეველი.

ჯონ არქილამ, რომელმაც ჩამოაყალიბა ძირითადად ამერიკული წარმოდგენა ინფორმაციული ომის შესახებ, დაიწყო თავდაპირველად ამერიკის საინფორმაციო სტრატეგიიდან.[91] ამჟამად *ჯონ არქილა* ჩამოცილებულია სამეცნიერო სამუშაოებს ინფორმაციული ომის სფეროში, რამდენადაც ძირითადად დაკავდა არარეგულარული ომების (Irregular warfare)[92] გამოკვლევებით.[93]

ჯონ არქილას აზრით, თანამედროვე კონფლიქტი განლაგებულია ორ პოლუსს შორის, ესენია: კიბერომი და ქსელური ომი. კიბერომი, ესაა მაღალი და საშუალო ინტენსივობის კონფლიქტები, ხოლო ქსელური ომი – დაბალი ინტენსიურობის კონფლიქტები და ომისგან განსხვავებული ოპერაციები. ამ უკანასკნელში არ გამოიყენება ორგანიზაციის იერარქიული ფორმები, სტრატეგიები და კომუნიკაციები. ქსელური ომი მთლიანად ცვლის მუქარების, როლებისა და მისიების არსს.

ტერმინი „ინფორმაციული ომი" მისთვის მეტად ფართოა, რომ მოინდომო მოიცვა ყველაფერი, მეორეს მხრივ, ის

---

[91] Arquilla J., Ronfeldt, D., The emergence of noopolitik. Toward an American information strategy. - Santa Monica, 1999.

[92] ზოგ ქვეყანაში სხვა სახელწოდებითაა ცნობილი, მაგალითად, გერმანიაში – პატარა ომები (Kleiner Krieg), ზოგან, პარტიზანული ომი და სხვ.

[93] Arquilla, J., Insurgents, raiders, and bandits. How masters of irregular warfare have shaped our world. - Chicago, 2011.

მეტად ვიწროა, რამდენადაც, პირველ რიგში, მიგვანიშნებს **კიბერსივრცის უსაფრთხოებისა და დაუცველობის ვიწრო ტექნიკურ საკითხებზე.**

ჯონ არქილა კიბერსივრცეში მეტი აქტიური მოქმედებების მომხრეა. მას შეიმუშავა წინმსწრები მოქმედების სამი შესაძლო სცენარი:



განმუხტვა სამხრეთ აზიაში: თუ პაკისტანი და ინდოეთი საზღვართან მოახდენენ არმიების კონცენტრირებას, უნდა მოხდეს ზემოქმედება მართვის ცენტრებზე ორივე მხარეს, ვიდრე არმიების არსენალში მყოფი ბირთვული იარაღი ომში ჩაერთვება;

ალ ქაიდას დაშლა: თუ დაზვერვიდან შემოვა ცნობა ასალი 11 სექტემბრისათვის მზადების შესახებ, უნდა გაკეთდეს ალ ქაიდას მებრძოლებისათვის დემონსტრირება იმისა, რომ მათ თვალყურს ადევნებენ და ისინი ქსელში არ არიან უსაფრთხოდ;

რუსეთის შეკავება: თუ რუსეთი ამზადებს ჯარს მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმისათვის, საჭიროა სამხედრო კომუნიკაციების გაწყვეტა, მწობრიდან გამოყვანა, რაც გამოიწვევს საომარი მოქმედების გადადებას, ეს კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიპლომატიური მოლაპარაკებებისათვის.

ჯონ არქილა თვლის, რომ წინმსწრები დარტყმა არის ერთადერთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის უშიშროებას. ასეთი სტრატეგიის პოზიტიურობა მისთვის მის სიიაფეშია. ამავე დროს მას აქვს არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ასეთი კონცეფციისადმი მსოფლიოში. „ცივი“ (cold) ომისგან განსხვავებით, თანამედროვე ომს იგი უწოდებს „მაგარს“ (cool). ის მიმდინარეობს ბიტებითა[94] და ბაიტებით[95]. საშუალებას იძლევა ფარულად ჩაერიო დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ასეთი ომი შეიძლება იყოს სრულიად ანონიმური და საკმაოდ იაფი.

არქილა ასევე, მოუწოდებს კაცობრიობას ომის წარმოებაში გარკვეული წესიერებისაკენ, ადამიანური ურთიერთობის გამოვლენას სამხედრო კონფლიქტშიც კი, ამან შეიძლება შედეგად მოიტანოს პოზიტიური შედეგები, როგორც ამას რეალური პრაქტიკიდან მის მიერ მოტანილი მაგალითები მოწმობს.

არქილამ 1999 წელს გააკეთა მოწოდება, რომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს, როგორც ინფორმაციულ

---

[94] ბიტი (Bit, Binary digit-ის შემოკლებული) - ინფორმაციის ყველაზე პატარა საზომი ერთეული. ორობითი / ბინარული ციფრი. ინფორმაციის გასაზომი მინიმალური ერთეული, რომლისგან ნაწარმოები ერთეულებია: ბაიტი, კილობაიტი, და ა.შ.; ერთ ბაიტ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორი შესაძლო მნიშვნელობა 0 ან 1. (კილობიტი (Kb) - 1024 ბიტი. მეგაბიტი (Mb) - 1024 კილობიტი/1048576 ბიტი. გიგაბიტი (Gb) – 1024, მეგაბიტი/1048576, კილობიტი/1073741824 ბიტი.)

[95] ბაიტი (Byte) - ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; უდრის 8 ბიტს; მისგან ნაწარმოები ერთეულებია: მეგაბაიტი, გიგაბაიტი, ტერაბაიტი და ა.შ. (კილობაიტი (KB) - 1024 ბაიტი. მეგაბაიტი (MB) - 1024 კილობაიტი/1048576 ბაიტი. გიგაბიტი (GB) - 1024 მეგაბაიტი/1048576 კილობაიტი/1073741824 ბაიტი.).

სტრუქტურირებას, ისე ინფორმაციის დამუშავებას. ამასთან, საგანგებოდ გამოყო სამი ინფორმაციული სივრცე:

კიბერსივრცე;

ინფოსფერა;

ნოოსფერა.

მან ჯერ კიდევ 1993 წელს იწინასწარმეტყველა კიბერომების დაწყება.[96] მას მაგალითად მოყავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. მისი აზრით, მაშინ რუსული შეიარაღებული ძალებისა და ტანკების მოძრაობა გაადვილა სწორედ თბილისის სამხედრო მმართველობის ცენტრზე კიბერშეტევამ.[97]

კანადელი მკვლევარი, მონაცემთა ბაზების სპეციალისტი, ვიცე-პოლკოვნიკი *როჯერ ვანდომე* (Roger Vandomme), ეროვნული უშიშროების შემსწავლელი ცენტრის მიერ 2010 წელს გამოცემულ წიგნში იკვლევს კიდევ ერთ ახალ ინსტრუმენტარიას: გავლენის ოპერაციას.[98]

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ინფორმაციული ომების პრობლემების კვლევისადმი არ არის ერთნაირი აკადემიური

---

[96] Arquilla, J., Ronfeldt, D., Cyberwar is Coming! Copyright: RAND Corporation, Document Number: RP-223. 1993. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/reprints/2007/RAND_RP223.pdf

[97] Arquilla, J., INSURGENTS, RAIDERS, AND BANDITS: How Masters of Irregular Warfare Have Shaped Our World. Chicago, Publisher: Ivan R. Dee, 2011; Arquilla, J., Worst Enemy: The Reluctant Transformation of the American Military. Chicago, Publisher: Ivan R. Dee, 2008.

[98] Vandomme, R. (2010).'From intelligence to influence: the role of information operations',Canadian Force College, Center for National Security Studies, Canada, viewed 22 January 2017 http://www.cfc.forces.gc.ca/237/251/vandomme-eng.pdf

მიდგომა. შედეგი კი შეიძლება მოგვცეს მეცნიერ-მკვლევრებისა და სამხედროების ძალების შეხამებამ. ამის მაგალითს იძლევა ბიჰევიორისტული დინამიკის ბრიტანული ინსტიტუტი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სამხედროებთან. ბრიტანელ მკვლევართა კვლევებში ჩადებულია სხვა ახალი ბაზა: მიმართულება არა ურთიერთობათა შეცვლაზე, არამედ ქცევის შეცვლაზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ურთიერთობათა შეცვლით, თქვენ ყოველთვის ვერ მიაღწევთ ქცევის შეცვლას, ამიტომაც მიზანი უნდა იყოს სწორედ ქცევის შეცვლა. საკუთარი მკაფიო ბაზა იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს და გაკრიტიკდეს სხვა საინფორმაციო კომპანიები. მაგრამ მათი მოდელიც ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია, რამდენადაც გამკლავება უწევთ ზემომქმედ მრავალ ფაქტორთან.

1996 წელს აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა „ინფორმაციული ომის ერთიანი დოქტრინა", 1998 წლის ოქტომბერში კი აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ მის მაგივრად შემოიღო მოქმედებაში „ინფომაციული ოპერაციების ერთიანი დოქტრინა" (Joint Doctrine for Information Operations). ცვლილება გამოიწვია ინფორმაციულ ომსა და ინფორმაციულ ოპერაციას შორის განსხვავების გარკვევის საჭიროებამ. განსხვავება კი შემდეგშია:

ინფორმაციული ოპერაცია: მოქმედება, მიმართული იმისკენ, რომ შეაფერხოს მოწინააღმდეგის ინფორმაციული სისტემების მიერ ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, გადაცემისა და შენახვის პროცესი, ამავე დროს, უზრუნველყოს

საკუთარი ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების დაცვა.

ინფორმაციული ომი: კომპლექსური ზემოქმედება (ინფორმაციული ოპერაციების ერთობლიობა) მოწინააღმდეგე მხარის სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის სისტემაზე, მის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, რომელსაც უკვე მშვიდობიან დროს მიაღებინებს ინიციატორი-მხარისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს, ხოლო პირდაპირ კონფლიქტის დროს კი მოახდენს მოწინააღმდეგის მმართველობის ინფრასტრუქტურის სრულ პარალიზებას.

ინფორმაციული ომების მოქმედების ველი საკმაოდ ფართოა და მოიცავს შემდეგ მხარეებს:

1) სახელმწიფოს ცხოვრების უზრუნველმყოფი სისტემების ინფრასტრუქტურა - ტელეკომუნიკაციები, სატრანსპორტო ქსელი, ელექტროსადგურები, საბანკო სისტემები და სხვ.;

2) სამრეწველო შპიონაჟი - დაპატენტებული ინფორმაციის მიტაცება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემების დამახინჯება ან განადგურება; კონკურენტების შესახებ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვება და სხვ.;

3) დეზინფორმაციის წარმოების, VIP-პერსონების პირადი პაროლების, საიდენტიფიკაციო ნომრების, საბანკო ანგარიშების, კონფიდეციალური ხასიათის მონაცემების გატეხვა და გამოყენება.

4) სამხედრო ობიექტებისა და სისტემების მეთაურობისა და მმართველობის პროცესში ელექტრონული ჩარევა, „საშტაბო“ ომი, ქსელური სამხედრო კომუნიკაციების მწყობრიდან გამოყვანა;

5) მსოფლიო კომპიუტერული ქსელები (ინტერნეტი).

რა აზრიც არ უნდა ჩაიდოს თანამედროვე ცნებაში „ინფორმაციული ომი“, ის გაჩნდა სამხედროების წრეში და აღმნიშვნელია, პირველ ყოვლისა, საქმიანობისა, რომელიც შეჯერებულია რეალურ სამხედრო მოქმედებებთან. სამხედრო ექსპერტები, რომლებმაც გააკეთეს ინფორმაციული ომის დოქტრინის ფორმულირება, მკაფიოდ აქვთ წარმოდგენილი მისი ცალკეული მხარეები: ეს ბრძოლა საშტაბო, ელექტრონული, ფსიქოტრონული, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, კიბერნეტიკული და სხვ.

პენტაგონის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა „ჩვენ ვუახლოვდებით განვითარების ისეთ საფეხურს, როდესაც უკვე არავინაა ჯარისკაცი, მაგრამ ყველა მონაწილეა საბრძოლო მოქმედებების, დღეს ამოცანაა არა ცოცხალი ძალის განადგურება, არამედ მოსახლეობის მიზნების, შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის შერყევა, სოციუმის დაშლა“.

საბოლოოდ, ზოგადი განმარტებით, ინფორმაციული ომი არის სოციუმის სუბიექტებს შორის ურთიერთდაპირისპირების პროცესში სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ერთმანეთზე ღია ან ფარული, მიზანმი-

მართული ინფორმაციული ზემოქმედება სამხედრო, მატერიალურ, პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ სფეროებში გარკვეული უპირატესობის მოსაპოვებლად.

4.1.1.3.2. კიბერომი და კიბერსივრცე

პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია ინფორმაციულ ეპოქაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო და კიბერტექნოლოგიების წარმოუდგენლად არნახული განვითარების ფონზე კიბერთავდასხმების განუსაზღვრელი მასშტაბების შეუქცევადი პროცესებით, რაც მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს უშიშროების უზრუნველყოფის ზომების გაძლიერების აუცილებლობას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხედრო კონფლიქტების კლასიკურ სახეებს თანდათან ენაცვლება სახელმწიფოთა დაპირისპირების ახალი ფორმები, თანამედროვე ომების ახლებური სახეები: ინფორმაციული, ეკონომიკური, დიპლომატიური, ჰიბრიდული, ფსიქოლოგიური და სხვ. ომები.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ინფორმაციული ომის ნაირსახეობა კიბერომი და მისი საომარი მოქმედებისა და დაპირისპირების არეალი - კიბერსივრცე. დღეისათვის არ არსებობს კიბერსივრცის შეთანხმებული ოფიციალური განმარტება. მაგალითად, ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონის მიხედვით, იგი განიხილება, როგორც წარმოსახვითი სივრცე ფიზიკური ადგილმდებარეობის გარეშე, რომელშიც ურთიერთობენ კომპიუტერული ქსელების მეშვეობით. იგივე ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი განსხვავებულ

განმარტებას იძლევა: კიბერსივრცე არის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსი, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. კემბრიჯის ლექსიკონი გვამცნობს, რომ ეს არის „ელექტრონული სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპიუტერის მომხმარებლებს მთელ მსოფლიოში იურთიერთონ ერთმანეთში და ნებისმიერი მიზნისათვის მიიღონ წვდომა ინფორმაციასთან“. აშშ-ის მთავრობის ოფიციალური საიტი „კომპიუტერული უსაფრთხოების რესურსების ცენტრის“ (COMPUTER SECURITY RESOURCE CENTER - CSRC) ლექსიკონის მიხედვით, კიბერსივრცე არის გლობალური ზონა საინფორმაციო გარემოში, რომელიც შედგება საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურების ურთიერთდამოკიდებული ქსელისაგან, მათ შორის - ინტერნეტის, ტელეკომუნიკაციის ქსელების, კომპიუტერული სისტემების, ჩაშენებული პროცესორებისა და კონტროლერების ჩათვლით. კიბერსივრცის 30-ზე მეტი განმარტება შეიძლება მოიძებნოს როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ოფიციალურ სამთავრობო წყაროებში; ამიტომ ყველასათვის გასაგებად, შეიძლება უფრო მარტივად ითქვას, კიბერსივრცე არის პირობითი გარემო, რომელშიც კომუნიკაცია ხდება კომპიუტერული ქსელების მეშვეობით.

აქამდე ცნობილი იყო ომის წარმოების ტრადიციული სივრცეები - მიწის, ზღვისა და ჰაერის, მოგვიანებით დაემატა

კოსმოსიც. 21-ე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა სრულიად ახალი და განსხვავებული საომარ მოქმედებათა ველი - კიბერსივრცე. 14-ათასწლოვანი ისტორიის მქონე ტრადიციული ომები სრულიად განსხვავდება კიბერომისაგან. ამერიკელი პოლიტოლოგი, სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი *კონვეი ჰენდერსონი* (Conway W. Henderson) აღნიშნავს: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წლიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე ადგილი ჰქონდა 14500 ომს, რომლებმაც 3,5 მილიარდი ადამიანი შეიწირა, კაცობრიობამ მშვიდობიანად მხოლოდ 300 წელი იცხოვრა". ეს ნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორია ეს ომების ისტორია ყოფილა.[99]

ჩიკაგოს ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი *ლოურენს კილი* (Lawrence H Keeley) კლასიკად ქცეულ საკუთარ წიგნში „ცივილიზაციამდელი ომი" თვლის, რომ პირველი ომის ნაკვალევი გვხვდება 14 ათასი წლის წინანდელ, მეზოლითის ხანის სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც ჩონჩხების 45%-ს აღენიშნება ძალადობრივი ზემოქმედების კვალი.[100] თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, ეროვნული უშიშროების კურსის ხელმძღვანელი, ავტორი წიგნისა „ომი ადამიანთა ცივილიზაციაში", *აზარ გათი* (Azar Gat) აღნიშნავს, რომ 5 ათასი წლის წინათ, სახელმწიფოების

---

[99] Henderson C., Understanding International Law. John Wiley & Sons, 2010, იხ. ასევე Walker S.H., 100 Quotes about War. Compagnie du Savoir. 2016 http://www.audiobooks.com/audiobook/100-quotes-about-war/255623 [25.03.202]

[100] Keeley, Lawrence H. War Before Civilization: The Myth of the Peaceful Savage. Publisher: Oxford University Press, 1997.

წარმოქმნიდან დაწყებული, ომებმა მოიცვა დედამიწის უმეტესი ნაწილი.[101]

ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ დონეზე ორგანიზებული ომი, როდესაც ერთი საზოგადოება მეორეს დაუპირისპირდა, საკვებწარმოებითი რევოლუციის (ნეოლითური ხანა) გამო აღმოცენებული მოვლენა უნდა ყოფილიყო, რასაც ალბათ დიდწილად განაპირობებდა ამ რევოლუციის შედეგად შექმნილი, ნამატი პროდუქტის მიტაცების სურვილი. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, ომის (ბრძოლა ტერიტორიების, საკუთრებისა და ქალებისათვის) პირველი ნაკვალევი ძველ ახლო აღმოსავლეთში იძებნება.

სამხედრო ისტორიკოსების აზრით, არ არის შემთხვევითი, რომ იმ ქვეყნებში (შუმერი, ეგვიპტე), სადაც მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ ყველაზე ადრე მიაღწია განსაკუთრებულ მასშტაბებს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა კარგად ორგანიზებული არმიები. მაგალითად, შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს დაახლოებით ათი ათასამდე მეომრისაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ. მებრძოლები შეიარაღებული იყვნენ სპილენძის (უფრო გვიან - ბრინჯაოს) იარაღებით, მშვილდ-ისრებით, შუბებითა და ცულებით. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მესოპოტამიაში, ასევე - ეგვიპტეშიც, თანდათანობით მატულობდა ბრინჯაოსაგან დამზადებული, მაღალი ხარისხის, სულ უფრო დახვეწილი იარაღის ნაკეთობები. იმ დროს შუმერთა ქვეითი

---

[101] Gat, Azar. War in human civilization. New York: Oxford University Press, 2006.

ჯარი შეიარაღებული იყო შუბებითა და სატყორცნი ხელშუბებით, მახვილებითა და სატევრებით, საბრძოლო ცულებითა და კვერთხებით. ფართოდ გავრცელებულ იარაღს მთელ ძველ აღმოსავლეთში წარმოადგენდა მშვილდ-ისარი და შუბი, რომლითაც იყო შეიარაღებული ქვეითი ჯარი მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ჩინეთში.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთის სამხედრო საქმეში ჩნდება ტექნოლოგიური სიახლე – ცხენებიანი, მსუბუქი საბრძოლო ეტლი. ეტლში მოთავსებული იყო: შუბი, მახვილი, სატევარი, კვერთხი და მშვილდისარი. ეტლები თავისი ეფექტურობით ბრინჯაოს ხანის ტანკებს წარმოადგენდნენ. მათმა გამოყენებამ უმაღლეს დონეს მიაღწია კადეშის ბრძოლის დროს (ძვ. წ. 1274 წ.), როდესაც ბრძოლის ველზე ორივე მებრძოლი მხრიდან 6000-მდე ეტლს უნდა მიეღო მონაწილეობა. შემდგომ დენთის გაჩენამ და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ ინდუსტრიული ეპოქის ომები მოიტანა. განსაკუთრებით გამოირჩევა გამანადგურებელი გლობალური ომებით მე-20 საუკუნე. პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918) 9 მილიონამდე ადამიანი შეიწირა, ხოლო ყველაზე მასშტაბურმა და სისხლისმღვრელმა მეორე მსოფლიო ომმა (1939-1945) - 60 მილიონზე მეტი.

პირველი მსოფლიო ომისათვის დამახასიათებელი იყო ძველი ტიპის ომის ბატალიები, შეიარაღებული ადამიანების შებმა-შეტაკებები, ცხენოსანი ჯარის გამოყენება, უმნიშვნელო როლს ასრულებდა ტანკები და თვითმფრინავები. მეორე მსო-

ფლიო ომში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ტექნიკა – ტანკები, თვითმფრინავები, არტილერია. დიდი როლი ენიჭებოდა პროპაგანდას, მოწინააღმდეგეზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ეპოქის დადგომამდე ტრადიციული ომის გაგება არ გასცილებია ათასობით წლის წინათ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს მისი შინაარსის, ჯარისკაცების, ბრძოლის ველისა და იარაღის შესახებ.

ასევე ყურადსაღებია *უილიამს ლინდის* (William S. Lind), პოლკოვნიკ *კეიტი ნაიტინგეილის* (Keith Nightengale), კაპიტან *ჯონ შმიტის* (John F. Schmitt), პოლკოვნიკ *ჯოზეფ სუტონის* (Joseph W. Sutton) და ვიცე-პოლკოვნიკ *გარი ვილსონის* (Gary I. Wilson) მიერ 1989 წელს აშშ-ის სამხედრო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია „ომის სახეცვლილება: მეოთხე თაობაში".[102] გახმაურებული ომის ოთხი თაობის კონცეფციაც აქედან იღებს სათავეს. ავტორების მიერ დახასიათებული ომის ოთხი თაობის მოკლე შინაარსი ასეთია:

პირველი თაობის ომი მიახლოებით მოიცავს 1648-1860 წლებს. მას წინ უსწრებდა 1648 წელს დასრულებული 30-წლიანი ომის გაფორმება ვესტფალიის ხელშეკრულებებით, საერთაშორისო ურთერთობათა სისტემის ფუძემდებლური აქტით, რაც გულისმობდა: სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა

---

[102] Lind W. S., Nightengale K., Schmitt J.F., Sutton J.W., Wilson G. I., The Changing Face of War: Into the Fourth Generation. Marine Corps Gazette, 1989. https://www.mcamarines.org/files/The%20Changing%20Face%20of%20War%20-%20Into%20the%20Fourth%20Generation.pdf ; http://globalguerrillas.typepad.com/lind/the-changing-face-of-war-into-the-fourth-generation.html [25.03.2022]

და პოლიტიკური თვითგამორკვევის ფუნდამენტურ უფლებას; სახელმწიფოთაშორის (ლეგიტიმური) თანასწორობისა და ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

პირველი თაობის ომი იყო არაორგანიზებული ხელჩართული ომიდან ორგანიზებულ, დისციპლინურ ომზე გადასვლის პერიოდი. ამ დროს იყენებდნენ გაშლილ წყობას (ჯარისკაცები გვერდიგვერდ, ერთ გაშლილ ხაზად მოწყობილნი გადაადგილდებოდნენ) და სალაშქრო კოლონას (ჯარების მოწყობა სიღრმეში ეშელონირებულ ერთ სალაშქრო კოლონად), ანუ პირველი თაობის ომის ძირითადი მახასიათებელი იყო ბრძოლის ველზე ორგანიზებული, გაშლილი წყობით გადაადგილება. ამ პერიოდში შეიქმნა სამხედრო განმასხვავებელი ნიშნები, წოდებათა დიფერენციაცია, უნიფორმები, მისალმების ფორმა და სხვ. ამ თაობის ომებში უმეტესწილად იყენებდნენ გლუვლულიან მუშკეტებს.

მეორე თაობის ომები, ანუ ინდუსტრიული დროის ომები მოიცავს პერიოდს აშშ-ის სამოქალაქო ომიდან მოყოლებული, პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით. ამ თაობის ომის დაწყებას ავტორები უკავშირებენ ნაჭდევებიანი მუშკეტებისა და დასატენი იარაღების, ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის შექმნას, რაც საშუალებას იძლეოდა უფრო ზუსტად, უფრო შორ მანძილზე განადგურებულიყო სამიზნე. შედეგად, გაშლილ მწყობრში, მტრის მიმართულებით ჯარისკაცთა გადაადგილების პრაქტიკა ძალიან სარისკო გახდა და მთავ-

რდებოდა დიდი დანაკარგებით, ამიტომ დაიწყო ახალი საშუალებების ძებნა. აქცენტი კეთდებოდა ჯარისკაცთა მცირე ჯგუფზე, ახალი ტექნოლოგიების მანევრულად და დამოუკიდებლად გამოყენებაზე. მაგალითად, ტყვიამფრქვევი საშუალებას იძლეოდა, დამოუკიდებლად ემოქმედა ჯარისკაცთა მცირე ჯგუფს. ცენტრალიზებულად კონტროლირებადი საცეცხლე ძალა იყო ზედმიწევნით სინქრონიზებული. ყველა სახეობის ჯარისათვის მუშავდებოდა დეტალური გეგმები და ბრძანებები. მეთაურები მკაცრად შეზღუდული იყვნენ, მეტწილად დამოკიდებული - ზემდგომებზე.

მესამე თაობის ომი დამყარებული იყო არა საცეცხლე ძალაზე, არამედ მისთვის დამახასიათებელი იყო: სისწრაფე, სიურპრიზი, ტაქტიკური მანევრები, ბლიცკრიგი და სხვ., მანევრირებადი და არა ხაზობრივი განლაგება ძირითადად დაკავშირებული მანევრული ომების, ბლიცკრიგის განვითარებასთან. მესამე თაობის ომი ფოკუსირებას ახდენდა სისწრაფესა და მოულოდნელობაზე, მოწინააღმდეგის მეწინავე ჯარების გვერდის ავლასა და მისი უკანა პოზიციებისათვის შეტევაზე. არსებითად, ეს იყო ხაზობრივი ომის დასასრული ტაქტიკურ დონეზე, როდესაც შეიარაღებული ძალები არ ცდილობდნენ, ერთმანეთს პირისპირ შეხვედროდნენ და შემდეგ ებრძოლათ, არამედ - მოწინააღმდეგისათვის გვერდის ავლას, სწრაფად მანევრირებას, მოწინააღმდეგისათვის დასწრებას და მსგავსი უპირატესობების მოპოვებას. ასევე, ამ თაობისათვის დამახასიათებელი იყო შედარებით დეცენტრალიზებული მართვა.

მეოთხე თაობის ომის დროს თანდათან იშლება და თითქმის შეუმჩნეველი ხდება ზღვარი ომსა და პოლიტიკას, ჯარისკაცსა და სამოქალაქო პირს, მშვიდობასა და კონფლიქტს, ბრძოლის ველსა და უშიშროების უზრუნველყოფას შორის. ფრონტის ხაზი, როგორც ასეთი, ფაქტობრივად არ არსებობს. ამ თაობის ომში შეიმჩნევა პირველი თაობის ომამდელ მდგომარეობაში ხელახლა დაბრუნების ტენდენციები, რადგან სახელმწიფო კარგავს ომზე მონოპოლიას. მეოთხე თაობის ომში სახელმწიფო შეიძლება აღარ წარმოადგენდეს მხარეს და, მთელი მსოფლიოს მაშტაბით, მხარე იყოს ტერორისტული ორგანიზაცია, მაგალითად, ალ-ქაიდა, ჰამასი, ჰესბოლა, თალიბანი და სხვ.

ავტორებმა ამ სტატიაში დაახასიათეს ომის ოთხი თაობა სტატიის გამოქვეყნების (1989) პერიოდისათვის, ანუ, როდესაც ინდუსტრიული ეპოქა ისტორიას ბარდებოდა და იბადებოდა ინფორმაციული ერა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მათთან სათანადოდ არ და ვერ აისახა ის არსებითი ფაქტორები, რამაც განაპირობა ახალი ეპოქის დასაწყისი, ანუ, როდესაც საზოგადოების განვითარების ძირითადი სტრატეგიული რესურსი არა ქვანახშირი და ფოლადია (ჯავშნის საწარმოებლად), არამედ ინფორმაცია. შესაბამისად, მოხდა ომის არსებითი ტრანსფორმირება ინფორმაციულ ომად (ინფორმაცია, თანამედროვე გაგებით, დაფუძნებული *ნორბერტ ვინერისა* და *კლოდ შენონის* კონცეფციებზე), სადაც ომის შინაარსს განსაზღვრავს ინფორმაციის ფლობა-მანიპულირებისა

და თანამედროვე საინფორმაციო, ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.

ინფორმაციულმა ეპოქამ შეცვალა ომის გაგების სტანდარტები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ჩინელების, პოლკოვნიკ *ქიაო ლიანგის* (Qiao Liang) და სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკ *ვანგ სიანგშუის* (Wang Xiangsui) ომის ხელოვნების თანამედროვე, კლასიკად ქცეული, 1999 წელს ჩინეთში დაბეჭდილი ნაშრომი „შეუზღუდავი ომი" (ინგლისურ ენაზე გამოიცა 2002 წელს).[103] მათ წამოაყენეს „შეუზღუდავი ომის" (Unrestricted Warfare) კონცეფცია. მოგვცეს ომის 25 სახის (ჩვეულებრივი, დიპლომატიური, ტერორისტული, სადაზვერვო, ფინანსური, ქსელური, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სხვ.) სტრატეგიის საფუძვლიანი აღწერა, ჩამოაყალიბეს ინფორმაციულ ეპოქაში, გამალებული გლობალიზაციის ხანაში ომის შინაარსისა და ბუნების ახლებური ხედვა, მასში მიმდინარე ცვლილების საინტერესო გააზრება. მათი აზრით, არ არის აუცილებელი შეუზღუდავი ომი იყოს უკონტროლო და სასტიკი; ძალადობა უკვე აღარ არის ომის განმსაზღვრელი, მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ახლა ომები არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ეკონომიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ, ფსიქოლოგიურ და სხვა სფეროებშიც მიმდინარეობს.

---

[103] Liang, Q., Xiangsui, W., Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America. Pan American Publishing Company, Panama City, Panama, 2002 https://books.google.ge/books?id=ejFV1568hqAC&printsec=frontcover&hl=ru&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

მოკლედ, დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონემ მთლიანად წაშალა ინფორმაციულ სივრცეში სახელმწიფოებს შორის საზღვრები და ინფორმაციული ომის სახით შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, ტრადიციული, ძალადობრივი, შემმუსვრელი საშუალებების გამოყენების გარეშე. ინფორმაციული ომის (საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი) ზემოქმედების გამანადგურებელი სიძლიერე თანამედროვე პირობებში იმდენად დიდია, რომ მკვლევართა აზრით კითხვის ქვეშ დგება არა მარტო დამარცხებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ მისი ხალხის, როგორც ნაციონალური ერთობის, არსებობის ფაქტიც კი.

როგორც აღინიშნა, ინდუსტრიული ეპოქიდან ინფორმაციული ეპოქაში გადასვლამ მთლიანად შეცვალა ვითარება. ახალი ეპოქის პირმშოა ინფორმაციული ომი, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი ეპოქის, ინფორმაციული ერას შინაარსის გამომხატველი, კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალი სტრატეგიული რესურსი - ინფორმაცია.

ინფორმაციულ ეპოქაში არსებითად იცვლება ომის ხასიათი და შინაარსი, მისი წარმოების წესი. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი იმდენად შეიცვლება, რომ ძალიან ცოტა რამ ექნება საერთო ომის ტრადიციულ გაგებასთან. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, თანამედროვე ეპოქის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორი - „ინფორმაცია“,

არის თანამედროვე ომების შინაარსის განმსაზღვრელიც, საფუძველიც და ამოსავალიც. ტერმინი როგორი სახეცვლილებითაც უნდა მოგვევლინოს, ფართო გაგებით, მისი მთავარი განმსაზღვრელიდან გამომდინარე, მას ეწოდება ინფორმაციული ომი. ინფორმაციულმა ეპოქამ მოიტანა ეპოქის შესატყვისი ომი და გააჩინა მისი საომარი დაპირისპირების არეალი - კიბერსივრცე.

კიბერსივრცეში მოწინააღმდეგის მიერ ინიცირებული კიბერთავდასხმა ხორციელდება როგორც სამთავრობო ქსელებზე, ისე ელექტრომომარაგების, სატრანსპორტო ან ფიჭური სატელეფონო კომპანიების კომპიუტერულ სისტემებზე, ფინანსურ ინსტიტუტებზე, ინდუსტრიული მართვის სისტემებზე, თუნდაც იმ მიზნით, რომ წარმოქმნან ქაოსი, მოახდინონ მოსახლეობის დემორალიზაცია, ან თუნდაც კინეტიკური შეტევისათვის მოამზადონ ბრძოლის ველი, ან კიდევ კინეტიკური შეტევის პარალელურად კიბერთავდასხმები განახორციელონ და ა.შ.

კიბერსივრცეში საომარი მოქმედებების წარმართვის, კიბერშეტევების ტაქტიკა, მარტივად რომ აიხსნას, შემდეგშია: ათასობით დაინფიცირებული კომპიუტერისაგან შემდგარი ქსელი (ე.წ. ბოტნეტი – Botnet) იწყებს ერთდროულად შეტევას რომელიმე სერვერზე. შეტევა ხდება ინფორმაციის პაკეტების თანამიმდევრული გაგზავნით, სერვერის გადატვირთვისა და გათიშვის მიზნით - DoS შეტევა. კომპიუტერების ინფიცირების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ვირუსები, სახელწოდებით - ტროას ცხენები (ტროიანები). ამ ვირუსის მთავარი

ფუნქციაა შეაღწიოს სისტემაში და მისცეს ვირუსის მფლობელს საშუალება, მართოს მოწინააღმდეგის კომპიუტერი.

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა ახალი, „ვირტუალური", პოლიტიკური სივრცის განზომილების ჩამოყალიბებაში, რომელიც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ასეთ ვირტუალურ განზომილებას მიეკუთვნება კიბერსივრცე, რომელიც აღნიშნავს სოციალური ურთიერთქმედების განსაკუთრებულ სფეროს, განსაზღვრულია პროცესების ერთობლიობით, მიედინება მსოფლიოს კომპიუტერულ ქსელებში და გადაიქცევა ადამიანის კიდევ ერთი საქმიანობისა და არსებობის გარემოდ.

ინტერნეტის გარდა, კიბერსივრცეში არსებობს ბევრი სხვა კომპიუტერული ქსელი, მაგალითად, ტრანსნაციონალური, რომლითაც გადაიცემა მონაცემები ფინანსური ნაკადების, სხვადასხვა ბირჟაზე ვაჭრობისა და საკრედიტო ბარათებით ოპერაციების შესახებ. გარდა ამისა, კიბერსივრცეში ფუნქციონირებს სხვადასხვა მანქანისა და მექანიზმების მართვის სისტემები, მაგალითად, სატრანსპორტო და ენერგეტიკული სისტემები, გენერატორების, ლიფტების, ტუმბოების მართვის პანელები და სხვ.

კიბერსივრცის უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებული ნაწილია სამხედრო ტექნიკის, მათ შორის - უპილოტოების (დრონების), საბრძოლო რობოტების, სხვადასხვა რადიუსის მოქმედების რაკეტების მართვის კომპიუტერული

ქსელები. ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ დღეს კიბერსივრცე წარმოადგენს ცალკეული ადამიანების, კორპორაციების, სახელმწიფოების, მათი კავშირების, ზენაციონალური სტრუქტურებისა და წარმონაქმნების საინფორმაციო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო საქმიანობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროს. ცხადია, ეს ეხება საქართველოსაც. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტში „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“ აღნიშნულია, რომ „იზრდება დისტანციური მართვით მოქმედი უპილოტო სისტემების მნიშვნელობა, რაც ბუნებრივად იწვევს გეოსივრცითი დაზვერვის, სატელიტური და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებისა და კიბერსივრცის მნიშვნელობის ზრდას. მომავლის ომებში ასევე მნიშვნელოვანი იქნება მაღალი სიზუსტის არაპირდაპირი საცეცხლე, სადაზვერვო შესაძლებლობებისა და დამრტყმელი უპილოტო საჰაერო აპარატების ფლობა და ეფექტურად გამოყენება“. ომის თანამედროვე ქსელური მართვის (Network Centric) ხასიათიდან გამომდინარე, წარმატების მისაღწევად აუცილებელი წინაპირობა იქნება რეალურ დროში ბრძოლის ველის სურათისა და ამომწურავი ინფორმაციის ფლობა როგორც მოწინააღმდეგის, ისე საკუთარი ძალების შესახებ. C4I[104] (მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობის საშუალებები, კომპიუტერული სისტემები და დაზვერვა) სისტემების განვითარება შეამცირებს

[104] C4I სისტემები უზრუნველყოფს ბრძოლის მართვის მხარდაჭერას ფუნქციების ფართო სპექტრში. C4i არის ლიდერი უსაფრთხო კომუნიკაციებში 1989 წლიდან მსოფლიოს ყველაზე მოთხოვნადი მისიისთვის კრიტიკულ გარემოში.

მონაცემების დამუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და შემდგომში მათი აღსრულების დროს.[105]

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო საზღვრების არმქონე კიბერსივრცე გადაიქცა პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული და კულტურული კონკურენციის მნიშვნელოვან ველად. არსებითად კიბერსივრცე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახული განვითარების ფონზე წარმოადგენს **ახალი (ვირტუალური) ტიპის პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც ერთმანეთს ეჯახება სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების, სახელმწიფოებისა და პოლიტიკური ძალის ცენტრების ინტერესები. წარმოშობისთანავე კიბერსივრცე გადაიქცა პოლიტიკური და სამხედრო ძალების ბრძოლის მეხუთე (მიწის, ზღვის, ჰაერისა და კოსმოსის შემდეგ) ველად.**

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების ბრიუსელის შეხვედრაზე გაკეთდა განცხადება, რომ კიბერსივრცე ნატოს გავლენის კიდევ ერთი სფერო ხდება, თანაბრად ზღვასთან, ჰაერთან და ხმელეთთან ერთად. შესაბამისად, საჭირო გახდება კოლექტიური თავდაცვის შესახებ ხელშეკრულების გამოყენებაც.[106] 2016 წლის 8 ივლისს ნატოს სამიტმა ვარშავაში

---

[105] თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. https://mod.gov.ge/uploads/ModVision/tavdacvis_saministros_xedva__2030.pdf [25.03.2022]

[106] НАТО приравняет кибератаки к военной агрессии. Euronews. 15/06/2016. http://ru.euronews.com/2016/06/15/cyberspace-is-officially-a-war-zone-nato [25.03.2022].

კიბერსივრცე აღიარა თავდაცვის თანაბარუფლებიან სფეროდ. ნატოს გენერალურმა მდივანმა *იენს სტოლტენბერგმა* (Jens Stoltenberg) აღნიშნა: თანამედროვე გამოწვევები ითხოვს, ვაღიაროთ, რომ კიბერშეტევები და მათგან დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავდაცვა ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში.[107]

დღეს ომები სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო ორგანიზაციებს, მათ სამხედრო სტრუქტურებს შორის, აგრეთვე, ეკონომიკური და ინფორმაციული ბრძოლები, ეკონომიკური შპიონაჟისა და ფინანსური დივერსიების ჩათვლით, მიმდინარეობს სწორედ კიბერსივრცეში. ეს გარემოება განსაზღვრავს კიბერსივრცეში არსებული პროცესების დიდ მნიშვნელობას თანამედროვე პოლიტიკური ანალიზისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებების თეორიისა და პრაქტიკისათვის.

ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, ინფორმაციული სისტემები გახდა ადამიანის ცხოვრების ნაწილი და ძირფესვიანად შეცვალა იგი. შესაბამისად, როგორც აღინიშნა, გაჩნდა ახალი ტერმინი - „ინფორმაციული ერა". ინფორმაცია აღწევს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში. დედამიწის მოსახლეობისათვის იგი უკვე იქცა მსოფლიოსთან კომუნიკაციის ერთადერთ რეალობად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივმა ადამიანმა თავი რომ იგრძნოს ინფორმაციის მფლობელად და, მაშასადამე, ყოვლისშემძლედ, ამისათვის

---

[107] НАТО признало киберпространство равноправной сферой обороны. Информационно-аналитический портал Грузия Online, 08.07.2016. http://www.apsny.ge/2016/pol/1468046923.php [25.03.2022].

საჭიროა: ინტერნეტი, ტელევიზორი და ბეჭდური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ამავე დროს, ინფორმაციული სივრცე პოლიტიკოსებისათვის, ფაქტობრივად, სამხედრო მოქმედებათა თეატრად გადაიქცა, სადაც თითოეული მოწინააღმდეგე მხარე უპირატესობის მიღწევას ცდილობს. ინფორმაციულმა ერამ ასევე შეცვალა სამხედრო მოქმედებათა ჩატარების წესი ორი მიმართულებით - შესაძლებელი გახდა: მოწინააღმდეგის პირდაპირ მანიპულირება ინფორმაციით (ინფორმაცია იქცა პოტენციურ იარაღად და სასარგებლო მიზნად) და ინფორმაციული ტექნოლოგიების, როგორც საშუალებების, გამოყენება საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩასატარებლად.

კიბერომი სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური განზომილებების გვერდით, როგორც ნატოს ვარშავის სამიტზე ითქვა, ომის მეხუთე ფორმაა. 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვების მცდელობები სულ უფრო სასტიკი ხდება. აქ არ არსებობს საზღვრები და აკრძალვები. სახელმწიფოები ცდილობენ, მოიპოვონ კონკურენტუნარიანი უპირატესობა ციფრულ სამყაროში.

ინტერნეტტექნოლოგიებმა შეცვალა არსებული რეალობა. მსოფლიო ქსელის გაჩენასთან ერთად, გაქრა ყველა ბუნებრივი საზღვარი „ინფორმაციულ ტერიტორიებს“ შორის და „მებრძოლმა არმიებმა“ შესაძლებლობა მიიღეს, შეიჭრან სხვის მიწაზე, ჩაატარონ სამხედრო ოპერაციები არსებითად ისევე, როგორც ამას აკეთებს „ჩვეულებრივი“ ჯარი „ჩვეულებრივ“ ომებში.

თანამედროვე ომებში ერთმანეთს კიბერარმიები უპირისპირდებიან. კიბერარმიები დიდი ხანია ჰყავთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთს, რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მეცნიერები და სამხედროები აქტიურად მუშაობენ კიბერსივრცეში საომრად ახალ-ახალი ინფორმაციული იარაღის შესაქმნელად, უფრო მეტიც, ზოგიერთმა სახელმწიფომ ამ მიმართულებით უკვე ჩამოაყალიბა სპეცჯგუფები შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ძალოვან სტრუქტურებში.

კიბერომში ინფორმაციულ იარაღს ახასიათებს დანახარჯების მინიმალური დონე და გამოყენების მაღალი ეფექტურობა. იგი არ ანადგურებს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, არ მოითხოვს რთული სტრუქტურების შექმნას და ამასთან, არ არის აუცილებელი, გადაიკვეთოს ოფიციალური სახელმწიფო საზღვარი.

ტელესაკომუნიკაციო საშუალებებზე ზემოქმედებასთან ერთად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ინფორმაციული იარაღის ზემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ობიექტად რჩება ადამიანი და მისი მსოფლმხედველობა. იგი ქვეყნის მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით არღვევს სულიერ ფასეულობებს. ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენებისას მთავარი ფაქტორია ცნობიერებით მანიპულირება.

ინფორმაციული ომების გლობალიზაციაში უზარმაზარ როლს თამაშობს ინტერნეტი. მისი პოპულარობის ზრდასთან

ერთად, ზოგიერთი ადამიანი ისეა ჩართული ვირტუალურ სივრცეში, რომ ინტერნეტს რეალობას ამჯობინებს, დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ატარებს. ეს არის გამაბრუებელი წარმოსახვითი სამყარო, მასში ჩაფლული ადამიანის აზროვნება ხდება აუტისტური, რაც კიდევ უფრო აადვილებს მანიპულაციის ეფექტს.

ინფორმაციის მომხმარებლებს, რომელთაც მიეკუთვნება განვითარებული ქვეყნების მთლიანი მოსახლეობა და განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებთა უმრავლესობა, პოლიტიკოსები იკვლევენ, გულმოდგინედ სწავლობენ მათ ჩვევებსა და სურვილებს, რათა შემდეგ მოსახლეობაში დანერგონ მანიპულირებისათვის აუცილებელი მითითებები, სურვილები და ცოდნა.

დღეს უკვე მრავალმა ქვეყანამ აიღო კურსი ინფორმაციული ომების წარმოებაზე. ამ მიზნისათვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა იმას მოწმობს, რომ უპირატესობის მოპოვება ინფორმაციულ სფეროში მათ მიერ განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საშუალება 21-ე საუკუნეში ამ ქვეყნების ეროვნული სტრატეგიის მისაღწევად.

დღევანდელ ეპოქაში გაცილებით რთული გახდა უშიშროებისა და სტაბილურობის შენარჩუნება. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა, სხვადასხვა ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფები და ტერორისტული ორგანიზაციები, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს.

უკონტროლო კიბერსივრცემ წარმოშვა სხვადასხვა აქტორი და საბრძოლო სივრცის ახალი ველები. ჩნდება ახალი

საფრთხეები, რომლებიც 21-ე საუკუნეში შეიარაღებული თავდასხმების ეკვივალენტურია; ბრძოლის ახალი ტიპი შესაძლებელია ბევრად უფრო საზიანო იყოს ქვეყნის უშიშროებისათვის, როგორიც, მაგალითად, ტერორიზმია.

ზოგმა ქვეყანამ თავის ახალ სამხედრო დოქტრინაში კიბერსივრცე ცალკე ნაწილად გამოყო. ბევრმა ქვეყანამ უკვე ღიად დაადასტურა კიბერსივრცის ასათვისებლად მზადების პოლიტიკა და სწრაფად ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით.

განვითარების თანამედროვე რეალიებში მნიშვნელოვანი ასპექტი ხდება სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, ესაა მბრძანებლობისა და დაქვემდებარების ურთიერთობის სისტემის განვრცობა იმ სოციალურ სივრცეში, რომელსაც არ ახასიათებს ტერიტორიალურობის ნიშანი. საუბარია კიბერსივრცესა და ქსელურ სივრცეებზე, როგორც სოციალური ურთიერთზემოქმედების სპეციფიკურ ფორმაზე. უნდა მოიძებნოს ამ სფეროში სახელმწიფო სუვერენიტეტის ეფექტურად გავრცელების შესაბამისი გზები.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება როდესაც იღებენ აქტებს, რომლებიც ეხება კიბერსივრცესა და ქსელურ სივრცეებში ურთიერთობებს, ფაქტობრივად, ამ სფეროზე სახელმწიფო ხელისუფლების პროეცირებას ახდენენ. სამეცნიერო სივრცეში გაჩნდა სხვადასხვა ტერმინი, მაგალითად, „ვირტუალური სუვერენიტეტი“, „ქსელური სუვერენიტეტი“ და სხვ.

სახელმწიფო ხელისუფლების გავლენა ვირტუალურ გაერთიანებაზე შეზღუდულია. მიუხედავად მთლიანობაში სახელისუფლებო უფლებამოსილებების ერთობლიობისა, დღეისათვის კიბერსივრცეში სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც ვირტუალური აქტორი, რომელსაც გააჩნია უფრო მეტად განვითარებული ინფორმაციული რესურსები და შესაძლებლობა, შეზღუდოს სხვა აქტორების დაშვება კიბერსივრცეში (მთლიანად ან მის ცალკეულ სექტორში).

სახელმწიფოს სუვერენიტეტის გავრცელებას ვირტუალურ გაერთიანებაზე აძნელებს ქსელური პრინციპით ორგანიზებული კიბერსივრცე. ვირტუალურ გაერთიანებაზე სუვერენიტეტის შეზღუდვაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს კიბერსივრცის პარამეტრები (ეფემერულობა, ინტერაქტიურობა, პარამეტრების პირობითობა, აქტორების ანონიმურობა, ვირტუალური იდენტურობის ფორმირება და სხვ.). ნიშანდობლივია ვირტუალური გაერთიანების მიერ სოციალური სტრატიფიკაციის[108] პრინციპების მიუღებლობა, პრინციპების, რომლებიც დომინირებდა წინა ინდუსტრიულ საზოგადოებაში.

კიბერსივრცეში სტრატიფიკაციისათვის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება ვირტუალური აქტორის ცოდნის დონე. პრივილიგირებულ ფენას ქმნიან აქტორები, რომელთაც

---

[108] 1. ატმოსფეროს (აგრეთვე, ზღვისა და ტბის წყლის) ფენა-ფენა, შრეებრივი აღნაგობა; განპირობებულია ფენების ფიზიკურ თვისებათა (ტემპერატურის, სიმკვრივის და ა. შ.) სხვადასხვაობით.
2. თესლის თესვისწინა მომზადების წესი ერთგვარი - მისი გაღივების დასაჩქარებლად.

გააჩნიათ უფრო ფართო დაშვება ინფორმაციებთან და რომლებიც უკეთ ერკვევიან ინფორმაციულ ნაკადებში.

არსებითად კიბერსივრცეში მიმდინარეობს კიბერომები, რომელთა შედეგებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი. ამ გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ამოცანაა არა მხოლოდ მოიგერიოს მტრის შემოტევები კიბერსივრცეში, არამედ მოემზადოს საკუთარი კიბერსივრცის შესაქმნელად. სხვა შემთხვევაში, მუდამ სახელმწიფოთა მანიპულირების ობიექტი იქნება.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უშიშროება და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, პირდაპირპროპორციულად იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება და ურთიერთკავშირი. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერტერორიზმთან ბრძოლასა და კიბერსივრცეში მოსალოდნელი კიბერშეტევებისაგან თავდაცვას. ამავე დროს, კიბერუშიშროების უზრუნველყოფა უკვე იქცა საგარეო პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად და სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხში. საქართველოს ამ მხრივაც ბევრი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი.

4.1.1.4. ტექნოლოგიების განვითარება და საინფორმაციო (კიბერ) სივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხი

ინფორმაციულ ეპოქაში სოციალურ-პოლიტიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა ინფორმაციის წარმოება და გამოყენება. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს არა მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების, არამედ თითოეული ადამიანის ცხოვრებაშიც და მსოფლიოსთან კავშირის ერთადერთ რეალობას წარმოადგენს. კომპიუტერები და საინფორმაციო-სატელესაკომუნიკაციო ციფრული სისტემები გამოიყენება ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასა თუ მთლიანად სახელმწიფო მმართველობაში (ჯანდაცვა, განათლება, საბინაო და კომუნალური მომსახურება, საჰაერო და სარკინიგზო კომუნიკაციები, ვაჭრობა და ა.შ.)

ყოვლისმომცველმა ინტერნეტტექნოლოგიებმა შეცვალეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური რეალობა. მსოფლიო ქსელის გაჩენასთან ერთად, სახელმწიფო თანდათან კარგავს გარკვეულ ფუნქციებს, მცირდება მისი როლი და გავლენა ადამიანურ ურთიერთობებზე, სახელმწიფო საზღვარი იცვლის თავის პირვანდელ დანიშნულებას. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, კიბერტერორისტებს შეუძლიათ „შეიჭრან“ სხვა სახელმწიფოს ფარგლებში, ჩაატარონ დანაშაულებრივი ოპერაციები და დიდი ზარალი მიაყენონ ქვეყანას. ასევე შეიცვალა ომის რაობა, მისი გაგების სტანდარტები.

ამდენად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხედრო შეიარაღებული ომებისა და კონფლიქტების კლასიკურ სახეებს თანდათან ენაცვლება დაპირისპირების ახალი ფორმები, მათ შორის არის კიბერტერორიზმი, კიბერომი. საომარი მოქმედებისა და დაპირისპირების არეალი კი გახდა კიბერსივრცე - საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსი, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. კიბერსივრცე არ არსებობს რაიმე ფიზიკური ფორმით, იგი ურთულესი ვირტუალური გარემოა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, ინტერნეტმომსახურებას, ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, ქსელებსა და ქსელური კავშირების საშუალებებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.

ომის მეხუთე ფორმამ, კიბერომმა (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური განზომილებების გვერდით), ინფორმაციულ ეპოქაში საინფორმაციო-ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვების მცდელობებმა წარმოშვა ახალი საშიშროებანი, სადაც არავინ ემორჩილება დაწესებულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს.

კიბერსივრცის დაცვის პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო და კიბერტექნოლოგიების წარმოუდგენლად არნახული განვითარების ფონზე კიბერთავდასხმების განუსაზღვრელი მასშტაბების

შეუქცევადი პროცესებით, რომლებიც მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს უშიშროების უზრუნველყოფის ზომების გაძლიერების აუცილებლობას.

მზარდი საშიშროება - სამეცნიერო-კვლევითი არიალის გაფართოება. ჯერ კიდევ ინდუსტრიულ ეპოქაში კომპიუტერული ვირუსების გაჩენის შემდეგ წარმოშობილი საფრთხეებისაგან კომპიუტერის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ტექნიკური გაგების ტერმინი „უსაფრთხოება“ (კომპიუტერული, საინფორმაციო, კიბერ), რომელშიც იგულისხმება კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (კომპიუტერები, ქსელები, პროგრამები, მონაცემები, მოწყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) ტექნიკურად დაცვის ტექნოლოგიების, მეთოდიკისა და პროცესების ერთობლიობა.

გასული საუკუნის ბოლოდან ვირუსები არა მხოლოდ კომპიუტერების ვიწრო სამიზნედ, არამედ არაპროგნოზირებად დამაზიანებელ იარაღად იქცა და მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგების მომტანი უზარმაზარი პრობლემა გახდა. ვირუსების შემქმნელთათვის კიბერსივრცის ბრძოლის ველზე კომპიუტერი არა მიზანი, არამედ საშუალება ხდება, ხოლო მრავალსვლიანი კომბინაციური სამიზნე - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახელმწიფო და თავდაცვის სამხედრო ინფრასტრუქტურები.

საშიშროების წინაშე აღმოჩნდა როგორც სახელმწიფოები, ისე ცალკეული ქვეყნების ეროვნული უშიშროების

უზრუნველყოფა, უფრო მეტიც, მთლიანად კაცობრიობა. ფაქტია, ინფორმაციულ ეპოქაში, კომპიუტერული სფეროს კომპონენტების დამაზიანებელი ციფრული ტექნოლოგიების არნახულად განვითარების კვალობაზე, კომპიუტერული ვირუსებისაგან წარმოშობილი უზომოდ გამრავალფეროვნებული და არაპროგნოზირებადი საფრთხეები გასცდა კომპიუტერის ვიწრო მოქმედების ფარგლებს და საშიშროება შეუქმნა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, დაემუქრა ეროვნული უშიშროების ფუნდამენტურ ღირებულებებს: პიროვნების უშიშროებას, საზოგადოების უშიშროებასა და სახელმწიფო უშიშროებას, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემას.

წარმოქმნილ საშიშროებასთან გამკლავებამ თავისთავად მოითხოვა ეროვნული და საერთაშორისო დონის სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები (ასევე, აკადემიური კვლევები, ახალი პოლიტიკური თეორიების, ახალი ნორმატიული მოთხოვნების, რეგულირების სისტემების, სოციალური ნორმებისა და სხვ. შემუშავება).

პრობლემის გადასაჭრელად თუ მანამდე საკმარისი იყო ინფორმატიკის სპეციალისტების მიერ მიღებული ტექნიკური ზომები, დღეს უკვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო. კიბერუშიშროებისა და კიბერდაცვის შვეიცარიელი სპეციალისტი, დოქტორი *რობერტ დიუარი* აღნიშნავს, რომ სულ უფრო მზარდია კიბერსივრცისადმი ყურადღება პოლიტიკოსებისა და სამხედროების

მხრიდან, რადგანაც კიბერუშიშროება უკვე სამართლებრივი, სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევაა. ამ გლობალურ პრობლემას ვერც ერთი სახელმწიფო მარტო, მხოლოდ საკუთარი ძალებითა და რესურსებით ვერ გაუმკლავდება.[109]

მისასალმებელია, რომ ბოლო ათწლეულში დასავლეთის სამეცნიერო წრეებშიც გაჩნდა მთელი პლეადა კიბერუშიშროების პრობლემებზე მომუშავე მკვლევრებისა, რომლებიც ამ თვალსაზრისს ავითარებენ.[110] მაგალითად, კიბერსივრცის „საფრთხეების პოლიტიკის“ აღიარებული მკვლევარი,

---

[109] Dewar R., (2022). Cyberspace is a Consensual Hallucination. 2022, https://www.researchgate.net/publication/325216608_Cyberspace_is_a_Consensual_Hallucination [05.07.2022].

[110] Collier J., Cyber security assemblages: A framework for understanding the dynamic and contested nature of security provision. Politics and Governance, 2018. იხ. ასევე Deibert R., Trajectories of cyber security research. In A. Gheciu, & W. C. Wohlforth (Eds.), Oxford handbook of international security. Oxford: Oxford University Press; Dewar, R. S. (Ed.). (2018). National cybersecurity and cyberdefense policy snapshots. Zurich: Center for Security Studies. (CSS), ETH Zurich; Egloff, F. J., & Wenger, A. (2019). Public attribution of cyber incidents. In F. Merz (Ed.), CSS analyses in security policy, 244 (pp. 1–4). Zurich: Center for Security Studies; Finnemore, M., & Hollis, D. B. (2016). Constructing norms for global cybersecurity. The American Journal of International Law, 110, 425–479. doi:10.1017/S0002930000016894; Fischerkeller, M. (2018). Offense-defense theory, cyberspace, and the irrelevance of advantage. Alexandria, VA: Institute for Defense Analysis; Georgieva, I. (2020). The unexpected norm-setters: Intelligence agencies in cyberspace. Contemporary Security Policy, 41, 33–54. doi:10.1080/13523260.2019.1677389; Gomez, M. A. (2019). Sound the alarm! Updating beliefs and degradative cyber operations. European Journal of International Security, 4, 190–208. doi:10.1017/eis.2019.2; Hagmann, J., Hegemann, H., & Neal, A. W. (2019). The politicisation of security: Controversy, mobilisation. Arena Shifting. European Review of International Studies, 5, 3–29. doi:10.3224/eris.v5i3.01; Hitchens, T., & Gallagher, N. W. (2019). Building confidence in the cybersphere: A path to multilateral progress. Journal of Cyber Policy, 4, 4–21. doi:10.1080/23738871.2019.1599032; Kello, L. (2013). The meaning

ციურიხის უშიშროების კვლევის ცენტრის პროფესორი *მირიამ დან კაველტი* (Myriam Dunn Cavelty) და ამავე ცენტრის დირექტორი, პროფესორი *ანდრიას ვენგერი* (Andreas Wenger) მიუთითებენ, რომ „რამდენადაც ეს ტექნიკური სისტემები უფრო მჭიდრო კავშირშია და აერთიანებს საზოგადოებისა და ეკონომიკის მეტ ასპექტს, კიბერუშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემები გარდაუვლად გავრცელდება პოლიტიკის სულ უფრო მეტ სფეროებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს მოვლენები შექმნის ახალ მოთხოვნებს

---

of the cyber revolution: Perils to theory and statecraft. International Security, 38, 7–40. doi:10.1162/ISEC_a_00138; Kello, L. (2017). The virtual weapon and international order. New Haven, CT: Yale University Press; Leese, M., & Hoijtink, M. (Eds.). (2019). Technology and agency in international relations. London: Routledge;Lewis, J. A. (2018). Rethinking cyber security: Strategy, mass effects, and states. Washington, DC: Center for Strategic and International Studies; Maness, R., & Valeriano, B. (2016). The impact of cyber conflict on international interactions. Armed Forces & Society, 42, 301–323. doi:10.1177/0095327X15572997; McCarthy, D. (Ed.). (2018). Technology and world politics: And introduction. London: Routledge; Mueller, M. L. (2010). Networks and states: The global politics of internet governance. Cambridge, MA: The MIT Press; Sabbah, C. (2018). Pressing pause: A new approach for international cybersecurity norm development. In T. Minárik, R. Jakschis, & L. Lindstrōm (Eds.), 10th international conference on cyber conflict CyCon X: Maximising effects (pp. 263–281). Tallinn: CCDCOE; Shires, J. (2018). Enacting expertise: Ritual and risk in cybersecurity. Politics and Governance, 6, 31–40. doi:10.17645/pag.v6i2.1329. Shires, J. (2020). Cyber-noir: Cybersecurity and popular culture. Contemporary Security Policy, 41, 82–107. doi:10.1080/13523260.2019.1670006; Slayton, R. (2017). What is the cyber offense-defense balance? Conceptions, causes, and assessment. International Security, 41, 72–109. doi:10.1162/ISEC_a_00267; Stevens, T. (2016). Cyber security and the politics of time. Cambridge: Cambridge University Press; Waever, O. (2010). Towards a political sociology of security studies. Security Dialogue, 41, 649–658. doi:10.1177/0967010610388213; Weber, V. (2018). Linking cyber strategy with grand strategy: The case of the United States. Journal of Cyber Policy, 3, 236–257. doi:10.1080/23738871.2018.1511741.

ტექნიკური და ორგანიზაციული კვლევებისათვის, რომლებიც უკეთესად უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიდგომებთან".[111] ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „სულ უფრო თვალსაჩინო ხდება პოლიტიკური და სოციალური ასპექტები, რომლებიც გავლენას მოახდენს თანამშრომლობისა და კონფლიქტის მოდელებზე პოლიტიკასა და საზოგადოებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე". საინტერესოა ისიც, რომ მანამდე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცნობილმა უკრაინელმა სპეციალისტმა *გიორგი პოჩეპცოვმა* (Гео́ргій Гео́ргійович Почепцо́в) შენიშნა: თანამედროვე ომებში გარკვეულად იზრდება სოციალური მეცნიერებების როლი.[112] ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების, ხელოვნური ინტელექტისა და სამხედრო ისტორიის ამერიკელი მკვლევარი, *აარონ ფრანკი* (Aaron B. Frank), იძლევა ასეთ დიფერენციაციას: თუ პირველი მსოფლიო ომი მოგებული იქნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დახმარებით, აი მესამე (ცივი) – სოციალურ მეცნიერებათა დახმარებით.[113]

---

[111] Dunn Cavelty M., Wenger A., Cyber security meets security politics: Complex technology, fragmented politics, and networked science. Contemporary Security Policy, 2019. https://css.ethz.ch/content/dam/ethz/specialinterest/gess/cis/center-forsecuritiesstudies/pdfs/Dunn%20Cavelty_Wenger_2019_Contemporary%20Security%20Policy_Cyber%20security%20meets%20security%20politics%20Complex%20technology%20fragmented%20politics%20and%20networked%20science.pdf [07.07.2022].

[112] Почепцов, Г. Г., Информационные войны. Новый инструментарий политики. Алгоритм, Москва, 2015.

[113] Frank, A.B., Pre-conflict management tools: winning the peace. – Washington, 2005.

ცხადია, პრობლემა გასცდა ინფორმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ კომპიუტერების ტექნიკურად დაცვისათვის ანტივირუსების შექმნის ვიწრო სფეროს. გლობალურმა საშიშროებამ პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის ველზე გამოიყვანა პოლიტიკოსები და სამხედროები, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფერო და არეალი. შექმნილია რეალობა:

პირველი, კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის საკითხებს ძირითადად იკვლევდნენ და იკვლევენ მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები;

მეორე, კიბერუშიშროების პრობლემების კვლევაში ფართოდ ჩაებნენ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ახალმა რეალობამ ცხადი გახადა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროება.

ცნობილია, რომ კიბერსივრცეში ტერმინი „უსაფრთხოება“ გამოიყენება მაშინ, თუ კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (ქსელები, კომპიუტერები, პროგრამები, მონაცემები, მოწყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) ტექნიკურად დაცვაზეა საუბარი, ანუ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ შემთხვევაში უფრო „ტექნიკის“ საქმეა, „ტექნიკური“ საფრთხისაგან დაცვაა. მაგალითად, იგი უფრო

ცნობილი „შრომის უსაფრთხოების დაცვასთან“ ასოცირდება და არა - სოციალურ-პოლიტიკური მიზნების დასახვასთან. ე. ი. მოცემულ ობიექტზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები: განისაზღვროს კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროს (ქსელები, კომპიუტერები, მოწყობილობები, პროგრამები, მონაცემთა ბაზები) ექსპლოატაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და დაინერგოს შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემა.[114]

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ამ კარდინალური და მასშტაბური ცვლილებების ფონზე, როდესაც საქმე გვაქვს არსობრივად ახალ პროცესთან, ანუ **ხდება კიბერუსაფრთხოების, როგორც ტექნიკური პრობლემის განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად (კიბერუშიშროებად) გადაწყვეტაზე გადასვლა,** წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ტერმინი **„კომპიუტერული (საინფორმაციო, კიბერ) უსაფრთხოება“** სრულად ვეღარ ასახავს და ვერ გადმოსცემს მომხდარი ცვლილებების არსს. შესაბამისად, ორი განსხვავებული პროცესის გადმოსაცემად ერთი და იმავე ტერმინის გამოყენება იწვევს გაუგებრობას. **საუბარი ეხება არა მხოლოდ ტექ-**

---

[114] კუპრაშვილი, ჰ. კიბერსივრცე და ტერმინები: კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება. სტუ-ის შრომები – Work of GTU – Труды ГТУ, №2 (524), 2022. ISSN 1512-0996. http://shromebi.gtu.ge/admin/uploads/shroma%20N2(524)/019-kuprashvili.pdf [07.07.2022].

ნიკური ხასიათის საქმიანობას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლების - ეროვნული უშიშროების შესაბამისი სამსახურებისა და ინსტიტუტების მიერ მუშავდება კიბერსაფრთხეებზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა, ყალიბდება ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის სტრატეგია, რომელიც დამყარებულია კიბერსივრცისა (საინფორმაციო სივრცის) და კიბერსაფრთხეების პრობლემების გადაჭრის სისტემურ გააზრებაზე, რეაგირებისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობების გაანალიზებაზე და სხვ.

ამრიგად, საშიშროების ყოვლისმომცველი მასშტაბურობიდან გამომდინარე, კიბერუსაფრთხოების ტექნიკური უზრუნველყოფის მისაღწევად ხელისუფლებამ უნდა დასახოს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები: მოხდეს კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მათ შორის - ეროვნული ინტერესების დაცვა, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ.

საბოლოოდ, მოხდება კიბერუშიშროების პოლიტიკური მიზნის მოთხოვნების შესაბამისი შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა, როდესაც განხორციელდება კომპიუტერული და

საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების კიბერშეტევებისაგან ტექნიკურად დაცვა.

ახალ რეალობაში გაჩნდა შესაბამისი ტერმინის გამოყენების აუცილებლობა, იმ ახალ რეალობაში, როდესაც გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის პროცესში უკვე გადამწყვეტ როლს თამაშობს შინაარსობრივად განსხვავებული ფართო მასშტაბის სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა, ხოლო კვლევებში სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სპეციალისტები არიან ჩართული. ამ რეალობას კი ზუსტად მიესადაგება ქართულ ენაში არსებული ძირძველი სოციალურ-პოლიტიკური გაგების ტერმინი „უშიშროება", ვიდრე ტექნიკური, კონცეპტუალური გაგების ტერმინი „უსაფრთხოება"[115] ამიტომ აუცილებელია აზრობრივი და შინაარსობრივი აღრევისა და მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად სოციალურ-პოლიტიკურ პროცესების აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდეს „კიბერუშიშროება" („საინფორმაციო უშიშროება"). ამავე დროს, კიბერუშიშროების უზრუნველყოფის პროცესი მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ქვესისტემა (სახე, კომპონენტი), ხოლო, რაც შეეხება

[115] როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი დასაბამიდან ტერმინ „უშიშროებას" ყოველთვის იყენებდა სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში. იხ., ქართლის ცხოვრება, საქართველოს პოლიტიკური ისტორია და სხვ. წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ტერმინი „უსაფრთხოება" კი გაჩნდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან და გამოიყენება ტექნიკური უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების, კომპიუტერული (ინფორმაციული, კიბერ) უსაფრთხოების შესაბამის კონტექსტში.

„კიბერუსაფრთხოებას“ (კომპიუტერული, საინფორმაციო), იგი იქნება „კიბერუშიშროების“ შემადგენელი.

ნათელია, რომ კიბერსივრცეში ტერმინი „უშიშროება“ გამოყენებულ უნდა იქნას მაშინ, თუ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან არიდება მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობას ანუ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას (პოლიტიკის შემუშავება, კონცეფცია, დაგეგმვა და სხვ.), ანუ დაკავშირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან.

კიბერსივრცის სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს დისციპლინების კვლევებში რაც შეეხება, შიფრი უნდა იყოს გამოყენებული შემდეგნაირად:

1. ტერმინი „უსაფრთხოება“ ტრადიციულად გამოყენებულ უნდა იქნას:

ა) უდეკა-ს იერარქიის მიხედვით: 004 - ინფორმაციული ტექნოლოგიები. კომპიუტერული ტექნოლოგიები. გამოთვლითი მანქანებისა და სისტემების თეორია.[116]

ბ) SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორის მიხედვით: 1700-1708 - კომპიუტერული მეცნიერება (ყველა).[117]

გ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

---

[116] http://dag.seu.edu.cn/page/lwgl/UDC/004.htm [19.09.2022]

[117] SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორი https://techinformi.ge/new/klasifikators/SCOPUS.pdf [18.09.2022]

სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ, 10.04.2019): 06 (061: 0611-0613, 0619) - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები.

2. ტერმინი „უშიშროება“ გამოყენებულ უნდა იქნას:

ა) უდეკა-ს იერარქიის მიხედვით: 3 - სოციალური მეცნიერებები. სტატისტიკა. პოლიტიკა. ეკონომიკა. ვაჭრობა. სამართალი. მთავრობა. სამხედრო საქმე. დაზღვევა. განათლება. ფოლკლორი; 314/316 -საზოგადოება; 314 - დემოგრაფია. მოსახლეობის სტატისტიკური კვლევა; 316 - სოციოლოგია; 32 - პოლიტიკა; 323 - საშინაო პოლიტიკა; 323.1 - ეროვნული, სახალხო, ეთნიკური მოძრაობები და პრობლემები. ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები; 323.2 - ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. შიდაპოლიტიკური აქტივობები; 327 - საერთაშორისო ურთიერთობანი. გლობალური მსოფლიო პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკა; 33 - ეკონომიკა. ეკონომიკური მეცნიერებანი; 34 - სამართალი. იურიდიული მეცნიერებანი; 341 - საერთაშორისო სამართალი; 341.3 - ომის სამართალი. ომის დროს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; 342.1 - სახელმწიფო. ხალხი. ეროვნება. სახელმწიფოს ძალაუფლება; 342.6 - აღმასრულებელი ხელისუფლება. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოები; 342.7 - ძირითადი უფლებები. ადამიანის უფლებები. მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი; 35 - სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობა. მთავრობა. სამხედრო

საქმე; 355/359 - სამხედრო საქმე. სამხედრო ხელოვნება. სამხედრო მეცნიერება. თავდაცვა. შეიარაღებული ძალები; 009 - ჰუმანიტარული მეცნიერებანი მთლიანობაში.[118]

ბ) SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორის მიხედვით: 2000 - ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები (ყველა); 3300 - საზოგადოებრივი მეცნიერებები (ყველა) და სხვ.;[119]

გ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ, 10.04.2019):

03 - სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები; 0311 - ეკონომიკა; 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები (0312.1.1 - პოლიტიკის მეცნიერება, 0312.1.2 - საერთაშორისო ურთიერთობები); 0413.1.3 - საჯარო მმართველობა; 0421 -სამართალი და სხვ.[120]

ამრიგად, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვირუსები არა მხოლოდ კომპიუტერების ვიწრო სამიზნედ, არამედ არაპროგნოზირებად დამაზიანებელ იარაღად იქცა და მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგების მომტანი პრობლემა გახდა. ვირუსების შემქმნელთათვის კიბერსივრცის ბრძოლის ველზე კომპიუტერი არა მიზანი, არამედ საშუალება ხდება,

---

[118] Справочник по УДК https://teacode.com/online/udc/ [18.09.2022]

[119] SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორი https://techinformi.ge/new/klasifikators/SCOPUS.pdf [18.09.2022]

[120] საქართველოს მინისტრის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ", 12/04/2019. [12.09.2022]

ხოლო მრავალსვლიანი კომბინაციური სამიზნე - ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახელმწიფო ინფრასტრუქტურები.

წარმოქმნილ საშიშროებასთან გამკლავებამ თავისთავად მოითხოვა ეროვნული და საერთაშორისო დონის სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები. პრობლემა შეეხო უკვე არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლების მიერ მუშავდება კიბერსაშიშროებაზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა, ყალიბდება ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის ეროვნული უშიშროების სტრატეგია. საჭირო ხდება: კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ. პრობლემის გადასაჭრელად თუ მანამდე საკმარისი იყო ინფორმატიკის სპეციალისტების მიერ მიღებული ტექნიკური ზომები, დღეს უკვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო. პრობლემა გასცდა ინფორმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ კომპიუტერების ტექნიკურად დაცვისათვის ანტივირუსების შექმნის ვიწრო სფეროს. გლობალურმა საშიშროებამ პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის

ველზე გამოიყვანა პოლიტიკოსები და სამხედროები, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფერო და არეალი. შეიქმნა ახალი რეალობა: 1. აქამდე, კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის საკითხებს ძირითადად იკვლევდნენ და იკვლევენ მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები; 2. ამჯერად, კიბერსივრცის პრობლემების კვლევაში ფართოდ ჩაებნენ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ახალმა რეალობამ ცხადი გახადა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროება:

1. კომპიუტერული ვირუსების საფრთხეებისაგან კომპიუტერის (ქსელების) დაცვის უზრუნველსაყოფად კვლავ გამოყენებულ უნდა იქნეს ტექნიკური გაგების ტრადიციული ტერმინი „უსაფრთხოება“ (კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, კომპიუტერული უსაფრთხოება);

2. ბოლო ათწლეულებში კიბერსაფრთხეების, როგორც ტექნიკური პრობლემის განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად გადაწყვეტაზე გადასვლის შემდეგ, რადგან ტექნიკური ხასიათის საქმიანობის გამომხატველი ტერმინი „უსაფრთხოება“ სრულად ვეღარ ასახავს და ვერ გადმოსცემს მომხდარი ცვლილებების არსს, ამიტომ კიბერსივრცეში გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად შინაარსობრივად ახალი სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის გამოსახატად გამოყე-

ნებულ უნდა იქნას ძირძველი ქართული სოციალურ-პოლიტიკური გაგების ტერმინი „უშიშროება“ (კიბერუშიშროება, საინფორმაციო უშიშროება და სხვ.).

4.1.2. ინფორმაციული უშიშროების მეტამორფოზული ასპექტები

4.1.2.1. ინფორმაციული უშიშროება და ინფორმაციული უსაფრთხოება

4.1.2.1.1. ინფორმაციული უშიშროება

ცნობილია, რომ ინფორმაციულ ეპოქაში საზოგადოების განვითარების ძირითად სტრატეგიულ რესურსად იქცა ინფორმაცია, განსხვავებით წინა, ინდუსტრიული ეპოქისაგან (XVIII-XX სს.), როდესაც საზოგადოების განვითარების ძირითადი სტრატეგიული რესურსი იყო ქვანახშირი, ფოლადი და სხვ. (ამისათვის თუნდაც ევროკავშირის შექმნის ისტორიის გახსენებაც საკმარისია). საუბარია თანამედროვე გაგების ინფორმაციაზე, ანუ, რომელიც ასახულია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, ძირითადად, *ნორბერტ ვინერისა* და *კლოდ შენონის* კონცეფციებში. ინდუსტრიული საზოგადოება ჩაანაცვლა ინფორმაციულმა საზოგადოებამ. მოხდა უმნიშვნელოვანესი გარდაქმნები ცივილიზაციის განვითარებაში, რომლის შინაარსსაც განსაზღვრავს ინფორმაციის ფლობა-მანიპულირებისა და თანამედროვე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.

ინფორმაციულ ეპოქაში ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად

იქცა ინფორმაციული უშიშროება. ინფორმაციული უშიშროება, როგორც საქმიანობის სახე და კვლევის საგანი, დიდი ხანი არაა, რაც გაჩნდა - XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც აშშ-მა და ნატოს წევრმა სხვა სახელმწიფოებმა ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს თავიანთი მოწინააღმდეგეების მიმართ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების ფართოდ გამოყენება დაიწყეს.

ინფორმაციული ეპოქა და თანმდევი გლობალიზაციის პროცესები შეიჭრა და მოიცვა ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფერო: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული და სხვ. ინფორმაციული ეპოქის, რომლის განვითარების სტრატეგიული რესურსიც სწორედ ინფორმაციაა, აუცილებელ, უმთავრეს თვისებად განიხილება ინფორმაციული სფეროს სწრაფი აღმასვლა, მასთან დაკავშირებული ინფორმაციული სისტემებისა და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმოუდგენელი, რევოლუციური განვითარება, ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთქმედების ფუნდამენტურად ახალი და მაღალეფექტიანი მეთოდების გაჩენა. რის შედეგადაც, სოციალური განვითარების საინფორმაციო კომპონენტს მიენიჭა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის როლი.

საინფორმაციო სფეროს არნახულ განვითარებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, გლობალური საინფორ-

მაციო საზოგადოების ჩამოყალიბების სირთულეები აუცილებელს ხდის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საინფორმაციო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ეროვნული უშიშროების პრობლემებს. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკურ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მნიშვნელოვანი ფაქტორია მასობრივი პოლიტიკური კომუნიკაციები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება ძირითადი პოლიტიკური აქტორების საინფორმაციო ურთიერთქმედება, მათი პოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიების რეალიზება. საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში ცვლილებების დინამიზმი და ხასიათი მნიშვნელოვნად აისახება ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და როგორც ცალკეული მოქალაქეების, ისე მთლიანად პოლიტიკური ინსტიტუტების ინფორმაციული უშიშროების დონეზე.

საქართველო თავისთავად ჩაბმულია საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, რაც ბუნებრივად გულისხმობს საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებას, ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის საიმედო სისტემის შექმნას, საინფორმაციო სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების ეფექტურ დაცვას, ასევე, სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების, ქვეყნის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სატელეკომუნიკაციო და საკომუნიკაციო სისტემებისა და ობიექტების უსაფრთხოების გარანტიებს, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ინფორმაციული უშიშროება.

ინფორმაციული უშიშროება გულისხმობს ინფორმაციულ სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობას, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ბალანსირებული ინტერესების ერთობლიობა და რომელსაც ამყარებს ინფორმაციული გარემოს მდგრადობა, მისი მთლიანობის უზრუნველყოფა, არასასურველი შიდა და გარე ზემოქმედებისაგან დაცულობა. ინფორმაციული უსაფრთხოება არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაბალანსებული ინტერესების დაცვა ინფორმაციულ სფეროში გარე და შიდა საფრთხეებისგან; საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციულ სისტემებში წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას. უფრო ფართო განმარტებით, ეს არის ინფორმაციული უშიშროების სტრატეგიები, პოლიტიკა და სტანდარტები, რომლებიც მოიცავს საფრთხის შემცირების სრულ დიაპაზონს, დაუცველობის შემცირებას, შეკავებას, საერთაშორისო თავსებადობას, ინციდენტზე რეაგირებას, გამძლეობას, აღდგენის პოლიტიკას და მოქმედებებს, მათ შორის - კომპიუტერული ქსელის ოპერაციებს, ინფორმაციის დაცვას სამართალდამცავი, დიპლომატიური, სამხედრო და სადაზვერვო მისიებში, თუ ისინი დაკავშირებულია გლობალური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან, სტაბილურობასთან; მეორე მხრივ, ინფორმაციული უსაფრთხოება ეხება ინფორმაციას და მონაცემებს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინში. ის განსაზღვრულია,

როგორც ინფორმაციის დაცვა არაავტორიზებული გამოყენებისაგან, გამჟღავნებისაგან, განადგურებისაგან, შეცვლისაგან და ა.შ. მისი მიზანია მონაცემთა კონფიდენციალურობის შენარჩუნება, იქნება ეს ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმებში.

ინფორმაციული უშიშროების მთავარი სოციალური ფუნქციაა უზრუნველყოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა, მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების არსებობისას, ობიექტურად მოქმედი კანონზომიერებისა და ტენდენციების შესაბამისად.

ინფორმაციული უშიშროების პრობლემები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:

1. ინფორმაციული უშიშროების სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები - მოიცავს საინფორმაციო ომების, კიბერომებისა და ელექტრონული დაზვერვის გამო პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს, სახელმწიფო საიდუმლოების კომპრომენტაციას, თავდასხმებს თავდაცვის, სატრანსპორტო და სამრეწველო ობიექტების მნიშვნელოვან საინფორმაციო სისტემებზე, პოლიტიკური ხელმძღვანელების არასრულად ინფორმირებას, დეზინფორმაციას;

2. ინფორმაციული უსაფრთხოების ციფრული წვდომისაგან დაცვის პრობლემები - მოიცავს ინფორმაციის გაჟონვას, დამახინჯებასა და დაკარგვას, ქურდობას, ინდუსტრიულ ჯაშუშობას, მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების უკონტროლო გამოყენებასა და გავრცელებას, პირადი ცხოვრების გამჟღავნებასა და ხელყოფას, ცილისწამებას და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული უშიშროების სოციალური ინდიკატორების გამართული სისტემის არსებობას. ინფორმაციული უშიშროების სოციალური ასპექტების შესწავლისას მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია:

- სხვადასხვა სოციალური ფენისა და მოსახლეობის ჯგუფის ინფორმირებულობის ხარისხი;
- სოციალური გრძნობები, განწყობები, სტერეოტიპები;
- დამოკიდებულებები კანონმორჩილებისა და ინფორმაციის გამოყენების სფეროში;
- კანონიერი, ლეგიტიმური ინტერესები.

თანამედროვე საზოგადოების ინფორმაციული უშიშროების განუყოფელი მაჩვენებელია სოციალური აქტივობა საინფორმაციო სივრცეში.

ინფორმაციულ ეპოქაში, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე საქართველოს არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვ. სფეროებში წარმატების მიღწევის იმედი; სახელმწიფო ვერ მოიპოვებს სტრატეგიულ და ტაქტიკურ უპირატესობას, ასევე ვერ შეინარჩუნებს უპირატესობას მთელ რიგ მოწინავე ტექნოლოგიებზე, რომლებიც გადამწყვეტია განვითარებისა და ლიდერობისათვის ბრძოლაში და სხვ.

ინფორმაციული უშიშროების საკითხის გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და ორიენტაცია მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეულ ინტეგრაციაზე, შეუძლებელია

თანამედროვე საინფორმაციო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.

საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის მთავარი სუბიექტი სახელმწიფოა. ინფორმაციული სფერო, რომელიც თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში სისტემის ფორმირების ფაქტორია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს უშიშროების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და სხვა სახეების საერთო მდგომარეობაზე, რაც თავისთავად ზრდის ინფორმაციული უშიშროების მნიშვნელობას მთლიანად ეროვნული უშიშროების საერთო სისტემაში.

საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა უკავშირდება სახელმწიფოებრიობის გაძლიერების პრობლემის გადაჭრას, ეროვნული უფლებებისა და თავისუფლებების, ადამიანის სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სტაბილური გლობალური სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნებას. ინფორმაციული საზოგადოების შესაძლებლობების რეალიზებისა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი რისკებისა და საფრთხეების მინიმიზაცია დიდწილად განისაზღვრება სახელმწიფოს ეფექტური და დროული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით.

საქართველოს ინფორმაციული უშიშროებისათვის საფრთხე (საშიშროება) შეიძლება იკვეთებოდეს სხვადასხვა დონეზე. მაგალითად, სახელმწიფო დონეზე, როდესაც მტრული

სახელმწიფო თავის სასარგებლოდ ახდენს მიზანმიმართული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორგანიზებას საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. ასევე, როდესაც მისი ქმედება მიმართულია საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე ყოველმხრივი ზემოქმედებისათვის საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საფუძვლების მორყევის, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში შეღწევისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

სამწუხაროა, რომ საქართველოში იღებენ კანონს არა „ინფორმაციული უშიშროების" შესახებ, არამედ კანონს[121] „ინფორმაციული უსაფრთხოების" შესახებ, რომლის მოქმედება ვრცელდება, შეიძლება ითქვას, მხოლოდ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტზე და ამ დროს დაუცველს ტოვებენ საქართველოს ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს სივრცეს, რადგან მათი ყურადღების გარეშე რჩება პრობლემები, რომელთა გადაჭრაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს ინფორმაციული უშიშროების საფრთხეებში გამოიყოფა შემდეგი სახეები:

- საფრთხეები, რომლებიც ემუქრება პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს სუ-

[121] საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ". საქართველოს პარლამენტი, 05/06/2012.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=5

ლიერი ცხოვრებისა და საინფორმაციო საქმიანობის, ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროში;

- საფრთხეები, რომლებიც ემუქრება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

- საფრთხეები, რომლებიც ემუქრება ქვეყნის საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარებას, მათ შორის - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ტელეკომუნიკაციებისა და კომუნიკაციების ინდუსტრიას, აგრეთვე, შიდა საინფორმაციო რესურსების შენარჩუნებასა და ეფექტურ გამოყენებას;

- საფრთხეები, რომლებიც ემუქრება საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და სისტემების უსაფრთხოებას.

ასევე, ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს შეიძლება შეექმნას საფრთხე, თუ:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული იქნება ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ხელყოფს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს საინფორმაციო საქმიანობის სფეროში;

- საქართველოში ინფორმაციის ფორმირებაში, მიღებასა და გავრცელებაში, მათ შორის - სატელეკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით შეიქმნება მონოპოლიები;

- შეექმნება წინააღმდეგობა, მათ შორის - კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან, მოქალაქეების პირად და ოჯახურ საიდუმლოებაზე, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების საიდუმლოებასა და სხვა კომუნიკაციებზე საკუთარი კონსტიტუციური უფლებების გამოყენებას;
- შეეზღუდებათ არარაციონალურად და გადაჭარბებულად საზოგადოებრივად საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- უკანონოდ იქნება გამოყენებული ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების სპეციალური საშუალებები;
- არ შესრულდება სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი ხელისუფლების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ ინფორმაციულ სფეროში მარეგულირებელი ურთიერთობების კანონმდებლობის მოთხოვნები;
- უკანონოდ შეეზღუდებათ მოქალაქეებს წვდომა სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობების ღია ინფორმაციის რესურსებზე, ღია საარქივო მასალებზე, სხვა ღია სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციაზე;
- მოხდება კულტურული ფასეულობების, მათ შორის, არქივების დაგროვებისა და დაცვის სისტემის დეორგანიზაცია და ნგრევა;
- ადგილი ექნება მასმედიის სფეროში მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას;

- გაძლიერდება სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება, ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი ძალადობის კულტზე, ზნეობრივ და მორალურ ღირებულებებზე დაფუძნებული მასობრივი კულტურის ნიმუშების პროპაგანდა;

- მოხდება ინფორმაციით მანიპულირება (დეზინფორმაცია, ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება).

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას შეიძლება საფრთხე შეექმნას:

- უცხოური საინფორმაციო სტრუქტურების მიერ საქართველოს საინფორმაციო ბაზრის, მისი ცალკეული სექტორების მონოპოლიზების შემთხვევაში;

- ქართული და უცხოელი აუდიტორიის ინფორმირებისათვის სახელმწიფო მედიის საქმიანობის ბლოკირების შემთხვევაში;

- საინფორმაციო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების სისტემის არარსებობისა და კვალიფიციური კადრების სიმცირის, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის საინფორმაციო მხარდაჭერის დაბალი ეფექტურობის შემთხვევაში.

საქართველოს ინფორმაციული უშიშროების საფრთხეებს (საშიშროებებს) შეიძლება მივაკუთვნოთ, ასევე:

- მოწინააღმდეგის მიერ მონოპოლიის მოპოვება ქვეყანაში ინფორმაციის ფორმირების, მიღებისა და გავრცელების სფეროში;

- საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების უცხოეთის საინფორმაციო სტრუქტურებზე დამოკიდებული მდგომარეობა;
- ინფორმაციით მანიპულირება (დეზინფორმაცია, ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება);
- ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის მცირე შედეგიანობა;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ქვეყნის დამოკიდებული მდგომარეობა;
- ტექნოლოგიური ჩამორჩენა და სხვ.

სუსტი სახელმწიფოებისათვის მუდმივად არსებობს მუქარა მოწინააღმდეგის მიერ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ დონეებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში ჩარევისა, რაც შეიძლება გახდეს ქვეყანაში პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწეების დელეგიტიმაციის, ეთნიკური ურთიერთობის, სახელმწიფო ცენტრსა და რეგიონებს შორის დესტაბილიზაციის, სახელმწიფო მმართველობის დეზორგანიზაციისა და სხვ. წყარო.

ინფორმაციული უშიშროების მთავარი სოციალური ფუნქციაა უზრუნველყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების სტაბილურობა და მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების არსებობისას ობიექტურად მოქმედი კანონზომიერებებისა და ტენდენციების შესაბამისად.

თავის მხრივ, ინფორმაციული უშიშროების შინაარსის მთავარი სოციალური ასპექტი არის ინფორმაციული ნაკადების ფუნქციონირების მიმართულებების, ინსტიტუტებისა და მახასიათებლების სისტემა, რომელიც შეესაბამება ან არ შეესაბამება მართვის სუბიექტების მიერ სოციალური ფუნქციების შესრულების ხასიათს.

ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა, რომლის მრავალფუნქციური კომპლექსური ამოცანა უნდა იყოს ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოაყალიბოს და განავითაროს:

- საინფორმაციო საკანონმდებლო-სამართლებრივი სისტემა;
- ეროვნული (სახელმწიფო და არასახელმწიფო) საინფორმაციო რესურსების სისტემა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა;
- საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი;
- საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი;
- მასობრივი საინფორმაციო განათლების, საინფორმაციო სფეროსათვის პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა;
- საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიები;

- სახელმწიფო მმართველობისა და ეროვნული უშიშროების ინფორმაციული უზრუნველყოფის გამართული სისტემა და სხვ.

საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს ასევე გადაიჭრას შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ინფორმაციული უშიშროების სამეცნიერო-პრაქტიკული საფუძვლების განვითარება, მათ შორის, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროებისა, რომელშიც უნდა აისახოს საქართველოს თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარება და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობები;
- ინფორმაციული უშიშროების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის დახვეწა, მათ შორის, საინფორმაციო რესურსების რეესტრის შემუშავება, ინფორმაციის გაცვლის რეგულაციები სახელმწიფო ორგანოებისა და ადმინისტრაციებისათვის, საწარმოებისათვის, თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის ნორმატიული დაფიქსირება ინფორმაციული უშიშროების მოთხოვნების დაცვაზე;
- მოქალაქეთა ინფორმაციაზე უფლებების განხორციელების მექანიზმების შემუშავება; ინფორმაციული უშიშროების სისტემის ფორმირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციული უშიშროების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

- თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციული უშიშროების პრობლემების ყოვლისმომცველი გადაწყვეტა;

- ინფორმაციული უშიშროების სისტემებისა და საშუალებების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების შემუშავება და მათი სერტიფიცირება;

- საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე სახელმწიფოს ცივილიზებული ზეგავლენის ფორმებისა და მეთოდების შესწავლა;

- საინფორმაციო სისტემების პერსონალის საქმიანობის ყოვლისმომცველი შესწავლა, საიდუმლო და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე მომუშავე ადამიანების მოტივაციის, მორალური და ფსიქოლოგიური სტაბილურობისა და სოციალური უსაფრთხოების გაზრდის მეთოდების ჩათვლით.

ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ თანამედროვე სატელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული ეფექტური ეროვნული საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაჭრის ოპტიმიზაციის ფაქტორი და ერთ-ერთი უმთავრესი გადაუდებელი პრიორიტეტული ამოცანაა.

4.1.2.1.2. ინფორმაციული უსაფრთხოება

ცხადია, „ინფორმაციულ უსაფრთხოებას“ უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია „ინფორმაციული უშიშროების“ უზრუნველყოფაში. ტერმინში „ინფორმაციული უსაფრთხოება“ მოიაზრება ინფორმაციული სისტემების, ავტომატიზებული სისტემების, ამ სისტემების რესურსების, მონაცემთა ბაზების დაცვა (მარტივად ვირუსებისაგან დაცვა და სხვ.), რომელიც უფრო მეტად ასოცირდება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვასთან; ე.ი. აქ არ არის საუბარი ეროვნული უშიშროების სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაზე, განსხვავებით - ინფორმაციული უშიშროებისაგან. ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოება“ არის „ინფორმაციული უშიშროების“ შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი.

მკაფიო განსხვავება არსებობს ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებას შორის. ინფორმაციის უსაფრთხოება გულისხმობს ფიზიკური და ციფრული მონაცემების დაცვას არაავტორიზებული გამოყენების, წვდომისა და მოდიფიკაციისაგან. კიბერუსაფრთხოება კი გულისხმობს ციფრული მონაცემების დაცვას არაავტორიზებული გამოყენების, წვდომისა და მოდიფიკაციისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციული უსაფრთხოება იცავს ფიზიკურ და ციფრულ მონაცემებს ნებისმიერი ტიპის უკანონო წვდომისაგან, ხოლო კიბერუსაფრთხოება იცავს ციფრულ მონაცემებს უკანონო ციფრული წვდომისაგან.

მაგალითად, საფრთხეები საქართველოს საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და სისტემების უსაფრთხოებისათვის შეიძლება იყოს:

- აპარატურულ და პროგრამულ პროდუქტებში იმ კომპონენტების ჩანერგვა, რომლებიც ახორციელებს პროდუქტების დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელ ფუნქციებს;
- იმ პროგრამების შემუშავება და გავრცელება, რომლებიც არღვევს ინფორმაციული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სისტემების, მათ შორის - ინფორმაციის დაცვის სისტემების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ინფორმაციის, ტელეკომუნიკაციებისა და კავშირგაბმულობის საშუალებებისა და სისტემების მოსპობა-დაზიანება, რადიოელექტრონული ჩახშობა ან განადგურება;
- ზემოქმედება პაროლის გასაღების სისტემებზე ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის ავტომატიზებული სისტემების დასაცავად;
- ინფორმაციის გაყონვა ტექნიკური არხებით;
- ინფორმაციის უკანონო მოპოვება და გამოყენება;
- ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიების დარღვევა;
- ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად ელექტრონული მოწყობილობების ჩანერგვა საკომუნიკაციო არხებით ინ-

ფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გადაცემის ტექნიკურ საშუალებებში, აგრეთვე - სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ოფისებში, საკუთრების ფორმის მიუხედავად;

- ინფორმაციის მატარებლებისა და სხვა შესანახი საშუალებების განადგურება, დაზიანება, მოსპობა ან მიტაცება;

- ინფორმაციის ხელში ჩაგდება მონაცემთა გადაცემის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის ხაზებიდან, ამ ინფორმაციის გაშიფვრა და ყალბი ინფორმაციის თავსმოხვევა;

- არასერტიფიცირებული სამამულო და უცხოური საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინფორმაციის დაცვის, ინფორმატიზაციის, ტელეკომუნიკაციებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენება ქართული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებაში;

- საინფორმაციო ბანკებსა და მონაცემთა ბაზებში განთავსებულ ინფორმაციაზე უნებართვო წვდომა; ინფორმაციის გავრცელების სამართლებრივი შეზღუდვების დარღვევა.

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გადაცემის ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ინფორმაციული უსაფრთხოების

საკითხებზე. ინფორმაციული რესურსების განადგურება, მათი მიუწვდომლობა ან ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის გამო არასანქცირებული გამოყენება სერიოზულ პრობლემებს უქმნის მოქალაქეებს, სოციალურ ჯგუფებს, კომპანიებსა და სახელმწიფოებს.

4.1.2.2. კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება

4.1.2.2.1. კიბერუშიშროება

21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველო ჩაბმულია კიბერსივრცის ჩამოყალიბების პროცესში, რაც ბუნებრივად გულისხმობს სათანადო კიბერპოლიტიკის კონცეფციის შემუშავებას, კიბერსივრცის დაცვისა და გამოყენების უზრუნველყოფის საიმედო სისტემის შექმნას, კიბერსივრცეში ქვეყნის ეროვნული ინტერესების ეფექტიან დაცვას, ასევე სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების, ქვეყნის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სატელეკომუნიკაციო და საკომუნიკაციო სისტემებისა და ობიექტების უსაფრთხოების გარანტიებს, რამაც საბოლოოდ უნდა განაპირობოს საქართველოს კიბერუშიშროება და მთლიანობაში ინფორმაციული უშიშროება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კიბერუშიშროების უზრუნველყოფა არის პროცესი, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობისა და სადირექტივო ორგანოების მიერ ხდება კიბერსივრცისა და კიბერსაფრთხეების პრობლემების სისტემური გააზრება, კიბერსაფრთხეებზე რეაგირებისათვის საინფორმა-

ციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობების გაანალიზება, როდესაც ისინი ამუშავებენ კიბერსაფრთხეებზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკას, აყალიბებენ ქვეყნისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის ეროვნულ სტრატეგიას. მარტივად რომ ითქვას, ხდება კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და კიბერსაფრთხეებისათვის მზადყოფნის, მდგრადობისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების სისტემური გააზრება. უფრო ზუსტად, კიბერუსაფრთხოების ტექნიკური უზრუნველყოფის მისაღწევად ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები (კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მათ შორის - ეროვნული ინტერესების დაცვა, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ.). ეს საქმიანობა სრულიად განსხვავებული და ფართოა, ვიდრე ტექნიკური ხასიათის ზომების გატარება. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის №482 (30.09.2021) დადგენილებაში „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტერმინი აღრეულია. დოკუმენტის სათაურიდან ნათლად ჩანს და თვითონ მასშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „სტრატეგია,

როგორც კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი, წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობას და ითვალისწინებს მათ შესასრულებლად კონკრეტულ აქტივობებს, რესურსებსა და პასუხისმგებელ უწყებებს"[122]. ეს არის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგია, კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, განვითარების პრიორიტეტული ასპექტები, სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპები და სხვ. ე.ი. თვითონ დოკუმენტის შინაარსი მიუთითებს, რომ ამ დოკუმენტში ტერმინი „კიბერუსაფრთხოება" არასათანადოდ არის გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ტერმინი „უშიშროება" გამოიყენება მაშინ, თუ მოსალოდნელი საფრთხის (საშიშროების) თავიდან არიდება (გაუვნებელყოფა) მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობას, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას (პოლიტიკის შემუშავება, კონცეფცია, დაგეგმვა და სხვ.), ანუ დაკავშირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან.

---

[122] საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის დადგენილება №482. https://-www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0 [22.07.2022]

კიბერუშიშროება გულისხმობს კიბერსივრცეში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობას, რაც მიიღწევა კვალიფიციური კიბერპოლიტიკის შედეგად ეფექტური კიბერუსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებით, კიბერსივრცის მდგრადობით, არასასურველი შიდა და გარე ზემოქმედებისაგან დაცულობით.

კიბერუშიშროება ეროვნული უშიშროების (სისტემის) შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია (ქვესისტემაა), კიბერუსაფრთხოება კი კიბერუშიშროების შემადგენელი კომპონენტია (ქვესისტემის ქვესისტემაა).

კიბერუშიშროება, როგორც აღინიშნა, კიბერუსაფრთხოებასაც მოიცავს და ისინი ერთმანეთს შეეფარდება, როგორც სისტემა და ქვესისტემა. კიბერუშიშროების უზრუნველყოფაში ამოსავალია პოლიტიკური მიზანი, ხოლო შედეგი - მისი მიღწევა.

ამავე დროს, კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება ერთმანეთსაც განაპირობებენ. კიბერუსაფრთხოება აუცილებელია, რადგან მისი განხორციელება აუცილებელია კიბერუშიშროების პოლიტიკის წარმატებისათვის. ამასთან, კიბერუშიშროების პოლიტიკის მიერ დასახული და განხორციელებული ამოცანების გარეშე კიბერუსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვაში ვერ იქნება შესაბამისი როლის შემსრულებელი.

ღია ინტერნეტმა არა მხოლოდ მისცა შესაძლებლობა მეცნიერებს, კომპანიებსა და ორგანიზაციებს გახდნენ უფრო ეფექტიანი, მან ასევე მოიტანა იდეების, ინფორმაციისა და

კულტურების უპრეცედენტო გაცვლა ადამიანებსა და ჯგუფებს შორის. ინტერნეტმა მოახდინა გლობალური რევოლუცია ბიზნესის წარმოებაში, ურთიერთიერთობებსა და კომუნიკაციაში. კიბერსივრცე განისაზღვრება კავშირების მრავალფეროვნებით, რაც ამავდროულად აქცევს მას რისკის ზონის კატეგორიაში. მუდმივად მზარდი ზომები, მოცულობა და ფუნქციები ამაღლებს მოქმედების შესაძლებლობებს როგორც კანონმორჩილი მოქალაქეებისათვის, ისე მტრულად განწყობილი მოთამაშეებისათვის. მოწინააღმდეგეს მხოლოდ ქსელის ყველაზე სუსტ რგოლზე თავდასხმა სჭირდება, რათა ახალი პლაცდარმი და უპირატესობები მოიპოვოს. ერთი შეხედვით ლოკალური პრობლემები შეიძლება სწრაფად გაიზარდოს და გავრცელდეს, შექმნას საფრთხეები და სისტემური რისკები.

კიბერსივრცე არის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსი, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. სხვანაირად, კიბერსივრცე არის გლობალური და დინამიკური არეალი (დომენი, ექვემდებარება მუდმივ ცვლილებას), რომელიც ხასიათდება ელექტრონებისა და ელექტრომაგნიტური სპექტრის კომბინირებული გამოყენებით, რომლის მიზანია შექმნას, შეინახოს, შეცვალოს, გაცვალოს, ერთობლივად გამოიყენოს და ამოიღოს, აღმოფხვრას ინფორმაცია და გაანადგუროს ფიზიკური რესურსები. უფრო მარტივად, ესაა

პირობითი გარემო, რომელშიც კომუნიკაცია ხდება კომპიუტერული ქსელის მეშვეობით.

კიბერსივრცე არ არსებობს რაიმე ფიზიკური ფორმით, იგი ურთულესი გარემოა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, ინტერნეტმომსახურებას, ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, ქსელებსა და ქსელური კავშირების საშუალებებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.

დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დგას კიბერუშიშროებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო ქსელების განვითარების ადრეულ ეტაპზე მათი უსაფრთხოების საკითხები არ იყო მთავარი მომხმარებელთა სიმცირისა და ძირითადად ლოკალური ქსელების არსებობის გამო. მაშინ მომხმარებლებიც ენდობოდნენ ერთმანეთს.

ტექნოლოგიების განვითარებასთან და საკომუნიკაციო ქსელების ზრდასთან ერთად, გაიზარდა უსაფრთხოების მნიშვნელობაც. კიბერუსაფრთხოების ისტორია, შემდეგ უკვე კიბერუშიშროების ისტორია კომპიუტერებზე პირველი თავდასხმების გამოვლენიდან იწყება.

1988 წელს *რობერტ მორისმა* (Robert Tappan Morris) შექმნა პირველი კომპიუტერული ჭია, თვითგამავრცელებელი ვირუსი. რა თქმა უნდა, თავდასხმები და ვირუსები მანამდეც არსებობდა, მაგრამ სწორედ „მორისის ჭია“ (Morris

worm) იყო პირველი ფართომასშტაბიანი და ფართოდ გავრცელებული DoS შეტევა (Denial of Service) ინტერნეტის წინამორბედ ARPANET ქსელში.

1990-იან წლებში შეერთებულმა შტატებმა დააარსა ინფორმაციული უშიშროების კვლევის კონსორციუმი, რომელმაც შეიმუშავა საერთაშორისო კონვენცია კიბერდანაშაულისა და ტერორიზმის შესახებ. 1997 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა RFC2196: Site Security Handbook - კომპიუტერული უშიშროების პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო. 2014 წელს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტმა (ETSI) შექმნა კიბერუშიშროების ტექნიკური კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია კიბერუსაფრთხოების სტანდარტიზაციაზე საერთაშორისო დონეზე.

ამჟამად კიბერუსაფრთხოება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კომპიუტერული სისტემებისა და ინტერნეტის მზარდი გავლენის გამო ცხოვრების ყველა სფეროზე, უკაბელო ქსელების განვითარების (მაგალითად, Bluetooth და Wi-Fi-ზე დაფუძნებული), ისევე როგორც ინტერნეტის ნაწილების, „ჭკვიანი" მოწყობილობების, სმარტფონების, ტელევიზორების და სხვ. ზრდის გამო.

კომპიუტერები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები გამოიყენება ადამიანისა და სახელმწიფო საქმიანობის ყველა დარგში; ეს არის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, სახელმწიფო სერვისების მიწოდება ჯანდაცვის, განათლების, საბინაო და კომუნალური მომსახურების, საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტის მართვის, ვაჭრობის, ფინანსების,

ასევე პიროვნებათაშორისი ურთიერთობის და სხვა სფეროებში. ქსელების გავლენა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაზე მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, ისინი ხელს უწყობს ადამიანის პოტენციალის განვითარებას საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამების, კომპიუტერული თამაშების, ინტერაქტიული ტელევიზიის, ელექტრონული პრესის საშუალებით.

გლობალური ქსელები გავლენას ახდენს პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო ქცევაზე, საარჩევნო კამპანიის ორგანიზებისა და წარმართვის პროცესზე, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის მექანიზმებზე, პოლიტიკური აქტორების მიერ მათი ინტერესების წარმოჩენასა და დაცვაზე.

მეორე მხრივ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროს სწრაფმა განვითარებამ განაპირობა დანაშაულის ახალი სახეობის - კომპიუტერული დანაშაულისა და კომპიუტერული ტერორიზმის გაჩენა. ქსელის ათასობით მომხმარებელი, არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ მთელი სახელმწიფოები, შესაძლოა, დაზარალდეს კიბერტერორისტების მოქმედებით ვირტუალურ სივრცეში.

4.1.2.2.2. კიბერუსაფრთხოება

კიბერუშიშროების პოლიტიკა თუ გამართულია, თუ უზრუნველყოფილია კიბერუშიშროება, მაშინ კიბერუსაფრთხოების პრობლემებიც ადვილად მოგვარებადია.

ზემოთ როგორც აღინიშნა, კიბერუსაფრთხოება არის კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (ქსელები, კომპიუტერები, პროგრამები, მონაცემები, მოწყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) დაცვის ტექნოლოგიების, მეთოდიკისა და პროცესების ერთობლიობა. ე.ი. მისი მიზანია მათი დაცვა, მთლიანობაში კი, კიბერუშიშროების პოლიტიკური მიზნის მოთხოვნების შესაბამისი შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა.

ცხადია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა უფრო „ტექნიკის" საქმეა, უფრო „ტექნიკური" საფრთხისგან დაცვაა. მაგალითად, იგი ცნობილი „შრომის უსაფრთხოების დაცვასთან" ასოცირდება და არა - სოციალურ-პოლიტიკური მიზნების დასახვასთან. ე. ი. მოცემულ ობიექტზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა მიღებულ იქნეს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები: განისაზღვროს კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროს (ქსელები, კომპიუტერები, მოწყობილობები, პროგრამები, მონაცემთა ბაზები) ექსპლოატაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და დაინერგოს შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემა.[123]

---

[123] ასევე მკაფიო განსხვავება არსებობს ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებას შორის. ინფორმაციის უსაფრთხოება გულისხმობს ფიზიკური და ციფრული მონაცემების დაცვას არაავტორიზებული გამოყენების, წვდომისა და მოდიფიკაციისაგან. კიბერუსაფრთხოება კი არის ციფრული მონაცემების დაცვა არაავტორიზებული გამოყენების, წვდომისა და მოდიფიკაციისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციული

კიბერუსაფრთხოების სფეროში კი პრობლემები მრავლად არის:

- ჰაკერების გამო კიბერუსაფრთხოება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას - მონაცემთა დაკარგვა, კონფიდენციალურობა, რისკების მართვა, სტრატეგიების შეცვლა და სხვ. დღეისათვის კიბერშეტევების რაოდენობა არ მცირდება, უფრო მეტიც, იზრდება თავდასხმები. შესაბამისად, სულ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო ქსელებისა და მოწყობილობების დასაცავად;
- კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ელემენტია უსაფრთხოების რისკების მუდმივად ცვალებადი ბუნება. როგორც ახალი ტექნოლოგიები ჩნდება და ხდება მათი გამოყენება ახლებურად, განსხვავებული გზებით, იმთავითვე ჩნდება თავდასხმის ახალი საშუალებები და მეთოდები;
- თუ აქცენტები არ შეიცვალა, შეიძლება საქართველოს გაუჭირდეს ფეხი აუწყოს ამ მუდმივ ცვლილებებსა და მიღწევებს თავდასხმებში, გაითვალისწინოს ისინი, მოახერხოს თავდაცვის მეთოდების განახლება. ეს ასევე მოიცავს იმის უზრუნველყოფას, რომ კიბერუსაფრთხოების ყველა ელემენტი მუდმივად შეიცვალოს და განახლდეს პოტენციური მოწყვლადობისაგან თავის ასარიდებლად, რაც განსაკუთრებით რთულია ღარიბი ქვეყნებისათვის;

უსაფრთხოება იცავს ფიზიკურ და ციფრულ მონაცემებს ნებისმიერი ტიპის უკანონო წვდომისაგან, ხოლო კიბერუსაფრთხოება იცავს ციფრულ მონაცემებს უკანონო ციფრული წვდომისაგან.

- კიბერუსაფრთხოების კიდევ ერთი მთავარი პრობლემა სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება მონაცემების ზრდა, იზრდება კიბერუსაფრთხოების მეტი პროფესიონალების საჭიროება, რათა გაანალიზონ, მართონ და მოახდინონ რეაგირება ინციდენტებზე. როგორც ცნობილია, მსოფლიოში კიბერუსაფრთხოების სფეროში სამ მილიონამდე შეუვსებელი სამუშაო ადგილია.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 - 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრულია საქართველოს კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგია, კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, განვითარების პრიორიტეტული ასპექტები, სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპები და სხვ.

სტრატეგია, როგორც კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი, წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობას, მათ შესასრულებლად ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, რესურსებსა და პასუხისმგებელ უწყებებს. ეს მნიშვნელოვანი ფუნდამენტური დოკუმენტი, რიგით მესამე სტრატეგია, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავების ეფექტურ მექანიზმებს.

აქვე გათვალისწინებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის კიბერუშიშროების გლობალური ცენტრის (The Global Cyber Security Capacity Centre) მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი, რომელშიც საუბარია საქართველოში არსებული კიბერუშიშროების გარემოზე, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები და ინიციატივები მისი განვითარების მიზნით.

სტრატეგიაში გაერთიანებულია, როგორც კიბერ და ინფორმაციული უშიშროების გარემოს გაუმჯობესების, ისე კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართული კონკრეტული კომპონენტები.

სტრატეგია მიზნად ისახავს კიბერუშიშროების, კიბერთავდაცვისა და კიბერდანაშაულის სფეროებში კიბერკულტურისა და კიბერგანათლების განვითარებას, მმართველობითი სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას, საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერებას, ძლიერი ადამიანური რესურსების შექმნასა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც უსაფრთხო და დაცული ქვეყნის როლის გაძლიერებას.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებობდეს მმართველობის სტრატეგიული მოდელი, რომლის ფარგლებშიც კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა უნდა გახდეს საქართველოს კიბერუსაფრთხოების გზამკვლევი როგორც შიდა დაინტერესებული მხარეებისათვის, ისე გარე აქტორებისათვის.

მიუხედავად გარკვეული აღმავლობისა, მომდევნო ნაწილში აღწერილ საფრთხეებსა და რისკებთან გამკლავების მიზნით, საქართველოს ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა დასჭირდება კიბერუსაფრთხოების ეროვნულ-სტრატეგიულ დონეზე განვითარების თვალსაზრისით.

სტრატეგიაში განსაზღვრულია კიბერდანაშაული (მათ შორის - კრიტიკული ინფრასტრუქტურების წინააღმდეგ მიმართული შეტევები). აღნიშნულია, რომ „კიბერ“ ელემენტი თითქმის ყველა კატეგორიის დანაშაულის შემადგენელი ნაწილი ხდება; ინტერნეტსივრცე, ტექნოლოგიური გარემო გამოყენებულია სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად (მაგ.: თაღლითობა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებანი, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაცია ინტერნეტის საშუალებით). ასევე, ადგილი აქვს კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობისა და მთლიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის - კომპიუტერულ სისტემაზე უნებართვო წვდომა, კომპიუტერულ მონაცემთა არამართლზომიერი დაუფლება, მონაცემთა ხელყოფა, კომპიუტერული მოწყობილობების არასანქცირებული გამოყენება, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიასა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებანი. ფართოდ ვრცელდება ე.წ. ფიშინგი, პერსონალური მონაცემების მოპარვა (Identity Theft), მავნე კოდისა და „Deface“-ის გამოყენება, ასევე - „რანსომვეარი“ (Ransomeware), „დიფეისი“

(deface), „დიდოსი“ (DDoS) და „ელფოსტის სპუფინგი“ (mail spoofing).

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპებად აღიარებულია:

- ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა;
- ერთიანი სამთავრობო ხედვა;
- კანონიერება;
- პროპორციული, თანაზომიერი და აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა;
- საჯარო და კერძო აქტორებს შორის რესურსების გაზიარებით პროფესიონალიზმის ამაღლება კიბერუსაფრთხოების სფეროში;
- ახალი ტალანტების მოძიება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- რისკების მართვაზე დაფუძნებული სისტემა;
- ინოვაციებზე ორიენტირება;
- აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა.

დოკუმენტში სტრატეგიის სამოქმედო პერიოდის გათვალისწინებით განსაზღვრულია 4 პრიორიტეტული მიზანი:

მიზანი 1: ინფორმაციული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კიბერკულტურის განვითარება და შესაძლებლობების გაძლიერება კიბერსივრცეში საფრთხეებსა და ინციდენტებთან გამკლავების მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ძირითადი ამოცანებია: ამოცანა 1.1: კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისათვის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების

ჩამოყალიბება და განათლების დონის ამაღლება; ამოცანა 1.2: კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისათვის კიბერსაფრთხეებისა და რისკების შესახებ ინფორმაციული საზოგადოებისა და ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება.

მიზანი 2: კიბერუსაფრთხოების მმართველობითი სისტემის მდგრადობა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ძირითადი ამოცანებია: ამოცანა 2.1: ეროვნულ დონეზე კიბერინციდენტებისა და კიბერსაფრთხეების დროული გამოვლენის, რეპორტინგისა და მათთან სათანადო გამკლავების სისტემის შექმნა და განვითარება; ამოცანა 2.2: კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სისტემის განვითარება; ამოცანა 2.3: ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით თანამედროვე ტენდენციების, საუკეთესო პრაქტიკისა და კიბერსაფრთხეების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა; ამოცანა 2.4: ეროვნული კიბერუსაფრთხოების მიზნების განსაზღვრა; ამოცანა 2.5: კიბერუსაფრთხოების სფეროში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და გაძლიერება.

მიზანი 3: კიბერშესაძლებლობების განვითარება მძლავრი ადამიანური რესურსითა და სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ძირითადი ამოცანებია: ამოცანა 3.1: დარგის სპეციალისტების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება; ამოცანა 3.2:

ეროვნული კიბერშესაძლებლობების გაძლიერება ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებებით.

მიზანი 4: კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც უსაფრთხო და დაცული ქვეყნის, როლის გაძლიერება. მიზნის მისაღწევად ძირითადი ამოცანებია: ამოცანა 4.1: კიბერსაფრთხეებსა და ინციდენტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის ზრდა და საერთაშორისო მხარდაჭერის/თანამშრომლობის გაძლიერება; ამოცანა 4.2: საერთაშორისო კიბერსწავლებებსა და კიბერსავარჯიშოებში ჩართვის უზრუნველყოფა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კიბერუსაფრთხოების გლობალურ დღის წესრიგში წვლილის შეტანისათვის; ამოცანა 4.3: საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის პარტნიორობის გაძლიერება.

კიბერსივრცეში დაუცველობისა და მოწყვლადობის განცდა რეალური, სერიოზული და სწრაფად მზარდია. კრიტიკული ინფრასტრუქტურა, დაზვერვა, კომუნიკაციები, მართვა და კონტროლი, ვაჭრობა და ფინანსური ოპერაციები, ლოჯისტიკა, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და შედეგების ლიკვიდაცია მთლიანად დამოკიდებულია ქსელურ IT სისტემებზე. კიბერუშიშროებისა და კიბერუსაფრთხოების დარღვევის, მონაცემთა და ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის მასშტაბებს საზღვრები არა აქვს. ისინი გავლენას ახდენს ყველაფერზე, პირადი ინფორმაციიდან - სახელმწიფო საიდუმლოებამდე.

კიბერუშიშროების უზრუნველყოფა არის კომპლექსური ამოცანა, რომელიც მოიცავს მრავალ, განსხვავებულ მმართველობით, პოლიტიკურ, ოპერატიულ, ტექნიკურ და სამართლებრივ მხარეებს; მთავრობების მიერ ეროვნული სტრატეგიებისა და განხორციელების გეგმების შემუშავებისას გასათვალისწინებელ ქვეყნის კიბერსაფრთხეებისადმი მზადყოფნის ძირითადი კომპონენტებსა და კრიტიკულ ასპექტებს;

კიბერუშიშროების ეროვნულ სტრატეგიაში განიხილება: ყველაზე მაღალი დონის მიზნები, პრინციპები და პრიორიტეტები, რომლებითაც ხელმძღვანელობს ქვეყანა კიბერუშიშროების უზრუნველყოფისათვის; ჩამონათვალი პასუხისმგებელი მხარეებისა, რომელთაც ევალებათ ქვეყნის კიბერუშიშროების გაძლიერება; ღონისძიებების, პროგრამებისა და ინიციატივების აღწერა, რომლებსაც ქვეყანა განახორციელებს ეროვნული კიბერინფრასტრუქტურის დასაცავად, უსაფრთხოებისა და აღდგენის უნარის გასაძლიერებლად.

4.1.3. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება

ახალ ეპოქაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. მრავლისმეტყველი და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ინდუსტრიული ეპოქა მილევად რეჟიმში იყო და ინფორმაციული ეპოქა ძალებს იკრებდა, 80-იანი წლების დასაწყისში, აშშ-მა აღიარა ინფორმაციულ-

ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ფსიქოლოგიური ოპერაციების განსაკუთრებული როლი ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში. ცნობილია, რომ *რონალდ რეიგანმა* თეთრ სახლში მისვლისთანავე წამოაყენა ეროვნული უშიშროების საკუთარი სტრატეგია, რომელიც დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და ინფორმაციული კომპონენტებისაგან შედგებოდა. ეროვნული უშიშროების საკითხებში ინფორმაციულ კომპონენტზე აქცენტი შენარჩუნდა მთელი მისი პრეზიდენტობის პერიოდში. 1983 წლის იანვარში მან ხელი მოაწერა #77 დირექტივას „ეროვნული უშიშროების მიზნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დიპლომატიის სახელმძღვანელო“, რომელიც იძლევა სახელმწიფო დიპლომატიის მეტ სიღრმისეულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, იგი „მოიცავს, აგრეთვე, აშშ-ის მთავრობის ღონისძიებებს, მიმართულს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად“. ამგვარი განსაზღვრება გულისხმობდა საინფორმაციო-კულტურული ღონისძიებების ორგანიზაციისა და ჩატარების კიდევ უფრო გაფართოებას. ეს დირექტივა განაპირობებდა აშშ-ის ადმინისტრაციის საზოგადოებრივი, საინფორმაციო, პოლიტიკური საქმიანობის დაგეგმვისა და კოორდინაციის მექანიზმების, აგრეთვე, მასმედიასთან, ტელე-რადიომაუწყებლობასთან დაკავშირებული საკითხების შემუშავებას. რონალდ რეიგანის დროს კონსტიტუციურმა და სახელმწიფო ორგანოებმა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების

მაკოორდინირებელი და წარმმართველი ცენტრების სახე მიიღო.

აშშ-ის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური საქმიანობის კოორდინაციის პროცესში ცენტრალური ადგილი დაიკავა ეროვნული უშიშროების საბჭომ. დოქტრინის („ფსიქოლოგიური პროპაგანდა და ეროვნული უშიშროება") მიხედვით, ეროვნული უშიშროების საბჭო ფსიქოლოგიური ოპერაციის სისტემაში, სახელმწიფო დეპარტამენტთან, თავდაცვის სამინისტროსთან, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად, კვალიფიცირდება, როგორც ცენტრალური რგოლი. გაჩნდა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების გლობალური კოორდინაციის მექანიზმი. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური სტრუქტურების (სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები) კოორდინირებულმა, სისტემურმა საქმიანობამ განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში დომინირება. დღეს უკვე აშშ განვითარების უფრო მაღალ ეტაპზეა გადასული. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებთან ერთად, მისთვის კიბერსივრცე გახდა განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

სამხედრო ანალიტიკოსი *რიჩარდ შაფრანსკი* (Richard Szafranski) საკუთარ სტატიაში „ინფორმაციული იარაღის თეორია"[124] აღნიშნავდა, რომ ინფორმაციული ომის მიზანი

[124] Szafranski, R., Neocortical warfare? The acme of skill // In Athena's camp. Ed. By J. Arquilla, D. Ronfeldt. - Santa Monica, 1997.

არის, მოწინააღმდეგის ქცევაზე ისე მოახდინოს გავლენა, რომ მან ვერ გაიგოს, არ იცოდეს და ვერც მიხვდეს, სხვისი ზეგავლენის ქვეშ რომ არის მოქცეული. წარმატებულ ინფორმაციულ კამპანიას მოწინააღმდეგე მიჰყავს ისეთ გადაწყვეტილებებამდე (და მოქმედებამდე), რომლებიც ეწინააღმდეგება მის განზრახვებს ან ხელს უშლის მათ შესრულებას. ოპერატიულ დონეზე ინფორმაციული შეტევების მიზანი არის ისეთი დაბრკოლების შექმნა, რომელიც მოწინააღმდეგეს არ მისცემს უფლებას, კოორდინირებულად და ეფექტურად იმოქმედოს. ორივე დონეზე მოქმედების ჰარმონიზაცია აიძულებს მოწინააღმდეგეს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დამკვეთს დაეხმარება მიზნის მიღწევაში, მოწინააღმდეგეს კი შეეშლება ხელი, რათა მან ვერ მიაღწიოს საკუთარს.

შაფრანსკის მიაჩნია, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგია შესაძლებელს ხდის „იმართოს“ მინიმალური ძალადობითა და სისხლისღვრით. ღია სამხედრო შეტაკებას მოაქვს მომაკვდინებელი პროცესები, მაშინ, როდესაც უსისხლოდ მიღწეული „გამარჯვება ინფორმაციულ ომში, ესაა მტრის დამორჩილება და მასზე აბსოლუტური ძალაუფლების დამყარება“.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი (ოპერაცია) არის სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ღია და ფარული მიზანმიმართული ინფორმაციული ზეგავლენა გარკვეული უპირატესობის მისაღწევად, რომელიც მიზნად ისახავს მტერზე ინფორმაციული წარმატების მოპოვებას,

მისთვის მატერიალური, იდეოლოგიური ან სხვა ზიანის მიყენებას.

ეს ომი არის ადამიანებზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის, მეთოდისა და საშუალების ერთობლიობა, რათა შეცვალოს მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლები (ხედვები, მოსაზრებები, ღირებულებითი ორიენტაციები, განწყობები, მოტივები, დამოკიდებულებები, ქცევის სტერეოტიპები) სასურველი მიმართულებით, აგრეთვე - ჯგუფური ნორმები, მასობრივი განწყობები, მთლიანად საზოგადოებრივი ცნობიერება.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ცნება ასახავს ერთი სახელმწიფოს სპეციალური ორგანოების საქმიანობის შინაარსს, რომელიც ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებზე და/ან სამხედრო პერსონალზე, რათა მიაღწიოს საკუთარ პოლიტიკურ, ასევე წმინდა სამხედრო მიზნებს. ამ ომში ჩართული არიან უმაღლესი დონის პროფესიონალები. პროფესიონალიზმი ფსიქოლოგიურ ომში გულისხმობს სპეციალისტების არსებობას, რომლებსაც, პირველ რიგში, აქვთ მეცნიერული ცოდნა მისი სპეციფიკის შესახებ; მეორეც, მათ, ვისაც აქვს სპეციალური მომზადება, მათ შორის ადამიანებზე მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ზემოქმედების პრაქტიკული გამოცდილება.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში მეომარი მხარეები იბრძვიან ინფორმაციული იარაღის გამოყენებით, მას აქვს საიდუმლო საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების

სახე. ინფორმაციული იარაღის ზემოქმედების მთავარ ობიექტია ადამიანი, მისი მსოფლმხედველობა. იგი ქვეყნის მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით არღვევს სულიერ ფასეულობებს. ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენებაში მთავარი ფაქტორია ცნობიერებით მანიპულაცია. სამიზნე ინფორმაციის მომხმარებლებს იკვლევენ, გულმოდგინედ სწავლობენ მათ ჩვევებსა და სურვილებს, რათა შემდეგ მათში დანერგონ მანიპულირებისათვის აუცილებელი მითითებები, სურვილები და ცოდნა.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ნიშნებია:

- ქმედებები სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების მიზნით;
- ფარული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, როგორც ასეთი საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა;
- საინფორმაციო იარაღის გამოყენება.

თუ ომი აგრესიის შეიარაღებულ ფორმად უნდა იქნეს განხილული, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ სფეროში აგრესია ომში გადაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე იწყებს საინფორმაციო იარაღის გამოყენებას მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. ეს კრიტერიუმი შეიძლება აღმოჩნდეს მარტივი და საიმედო გზა, რათა გამოიყოს ინფორმაციულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მთელი

მრავალფეროვნებიდან, რომლებიც უდიდეს საფრთხეს უქმნის მას და მის ნორმალურ (მშვიდობიან) განვითარებას.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი შედგება სხვადასხვა ფსიქოლოგიური ოპერაციებისაგან, რომელთა მიზანია:

- მოწინააღმდეგის (ოპონენტის) ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, ყალბ და უაზრო ცნობად ქცევა და ამით მისთვის მოვლენების ან არსებული სიტუაციის სწორად აღქმისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის წართმევა;
- სოციალური ჯგუფების (მთლიანი მოსახლეობის) ფსიქოლოგიური დამუშავება;
- იდეოლოგიური დივერსია და დეზინფორმაცია;
- ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შენარჩუნება;
- ცრუ ლოზუნგებით მასობრივი დემონსტრაციების მოწყობა;
- ჭორების პროპაგანდა და გავრცელება.

ცნობილია **საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომში ფსიქოლოგიური ოპერაციების მომზადებისა და განხორციელების შემდეგი ძირითადი ეტაპები:**

- დაგეგმვა;
- სამუშაო მიზნების ფორმულირება;
- ზემოქმედების ობიექტის განსაზღვრა და შესწავლა;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელების კონკრეტული სახეების, ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და განხორციელების გზების დადგენა;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების შინაარსის (მთავარი

კომპონენტების გამოყენების ტექნოლოგიები) შემუშავება;

- საკომუნიკაციო კონტურებისა და განხორციელების პირობების განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში მათი შექმნა;

- კონკრეტული ოპერაციებისა და საქმიანობის ეფექტურობის კონტროლის უზრუნველყოფა.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური სივრცის ნებისმიერი სეგმენტი შეიძლება გახდეს **ინფორმაციული დაპირისპირების ობიექტი**, მათ შორის:

1. მოქალაქეთა მასობრივი და ინდივიდუალური ცნობიერება;

2. სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და პროცესები;

3. საინფორმაციო ინფრასტრუქტურა;

4. საინფორმაციო და ფსიქოლოგიური რესურსები.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დამახასიათებელია არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური სფეროსათვის, არამედ აქტიურად გამოიყენება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ საქმიანობაშიც. ფსიქოლოგიური ომი განიხილება ფართო გაგებით, როგორც პოლიტიკური ოპონენტების მიერ პროპაგანდისა და სხვა საშუალებების (დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) მიზანმიმართული და სისტემატური გამოყენება შეხედულებებზე, განწყობებზე, გრძნობებსა და შედეგად - მოწინააღმდეგის ქცევაზე, რათა აიძულონ იგი იმოქმედოს

მათთვის სასურველი მიმართულებებით. როგორც პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის კომპონენტი, ფსიქოლოგიური ომი წარმოდგენილია ამ სისტემის სხვადასხვა განზომილებაში არა მხოლოდ როგორც საგარეო, არამედ როგორც საშინაო პოლიტიკაც.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი ხორციელდება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციებისა და მათი ყველაზე დინამიკური ნაწილის - პოლიტიკური ოპონენტების ერთმანეთზე საინფორმაციო-პროპაგანდისტული დატაკების სახით. ფსიქოლოგიური ომისა და ფსიქოლოგიური ოპერაციების ცნებები, მეთოდები და საშუალებები (ტექნოლოგიები) ნასესხებია საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და სამხედრო ხელოვნების სფეროდან და გადატანილია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის სფეროში. შიდა პოლიტიკაში ფსიქოლოგიური ომი ჩვეულებრივ შემოიფარგლება პოლიტიკურ ოპონენტებს შორის პროპაგანდისტული დაპირისპირებით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას შეუძლია უფრო რთული და კომპლექსური ხასიათი შეიძინოს. ფსიქოლოგიური ომის შიდაპოლიტიკური მაგალითია პროპაგანდისტული შეტაკებები ნებისმიერი საარჩევნო კამპანიის ან ძალაუფლებისათვის ბრძოლის დროს. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ომის მიზანია პოლიტიკური ოპონენტების მორალური სულისკვეთების შესუსტება, მათი ლიდერების ავტორიტეტის შელახვა, მათი ქმედებების დისკრედიტაცია, საბოლოო ჯამში, ზეწოლა ინდივიდების შეხედულებებსა და,

ზოგადად, საზოგადოებრივ აზრზე კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

თანამდებობებზე მყოფი ადამიანების პოლიტიკური შეხედულებები, დამოკიდებულებები და პრეფერენციები ასახავს ფსიქოლოგიური უშიშროების შენარჩუნების მოტივირებულ ძალისხმევას. ტერორიზმის მართვის თეორიასა და მასთან დაკავშირებულ უშიშროების პრობლემებზე დაფუძნებული კვლევა აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური უშიშროებისაგან თავდაცვის საჭიროებები გავლენას ახდენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.[125]

პროფესიულად ორგანიზებული ფსიქოლოგიური ომის არსი გამოხატულია ჩინელი ფილოსოფოსისა და სამხედრო სტრატეგის, ტრაქტატ „სამხედრო ხელოვნების" ავტორის *სუნ ძის* (Sun Tzu; ძვ. წ. 544-496) სწავლებებში: „გახრწენით ყველაფერი კარგი, რაც შენი მტრის ქვეყანაშია. ჩართეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში მტრის გამოჩენილი ფიგურები. შეარყიეთ მტრის ხელმძღვანელობის პრესტიჟი და შესაფერის მომენტში გამოამჟღავნეთ და წარადგინეთ იგი საზოგადოების გასაკიცხად. ამ მიზნით ითანამშრომლეთ ყველაზე ბილწ, საზიზღარ და უნამუსო ადამიანებთან. გააჩაღეთ ჩხუბი და შეტაკებები თქვენ მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნის მოქალაქეებს შორის. წააქეზეთ ახალგაზრდობა მოხუცების

---

[125] Hart, J., The Influence of Psychological Security Maintenance on Political Decision Making. Oxford University Press. Oxford Research Encyclopedias. Politics, 2019.
https://oxfordre.com/politics/view/10.1093/acrefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-927 [22.08.2022]

წინააღმდეგ. ყველა საშუალებით შეუშალეთ ხელი ხელისუფალთ მუშაობაში. ყველანაირად შეუშალეთ ხელი მტრის ჯარების ნორმალურ მომარაგებას და მათში წესრიგის შენარჩუნებას. შებორკეთ მტრის მეომრების ნება სიმღერებითა და მუსიკით. გააკეთეთ ყველაფერი, რომ გაუფასურდეს თქვენი მტრების ტრადიციები და შეირყეს მათი რწმენა საკუთარი ღმერთების მიმართ. გაგზავნეთ ცუდი ყოფაქცევის ქალები, რათა ბოლომდე მიიყვანონ გახრწნის საქმე. იყავით გულუხვი შეთავაზებებსა და საჩუქრებში ინფორმაციისა და თანამზრახველების შესაძენად. ზოგადად, ნუ იძუნწებთ ფულსა და დაპირებებში, რადგან მათ შესანიშნავი შედეგი მოაქვთ“.



სუნ ძი

(Sun Tzu; ძვ. წ. 544-496) ჩინელი ფილოსოფოსი და სამხედრო სტრატეგი, ტრაქტატ „სამხედრო ხელოვნების“ ავტორი

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომიდან მომდინარე საშიშროების მასშტაბურობამ განსაზღვრა, რომ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის სფერო გამოეყო ინფორმაციული უშიშროების სფეროდან, რაც განპირობებულია სხვადასხვა სახის ინფორმაციული ზემოქ-

მედების ქვეშ მყოფი პიროვნებების ფუნდამენტური თვისებების, ეთნოსების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სრულად საზოგადოების სოციალური ხასიათისა და ინტელექტის დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობითა და სპეციფიკით. ნათელია, რომ დიდ ყურადღებას მოითხოვს პიროვნების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება, რომელიც არის მისი ძირითადი ინტერესების - კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება, პირადი უშიშროების უზრუნველყოფა, ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლება, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება - დაცვა იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა სოციალური სუბიექტისა და საზოგადოების ინფორმაციული გარემოს ადამიანის ფსიქიკაზე ინფორმაციული ზემოქმედებით.

ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს განხილულ იქნას პიროვნების ფსიქოლოგიური უშიშროება, როგორც რთული პიროვნული წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებს მოტივაციურ, შემეცნებით, ემოციურ და ქცევით კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდის სტაბილურობას გარემო ფაქტორების მიმართ, მათი ფუნქციონირების ოპტიმალურ დონეს და ინტეგრირებული სახით ურთიერთქმედებას სამყაროსთან, სხვა ინდივიდებთან, საკუთარ თავთან.[126]

---

[126] Savchenko O., Svyryda M., The model of personal psychological security as a complex phenomenon. *Psychological journal*, Vol 6 No 12., 2020 https://doi.org/10.31108/1.2020.6.12.7 [22.07.2022]

ასევე ფართო განხილვის საგანია ფსიქოლოგიურ უშიშროებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის გადამწყვეტი ფაქტორის პრობლემები. *აბრაჰამ მასლოუმ*[127] (Abraham Maslow) განსაზღვრა ფსიქოლოგიური უშიშროება, როგორც „თვითდაჯერებულობის, უშიშროებისა და თავისუფლების განცდა, რომელიც განასხვავებს შიშსა და შფოთვას და განსაკუთრებით ახლა (და მომავალში) საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გრძნობას."[128]

საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უშიშროებაში იგულისხმება ისეთი ვითარება, რომელმაც სისტემაში „ადამიანი – საინფორმაციო გარემო" არ უნდა გამოიწვიოს ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პოტენციალის შემცირება მისაღები ნორმის ქვემოთ. პიროვნების (საზოგადოების) ფსიქოლოგიურ პოტენციალში იგულისხმება ინდივიდის (საზოგადოების) თვისებების ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად უდევს ინდივიდის (საზოგადოების) უნარს, განახორციელოს პროდუქტიული ცხოვრება და საქმიანობა.

საინფორმაციო გარემოს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გახდეს რისკფაქტორები და, შესაბამისად - საინფორმაციო-ფსიქოლოგიური საფრთხის წყარო, არის:

- ინდივიდის უმწიფრობა, რაც გამოიხატება საკუთარი ინტერესების, შეხედულებებისა და გეგმების შესაბამისი

---

[127] აბრაჰამ მასლოუ (1908-1970), ცნობილია „მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია". მისი წიგნი: Maslow, A. H. (1954). Motivation and Personality. N. Y.: Harpaer and Row.

[128] Wang, J., Long, R., Chen, H., Li, Q., Measuring the Psychological Security of Urban Residents: Construction and Validation of a New Scale. Front. Psychol. 2019 https://doi:10.3389/fpsyg.2019.02423 [22.07.2022]

ინფორმაციის დამოუკიდებლად არჩევის შეუძლებლობაში, ასევე - სოციალურ ნორმებთან მიმართებაში არაადეკატური ინფორმაციული ქცევით;

- პიროვნების დამოკიდებულება კონფორმიზმისადმი, მიმბაძველობისადმი და მანიპულაციური ინფორმაციის ზემოქმედების აღქმაზე მზაობისადმი;

- ტვინისა და ფსიქიკის ნეგატიურად შეცვლილი ფუნქციური მდგომარეობა;

- საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს შფოთვის გაზრდას, ქარიზმატული პიროვნებისაგან მომდინარე იდეებით მასობრივ „დაინფიცირებას“.

ინფორმაციული ეპოქის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომ, რაც უფრო მეტია ინფორმაციული შესაძლებლობები, მით მეტია ქვეყნის სტრატეგიული უპირატესობების მიღწევის ალბათობა, სახელმწიფოს სიმცირის მიუხედავად. არსებული რეალობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პრინციპულად სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებისადმი, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული სპექტრის შინაარსისა და ევოლუციის ანალიზისადმი, რაშიც განუზომლად დიდი როლი აკისრია ინფორმაციულ ფაქტორს. ინფორმაციულ ეპოქაში, სადაც ინფორმაცია იქცა კაცობრიობის განვითარების სტრატეგიულ რესურსად, ამ პრობლემის მთელი სიგრძე-სიგანით და სიღრმისეულად გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია წარმატე-

ბით იმართოს სახელმწიფო. სავალალოდ, საქართველოს სახელისუფლებო და პოლიტიკურ ელიტაში ამ თვალსაზრისით აშკარად დეფიციტია. ეს მაშინ, როცა დღეს საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს გავლენების მუდმივი ყურადღების ობიექტებია საქართველოს **საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებების, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და აზრის ფორმირება და სხვ.**

ცხადია, სრულყოფილი სახელმწიფოს აშენების პრეტენზიულობიდან გამომდინარე, საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა პრიორიტეტული უნდა გახდეს. სახელმწიფოებრივი სივრცის ყველა დონეზე უნდა გამოირიცხოს მისი იგნორირება.

საქართველოს განვითარების დონე და ეროვნული უშიშროებისათვის მომდინარე საფრთხეებიც თავისებურებებით ხასიათდება. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომისგან თავდაცვის სისტემის სრულყოფას, რაც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მთავრობის, სამინისტროების (უწყებების), დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური და საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სამწუხაროდ, ამ ნაწილში განა მხოლოდ ქართული სინამდვილეა გათვალისწინებული, არამედ იგრძნობა გარკვეულად უცხოური, განსაკუთრებით - ამერიკული, დოკუმენტების გაუაზრებელი გავლენა. არ არის გათვალისწინებული ის, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამერიკელებმა ეტაპობრივად გაიარეს განვითარების გრძელი გზა და ახლა ისინი განვითარების სულ სხვა, მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, შესაბამისად, მათ წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად, თვისობრივად, ხარისხობრივად და ტექნოლოგიურად სრულიად განსხვავდება საქართველოსაგან, რომელიც რუსეთის აგრესიული მისწრაფებების სამიზნეა და მოითხოვს ეროვნული უშიშროების დასაცავად, სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი კონტრზომების გატარებას.

ამერიკის შეერთებული შტატები წამყვანი სახელმწიფოა, იგი დომინირებს მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში რუსეთის მიერ გამოყენებული ინფორმაციული იარაღი და ბრძოლის მეთოდები პირდაპირ ქართულ სპეციფიკაზეა მორგებული. საქართველოში რუსეთის ბატონობისა და რუსული სპეცსამსახურების საქმიანობის ორასწლოვანი გამოცდილების შედეგად, დღეს მსოფლიოში რუსებზე უკეთ - მეცნიერულად, ზედმიწევნით ნიუანსურადაც კი, არავინაა მცოდნე ქართველების ფსიქიკის, ქცევის, ტრადიციების, კულტურული და სულიერი ღირებულებებისა, ანუ რუსეთს ძალზე ეფექტურად შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენების მთავარი ფაქტორი, ცნობიერებით

მანიპულაცია; საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით მიაღწიოს სასურველ შედეგს (თუ როგორ წარმატებებს აღწევენ ისინი, კარგად გამოჩნდა ქართველების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ორივე მცდელობის დროს, როგორც 1918–1921 წლებში, ისე ჩვენი ისტორიის ბოლო 31 წლის განმავლობაში).

ასეთ ვითარებაში, რუსეთისგან თავდასაცავად, საქართველოსათვის ინფორმატიკული გაგების „საინფორმაციო უსაფრთხოება“ ნამდვილად მნიშვნელოვანია და აუცილებლად მოითხოვს ყურადღების მოდუნების გარეშე დიდ აქტიურობას,[129] მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს კომპლექსში. მიღებული დოკუმენტი ეძღვნება მხოლოდ ერთ კომპონენტს და ყურადღების გარეშე არის დატოვებული მტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული, ქართულ სპეციფიკაზე ვირტუოზულად მორგებული, უმნიშვნელოვანესი, უკანონო საინფორმაციო–ფსიქოლოგიური იარაღის ფაქტორი, რაც სერიოზული საშიშროებაა ქვეყნის ეროვნული ინტერესების, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, საერთოდ, ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, მათ შორის - პიროვნებისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის

[129] ავტორმა ამ პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ 2002 წელს გააკეთა მოხსენება ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის კონფერენციაზე „კიბერგანზომილება, როგორც ეროვნული უშიშროებისათვის მუქარების ჩანასახი.“ მიუნხენი, გერმანია. 2002 წლის 02-05 დეკემბერი. www.marshallcenter.org/

სულიერი ცხოვრებისა და ინფორმაციული საქმიანობის სფეროში და სხვ.

პატარა ანალიზია საჭირო იმის გასარკვევად, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უარყოფითი შედეგები და მტრის მიერ ქვეყნისათვის მიყენებული პირდაპირი ზარალი (მაგალითად, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორება და ინფორმაციული რესურსების აღდგენა) მაინც შედარებით იოლი შესაფასებელი და მოსაგვარებელია.

ამ დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით ძნელი შესაფასებელია კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ <u>საინფორმაციო–ფსიქოლოგიურ ომში</u> წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი, აუნაზღაურებელი კოლოსალური დანაკარგებით. ერთი რამ ფაქტია, საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკაში ვიწრო სფეროს სპეციალისტების (თუნდაც მაღალი დონის) მიერ გაკეთებული არასწორი აქცენტების გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მოქცეულია საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული რუსეთის ამ მთავარი იარაღის მოქმედების არეალში. ამის ცოდნას და გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ზერელე გაცნობითაც კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის სექტემბერში *ვლადიმერ პუტინის*[130] ხელმოწერილ რუსეთის საინფორმაციო უშიშროების დოქტრინაში[131] წამყვანი ადგილი სწორედ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს ეკავა. იგი რუსეთის სახელმწიფოს მართვის პროცესში მუდამ უდიდეს ყურადღებას უთმობდა და უთმობს ინფორმაციული ომის პრობლემებს. შემდგომშიც კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში რუსეთის ინფორმაციული უშიშროების სრულყოფისა და ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდის აუცილებლობის საკითხი. სხვათა შორის, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული შეფარული თუ დაუფარავი ინფორმაციული იარაღის არსენალი, მათ შორის, როგორც ელექტრონულ ისე ბეჭდვით მასმედიაში, საკმაოდ შთამბეჭდავია, რაზედაც სოლიდური თანხები იხარჯება.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან უშუალოდ სწორედ პუტინის რუსეთისაგან უწევს საქართველოს თავდაცვა, პირველ რიგში, უნდა იქნას შესწავლილი და გათვალისწინებული მის მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან წარმოებული ბრძოლის ფორმები და მეთოდები, ზრახვები და, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისად შემუშავდეს თავ-

---

[130] ვლადიმერ პუტინი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-2008), პრემიერ-მინისტრი (2008-2012) და კვლავ პრეზიდენტი 2012 წლიდან.

[131] ДОКТРИНА ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ. http://www.scrf.gov.ru/documents/5.html შემდეგ ამას მოჰყვა 2016 წელს მიღებული Доктрина Информационной безопасности Российской Федерации https://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/71456224/

დაცვის პოლიტიკა, არ მოხდეს კალკირება, თუნდაც სუპერსახელმწიფოების დოკუმენტებისა, რომლებიც მათ თავისებურებებზეა აგებული.

აქედან კარგად ჩანს იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა აქცენტები გაძლიერდეს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაზე, შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგია (დოქტრინა, კონცეფცია), სადაც მათ შორის, ცხადია, როგორც ერთერთი კომპონენტი, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემაც.

ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მიმდინარე ამოცანებიდან, ინფორმაციული უშიშროების სტრატეგიაში უმთავრესი უნდა იყოს (ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან ერთად) სწორედ <u>საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის</u> ამოცანები, ანუ მოსახლეობის ფსიქიკის, სოციალური ჯგუფების, მოქალაქეების დაცვა დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან; ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მხრიდან, მოსახლეობის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესებით მანიპულირების მცდელობებისათვის წინააღმდეგობის გაწევა; საინფორმაციო სივრცეში (გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ, ეროვნულ და სხვ.) საქართველოს ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების დაცვა; ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი

(საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის, საზოგადოებრივი აზრის დიაგნოსტიკა).

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს **საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ობიექტები**:

- საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც საზოგადოების ინფორმაციული გარემოს ნაწილია და გამოიყენება ინფორმაციის, საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ადამიანების ფსიქიკასა და ქცევაზე ზემოქმედებისათვის (გავლენისათვის);
- საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების... შესახებ);
- საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები);
- საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა;
- პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა;
- ადამიანის ფსიქიკა და ქცევა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებებია:

- საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკისათვის, საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოსათვის ზიანის მისაყენებლად მოწინააღმდეგის (რეალური

ან პოტენციური) მიერ გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა;

- სხვადასხვა მეთოდიკური და საინფორმაციო მასალის ორგანიზაციულ-მეთოდური მომზადება, მათ შორის, იმ სტრუქტურების შექმნა, რომლებიც საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას ეწევიან;

- ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა, მიმართული საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს, მოსახლეობის ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ინფორმაციული უშიშროების დასახასიათებლად, მისი ანალიზისა და პროგნოზირებისათვის ასევე უნდა გამოიყოს ინდიკატორთა ორი ძირითადი ჯგუფი:

1. ინდიკატორები, რომლებიც ასახავს საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანების დონეს, ხარისხსა და საიმედოობას. შესაბამისად, ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფორმაციული უშიშროების დადგენილი პარამეტრების დარღვევის ალბათობა და ამით გამოწვეული ზარალი (ცნობიერების დაზიანება, პიროვნების იდენტიფიკაციის გზებისა და ფორმების დარღვევა, ინდივიდის მეხსიერების მატრიცის გარდაქმნა და სხვ.).

2. ინდიკატორები, რომლებიც ასახავს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, მის ორგანიზაციულ-ტექნიკურ გამართულობასა და მზადყოფნას; შესაბა-

მისად, ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფორმაციული უსაფრთხოების დადგენილი პარამეტრების დარღვევის ალბათობა და ამით გამოწვეული ზარალი.

4.2. ეკონომიკური უშიშროება

ეკონომიკური ასპექტი ეროვნული უშიშროების სტრუქტურაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზეა. ამას განაპირობებს ეკონომიკის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მას უკავია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროების უზრუნველყოფაში, შესაბამისად, მიუთითებს ეფექტური ეროვნული სტრატეგიის განვითარების დასაბუთებისა და რეალიზაციის პრობლემისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზე. უდავოა, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური უშიშროების კონცეფციის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ეკონომიკური უშიშროების სახელმწიფო სტრატეგიის მიზნები და ობიექტები, საფრთხეების ხასიათი, ეკონომიკის მდგომარეობის კრიტერიუმები და პარამეტრები, ეკონომიკური უშიშროების უზრუნველსაყოფად მიმართული გაწერილი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმები, ზომები და სხვ. ეკონომიკური უშიშროების პრობლემებისადმი ასეთი ყურადღება აიხსნება გარკვეული მიზეზებით, მაგრამ, როგორც აღინიშნა, უმთავრესი ისაა, რომ ეკონომიკურ მდგომარეობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის.

მსოფლიო გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა არის წარმატების მიღწევის

გარანტია, ქვეყნის დამოუკიდებლობის, საზოგადოების სტაბილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის პირობა. ასეთია ზოგადი წესი, ამიტომ ეკონომიკური უშიშროება მოიაზრება მნიშვნელოვანი ნაციონალური პრიორიტეტების ნუსხაში. ეკონომიკური უშიშროება - ეს არის პირობებისა და ფაქტორების, სტაბილურობისა და მდგრადობის ერთობლიობა, მუდმივად განახლებისა და თვითსრულყოფის უნარი, მდგომარეობა, როდესაც ხალხს შეუძლია გარედან ჩარევის გარეშე განსაზღვროს საკუთარი ეკონომიკური განვითარების გზები და ფორმები.

ეკონომიკური უშიშროება ორგანულადაა ჩართული ქვეყნის უშიშროების სისტემის ისეთ ჩამონათვალში, როგორებიცაა: ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოებაში სოციალური მშვიდობის შენარჩუნება, ეკოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვა. აქ ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ერთი მიმართულება ავსებს მეორეს: ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამხედრო უშიშროება სუსტი და არაეფექტიანი ეკონომიკის დროს, ისევე როგორც ვერ იქნება არც სამხედრო უშიშროება, არც ეფექტიანი ეკონომიკა სოციალური კონფლიქტებით გაპარტახებულ საზოგადოებაში. ამ ხაზგასმულ ურთიერთკავშირში უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რომ მასში გადამწყვეტი, საბაზისო როლი ეკონომიკურ უშიშროებას ენიჭება.

ფუნქციური თვალსაზრისით, ეკონომიკური უშიშროება არის ეროვნული ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური

და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, აგრეთვე, პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და საგარეო საფრთხეების პირობებში.

ეკონომიკური უშიშროების სამი უმნიშვნელოვანესი ზოგადი ელემენტია:

1. ეკონომიკური დამოუკიდებლობა (შეუზღუდაობა სამეურნეო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულებისას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ პირობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების განხორციელებისათვის);

2. ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობა (მათ შორის, ბრძოლა კრიმინალურ სტრუქტურებთან ეკონომიკაში, სოციალური ძვრების თავიდან აცილება და სხვ.);

3. თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უშიშროება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობასა და მუდმივი განახლების უნარს. მოკლედ, ესაა საშინაო და საგარეო პირობების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის ეფექტურ და დინამიკურ ზრდას, მის უნარს, დააკმაყოფილოს საზოგადოების, სახელმწიფოს, ინდივიდის მოთხოვნილებები, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე, გარანტირებული დაცვა სხვადასხვა სახის მუქარებისა და დანაკარგებისაგან.

ეკონომიკური კავშირების ზრდამ და გლობალურმა ეკონომიკურმა სისტემამ შეიძლება მრავალ ქვეყანას გარკვეული საფრთხე შეუქმნას. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მსგავს განვითარებად, პატარა ქვეყნებს, რომელთა კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე ძალზე დაბალია, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური მანევრის შესაძლებლობები - მეტად მწირი; მდიდარ ქვეყანათა სავაჭრო ბლოკების შექმნასთან ერთად, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უმწეო ხდება.

გარდა ამისა, საქართველოს ემუქრება სხვა გამიზნული ეკონომიკური საფრთხეებიც. მაგალითად, პოლიტიკური ზეწოლის ისეთი საშუალებები, როგორიც არის მტრული სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენების პრაქტიკა. ცნობილია, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფოს ეკონომიკური მუქარა მისი გავლენის ქვეშ მყოფი პატარა ქვეყნის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ეფექტურად მუშაობს.

საქართველოს სჭირდება მდგრადი და სტაბილური ეკონომიკური სისტემა გარე და შიდა საფრთხეების მიმართ, განვითარების გზებისა და ფორმების დამოუკიდებლად გამოძებნის უნარი, ეროვნული ინტერესების დასაცავად სხვადასხვა სისტემისა და მექანიზმების შექმნისათვის მუდმივი მზადყოფნა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მრავალ სფეროში ეკონომიკური უშიშროების მაჩვენებლები, მათ შორის: ეკონომიკის ნორმალურ და ექ-

სტრემალურ პირობებში ფუნქციონირების უნარი, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ფინანსური სისტემის მდგრადობა, საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და ა.შ.

ეკონომიკურმა უშიშროებამ, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების საფუძველმა, ძირითადმა მატერიალურმა ბაზამ, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, დაადგინოს დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, პროგრესული, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ფორმირების შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და გეოპოლიტიკური რისკების პირობებში. დღეს, ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისას, ეკონომიკური უშიშროების საკითხს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საქართველოს მთელი ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

უშიშროების გარკვეული ასპექტების განხილვის დროს ეკონომიკური ასპექტების გვერდის ავლა შეუძლებელია. საქართველომ უნდა მიაღწიოს ეროვნული ეკონომიკის იმ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების ეტაპობრივი განვითარება, მისი ფინანსური, სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობა, მაღალი თავდაცვისუნარიანობა უარყოფითი გარე და შიდა ფაქტორების გავლენის პირობებში, ეფექტური მართვა, ეკონომიკური ინტერესების განმტკიცება შიდა და მსოფლიო დონეზე.

ეკონომიკური უშიშროების მატერიალური ბაზა მოიცავს:

1. საწარმოო ძალების ფორმირებას;

2. მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონეს;

3. ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას;

4. ეფექტურ მართვას ეკონომიკის ყველა დონეზე (მათ შორის - სახელმწიფო), რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რომლის დროსაც ეკონომიკური უშიშროება განხილულ უნდა იქნეს, როგორც სისტემა, შემდგარი: მართვის სუბიექტისაგან (მარეგულირებელი), მართვის ობიექტისაგან, გამოყენებული რესურსებისა და შეზღუდვებისაგან, სადაც სისტემა გამოყოფს ძირითად ფაქტორებს (შიდა და გარე საფრთხეებს), რომლებიც გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრული (პროგნოზირებადი, დაგეგმილი) მაჩვენებლების მიღწევაზე.

მართვის სრულყოფაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება საჭიროა იმისათვის, რათა საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა ნამდვილად გახდეს, როგორც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილური, უკრიზისო განვითარების პირობების შექმნის პროცესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის განვითარებისა და განმტკიცების მიზნებსა და ამოცანებთან, რომელიც გაუვნებელყოფს და თავიდან აირიდებს საფრთხეებს, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური, მადესტაბილიზებელი ზემოქმედება მოახდინონ ერისა და სახელმწიფოს განვითარებაზე, რომელიც აღმოფხვრის ცალკეული სოციალური ჯგუფების, საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესებს შორის წინააღმდეგობებს და სხვ.

ეკონომიკური უშიშროება უნდა ჩაითვალოს საქართველოს უშიშროების მთავარ, ერთ-ერთ საყრდენ ელემენტად.

ნათელია, რომ ეკონომიკური უშიშროება მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ეს ყველაფერი ვერ განხორციელდება ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაა აუცილებელი ეკონომიკისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს: ეროვნული ინტერესების გარანტირებულ დაცვას, მთლიანობაში - ქვეყნის ჰარმონიულ, სოციალურად ორიენტირებულ განვითარებას, საკმარის ეკონომიკურ პოტენციალს საშინაო და საგარეო პროცესების ყველაზე არახელსაყრელი ვარიანტების შემთხვევაშიც კი, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

უნდა შეიქმნას ღონისძიებათა სისტემა ან ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა პირობების ერთობლიობა, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკურ სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვაზე, ზეგავლენას მოახდენს და აქტიურად შეეწინააღმდეგება გარე და შიდა საფრთხეებს; დაიცავს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს მის სარესურსო პოტენციალთან მიმართებაში; გააძლიერებს შინაგან იმუნიტეტს და გარედაცულობას მადესტაბილიზებელი ზემოქმედებისაგან; შეძლებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე და ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას; უზრუნველყოფს ღირსეული ცხოვრების პირობებსა და პიროვნების მდგრად განვითარებას.

ზემოთ მოტანილი ფორმულირებები ერთმანეთს ავსებს, ზოგადად განსაზღვრავს ეკონომიკური უშიშროების არსს და მის ადგილს ეროვნული უშიშროების სისტემაში. ეკონომიკის სპეციალისტებმა ბევრი გააკეთეს ეკონომიკური

უშიშროების შესწავლის თვალსაზრისით. გათვლილია მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს სოციალური განვითარებისა და ეკონომიკური დინამიკის მიმდინარე და საშუალოვადიან ასპექტებს. ესენია:

1. ეკონომიკური ზრდის - ეროვნული პროდუქტისა და შემოსავლის დინამიკა და სტრუქტურა, სამრეწველო წარმოების ტემპებისა და მოცულობის მაჩვენებლები, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და ცალკეული დარგის დინამიკა, კაპიტალური დაბანდებანი და სხვ.;

2. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, საწარმოო და სამეცნიეროტექნიკური პოტენციალი, სამეურნეო მექანიზმის დინამიკურობა და ადაპტაციურობა, აგრეთვე, მისი დამოკიდებულება საგარეო ფაქტორებზე - ინფლაციის დონე, კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, საგარეო ვალები და სხვ.;

3. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი - მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, შემოსავლების დიფერენციაციის დონე, მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების უზრუნველყოფა მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით, მოსახლეობის შრომისუნარიანობა, გარემოს დაცვის მდგომარეობა და სხვ.

ზოგი მკვლევარი გვთავაზობს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის სხვა მაჩვენებლებს: - „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი; - შიდა ბაზარზე უცხოური კონკურენციის მასშტაბები; - საგარეო-სავაჭრო ბრუნვის ტექნოტევადობის ერთეული; - საიმპორტო რესურსის წყაროებისა და გასაღების

საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციის ხარისხი; - საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტი; - ოქროსა და ვალუტის რეზერვების სიდიდის შეფარდება იმპორტის მოცულობასთან ან საგარეო ვალის დაფარვისათვის გადასახად თანხასთან.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა გააკეთეს კრიტერიუმების ფორმულირება, დაიანგარიშეს სასურსათო უშიშროების მაჩვენებლები საერთაშორისო და ეროვნულ განზომილებებში. მისდამი ძირითადი მოთხოვნებია: კვების ძირითადი პროდუქტებით (პური, ბურღულეული, ხორცი, რძე) მოსახლეობის მომარაგების საიმედოობა (შეუფერხებლობა) და საკმარისობა (სამედიცინო ნორმებით), შესაძლო გართულებების დროს სურსათის იმპორტისათვის ფინანსური საშუალებების არსებობა და ნაკლოვანების მინიმალურობა.

4.2.1. სასურსათო უშიშროება

სასურსათო უშიშროება არის ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლო ინტერესებს - პიროვნების, საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სიცოცხლისათვის საჭირო საკვები პროდუქტებით. სასურსათო უშიშროება ეკონომიკური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებრივი მახასიათებელია, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ პირობებს, ეკონომიკის მამაოძრავებელი ძალის - აგროსამრეწველო კომპლექსისა და მთელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების რესურსების მდგრადობას,

აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელების თანმიმდევრულობას.

აღსანიშნავია, რომ სასურსათო უშიშროების საკითხი პრიორიტეტულია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. ქვეყნის სასურსათო უშიშროების სფეროში ძირითადი სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ინტერესებია:

- ქვეყნის მოსახლეობის საკუთარი საკვები პროდუქტებით მაქსიმალური უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ოპტიმალური კვოტების განსაზღვრა და მიღწევა სხვა სახელმწიფოებთან;
- ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სხვა სექტორებთან გაცვლის ეკვივალენტობა;
- სოფლის მეურნეობის წარმოების ენერგეტიკული და მატერიალური ინტენსივობის შემცირება;
- სურსათის წარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლება;
- სამიწათმოქმედო ურთიერთობის ტრანსფორმაცია საკუთრების სხვადასხვა ფორმის განვითარების პრინციპებზე;
- აგროსამრეწველო კომპლექსის თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- აგროსამრეწველო კომპლექსის რესტრუქტურიზაცია მისი ეფექტურობის გაზრდის, მაღალი ხარისხისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით;

- აგროსამრეწველო კომპლექსში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების განსავითარებლად.

სასურსათო უშიშროების სფეროში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების რეალიზაციის ამჟამინდელი ეტაპის მახასიათებელია ის, რომ უშუალო საფრთხეს წარმოადგენს, პირველ რიგში, შიდა საფრთხეები და ეკონომიკური ფაქტორები. მათგან ყველაზე სერიოზულია:

- სოფლის მეურნეობის წარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა;
- შიდა სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მაღალი ენერგეტიკული და მატერიალური ინტენსივობა;
- სამიწათმოქმედო ურთიერთობებისა და მიწის რეფორმის არასრულყოფილება;
- აგროსამრეწველო კომპლექსის მოძველებული ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც კატასტროფულად იზრდება ზარალი და იკლებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი მისი წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის დროს;
- ქვეყნის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აგროინდუსტრიული ტექნოლოგიების იმპორტზე;
- შიდა ბაზარზე იმპორტირებული საკვები პროდუქტების მიწოდების მკვეთრი ზრდა, რომელთა ხარისხი ყოველთვის ვერ კონტროლდება შესაბამისი სტრუქტურების მიერ;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართო-

ბების, განსაკუთრებით სათიბისა და საძოვრების შემცირების მუდმივი ტენდენცია;

- შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი „დაბერება“ სოფლიდან ახალგაზრდების გადინების გამო.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სასურსათო უშიშროების საფრთხეები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური უშიშროების სხვა კომპონენტების (სამრეწველო უშიშროების, საფინანსო უშიშროების, საბიუჯეტო უშიშროების, საგარეო-ეკონომიკური უშიშროების და სხვ.) საფრთხეებთან. მაგ., ფინანსური სექტორის უარყოფითი ტენდენციები პირდაპირ აისახება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე და გამოიხატება საბრუნავი კაპიტალის დეფიციტში, გადაუხდელობაში, საჭირო პირობებით სესხის მიღების შეუძლებლობაში და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფინანსური რესურსების ყოველწლიური სეზონური „ინფუზია“ ვითარებას პრინციპულად არ ცვლის. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური უშიშროების სხვა კომპონენტებზეც.

4.2.2. საგარეო-ეკონომიკური უშიშროება

საქართველოს ეკონომიკური უშიშროების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა საგარეო-ეკონომიკური უშიშროება, რომელშიც მოიაზრება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეროვნული ეკონომიკის ოპტიმალური ინტეგრაციისათვის სათანადო პირობების შექმნა და ეკონომიკური ინტერესების ბალანსის მიღწევა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ნეგატიური ფაქტორების, ეროვნული

ბიზნესსუბიექტებისა და უცხოელი პარტნიორების ინტერესებს შორის წინააღმდეგობების დაძლევა.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს ეკონომიკური უშიშროების თვალსაზრისით, უნდა უზრუნველყოფდეს ხელსაყრელი პირობების შექმნას საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესების უპირატესობების გამოყენებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარების პროგრესული ტენდენციების სტაბილიზაციისა და აღდგენის მიზნით.

სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ორგანული და არადისკრიმინაციული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, ამავე დროს, ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა შიდა და მსოფლიო ბაზრებზე, ეფექტურად შეამცირებს ქვეყნის დაუცველობას საგარეო ეკონომიკური საფრთხეების მიმართ.

საქართველოსათვის უცხოელ პარტნიორებთან სტაბილური, არადისკრიმინაციული ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობა განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკის გარე მიწოდებაზე დიდი დამოკიდებულებით. ქვეყნის ეკონომიკის ღია ხასიათის გათვალისწინებით, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ეროვნულ ეკონომიკაში უფრო ძლიერი დესტაბილიზაციის იმპულსები მოაქვს და თავისთავად საფრთხეს უქმნის ზოგიერთ საბაზო ეროვნულ ინტერესს.

მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის აუცილებლობის გამო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას

თან ახლავს ეროვნულ ეკონომიკაში რისკის ზონის გაფართოება და სახელმწიფოსგან მოითხოვს გონივრული პროტექციონიზმის საკმაოდ მკაცრი პოლიტიკის გატარებას.

უცხოური გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ პრაქტიკაში, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის შექმნის გარდამავალ პერიოდებში, ეროვნული ინტერესები უმთავრესია ნებისმიერ გლობალურ სქემებთან, რეგიონულ გაერთიანებებთან და მათი განხორციელების სტრატეგიებთან მიმართებაში.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემების ფონზე, ძირითადი ყურადღება შეიძლება მიექცეს, მაგალითად, შემდეგი მიმართულებებს:

- კაპიტალის იმპორტის გაფართოება მათი გამოვლინების სხვადასხვა ფორმით;
- ქვეყნიდან კაპიტალის „გადინების" მოცულობის შემცირება;
- ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის ფორმების ძიება;
- ასეთი მონაწილეობის გზების საკანონმდებლო რეგულირება;
- საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობა;
- ეროვნული ტექნოლოგიების ბაზრის განვითარება და

იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება;

- სხვადასხვა მიმართულებისა და დონის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების თანამშრომლობის მოზიდვა და სხვ.

საგარეო-ეკონომიკური აქტივობის ეფექტურობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს მნიშვნელოვან საექსპორტო საქონელზე ფასების მკვეთრი ვარდნის საფრთხე ან პირიქით, იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატება. ფასების ასეთი მკვეთრი ნახტომი საგარეო ბაზარზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხით ძალიან საშიშია ეროვნული ეკონომიკისათვის. ასევე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ვაჭრობაზე ემბარგოს შემოღებამ.

გარდა ამისა, საკმაოდ სერიოზულია მისი მაღალი ხარისხით დამოკიდებულების პრობლემა ერთი ქვეყნიდან ან ქვეყნების ჯგუფიდან გარკვეული ტიპის პროდუქტების (მაგალითად, ენერგორესურსებისა და კომპონენტების) მიწოდებაზე. ასეთი ობიექტური და განსაკუთრებით ხელოვნური დამოკიდებულება ქმნის ქვეყანაზე პოლიტიკური ზეწოლის პირობებს.

მიუღებელია უცხოეთზე ფინანსური დამოკიდებულების მაღალი ხარისხის დაშვება, რაც კრედიტორებს მისცემს შესაძლებლობას, საქართველოს დაუწესონ მათთვის მომგებიანი ეკონომიკური პოლიტიკა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების პირობები. ამიტომ საგარეო-ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები მოითხოვს მრავალმხრივი, მრავალვექტორული

პოლიტიკის განხორციელებას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს რომელიმე ქვეყანაზე საქართველოს ეკონომიკის ცალმხრივი დამოკიდებულების შედეგები.

ღია ეკონომიკაში ეკონომიკური უშიშროების მნიშვნელოვანი ფაქტორია პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა, რაც შესაძლებელს ხდის მის მიწოდებას მსოფლიო ბაზრებზე იმ რაოდენობით, რომ უზრუნველყოს უცხოური ვალუტის მიღება ისეთი მოცულობით, რომელიც საკმარისი იქნება იმპორტის გაზრდისათვის. წარმოების კონკურენტუნარიანობამ ხელი უნდა შეუწყოს არა მხოლოდ ექსპორტის გაფართოებას, არამედ შიდა ბაზარზე უფრო წარმატებულ კონკურენციას უცხოელ მომწოდებლებთან.

სტრატეგიული თვალსაზრისით, მსოფლიო ეკონომიკაში მზარდი საინჟინრო ინდუსტრიის, განსაკუთრებით მეცნიერულად ტევადი პროდუქტებისათვის მსოფლიო ბაზრებზე მაღალი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, ქვეყანა შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ მაღალგანვითარებულ ეროვნულ სამეცნიერო და ტექნიკურ პოტენციალს.

საქართველოს ეკონომიკისათვის დიდი საფრთხეა, როდესაც მისი ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდის საქონლის შეზღუდულ სიაზე. მრავალი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ეროვნული ეკონომიკის გარე ბაზარზე მაღალი ხარისხით დამოკიდებულება, ამგვარი საექსპორტო სტრუქტურა, ასეთი საქონლის მსოფლიო კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში ეკონომიკას კატასტროფის ზღვარზე აყენებს.

საგარეო-ეკონომიკურ სფეროში ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფისას მნიშვნელოვანია იმპორტის ოპტიმალური მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივის მიღწევა. რა თქმა უნდა, ღია ეკონომიკაში იზრდება იმპორტი, რაც ხელს უწყობს ბაზრის შევსებას სხვადასხვა საქონლით, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს შიდა მრეწველობის პოზიციის გაუარესება.

საგარეო ვალის მაღალი დონე ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის შესაძლებლობას, გაატაროს სრულიად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან ქვეყანა იძულებული ხდება, გამუდმებით უკან იყუროს, კრედიტორებისკენ.

ამრიგად, ეროვნული საგარეო-ეკონომიკური ინტერესებისა და საფრთხეების სტრუქტურა არის მრავალგანზომილებიანი სფერო, რომელშიც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა შიდა სუბიექტი დაკავშირებულია უცხოელ პარტნიორებთან.

აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური უშიშროების უზრუნველსაყოფად გადაუდებელი ამოცანაა ოპტიმალური ბალანსის პოვნა ეკონომიკის ღიაობასა და ეროვნული ინტერესების დაცვას შორის.

ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს პრაქტიკული ქმედებებით, რათა განისაზღვროს ღიაობის ხარისხი, ეროვნული ეკონომიკის მკაცრი კონკურენციის პირობებში ადაპტაციის

გონივრული გზები მსოფლიო ბაზრის ნორმებსა და მოთხოვნებზე; ასევე - სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობა საგარეო-ეკონომიკური დონის რეგულირებაში, ბარიერები და შიდა მწარმოებლების დაზღვევა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი რისკებისგან.

ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს პოლიტიკა მიმართულია განსაკუთრებით ექსპორტის განვითარებაზე, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვაზე, საქართველოს ინტეგრაციაზე მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

ეფექტიანი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს საქართველოში შრომის ნაყოფიერების აღორძინებას და მის განვითარებაში მსოფლიო ბაზრის პოტენციალის სრულად ათვისებას, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოებას. დიდი ყურადღება ექცევა ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორის - კერძო სექტორის (განსაკუთრებით - მცირე და საშუალო ბიზნესის) სწრაფ, ინტენსიურ განვითარებას; ამან ხელი უნდა შეუწყოს უმთავრესი შიდაპოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტას – ქვეყანაში საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, სამოქალაქო მშვიდობის განმტკიცებას, შიდა სტაბილურობას, რაც ეროვნული უშიშროების განმტკიცების ერთერთი განმსაზღვრელი გარემოება უნდა გახდეს.

ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების უზრუნველსაყოფად საჭიროა საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის საგანგებო პროგრამის შემუშავება, სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შექმნა. ამისათვის კი გასათვალისწინებელია საქართველოს ეროვნული უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხეები:

1. ქვეყნის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური სტრუქტურებისა და სამართლებრივი ბაზის მოუმზადებლობა აქტიურ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა წარმართვისათვის;
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში გამოცდილებისა და სათანადო ცოდნით აღჭურვილი კადრების არარსებობა;
3. სახელმწიფო მოხელეთა არაკომპეტენტურობა და კორუმპირებულობა;
4. გარეშე ძალების მცდელობა, ხელი შეუშალონ საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში ჩართვას;
5. საერთაშორისო ვაჭრობაში მოქმედი კონკურენციის პირობები, რომლებიც ზღუდავს მასში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობებს;
6. საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებების დისკრიმინაციული სამართლებრივი და სატარიფო პოლიტიკა;
7. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში ქვეყნის პასიური პოზიცია;

8. ამ ურთიერთობებში ჩაბმის აქტიური, გააზრებული სტრატეგიის უქონლობა.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარების გზაზე მრავალი საფრთხეა, არსებული საფრთხეების დაფიქსირება შეიძლება შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- სავაჭრო დეფიციტი და საგარეო დავალიანება, მათი ცვლილებების დინამიკა;
- საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა როგორც აბსოლუტურ, ისე ფარდობით მაჩვენებლებში;
- უცხოური კაპიტალის წარმომადგენლების მიერ საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების პირობების აღქმა;
- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა;
- ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის სისტემის ეფექტურობა;
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროს მომსახურე სტრუქტურების ტექნიკური აღჭურვილობა;
- ამ სფეროში მომუშავეთა კვალიფიკაციის დონე;
- საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის საჯაროობის ხარისხი;
- საექსპორტო ლიცენზიების გაცემისა და პირდაპირ

უცხოურ ინვესტიციებზე ინფორმაციის საჯაროობის (ინვესტორების ვინაობა, ხელშეკრულების პირობების გამოქვეყნება) ხარისხი;

- ამ სფეროში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა;

- არარეგისტრირებული იმპორტის მოცულობა;

- საქართველოს პროდუქციისათვის დაწესებული სატარიფო წესები, სხვა ქვეყნებისათვის დაწესებული სატარიფო წესები, მათი სხვა ქვეყნებისათვის დაწესებულ ანალოგიურ შეზღუდვებთან შედარებით;

- ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დანაკარგები;

- სავაჭრო პარტნიორების საექსპორტო და შიდა ფასების შედარება;

- საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან დიალოგში საქართველოს ინტერესების დაცვის ხარისხი;

- საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების ხასიათისა და პირობების, უცხოეთის ქვეყნებთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულებების შესაბამისობა ქვეყნების სტრატეგიასთან.

ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკაა:

1. ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების

წარმართვის გააზრებული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
2. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საკუთარი ადგილის აქტიური ძიება;
3. გლობალიზაციის პროცესში საქართველოს სრულყოფილი ჩართვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური პირობების შექმნა;
4. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საკანონმდებლო და სხვა (მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება) ღონისძიებების გატარება;
5. საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პოტენციალის გაძლიერება;
6. კვალიფიციური კადრების მომზადება;
7. საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის საჯაროობა;
8. ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმება სხვა ქვეყნებთან;
9. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში აქტიური თანამშრომლობა;
10. აქტიური დიალოგის წარმართვა ევროკავშირთან და ევროპის სხვა ეკონომიკურ გაერთიანებებთან;
11. საქართველოში წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნვა:
- ექსპორტის სტიმულირება;
- საერთაშორისო ბაზარზე ქართული ნაწარმის ინფრასტრუქტურის შექმნა;
- მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

4.2.3. საფინანსო უშიშროება

თუ საგარეო-ეკონომიკური უშიშროების სფეროში საგარეო ფაქტორები და საფრთხეები ჭარბობს, ქვეყნის ფინანსური უშიშროების უზრუნველყოფაში კი ჭარბობს შიდა საფრთხეები.

ფინანსური უშიშროება ეკონომიკური უშიშროების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. მისი კონცეფციის არსებითი შინაარსი საკმაოდ მრავალმხრივია: ის გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების თითქმის ყველა ასპექტზე, როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე, რადგან დაკავშირებულია ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან.

ფინანსური უშიშროება ეროვნული მასშტაბით უნდა იქნეს გააზრებული, როგორც ფინანსური სისტემის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციებისა და ურთიერთობების სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას ეროვნულ ბიზნეს სუბიექტებს შორის და ასევე - მსოფლიო ბაზარზე.

საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ფინანსური უშიშროება ხორციელდება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკით, აგრეთვე, სავალუტო რეგულირების სფეროში პოლიტიკით, რაც ერთად განსაზღვრავს ფინანსური სექტორის მდგომარეობას და ეკონომიკის რეალური სექტორის ფუნქციონირების პირობებს.

საქართველოს სასიცოცხლო ფინანსური ინტერესები მაკროდონეზე იყოფა ორ დიდ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფად: შიდასახელმწიფოებრივ და საგარეო ინტერესებად. შიდა ინტერესებში შედის:

1. ზომიერი და სტაბილური ინფლაციის მაჩვენებლები;

2. მონეტარული სისტემის სტაბილურობა;

3. ფისკალური სისტემის სტაბილურობა;

4. ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა კონვერტირებად ვალუტასთან მიმართებაში;

5. ფინანსური ინფრასტრუქტურის ორიენტაცია საწარმოო სექტორის მომსახურებაზე.

სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობის სფეროში საგარეო ინტერესები განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკის ღიაობის მაღალი ხარისხით (საგარეო-სავაჭრო ბრუნვის ზომა შეჯერებულია მშპ-ს მოცულობასთან) და მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს ეფექტური მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს არის:

- ქვეყნის საგარეო ვალის შემცირება;

- ლარის კონვერტირებადობის მიღწევა გლობალურ ფინანსურ ბაზარზე;

- საინვესტიციო და ფინანსური რისკების კუთხით ქვეყნის ეკონომიკის მიმართ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ნდობის გაზრდა;

- დისკრიმინაციის არარსებობისა და საერთაშორისო საკრედიტო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ლარის გაცვლითი კურსის დონის შენარჩუნება;

- ადგილობრივი ექსპორტიორების სტიმულირება;

- საბანკო სისტემის სავალუტო აქტივების ზრდა.

ამ ინტერესების განხორციელების მექანიზმების არარსებობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ფინანსურ უშიშროებას.

ფინანსური უშიშროების უზრუნველყოფაზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ უნდა იყოს შექმნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის კანონიერად ფიქსირებული პირობები, გაძლიერდეს სახელმწიფოს, მათ შორის - სამართალდამცავი ორგანოების კონტროლი ეკონომიკური საქმიანობის დადგენილ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე. ასეთი მიდგომა განსაზღვრავს ფინანსური უზრუნველყოფის თითოეული სუბიექტის ფუნქციებისა და კომპეტენციის მკაფიოდ გარკვევის აუცილებლობას.

4.2.4. საბიუჯეტო (ფისკალური) უშიშროება

ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური ცხოვრებისათვის ბიუჯეტის მნიშვნელობის შესახებ საუბარიც კი ზედმეტია, ამიტომაც აუცილებელია სახელმწიფოს საბიუჯეტო უშიშროების უზრუნველყოფა. საბიუჯეტო უშიშროება ეკონომიკური უშიშროების კომპონენტია და გააზრებული უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის მდგომარეობა. საბიუჯეტო უშიშროება არის კონცეფცია, რომელიც მოიცავს მაკრო დონეზე - სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების, კორპორაციული სტრუქტურების, მიკროდონეზე

ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის დასაცავად ღონისძიებების, მეთოდებისა და საშუალებების კომპლექსურ ზომებს. მაკროდონეზე საბიუჯეტო უშიშროება არის, სახელმწიფოს შესაძლებლობა, მშვიდობიან და საგანგებო სიტუაციებში ადეკვატური რეაგირება მოახდინოს შიდა და გარე ნეგატიურ ფინანსურ ზემოქმედებაზე. საბიუჯეტო უშიშროება ასახავს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის მდგომარეობას, მზადყოფნას ეკონომიკური საჭიროებების დროული და საიმედო ფინანსური მხარდაჭერისათვის იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო უშიშროების აუცილებელი დონის შესანარჩუნებლად.

საბიუჯეტო უშიშროება მიიღწევა ფინანსურ სექტორში და მასთან დაკავშირებულ სფეროებში: მონეტარულ, ეკონომიკურ, სოციალურ, საერთაშორისო-ფინანსურ და ა.შ. ამიტომ საბიუჯეტო უშიშროების კონცეფცია და სტრატეგია უნდა აისახოს ეკონომიკური უშიშროების კონცეფციასა და სახელმწიფო სტრატეგიაში, ეკონომიკურ, საბიუჯეტო და მონეტარულ პოლიტიკაში და ა.შ.

ფისკალური უშიშროების სტრატეგიამ ასევე უნდა უზრუნველყოს ეროვნული უშიშროების ძირითადი მიზნების შესრულება. როგორც სახელმწიფოს, ისე კომპანიების საბიუჯეტო უშიშროების ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- ფინანსურ და საწარმოო საქმიანობაზე გავლენის ფაქტორების განსაზღვრა, მათი ფორმალიზება;

- შეზღუდვების სისტემის აგება, რომელიც გამორიცხავს უნებლიე და მიზანმიმართულ ზემოქმედებას.

საბიუჯეტო უშიშროების სისტემის შექმნა არის ევრისტიკული პროცესი, რომელიც შედგება მრავალკრიტერიუმიანი ამოცანებისაგან და მოითხოვს სხვადასხვა დარგის პროფესიონალი სპეციალისტების მონაწილეობას.

სახელმწიფოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა საბიუჯეტო უშიშროების ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. საბიუჯეტო უშიშროება ახასიათებს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ფუნქციონირებას, რომელიც მიმართულია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდისაკენ ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მაგრამ მდგრადია ფინანსური სისტემის პარამეტრების შიდა და გარე ცვლილებების მიმართ. ამავდროულად, ძირითადი ყურადღება ეთმობა ფინანსური ნაკადების განაწილებას ეკონომიკის სექტორებს შორის, სახელმწიფო ვალის დინამიკას, ბიუჯეტების ინფორმაციულ შეფასებას და კაპიტალის აღრიცხვას საზღვარგარეთ.

საბიუჯეტო უშიშროება ითვალისწინებს ისეთ საბიუჯეტო პოლიტიკას, რომელიც, პირველ რიგში, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების გატარებაზე იქნება ორიენტირებული. ასეთ ინტერესებად ითვლება: მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ხელში ინვესტიციების საჭირო დონის თავმოყრა, რაც საშუალებას იძლევა გრძელვადიან პერიოდში განავითაროს ქვეყნის საწარმოო ძალები, მხარი დაუჭიროს და დაიცვას მწარმოებლები, მოახდინოს ეკონომიკის მეცნიერებატევადი დარგების განვითარების სტიმულირება, გაატაროს მოსახლეობის ცხოვრების

დონის გაუმჯობესებაზე, ძირითადი სოციალური მოთხოვნებისა და საჭიროებების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა.

4.2.5. სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროება

ეკონომიკური უშიშროების საკითხის განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროებაც, რომელიც გარკვეულად მისი მნიშვნელოვანი შემადგენელია. ინფორმაციულ ეპოქაში ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ტექნოლოგიური უპირატესობა და ამ უპირატესობის დაცვა, როგორც წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობა საკონკურენციო ბრძოლაში.

ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ტექნოლოგიური პოლიტიკა, ხოლო ტექნოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ქვეყნის ტექნოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფა.

ეროვნული ტექნოლოგიური უშიშროების არსი მდგომარეობს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალის განვითარების უკიდურესად დასაშვებ მინიმალურ დონეზე შენარჩუნებაში, რომელიც საშინაო და საგარეო პირობების მკვეთრად გაუარესების შემთხვევაში უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის გადარჩენას საკუთარი ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების ხარჯზე, რაც გარანტია იქნება სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულის, არსებობისა და

თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა. თუ იქნება ტექნოლოგიური უშიშროების საკმარისი დონე, მაშინ სახელმწიფოში უახლესი ტექნოლოგიების შექმნისა და გავრცელების პროცესი საშინაო და საგარეო სიტუაციის ყველაზე არახელსაყრელი სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი განხორციელდება.

4.3. საერთაშორისო უშიშროება

საქართველოს სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საერთაშორისო უშიშროების პრობლემებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული უშიშროების საკითხებთან. საერთაშორისო უშიშროების არსი, სახეები, საფრთხეები განუყოფელია „ეროვნული ინტერესების“ ცნებასთან და, შესაძლოა, გარკვეულწილად, მისგანაც გამომდინარეობს. პირველ ყოვლისა, ეროვნული უშიშროების ფუნქცია არის ეროვნული სუვერენიტეტის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, მოსახლეობის დაცვის უმნიშვნელოვანესი ინტერესების ხელშეუხებლობის გარანტიის უზრუნველყოფა - ფაქტობრივად, იმ ინტერესების, რის გამოც სახელმწიფო იბრძვის. სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საქართველოს, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებასთან ერთად, უწევს ქვეყნის ეროვნული უშიშროების პრობლემათა გაცნობიერება, პოლიტიკაში სტრატეგიული აზროვნების კულტურის დამკვიდრება, უშიშროების მექანიზმებისა და მათი მართვის სტრუქტურის შექმნა. ამ პრობლემათაგან ბევრი საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფეროში იყრის თავს. სწორედ აქ ხდება საჭირო

ქვეყნის სხვადასხვა ხასიათის საფრთხეთა სისტემური გააზრება, ეროვნული უშიშროების პრობლემათა კომპლექსური შეფასება, უშიშროების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის, პრიორიტეტების, პოლიტიკური მიზნების, მათი ამოქმედების ეფექტური საგარეო პირობების შექმნა.

მართალია, ცნება „საერთაშორისო უშიშროება“ თითქმის საუკუნეა, რაც არსებობს, მაგრამ ამ პრობლემაზე ფიქრობდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეები. საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მე-20 საუკუნეში შეიძინა. სწორედ გასულ საუკუნეში გაჩაღებულმა, თავისი შედეგებით კატასტროფულმა, გამანადგურებელმა, სისხლისმღვრელმა ორმა მსოფლიო ომმა უბიძგა საერთაშორისო უშიშროების ინსტიტუტის ჩასახვის პროცესის დაწყებას, საფუძველი ჩაუყარა ომების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას, მეცნიერები მიიყვანა უშიშროების ფენომენის თეორიული გააზრების აუცილებლობამდე.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო უშიშროების პრობლემების შესწავლის აქტუალობა განაპირობა უამრავმა ფაქტორმა.

ჯერ ერთი, გლობალიზაციის ზემოქმედების ქვეშ ურთიერთდაკავშირებულობისა და ურთიერთდამოკიდებულების მკვეთრად გაძლიერებამ გასაგები გახადა ის, რომ დიდი

ალბათობით, ნებისმიერ ომს შეუძლია გამოიწვიოს რეგიონული ან გლობალური ეკონომიკური კრიზისი იმაზე მეტად, ვიდრე მანამდე.

მეორეც, ინფორმაციულ ეპოქაში გაფართოვდა საერთაშორისო უშიშროების საგნობრივი ველი: სამხედრო ასპექტთან ერთად, ასევე მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსოფლიო ურთიერთქმედების სფერო საერთაშორისო უშიშროების არასამხედრო ან სამოქალაქო სფეროებში, მოიცვა პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული უშიშროების საკითხები.

მესამეც, გლობალიზაციის მიუხედავად, უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებს გააჩნია სუბიექტური განზომილებაც: საერთაშორისო ურთიერთქმედების პირობებში ერთმანეთს ეჯახება სუბიექტები, რომელთაც აქვთ როგორც თანმხვედრი, ისე განსხვავებული ინტერესები, წარმოადგენენ სხვადასხვა ცივილიზაციას. ამავე დროს, თითოეულ ქვეყანას გააჩნია უშიშროების საკუთარი იერარქია.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება აუცილებლად ეჯახება ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნული იდენტურობის პრობლემებს, რაც იწვევს თვითონ უშიშროების ფენომენის სხვადასხვანაირად გაგებასაც კი.

უშიშროების პრობლემას საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. შესაბამისად, მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობათა ნებისმიერი საკითხი. გაერთიანებული ერე-

ბის წესდების პირველი მუხლით განსაზღვრულია ორგანიზაციის მიზნები, რომელთა მიხედვითაც, ლეგიტიმაციის პროცესის ერთ-ერთი პრინციპია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა. საერთაშორისო უშიშროება გულისხმობს ზომებისა და ღონისძიებების კომპლექსს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მსოფლიოში ხალხების, სახელმწიფოების ერთობლივი ცხოვრება, მათი უშიშროება, სტაბილური განვითარება და თანამშრომლობა, ყოველი მათგანის სასიცოცხლო ინტერესების საიმედო დაცვა.

საერთაშორისო უშიშროება ყალიბდება ეროვნული და რეგიონული უშიშროების საფუძველზე, მოიცავს პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და სხვა კომპონენტებს. მისი საფუძველია აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა, ყველა სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დაცვა, თანამედროვეობის ახალი საფრთხეების, მუქარების, რისკებისა და გამოწვევების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება.

საერთაშორისო უშიშროებაში ზოგადად იგულისხმება:

- სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა;
- ქვეყნების, ხალხების თავისუფალი და თვითმყოფადი განვითარება;
- გარემოს შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება;

- ადამიანების, კაპიტალის, ინფორმაციის გადაადგილების თავისუფლება;
- მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

საერთაშორისო უშიშროების პრინციპებია:

1. საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალურ პრინციპად მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრება;
2. ყველა სახელმწიფოსათვის თანაბარი უშიშროების უზრუნველყოფა;
3. სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ქმედითი გარანტიების შექმნა;
4. ყველა ხალხის სუვერენული უფლებების უპირობო პატივისცემა;
5. საერთაშორისო კრიზისებისა და რეგიონული კონფლიქტების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგება;
6. სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება;
7. ეფექტური მეთოდების შემუშავება საერთაშორისო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად;
8. გენოციდის, აპარტეიდის, ნაციზმის ქადაგების აღმოფხვრა;
9. საერთაშორისო პრაქტიკიდან ყველა ფორმის დისკრიმინაციის ამოღება, ეკონომიკურ ბლოკადებსა და სანქციებზე უარის თქმა, თუ არ არის მსოფლიო თანამეგობრობის რეკომენდაცია;

10. ყველა სახელმწიფოს თანაბარი ეკონომიკური უშიშროების უზრუნველმყოფი ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარება.

საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდებია:

- ორმხრივი ხელშეკრულებები დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის შესახებ;
- სახელმწიფოთა გაერთიანება მრავალმხრივ კავშირებში: საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებში, რეგიონულ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებში;
- საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის დემილიტარიზაცია, დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია;
- საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის უზენაესობის დამყარება.

გამოვლენის მასშტაბებიდან გამომდინარე, ასხვავებენ საერთაშორისო უშიშროების შემდეგ დონეებს:

ეროვნული დონე - სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და საზოგადოების დაცულობა მოსალოდნელი საგარეო და საშინაო საფრთხეების, მუქარების, რისკებისა და გამოწვევებისაგან, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მდგრადი განვითარება, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და ცხოვრების ღირსეული დონე;

რეგიონული დონე - დესტაბილიზაციების, კრიზისების, კონფრონტაციების, რეგიონული მასშტაბის შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების საფრთხეებისაგან მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონის სახელმწიფოთა ურთიერთობის სისტემის დაცულობა;

კოლექტიური დონე - სახელმწიფოთა ჯგუფების (კავშირების) საგარეო საფრთხეებისაგან დაცულობა, რაც გარანტირებულია ურთიერთდახმარებით, სამხედრო სფეროში თანამშრომლობითა და კოლექტიური მოქმედებებით აგრესიის თავიდან ასაცილებლად და მოსაგერიებლად;

გლობალური დონე - დესტაბილიზაციების, კრიზისების, კონფრონტაციების, შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების საფრთხეებისაგან საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის დაცულობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითადი გამტარებელი არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამასთან, სხვა უწყებები (თავდაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვ.) აგრეთვე წარმართავენ საკუთარ საქმიანობას საერთაშორისო სფეროში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებენ რა საქმიან კავშირებს უცხოეთის სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო ფირმებთან.

საგარეო ურთიერთობათა სფეროში ქვეყნის უშიშროების ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო სფეროში მოქმედი ყველა სახელმწიფო

უწყების პოლიტიკურ საქმიანობათა კოორდინაციის სრულყოფას; ერთიან კონცეპტუალურ სისტემაში უნდა იყოს მოქცეული ამ მოქმედებათა სახელმწიფო ინტერესების დაცვის ასპექტები; არ შეიძლება, ეს ასპექტები გახდეს ცალკეულ სახელმწიფო უწყებათა და მათ ხელმძღვანელთა პირადი გაგებისა და ინტერპრეტაციის საგანი. ეს პრინციპული ხასიათის პრობლემა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა იქნეს დანახული და გადაწყვეტილი. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების ღიაობა და საერთაშორისო ურთიერთგაცვლაში სრულფასოვანი ჩართვა წარმოუდგენელია მასში სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების სულ უფრო ფართო მონაწილეობის გარეშე; მეორე მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი, ლოკალური მიმართულებების სახით წარმართვა შექმნის სახელმწიფოს უშიშროების ინტერესების ვიწრო დარგობრივი ან უწყებრივი ინტერესებით ჩანაცვლების საშიშროებას.

საგარეო ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს უშიშროების ამოცანების განხორციელება მოითხოვს, უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ლოკალური მიმართულებით წარმოებული საერთაშორისო საქმიანობის პრინციპული თანხმობა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსთან, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს უშიშროების გრძელვადიანი ინტერესების კომპლექსურ გააზრებას უნდა დაეფუძნოს.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების მონიტორინგისა და კოორდინაციის ეფექტური მექანიზმის შექმნით.

ამგვარი მექანიზმი არ გულისხმობს კოორდინაციის ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრის ჩამოყალიბებას, უპირველესად, საჭიროა დამუშავდეს ის პროცესები, რომლებმაც უნდა მოიცვას საერთაშორისო ურთიერთობაში ჩართული ყველა ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტი და მათვე უზრუნველყონ ამ ინსტიტუტთა საქმიანობის კონცეპტუალური ინტეგრაცია ქვეყნის უშიშროების ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო პოლიტიკა ემსახურება ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა:

- სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება;
- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება და პოტენციური კონფლიქტების პრევენცია;
- სეპარატიზმის წყაროების ამოცნობა და მათი მოქმედების განეიტრალება;
- რეგიონში ძალის გამოუყენებლობისა და მშვიდობიანი, არაკონფრონტაციული საერთაშორისო პოლიტიკის ნორმების დამკვიდრება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში საქართველოს გაწევრება;
- ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში სათანადო პოლიტიკის გატარება;
- საქართველოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული

შესაძლო აქციების დროულად ამოცნობა და გაუვნებელყოფა;

- საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

- საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ;

- ქვეყნის საგარეო პოლიტიკური აქციების საინფორმაციო უზრუნველყოფა;

- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

- ქართულ დიასპორასთან და უცხოეთში საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილ ჯგუფებთან ურთიერთობის დამყარება-განმტკიცება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული ორიენტირებია:

- მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისათვის პირობების ჩამოყალიბება;

- ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და უშიშროების სისტემაში ინტეგრირება;

- აქტიური რეგიონული პოლიტიკის გატარება;

- საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება.

საქართველოსათვის აუცილებელია:

1. მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული

ურთიერთობების განვითარების სათანადო პირობების ჩამოყალიბება.

საბჭოთა იზოლაციონიზმმა მრავალი ათეული წლით დააშორა საქართველო მსოფლიო განვითარების ერთიან პროცესებს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს, ფაქტობრივად, თავიდან უხდება თანამშრომლობის დამყარება ბევრ ისეთ ქვეყანასთან, რომლებთანაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობა აკავშირებდა. ამასთან, ინფორმაციული ეპოქის განვითარების ტენდენციები გარე სამყაროსთან საქართველოს კულტურული ინტეგრაციის პროცესთა ინტენსიფიკაციას მოითხოვს. შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ხდება ამგვარი ინტეგრაციის უსაშიშრო პოლიტიკური პირობების შექმნა.

ამ ვითარებაში გასათვალისწინებელია მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს:

- წარუმატებლობამ დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებაში;
- არაეფექტურობამ საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში;
- ჩამორჩენამ განვითარებული სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნაში;
- რეგიონსა და საკუთრივ საქართველოში პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ;
- განათლების სისტემაში ძირეული გარდაქმნების განუხორციელებლობამ, ანუ თვისობრივი ცვლილებების

მიუღწევლობამ თანამედროვე დონის წარმოების მიმართულებით.

მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების პირობების ჩამოყალიბების კომპონენტში, ეროვნული უშიშროების ინდიკატორების სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ამ პროცესის უშიშროების ფაქტორების მახასიათებლების საფუძველზე. უშიშროების კრიტერიუმების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გამოიყოს უშიშროების მდგომარეობის ის არსებითი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინდიკატორებს უდევს საფუძვლად. შესაბამისად, **პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების სფეროში ინდიკატორები** (მიზნის მიღწევის დონის მაჩვენებელი) შეიძლება იყოს:

1. უცხოეთის ქვეყნებში საქართველოს მიმართ ინტერესის ზრდა;

2. უცხოეთის ქვეყნებთან თანამშრომლობითი ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა სფეროში ერთობლივი პროექტების რაოდენობა;

3. მათი განხორციელების მაჩვენებლები;

4. სხვადასხვა სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრების პროცესის ტენდენციები;

5. ამ ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობის ხასიათი;

6. საქართველოს წარმომადგენლების პროფესიონალიზმისა და ადამიანური თვისებების შეფასება უცხოელი პარტნიორების მიერ;

7. განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროში უცხოეთთან თანამშრომლობის ინტენსივობა;

8. უცხოეთის სახელმწიფოებთან ინფორმაციული კავშირის ინტენსივობა;

9. საქართველოში ტურიზმის განვითარება და სხვ.

აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ქვეყნებთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავებისაკენ ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები შეიძლება იყოს:

- საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გაღრმავება;

- ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

- საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა;

- მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარება;

- მათთან ეკონომიკის, კულტურისა და სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შეთანხმების დადება;

- განათლების სისტემის სრულყოფა;

- ახალგაზრდობის უცხოეთში სწავლისა და სტაჟირების ხელშეწყობა;

- მსოფლიოს ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის

პროცესის გაღრმავება;

- შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის პროცესთა ინტენსიფიცირება;

- მსოფლიოს სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით - მეზობელ ქვეყნებთან, საკომუნიკაციო ქსელის გაძლიერება;

- ევროპის ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვა;

- საერთაშორისო ფორუმების, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრების, კულტურულ ღონისძიებათა მოწყობისა და ორგანიზაციისათვის საქართველოს მიმზიდველ ადგილად გადაქცევა;

- საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება.

2. ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და უშიშროების სისტემაში სათანადოდ ინტეგრირება. საქართველოს საგარეო პოლიტიკას მიზნად აქვს დასახული ქვეყნის ინტეგრირება ევროატლანტიკურ, ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა სისტემაში, ევროპული უშიშროების, ეკონომიკურ და სხვა სტრუქტურებში დამკვიდრება. ეს განიხილება არა მხოლოდ როგორც ქვეყნის უშიშროების, არამედ მისი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობა.

ამ ვითარებაში გასათვალისწინებელია მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება იყოს:

1. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის მიზნით რუსეთის მოსალოდნელი პოლიტიკური ზეწოლა, ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოყვანა (არჩევნებში შეფარულად მათი ფინანსური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სხვ. მხარდაჭერა);

2. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის არასაკმარისი მოქნილობა, გამომდინარე ქვეყნის შინაგანი სისუსტეებიდან;

3. ქვეყნის სისუსტე, ერთი მხრივ, აიოლებს მის საგარეო პოლიტიკაზე გარედან ზემოქმედების შესაძლებლობას; მეორე მხრივ, აძლიერებს გადაუდებელ, მოკლევადიან ინტერესებზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტის მოთხოვნებს, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ევროპის სტრუქტურების ინტეგრაციის გრძელვადიან ინტერესებთან;

4. საქართველოში დასავლეთის, კერძოდ, ევროპული სახელმწიფოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა გაძლიერება, მათ შორის:

- **საშინაო საფრთხეები:** პოლიტიკური არასტაბილურობა; სეპარატიზმის ძლიერი კერები; ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის სისტემის უქონლობა; დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფის, ქვეყნის სამართლებრივი მოწყობის განვითარებაში ევროპული სტანდარტების დაუცვე-

ლობა; ეკონომიკის სისუსტე, მისი სტრუქტურული განუვითარებლობა, რაც საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისათვის დასავლეთის მიერ გასაცემ ხარჯებს ზრდის.

- საგარეო საფრთხეები: არასტაბილური რეგიონული გარემოცვა; ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები; ევროპისათვის საქართველოს ინტეგრირების პოლიტიკური ფასის ზრდა, რაც მსოფლიოში არსებული გლობალური დაპირისპირებულობით არის გამოწვეული; რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის გავლენის სფეროების განაწილებაში საქართველოს ინტერესების იგნორირება (ნატოს მიერ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნაწილის დათმობა აღმოსავლეთით გაფართოებაზე რუსეთის თანხმობის სანაცვლოდ); რუსეთის მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების სიჭარბე; რუსეთის სახელმწიფოს გავლენიან წრეებში ანტიქართული ძალების, იმპერიული რევანშიზმის, სხვათა ტერიტორიების მიტაცების სურვილის არსებობა; რუსეთში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია; რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახლო საზღვარგარეთისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ თანმიმდევრული, საკუთარი ეროვნული ინტერესების გაცნობიერებაზე დამყარებული პოლიტიკის ჩამოუყალიბებლობა; რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძლიერ ანტიქართულ ინტერესთა ჯგუფების ლობირების მექანიზმთა არსებობა;

რუსეთის სამხრეთ რეგიონებში ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელი ძალების არსებობა, რომელთაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან საქართველოს უშიშროებას; რუსეთის შეშფოთება საქართველოში დასავლეთის სახელმწიფოებისა და თურქეთის გავლენის გაზრდით; რუსეთის მცდელობა, მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოს პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობა; რუსეთსა და საქართველოს შორის უთანხმოებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხში.

ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და უშიშროების სისტემაში **ინტეგრირების** კომპონენტში ეროვნული უშიშროების ინდიკატორების სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ამ პროცესის უშიშროების ფაქტორების მახასიათებლების საფუძველზე. უშიშროების კრიტერიუმების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გამოიყოს უშიშროების მდგომარეობის ის არსებითი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინდიკატორებს უდევს საფუძვლად. შესაბამისად, ამ **პროცესის ინდიკატორებში** (მიზნის მიღწევის დონის მაჩვენებელი) შეიძლება იყოს:

- რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების, გავლენიანი პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი აზრის რეაქცია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ, საქართველოს, ევროატლანტიკურ სტრუქტუ-

რებსა და დასავლეთ-ევროპულ გაერთიანებებთან დაახლოების პროცესზე;

- ამ პროცესის გაშუქება რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ;

- საქართველოს მიმართ რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის გამკაცრება;

- საქართველოში შიდაპოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციის, არაქართული ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რაიონებში სიტუაციის გამწვავების მცდელობები;

- ქვეყანაში უცხო ქვეყნის აგენტურული ქსელის საქმიანობის გააქტიურება;

- სხვადასხვა სახის პოლიტიკური პროვოკაციების სიხშირე;

- რუსეთის მიერ საქართველოზე ეკონომიკური ზემოქმედების გაძლიერება;

- რუსეთის ხელისუფლების, სამთავრობო და კერძო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოზიცია საქართველოსა და ქართველი ხალხის, საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ;

- რუსეთში საქართველოს მოქალაქეებისა და ქართული წარმოშობის პირებისადმი მოსახლეობის, ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების, ორგანიზებული

პოლიტიკური ჯგუფების, მასმედიის დამოკიდებულება;
- მათთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობა;
- რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა და კერძო სტრუქტურის საქართველოსთან დაკავშირებულ საქმიანობასთან, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციას და არ პასუხობს რუსეთის გრძელვადიან ინტერესებს;
- საქართველოში რუსეთის კერძო კაპიტალის ინვესტიციების მოცულობა;
- საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკური იმპერატივებისა და კერძო სექტორის ეკონომიკური ინიციატივის ურთიერთგანპირობებულობის ხასიათი;
- ქვეყნის შიგნით მოქმედი იმ საზოგადოებრივი ტენდენციების განვითარება, რომლებიც ვერ უთავსდება საქართველოს ნატოსა და ევროპასთან ინტეგრაციისაკენ მიმართულ საგარეო პოლიტიკას;
- დასავლეთის და, პირველ რიგში, ევროპის ქვეყნების ეკონომიკის, უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში მოქმედ გაერთიანებათა დაინტერესების ზრდა საქართველოს მიმართ;
- ევროკავშირის მხრიდან საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების მიმართ ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური დახმარების პოლიტიკის ორიენტაცია;
- აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების მხრიდან საქართველოს

პოლიტიკური მხარდაჭერის ხასიათი;

- დასავლეთის ქვეყანათა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მონაწილეობის ინტენსიურობა საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რესურსებისა და ბაზრის ათვისებაში;

- ნატოსთან და ასევე ალიანსის ინდივიდუალურ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის ინტენსივობა;

- ევროკავშირისა და ნატოში გაწევრებისა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის მსურველთათვის წაყენებული მოთხოვნების სიმკაცრე;

- ნატოს გაფართოების პროცესის მიმდინარეობა, განსაკუთრებით - ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (უკრაინა) მიმართებით;

- ალიანსის ერთგულება მის მიერ დეკლარირებული პრინციპისადმი, რომელიც გაფართოების პროცესის უწყვეტობას გულისხმობს და სხვ.

აქედან გამომდინარე, ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და უშიშროების სისტემაში ინტეგრირების პროცესში ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები შეიძლება იყოს:

1. დასავლეთის, განსაკუთრებით - ნატოსა და ევროპის, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უშიშროების სისტემაში ინტეგრირების პროცესის ინტენსივობის რეგულირება დროში, არა მარტო დასავლეთის ქვეყნებთან, არამედ

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარების შესაბამისად;

2. ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარება, რომელიც გამორიცხავს თვითაღიარებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რესპუბლიკების აღიარებას მსოფლიო თანამეგობრობის მიერ, ასევე, მაქსიმალურად შეამცირებს საქართველოს დაუცველობას რუსეთის წინაშე, რუსეთის მიერ საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე ზეწოლის შესაძლებლობასა და ეფექტიანობას;

3. დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება;

4. უცხოეთის ქვეყნებიდან ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების მოზიდვა;

5. აქტიური ძალისხმევა, მიმართული რეგიონული კონფლიქტებისა და უთანხმოებების გადაწყვეტაში საერთაშორისო ინსტიტუტების (განსაკუთრებით - უშიშროების სფეროში) როლისა და ქმედითობის გაზრდისაკენ; მათ დღის წესრიგში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის პრობლემების წინა პლანზე წამოწევა;

6. პოლიტიკა მიმართული სახელმწიფოს შინაგანი სისუსტეების შემცირებისაკენ;

7. სახელმწიფო მართვის ძლიერი სისტემის შექმნა, რომელსაც ექნება უნარი, ჩამოაყალიბოს სახელმწიფო პოლიტიკა და უზრუნველყოს მისი რეალიზება;

8. საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობებთან დიალოგის გაღრმავება, აგრეთვე, მათთან ეკონომიკური და სოციალური კავშირების ინტენსიფიკაცია;

9. აღნიშნული რაიონების კავშირების რეორიენტაცია მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან საქართველოს სხვა რაიონებისა და ცენტრისაკენ;

10. სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეთანხმება ერთმანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ეროვნების უმცირესობათა უფლება-მოვალეობების უზრუნველყოფის საკითხებში;

11. ამ სახელმწიფოებთან სასაზღვრო საკითხების შეთანხმება;

12. დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავება;

13. საკანონმდებლო სისტემის სრულყოფა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარება-წარმოების კულტურისა და მენეჯმენტის დონის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების მიმართულებით;

14. ნატოს პროგრამებსა და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში საქართველოს აქტიური მონაწილეობა;

15. შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

16. საქართველოს შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის სრულყოფა;

17. საერთაშორისო სამშვიდობო ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობისათვის პირობების შექმნა; საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან მიახლოება და ნატოს ძალებთან ოპერატიული თანამშრომლობის განვითარება;

18. რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებისა და მშვიდობის დამყარების ყოველმხრივი ხელშეწყობა;

19. ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და სხვ.

3. აქტიური რეგიონული პოლიტიკის გატარება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობები და თანამშრომლობა. მეზობელ სახელმწიფოებთან საქართველოს კეთილი ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის თანმიმდევრული პოლიტიკა, მიმართული როგორც საკუთარი ინტერესების დაცვის, ისე რეგიონში მშვიდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ, უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქვეყნის უშიშროებას, არამედ ზრდის მის ავტორიტეტსა და პრესტიჟს რეგიონსა და მთელ მსოფლიოში. ამგვარი ავტორიტეტი უაღრესად დიდ კაპიტალს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში და ქვეყნის უშიშროების განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რეგიონის უშიშროების თვალსაზრისით, დაფუძნებულია იმ წარმოდგენაზე, რომ თანამედროვე სამყაროში რეგიონული უშიშროება არ

გულისხმობს მხოლოდ სამხედრო უშიშროებას; იგი არის გაცილებით უფრო კომპლექსური პრობლემა, რომელიც მოიცავს აგრეთვე ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეთნოკულტურული და ეკოლოგიური უშიშროების საკითხებსაც. რეგიონული უშიშროების საიმედო სისტემის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და რეგიონის სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

სამხრეთ კავკასიაში საქართველოს ცენტრალური მდებარეობა და საზღვაო გზებზე დამოუკიდებელი გასვლის პირობები ქვეყნის განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალია; ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროთა შესაყარზე საქართველოს უქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, შეასრულოს კონსტრუქციული როლი როგორც რეგიონის, ისე რეგიონის გარეთ მდებარე სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობაში.

ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან კავკასიის რეგიონში მრავალი პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტის კერა გაჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გარეშე ძლიერი პოლიტიკური ინტერესების დესტრუქციული მოქმედება. ამ პირობებში საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია რეგიონის სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობის განვითარებისაკენ, რათა მშვიდობა და უშიშროება მეტად იყოს დამოკიდებული საკუთრივ რეგიონის სახელმწიფოთა ნებაზე და არა - გარეშე

ძალებზე. საქართველო დაინტერესებულია რეგიონული უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის აუცილებელი სტრუქტურების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შექმნით. ამ ინსტიტუტებმა ხელი უნდა შეუწყონ რეგიონისა და საქართველოს უშიშროებას, შეამცირონ გარეშე ძალების გავლენა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რეგიონში ემყარება საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების ნორმებსა და წესებს, რაც ქმნის საფუძველს კავკასიაში უშიშროების დამყარებისა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საქართველოს უშიშროებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, ასევე, შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. ამ მხრივ, უპირველესი ამოცანაა უკრაინასა და თურქეთთან თანამშრომლობითი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება.

რეგიონული პოლიტიკის გააქტიურების დროს გასათვალისწინებელია მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს:

- ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სოციალური და პოლიტიკური განწყობილების არსებობამ;
- კავკასიასა და მის გარეთ არსებული გარკვეული ძალე-

ბისათვის საქართველოს, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და უშიშროების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის მასტიმულირებლის როლის მიუღებლობამ;

- გარეშე ძლიერი პოლიტიკური ძალების დაინტერესებამ რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციით, საქართველო მოაქციონ საკუთარი სრული გავლენის ქვეშ;

- კავკასიის რეგიონში მრავალ შეუთანხმებელ პოლიტიკურ ინტერესთა არსებობამ;

- რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის დაინტერესებამ საკუთარი უშიშროების პრობლემები გარეშე ძალის საშუალებით გადაწყვიტონ, ანუ რეგიონული უშიშროების საკუთარი ერთიანი სისტემის ჩამოუყალიბებლობამ;

- საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით, ჩრდილოეთ კავკასიაში გარეშე ძალების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩაღებულმა კამპანიამ;

- ამ კონფლიქტებში ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობით გამოწვეულმა დაპირისპირებულობისა და უნდობლობის არსებობამ;

- რეგიონში კონფლიქტების სხვა კერათა არსებობამ, რომელთა მოუგვარებლობას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი;

- რეგიონში ნარკომაფიის, სხვა კრიმინალური ინტერესების დიდმა გავლენამ, რაც იწვევს ეროვნული

ინტერესების ჩანაცვლებას კლანობრივი ინტერესებით;

- საქართველოში, კავკასიის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობების განვითარების მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ერთიანი პოლიტიკის უქონლობამ;

- სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციის უზრუნველსაყოფად, მათში მოვლენათა განვითარებაზე მშვიდობიანი ზეგავლენის მოსახდენად საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისუსტემ;

კავკასიის რეგიონში თანამშრომლობისა და ინტეგრაციის არსებული პოტენციალის (სატრანსპორტო, ენერგეტიკის, ეკოლოგიის სფეროში) გამოუყენებლობამ;

- ამის გამო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დაბალმა ხარისხმა;

- შავი ზღვის რეგიონში რუსეთსა და თურქეთს, რუსეთსა და უკრაინას შორის ინტერესთა არსებულმა დაპირისპირებამ;

- რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის სუსტმა დაინტერესებამ შავი ზღვის აუზში თანამშრომლობის გაღრმავებით.

რეგიონული პოლიტიკის გააქტიურების კომპონენტში ეროვნული უშიშროების ინდიკატორების სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ამ პროცესის უშიშროების ფაქტორების მახასიათებლების საფუძველზე. უშიშროების კრიტერიუმების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გამოიყოს უშიშ-

როების მდგომარეობის ის არსებითი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინდიკატორებს უდევს საფუძვლად. შესაბამისად, ამ პროცესის ინდიკატორები (მიზნის მიღწევის დონის მაჩვენებელი) შეიძლება იყოს:

1. სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების ორგანიზებული ჯგუფების, მმართველი ელიტის დამოკიდებულება საქართველოსადმი;
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქების ხასიათი;
3. ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებისადმი დამოკიდებულება;
4. კავკასიაში საქართველოს როლის ხედვა რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებსა და სამხრეთ კავკასიაში;
5. რეგიონსა და მის გარეთ არსებული პოლიტიკური ძალების პოზიცია რეგიონული თანამშრომლობის სფეროში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების მიმართ;
6. კავკასიის რეგიონში არსებული პრობლემებისა და თანამშრომლობის გაღრმავებისადმი მიძღვნილ რეგიონულ ფორუმებში საქართველოს მონაწილეობა და მისი შედეგები;
7. კავკასიის პრობლემებით დაინტერესებულ ყველა მხარესთან საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების განვითარება;

8. რუსეთისა და კავკასიის რეგიონის გარეთ მდებარე ქვეყნების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ფედერაციის კავკასიური რესპუბლიკების მიმართ;
9. რუსეთისა და კავკასიის რეგიონის გარეთ მდებარე ქვეყნების მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართება კავკასიის რეგიონში არსებული სიტუაციისადმი;
10. საერთოკავკასიური თანამშრომლობის მომავალ დიალოგში ეთნიკურ და ტერიტორიულ კონფლიქტებში ჩაბმულ, დაპირისპირებულ მხარეთა შეურიგებლობის ხარისხი;
11. რეგიონის ქვეყნებსა და პოლიტიკურ წარმონაქმნებში არსებულ, გავლენიან ინტერესთა ჯგუფების პოზიცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მიმართ;
12. ამ პოზიციის თანხმობა ოფიციალური ხელისუფლების პოზიციასთან;
13. საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებს შიგნით განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი თვალსაზრისის არსებობა კავკასიის ხალხებთან საქართველოს დამოკიდებულების, საქართველოს კავკასიური პოლიტიკის შესახებ;
14. განათლების, კულტურის, მეცნიერების სფეროში საქართველოს კავშირები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან, მეტადრე, სხვა ქვეყნების მსგავს კავშირებთან თანაფარდობაში განხილული;

15. კავკასიაში საქართველოს ინფორმაციული პოლიტიკის ეფექტურობა;

16. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის გადაწყვეტილებებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ხარისხი;

17. ერთობლივი გადაწყვეტილებების არსებობა იმ საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესების საგანს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკის გააქტიურების პროცესში ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები შეიძლება იყოს: კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში საქართველოს სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ გამოკვეთილი და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება, რომელიც თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას გულისხმობს. ეს პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- დამოუკიდებლად რუსეთთან საქართველოს ურთიერთობებისა, კავკასიელ ხალხებთან და სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან თანამშრომლობას - კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას საქართველოსათვის განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია და ეს თანამშრომლობა ისტორიული თანაცხოვრებით განპირობებულ საქართველოს გრძელვადიან ინტერესებში შედის;

- კავკასიელთა ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელია მათი დარწმუნება, რომ მათთან ურთიერთობებს საქართველოში არ განიხილავენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დანამატად. ეს პოლიტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული, ხოლო მისი მიზნები – მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაცხადებული;

- აქტიური ძალისხმევა რეგიონული უშიშროების სისტემის შექმნის მიმართულებით;

- უშიშროების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისაკენ მიმართული ნაბიჯებისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის პოლიტიკური მხარდაჭერა;

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით - ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში. ამ შემთხვევაში სრულად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს, როგორც ზღვაზე გასასვლელის, ხელსაყრელი მდებარეობა;

- კავკასიური იდენტურობის ერთიანი გრძნობის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა, რომელიც დაეფუძნება საერთოკავკასიურ მემკვიდრეობას, ჩვეულებსა და ადათ-წესების, ისტორიული წარსულის ერთიანობას, თანაცხოვრების მდიდარ გამოცდილებას, მსოფლიოს ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობაში კავკასიური უნიკალურობის შეგრძნებას;

- კავკასიის ხალხებთან კულტურული კონტაქტების ინტენსიფიკაციისათვის საჭირო პოლიტიკური და მატერიალური პირობების შექმნა;

- კავკასიის ქვეყნებთან საქართველოს ტრადიციული კავშირების განვითარება;

- კავკასიაში საქართველოსთან თანამშრომლობითა და კეთილმეზობლური ურთიერთობებით დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობების განვითარება;

- ეფექტური საინფორმაციო პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანი იქნება სწორი შთაბეჭდილება შეუქმნას რეგიონის ქვეყნების მოსახლეობას საქართველოს სახელმწიფოს, მისი კონსტიტუციის, ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლება-მოვალეობების, საქართველოში არსებული ვითარების, ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის შესახებ;

- სოციალურ სფეროში თანამშრომლობა;

- რეგიონის ქვეყნებს შორის მათი მოსახლეობის სოციალური დაცვის კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია;

- თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს შორის, მათ შორის - ნარკობიზნესთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საფრთხეები საერთაშორისო სფეროში ვლინდება სხვა სახელმწიფოთა მცდელობებში, დაარღვიონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, ხელი შეუშალონ ეროვნული ინტერესების რეალიზებას, შეასუსტონ მისი გავლენა კავკასიასა და მთლიანად - რეგიონში. სერიოზულ მუქარას წარმოადგენს ქვეყნისათვის სულ უფრო მზარდი და თანამე-

დროვე ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში წარმოუდგენლად გამრავალფეროვნებული ტრანსნაციონალური საფრთხეებიც.

4.4. სამხედრო უშიშროება, ჰიბრიდული ომი

რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ინფორმაციულ (ციფრულ) ეპოქაშიც სამხედრო უშიშროება კვლავ რჩება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტად, იგი მთავარი განმსაზღვრელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობის და მისი შესაძლებლობების სამხედრო ძალის საშუალებებით ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაში.

თანამედროვე მსოფლიო გადის გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების გამწვავების რთულ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია გავლენის ზონების ახალ გადანაწილებასთან. შესაბამისად, სახეზეა რიგ რეგიონებში არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც კიდევ უფრო შემატა აქტუალურობა სახელმწიფოთა სამხედრო უშიშროების პრობლემას. მიუხედავად მსოფლიო სისტემის გლობალური გარდაქმნებისა, სამხედრო ძალის პოტენციალი ჯერ-ჯერობით კვლავ ითვლება მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფაქტორად. მსოფლიო სისტემის ტოტალური მილიტარიზაცია, მრავალი წინააღმდეგობების გამწვავება,`საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და გაჭიანურებული კონფლიქტები მოსაზღვრე რეგიონებში, ზრდის მოთხოვნებს ქვეყნის სამხედრო უშიშროების სისტემის სრულყოფაზე.

4.4.1. სამხედრო უშიშროება

ინფორმაციული ეპოქის დადგომამდე მსოფლიოში ყველაზე უკეთ იყო შესწავლილი სამხედრო უშიშროების კრიტერიუმები. სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფისას ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენება სამხედრო (საბრძოლო) ძლიერებისა და პოტენციალის მაჩვენებელთა სისტემა, მათი სხვადასხვა სახის კომპონენტი, რომლებიც მსოფლიო, რეგიონული და ლოკალური ომებისა და სამხედრო კონფლიქტების თეორიას ეფუძნება (სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების, სამობილიზაციო რეზერვების, სამხედრო მომზადების დონის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობისა და ხარისხის, ქვეყნის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგრადობის, მეთაურთა კადრების მომზადების, სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო თეორიის დამუშავების დონისა და სხვა პარამეტრების შეფასებისათვის).

ზოგადად, სამხედრო უშიშროება გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, დაიცვას თავი სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული გარე და შიდა სამხედრო საფრთხეებისაგან. სამხედრო საფრთხე, როგორც ყოფილი თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე არნიშნავს, განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: 1. სახელმწიფოთა შორის არსებული დაპირისპირება, რომლის გადასაწყვეტად შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამხედრო ძალა; 2. ერთ-ერთი მხარის იმდაგვარი სიძლიერე, რაც მას შეტევითი საბრძოლო

მოქმედების საშუალებას აძლევს; 3. დაპირისპირებულ მხარეთა ჩამოყალიბებული აზრი, რომ სამხედრო ძალის გამოყენება მიზანშეწონილია.[132]

მკვლევართა ნაწილისათვის ტერმინი „სამხედრო უშიშროება", ჯერ კიდევ ითვლება სიტყვა „უშიშროების" სინონიმად. მაგალითად, „სამხედრო უშიშროების" ცნების განმარტებად ზოგისათვის მისაღებია თავდაცვის დეპარტამენტის (DOD) სამხედრო და მასთან დაკავშირებული ტერმინების ლექსიკონში მოცემული ეროვნული უშიშროების განსაზღვრება: „კრებითი ტერმინი, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ თავდაცვას, ასევე შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებს, რათა მოიპოვოს: შემტევი ან თავდაცვითი უპირატესობა რომელიმე უცხო სახელმწიფოებზე ან სახელმწიფოთა ჯგუფზე; ხელსაყრელი პოზიცია საგარეო ურთიერთობებში; თავდაცვითი პოზიცია, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაუძლოს მტრის აშკარა ან ფარულ დესტრუქციულ მოქმედებას როგორც შიგნიდან, ისე გარედან".[133]

სამხედრო უშიშროება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინსტიტუტების მიერ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსს ომის გაჩაღებისა და სამხედრო მუქარის განხორციელებისათვის წინააღმდეგობის

---

[132] თევზაძე, დ., უსაფრთხოება, სტრატეგია, ეროვნული ინტერესები და ქვეყნის ომისათვის მზადება: ცნებათა გაგებისათვის, 2019. https://1tv.ge/video/usafrtk¬hoeba-strategia-erovnuli-interesebi-da-qveynis-omisatvis-mzadeba-cnebata-gagebisatvis/ [22.07.2022].

[133] DDD Dictionary of Military and Associated Terms. As of November 2021. https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/dictionary.pdf\ [22.07.2022]

შესაქმნელად. სამხედრო უშიშროების გამომხატველია სახელმწიფოს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ომის წარმოქმნას, ომში ჩაბმას, ხოლო ომის შემთხვევაში - მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი და დამანგრეველი შედეგები.

ურთულესი გლობალური და რეგიონალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალიების ფონზე სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას თანამედროვე საქართველოს წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უშიშროებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს ჰყავს საკუთარი თავდაცვის ძალები. საქართველოს თავდაცვის ძალების სახეობებია: სახმელეთო ძალები, საჰაერო ძალები, ეროვნული გვარდია და სპეციალური ოპერაციების ძალები.[134] საქართველოს თავდაცვის ძალები არის ეროვნული თავდაცვის სისტემის პოლიტიკურად ნეიტრალური და შეიარაღებული სამხედრო ინსტიტუტი, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა განახორციელოს აუცილებელი და პროპორციული სამხედრო და სხვა სახის ღონისძიებები.

---

[134] საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ. https://mod.gov.ge/ge/page/13/tavdacvis-dzalebi [22.07.2022]

2021 წელს გამოქვეყნდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინტერესო და ყურადსაღები დოკუმენტი - „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030",[135] რომელშიც მოკლედ ჩამოყალიბებულია 2030 წლამდე სამინისტროს ხედვები:

1. კონფლიქტის ხასიათის ცვლილებების შესახებ (მომავლის ომები, რეგიონის უსაფრთხოების გარემო და მასთან დაკავშირებული გამოწვევები);

2. თავდაცვის პოლიტიკის მიზნები და სახელმძღვანელო პრინციპები (ძირითადი სახელმძღვანელო ღირებულებები და პრინციპები, ტოტალური თავდაცვა);

3. სტრატეგიული მზადყოფნა - მომავლის ხედვა (სტრატეგიული მართვა, ტოტალური ძალების განვითარება, საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება). მაგრამ ამ დოკუმენტს უფრო პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათი აქვს, ამიტომ სამხედრო უშიშროების არსისა და დანიშნულების გადმოსაცემად ნაკლებად გამოსაყენებელია.

საერთაშორისო ვითარებიდან და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს სამხედრო უშიშროება.

სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის მთავარი ამოცანაა საქართველოს წინააღმდეგ მომართული სამხედრო მუქარების თავიდან აცილება, ლოკალიზაცია, ნეიტრალიზაცია. სამხედრო უშიშროების შესანარჩუნებლად ქვეყანას

---

[135] თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/uploads/ModVision/tavdacvis_saministros_xedva_2030.pdf [22.07.2022]

მოეთხოვება სამხედრო პოტენციალი გაზრდილი ჰქონდეს იმ დონემდე, რომ კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში საკმარისი იყოს თავდასაცავად. სამხედრო უშიშროების ასეთი დონე მიიღწევა სახელმწიფოს ძალისხმევით, მიზანმიმართულად და კოორდინირებულად, სტრუქტურული კომპონენტების სრული კომპლექსის არსებობის შემთხვევაში, როგორც წმინდა სამხედრო, ისე პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვ.

აქედან გამომდინარე სამხედრო უშიშროება თავის თავში მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს: თავდაცვის სისტემას; დიპლომატიას; აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას; ეკონომიკურ ურთიერთობებს; სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას; სპეცსამსახურების საქმიანობას; სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პირად კონტაქტებს და სხვ.

თავდაცვის სისტემა თავის თავში ასევე მოიცავს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციულ სისტემას, რომელიც იქმნება სამხედრო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ძირითადად ეყრდნობა სამხედრო ძალას. სამხედრო კომპონენტში ივარაუდება გარკვეული რაოდენობრივი, თვისობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელთაც მიეკუთვნება:

- შეიარაღებული ძალების რაოდენობა მართვისა და უზრუნველყოფის სისტემებით, სხვა საჯარისო ნაწილებით, სამხედრო ფორმირებებითა და ორგანოებით;
- ჯარების მომზადების დონე, რაზეც დამოკიდებულია მათი ბრძოლისუნარიანობა და საბრძოლო მომზადება;
- შეიარაღებული ძალებისა და სხვა ჯარების ტექნიკური

აღჭურვილობა (სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, სამხედრო-ტექნიკური ქონება);

- შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მარაგები, რითაც მოცულია არსენალები, ბაზები და საწყობები;

- სამხედრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა (სტაციონარული ობიექტები), რომლებიც განკუთვნილია ჯარებში სტრატეგიული და ოპერატიული მანევრირებისა და სამხედრო მოქმედებათა გაძღოლის სწავლებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო უშიშროების პოლიტიკურ-დიპლომატიურ კომპონენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- უშიშროების კოლექტიური (საერთაშორისო) სისტემის მაღალი დონე;

- სახელმწიფოთა ინტეგრირებულობა სამხედრო-პოლიტიკური კავშირების სისტემაში;

- მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური ძალების თანაფარდობის მიმღებლობა;

- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გარანტირებული რეალიზაცია;

- შეიარაღებასა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე საერთაშორისო კონტროლის რეჟიმის შემდგომი სრულყოფა და სხვ.

მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამხედრო უშიშროების ეკონომიკურ კომპონენტს, რომელიც მოიცავს:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველმყოფი

მატერიალურ-ფინანსურ შესაძლებლობებს;

- შეიარაღებული ძალების რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებს;

- სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს არმიას, ქმნის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სამობილიზაციო რეზერვს;

- სამხედრო-ტექნოლოგიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ახალი სახეები;

- მრეწველობის სამობილიზაციო შესაძლებლობებს, აუცილებლობის შემთხვევაში კი ახდენს შეიარაღებული ძალებისადმი საჭირო რაოდენობის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებას.

მორალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო კომპონენტთან, რომელიც მოიაზრებს:

1. ქვეყნის მოსახლეობის სულიერ შესაძლებლობებს, რომლებიც განიზომება მოსახლეობის მორალური მდგომარეობითა და ფსიქოლოგიური მომზადების ხარისხით (სამაგალითოდ გამოდგება უკრაინელი სამოქალაქო მოსახლეობის გააფრთებული წინააღმდეგობა. ისინი არ უშინდებოდნენ და შიშველი ხელებით აჩერებდნენ რუსულ ტანკებს);

2. სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებრივ სტატუსს, რომელიც მოიცავს საზოგადოებასა და სახელ-

მწიფოში მათი უფლებებისა და მოვალეობების, მდგომარეობისა და პრესტიჟის ერთობლიობას;

3. შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ძირითადი კატეგორიის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

სამხედრო უშიშროებას აქვს ორი ასპექტი: საშინაო და საგარეო. სამხედრო უშიშროების **საშინაო ასპექტი** ვლინდება ქვეყნის არასტაბილური განვითარების პირობებში და, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია არსებული კონსტიტუციური წყობის დაცვის პრობლემებთან, ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებთან. სამხედრო უშიშროების **საგარეო ასპექტი კი** დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობებში არსებულ მდგომარეობასთან და ხასიათდება სახელმწიფოს უნარით, წინააღმდეგობა გაუწიოს ცალკეული სახელმწიფოების (ან მათი კავშირების) მცდელობებს, გამოიყენონ სამხედრო ძალა, როგორც ინსტრუმენტი, სხვადასხვა სფეროში არსებული წინააღმდეგობების გადასაჭრელად. ეს განსაზღვრავს თანამედროვე შეიარაღებული ძალების არსებობის, კოლექტიური სისტემების ან საყოველთაო უშიშროების სისტემების ფორმირების ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში შესვლის აუცილებლობას.

სამხედრო უშიშროების საშინაო და საგარეო ასპექტები მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციაში დეკლარი-

რებული საერთაშორისო სამართლის პრიმატი შიდა კანონმდებლობასთან, მეორე მხრივ, ზოგიერთი სახელმწიფოს სწრაფვა, გამოიყენოს საქართველოს შიდა უთანხმოებანი, როგორც ინსტრუმენტი, ფარული ან ღია ზეწოლისათვის.

სამხედრო უშიშროებაში არის სამი დონე: ლოკალურ-ნაციონალური, რეგიონული და გლობალური. სამხედრო უშიშროების **ლოკალურ, ნაციონალურ დონეზე** უზრუნველყოფა ხდება ძირითადად ქვეყნის აუცილებელი სამხედრო პოტენციალის შექმნით. სამხედრო უშიშროების **რეგიონალურ დონეზე** უზრუნველყოფა მიიღწევა ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის განმტკიცებით, მაგალითად, ნატოში გაწევრებით და სხვ. სამხედრო უშიშროების **გლობალურ დონეზე** უზრუნველყოფა ხდება მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე, სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირებაზე კონტროლით და სხვა ღონისძიებებით; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021-2025 წლების სტრატეგიულ მიმოხილვაში დონეები ასეა განმარტებული:

ლოკალური დონე - საქართველოს უშიშროების მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება რუსეთის ფედერაციის მცდელობა, არ მისცეს ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება და დააბრუნოს რუსული გავლენის სფეროში ან, სულ მცირე, ხელი შეუშალოს ნატოსა და ევროკავშირში მის შესვლას. ამ მიზნების მისაღწევად რუსეთი მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების პრაქტიკულად სრულ

სპექტრს იყენებს. 2008 წელს რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის ბერკეტის გამოყენებამ ვერ გაანაპირობა მისი მიზნების სრულად განხორციელება. ამიტომ მომავალში სამხედრო მოქმედებები დღის წესრიგიდან მთლიანად მოხსნილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს, რუსეთი მუდმივად ახდენს ზეწოლას საქართველოზე ჰიბრიდული ელემენტების, მათ შორის - სამხედრო ძალის მუქარის გამოყენებით. ეს კი მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციისაკენ. ამის კარგი მაგალითია ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რომლის ინტენსივობაც ხშირად საქართველოს მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად იზრდება და სამხედრო კონფლიქტის განახლების პოტენციურ წყაროს წარმოადგენს.

რეგიონული დონე - შავი ზღვის ფართო რეგიონის უშიშროების გარემო, პირველ რიგში, შავ ზღვაზე რუსეთის სამხედრო უპირატესობით ხასიათდება. რუსეთი განუხრელად ზრდის სამხედრო შესაძლებლობებს სამხრეთში, რაც მის საარგებლოდ აისახა შავი ზღვის რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსზე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ სამხედრო დაჯგუფების სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდა, ხმელეთზე განლაგებული ჰაერსაწინააღმდეგო, ხომალდსაწინააღმდეგო, საავიაციო და საზღვაო შესაძლებლობების თავმოყრა და მათი ინტეგრირება

ძლიერი წვდომისა და მანევრის შეზღუდვის ზონად. მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის ნაწილის, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ფრაგმენტაცია. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფარგლებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართომასშტაბიანმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეგიონში რუსული სამხედრო ძალა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, არსებობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის პერიოდული სამხედრო ესკალაციის ალბათობა, რაც გავლენას ახდენს რეგიონული უშიშროების გარემოზე. რეგიონის ქვეყნების განსხვავებული ხედვები უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე პრობლემურს ხდის სრულყოფილი რეგიონული პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რაც უმარტივებს რუსეთს რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებზე დომინირებას. საქართველოს უშიშროებისათვის ასევე გამოწვევას წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ვითარება ბოლო წლებში შედარებით სტაბილურია, მდგომარეობა საკმაოდ მყიფეა და ჩრდილოეთ კავკასია რჩება დესტაბილიზაციის პოტენციურ კერად.[136]

გლობალური დონე - თანამედროვე გლობალური უშიშროების სისტემა ამ ეტაპზე ხასიათდება რევიზიონისტული ძალების მცდელობით, მოახდინონ ცივი ომის შემდგომ ჩამო-

[136] თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/uploads/2021/november/tavdacvis_strategiuli_mimoxilva_2021-2025.pdf [22.07.2022]

ყალიბებულ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის ცვლილება რამდენიმე საკვანძო რეგიონში აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების ინტერესების შეზღუდვის მიზნით, რაც რიგ შემთხვევებში სამხედრო ძალის დემონსტრირებისა და გამოყენების სახეს იძენს. მსგავსი სცენარით მოვლენების განვითარება ხელს შეუწყობს ძველი კონფლიქტების გაღვივებას, ახალი კონფლიქტების გაჩენას და მათ გადაწყვეტაში სამხედრო ძალის მნიშვნელობის ზრდას. ეს პატარა ქვეყნებისათვის სტრატეგიულ გაურკვევლობას ზრდის საკუთარ მომავალთან და უშიშროების პოტენციურ გარანტიებთან დაკავშირებით და მათ სტრატეგიული გადაწყვეტილებების დაჩქარებულ რეჟიმში მიღების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები, რაც დამატებით ზეწოლას ახდენს ქვეყნის უშიშროებაზე. შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, რომ პანდემიას ძალუძს არსებული რესურსების განაწილების პროცესის შეფერხება როგორც დიდ, ისე პატარა ქვეყნებში. მას ასევე შეუძლია შეამციროს პატარა ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა, რითაც გაძლიერდება რევიზიონისტული ძალების სურვილი, ისარგებლონ მოცემული მდგომარეობით და მნიშვნელოვნად შეცვალონ ვითარება გარკვეულ გეოგრაფიულ არეალებში.

როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში არის აღნიშნული, აგვისტოს სამხედრო აგრესიამ, სა-

ქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და იქ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის ისედაც მყიფე უშიშროების გარემო.[137] საქართველოს წინააღ-

---

[137] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად რუსეთ-საქართველოს აგვისტოს სამხედრო ბრძოლებში განცდილი მარცხისა, მაინც იქნა მოპოვებული ერთგვარი სტრატეგიული დივიდენდი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთგვარი გასაღები ტერმინების „ოკუპანტისა" და „ოკუპირებული ტერიტორიების" სახით: 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის ხელში მთავარი კოზირი იყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მოსკოვის მიერ დადგენილი სტატუსკვო: საერთაშორისო საზოგადოების თვალში კონფლიქტის მხარეებად აღიქმებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატისტული რეგიონების „მთავრობები", ხოლო რუსეთი - საერთაშორისო მშვიდობისმყოფელ შუამავლად, რომლის გარეშეც ამ რეგიონებში „ბუზსაც ვერავინ ააფრენდა". შესაბამისად, არც არსებობდა კონფლიქტების ობიექტურად მოგვარების რაიმე შანსი. მაგრამ მანამდე არსებული, საქართველოსათვის სრულიად წამგებიანი ეს სტატუსკვო შეიცვალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ: რუსეთი უკვე არის არა შუამავალი და მშვიდობისმყოფელი გაეროს ეგიდით, არამედ - კონფლიქტის მონაწილე მხარე. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, დღეს მსოფლიოსათვის საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს ამ რეგიონებში რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებიან უკანონოდ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით. შესაბამისად, საქართველოს აქვს ყველა იურიდიული და მორალური უფლება, ნებისმიერი გზით აღადგინოს კანონიერება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამით საქართველო სტრატეგიული თვალსაზრისით მომგებიან მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა რუსეთის საოკუპაციო მისწრაფებების მიმართ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, მათ შორის - ამ სტრატეგიული დივიდენდის ტერმინების „ოკუპანტისა" და „ოკუპირებული ტერიტორიების" საერთაშორისო პოლიტიკური აქტორების ლექსიკონში მყარად დამკვიდრება, იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში დადებულ ხელშეკრულებებში მუდმივად ფიგურირებდეს რუსეთის მიმართ ტერმინი „ოკუპანტი" და ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები (დაწვრილებით, იხ., კუპრაშვილი, ჰ.

მდეგ 2008 წელს და 2022 წელს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოშიც კი შეიძლება ადვილად გახდნენ ქვეყნები სამხედრო აგრესიის სამიზნე, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აუცილებელია სათანადოდ აწყობილი სამხედრო უშიშროების სისტემის სრულყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამხედრო პოლიტიკამ ამოცანად დაისახოს სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის სრულყოფილი **სისტემის** შექმნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, შეაფასოს უშიშროების შიდა და გარე სამხედრო მუქარები, განსაზღვროს სამხედრო და არასამხედრო შესაძლებლობების თანაფარდობა.

სამხედრო უშიშროების დაცვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, განმტკიცებასა და სრულყოფას, აგრეთვე, სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის იმ დონეზე შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს აგრესიის აღმოჩენას, ეფექტურ შეკავებასა და მოგერიებას.

მნიშვნელოვანია სამობილიზაციო ბაზის შექმნა და სახელმწიფო ხელისუფლების, ეკონომიკის, ტრანსპორტის, კო-

---

(2010). აგვისტოს რუსული აგრესია - კრემლის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი. *ჟურნ. საისტორიო ვერტიკალები.* # 21, გვ. 23–31; Купрашвили, Г. (2010). Российская августовская агрессия – стратегическое поражение кремлевской политики. Информационно-аналитический портал „Грузия Online“) https://www.apsny.ge/analytics/1265832443.php

მუნიკაციის მზადყოფნა სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად, სამხედრო-ეკონომიკური მიმართულების ამოცანებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. უნდა გაირკვეს სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები მშვიდობიან პერიოდში შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შესანარჩუნებლად და ომის დროს ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ამოცანები საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის აღსაკვეთად და მოსაგერიებლად, ანტიკონსტიტუციური მოქმედებების ლოკალიზებისა და ნეიტრალიზებისათვის, რომელიც ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და სხვ.

საქართველოს სამხედრო უშიშროების უზრუნველსაყოფად სამხედრო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

- სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობის, აუცილებლობისა და ფარგლების განსაზღვრა სამხედრო უშიშროების განმტკიცებისათვის;
- აუცილებელი და საკმარისი სამხედრო ძალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შეფასება, სამხედრო ძალის გამოყენების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც ზემოქმედება სავარაუდო მოწინააღმდეგეზე;
- სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დასაბუთება და შემუშავება;

- სახელმწიფოს სამხედრო სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების კონკრეტული გეგმების მომზადება;

- სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირება სხვა სახელმწიფოებთან, კოალიციებთან, ბლოკებთან;

- მიღებული გადაწყვეტილებების, გეგმებისა და სამხედრო აქციების ინფორმაციული უზრუნველყოფის ორგანიზება;

- სამხედრო და შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის ორგანიზება, რომელიც ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ამაღლებასთან არის დაკავშირებული;

- საქართველოს ტერიტორიაზე და შეძლებისდაგვარად საერთაშორისო არენაზეც სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბების სამხედრო-პოლიტიკური აქციების ხელმძღვანელობა და სხვ.

სამხედრო უშიშროების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივ ფაქტორებს. ესენია:

სამხედრო სფეროში მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობების მდგომარეობა, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დოკუმენტების არსებობა განიარაღებისა და სამხედრო საქმიანობის პრობლემების შესახებ,

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე ეფექტური კონტროლის მექანიზმების არსებობა,

აგრეთვე, რეგიონში კრიზისული სიტუაციების არიდებისა და დარეგულირების ეფექტური მექანიზმები.

ქვეყნის სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფაში დიდი როლი აკისრია სამართლებრივ სტრუქტურებს, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ საკანონმდებლო აქტების პროექტები და მიაღწიონ მიღებული კანონების შესრულებას. სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფაში შიდაპოლიტიკური სტრუქტურების როლი მრავალწახნაგოვანია. მათ ეფექტურად უნდა გაატარონ ცხოვრებაში მთავრობის ყველა საკანონმდებლო აქტი და გადაწყვეტილება, რომლებიც ეხება ქვეყნის თავდაცვას, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ მომზადებას, უზრუნველყონ ღონისძიებების წარმატებით ჩატარება სამხედრო თვალსაზრისით ქვეყნის ტერიტორიისა და ეკონომიკის მომზადების სფეროში, პრაქტიკაში განახორციელონ სოციალური და ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას, სტაბილიზაციას და სხვ.

კრიზისული სიტუაციების წარმატებით გადაჭრისა და სამხედრო უშიშროებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო პოლიტიკის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. აქ იგულისხმება ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება და გადაცემა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის, მისი განვითარების ტენდენციების შესახებ, გეოსტრატეგიული მდგომარეობის ცვლილებებზე, ასევე - რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგეების ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების, ქვეყნების სამხედრო პოტენციალის, მებრძოლი მხარეების შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, მდგომარეობისა და მოქმედების ხასიათის შესახებ და სხვ. მონაცემები. ამავე დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს

ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ოპერატიულობა, სისრულე და სანდოობა.

მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ინფორმაციული უზრუნველყოფის შინაარსი და პარამეტრები. გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებამდე ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის დაყვანა ძირითადი საერთაშორისო პრობლემების თაობაზე, საგარეო-პოლიტიკური ინიციატივებისა და მოქმედებების, საქართველოს პოზიციების შესახებ, აგრეთვე, ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ინტელექტუალური შემოქმედების მიღწევებზე. ინფორმაციული უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ამოცანაა საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური აღქმის, მისდამი მეგობრული ურთიერთობების გაღვივების ფორმირება და სხვ.

სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ინფორმაციულ სფეროში ღირსეულად დაიცვა საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობა; კეთილდღეობა და ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა; ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და სხვ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინფორმაციულმა ეპოქამ და თანამედროვე საერთაშორისო სიტუაციამ წარმოქმნა დამატებით ახალი საფრთხეები და გამოწვევები, წინ

წამოსწია ახალი მოთხოვნები საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია, რომ ახალი საინფორმაციო რეალობის პირობებში თანამედროვე გეოპოლიტიკური დაპირისპირება შეიარაღებულ საშუალებებთან ერთად ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, რომელსაც „რბილი ძალა“ ჰქვია. ამ უკანასკნელის გავრცელება ხდება საინფორმაციო საშუალებებითა და ინსტრუმენტების შემუშავებით, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს სოციალური რეალობა.

„რბილი ძალის“ ტექნოლოგიები გამოიყენება არა მხოლოდ კონფლიქტების გადასაჭრელად დიპლომატიის, დარწმუნების ან საერთაშორისო სამართლისადმი აპელაციის გზით, არამედ შეიძლება მიმართული იყოს არასასურველი სახელმწიფოს ინსტიტუციური გარემოს, მისი კულტურული მატრიცის განადგურებაზე, ეთნიკური მტრობის გაღვივებაზე, პოლიტიკური რეჟიმის დემონიზაციაზე, „მტრის იმიჯის“ შექმნაზე და ა.შ. ამ ყველაფერს შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის სამხედრო უშიშროებას - შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე.

აშკარად ჩანს იმის საჭიროება, რომ აუცილებელია გადაიხედოს თანამედროვე სახელმწიფოების, მათ შორის - საქართველოს სამხედრო უშიშროების სისტემა. დღეს სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირება ძირითადად მაინც ინფორმაციულ სფეროში გადადის.

ამდენად, შესაძლოა, საინფორმაციო ომი განხილულ იქნეს, როგორც სამხედრო ოპერაციის ყველაზე აქტუალური

სახე. გლობალურ საინფორმაციო ქსელებზე კონტროლი შესაძლებელს ხდის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სრულ დაქვემდებარებასა და მასზე კონტროლის დამყარებას, რაც ქვეყნებს შორის დამოკიდებულების ახალ ფორმებს წარმოქმნის. ეს განსაზღვრავს ინფორმაციული და ქსელური ტექნოლოგიების მნიშვნელობას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, მათ შორის - სამხედრო სფეროს ფუნქციონირებისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ სამხედრო საფრთხე კიდევ უფრო „გაასაშიშროვა". შედეგად, იცვლება ტრადიციული დამოკიდებულება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და მის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შორის. ადრე, სუსტი საერთაშორისო გარანტიების სისტემის პირობებში, ქვეყნის ძლიერი თავდაცვისუნარიანობა დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითადი და აუცილებელი საშუალება იყო. შესაბამისად, სამხედრო იარაღის გაზრდილი ძალის დროს ძალისმიერი ზიანი საქართველოსათვის (ცხადია, მსგავსი სხვა პატარა ქვეყნებისათვისაც) დიდი საშიშროების შემცველია, ამის გამო საქართველო დამოკიდებულია იმ საერთაშორისო ნორმათა სისტემებზე, რომლებიც პოტენციურ აგრესორებზე შემაკავებლად ზემოქმედებს (ხშირად იგი პოლიტიკური და ეკონომიკური უფროა, ვიდრე - სამხედრო).

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ თანამედროვე ომებში, ახალი სოციალური რეალობის პი-

რობებში, თანდათან უპირატესობა ენიჭება არასამხედრო ტექნოლოგიებსაც, რომლებსაც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე საინფორმაციო ზემოქმედების ძლიერი, დამანგრეველი პოტენციალი აქვთ. იგი ხორციელდება მედიისა და ინტერნეტის დახმარებით. დღეს გეოპოლიტიკური აქტორები უპირატესობას ანიჭებენ არა ომის შეიარაღებულ მეთოდებს, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ფართო გამოყენებას მტრისთვის ზიანის მიყენების მიზნით.

საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მეთოდები სულ უფრო ეფექტური ხდება, რის გამოც მათ უფრო ხშირად იყენებს სხვადასხვა პოლიტიკური აქტორი საკუთარი მიზნების მისაღწევად. მათი ეფექტურობა შეიძლება შეედაროს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგებს, რადგან საგულდაგულოდ გაფილტრული და გარკვეული სახით წარმოდგენილი ინფორმაცია ინერგება მტრის სახელმწიფოს მოსახლეობის გონებაში, რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს საპროტესტო განწყობის ზრდისათვის, სხვადასხვა კონფლიქტის გამწვავებისათვის, ეს კი იწვევს საზოგადოების პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და სოციალურ ქაოსს.

საქართველოს უნდა გააჩნდეს აუცილებელი სამხედრო სიძლიერე, შეთავსებადი და თანაზომადი მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან, მის როლთან რეგიონსა და მსოფლიოში. სამხედრო მზადყოფნას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, თუმცა მისი ხვედრითი წონა უშიშროების უზ-

რუნველყოფაში თანდათან იცვლება, რადგან სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ნორმების გაძლიერებას კიდევ ერთი განსაკუთრებული შედეგი აქვს: დიდი პოლიტიკური ფასის გამო საერთაშორისო ურთიერთობაში აშკარა ინტერვენცია სულ უფრო ნაკლებად დასაშვები ხდება, რაც რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და მასზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციის მაგალითზეც გამოჩნდა.

მოკლედ, სამხედრო უშიშროება არის კომპლექსური სიდიდე. სპეციფიკური ფორმით, ის თავის თავში ახდენს სახელმწიფო მშენებლობის ყველა მხარის აკუმულირებას. მის განმტკიცებაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მოქალაქემ, ქვეყნის ყველა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ. სამხედრო უშიშროების სპეციფიკაა ის, რომ სამხედრო ძალის საშუალებებით უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების ინტერესებს. სამხედრო უშიშროების საგარეო ასპექტი ასახავს ერის უნარს, დაუპირისპირდეს და შეაკავოს უცხოეთიდან სამხედრო ძალების ზემოქმედება. ეს კი ითვალისწინებს თანამედროვე შეიარაღებული ძალების ყოლას, კოლექტიური ან საყოველთაო უშიშროების სისტემის ფორმირებას, ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში შესვლას.[138]

---

[138] კუპრაშვილი, ჰ., სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიოს გლობალური გამოწვევები“ შრომების კრებული. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2022.

4.4.2 ჰიბრიდული ომი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული გარემოსა და პოლიტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ამჟამად სამეცნიერო სფეროში მეცნიერ-მკვლევართა და ექსპერტებს შორის მიმდინარეობს როგორც ომის წარმოების ხელოვნების, ისე მთლიანად ომის ფილოსოფიის გადაფასება. ამ პროცესს სათავე დაუდო კაცობრიობის განვითარებაში მომხდარმა უდიდესმა მოვლენამ, ინდუსტრიულიდან ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლამ და კაცობრიობის განვითარების სტრატეგიულ რესურსად ინფორმაციის გადაქცევამ, შესაბამისად, ახალი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების არნახულმა წინსვლამ, რამაც გააჩინა თანამედროვე ომებში სხვადასხვა ინტენსივობით განსხვავებული სტრატეგიების, მეთოდებისა და ფორმების გამოყენების განუსაზღვრელი შესაძლებლობა. ამ სიახლეებმა, ომებისა და უშიშროების ტრადიციულ გაგებასთან ერთად, წარმოშვა ტერმინოლოგიის სიუხვე, მათ შორის - ომის წარმოების თვალსაზრისით: ჰიბრიდული, არაკონვენციური, ახალი თაობის, მეოთხე თაობის, მეხუთე თაობის, ასიმეტრიული, არაწრფივი და სხვ.

რაც შეეხება ომის წარმოების ერთ-ერთ ახალ სახელს - ტერმინს, „ჰიბრიდული ომი“, არის ინფორმაციული ეპოქის შესაბამისად, კარგად მიგნებული და მომგებიანად „შეფუთული“ სიტყვათა წყობა. ამიტომაც, სხვებთან შედარებით, მოიპოვა მეტი პოპულარობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტე-

რმინი სათანადოდ არ/ვერ ასახავს ინფორმაციულ ერაში გაჩენილი ომის, ანუ ეპოქის შესატყვისი ომის შინაარსს, იმ არსებით ფაქტორს, რამაც განაპირობა ახალი ეპოქის დასაწყისი, ანუ, როდესაც საზოგადოების განვითარების ძირითადი სტრატეგიული რესურსი არა ქვანახშირი და ფოლადია (ჯავშნის საწარმოებლად), არამედ არის ინფორმაცია, ინფორმაცია, თანამედროვე გაგებით, დაფუძნებული *ნორბერტ ვინერისა* და *კლოდ შენონის* კონცეფციებზე, როდესაც მიმდინარეობს ომის არსებითი ტრანსფორმირება ინფორმაციულ ომად, იცვლება მისი ხასიათი და შინაარსი, წარმოების წესები (სულ ცოტა ხანში კი იმდენად შეიცვლება, რომ ძალიან მცირე რამ ექნება საერთო ომის ტრადიციულ გაგებასთან), სადაც ომის შინაარსს განსაზღვრავს ინფორმაციის ფლობა-მანიპულირებისა და თანამედროვე საინფორმაციო, სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, თანამედროვე ეპოქის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორი - „ინფორმაცია“, ფართო გაგებით, არის თანამედროვე ომების შინაარსის განმსაზღვრელიც, საფუძველიც და ამოსავალიც. თანამედროვე ომის ტერმინი როგორი სახეცვლილებითაც უნდა მოგვევლინოს, მისი არსებითი განმსაზღვრელიდან გამომდინარე, მას ტერმინის ფართო გაგებით, ეწოდება ინფორმაციული ომი.

„ჰიბრიდულ ომში“ ნაგულისხმევი შინაარსი არც უწინ იყო „უცხო ხილი“, უბრალოდ, კაცობრიობის ციფრულ სამყაროში გადასვლის შესაბამისად, მისი შინაარსი დაიხვეწა, შესა-

ძლებლობები ტექნოლოგიურად მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანი გახდა. ჰიბრიდული ომის საწყისები იძებნება ჩინელი ფილოსოფოსისა და სამხედრო სტრატეგის, ტრაქტატ „სამხედრო ხელოვნების“ ავტორის სუნ ძის (Sun Tzu; ძვ. წ. 544-496) სწავლებებში, ასევე - *ჰიტლერთან, სტალინთან* და ა.შ. ისტორია მოწმობს, რომ პროფესიულად ორგანიზებულ ომს ყოველთვის წინ უძღოდა ყოველმხრივად გათვლილი სათანადო მომზადება, მოიცავდა არაფორმალურ მეთოდებს, მათ შორის - პროპაგანდას, დივერსიას, აჯანყებას, მტრის დემორალიზაციას და ა.შ.

ინფორმაციულ ეპოქაში თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევებითა და საფრთხეებით შექმნილ წინააღმდეგობებს ნამდვილად ახასიათებს ჰიბრიდული მიდგომები, შესაბამისად, მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის არსებობის ყველა სფეროს შეცვლისაკენ. ომის ჰიბრიდული მეთოდები არ ცვლის ომის არსს. ძალადობა შინაარსობრივად რჩება მის საფუძვლად, როგორც ომის ნებისმიერ სხვა ფორმაში, მიზანიც იგივეა, რაც ომის ნებისმიერი სხვა გამოვლინება, კერძოდ, მუქარის ან ორგანიზებული ძალადობის გამოყენება მტერზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად.

დღეს ჰიბრიდული ომები გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარი იარაღია, რომელიც ამგვარი საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ძიების აქტუალიზებას ახდენს. თუ ადრე სამხედრო უშიშროება შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქვე-

ყნის საბრძოლო შესაძლებლობების რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ამჯერად, ახალ საინფორმაციო რეალობაში, სამხედრო უშიშროების სტრატეგია მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას ქვეყნის უშიშროების სისტემის ორგანიზების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისადმი, მისი სხვადასხვა სეგმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. ძალაუფლების დინამიკა აღარ არის დაფუძნებული მხოლოდ მატერიალურ საშუალებებზე და სულ უფრო მეტად არის ორიენტირებული უნარზე, გავლენა მოახდინოს სხვების რწმენაზე, განწყობასა და მოლოდინებზე; ეს არის უნარი, რომლის განვითარებაზე მკვეთრი გავლენა მოახდინა ახალმა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ჰიბრიდული“ ამჟამად ყველაზე პოპულარულია, ის სულაც არ არის ერთადერთი, რომელიც აღწერს ამ ომებს. ის ფაქტი, რომ მრავალი შეიარაღებული კონფლიქტი შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის, იყენებს ინსტრუმენტებს, რომლებიც ტრადიციულად არ არის საომარ მოქმედებათა ნაწილი, კიდევ უფრო ართულებს პრობლემას. ეს უდავოდ გამოწვევაა უშიშროების სფეროს ტრადიციული აზროვნების მოსურვეთათვის, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ ჰიბრიდული ომის ანალიტიკოსებისა და თეორეტიკოსების მიერ გამოვლენილი საფრთხეების ფართო სპექტრი.

ჰიბრიდულ და ჩვეულებრივ ომებს აქვთ შემდეგი საერთო ნიშნები:

- შეიარაღებული დაპირისპირება, აგრესია არააკრძალული (კონვენციური) იარაღის სრული სპექტრის გამოყენების შესაძლებლობით;

- პროპაგანდა, საინფორმაციო ომი და ფსიქოლოგიური ზეწოლა როგორც მტრის შეიარაღებულ ძალებზე, ისე მთლიანად მოსახლეობაზე, რადგან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციული დაპირისპირება თანამედროვე ომების განუყოფელი ნაწილია;

- სპეციალური ოპერაციების ძალების სრული სპექტრის გამოყენება, დივერსიის განხორციელება, დივერსიული მოქმედებები, პარტიზანული და ზოგჯერ ტერორისტული მოძრაობების გამოყენება;

- ომის წარმოება ტაქტიკურ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე;

- თანამედროვე ომები ფორმალური გამოცხადების გარეშე.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ომის ჰიბრიდულ და ჩვეულებრივ სახეებს შორის ღიაობის ელემენტშია. ჩვეულებრივი ომები თითქმის ყოველთვის ატარებს ღია ხასიათს: არსებობს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის გაგება, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძვის, მაშინ, როდესაც ჰიბრიდულ ომში, თავის მხრივ, ასეთი გაგება არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, კონფლიქტის საწყის ეტაპზე.

ცნობილია, რომ ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს და შეიმუშავეს აშშ-ის შეიარაღებული ძალების საზღვაო ქვეითთა კორპუსის ოფიცრებმა. *რობერტ უოკერმა* (Robert G Walker)

მონტერეის (კალიფორნია) სამხედრო-საზღვაო ასპირანტურაში, 1998 წელს დაწერილ თავის სამაგისტრო ნაშრომში „სპეცრაზმი: აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი და სპეციალური ოპერაციები", ჰიბრიდული ომი ასე განსაზღვრა: „ჰიბრიდული ომი არის ის, რაც მდგომარეობს სპეციალურ და ჩვეულებრივ ომს შორის არსებულ ხარვეზებში. ამ ტიპის ომს აქვს როგორც სპეციალური, ისე ჩვეულებრივი სფეროების მახასიათებლები, მოითხოვს უკიდურეს მოქნილობას ოპერატიულ და ტაქტიკურ გადასვლას სპეციალურ და ჩვეულებრივ არენებს შორის".[139]

2002 წელს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის პოლკოვნიკი *უილიამ ნემეტი* (William J. Nemeth) თავის ნაშრომში იყენებს ამ კონცეფციას რუსეთში ჩეჩნეთის კონფლიქტის გასაანალიზებლად.[140]

შემდგომ უკვე ჰიბრიდული ომის კონცეფცია განამტკიცეს და განავრცეს ასევე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ოფიცრებმა *ჯეიმს მატისმა* (James N. Mattis) და *ფრენკ ჰოფმანმა* (Frank Hoffman) 2005 წელს გამოქვეყნებულ ერთობლივ სტატიაში „ჰიბრიდული ომების აღმავლობა".[141] მათი მთავარი ნარატივი ეხებოდა არარეგულარულ მეთოდებს - ტერორიზმს, ამბოხებას, შეუზღუდავ ომს, პარტიზანულ ომს ან ნარკოტიკების დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ

[139] Walker, R. G., Spec Fi: The United States Marines Corps and Special Operations, Master's Thesis, Monterey, CA, Naval Post Graduate School, 1988.

[140] Nemeth, W., Future war and Chechnya: a case for hybrid warfare, Naval Postgraduate School, Monterey, Master Thesis, 2022

[141] Mattis, J N., Hoffman, F., Future Warfare: The Rise of Hybrid Wars // *Proceedings Magazine*, November, Vol. 132/11/1, 2005.

იძულებას. ავტორების ცნობით, ეს მეთოდები სულ უფრო მასშტაბური და დახვეწილი ხდება და უახლოეს მომავალში აშშ-ის უშიშროების ინტერესებს დაუპირისპირდება მთელ მსოფლიოში.

მოგვიანებით *ფრენკ ჰოფმანმა* განავითარა ეს კონცეფცია 2007 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომების წარმოშობა".[142] ავტორის მთავარი იდეა იყო ის, რომ ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომების (კონვენციური, არარეგულარული ან ტერორისტული) მქონე ცალკეული მოწინააღმდეგის ნაცვლად, არსებობენ გარკვეული მოწინააღმდეგეები, რომლებიც გამოიყენებენ ომისა და ტაქტიკის ყველა ფორმას, შესაძლოა, ერთდროულადაც. იგი ამტკიცებდა, რომ ჰიბრიდული საფრთხეები მოიცავს ომის წარმოების სხვადასხვა გზის სრულ სპექტრს, მათ შორის - ჩვეულებრივ საშუალებებს, არარეგულარულ ტაქტიკასა და ფორმირებებს, ტერორისტულ აქტებს, ასევე - განურჩეველ ძალადობასა და იძულებას, კრიმინალურ არეულობას. ჰიბრიდული ომები შეიძლება აწარმოონ როგორც სახელმწიფოებმა, ისე სხვადასხვა არასახელმწიფო სუბიექტმა.

ფრენკ ჰოფმანმა 2009 წელს სტატიაში „ჰიბრიდული ომი და გამოწვევები", აღნიშნა, რომ „მომავალი კონფლიქტი მულტიმოდალური ან მრავალმხრივი იქნება და არა ომის ერთი

---

[142] Hoffman, F. G., Conflict in the 21-st century. The rise of hybrid wars. Arlington: Potomac Institute for policy studies, 2007.

ფორმის უბრალო შავ-თეთრი მახასიათებელი".[143] იგი ამტკიცებდა, რომ „ჰიბრიდული ომი", რომელშიც მტერი სავარაუდოდ შექმნის უნიკალურ კომბინირებულ ან ჰიბრიდულ საფრთხეებს, სპეციალურად იქნება დამიზნებული აშშ-ის მოწყვლად ადგილებზე. მისი აზრით, ჰიბრიდული საფრთხეები მოიცავს ომის წარმოების სრულ სპექტრს, მათ შორის - ჩვეულებრივ საშუალებებს, არარეგულარულ ტაქტიკასა და ფორმირებებს, ტერორისტულ აქტებს, რომლებიც შედგება განურჩეველი ძალადობისა და იძულებისგან, ასევე - კრიმინალური არეულობებისაგან. ეს მულტიმოდალური საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ცალკეული დანაყოფების მიერ ან თუნდაც ერთი და იმავე დანაყოფის მიერ, მაგრამ, როგორც წესი, ისინი ოპერაციულად და ტაქტიკურად არიან მიმართული და კოორდინირებულნი მთავარ საბრძოლო სივრცეში, რათა მიაღწიონ სინერგიულ ეფექტს კონფლიქტის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებში. მას შეიძლება ყველა დონეზე ჰქონდეს ომის ეფექტი. მოგვიანებით, 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ჰოფმანი კვლავ შეეხო ჰიბრიდული ომის თემას და აღნიშნა, რომ ჰიბრიდული საფრთხეები არის კონსტრუქცია, რომელიც შეიქმნა საზღვაო ქვეითთა კორპუსის მიერ ათი წლის წინ და იგულისხმებოდა „ნებისმიერი მოწინააღმდეგე, რომელიც ერთდროულად იყენებს სპეციალურად შემუშავებულ კომბინაციას ჩვეულებრივი იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმისა და

[143] Hoffman, F. G. Hybrid Warfare and Challenges // JFQ, issue 52, 1st quarter, 2009.

კრიმინალური ქცევის ერთსა და იმავე დროს, იმავე საბრძოლო სივრცეში, რათა მიაღწიოს თავის პოლიტიკურ მიზნებს".[144]

ჰოფმანის აზრს, რომ „კონფლიქტის მომავალი იქნება მრავალსახოვანი ან მრავალვარიანტული, ვიდრე სტანდარტული შავ-თეთრი ომია", ავითარებენ ჰიბრიდული ომების სხვა მკვლევრებიც: სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი, რედინგის (ინგლისი) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი *კოლინ გრეი* (Colin S. Gray), ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსი და მიმომხილველი *მაქს ბუტი* (Max A. Boot), *ჯონ მაკქუენი* (John J. McCuen).[145]

ანალოგიური აზრია გატარებული აშშ-ის გაერთიანებული ძალების სარდლობის მიერ მიღებულ ჰიბრიდული საფრთხეების კონცეფციაში, რომლის მიხედვითაც, ჰიბრიდული საფრთხე მოიცავს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს, რომელიც ერთდროულად და ადაპტირებულად იყენებს კონვენციური (ჩვეულებრივი), არარეგულარული, ტერორისტული და კრიმინალური საშუალებების ან მოქმედებების სპეციალურად შერჩეულ კომბინაციას ოპერატიულ საბრძოლო სივრცეში. ერთიანი სუბიექტის ნაცვლად, ჰიბრიდული საფრთხე ან მოწინააღმდეგე შეიძლება შედგებოდეს სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების კომბინაციისგან.[146]

---

[144] Hoffman, F., On Not-So-New Warfare: Political Warfare vs. Hybrid Threats // War on the Rocks, July 28, 2014.

[145] McCuen, J. J. Hybrid Wars," Military Review 88, no. 2 (March-April), 2008.

[146] Glenn R. W., Evolution and Conflict: Summary of the 2008 Israel Defense Forces-U.S. Joint Forces Command "Hybrid Threat Seminar War Game," Santa Monica, 2009. ასევე იხ. Glenn R. W., Thoughts on "Hybrid" Conflict. *Small Wars*

ჰიბრიდული საფრთხეების განმარტება და როგორ უნდა იყოს ის აღქმული, გაწერილია 2015 წელს აშშ-ის არმიისათვის გამოცემულ საველე სახელმძღვანელო-გზამკვლევშიც.[147] ამასთან, მასში საუბარია რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში განხორციელებულ აგრესიაზე. ამ გზამკვლევის მიხედვით, ჰიბრიდული საფრთხე არის რეგულარული და არარეგულარული ძალების, კრიმინალური ელემენტების მრავალფეროვანი, დინამიკური კომბინაცია, რომლებიც გაერთიანებულია ურთიერთსასარგებლო შედეგების მისაღწევად. ჰიბრიდული საფრთხეები არის ინოვაციური, ადაპტირებული, გლობალურად დაკავშირებული, ქსელური და ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის არეულობაში. მათ შეიძლება ჰქონდეთ ძველი, ადაპტირებული და მოწინავე ტექნოლოგიების ფართო სპექტრი, მათ შორის - მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის უნარი. შეუძლიათ იმოქმედონ პირობითად და არატრადიციულად, გამოიყენონ ადაპტაციური და ასიმეტრიული კომბინაციები, ტრადიციული, არარეგულარული და კრიმინალური ტაქტიკა, ტრადიციული სამხედრო შესაძლებლობები ძველი და ახალი ხერხებით.[148]

Journal. 2009 *https://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:j-MMG7N2jI8J:https://smallwarsjournal.com/blog/journal/docs-temp/188-glenn.pdf&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge* [22.07.2022]

[147] Hybrid Threat Force Structure Organization Guide. (2015). FM 7-100.4. Headquarters Department of the Army Washington, DC, 4 June.

[148] Савин, Л.В., Сетевые угрозы национальной и международной безопасности: стратегия, тактика, гибридные акторы и технологии // Экономические стратегии № 2, . 2014.

ჰიბრიდული ომის სფეროებია: იდეოლოგიური, დიპლომატიური, ეკონომიკური, კონფენსიური, სამართლებრივი, კულტურული, განათლების, მეცნიერების, ინფორმაციული, კიბერსფერო, სოციალური, ჰუმანიტარული, მოწინავე ტექნოლოგიების, ტერორიზმის, კრიმინალური.

ჰიბრიდულმა საფრთხეებმა შეიძლება ერთდროულად შექმნან ეკონომიკური არასტაბილურობა, ხელი შეუწყონ არსებული მმართველობისადმი ნდობის შემცირებას, შეუტიონ საინფორმაციო ქსელებს, მიაწოდონ მათი მიზნების შესაბამისი გზავნილები, გამოიწვიონ ჰუმანიტარული კრიზისები და ფიზიკურად დაემუქრონ მოწინააღმდეგეებს. ჰიბრიდული საფრთხეების სინქრონიზებული და სინერგიული მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს ინფორმაციულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.

როგორც წესი, ჰიბრიდული თავდასხმის მთავარი სამიზნე არის სახელმწიფო. ამას ისიც ემატება, რომ თავის მხრივ საქართველოს საშინაო პოლიტიკაშიც არის პრობლემები, რომლებიც მტრის წისქვილზე ასხამს წყალს - რაც ნიშნავს, რომ „რუსეთი იყენებს ამ სპორადულ და უმართავ საგარეო და უშიშროების პოლიტიკას ჰიბრიდული ომის საწარმოებლად და საქართველოში თავისი გავლენის გასაზრდელად".[149] აქე-

[149] Gvineria Sh., Russia Wages Hybrid Warfare and Increases Its Influence in Polarised Georgia. International Center for Defence and Security., 2021 https://www.academia.edu/60797280/Russia_Wages_Hybrid_Warfare_and_Increases_Its_Influence_in_Polarised_Georgia [22.07.2022]

დან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების ინსტიტუტების მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამიტომ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის პრევენციის, მასზე რეაგირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგია იქნება სახელმწიფო ინსტიტუტების ჰიბრიდული თავდასხმებისადმი მდგრადობის გაზრდა, ამ მიმართულებით მათი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, იმისათვის, რომ გაძლიერდეს შესაძლებლობები სახელმწიფო ინსტიტუტების დასახმარებლად, რათა გაზარდონ ჰიბრიდული ქმედებების ამოცნობისა და რეაგირების უნარი, საჭიროების შემთხვევაში კი, უზრუნველყონ სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების ფუნქციონირება ჰიბრიდული ომის კონტექსტში. ფოკუსირება უნდა მოხდეს თავდაცვის სექტორის მართვის შესაბამისი სისტემური შესაძლებლობების ამაღლებაზე. ამ მხრივ, აუცილებელია ფართო სპექტრის ინსტიტუციური აქტორების ჩართვა. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს, აგრეთვე, გარე და შიდა უშიშროებაზე პასუხისმგებელი სხვა უწყებების, ზედამხედველობის ორგანოებისა და სხვ. ამისათვის აუცილებელია ეფექტური, კანონიერი და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფოს დაეხმარონ უშიშროების უზრუნველყოფაში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პირობა გრძელვადიან პერსპექტივაში უშიშროებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. არ შეიძლება შემოფარგვლა ვიწრო ინტერესებით. მან უნდა მოიცვას ისეთ სფეროები, როგორიცაა:

- თავდაცვის დემოკრატიული კონტროლის ეფექტური და გამჭვირვალე ორგანიზაცია;
- სამოქალაქო მონაწილეობა თავდაცვისა და უშიშროების სფეროს პოლიტიკის ფორმირებაში;
- თავდაცვის სექტორის ეფექტური და გამჭვირვალე საკანონმდებლო და სამართლებრივი ზედამხედველობა;
- უშიშროების რისკებისა და ეროვნული თავდაცვის მოთხოვნების საფუძვლიანი შეფასება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი შესაძლებლობებისა და ოპერატიულად თავსებადი უნარების განვითარება და შენარჩუნება;
- თავდაცვის სამინისტროსა და ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებული სხვა დეპარტამენტების მართვის ოპტიმიზაცია;
- თავდაცვის სექტორში საერთაშორისო სტანდარტებთან და გამოცდილებასთან შესაბამისობა, ექსპორტის კონტროლის ჩათვლით;
- თავდაცვის სფეროში დაფინანსების, დაგეგმვისა და რესურსების განაწილების ეფექტური და გამჭვირვალე პროცედურები;
- თავდაცვის ხარჯების ეფექტური მართვა, ასევე თავდაცვის რესტრუქტურიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; შეიარაღებულ ძალებში პერსონალის მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სტრუქტურები და პროცედურები;
- აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა და კარგი

ურთიერთობა მეზობლებთან უშიშროების სფეროში.

ინსტიტუციური მდგრადობის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი კომპონენტი უნდა გახდეს. ასეთი მდგრადობის ძირითადი მაგალითები, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ სფეროებს:

- ეროვნული უშიშროების ინსტიტუციის მზადყოფნა;
- სიტუაციური ინფორმირებულობა;
- თავდაცვის დაგეგმვა;
- კიბერთავდაცვა;
- კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა;
- სტრატეგიული კომუნიკაციები;
- უწყებათაშორისი კოორდინაცია და ოპერატიული კავშირების დამყარება არასამთავრობო აქტორებთან.

ჰიბრიდული ომის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსა და უკრაინაში რუსული მოქმედების მეთოდები, რომლებიც შექმნილია კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოსათვის.

რუსულ ჰიბრიდულ ომს ძირითად ახასიათებს:

- შეუპოვრობა (რუსული ჰიბრიდული ომი არღვევს ტრადიციულ მკაფიო განსხვავებას ომისა და მშვიდობის მდგომარეობას შორის, რადგან ის მუდმივად გრძელდება);
- მოსახლეობაზე ორიენტაცია (რუსეთი შეგნებულად ეძებს მოსახლეობის მასობრივ მხარდაჭერას საინფორმაციო ოპერაციების საშუალებით);

- სამხედრო ინსტრუმენტის გამოყენება: ჯარების გაუმართლებელი კონცენტრაცია საზღვრებზე; ფართომასშტაბიანი მოულოდნელი წვრთნები შეტევითი სცენარებით; პროვოკაციული მანევრების გამოყენება საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო სივრცეში;

- კიბერშეტევები;

- აგრესიული მედიაკამპანიები;

- უარყოფა: უკრაინაში ომი კი არა, სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს, რუსეთი არ აწვდის სეპარატისტებს იარაღს;

- სამოქალაქო საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება;

- სამხედროების კონტროლქვეშ სამოქალაქო და სამხედრო აქტივობებს შორის ამ მიმართულებით გაერთიანებული მიზანსწრაფული მუშაობა (სინერგია) და სხვ.

შექმნილი ვითარებიდან და საშიშროებიდან გამომდინარე, ჰიბრიდულ საფრთხეებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩრდილოატლანტიკური ბლოკი. სამხედრო და არასამხედრო იარაღების „ჰიბრიდული“ კომბინაცია წარმოშობს გაუთვალისწინებელ სირთულეებს, რამაც ნატოს მართვის პროცესი შეიძლება გაართულოს და შეაფერხოს კოორდინირებული, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზეზების გამო ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ნატოს მთავარი პრიორიტეტია. იგი აღიქვამს ჰიბრიდულ საფრთ-

ხეებს, როგორც მუქარას, რომელიც მომდინარეობს მოწინააღმდეგეებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად გამოიყენონ ჩვეულებრივი და არატრადიციული საშუალებები თავიანთი მიზნების მისაღწევად. ჰიბრიდული კონფლიქტები მოიცავს მრავალფენიან ძალისხმევას დესტაბილიზაციისა და საზოგადოების პოლარიზაციისათვის.[150]

2015 წლის ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პუბლიკაციაში ჰიბრიდული საფრთხეები განისაზღვრა, როგორც „ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენება შიდა სისუსტეების არასამხედრო საშუალებებით გამოსავლენად და გამოსაყენებლად, გამყარებული ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებების გამოყენების მუქარით".[151] 2015 წლის დეკემბერში ნატოს მიერ მიღებულ ჰიბრიდული ომის სტრატეგიაში ასევე განისაზღვრა ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების პირობები. 2017 წელს შეიქმნა ნატოს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე გამოცდილების ევროპული ცენტრი, რომელიც აღწერს ჰიბრიდულ საფრთხეს, როგორც კოორდინირებულ და სინქრონიზებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების სისტემურ მოწყვლადობაზე ფართო სპექტრის საშუალებით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამოქალაქო და საინფორმაციო) ზემოქმედებისათვის. მიზანი მდგომარეობს, მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილებების მიღების

[150] Pindjak, P., Deterring Hybrid Warfare: A Chance for NATO and the EU to Work Together? // NATO Review, 2014.

[151] NATO Parliamentary Assembly Defence and Security Committee, "Hybrid Warfare: NATO's NewStrategic Challenge?" Draft Report, April 7, 2015.

სხვადასხვა ფორმაზე ადგილობრივ, სახელმწიფო ან ინსტიტუციურ დონეზე აგენტების სტრატეგიული ინტერესების მისაღწევად და იმავდროულად ზიანს აყენებს მიზანს.[152] *პატრიკ კალენი* (Patrick Cullen) ნატოს ამ ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ „ჰიბრიდული საფრთხეები შექმნილია იმისათვის, რომ წაშალოს გარეგნული განსხვავება მშვიდობასა და ომს შორის, აგრეთვე, გაართულოს და შეამციროს სამიზნის აღმოჩენისა და რეაგირების ზღვარი. შედეგად, ჰიბრიდული საფრთხეებით გამოწვეული სერიოზული პრობლემები მოითხოვს ახალი გადაწყვეტილებების მიღებას ადრეული გაფრთხილებისათვის.“[153]

21-ე საუკუნეში ჰიბრიდული ომის ფაქტორი ართულებს თავდაცვის დაგეგმვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ომი, რომელიც გაურბის კატეგორიების მკაფიო დაყოფას, არა - გამოყენებული ინსტრუმენტების სიახლის, არამედ ამ ინსტრუმენტების ინტეგრირებული, სისტემური გამოყენების გამო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სიფრთხილე, რომ არ მოხდეს განზოგადება კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. ჰიბრიდული ომები რთულია, რადგან ისინი არ ჯდება საერთო შაბლონში. მოწინააღმდეგეები იყენებენ ყველა შესაძლო მიდგომას ყველაზე მომგებიანი გზით, აერთიანებენ მათ, რაც შეესაბამება მათ საკუთარ სტრა-

---

[152] https://www.hybridcoe.fi/hybrid-threats/ [22.07.2022].

[153] Cullen, P., Hybrid threats as a new 'wicked problem' for early warning. Strategic Analysis, May, 2018.

ტეგიულ კულტურას, ისტორიულ მემკვიდრეობას, გეოგრაფიულ რეალობას, ეკონომიკურ და სამხედრო საშუალებებს. ამიტომ ჰიბრიდული ომები უნდა განიხილებოდეს მათ კონკრეტულ კონტექსტში და არა - ზოგადად.

მრავალგანზომილებიანი ხასიათიდან გამომდინარე, ჰიბრიდულმა საფრთხეებმა თავისთავად განსაზღვრა პირობები, რომლებშიც უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ხელისუფლების პოლიტიკა. ეროვნული უშიშროების „საგარეოდ“ და „საშინაოდ“ დაყოფის ძველი შეხედულებები მოძველდა და უშიშროების სისტემის შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე ფოკუსირებული სექტორული სტრატეგიები აღარ მუშაობს, იმის გამო, რომ ჰიბრიდული საფრთხეების გაუთვალისწინებელ გარემოებებზე რეაგირება უნდა მოახდინონ არა მხოლოდ სახელმწიფოს თავდაცვის ინსტიტუტებმა, პირიქით, ისინი უფრო ხდებიან ბირთვი, რომლის ირგვლივაც ჯგუფდება ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების საშუალებები, რომელთა შორისაა შიდა უშიშროების ძალები, სადაზვერვო სამსახურები, მესაზღვრეები, სახელმწიფო მასმედია, ასევე არასახელმწიფო აქტორები - კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და რელიგიური ინსტიტუციებიც კი.

მაშასადამე, ჰიბრიდული ომის ეპოქაში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა წარიმართოს, როგორც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ჰიბრიდულ პირობებთან ტრანსფორმაციის/ადაპტაციის გათვალისწინებით და არა

მხოლოდ, როგორც იზოლირებული, თავდაცვის ორგანიზაციებზე ორიენტირებული აქტივობა. ასეთი პროგრამის შემუშავების ამოსავალი წერტილი არის თავდაცვის ინსტიტუტების როლის იდენტიფიცირება ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირებაში, როგორც უფრო დიდი ეროვნული სისტემის ნაწილი.

ასევე, ჰიბრიდული კონფლიქტის რეალობაც ახდენს ზეგავლენას თავდაცვის ინსტიტუტებზე, ჰიბრიდულ საფრთხეებზე მათი ეფექტური რეაგირების შესაძლებლობის თვალსაზრისით. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს პოლიტიკის მეტ გააქტიურებას თავდაცვის სექტორის ინსტიტუციური რესტრუქტურიზაციისა და ადაპტაციისათვის, რათა მან შეძლოს ჰიბრიდული საფრთხეების პრევენცია, გაუწიოს წინააღმდეგობა და მოახდინოს მათზე რეაგირება.

შეიძლება მოკლედ შეჯამდეს და ითქვას, რომ ჰიბრიდული ომი არის დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის ან სახელმწიფოსა და არასახელმწიფო ერთეულს შორის, რომლის დროსაც ერთი სუბიექტი ახორციელებს პირდაპირ აგრესიას მეორე სუბიექტის წინააღმდეგ საკუთარი შეიარაღებული ძალების ფარული გამოყენებით ან ირიბად სხვა სუბიექტების, ორგანიზაციების, წარმონაქმნების მეშვეობით, ამასთან, კომპლექსურად იყენებს ბრძოლის პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო მეთოდებს, რომელთა რეალიზებასაც ახდენს სამხედრო ძალაზე, აგრეთვე, ტერორისტულ, დივერსიულ, ძირგამომთხრელ და

კრიმინალურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, რითაც შეიძლება მოწინააღმდეგე მხარეს დააკარგვინოს ფაქტობრივი სუვერენიტეტი სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის მიტაცების გარეშე.

4.5. სამართლებრივი უშიშროება

სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც შედგება უშიშროების სხვადასხვა სახისაგან (ქვესისტემისაგან, კომპონენტისაგან). საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად აწყობილი სამართლებრივი უშიშროების სისტემის ჩამოყალიბება. სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას საკუთარი მოქალაქეების უშიშროებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვა.

ნებისმიერ საზოგადოებაში პოლიტიკური პრიორიტეტების სკალაზე სამართლებრივი უშიშროება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. განუზომელია უკანონობისა და დამნაშავეობის ზრდით გამოწვეული საფრთხეები - საზოგადოებრივი დაძაბულობა, მოქალაქეთა თვალში მართლწესრიგის დისკრედიტაცია, საზოგადოებრივი კავშირების და მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დეზორგანიზაცია, საზოგადოებრივი მორალის დაცემა, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მოზარდთა და ბავშვების ჩაბმაც კი. დამნაშავეობის მაღალი დონე

აზიანებს არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება შეიცავს სამართლიანობის იდეას. ეს იდეა ყოველი სახელმწიფოებრივი მოქმედების მიზნად ისახავს მატერიალური სამართლიანობის მიღწევასა და შენარჩუნებას.[154]

სამართლებრივი უშიშროება, სამართლიანობის მსგავსად წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს. მისი მიზანია უზრუნველყოს სამართლებრივი მშვიდობა საზოგადოებაში. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას შეიძლება დაეყრდნონ ისინი და რისი ნდობა უნდა ჰქონდეთ. სამართლებრივი უშიშრობა ნიშნავს, რომ არ შეიძლება მუდმივად განახლდეს ყოველი სამართლებრივი დავა და რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მყარდება სამართლებრივი მშვიდობა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს და გადაისინჯოს მაშინ, როცა იგი არასამართლიანია; ამისთვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული პირობების შესრულება. კანონმდებელმა ამ სფეროში სამართლიანობის იდეა გამოხატა მით, რომ დაუშვა სასამართლოს მიერ განხილული დავის ხელახალი განხილვა და საქმის გადასინჯვა მხოლოდ რამდენიმე ზუსტად განსაზღვრული გარემოების არსებობისას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის

---

[154] გაბისონია, ირ., გაბელია, ჯ., ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი. *ჟურნ. იურისტი*, N6, თბილისი, 2018.

ძირითადი უფლებების კონსტიტუციური რეგლამენტაცია საკმარისი არაა, მთავარია ადამიანის ჰქონდეს შესაძლებლობა, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავი.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, სიცოცხლის, პატივის, ღირსების, მისი საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებების დაცვა არის ქვეყნის უშიშროების სისტემის უმთავრესი ამოცანა.

რაც შეეხება სამართლებრივ უშიშროებას, აღნიშნულის ქვეშ მოიაზრება **ადამიანის პირადი თავისუფლების, ხელშეუხებლობის, სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღიარება, ისეთი სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის დაცვას, დარღვეული უფლებების აღდგენასა და მიყენებული ზიანის კომპენსაციას.**

სამართლებრივი უშიშროება ორ ძირითად ელემენტს შეიცავს: თითოეული ადამიანის, პიროვნების სამართლებრივი უშიშროება, მისი უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი გარანტიების შექმნა და მთელი საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ხელისუფლება სამართლებრივი და მხოლოდ სამართლებრივი გზით ხორციელდება. სახელმწიფოში უნდა არსებობდეს კარგად ადაპტირებული ნორმატიული სისტემა და ნორმების იერარქიზაცია, უმაღლეს საფეხურზე უნდა იყოს კონსტიტუციური ღირებულებების

პრინციპები, რომლებიც ათვლის წერტილის როლს უნდა ასრულებდეს.

შესაბამისად, სამართლებრივ სფეროში უნდა გატარდეს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ისახავს შემდეგ ძირითად მიზნებს:

- ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის ხელის შეწყობა;
- სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც იგულისხმება ხელისუფლების იურიდიული ჩარჩოები; სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა;
- პლურალისტური დემოკრატიის დამკვიდრება;
- უმცირესობების უფლებების აღიარება და დაცვა, მათი თავისუფალი განვითარებისათვის პირობების შექმნა;
- სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა ინსტიტუტის ჰუმანიზაცია;
- კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დეიდეოლოგიზაცია.

თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა წარმოადგენს პიროვნების უშიშროებისა და თავისუფალი განვითარების, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობისა და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის აუცილებელ პირობას. აქედან გამომდინარე, ყველა პოლიტიკური და საზოგა-

დოებრივი ძალის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს თითოეული მათგანის თავისუფალ და უსაფრთხო განვითარებას.

სამართლებრივ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება კანონის უზენაესობა და სახელმწიფოს ბოჭვა სამართლით. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, განახორციელონ მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რაც მათ კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული. შესაბამისი ნორმებით უნდა იქნეს მოწესრიგებული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ ფუნქციების განხორციელების პროცედურული საკითხები. ქვეყნის მართვისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი ყველა საკითხი თუ კონფლიქტი უნდა წყდებოდეს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, რაც ხელს შეუშლის ქვეყანაში განუკითხაობის, თვითნებობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ადამიანური ღირებულებების პრიორიტეტს. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი თავისუფლება და ხელშეუხებლობა დაცულია, როგორც სახელმწიფოს უზენაესი ფასეულობები. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის ხელისუფლების და საკანონმდებლო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, მისი კანონიერი ინტერესების ეფექტურ განხორციელებას; უზრუნველყონ მოქალაქეთა კანონით გარანტირებული ინტერესების დაცვა, სახელმწიფო

ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როდესაც საუბარია, სამართლებრივი სახელმწიფოზე, უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ მისი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა ხელისუფლების დანაწილება, იგულისხმება, რომ ფუნქციები უნდა განახორციელოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანომ, რათა მოხდეს ერთმანეთის გაწონასწორება და ურთიერთკონტროლი. ეს თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო ხელისუფლების ერთი სუბიექტის ხელში თავმოყრას.

სამართლებრივი სახელმწიფო ასევე გულისხმობს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. თითოეულ მოქალაქეს უნდა მიეცეს თანასწორი შესაძლებლობები საკუთარი პიროვნების განვითარებისათვის და უზრუნველყოფილი უნდა იქნას კანონის წინაშე თანასწორობის დაცვა, მიუხედავად სქესის, რასის, მრწამსისა, სოციალური, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ქვეყანაში ისეთი სამართლებრივი საშუალებებისა და პროცედურების არსებობა, რომლებიც საშუალებას მისცემს მოქალაქეს, ნებისმიერ დროს შეძლოს თავისი უფლებების დაცვა, როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეული პირებისგან. ასეთი საშუალებების არარსებობა, ადამიანს ართმევს კონსტიტუციური და კანონიერი უფლებების რეალიზების შესა-

ძლებლობას. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი და ფუნქცია არის, დაიცვას ადამიანის უფლებები დარღვევის ან უსაფუძვლო შეზღუდვისგან, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ცალკეული ადამიანის, სახელმწიფოს, ან რომელიმე ორგანიზაციისგან. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების კონსტიტუციური რეგლამენტაცია საკმარისი არაა, მთავარია ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავი.

საგულისხმოა ისიც, რომ თითოეული პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი. ამდენად, საზოგადოებაში არსებობს წესები, რომელთა დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, რათა გარანტირებული იქნეს ადამიანის უფლებები. როდესაც საუბარია მოქალაქეთა წინაშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არანაკლებ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების არსებობა.

საქართველოში საგრძნობია საზოგადოების გულგრილობა და გაუცხოება. ამიტომ, სამართლებრივი უშიშროებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიმართ მოქალაქეთა ნდობის აღდგენა, მათში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბება. აუცილებელია გადაიდგას თანმიმდევრული და სათანადოდ მოფიქრებული, გაანალიზებული ნაბიჯები, რათა მოქალაქემ შეძლოს იმის გაცნობიერება, რომ მისი კეთილდღეობა, პირადი უსაფრთხოება, უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახელმწიფო ექნება მას.

სამართლებრივი უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის შესაქმნელად, აუცილებელია, სტრატეგიულ მიზნებთან ერთად, დაკონკრეტდეს მისი მონიტორინგისა და შეფასების სისტემაც, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ინდიკატორების განსაზღვრას ანუ განისაზღვროს მიმდინარე ან წარსული მოვლენის მდგომარეობის ამსახველი ან მოსალოდნელი ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი ან მაჩვენებელთა სისტემა.

კერძოდ საუბარია ტრანსნაციონალური საფრთხეების ინდიკატორთა სისტემის შემუშავებაზე, რაშიც სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. სამართლებრივი უშიშროების სფეროში ინდიკატორთა რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ასახავენ:

- სახელმწიფოში შესაბამისი სამართლებრივი ინფრასტრუქტურის არსებობას;

- მოსახლეობისა და სახელმწიფო სტრუქტურებში სამართლებრივი ინფორმაციის ფლობის დონეს;

- მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას;

- საზოგადოების მიერ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას საკუთარი უფლებების დასაცავად;

- ყველა სახის (მათ შორის - ტრანსნაციონალური) დანაშაულთა რაოდენობას, სახეებს, სიმძიმეს, მათი ჩადენის ხერხებსა და საშუალებებს;

- გახსნილ დანაშაულთა რაოდენობას და მის შეფარდებას რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობასთან;

- სასამართლოში გადაცემულ და სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობას;

- დანაშაულის ჩამდენი პირების ასაკსა და სოციალურ მდგომარეობას, მათ შორის, მცირეწლოვანთა დამნაშავეობას;

- სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელთა ზომებს და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობას და სხვ.

რაც შეეხება ქვეყნის სამართლებრივი განვითარების სტრატეგიას იგი ეფუძნება შემდეგ **პრინციპებს:**

- მაქსიმალური თავისუფლება სამოქალაქო ურთიერთობებში, მათში სახელმწიფო ჩარევის მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი შესაძლებლობებით;

- სახელმწიფო ორგანოთა მკაცრი რეგლამენტაცია და ამ საქმიანობაზე კონტროლის ეფექტური მექანიზმის

შექმნა;

- სახელმწიფო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ კანონით დადგენილ ფარგლებში; მათ უფლება აქვთ, განახორციელონ მხოლოდ ის უფლებამოსილება, რაც წინასწარ იყო მისთვის კანონით მინიჭებული;

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტად აღიარება და მათი დაცვის რეალური გარანტიების შექმნა;

- პიროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა;

- სახელმწიფო სისტემის გამჭვირვალობა.

საზოგადოებას არა მარტო უნდა მიუწვდებოდეს ხელი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებზე, არამედ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობა. სახელმწიფო ცხოვრება უნდა გახდეს ყველასათვის ღია და გასაგები, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა შეგნებული, პასუხისმგებლური და ქმედითი მონაწილეობა საჯარო საქმეებში. საზოგადოება უნდა ფლობდეს ინფორმაციას სახელმწიფო მოხელეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოხელეთა მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი უშიშროების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყანაში ეფექტური სახელმწიფო აპარატის არსებობა. აქედან

გამომდინარე, საჯარო სექტორის რეფორმა შემდეგ მიზნებს უნდა ისახავდეს: სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობაზე ადმინისტრაციული კონტროლის ქმედითი მექანიზმის შემუშავებას, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მხრიდან.

როგორც აღინიშნა, სამართლებრივ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვას, რაც სამართალდამცავ ორგანოთა ამოცანას წარმოადგენს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, პიროვნების სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, მისი საკუთრების, აგრეთვე, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების რაციონალური სისტემის შექმნა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები მაღალი ხარისხით განსაზღვრავს კაცობრიობის პროგრესულ განვითარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრესს განიცდის არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიური სფეროც. გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია, როდესაც ეკონომიზაციის (ხარჯების შემცირება), დემოკრატიზაციის, ინფორმატიზაციის ტექნოლოგიზაცია ქმნის განვითარებისათვის წარმოუდგენლად უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას აქცევს კიდევ უფრო დაუცველად. საგრძნობლად შეიცვალა დანაშაულთა ხასიათი, ფო-

რმები და მასშტაბები. დღეს სამართალდამცავ ორგანოებს უხდებათ ისეთი სახის დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც მოითხოვს ახალ, სპეციალურ პროფესიონალურ უნარებს, აგრეთვე, ხშირად სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან კოოპერაციას და კოორდინირებულ მოქმედებას.

ტრანსნაციონალური საფრთხეები (ტერორისტული და ექსტრემისტული მიმართულების დანაშაული, ადამიანებით ვაჭრობა, მოჯამაგირეობა, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, აგრეთვე, საერთაშორისო-ეკონომიკური მიმართულებისა და უკანონო მიგრაციის სხვა დანაშაულებანი) ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზებულობის ხასიათით და მრავალასპექტიან ზიანს აყენებს როგორც საქართველოს ეროვნულ უშიშროებას, ისე საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებას. ასევე გასათვალისწინებელია სერიოზული საფრთხეების შემცველი გლობალური გამოწვევებისა და ინფორმაციული ეპოქის მიერ მოტანილი სხვა გარემოებანიც. შეცვლილი ურთიერთდამოკიდებულების პროცესებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად იშლება კიდეც გარკვეული ზღვარი საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა, რამაც მოითხოვა ცვლილებები ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში. საერთაშორისო უშიშროების თანამედროვე გამოწვევებიც მოითხოვს ახალ მიდგომებს. იზრდება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პროცესები,

რომლებიც მოიაზრებს გაცილებით უფრო მშვიდობიან და უსაშიშრო მსოფლიოს. სახელმწიფო საზღვრების შეღწევადობამ, რეგიონული ინტეგრაციის მოძრაობებმა, არასამთავრობო აქტორთა გამრავლებამ, საერთაშორისო რეჟიმების მზარდმა როლმა სახელმწიფოთა გავლენა გარკვეულწილად შეამცირა.

ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებასთან ერთად, იზრდება საერთაშორისო ნარკობიზნესის სატრანზიტო ქვეყნად საქართველოს გადაქცევის საფრთხე. ასევე იზრდება სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის საქართველოთი დაინტერესება. საჭიროა, სასწრაფოდ დაიწყოს ამ მოვლენებთან ბრძოლის სისტემის შექმნა. უაღრესად ჩამორჩენილი ტექნიკით აღჭურვილი, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პოლიცია ვერ შეძლებს ორგანიზებულ საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლას, რაც უდიდეს საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის არა მარტო საზოგადოებრივ წესრიგს, არამედ მის დემოკრატიულ განვითარებას.[155]

საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად დანაშაულთან ბრძოლა უნდა იყოს მრავალასპექტიანი, მიმართული, პირველ ყოვლისა, ზემოქმედების არა ძალისმიერ, არამედ სოციალური პროფილაქტიკის ზომებზე. სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ზომები ახდენს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტის კონსტატაციას, მაგ-

---

[155] ოდიშელიძე, ნ., ტრანსნაციონალური საფრთხეები და საქართველოს ეროვნული უშიშროება. დისერტაცია წარმოდგენილია დოქტორის აკადე. ხარისხის მოსაპოვებლად, სადოქტორო პროგრამა, საერთაშორისო ურთიერთობები. ხელმ. ჰ. კუპრაშვილი. სტუ, 2021.

რამ არ ახდენს ადრეულ სტადიაში წინმსწრებად მის აღკვეთას. მოცემული ამოცანა შეიძლება გადაიჭრას დანაშაულებრივი შემოსავლების, საერთაშორისო კავშირების წყაროების ლიკვიდაციის გზით, აგრეთვე, მოცემული ქმედებების მიმართ საზოგადოებაში ტოლერანტობის გამოვლინების გამორიცხვით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პრაქტიკით აპრობირებულია სრულიად ეფექტური ხერხები და ფორმები ტრანსნაციონალური და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა ფართო სპექტრის წინააღმდეგ, საქართველოს საზოგადოების განვითარება გვკარნახობს სამართლებრივი უშიშროების სისტემის ჩამოყალიბებას და სახელმწიფოს საქმიანობის უწყვეტ კორექტირებას, ადეკვატურ რეაქციას ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ამავე დროს, ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს სოციალური პოლიტიკა და მოქალაქეთა უშიშროება. სოციალურ სფეროში წარმოშობილი პრობლემები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან, შესაბამისად, წარმოადგენს საზოგადოების განვითარების თავისებურ მაჩვენებელს.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას აქვს კომპლექსური ხასიათი, ამიტომაც, ცხადია, არ დაიყვანება მხოლოდ ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლამდე, მასთან წინააღმდეგობის გაწევამდე. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს პიროვნების, საზოგა-

დოებისა და სახელმწიფოს დაცვა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში იმუშაოს საზოგადოებრივი ურთიერთობების დეკრიმინალიზაციისათვის, იბრძოლოს ორგანიზებულ დანაშაულთან (ეკონომიკური, კორუფცია და სხვ.) და ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან (ტერორიზმი, ექსტრემიზმი, ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით, იარაღითა და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებით ვაჭრობა და სხვ.). ეროვნულ უშიშროებაში იგულისხმება საქმიანობა, რომელიც მიმართულია სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობისა და ფუნქციონირების სისტემის სრულყოფისათვის, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობების ოპერატიული გადაჭრისათვის, ქმედითი ზომების გასატარებლად ეკონომიკის განვითარების, საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების, გაწონასწორებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

აქსიომაა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად არსებული და პოტენციური საფრთხეების ადრეული გამოვლენა, მათი წინმსწრებად თავიდან არიდება, ანუ მათგან პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დროულად დაცვა, არის სიცოცხლისუნარიანი საზოგადოებისა და ძლიერი სახელმწიფოს ფორმირების უმნიშვნელოვანესი გარანტი.

რაც შეეხება ტრანსნაციონალური საფრთხეების თავისებურებას მას ასევე განაპირობებს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებსაც ვერ აკონტროლებს ცენტრალური ხელისუფლება. საერთოდ, ტრანსნაციონალური დანაშაული როგორც აღინიშნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობასა და უშიშროებას; მეტიც, მისთვის არ არსებობს ტრადიციული საზღვრები.

დღეისათვის იშვიათობას აღარ წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთი ფორმა, როცა ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელბიც დაკავებულნი არიან დანაშაულებრივი საქმიანობით, გააჩნია რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი კავშირები, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ლეგალიზაციისა და გასაღების დამუშავებული სქემები. ასეთი ჯგუფები მოქმედებენ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რაც მათ კრიმინალურ საქმიანობას უფრ საშიშს ხდის.

ორგანიზებული დანაშაულის ტრანსნაციონალური ხასიათის გამოვლინებებთან ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს, მათი მაღალი ლატენტურობა. რაც არც არის გასაკვირი, რადგან აღნიშნული დაჯგუფებების ძირითადი ნაწილი კრიმინალური ქმედებებს ჩადიან საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ.

ორგანიზებული ექსტრემისტული ჯგუფებისა და გაერთიანებების კრიმინალური საქმიანობით, როგორც წესი, საფრთხის წინაშე დგება კონსტიტუციური წყობისა და სახელმ-

წიფო უშიშროების საფუძვლები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; მოქალაქეთა პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები; პიროვნების ღირსება; დემოკრატიული საზოგადოების სხვა ღირებულებები.

სახიფათო კრიმინალური სიტუაცია საკმაოდ საშიში ტენდენციაა ექსტრემიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევის კუთხით, რეალური საფრთხეა, ეროვნული უშიშროებისათვის და მოითხოვს სამართალდაცვითი წინააღმდეგობის ეფექტური სისტემის ორგანიზაციას.

უშიშროებისათვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო თანამედროვე გამოწვევის - ექსტრემიზმის, განვითარების პრობლემის გაშუქებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ორგანიზებულ დანაშაულთა განვითარების თანამედროვე ძირითად ტენდენციებს შორის მისი შენაწევრება ტერორისტულ და ექსტრემისტულ საქმიანობასთან. რამდენადაც ასეთი ტენდენცია მთლიანობაში საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთა ტრანსნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესებთან. ტერორისტულ შეტევებზე მიდრეკილი ტერიტორიების გაფართოება, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წარმომშობი რეგიონული და ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების გადაუწყვეტელობა, საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებათა სტრუქტურების მზარდი მონაწილეობა დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებაში - წარმოადგენს გლობალურ მუქარას მთლიანად მშვიდობისა და უშიშ-

როებისათვის. საქართველოში ტერორისტული და ექსტრემისტული საქმიანობისათვის სამართლებრივად შეწინააღმდეგება საჭიროებს არსებითად სრულყოფას ეროვნული უშიშროებისათვის ნეგატიური შედეგების განვითარების შესაძლებლობების გამოსარიცხად.

ტრანსნაციონალური საფრთხეების მნიშვნელოვანი შემადგენელია მისი სამართლებრივი და სოციალური შინაარსი. დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების მიზანია: ქონებრივი გამორჩენის მიღება, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების მიღება რეგიონის, ქვეყნის ან რამდენიმე ქვეყნის დონეზე. ტრანსნაციონალური საფრთხეები არსებით საშიშროებას უქმნის საზოგადოებას და უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი მუქარა ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული ქმედება.

როგორც აღინიშნა, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნის საერთაშორისო დანაშაულებრივი გაერთიანებებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, იარაღის, გატაცებული სატრანსპორტო საშუალებების გასაღების პერსპექტიულ ბაზარს. ეს და თანამედროვე ორგანიზებულ დანაშაულთა ფორმირებისა და ევოლუციონირების სხვა პირობები საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, განსაკუთრებით - სამართალდამცავი ორგანოების წინაშე აყენებს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში პრინციპულად ახალი საშუალებების შემუშავებისა და გამოყენების ამოცანებს. ამასთან, არ შეიძლე-

ბა შეფასების გარეშე დავტოვოთ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მნიშვნელობა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლასა და უცხო ქვეყნის ტერიტორიებზე მიმალული დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენელების ძებნის, გამოაშკარავებისა და ექსტრადიციის საკითხები.

საერთაშორისო დონეზე წინააღმდეგობის გაწევის არსებული მეთოდების გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა აუცილებელია სპეციალური კრიმინოლოგიური და ოპერატიული კვლევები არა მარტო შიდა ეროვნულ, არამედ სახელმწიფოთაშორის დონეზეც. ეს შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა გზით. წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული გზა არის სამართლებრივი ნორმების უნიფიკაცია, რომელიც ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების გზით, ორგანიზებულ დანაშაულთა თავიდან აცილების პროცესში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ზედმეტი არ იქნება, ყურადღება გამახვილდეს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული ზომების გამოყენებაზე საერთაშორისო სტატუსის მქონე საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობის აქტივაციის საშუალებით. ორგანიზებულ დანაშაულთა თავიდან აცილებაში ივარაუდება როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ზომების მიღება. მხოლოდ მოცემული ზომების კომპლექსურ გა-

მოყენებას შეუძლია მიგვიყვანოს ორგანიზებულ დანაშაულთა გამოვლინებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ეფექტურ შედეგებამდე.

ხელისუფლების უზენაესი მიზანია, უზრუნველყოს ყოველი თავისი მოქალაქის უშიშროება. კონკრეტული პირის უსაფრთხოება, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვას. უაღრესად მჭიდროა კავშირი, პიროვნების უფლებათა დაცვასა და სახელმწიფოს უშიშროებას შორის. როდესაც ქვეყანაში არ არსებობს პიროვნების თავისუფლება ან დიდია ეკონომიკური უთანასწორობა, ხალხი არ უჭერს მხარს საკუთარ მთავრობას. ეკონომიკური სამართლიანობა, დემოკრატია და უმცირესობათა უფლებების დაცვა თავისთავადაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი სადღეისოდ ასევე წარმოადგენენ ეროვნული უშიშროების ყოველი გონივრული პოლიტიკის უცილობელ შემადგენელ ნაწილს.

დღეისათვის სამართალდამცავი ორგანოებისთვის კვლავ მთავარი გამოწვევაა დემოკრატიული კონტროლი და გამჭვირვალობა, აგრეთვე, სტრუქტურების დეპოლიტიზაცია და ძალოვან სექტორში საერთაშორისო თანამშრობლობის გაძლიერება. არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. მიუხედავად გატარებული რეფორმირებისა, სამართალდამცავი უწყებები კვლავ ყველაზე ნაკლებად გამჭვირვალე ინსტიტუტებად ითვლებიან.

ამრიგად, სამართლებრივი უზრუნველყოფა გულისხმობს უფლებების მთელი სისტემის, კანონმდებლობის მოსალოდნელი საფრთხეებისა და გამოწვევებისგან დაცვას. ამ თვალსაზრისით, იგი როგორც სამართლებრივი მოვლენა უზრუნველყოფს ყველა სახის (ქვესისტემის) უშიშროების (ეროვნული, სახელმწიფო, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სხვ.) დაცვას. ამის გამო სამართლებრივი უშიშროება უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ეროვნული უშიშროების სისტემაში, რაც თავის მხრივ მოითხოვს შემდგომ სამეცნიერო კვლევებს და პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფას.

მეხუთე თავი
ეროვნული უშიშროების სისტემის სიტუაციური ქვესისტემები

როგორც მეოთხე თავშის შესავალში აღინიშნა ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის პრობლემის სირთულე მოითხოვს საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას. ამოცანების კომპლექსი, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ისე ქვეყნის შიგნით ქმნის საფრთხეების ფართო სპექტრს ეროვნული უშიშროებისათვის. ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და მისი შემადგენელი ქვესისტემები (სახეები) მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამავე დროს, ქვესისტემებიდან, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით, ზოგი არის აქტუალური, ზოგი სიტუაციური. თითოეული ქვესისტემის აქტუალურობა, შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების მდგომარეობაზე, იმაზე თუ მოცემულ მომენტში სახელმწიფოს წინაშე რა ამოცანები დგას, ეროვნული უშიშროების, რომელი სფეროა განსაკუთრებულად პრიორიტეტული და მოითხოვს ყურადღების გამახვილებას. სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე სიტუაციიდან (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.) გამომდინარე სხვადასხვა სახის საფრთხე განსაკუთრებულად აქტიურდება, ზოგჯერ კი აქტიურობა ერთგვარად ნელდება და „მიძინებულ“ მდგომარეობას ინარჩუნებს, რაც სრულებითაც

არ ნიშნავს იმას, რომ მან აქტუალურობა დაკარგა და სახელმწიფოსაგან არ მოითხოვს შესაბამის რეაგირებას.

ამ თავში საუბარია იმ ქვესისტემებზე, რომლებიც მეტნაკლებად მიჩნეულია უმეტეს ქვეყნებში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის სიტუაციურ სახეებად: პოლიტიკური უშიშროება (შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ენერგეტიკული უშიშროება; ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროება; სოციალური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება; კულტურული, სულიერი და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების სფეროს უშიშროება; საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება და სხვ.

5. 1. პოლიტიკური უშიშროება

ტერმინი „პოლიტიკური უშიშროება“ ფართოდ გამოიყენება უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა თემის განხილვის დროს, მაგრამ სოციალური მეცნიერების ენციკლოპედიებში პოლიტიკური უშიშროების ცნების გამოკვეთილი განმარტება არ არსებობს.

ზოგადად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პოლიტიკური უშიშროება ეხება მმართველობის სახელმწიფო სისტემების ორგანიზაციულ სტაბილურობას და იმ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, რომელიც მას ლეგიტიმაციას ანიჭებს.

საქართველოს პოლიტიკური უშიშროება საკვანძო ადგილს იკავებს ეროვნული უშიშროების სისტემაში და წარმოადგენს მის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ელემენტს. ეს განპირობებულია პოლიტიკური სფეროს სასიცოცხლო მნიშვნელობით სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობაში, ძირითადი სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებაში. სწორედ პოლიტიკის სფეროში რეგულირდება სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებები. პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებზე.

პოლიტიკური უშიშროების საკითხს აქტუალურობას ანიჭებს საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღემდე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლების სისტემის აგების აუცილებლობასთან და მის ლეგიტიმაციასთან, პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებასთან.

პოლიტიკური უშიშროების არსი მდგომარეობს ქართველი ერისა და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტების უნარში, თვითონ გადაწყვიტონ სახელმწიფო მოწყობის საკითხები, დამოუკიდებლად გაატარონ საშინაო და საგარეო პოლიტიკა პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების სა-

სარგებლოდ. პოლიტიკურ უშიშროებაში იგულისხმება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემის ჩარჩოებში მდგრადი პოლიტიკური სუვერენიტეტისა და საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის არსებობა, რომელიც მიიღწევა პოლიტიკური სისტემის ფორმირებით და რომელმაც, პიროვნების პრიორიტეტულობაზე დაყრდნობით, უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესთა ბალანსი. როგორც პირველის, ისე მეორის არარსებობა გარდაუვლად დაანგრევს ქვეყნის პოლიტიკურ უშიშროებას.

პოლიტიკური უშიშროება არის მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო და რეგიონული ურთიერთობების გარკვეული სტაბილურობა, ასევე - პოლიტიკური სისტემის მდგრადობა, ერთიანობა და მთლიანობა. მას აქვს თვითრეგულირების, თვითგანვითარებისა და არასასურველი საგარეო და საშინაო ზემოქმედებებზე რეაგირების უნარი.

5.1.1. პოლიტიკური უშიშროების შიდასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ასპექტები

პოლიტიკური უშიშროების საფრთხედ მოიაზრება როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები და პროცესები, ისე პოლიტიკური (მათ შორის - საერთაშორისო) ურთიერთობის სუბიექტების ქმედებები (უმოქმედობა), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს: ტერიტორიული მთლიანობის დარ-

ღვევა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაკარგვა, პოლიტიკური სისტემის თვისებრივი სტრუქტურული დეფორმაცია და დეორგანიზაცია, მისი ერთიანობისა და მთლიანობის დარღვევა, ფუნდამენტური პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ღირებულებითი სისტემების ჩამოშლა, პოლიტიკური ურთიერთობების დესტაბილიზაცია, პოლიტიკური კონფლიქტები და სამოქალაქო ომები, საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გავრცელება - მისი ყველა გამოვლინებით.

შიდაპოლიტიკური უშიშროების უზრუნველყოფის მთავარი საკითხი ძალაუფლების საკითხია, ვინაიდან, პირველ რიგში, სახელმწიფო მექანიზმების ფუნქციონირებით მიიღწევა როგორც პოლიტიკური სფეროს, ისე მთელი სოციალური სისტემის სტაბილურობის აუცილებელი ხარისხი; ხორციელდება სოციალურ-პოლიტიკური პროცესების რეგულირება და წარმოქმნილი საფრთხეების ლოკალიზაციისა და განეიტრალების მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანოების საქმიანობა.

პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც, შიდა და გარე გავლენებზე ადეკვატური რეაგირების უნართან ერთად, მოიცავს დიალექტიკურად საპირისპირო უკიდურესობებს. უშიშროების მდგომარეობა მიიღწევა მხოლოდ საზოგადოების სტაბილურობის დაბალანსებული თანაფარდობით და მისი ცვლილების, მოდერნიზაციის საჭიროებით.

პოლიტიკური უშიშროების უზრუნველსაყოფად უნდა იყოს მიღწეული მდგომარეობა, როდესაც პოლიტიკურ პლურალიზმსა და მასთან დაკავშირებულ ბრძოლას არ აქვს სახელმწიფოს (საზოგადოების) არსებობის საფუძვლების დამანგრეველი ანტაგონისტური ხასიათი.

პოლიტიკური უშიშროების ობიექტი ქვეყნის პოლიტიკური სისტემაა, აგრეთვე - მისი ცალკეული კომპონენტები - სახელმწიფო და საზოგადოება. პოლიტიკური უშიშროების მიზანია მთელი პოლიტიკური სისტემისათვის მისი სტაბილურობის, კონსტიტუციური წყობილების, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების, ერთობლიობის დაცვა; სახელმწიფოსათვის - სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, პოლიტიკური რეჟიმისა და ინსტიტუტების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა; საზოგადოებისათვის - სამოქალაქო მშვიდობის დაცვა და განმტკიცება, კონფლიქტების შეკავება, რათა ის შეიარაღებულ შეტაკებაში არ გადაიზარდოს, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა და არა, მაგალითად, სოციალური, ეკონომიკური და სხვა უფლებებისა, რომლებიც სოციალური უშიშროების პრეროგატივაა.

ნეგატიური ფაქტორებია, როდესაც მუქარა შეიძლება რეალური გახდეს ან რისკის დონემდე დავიდეს; საგარეო და საშინაო პირობები და სოციალური სუბიექტების მოქმედება, რომლებიც აფერხებენ პოლიტიკური უშიშროების მითითებული მიზნების განხორციელებას; მცდელობა, ზეწოლა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე გარედან

იძულების - ეკონომიკური, სამხედრო-ძალადობრივი და ინ-ფორმაციული მეთოდებით; შიდაპოლიტიკური ხასიათის კრიზისები - პოლიტიკური რეჟიმის დელეგიტიმაცია, სეპარა-ტიზმი, სახელმწიფო მმართველობის სისტემის მუშაობის შეუთანხმებლობა, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლი-ტიკის ეფექტიანობის შემცირება, რომელთაც მოცემული პო-ლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოების კონსტიტუ-ციური წყობილების ძალადობრივი შეცვლის მიზნით შეუძ-ლიათ კონფლიქტების გამოწვევა და ქვეყნის ცალკეულ რე-გიონებად დაშლა.

საზოგადოების მდგრადი მდგომარეობა დამოკიდებუ-ლია ხელისუფლების ინტეგრაციის უნარზე, რადგან სო-ციალური სისტემის მთლიანობის დაცვა არის პოლიტიკის მთავარი ამოცანა, მისი მთავარი მიზანი.

პოლიტიკურ უშიშროებას ახასიათებს ძალაუფლების ინსტიტუტების სტაბილურობა და ეფექტურობა. ძალაუფ-ლების სტრუქტურების უნარი, გააკონტროლონ პოლიტიკუ-რი პროცესები, მოიძიონ მხარდაჭერა მოქალაქეთა უმრავ-ლესობისაგან, პროდუქტიულად მოქმედი პოლიტიკური ინ-სტიტუტებისაგან (საზოგადოების პოლიტიკური სტაბილუ-რობის უზრუნველყოფა), ნიშნავს პოლიტიკური ურთიერთო-ბების სფეროში დაპირისპირების, პოლიტიკური ექსტრემიზ-მის მასობრივი გამოვლინებების, ძალაუფლებასა და ხალხს შორის უფსკრულის არარსებობას.

ანალიზის თვალსაზრისით, პრიორიტეტია ძალაუფლების არსის შესწავლა და მისი ორიენტირება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზე, პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირება, რომელიც დაკავშირებულია მათ მდგრად განვითარებასთან.

5.1.2. პოლიტიკური უშიშროების საგარეო-პოლიტიკური ასპექტები

გასული ათწლეულის მოვლენების ანალიზი იძლევა საერთაშორისო და ეროვნული უშიშროების სისტემის გარკვეული გადახედვის საშუალებას. ინფორმაციული ეპოქის დადგომა, გლობალიზაციის პროცესების დინამიკის ზრდა, საინფორმაციო და პოლიტიკური ტექნოლოგიები, ახალი სასაქონლო და მიგრაციული ნაკადები - ამ განვითარების შედეგია ახალი საფრთხეების გაჩენა პლანეტარული მასშტაბით, რომლებიც არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის ინდივიდების, სოციალური ჯგუფებისა თუ სახელმწიფოების არსებობას, არამედ ეჭვქვეშ აყენებს კაცობრიობის პროგრესული განვითარების გაგრძელებას.

საგარეო-პოლიტიკური უშიშროების გაგების დინამიკა საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ ექსკლუზიურად თავდაცვითი ინტერპრეტაციებიდან და მის უზრუნველსაყოფად მექანიზმებზე გადასვლის ფართო ინტერპრეტაციაზე, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებზე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრობლემებზე, დემოკრატიზაციასა და სტაბილურობაზე ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში, სახელმწიფოთა მდგრადი

განვითარების პირობების უზრუნველყოფაზე, პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო ათწლეულის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მოიცავს ცივი ომის დროს დომინირებულ უშიშროების მილიტარისტულ პარადიგმას. 1990-იანი წლების დასაწყისში, ცივი ომის დასრულებასთან ერთად, საჭირო გახდა ე.წ. კოოპერატიული უშიშროების ახალი რეჟიმის შექმნა, რომლის მთავარი მიზანია ომის თავიდან აცილება, ძირითადად - ომის განსახორციელებლად ძალებისა და საშუალებების დაგროვების პრევენციით, აგრესიის აღმოფხვრით და საფრთხის ქვეშ მყოფი სახელმწიფოებისათვის შესაბამისი კონტრზომების გატარების აუცილებლობით.

ამ კონცეფციის ინტერპრეტაციის არსებული მიდგომებისა და თვალსაზრისების შეჯამებით, ყველაზე მნიშვნელოვან პოსტულატებს შორის თავდაპირველად შეიძლება აღინიშნოს: აქცენტის გაკეთება არა სავარაუდო მტრის დაშინებაზე, არამედ აგრესიის თავიდან აცილების მტკიცე გარანტიების შექმნაზე; კავშირების პოლიტიკის ალტერნატივა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათთან ერთად თანაარსებობა; რეგიონში არა მხოლოდ სამხედრო, არამედ არასამხედრო კომპონენტების წინ წამოწევა; არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო, ტრანსნაციონალური ფაქტორების მოცვა; ბირთვულ ძალებზე მკაცრი კონტროლის დამყარება და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ბირთვული უსაფ-

რთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები; თავდაცვის მრეწველობის კონვერტაციის რეჟიმი, რომლის ჭარბმა სიმძლავრემ შეიძლება გამოიწვიოს გლობალური იარაღის გაუმართლებელი გავრცელება და საერთაშორისო არასტაბილურობის გაზრდა; საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებს შეიარაღებული ძალების რაოდენობასა და შემადგენლობას, რათა მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს თავდაცვით გეგმებს, ასევე შეზღუდოს საშიში ტექნოლოგიების გავრცელება; ეფექტიანი და ლეგიტიმური ჩარევის ურთიერთშეთანხმებული კონცეფციის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც, ძალის გამოყენება ყოველთვის მრავალმხრივია და არჩეულია, როგორც უკიდურესი საშუალება; გამჭვირვალობისა და ორმხრივი ინტერესების ხელშეწყობა, როგორც საფუძველი იმ შეზღუდვების მონიტორინგისათვის, რომლებზეც მიღწეულია საერთაშორისო შეთანხმებები. უფრო მეტიც, დღევანდელი გამოწვევებისა და საფრთხეების უმეტესობა მოითხოვს ახალ, უპირველეს ყოვლისა, არასამხედრო მიდგომებს მათი გადაჭრისათვის (სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების მექანიზმების აუცილებლობის უარყოფის გარეშე).

5.2. ენერგეტიკული უშიშროება

ჩვენი დროის ენერგეტიკული პრობლემების სირთულე, მასშტაბები და სიღრმე ენერგეტიკულ უშიშროებას ეროვნული უშიშროების მნიშვნელოვან კომპონენტებს შორის აქცევს.

21-ე საუკუნეში ენერგეტიკული უშიშროების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ბუნებრივი ენერგომატარებლების წყაროების გამოკვლეული მარაგების ამოწურვით, ხოლო, მეორე მხრივ, საწვავისა და სხვადასხვა სახის ენერგიის მოხმარების მუდმივი ზრდით.

დღეს ამ ტერმინის ერთიანი განმარტება არ არსებობს, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა საშუალებას, მთელი სისრულით გაირკვეს ეროვნული უშიშროების ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი. „ენერგეტიკული უშიშროების“ ცნების მრავალი განსხვავებული ფორმულირება და ინტერპრეტაცია არსებობს. სხვადასხვა წყარო ენერგეტიკულ უშიშროებას სხვადასხვანაირად განსაზღვრავს, კერძოდ: როგორც სახელმწიფოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას; როგორც მოქალაქეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცულობას ენერგიისა და სათბობენერგეტიკული რესურსების დეფიციტის საფრთხისაგან; როგორც საზოგადოებისა და ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც იძლევა ენერგიის მოხმარების საჭირო დონის შენარჩუნების საშუალებას; როგორც პირობების ერთობლიობას, რომლის დროსაც არ არის ენერგიის დეფიციტი; როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებას და ა.შ.

აღსანიშნავია ის, რომ ენერგეტიკული უშიშროების არც ერთი განხილული ფორმულირება არ შეიძლება იქნეს მიღებული, როგორც ძირითადი ცნება, რადგან ის არა მხოლოდ არ ასახავს ენერგეტიკული უშიშროების არსს, არამედ არ

შეიცავს მის ძირითად საფუძვლებს, როგორიცაა: ენერგეტიკული ინტერესები, ენერგეტიკული საფრთხეები და ენერგეტიკული დაცვა.

ენერგეტიკული უშიშროება არის მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და ეკონომიკის უზრუნველყოფა მისაღები ხარისხის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ენერგორესურსებით, რომელიც დაცულია ენერგეტიკული მოთხოვნილებების დეფიციტის საფრთხისაგან, ენერგომომარაგების უწყვეტობის დარღვევისაგან. ამავდროულად, უშიშროების მდგომარეობა არის მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ნორმალურ პირობებში ენერგეტიკაზე გამართლებული საჭიროებების (მოთხოვნის) სრულად, ექსტრემალურ პირობებში საჭიროების მინიმალური, საჭირო მოცულობის გარანტირებულ უზრუნველყოფას.

ენერგოუშიშროება უნდა განვიხილოთ სისტემური მიდგომის პოზიციიდან, სულ მცირე, სამ ასპექტში: პირველი, ეროვნული უშიშროების სისტემის, როგორც ქვესისტემა, ელემენტი, სახე ან კომპონენტი; მეორეც, როგორც დამოუკიდებელი, რთული, მრავალდონიანი სისტემა, რომელიც მოიცავს არანაკლებ რთულ ქვესისტემებს, ელემენტებს, სახეს ან კომპონენტებს, მაგრამ უფრო დაბალი რიგისას. და ბოლოს, როგორც თითოეული ენერგომატარებლის, ყოველი კომპონენტისა და ენერგიის ცალკეული სახის ექსპლოატაციური თვისება.

ენერგეტიკულ უშიშროებას, ისევე როგორც ეროვნულ უშიშროებას, საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ცნება: „ენერგეტიკული ინტერესები“, „ენერგეტიკული საფრთხეები“ და „ენერგეტიკული დაცვა“. ენერგეტიკული უშიშროება მოაზრებულ უნდა იქნეს მდგომარეობად, როდესაც: არ არსებობს სახელმწიფო და ცალკეული მომხმარებლების ენერგეტიკული ინტერესებისათვის რეალური და პოტენციური საფრთხეები, რომლებიც წარმოიქმნება ბუნებრივი ენერგორესურსების მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და გამოყენების პროცესში, ხოლო საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, ენერგეტიკული ინტერესების დაცვის ან დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემა უარყოფით შედეგებს აღმოფხვრის ან მინიმუმამდე დაიყვანს; საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მხარდაჭერისა და სასიცოცხლო აქტივობის საჭირო დონე შენარჩუნებულია საწვავი-ენერგეტიკული ბალანსის ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომი ენერგორესურსების რაციონალური მოხმარების გზით; უზრუნველყოფილია აუცილებელი პირობები როგორც ქვეყნის ენერგეტიკული, მრეწველობისა და სატრანსპორტო კომპლექსის საიმედო ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, ისე საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის ღირსეული ცხოვრებისათვის.

ნებისმიერი უშიშროების საფუძველი არის ინტერესები, საფრთხეები და დაცვა, ამიტომ აშკარაა, რომ ენერგეტიკული

უშიშროება არ არის გამონაკლისი და ეფუძნება ენერგეტიკულ ინტერესებს, ენერგეტიკულ საფრთხეებსა და ენერგეტიკულ დაცვას.

სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ენერგეტიკული ინტერესები, რა თქმა უნდა, სასიცოცხლო და გრძელვადიანია. ენერგეტიკული ინტერესების არსი, საბოლოო ჯამში, დაიყვანება არსებული ენერგორესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მათგან მიღებული ყველა სახის ენერგიის, აგრეთვე, ენერგეტიკული პოტენციალისა და მაღალი ხარისხის ენერგორესურსების წარმოებაზე, კონსერვაციასა და თავმოყრაზე, მათ შორის - ალტერნატიული ენერგიის საშუალებით. ენერგეტიკული ინტერესების სისტემაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს, რადგან ის განსაზღვრავს ქვეყნის ენერგეტიკის, მრეწველობისა და სატრანსპორტო სისტემის განვითარების დონეს, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა კეთილდღეობას, ნამდვილ დამოუკიდებლობას, საერთაშორისო ავტორიტეტსა და ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერეს.

სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ენერგეტიკული უშიშროების საფრთხე რეალური და პოტენციურია. ის შეიძლება წარმოიქმნას როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე გარედან. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია ენერგოუშიშროების რისკების შესაფასებლად.[156] ქვეყნის შიგნით - ინდივიდუალური ფიზიკური და

[156] ეკიბია, მ., საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ეფექტური სტრატეგია სჭირდება. Europe for Georgia, 2015. http://eugeorgia.info/ka/article/554/saqartvelos-energousafrtxoebis-efeqturi-strategia-chirdeba/ [20.08.2022]

იურიდიული პირებისაგან (და მთლიანად - სახელმწიფოსაგან), რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვნად ამცირებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, გამორიცხავს საწვავისა და ენერგორესურსების წარმოებას, თავმოყრასა და რაციონალურ გამოყენებას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვას, ხელს უშლის ენერგეტიკის, მრეწველობისა და სატრანსპორტო კომპლექსის პროგრესულ განვითარებას, მაგალითად, ნედლეულის, ენერგიის გადამზიდავებისა და ყველა სახის ენერგომატარებლების ღირებულების არაგონივრული ზრდის გამო. გარედან - სხვა სახელმწიფოების საქმიანობა, ერთი მხრივ, ენერგორესურსების პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის ინსტრუმენტად ქცევა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა კრიზისის წარმოშობა (მათ შორის - საწვავისა და ენერგორესურსების), ზოგჯერ კი - სამხედრო დაპირისპირება.

ქვეყნის ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველსაყოფად იგულისხმება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია რეალური და პოტენციური ენერგეტიკული საფრთხეების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და აღმოფხვრაზე. ცხადია, ენერგეტიკული ინტერესების საფრთხის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა ჩაითვალოს პასიურ დაცვად ან ენერგეტიკული უშიშროების პასიურ უზრუნველყოფად. ამავდროულად, ზომებს, რომლებიც მიმართულია ენერგეტიკულ ინტერესებზე წარმოქმნილი საფრთხეების შედეგების შეზღუდვისა და აღმოფხვრისკენ, შეიძლება ეწოდოს აქტიური დაცვა ან ენერგეტიკული უშიშროების აქტიური უზრუნველყოფა.

ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველყოფის ხელშემშლელი ფაქტორები მოიცავს პლანეტის რეგიონებში ენერგორესურსების არათანაბრად განაწილებას, შიდა და გარე ტერორისტული საფრთხეების ზრდას, ცალკეული ქვეყნებისა და ხალხის ენერგეტიკული ინტერესების ჩათვლით. ეს ფაქტორები დომინანტური ხდება ერთიანი გლობალური ენერგეტიკული კონცეფციის არარსებობისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე - დაგროვილი ენერგომატარებლების რეზერვების საკმარისი დონე, ენერგორესურსების ახალი საბადოების აღმოჩენა, ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების წილის ზრდა, უნაყოფო და რესურსების დაზოგვის ტექნოლოგიების შემუშავება, დანერგვა და გამოყენება და ა.შ.

ანალიტიკური ცენტრის - „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) - მიერ განხორციელებული და *ჰაინრიხ ბიოლის* ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიერ დაფინანსებული პროექტის - «ენერგეტიკული რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში ცნობიერების გაზრდისა და სამოქალაქო სექტორის, მედიისა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარებით» ფარგლებში გამოცემულ წიგნში საუბარია მკვლევართა ჯგუფის მიერ საქართველოს ენერგეტიკული უშიშროების რაოდენობრივი შეფასების შესახებ, სადაც MOSES მეთოდიკა იქნა გამოყენებული და რომელმაც უჩვენა საქართველოს ენერგოუშიშროების მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში რაციონალური ენერგეტიკული პოლიტიკის

შემუშავებას. უთოოდ წაადგება მკვლევართა ჯგუფის მიერ მოცემული რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა როგორც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან, ასევე დონორებთან. ამ მიზნით კი მნიშვნელოვანია, დროულად განისაზღვროს უწყებათა კონკრეტული ფუნქციები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, რათა თავიდან იქნას არიდებული იმპლემენტაციის მიმდინარე სამუშაოების შეფერხება.[157]

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველსაყოფად დაბრკოლებები და ხელსაყრელი ფაქტორები მუდმივ წინააღმდეგობაშია, ხოლო ამ ფაქტორების ამა თუ იმ ჯგუფის მნიშვნელობის ზრდა აუცილებლად იწვევს ეროვნული უშიშროების ზრდას ან შესუსტებას მისი ენერგეტიკული კომპონენტის მეშვეობით.

აუცილებელია საქართველოს ენერგეტიკული უშიშროებისათვის არსებული და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია: ეკონომიკური (საინვესტიციო რესურსების ნაკლებობა, ეკონომიკის ენერგოხარჯვა, საწვავისა და ენერგორესურსების მაღალი ფასები, ენერგომომარაგების ცუდი დივერსიფიკაცია და ა.შ.); სოციალურ-პოლიტიკური (შრომითი კონფლიქტები, დივერსიები, ან-

[157] ფონტი, ე.,მარგველაშვილი, მ., მუხიგულიშვილი, გ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება MOSES მეთოდიკით. ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება" და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. 2017. https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf

ტიენერგეტიკული საზოგადოებრივი მოძრაობების ექსტრემისტული ქმედებები); ტექნოგენური (ავარიები, აფეთქებები, ანთროპოგენურ-ტექნოგენური წარმოშობის ხანძარი საწვავისა და ენერგეტიკული კომპლექსების ობიექტებზე, იგივე მოვლენები ეკონომიკის სხვა სექტორების ობიექტებში, რომლებიც დაკავშირებულია საწვავ-ენერგეტიკულ კომპლექსებთან); ბუნებრივი (სტიქიური უბედურებები, ჰიდროელექტროსადგურების მქონე მდინარეებზე ხანგრძლივი წყლის ნაკლებობა და სხვ.); ადმინისტრაციული და სამართლებრივი (შეცდომები სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში, ენერგეტიკის სექტორის პერსპექტიული განვითარების შესახებ გადაწყვეტილებების არასრული შემუშავება; სახელმწიფოს ენერგოდაზოგვის პოლიტიკის არაეფექტურობა და ა.შ.).

მოკლევადიან პერიოდში საქართველომ უნდა შეასრულოს „ენერგოგაერთიანების" (Energy Community) ვალდებულებები ელექტროენერგიის მიწოდების უშიშროებაზე, რაც ძირითადად მოიცავს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანასა და საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებას, თუმცა არ აიძულებს ენერგოპოლიტიკის ძირეულ ცვლილებებს და არ მოითხოვს სპეციფიკურ ინვესტიციებს ახლო მომავალში.[158]

სასურველია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი, რომ ეროვნული უშიშროების

[158] ზაჩმანი, გ. საქართველოს ენერგოუსაფრთხოება. გერმანიის ეკონომიკური გუნდი. საქართველო. კვლევითი ნაშრომების სერია [PP/01/2014], ბერლინი/თბილისი, ოქტომბერი, 2014. http://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2015/02/PP_01_2014_geo.pdf [23.08.2022]

კონცეფციაში, მდგრადი განვითარება ცხადად გამოიყოს როგორც ქვეყნის ერთერთი უმაღლესი ღირებულება.[159]

დღეისათვის და უახლოეს მომავალში, ენერგომომარაგების მდგრადობის თვალსაზრისით, დომინანტურია ეკონომიკური, მენეჯერული და სამართლებრივი ხასიათის საფრთხეები. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს გარკვეული ტექნოგენური და ბუნებრივი საფრთხეების შეფარდებითი მნიშვნელობა.

5.3. ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროება

ეროვნული უშიშროების სტრუქტურაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ უშიშროებას. მისი გაჩენა ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგან კაცობრიობის მთელი ისტორია არის მზარდი ეკონომიკური განვითარების ისტორია და პლანეტის ბიოსფეროს თანმიმდევრული განადგურება. დღეს ობიექტურ აუცილებლობად იქცა ეკოლოგიური უშიშროების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს საქმიანობა, ხოლო მიწიერი ცივილიზაციის გადარჩენის მოთხოვნილებად - სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა საგულდაგულო ექსპერტიზის საფუძველზე, მისი აქტივაცია. თანამედროვე პირობებში საზოგადოების ცივილიზებულობის საზომი მისი ეკოლოგიური უშიშროების დონე ხდება.

---

[159] მარგველაშვილი, მ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების მიმართულებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი, 2015. http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoebis_riskebi.pdf http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2580.pdf [23.08.2022]

ანთროპოგენური აქტივობის შედეგია სამი სახის გარემოსდაცვითი საფრთხის გაჩენა: სოციალურ-ეკოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის გარემოს გაუარესებასთან და მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ინდიკატორებთან; ბიოსფერულ-ეკოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი წონასწორობის მოშლის საფრთხესთან, ლანდშაფტების დეგრადაციასთან, გარემოს დაბინძურებასთან; რესურსეკოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების პოტენციალის შემცირებასთან, რესურსების განახლების თვისებების დაკარგვასთან, მათი რეზერვების ამოწურვასთან.

ეკოლოგიური უშიშროების თავისებურებაა ის, რომ ის არის ერთობლივად მოხმარებული სიმდიდრე, რომელიც ხელმისაწვდომია ან ყველასთვის, ან არავისთვის. შეუძლებელია გარემოსდაცვითი საშიშროების ხარისხის შემცირება ცალკეული პირებისათვის, მოსახლეობის ჯგუფებისათვის, ტერიტორიებისათვის, რადგან ბუნებამ არ იცის სოციალური, სახელმწიფო, ადმინისტრაციული საზღვრები. თანაც, ბუნებაზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, გარემოსდაცვითი უშიშროების დარღვევა იწვევს ეგრეთ წოდებულ „გარემოს ბუმერანგის“ მოვლენას, როდესაც ამ ზემოქმედების უარყოფითი შედეგები თავად ადამიანის წინააღმდეგ შემობრუნდება.

საქართველოში ამ მიმართულებით საქმიანობის გაღრმავება განპირობებულია, პირველ ყოვლისა, ზოგადსაკაცობ-

რიო ფასეულობების პრიორიტეტულად აღიარებით, მათ შორის გამოირჩევა ადამიანის კონსტიტუციური უფლება ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოზე. ამას მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5. სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე და მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება: 1. ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება, ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. 2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით. ეკოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანა ნაკარნახევია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის აუცილებლობით.

ცნება ,,ეკოლოგიური უშიშროება" სხვადასხვა რედაქციით გადმოიცემა. სამეცნიერო შრომებში ავტორთა ერთი ნაწილი ეკოლოგიურ უშიშროებას მოიაზრებს გარემოს დაცვის შემადგენელ ნაწილად, მეორენი მათ შორის ტოლობას სვამენ, მესამენი ეკოლოგიური უშიშროების შინაარსში გულისხმობენ არა მარტო გარემოს დაცვას, არამედ გარემოს

რაციონალურ გამოყენებას, აღწარმოებასა და ხარისხის ამაღლებას და სხვ. ეკოლოგიური უშიშროების კონცეფცია უნდა შემუშავდეს სახელმწიფოს საქმიანობის სამართლებრივად რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული შესაბამისი პრინციპებისა და ნორმების დახმარებით. გამომდინარე არსებული განსაზღვრებების ანალიზიდან, ეკოლოგიურ უშიშროებაში უნდა ვიგულისხმოთ: არსებობის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა, სახელმწიფოსა და საზოგადოების სოციალურად მნიშვნელოვანი ინტერესების, ასევე ბუნებრივი გარემოს, რესურსების დაცულობას ბიოსფეროს ნებისმიერი ეკოლოგიურად არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება შეუქმნას საფრთხე ადამიანებს, ეკოსისტემის მდგრად განვითარებასა და ფუნქციონირებას, ზოგადად - კაცობრიობის არსებობას.

ეკოლოგიური უშიშროებისა და მდგრადი განვითარების კრიტერიუმები უპირატესად საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს პოლიტიკური კოორდინაციისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი, გაეროს მდგრადი განვითარების შესახებ კომისია, გარემოს პრობლემების შესახებ სამეცნიერო კომიტეტი და სხვ.) განიხილება, რაც ეკოლოგიური კრიზისის გლობალური ხასიათით და, შესაბამისად, ეკოლოგიური უშიშროების მიზნებითაც აიხსნება. გაეროს დაწესებულებათა ჩარჩოებში შემუშავდა ინდიკატორები საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით, მისი ძირითადი პირობებია: თვისობრივი მაჩვენებლების პრიორიტეტულობა (ცხოვრების ხარისხი) რაოდენობრივზე (რაოდენობა, მოხმარება); ბიოლოგიური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება; ბუნების მოხმარების ჰარმონიზაცია ბუნებრივი პროცესების ევოლუციურ პერიოდულობასთან.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეროვნულ სამოქმედო კონცეფციაში საქართველოს გარემოსდაცვითი უშიშროების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტული მიმართულებებია: ქვეყნის მდგრადი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად, გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვის საკანონმდებლო ბაზისა და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა; გარემოსდაცვითი სტანდარტების დახვეწა და გარემოსდაცვითი ორგანოების საკონტროლო საქმიანობის პრაქტიკაში მათი დანერგვა; ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესწავლა თანამედროვე საზომი ხელსაწყოების, მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, ამ მდგომარეობის ცვლილებების პროგნოზის ფორმირება; ბუნებრივი რესურსების ბიოსფეროს თავსებადი გამოყენების ტექნოლოგიებისა და ღონისძიებების შემუშავება; ყველა სახის მონიტორინგის ფუნქციონირება; გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეროვნული სისტემის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება; ეკოლოგიურად სუფთა ენერგიისა და რესურსების დაზოგვის ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა გარემოსდაცვითი

მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კონკურენტული პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად; ბუნებრივი რესურსების კადასტრების შესანარჩუნებლად გეოინფორმაციული სისტემების შემუშავება და მონაცემთა ბაზების განაწილება გარემოს დაცვის ცალკეული სფეროების მიხედვით; სახელმწიფო გარემოსდაცვითი ექსპერტიზის ჩატარების შემდგომი სრულყოფა; ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების, როგორც გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და დაგეგმვის ელემენტის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების პრინციპის დანერგვა; ეკონომიკური საქმიანობისას ეკოლოგიური სისტემების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ყველა განსაკუთრებულად ღირებული ბუნებრივი კომპლექსის, ბიოლოგიური და გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; ქვეყნის წიაღისეული რესურსების რეგიონული, გეოლოგიური შესწავლა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური სტრუქტურის შესახებ ახალი ინფორმაციის მისაღებად, სხვადასხვა წიაღისეულის გავრცელების ძირითადი შაბლონების იდენტიფიცირებისა და მათი პროგნოზირებადი შეფასების მიზნით; საქართველოს მიერ ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ დადებული საერთაშორისო კონვენციებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ორგანიზება; ბიოუშიშროების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება; არსებულის გაუმჯობესება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა ატმოსფეროზე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად; მრეწველობასა და ენერგეტიკაში ემისიების

კონტროლის ავტომატური სისტემების დანერგვა; ოზონის შრის დაცვის სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების გაუმჯობესება; ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება; ქალაქებსა და დაბებში კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ცენტრალიზებული სისტემების მოწყობა, ზედაპირული ნიაღვრების ჩამონადენის გამწმენდი საშუალებების მშენებლობა; გარემოსდაცვითი სერტიფიცირების ქვესისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; საქართველოში გარემოსდაცვითი აუდიტის დანერგვის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლების გაუმჯობესება; ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების სამეცნიერო მხარდაჭერა; მოსახლეობის, სახელმწიფო ორგანოების ინფორმირების გაუმჯობესება გარემოს დაცვის სფეროში; გარემოსდაცვითი ცოდნის, განათლების სისტემის, აღზრდის, მოსახლეობის გარემოსდაცვითი კულტურის ხელშეწყობის გაფართოება და ა.შ.

დღეს გარემოს დაცვის სფეროში უშიშროება არა მხოლოდ საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციის საკითხია, არამედ, საბოლოო ჯამში, კაცობრიობის გადარჩენის ამოცანა და, შესაბამისად, ის ყველას და თითოეულს ეხება. ამ ფაქტის გასაცნობიერებლად აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეკოლოგიური მსოფლმხედველობა, როგორც მდგრადი განვითარების პარადიგმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და მისი არსი ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სახით

გადმოსცეს. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მედიის საშუალებით მდგრადი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური განვითარების იდეების პოპულარიზაციის გზით, პოპულარული სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურის გამოცემით, ამ საკითხის ფარგლებში საჯარო დიალოგით.

5.4. სოციალური უშიშროება

სოციალურ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისა და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამასთან დაკავშირებით ქვეყნისათვის აქტუალური რჩება სოციალური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემები. საქართველოში კი მოქმედებს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა, მაგრამ იგი არ არის სათანადო დონეზე განვითარებული. მაღალი ემიგრაციული პოტენციალის არსებობა იმას მოწმობს, რომ სერიოზული პრობლემებია როგორც სოციალური უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში, ისე მასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

ეს გარემოებები განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური სფეროს რეფორმირების აუცილებლობას. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, მისცეს შესაძლებლობა ყველა ქმედუნარიან პირს საკუთარი შრომითა და საზრიანობით უზრუნველყოს ოჯახის კეთილდღეობა, ხოლო საზოგადოების შრომისუუნარო და გაჭირვებული წევრები უზრუნველყოს მიზნობრივი სოციალური დაცვით.

სოციალური სფეროს რეფორმა გულისხმობს: სახელფასო სისტემის გაუმჯობესებას და შემოსავლების დროულად გადახდის პირობების შექმნას; სოციალური დაცვის სისტემის რესტრუქტურიზაციას მიზნობრივი პრინციპის მიხედვით; დამატებითი ანაზღაურებადი სერვისების გაფართოებით დამატებითი საბიუჯეტო რესურსების მოძიებას ჯანდაცვის, განათლების, კულტურის და სხვ. სფეროებში; საპენსიო კანონმდებლობის რეფორმირებას და საპენსიო სისტემის გაუმჯობესებას; ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული განათლების სისტემის გაუმჯობესებას; მოზარდების ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების სისტემის დახვეწას; თავისუფალი დროისა და დასვენების ინდუსტრიის განვითარებას; განვითარებული ქვეყნების სტანდარტების მიღწევას მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის რეფორმის მიზნების დასახვაში და სხვ.

მოსახლეობის სხვადასხვა (სოციალური, ტერიტორიული, კონფესიური და სხვ.) ჯგუფის მდგომარეობა და განვითარების ტენდენცია, რომლის დროსაც ძირითადი მასა კმაყოფილია საკუთარი სოციალური სტატუსით, ანდა აღიქვამს მას როგორც აუცილებელ მოცემულობას, ხოლო მათ შიგნით და მათ შორის ურთიერთობები ატარებს არაკონფრონტაციულ ხასიათს; უსაფრთხოა საზოგადოება, რომელშიც მეფობს სოციალური პარტნიორობა, ეროვნებათაშორისი მშვიდობა და სამოქალაქო თანხმობა. ამგვარი საზოგადოების შექმნა ითვალისწინებს: სოციალურად ორიენტირებული ეკონო-

მიკის ფორმირებას, რომელსაც შეუძლია გადალახოს საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია; სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დროულად გამოვლენას და მათზე ეფექტიან რეაგირებას, მათ შორის - კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის შიგნით მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად; ერთაშორისი მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას; საზოგადოების ძირითადი უჯრედის - ოჯახის განმტკიცებას; ოჯახსა და საზოგადოებაში სოციალური სიძნელეების, არასტაბილურობისა და კონფლიქტების ძირითადი წყაროების შემცირებას; სიღარიბის, ნარკომანიის, ინფექციური და ქრონიკული დაავადებების, ორგანიზებული დანაშაულობებისა და კორუფციის, ტერორიზმის, ეროვნული და რელიგიური ექსტრემიზმის აღმოფხვრას.

5.5. დემოგრაფიული უშიშროება

ეროვნული უშიშროების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დემოგრაფიული უშიშროება. მისი უზრუნველყოფა გულისხმობს, ერთი მხრივ, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც იწვევს რეპროდუქციულ პროცესებში ნეგატიურ ტენდენციებს, მათი შედეგების მაქსიმალურად შერბილებას და, მეორე მხრივ, მათი წარმოშობის პრევენციას. დემოგრაფიული უშიშროების ობიექტი ქვეყნის მოსახლეობაა. ამ თვალსაზრისით, უმწვავესი კრიზისია საქართველოს მოსახლეობის განვითარებაში და მოიცავს კრიზისის ყველა დემოგრაფიულ პროცესს: შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინების

მაჩვენებელი, მიგრაცია. მაგალითად, დეპოპულაციის მასშტაბები სავალალოა, ქვეყნის მოსახლეობა საგანგაშოდ მცირდება.

საქართველოს ეროვნული უშიშროების რეალური დემოგრაფიული საფრთხე მოიცავს შემდეგ ტენდენციებსა და მოვლენებს: დეპოპულაცია; შობადობა, რომელიც არ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ რეპროდუქციას (აღწარმოებას); ავადობისა და სიკვდილიანობის ზრდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით - ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცებში; სიცოცხლის ხანგრძლივობის არასახარბიელო მდგომარეობა; მოსახლეობის (ფიზიკური, რეპროდუქციული, გონებრივი) ჯანმრთელობის გაუარესება; ოჯახის ინსტიტუტის დეგრადაცია; ქვეყნის, სოფელსა და ქალაქს შორის ირაციონალური მიგრაციული დინებები; არალეგალური ან ლეგალური მიგრაციის მოცულობის ზრდა.

მოსახლეობის რეპროდუქციაში ნეგატიური მოვლენების განეიტრალება და საქართველოს დემოგრაფიული უშიშროების უზრუნველყოფა უახლოეს მომავალში მოითხოვს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება; მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაძლიერებისა და ოჯახის დაგეგმვის სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შემუშავებას; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახის

მატერიალური რესურსისა; მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ხარისხის ამაღლებით, სამედიცინო მომსახურების ფორმებისა და სახეების გაფართოებით; სახელმწიფო დახმარების გაძლიერებასა და გაუმჯობესებას ქალებისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის, პირველ რიგში - დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის; ცნობიერების ამაღლებასა და საგანმანათლებლო ღონისძიებებს დაავადების პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის, არაჯანსაღი ჩვევების პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით, ფოკუსირებულს როგორც მთელ მოსახლეობაზე, ისე გარკვეულ კატეგორიებზე, განსაკუთრებით - მაღალი რისკის ჯგუფებზე; სამუშაოზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ავარიების, უბედური შემთხვევებისა და კატასტროფების პრევენციას.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია დემოგრაფიული პროცესების ოპტიმიზაცია მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ერთიანობაში. მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ერის ჯანმრთელობა პრიორიტეტი უნდა გახდეს. სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ინდივიდის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სიკვდილიანობის შემცირებისაკენ. ეს მნიშვნელოვანია დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისითაც და ეკონომიკურადაც მომგებიანია.

5. 6. კულტურული, სულიერი და მორალური-ზნეობრივი ფასეულობების სფეროს უშიშროება

კულტურული, სულიერი და მორალური-ზნეობრივი ფასეულობების სფეროს უშიშროების უზრუნველყოფა თანამედროვე ქართველი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რადგან ამ სფეროში პოულობს ასახვას ადამიანების გრძნობები და განწყობა, მათი წარმოდგენები და გააზრება როგორც ყოველდღიური ცხოვრების, ისე ყოფიერების ღრმა საფუძვლების შესახებ. აქ რეალიზდება სხვადასხვა კლასის, სოციალური ჯგუფებისა და ეროვნული თემების ინტერესები, ყალიბდება მათი ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი ცნობიერება, იდეოლოგიური მრწამსი.

მოსახლეობის სულიერი და მორალური დონის ფორმირების სისტემის გაუმჯობესებისა და ამ საფუძველზე საზოგადოებაში პატრიოტიზმის აღზრდის მთავარი ამოცანაა მისი მდგომარეობის მიღწევის პირობების შექმნა, რაც ხასიათდება მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის სულიერი წინსვლის უნარით. ეროვნული იდენტობის საფუძველზე მსოფლიო კულტურის საუკეთესო მიღწევების აღქმა და ხალხის სულიერი ერთობის შენარჩუნება და გაძლიერება.

სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთობლივად უნდა გააძლიერონ ძალისხმევა თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, უზრუნველყონ მოსახლეობის სულიერი კულტურის შერწყმა პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ცნობიერების მაღალ დონესთან, შექმნან კულტურული, ესთეტიკური განათლების მთლიანი კომპლექსი. ამისათვის საჭიროა:

ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი უჯრედის, ინსტიტუტის გაძლიერება, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების მორალურ და სულიერ პოტენციალს; ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღდგენა; ეროვნულ-კულტურული იდენტობის მხარდაჭერა და განვითარება; სამხატვრო, სამოყვარულო და პროფესიული შემოქმედების განვითარება; ხალხური ხელოვნებისა და რეწვის აღორძინება და განვითარება; ეროვნული ჯანსაღი მორალური ღირებულებების, იდეალებისა და ტრადიციების ჩამოყალიბება ქვეყნის სხვა ეროვნებების გათვალისწინებით და მხარდაჭერით; საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცნობიერების ისეთი მახასიათებლების განვითარება, როგორიცაა: შემოქმედების თავისუფლების პატივისცემა, მოქალაქეობა და პატრიოტიზმი, პროგრესის სურვილი, ინდივიდის, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის ჰარმონიზაციის გზების ძიება; საერთაშორისო და ეთნიკური კულტურული კავშირების გაფართოება და ურთიერთ- გამდიდრება, კულტურათა ურთიერთგამდიდრება.

ეს გარემო, ერთი მხრივ, განსაზღვრავს პიროვნებების, ჯგუფების თვითმყოფად ხასიათს, ცხოველმყოფელი ურთიერთობების ფორმებსა და ქცევის ნორმებს, მეორე მხრივ, მათში აკუმულირდება პირობები, რომლებიც აუცილებელია ინდივიდების, სოციალური და ნაციონალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების თვითრეალიზაციისათვის.

ამ კონტექსტში უშიშროების ინტერესებისათვის აუცილებელია: დროისა და თაობათა სულიერი კავშირების აღდგენა; ხალხის ზნეობრივი სიჯანსაღის განმტკიცება; ავტორიტეტის ამაღლება ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებებისა: პატრიოტიზმის, კოლექტივიზმის, სოციალური სამართლიანობის და სხვ.; სულიერი და კულტურული ერთიანობის განვითარება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის შემუშავება და განმტკიცება; საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის დაცვა და სხვ.

მუდმივი ყურადღების ობიექტებია (ცხადია, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით) და მოითხოვს მუდმივ ყურადღებას: საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო; საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების შესახებ); საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები); საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა; პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა; ადამიანის ფსიქიკა და ქცევა.

5.7. საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროება

საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ საფრთხეები ამ სფეროში არ არის მკაფიოდ გამოხატული დროის კონკრეტულ მომენტში, თვა-

ლსაჩინოდ არ უთხრის ძირს საზოგადოების გადარჩენის საფუძვლებს. ამავდროულად, თანდათანობით ინტელექტუალურმა დეგრადაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოების განვითარების პერსპექტივებს, შეანელოს იგი ათწლეულების განმავლობაში განათლებისა და სამეცნიერო პერსონალის მომზადების დიდი ინერციის გამო.

მეცნიერების, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პროდუქტიული ძალის, მზარდი როლის კონტექსტში, ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს უზრუნველყოს განათლების მაღალი დონე, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარება (FN და PN), სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვა ეროვნულ ეკონომიკაში. სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო პოტენციალი გახდა საზოგადოების წინსვლის მთავარი ფაქტორი, რომელიც თავისთავად აფიქსირებს ეროვნულ მიღწევებს სამეცნიერო აზროვნებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში. ის ეკონომიკური განვითარების პოტენციურად ამოუწურავი წყაროა დღეს და ასე იქნება მომავალშიც. ეს ყველაფერი განაპირობებს ინტელექტუალური მუშაობის შედეგების საიმედო დაცვის, ინტელექტუალური საკუთრების შენარჩუნების აუცილებლობას. ამრიგად, საგანმანათლებლო-სამეცნიერო უშიშროების სფერო არის ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

მეცნიერებისა და განათლების თანამედროვე სტრატეგიას განსაზღვრავს ცივილიზაციური ცვლილებების ორი აშკარა პროცესი - გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიულ, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სჭირდება თავისი მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ ინტელექტუალური სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად, არამედ ევროპულ საზოგადოებაში შესვლისათვის, როგორც სრული პარტნიორი და არა - ჰუმანიტარული დახმარების ობიექტი.

ნებისმიერ მომენტში, განსაკუთრებით სერიოზული სოციალური ტრანსფორმაციის პირობებში, სახელმწიფოს გამოუჩნდება, ერთი შეხედვით, მრავალი პრიორიტეტული, უფრო გადაუდებელი ამოცანა, ვიდრე მეცნიერებისა და განათლების მხარდაჭერაა. ამასთან, შეუძლებელია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების პრიორიტეტების მიღწევა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობისა და ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების გარეშე. ამიტომ სახელმწიფომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სამეცნიერო პოტენციალის სტაბილურობას და მის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გონივრული შეხამების გზით.

ქართული მეცნიერების წინაშე დღეს არსებულ მთავარ პრობლემებსა და ეროვნული უშიშროებისათვის პოტენციურ

საფრთხეებს შორის შეიძლება გამოვყოთ: ფუნდამენტური მეცნიერების სახელმწიფო მხარდაჭერის შესუსტება და გამოყენებითი მეცნიერების უკიდურესად არასაკმარისი დაფინანსება; რადიკალური ცვლილებები სამეცნიერო (სამეცნიერო და ტექნიკური) პროდუქციის გაყიდვის ბაზარზე და ჩვენი ეკონომიკის (წარმოების) მიერ ინოვაციებზე მოთხოვნის ნაკლებობა (ახალი ტექნოლოგიური განვითარება, ნოუ-ჰაუ და ა.შ.); არასაკმარისი სამეცნიერო კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნების კვლევით ცენტრებთან; საინფორმაციო ბაზის შემცირება სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ღირებულების მკვეთრი მატების, მისი მოპოვებისა და მიწოდების სირთულეების გამო; ხელფასების არასრულყოფილება, მეცნიერთა სოციალური და სამართლებრივი დაუცველობა; სამეცნიერო მუშაობის საზოგადოებრივი შეფასებისა და სამეცნიერო საქმიანობის პრესტიჟის გაუფასურება; მეცნიერებისა და სამეცნიერო სამსახურებში დასაქმებულთა შემცირება; კონკურენტუნარიანი სპეციალისტების - უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის მომზადების ხარისხი. გამოვლენილ პრობლემებს შორის მთავარი, რომელიც ყველა დანარჩენს განაპირობებს, დაფინანსების პრობლემაა.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ბაზრის, სახელმწიფო და საჯარო რეგულირების მექანიზმების გაერთიანებასა და ჰარმონიზაციას, ინოვაცია უნდა გახდეს მდგრადი განვითარების

სტრატეგიული მიმართულება. აუცილებელია ძალებისა და რესურსების კონცენტრირება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტულ სფეროებზე, ფართო სამეცნიერო განვითარება, რაც უზრუნველყოფს წარმოების აქტიურ განახლებას, გაზრდის ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

ამავდროულად, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა უნდა განიხილებოდეს, სიტყვის ფართო გაგებით: როგორც ქვეყნის ადგილი მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში, კულტურასა და ინფორმაციაში, მისი წილი და როლი მსოფლიო კომუნიკაციებში, აღმოჩენებში, გამოგონებებსა და ინოვაციებში.

საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის სოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერის სისტემა უნდა განხორციელდეს ყველა დონეზე: შემოქმედებითი ადამიანი, კვლევითი ჯგუფი, სამეცნიერო ორგანიზაცია, ინტელიგენცია, როგორც სოციალურ-პროფესიული ჯგუფი, სახელმწიფო.

სამეცნიერო და ინტელექტუალური პოტენციალის, კულტურული და საკადრო პოტენციალის შენარჩუნების, გაძლიერებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი წყარო განათლებაა. განათლება თანამედროვე საზოგადოებაში გახდა საწარმოო ძალა. ეს არის არა მხოლოდ შესაძლებლობა, რათა ადამიანმა უზრუნველყოს თავისი მომავალი, არამედ გზამკვ-

ლევი ძაფია, რომელიც საბოლოოდ მიიყვანს ქვეყანას (როგორც მთელ მოსახლეობას, ისე თითოეულ ადამიანს) ნორმალურ მომავალთან.

გლობალიზაციისა და ინფორმაციული რევოლუციის მზარდი პროცესების კონტექსტში, დღეს ადამიანური ცოდნის მოცულობა ყოველ ათ წელიწადში ორმაგდება. მეცნიერთა აზრით, ათ წელიწადში მოსალოდნელია, რომ ეს, სულ რაღაც, 70 დღეში მოხდეს. ცოდნის აფეთქება მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს - მეცნიერებიდან ეკონომიკამდე, პოლიტიკიდან კულტურამდე და გართობამდე. საზოგადოებაში, სადაც ცოდნის შეძენა ერთ-ერთი პრიორიტეტია, ეკონომიკური სიძლიერე ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, ტერიტორიების ზომაზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ძირითადი ელემენტია ადამიანის პოტენციალი, ახალი ცოდნის აღქმისა და გაზრდის უნარი და მისი გამოყენება ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენს დროში, მეცნიერთა აზრით, განსხვავებები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მხოლოდ ერთი მესამედია ეკონომიკური სისტემების განვითარების დონეების განსხვავებულობის გამო, ხოლო ორი მესამედი განათლების დონისა და ხარისხის განსხვავების გამო. თუ განვითარებადი ქვეყნები ვერ გადადგამენ წინ ნაბიჯს იმის ათვისებაში, რაც მოაქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ საზოგადოებას, ისინი 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო

გაღარიბდებიან მე-20 საუკუნესთან შედარებით. ეს ეხება ყველა ქვეყანას და თითოეულ პიროვნებას.

5.8. ჯანდაცვითი უშიშროება

სოციალური კატეგორიები „ჯანმრთელობა“ და „უსაფრთხოება“ (ფართო გაგებით, ცხადია, უშიშროებაც) ურთიერთდაკავშირშია. ეს ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ამ კატეგორიების არსით - ორივე შემთხვევაში ივარაუდება შიდა და გარე საფრთხეების აღმოფხვრა, ასევე ობიექტის შემდგომი განვითარება.

ქართულ კანონმდებლობაში „ჯანმრთელობის დაცვის“ ცნების განმარტება ყველაზე მეტად ასახავს ჯანდაცვის სფეროში ადამიანის ფუნდამენტური უფლების შინაარსს. ამავდროულად, აუცილებელია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან „ჯანმრთელობის“ და „სამედიცინო დახმარების“ ცნებები, ისინი არ არიან სინონიმები, რადგან არიან სხვადასხვა სიბრტყეში.

საქართველოში კონსტიტუციურად არის გამყარებული საქართველოს მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვა სპეციალური 28-ე მუხლით - ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. 2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცე-

ვას“. ასევე, საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაშიც დათმობილი აქვს მე-12 მუხლი - სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის მიმართულებებია: სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სამედიცინო განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის დახვეწა, ეპიდემიებისა და პანდემიების პრევენციისა და მართვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, შიდსი, ნარკომანია და სხვა) პრევენცია და მკურნალობა, ბუნებრივად თუ ხელოვნურად წარმოშობილი განსაკუთრებით საშიში ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ინტეგრირებული ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიული მეთვალყურეობის ეფექტიანი სისტემების განვითარება და სწრაფი რეაგირების სისტემების დანერგვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის დახვეწის გზით, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.

ჯანდაცვის განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაძლიერება არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში, რაც სახელმწიფოსაგან მოითხოვს, განახორციელოს გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის

სფეროში. ამ პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებში უნდა იყოს გათვალისწინებული:

- სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა;

- მედიკამენტების ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემის სრულყოფა;

- ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა;

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ამ უფლებებთან დაკავშირებული სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნულ უშიშროებაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები, არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და გარანტიები, ჯანმრთელობის დაზღვევაში არსებული ნაკლოვანებები.

ჯანმრთელობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ თითოეული ინდივიდისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსთვისაც. ჯანსაღი ადამიანი შრომისუნარიანია, ის ვითარდება როგორც პიროვნება და ვერც დეპრესია ერევა. ჯანსაღი ერი ნიშნავს როგორც შრომისუნარიან მოსახლეობას, ასევე ხელსაყრელ დემოგრაფიულ სიტუაციას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ერის ჯანმრთელობა არის ეროვნული უშიშროების საფუძველი“. შესაბამისად, ყურადღებას მოითხოვს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოლიტიკაც.

მეექვსე თავი
საქართველოს ეროვნული უშიშროების პრობლემური ასპექტები

6.1. საქართველოს ეროვნული უშიშროების სპეციფიკური პრობლემები

6.1.1. ეროვნული უშიშროების კონცეფცია

ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია ძირითადად ჩამოყალიბებულია ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, ამ დოკუმენტის საფუძველზე იქმნება მისი ცალკეული სახეების დარგობრივი სტრატეგია და გეგმა. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ის ძირითადი საპროგრამო თეზისები, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოს უშიშრად არსებობა და მისი მდგრადი განვითარება. კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის უსაშიშრო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებს, გამოწვევებს, მუქარებს, რისკებს და ადგენს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, გარდა მისი სავარაუდოდ სასარგებლო როლისა, ეროვნული უშიშროების კონცეფციას ასევე გააჩნია საკომუნიკაციო ფუნქციაც. კონცეფცია ახდენს საზოგადოების ინფორმირებას უშიშროების საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფოს მიზანდასახულობის შესახებ. ამ მიზანდასახულობასა და უშიშროების პოლიტიკის გეზს მნიშვნელობა არა

მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებისათვის აქვს, არამედ სხვა სახელმწიფოებისთვისაც. კონცეფციამ შეიძლება რწმენა განუმტკიცოს, შეიძლება შეაშფოთოს კიდეც საქართველოს მეგობრები, ასევე - გააუარესოს ან გააუმჯობესოს მისი ურთიერთობები მოწინააღმდეგეებთან. ცხადია, რომ ეროვნული უშიშროების კონცეფციასთან უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავების ყველა დონის დოკუმენტი.

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის შექმნაზე მუშაობა დაიწყო ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შემდეგ, 1996 წელს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის #551 ბრძანებულებით შეიქმნა ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისია საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და მოამზადა კიდეც ტექსტი, მაგრამ ხელისუფლების ცვლილების გამო ვერ მოესწრო მისი მიღება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეროვნული უშიშროების კონცეფცია მიღებულ იქნა 2005 წელს. ხოლო რიგით მეორე კონცეფცია ქვეყნის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2011 წელს და მასში აისახა წინა დოკუმენტის მიღების შემდეგ საქართველოს უშიშროების გარემოში მომხდარი ცვლილებები და მათი გავლენა საქართველოს ეროვნული უშიშროების წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, მრავალი უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით,

რაც თავისთავად გულისხმობს ახალ კონცეფციაში მათ ასახვას და შესაბამისი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებას, მაგრამ ეს მეტად საჭირო ახალი კონცეფცია ჯერჯერობით მიღებული არ არის.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი *ნილ მაკფარლეინი* (S. Neil MacFarlane) აღნიშნავს, რომ საქართველოსათვის ეროვნული უშიშროების კონცეფცია წარმოადგენს სარკმელს პატარა, გარდამავალი სახელმწიფოს უშიშროების პრობლემების გასაანალიზებლად მკაცრ სამეზობლო გარემოში, როდესაც მას უწევს გაუმკლავდეს დიდ და მტრულად განწყობილ მეზობლებს.[160]

რუსეთის 2008 წლის სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უშიშროების გარემო. ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მის არჩევანს დემოკრატიის სასარგებლოდ, დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საქართველო მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებთან. მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქვეყნის ჩა-

---

[160] მაკფერლეინი, ს. ნ., საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება. რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა, პროგრამული სტატია. ჩეთემ ჰაუსი, ლონდონი, 2012.

მოყალიბებაში. საერთაშორისო ვითარების მუდმივ ცვლასთან ერთად, საქართველოს უშიშროების გარემოს ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს შიდაპოლიტიკური პროცესები. საქართველოს დემოკრატიული მონაპოვრის განმტკიცება რეფორმების გაგრძელების გზით, დადებითად აისახება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობასა და გაძლიერებაზე.

ეროვნული უშიშროების ამჟამად მოქმედი კონცეფციის თანახმად, საქართველოს ეროვნული ღირებულებებია: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; თავისუფლება; დემოკრატია და კანონის უზენაესობა; უშიშროება; კეთილდღეობა; მშვიდობა.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებია:

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა - საქართველო მოწოდებულია, აღიდგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით;

2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება - საქართველო ქმნის სახელმწიფო მართვის ისეთ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მდგრადობას და მის შემდგომ განვითარებას;

3. ეფექტიანი ეროვნული უშიშროების სისტემის განვითარება - საქართველოს მიზანია, ჩამოაყალიბოს უშიშროების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას და მისი მოქალაქეების უშიშროებას;

4. ეროვნული ერთიანობის და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება - საქართველო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია - საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ნაწილი, რაც მას მისცემს საშუალებას, მოახდინოს როგორც დემოკრატიის კონსოლიდაცია, ისე განამტკიცოს ქვეყნის კეთილდღეობა და ეროვნული უშიშროება;

6. ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა - ეკონომიკის მაღალი ტემპით სტაბილური გრძელვადიანი ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია;

7. ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველყოფა - ენერგოუშიშროების უზრუნველყოფისათვის საქართველოს პრიორიტეტია ენერგიის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების შემდგომი დივერსიფიკაცია. თანაბრად მნიშვნელოვანია შიდა რესურსების მაქსიმალურად ათვისების, ენერგოსისტემის შემდგომი მოდერნიზაციისა და განვითარების ხე-

ლშეწყობა, რეგიონულ ენერგოინფრასტრუქტურაში ინტეგრაცია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის შემდგომი გაძლიერება დადებითად აისახება ქვეყნის უშიშროებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე;

8. რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა - საქართველოს ეროვნულ უშიშროებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გავლენაც;

9. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება - საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცებას. ამ მიზნით, იგი მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში;

10. საქართველოსა და მთლიანად რეგიონის ეკოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფა - გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უშიშროებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უშიშროებას;

11. ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა - საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას და მათ ჩართვას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში;

12. კიბერუშიშროების განმტკიცება - საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციული სივრცის უშიშროებასა და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, იზრდება აღნიშნულ ტექნოლოგიებზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა აქვს კიბერდანაშაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში დივერსიული ტიპის აქტებისგან თავდაცვას;

13. დემოგრაფიული უშიშროება - ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების წახალისება, მათი შემდგომი რეინტეგრაციის ხელშეწყობა - ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია. 14. ურთიერთობა დიასპორასთან - საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გამყარება, დიასპორის წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

დოკუმენტში დახასიათებულია საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები: 1. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია არღვევს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია და იქ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს და ემუქრება ქვეყნას და მთლიანად რეგიონის უშიშროებას; 2. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი - რუსეთის ფედერაციის მთავარი მიზანია საქართველოს ქცევა არშემდგარ სახელმწიფოდ, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისათვის ხელის შეშლა და რუსულ ორბიტაზე ძალადობრივი გზით საქართველოს დაბრუნება. არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი, თუმცა საქართველოსადმი გამოხატული საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა, ამ რისკის მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია; 3.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა - 90-იანი წლების დასაწყისში და 2008 წელს განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, საცხოვრებელი ადგილი იძულებით დატოვა ამ ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებით 80%-მა, 500 000-მდე მოქალაქემ, რომელთაგან 261 000 ამჟამად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. საქართველოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპირებული რეგიონებიდან ძალადობრივი გზით გამოდევნილ პირთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევა; 4. კავკასიაში არსებული კონფლიქტები - მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეა. კავკასიაში არსებული კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს რეგიონის უშიშროებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების პოტენციური წყაროა; 5. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი - ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონები ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისათვის; 6. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები - სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება საქართველოს ეროვნული უშიშროების გამოწვევაა; 7. ენერგეტიკული გამოწვევები - საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვა-

ნია ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ, აუცილებელია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება. საქართველოს ენერგოუშიშროების გაზრდისათვის ასევე მნიშვნელოვანია სუფთა ენერგიის წყაროების შემდგომი განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; 8. კიბერსაფრთხეები - ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მზარდ დამოკიდებულებასთან ერთად, იზრდება ის გამოწვევები, რომლებიც ქვეყნის ინფორმაციული სივრცის დაცვასთანაა დაკავშირებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასობრივი კიბერთავდასხმები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უშიშროებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა; 9. ეკოლოგიური გამოწვევები - ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, მის ბიომრავალფეროვნებას და მოქალაქეების კეთილდღეობას; 10. დემოგრაფიული გამოწვევები - ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. დიდი გამოწვევაა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად და

უკანონოდ შეცვლის მცდელობები; 11. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები - ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ყველა მოქალაქის სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში; 12. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება – მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

კონცეფციის მიხედვით, საქართველოს უშიშროების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, რაც გულისხმობს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციას, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაციას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, ასევე, საქართველოს სურვილია, რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და დეოკუპაციის პროცესის დაწყების გარეშე; 2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება; 3. ჩართულობის პოლიტიკა; 4. საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების სისტემის განვითარება: 5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია – საქართველოს სუ-

ვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უშიშროებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას; 6. თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში - საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობლებთან თანამშრომლობას, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის გადაქცევას ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად. საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან; 7. საგარეო კავშირების განმტკიცება - საქართველოსთვის პრიორიტეტულია როგორც საგარეო პოლიტიკური კავშირურთიერთობების გაღრმავება, ისე საგარეო ვაჭრობის გაფართოება, ინვესტიციების მოზიდვა, სოციალური და კულტურული კავშირების განმტკიცება. საქართველო აღრმავებს სტრატეგიულ პარტნიორობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ესწრაფვის, მაქსიმალურად გამოიყენოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები. საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორია თურქეთი. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ბალტიის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, აგრეთვე, სკანდინავიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას, ასევე - მოლდოვასთან და ბელორუსთან; მიესალმება ამ უკანასკნელთა მონაწილეობას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარ-

ტნიორობაში. დიდ ყურადღებას უთმობს მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან, უზბეკეთთან და ტაჯიკეთთან. აფართოებს პოლიტიკურ დიალოგსა და ეკონომიკურ თანამშრომლობას ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან, კანადასთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან, ავსტრალიასთან, აგრეთვე, ლათინური ამერიკის, აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან. გრძელდება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან. საერთაშორისო თანამეგობრობასთან მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობა საქართველოს საგარეო და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მიიჩნევს, რომ გაეროს წამყვანი როლი უნდა შეასრულოს მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისა და არსებული კონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგების პროცესში. თვლის, რომ ეუთოს როლის შემდგომი ამაღლება ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოთა უშიშროების კიდევ უფრო განმტკიცებას. ევროპის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობას საქართველო განიხილავს საუკეთესო შესაძლებლობად პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებში ევროპული ღირებულებებისა და ნორმების დასამკვიდრებლად; 8. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; 9. ეკონომიკური უშიშროების პოლიტიკა; 10. ენერგეტიკული

უშიშროების პოლიტიკა; 11. განათლების პოლიტიკა; 12. სოციალური უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა; 13. კიბერუშიშროების პოლიტიკა; 14. ეკოლოგიური უშიშროების პოლიტიკა; 15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; 16. დემოგრაფიული პოლიტიკა; 17. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა; 18. დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკა.

როგორც ვნახეთ, დოკუმენტში განსაკუთრებული აქცენტი რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით კეთდება. აღნიშნულია, რომ არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი, რადგან 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის საბოლოო მიზანი იყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მარიონეტული რეჟიმების საერთაშორისოდ აღიარება, არამედ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ჩანაცვლება. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეა მეზობელი ქვეყნებიდან კონფლიქტების შესაძლო გადმოდინებაც.

საფრთხეების პარალელურად, ხაზგასმულია, რომ საქართველოს მიზანია ევროკავშირში ინტეგრაცია. დასახელებულია ის ქვეყნები, რომლებთანაც კავშირების განმტკიცება პრიორიტეტულია, კერძოდ, ეს ქვეყნებია ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინა და თურქეთი.

გარდა ამ საკითხებისა, უშიშროების კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოს მიზანია სიცოცხლის ხანგრძლივობის

გაზრდაზე ზრუნვა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების დაბრუნების უზრუნველყოფა, ასევე, დემოკრატიული ღირებულებების ინსტიტუტების გაძლიერება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, კანონის უზენაესობის, სიტყვის, აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლებისათვის ზრუნვა.

ამასთან, საქართველო აღიარებს, რომ კეთილდღეობისაკენ სწრაფვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყანა თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს ქმნის, რაც მცირე მთავრობის პრინციპში, დაბალ გადასახადებსა და მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის გატარებაში გამოიხატება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის ეროვნული უშიშროების დოკუმენტში ასახულია როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციები.

ეროვნული უშიშროების თემაზე მომუშავე მკვლევრები და ექსპერტები თვლიან, რომ კონცეფციაში გამოკვეთილია ბევრი დადებითი მხარე, მაგალითად, იმის აღიარება, რომ უშიშროებაში არ იგულისხმება მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური საქმიანობა, არამედ ის მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ურთიერთდამოკიდებულებას, ენერგოდამოკიდებულებასა და საშინაო მმართველობის ფორმებს. ამასთან, დადებითთან ერთად, მნიშვნელოვან ხარვე-

ზებსაც შეიცავს. სტრატეგიულ ანალიზზე უფრო მეტად ხაზგასმულია პოლიტიკური გზავნილები, უგულებელყოფილია მნიშვნელოვანი რისკები, არ არის გააზრებული საფრთხეები, შექმნილია არარეალური მოლოდინები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეალური წინააღმდეგობების მხედველობიდან გამორჩენა და უთანხმოება სხვა ქვეყნებთან; არასათანადოდ არის განხილული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (მისი ზრდის მდგრადობა, სიღარიბე და უმუშევრობა, კეთილდღეობაზე ზრუნვა, ეკონომიკური და სხვა შემოსავლების განაწილება) და პოლიტიკური საკითხები (პოლიტიკური პროცესებისგან გაუცხოება), კავკასიის არამდგრადი მდგომარეობა, ასევე, ქვეყნის დამოკიდებულება საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე. კონცეფცია გაკვრით ეხება რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების გარკვეულ მცდელობებს, გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი დასავლეთის (ევროკავშირისა და ნატოს) სურვილები და შესაძლებლობები, წვლილი შეიტანონ საქართველოს უშიშროებისა და წინსვლის საქმეში.

ამ სფეროში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე რეფორმების ანალიზი მოწმობს, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებას, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროების, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესის განსაზღვრას წინ უნდა უძღოდეს საქართველოს განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების კონცეპტუალურად ჩამოყალიბება და მისი სისტემური განხორციელების

მექანიზმების განსაზღვრა. სანამ ეროვნული უშიშროების კონცეფცია დაიწერება, მანამდე უნდა გაკეთდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და უმთავრესი ღირებულებების, სახელმწიფოს წინაშე არსებული საშინაო და საგარეო საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების საფუძვლიანი ანალიზი, რის შემდეგაც ამას უნდა მოჰყვეს ქვეყნის პოლიტიკური პრიორიტეტების კონცეპტუალური განსაზღვრება.

აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს განვითარების შემდეგი ძირითადი სტრატეგიული ამოცანები: **1. სახელმწიფოებრივი მშენებლობა** (სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; კონსტიტუციური პროცესის გაგრძელება; რეგიონული კონფლიქტების მოგვარება; სახელმწიფო მმართველობის სისტემის სრულყოფა; დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განვითარება; აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმა და გაძლიერება; სახელმწიფო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი მმართველობის სისტემის განვითარება; სასამართლო სისტემის რეფორმა და სამართალდაცვის სისტემის განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობათა განმტკიცება; სახელმწიფო საზღვრების დაცვა; სამხედრო მშენებლობა და სხვ.). **2. ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივ რესურსთა დაცვა. 3. საზოგადოებრივი მშენებლობა** (ადამიანის უფლებათა დაცვა; ეროვნული მთლიანობის გაძლიერება; სამოქალაქო საზოგადოების აშენება და სხვ.). **4. სოციალურ-კულტურული განვითარება** (სოციალური დაცვის სისტემის შექმნა და განვითარება; მიგრაციული პროცესების

მართვა; კულტურისა და განათლების განვითარება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და სხვ.). **5. ეკონომიკური რეფორმა და ეკონომიკური განვითარება** (მაკროეკონომიკური ხელსაყრელი გარემოს შექმნა; მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირება; საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; საერთაშორისო და რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში - ბისეკი, დსთ და სხვ. - აქტიური მონაწილეობა; ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმის ჩატარება; ეკონომიკურ უწყებათა რეორგანიზაცია; სტრატეგიული პრიორიტეტის მქონე სექტორების განვითარება: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, საბანკო და საფინანსო სექტორი; საექსპორტო წარმოების განვითარება და სხვ.).

სრულყოფილი ეროვნული უშიშროების კონცეფციის შექმნა ურთულესი პროცესია ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის - საქართველოსთვისაც, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ქვეყნის სიმცირე და რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა; არაპროგნოზირებადი სამეზობლო; ოკუპირებული ტერიტორიები; დაძაბულობის მუხტის მატარებელი ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონები; შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა და გამოწვევები და სხვ. ცხადია, რომ კონცეფციის შემქმნელებმა უნდა გაითვალისწინონ: სახიფათო შიდა გამოწვევები, რომლებშიც მოიაზრება ერთიანობის შენარჩუნებისა და დევნილთა პრობლემა, პო-

ლიტიკური არასტაბილურობა; არამდგრადი ჩრდილოეთ კავკასია; დასავლეთისათვის საქართველოს პერიფერიული მნიშვნელობა, მისი დამოკიდებულება გლობალიზებულ ეკონომიკაზე; სახელმწიფო რესურსების ადგილის შეცვლა სიღარიბის შესამცირებლად და დასაქმების გასაზრდელად; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება; სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო რესურსების ინვესტირება; საგარეო პოლიტიკის კონცენტრირება უშუალო მეზობლებთან უშიშროების პრობლემების მოსაგვარებლად, რამაც უფრო სიცოცხლისუნარიანი უნდა გახადოს ქვეყნის უშიშროების კონცეფცია და ხელი შეუწყოს ერთიანი, სტაბილური ქვეყნის ჩამოყალიბებას.

ფაქტია, რომ დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, რაც დიდწილად განაპირობებს ქართველი საზოგადოების შემდგომ წინსვლას. ქვეყნის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე ეროვნული უშიშროების არსებული სისტემა მიმართული უნდა იყოს ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე, ამ სისტემის მთავარი სტრუქტურული კომპონენტების ძირითადი პრინციპებისა და საქმიანობის საკანონმდებლო განმტკიცებაზე. ეროვნული უშიშროების საფრთხე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, მათ შორის - მისი ტერიტორიის ფარგლებგარეთაც. საქართველო საჭიროებს ეროვნული უშიშროების ურთიერთდაკავშირებული, ჩამოყალიბებული ამოცანებისა და პრობლემების ერთიან, საწყის კონცეპტუალურ

დოტრინას, მოდელს, რომელმაც უნდა განაპირობოს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. ამისათვის კი უნდა განისაზღვროს ყოველი მიმართულებით მართვის პოლიტიკები, ჩამოყალიბდეს უშიშროების სისტემის მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, დამუშავდეს უშიშროების სისტემის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ამგვარმა პრაგმატულმა ორიენტაციამ უნდა განაპირობოს ყოველი მისი შემადგენელი ნაწილის სტრუქტურა, რომელშიც უნდა აისახოს შესაბამისი პრობლემური სფეროს ორგანიზაციის რაციონალური საფუძვლები. ამ სტრუქტურის ძირითადი კომპონენტებია: 1. განსახილველი კონკრეტული მიმართულების განვითარების მთავარი სტრატეგიული ორიენტირები; 2. ძირითადი რისკები და საფრთხეები, რომლებიც მის რეალიზაციას ემუქრება; 3. ინდიკატორთა სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შესაბამის საფრთხეთა იდენტიფიცირება; 4. უშიშროების მართვის სისტემის ინსტიტუციური აგებულება: უშიშროების სისტემის მართვის პოლიტიკების ფორმირება, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ ხიფათთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზაციის მექანიზმების, აგრეთვე, ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო ყველა სახის რესურსის (ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური და ა.შ.) განსაზღვრას; მართვის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება; იმ სახელმწიფო (არასახელმწიფო) ინსტიტუტთა განსაზღვრა, რომლებიც უნდა იყვნენ ჩართული კონკრეტული სფეროს უშიშროების უზრუნველყოფაში; ექსტრემალურ

სიტუაციებში მოქმედების პროგრამის შემუშავება; უშიშროების სისტემის ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. 5. უშიშროების სისტემის ფორმირებისათვის ხელისუფლების უახლოესი მოქმედების რეალისტური მიზნების განსაზღვრა და სხვ.

მადესტაბილიზებელი ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული შედეგების მხოლოდ ლიკვიდაციით, რომ არ იყოს სახელმწიფო დაკავებული ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემას უნდა გააჩნდეს სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების საშუალება. ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი რესურსების რაციონალური ხარჯვა, ეროვნული უშიშროების სისტემის ფუნქციონირების მაღალი ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია, თუ მის მიერ უგულველყოფილია ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული სტრატეგიული ანალიზის, პროგნოზირებისა და მოდელირების პროცესი და იგი ძირითადად დაკავებულია მიმდინარე ოპერატიული საქმიანობით. აქედან გამომდინარე, საქართველოს სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ერთერთი უმთავრესი გარანტი შეიძლება იყოს ინფორმაციული ეპოქის შესაბამისი ერთიანი გამართული ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საშინაო და საგარეო საფრთხეთა მონინტორინგის ერთიანი ინფორმაციული სივრცის, საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას.

6.1.2. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა

ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში ფუნდამენტური წინაპირობაა ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სრულყოფილი სისტემის შექმნა, შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემის ჩამოყალიბება, რადგან სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, მისი სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას არსებული და პოტენციური საფრთხეების ჯეროვნად წინმსწრები გამოვლენა, მათი თავიდან არიდება, ანუ ტრანსნაციონალური საფრთხეების თავიდან არიდება, მისი მოქალაქეების კანონით დაცული ინტერესების უზრუნველყოფა; პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან, მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში.

ქვეყნის ეროვნული უშიშროების სახეებია: სამხედრო უშიშროება, ეკონომიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება, საინფორმაციო უშიშროება, სოციალური უშიშროება, ეკოლოგიური უშიშროება, ენერგეტიკული უშიშროება, სამართლებრივი უშიშროება და სხვ. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს სისტემურად კარგად აწყობილი ეროვნული უშიშროების კოორდინებული საქმიანობა, რადგან სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის წარმატებას გარკვეულწილად განაპირობებს

მისი უნარი, აირიდოს მოსალოდნელი საფრთხეები, უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეების უშიშროება და კანონით დაცული ინტერესები.

ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა უნდა დაეყრდნოს უმთავრეს პრინციპებს: კანონიერებას, ადამიანის უფლებებისა და მისი ძირითადი თავისუფლებების განუხრელ დაცვასა და პატივისცემას, ერთიან სახელისუფლებო მიდგომას, უწყვეტობას, გეგმურობას, საჯაროობასა და სამოქალაქო ჩართულობას. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ ქვეყნის კანონში განსაზღვრულია, რომ „უშიშროების პოლიტიკა არის საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად გაწეული საქმიანობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს შიგნით, ასევე მისი ფარგლების გარედან მომდინარე საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების გამოვლენას, მათ იდენტიფიცირებას, შეფასებას, თავიდან არიდებასა და აღკვეთას“. აქ ორიენტირია მთავარი ფასეულობები: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა; თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა; უშიშროება, კეთილდღეობა და მშვიდობა. ამ კანონმა განსაზღვრა ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროები, ამ პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის პროცესი, შესაბამისი მაკოორდინირებელი უწყებების უფლებამოსილებები. საქართველოს პარლამენტმა დაადგინა ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვის სფეროები და შესაბამისი კონცეპტუალური დოკუმენტების სახეები. ამავე კანონში 2019 წელს

შეტანილი ცვლილების მიხედვით, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროებია: სახელმწიფო თავდაცვა, საგარეო უშიშროება, შიდა უშიშროება, სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული უშიშროება, სამოქალაქო უსაფრთხოება, ინფორმაციული უშიშროება და მართლწესრიგი. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის პროცესი ხდება ერთიანი სახელისუფლებო მიდგომის პრინციპის შესაბამისად. კონცეპტუალური დოკუმენტების დასამუშავებლად იქმნება მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფი. მათ სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მთავრობის შესაბამისი დადგენილება.

კანონის მიხედვით, ქვეყანაში ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავების მაკოორდინირებელი უწყებაა „ეროვნული უსაფრთხოების საბჭო“, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. იგი იქმნება ეროვნული უშიშროებისა და ეროვნული ინტერესებისათვის რისკებისა და საფრთხის შემცველ პრობლემებზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინფორმირების, ასევე მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების, სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვა-კოორდინაციის მიზნით. უშიშროების საბჭო არის პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო. იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილებების მოსამზადებლად შეისწავლოს კანონით განსაზღვრული საკითხები. საბჭო ექვემდებარება უშუალოდ

პრემიერ-მინისტრს, საქმიანობას ახორციელებს კონსტიტუციის, სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავება ხორციელდება კონცეპტუალური და სხვადასხვა ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს ეროვნული უშიშროების კონცეფციას, საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს, უშიშროების სფეროში ეროვნულ სტრატეგიებს, უწყებრივ კონცეფციას, უწყებრივ სტრატეგიას, დოქტრინასა და პროგრამას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვა და უწყებათაშორისი კოორდინაცია ვერ პასუხობს სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს, ეს განსაკუთრებით გამოვლინდა, როდესაც 2014 წელს არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ოპოზიციური პარტიის „ჯინაზე" ხელოვნურად შეიქმნა „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო", რომლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო ეროვნული უშიშროების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, მაგრამ 2017 წელს ისიც გააუქმეს და მის ნაცვლად შეიქმნა მისგან სრულიად განსხვავებული ფუნქციების მქონე უწყება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. ამის შემდეგ 2018 წლის დეკემბერში კონსტიტუციაში ცვლილებების ამოქმედების შედეგად გაუქმდა ჯერ კიდევ 1996 წლის 24 იანვარს

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე შექმნილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსტიტუციო ორგანო, „საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო“.

პარლამენტის მიერ კანონში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა პრემიერის სათათბირო ორგანო „ეროვნული უსაფრთხოების საბჭო“, თვალნათელი გახადა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემის რეფორმირებამ გამოაჩინა მთელი რიგი ნაკლოვანებები (რომელთა შესახებაც გაკეთდა ექსპერტებისა და მკვლევრების არაერთი შეფასება: თეონა აქუბარდია, გიორგი ბილანიშვილი და სხვ.). საბჭოების გაუქმების შედეგად, სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავებასა და მის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი არსებული ორი საბჭოს ნაცვლად მოგვევლინა კოლეგიური ორგანო მთავრობა; პრემიერ-მინისტრს აღარ ჰყავს მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში, სახელმწიფოში შეფერხდა ეროვნულ დონეზე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესი. აღარ ხდება ქვეყნის საფრთხეების შეფასების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დოკუმენტის დროულად განახლება იმის შესამუშავებლად, თუ როგორ დაიგეგმოს უშიშროების უზრუნველყოფის შესაბამისი პოლიტიკა, რათა შემცირდეს სახელმწიფოს წინაშე წა-

მოჭრილი რისკები და გამოწვევები. და ბოლოს, სახელმწიფოში აღარაა სისტემაში მოყვანილი კრიზისების ეროვნულ დონეზე კოორდინაცია.

სახელმწიფოს აქვს უშიშროების საბჭოს არსებობის რამდენიმე წლიანი ინსტიტუციური პრაქტიკა. ამ ხნის მანძილზე იყო ხარვეზებიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, როდესაც იქმნება ახალი უწყება. ფაქტია, რომ კონსტიტუციამ ამ სფეროში შექმნა საკმაოდ მოუხერხებელი სისტემა, რომელიც ინფორმაციული ეპოქის თანამედროვე ომის წარმოებას არ შეესაბამება. ომის გამოცხადების შემთხვევაში, უშიშროების საბჭოც იქნება მუდმივმოქმედი ორგანო და თავდაცვის საბჭოც. კანონით, პრემიერ-მინისტრი იღებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას, შემდეგ უგზავნის მას პრეზიდენტს ხელმოსაწერად, შემდგომ კვლავ პრემიერი აწერს ხელს, მერე კი დაუყოვნებლივ ამტკიცებს პარლამენტი. შესაბამისად, ომის დროს პრემიერი არის თავდაცვის ძალების მართვაზე პასუხისმგებელი და ამავე დროს, ომის შემთხვევაში, თეორიულად ყველა პოლიტიკური დონის გადაწყვეტილების კოორდინაცია სწორედ მისდამი დაქვემდებარებულმა უშიშროების საბჭომ და მისმა აპარატმა უნდა მოახდინოს. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, ერთმანეთთან როგორ მიმართებაში არიან პრეზიდენტისა და პრემიერის საბჭოები, მით უფრო, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრეზიდენტის საბჭო არ არის მუდმივმოქმედი ორგანო და მას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული აპარატი.

დოკუმენტში ნათლად არ არის გამოკვეთილი, ომის საფრთხის შემთხვევაში, მოიწვევენ თუ არა პრეზიდენტს ან მის წარმომადგენელს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ეს კი ხელს შეუშლის საომარი მდგომარეობის საშიშროების დროს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებების სათანადოდ შესრულებას, განსაკუთრებით - იმ ნაწილში, როდესაც ომის გამოცხადებასთან გვექნება საქმე.

საკამათოა ის ფაქტიც, რომ პროექტის მე-19 მუხლში ჩამოყალიბებულია მთავრობის არამუდმივი წევრის, პარლამენტის თავმჯდომარის, ასევე კომიტეტების თავმჯდომარეების მოწვევის წესი, მაგრამ პრეზიდენტის ნაწილზე არაფერი წერია. მაშინ, როდესაც აუცილებლად უნდა არსებობდეს ომის საფრთხის დადგომისას საომარი მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტის ინფორმირებულობისა და შესაბამისი პოლიტიკური თათბირის გამოკვეთილი წესი, რადგან, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ეს ვერ იქნება თავდაცვის საბჭო.

მნიშვნელოვანია უშიშროების საბჭოს მდივნის საკითხი, რის თანახმადაც, პრემიერი ნებისმიერი წევრიდან ირჩევს საბჭოს მდივანს. ეს კი, ანუ პოლიტიკური ნიშნით უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრისგან საბჭოს მდივნის ფუნქციის დაკისრება დანიშნული მინისტრისათვის, არ არის შესაბამისობაში არც დასავლეთის პარტნიორი ქვეყნების და არც ქართულ გამოცდილებასთან. საგანგებო და საომარი სიტუაციის შემთხვევაში, საბჭოს ნებისმიერ წევრ მინისტრს,

რომელმაც უნდა შეასრულოს საბჭოს მდივნის მოვალეობა, მინისტრის კომპეტენციის ნაწილში აქვს საკუთარი სამსახურებრივი საქმე, ხოლო საბჭოს მდივნის ფუნქცია მას დამატებით დატვირთავს, რამაც შეიძლება შექმნას რისკები ამ მანდატის არასათანადოდ შესრულებისათვის. უფრო მეტიც, ეს დაბადებს როგორც პოლიტიკურ, ისე არსობრივი ტიპის რისკებს. საბჭოს წევრი ნებისმიერი მინისტრი საბჭოს მდივანი თუ გახდება, მიიღებს გადამეტებულ გავლენას როგორც პრემიერ-მინისტრზე, ისე საბჭოს საქმიანობაზე, რაც საბოლოოდ დააზიანებს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის სათანადოდ განხორციელების საკითხს.[161] საკონსტიტუციო შესწორებების შედეგად, პრეზიდენტი ინარჩუნებს სახელმწიფოს მეთაურისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის როლს, მაგრამ ეროვნული უშიშროების სფეროში საპრეზიდენტო კომპეტენციები მნიშვნელოვნად შეკვეცილია, მაშინ, როდესაც ქვეყნის უშიშროება სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას და მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან და სტრუქტურირებულ პროცესს მოითხოვს, ასევე - მკაფიო რეგულაციებსა და პროცედურებს სტრატეგიული დაგეგმვისა და პოლიტიკის შემუშავება-

[161] საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკაში არსებულ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ სიღრმისეული ანალიზი გააკეთა რონდელის ფონდის მკვლევარმა გიორგი ბილანიშვილმა. ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვასა და უწყებათაშორის კოორდინაციაში სერიოზული ნაკლოვანებები, ამ სფეროში არსებული სავალალო შედეგები წარმოჩინდა განსაკუთრებით საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის პერიოდიდან.

განხორციელებისათვის.[162] კანონში არ არის გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის, უმაღლესი მთავარსარდლის მონაწილეობა „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს“ მუშაობაში, რის გარეშეც მას ხელი შეეშლება იმ უფლებამოსილების განხორციელებაში, რომელიც მინიჭებული აქვს კონსტიტუციით. ბუნებრივია, პრეზიდენტი ვერ იქნება მთავრობის სათათბირო ორგანოს წევრი, თუმცა მისი კონსტიტუციური ვალდებულებების გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა გამონახულიყო სხდომებზე პრეზიდენტის დასწრების კანონით გაწერილი გზა.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასებით კი, კანონში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ ინიცირებული ცვლილებები ყოველთვის ვერ პასუხობს უშიშროების უზრუნველყოფაში არსებულ გამოწვევებსა და ამოცანებს. უშიშროების საბჭოს არა აქვს, მარტო არსებული ვითარების ანალიზიდან გამომდინარე, გარკვეული რეკომენდაციების გაცემის ფუნქცია, ზოგ შემთხვევაში შეუძლია მოამზადოს მაღალი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მაშინ, როდესაც, კონსტიტუციით, სახელმწიფოში აღმასრულებელი ორგანოს მიერ მაღალი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები მთავრობაა. ეროვნული უშიშროებისათვის

---

[162] თანამედროვე საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევის, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის დაგეგმვისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის სრულყოფის, ქვეყანაში უშიშროების სექტორის რეფორმის, ეროვნული უშიშროების არქიტექტურის ჩამოყალიბების პრობლემების სიღრმისეული ანალიზი გააკეთა ექსპერტმა ვასილ სიხარულიძემ.

კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, სახელმწიფომ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რაც, თავის მხრივ, აღმასრულებელი ფუნქციის განხორციელებას ნიშნავს. კონსტიტუციით კი, აღმასრულებელი როლი აქვს მთავრობას. ეს ნიშნავს, რომ საბჭოს ფარგლებში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების კანონიერი მექანიზმი მხოლოდ მთავრობის ხელში შეიძლება იყოს.

ეროვნული უშიშროების საბჭო, როგორც ანალიტიკური ცენტრი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან არსებობს, სტრატეგიულ დონეზე პოლიტიკის დაგეგმვის მანდატითაა აღჭურვილი და მას არ ექნება ოპერაციულ დონეზე ფუნქციონირების უფლებამოსილება. მაგრამ, პარალელურად ამისა, პრემიერ-მინისტრს მიანიჭეს სახელმწიფო ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი გარემოების პოლიტიკურ დონეზე ხელმძღვანელობის უფლებამოსილება, თუმცა დაუზუსტებელია, რა იგულისხმება საფრთხის შემქმნელი სიტუაციის პოლიტიკურ დონეზე მართვაში და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას ოპერაციულ დონეზე უშიშროების სამსახურების საქმიანობაში. ეს ჩანაწერი შექმნის პრემიერ-მინისტრის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, რეალურად ჩარევის რისკებს უშიშროებისა და ძალოვანი სისტემების საქმიანობაში.

დოკუმენტის მიხედვით, ეროვნული სიტუაციური ცენტრის დანიშნულებაა, გარკვეულ ვითარებაში მონაცემების სწრაფი მიღება და ამ მონაცემების ერთიან ფონზე შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების დამუშავება, მა-

გრამ გაურკვეველია, ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ ჩანაწერით იგულისხმება პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ იგი მოიაზრებს საკითხების გატანას მთავრობის სხდომაზეც და მთავრობის ამ გადაწყვეტილებით მის გაფორმებასაც. ამ კანონიდან არ ჩანს, როგორ მოხდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება ან მომზადება უშიშროების საბჭოს საქმიანობით გამოვლენილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სახელმწიფო ინტერესებისათვის საფრთხეების შემცველი კრიზისული სიტუაციის ცნებას, ეს კი შეიძლება მნიშვნელოვანი წინაპირობა ყოფილიყო უშიშროების საბჭოში გარემოების სწორი ანალიზისათვის. კანონში არ არის უშიშროების საბჭოს მიერ კონკრეტული დადგენილებების მიღებისა და აღსრულების ნორმები, კონტროლის მექანიზმები, მასთან დაკავშირებით სათანადო ორგანოებისა და პირთა ანგარიშვალდებულების წესები, ეს კი საბჭოს მუშაობას მაქსიმალურად დახურულს ხდის.

ამ კანონში ასევე არ არის დაზუსტებული, თუ რა იგულიხმება პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი გარემოების პოლიტიკურ დონეზე მართვაში, გულისხმობს თუ არა ეს მექანიზმი შესაბამის ვითარებებში აუცილებელი მითითებების ან შესასრულებელი დირექტივების გაცემას. კანონი ასევე არ განსაზღვრავს არც მართვის ფორმატში პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებების რაობასა და სათანადო საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს. ფაქტია, რომ უშიშროების სამსახუ-

რების პოლიტიზების რისკები უცილობლად იზრდება პოლიტიკურ თანამდებობაზე მყოფი პირების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი ასეთი დავალების გაცემით. კანონით, საბჭოს მდივანს ენიჭება უფლებამოსილება, გაუწიოს ორგანიზება საბჭოს საქმიანობას. ამავე დროს, პრემიერს გააჩნია ერთპიროვნულად უფლებამოსილება, საბჭოს რომელიმე წევრს დააკისროს შესრულება მდივნის მოვალეობისა. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს კონკრეტული წევრისათვის, საბჭოს მდივნის უფლებამოსილების დაკისრების თვალსაზრისით, ზოგადია. არ კონკრეტდება, თუ რის საფუძველზე იღებს პრემიერი საბჭოს წევრისთვის საბჭოს მდივნის უფლებამოსილების დაკისრების გადაწყვეტილებას. კანონში არ არის განსაზღვრული საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადაც, რამაც შეიძლება გაზარდოს რომელიღაც უწყების ხელში გადამეტებული უფლებამოსილების კონცენტრაციის რისკები. შემოთავაზებული რეგულაციით ადვილი შესაძლებელია საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება შს მინისტრს დაევალოს, მაშინ როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში არის საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი რგოლიც. აქედან გამომდინარე, შს მინისტრისათვის საბჭოს მდივნის უფლებამოსილების დაკისრების შემთხვევაში, იგი ერთდროულად უხელმძღვანელებს და იქნება პასუხისმგებელი საგანგებო სიტუაციების მართვის, საგამოძიებო და სამართალდამცავი უფლებამოსილებების მქონე უწყების

მიმართ, ამავე დროს, ორგანიზებას გაუწევს სახელმწიფო ინტერესებისათვის რისკის შემცველი კრიზისული ვითარების ადმინისტრირებას. ერთი სუბიექტის ხელში უფლებამოსილების ასეთი აკუმულირება კვლავ დააბრუნებს დღის წესრიგში შს მინისტრის ჭარბი კომპეტენციის საკითხს და ნეგატიურ გავლენას მოახდენს უშიშროების საბჭოს მუშაობის ეფექტიანობაზე. კანონით გათვალისწინებულია, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივ შემადგენლობაში უნდა იყვნენ პრემიერ-მინისტრი, ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელები, სუს-ის უფროსი, დაზვერვისა და თავდაცვის ძალების უფროსები. უშიშროების საბჭოში შემავალ ყველა ამ ორგანოს ყველა შემთხვევაში აქვს წვდომა ეროვნული ინტერესებისათვის რისკების შემცველ ინფორმაციაზე, მაგრამ კანონი არ განსაზღვრავს ამ ორგანოებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის რეჟიმს.

ამ კანონით განსაზღვრულია, რომ უშიშროების საბჭოს აპარატის უფროსს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი უშიშროების საბჭოს მდივნის წარდგინებით. უშიშროების მდივნის ფუნქცია ამ დროს, პრემიერ-მინისტრის დავალებით, უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა მუდმივმა წევრმა უნდა შეასრულოს. ასეთი რეგულაცია ვერაფრით უზრუნველყოფს უშიშროების საბჭოს აპარატის მართვაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას, პირიქით, საბჭოს აპარატის უფროსის დანიშვნის პროცესში მონაწილეთა სტატუსის გათვალისწინებით, შეიცავს უშიშროების საბჭოს აპარატის საქმიანობაზე პოლიტიკური გავლენის მნიშვნელოვან გამოწვევებს. რადგანაც გადაწყვეტილების მიმღები პირი შეიძლება უშუალოდ აღმოჩნდეს

პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი, კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტი.

სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელება დაკავშირებულია საქართველოს ეროვნულ ინტერესთა სივრცეში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე შესაძლო საფრთხეთა გამოვლენა-პროგნოზირებასა და მათი განეიტრალების პროგრამების შემუშავება-რეალიზაციასთან. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი საფრთხეთა შესაძლო რეალიზაციის შედეგად ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის თავიდან აცილება. საკუთრივ ეროვნული უშიშროების სისტემაში სტრატეგიული დაგეგმვის რეალიზაცია კი მოითხოვს უდიდესი მოცულობის ინფორმაციის მიღებას, დაგროვებას, გადამუშავებასა და ანალიზს. ცხადია, ასეთი მოცულობის სამუშაოს შესრულება შესაძლებელია თუ შესაბამის სისტემაში ჩართული ყველა დონის სახელმწიფო უწყება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების შესწავლას, ანალიზს, პროგნოზს, გადაწყვეტილებათა მოძებნას, ხოლო სისტემის მეშვეობით ახდენს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრებას, რის საფუძველზეც ქვეყნის უფლებამოსილ შესაბამის ინსტიტუტს შეეძლება მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები და მოქმედებაში მოიყვანოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ძალები და საშუალებები. ამ პროცესების რეალიზაცია

კი შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, ავტომატიზებული ინტელექტუალური სისტემების გამოყენების გარეშე.

6.2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

ინფორმაციული ეპოქის განვითარების ტენდენციებმა განაპირობა ის, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საინფორმაციო სივრცის სრულყოფილად ათვისება. ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა, ასევე პოლიტიკური, სამეცნიერო და სხვა პრაქტიკული მიზნებისათვის მათი გამოყენება შესაბამისი საინფორმაციო, ანალიზური, პროგნოზული და კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისება-მოხმარების საფუძველზე ხდება. ინფორმაციის დამუშავების პროცესის ყველა ეტაპი კი მოითხოვს შესაბამის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

6.2.1. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების საინფორმაციო სისტემები

სამეცნიერო ლიტერატურაში ტექნოლოგია ძირითადად მოიაზრება, როგორც სისტემაში მოყვანილი და საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველმყოფი კომპონენტების ერთობლიობა (ცოდნა, მეთოდები, ოპერაციები და წესები,

აგრეთვე, ნედლეულის, ენერგეტიკული, ტექნიკური, საკადრო, საორგანიზაციო, საინფორმაციო და სხვა რესურსები) ანუ ტექნოლოგია არის ადამიანის მიერ მართვადი აქტების (გარკვეული წესითა და თანამიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების) ერთობლიობა, რომელებიც ნივთიერებების, ენერგიისა და ინფორმაციის სახეების ცვლილებების პროცესს იწვევს.

ტექნოლოგიების განსაკუთრებული სახეა ინფორმაციული ტექნოლოგიები. აქ არის ორი მიმართულება, კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკური და ინტელექტუალური საშუალებები. ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკური საშუალებები მოიცავს პრესას, ტელევიზიას, სოციალურ ქსელებს, ინფორმაციის წყაროებს, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზებს, ინტერნეტის ქსელებსა და სხვა. ინტელექტუალური საშუალებები არის მეცნიერული საფუძველი, რომელთა ბაზაზეც იქმნება ახალი სერვისული გარემო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხთა კვლევაში.

ზოგადად **ინფორმაციული ტექნოლოგია** არის მეთოდიკური, პროგრამული, ტექნიკური და ორგანიზაციული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ფუნქციურ სტრუქტურაში ინფორმაციის დამუშავების განსაზღვრული ამოცანების გადასაწყვეტად და შეიცავს ინფორმაციის მეთოდური და კომპიუტერული დამუშავებისა და

გადაცემის, ინფორმაციის სახეობების, ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი რეალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა ერთიან კომპლექსში ინტეგრირების ტექნოლოგიებს.

ზოგადად ანალიზის ტექნოლოგია ეწოდება გარკვეული პროცესების (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვ.) შესახებ ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების მეთოდების, მათი დიაგნოსტიკის, ანალიზისა და სინთეზის, აგრეთვე, პოლიტიკური და სხვა სახის გადაწყვეტილებების სხვადასხვა ვარიანტის მიღების შედეგების შეფასების სპეციფიკური საშუალებების ერთობლიობას.

რაც შეეხება პროგნოზირების ტექნოლოგიებს, ისინი უფრო ანალიზის ტექნოლოგიების კერძო ნაირსახეობას მიეკუთვნებიან. მათი მეთოდოლოგიური მიდგომები ერთმანეთის ანალოგიურია, მაგრამ თუ ანალიზის ტექნოლოგიები ძირითადად რეტროსპექტივაზე ანუ უკვე მომხდარი მოვლენების ანალიზზეა ორიენტირებული, პროგნოზირების ტექნოლოგიები განკუთვნილია უფრო ანალიზის ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების მომავალში ექსტრაპოლაციისათვის.

საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების განხილვის ორგვარი მიდგომა არსებობს:

პირველი, პრაქტიკულ ამოცანათა რომელიმე კომპლექსის (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.) გადაწყვეტის საშუალება. ამ თვალსაზრისით, ისინი ხელს უწყობს პოლიტიკოსთა საქმიანობას. საინფორმაციო ანალიზის ტექ-

ნოლოგიები იძლევა დაფანტული მონაცემების, ინფორმაციული ფრაგმენტების ერთ სისტემად, მომხდარის მთლიან სურათად შეკვრისა და სხვადასხვა ძალის, სტრუქტურის, ინტერესთა ჯგუფის საქმიანობის პერსპექტივის პროგნოზირების საშუალებას; მეორე, მეცნიერული ცოდნის სპეციფიკა, რასაც განაპირობებს ანალიზის საქმიანობის სირთულე და მრავალმხრივობა.

ამასთან, იგი უკავშირდება მრავალ მეცნიერულ დისციპლინას, შესაბამისად, ისინი ერთმანეთს ავსებენ და საინფორმაციო ანალიზის ტექნოლოგიების ერთიან კომპლექსს ქმნიან. მაგალითად, ეს დისციპლინებია: სოციალური მეცნიერებები (პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და სხვ.) (კონცეპტუალიზება, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვება, პოლიტიკური ანალიზი და პროგნოზირება); ლოგიკა და მათემატიკა (სიტუაციური და მათემატიკური მოდელირება); ინფორმატიკა (ინფორმაციის ავტომატიზებული მოპოვება და დამუშავება, კომპიუტერული მოდელირება); ფსიქოლოგია (გადაწყვეტილების მიმღები პირების ფსიქოლოგიური ტესტირება, ადაპტაცია და ტრენინგი) და სხვ.

საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზაციისათვის აუცილებელია ცოდნის ფართო სპექტრი, ცალკეული მეცნიერული დისციპლინების მიდგომათა მრავალფეროვნების გადალახვის საჭიროება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ამ სფეროში დაკავებულ კად-

რებს. სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების სპეციალისტებს. მაშინ, როდესაც პოლიტიკური მოდელირების, საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში სულ უფრო ფართოდ გამოყენების მოთხოვნილება აუცილებელს ხდის ამგვარი სპეციალისტების მომზადებას.

არსებობს საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების კლასიფიკაციის სხვადასხვა წესი. შედარებით სრულყოფილია და სანიმუშოდ გამოდგება ტიპოლოგიზაცია, რომელიც ემყარება ოთხ საფუძველს: 1) ინფორმაციის შეკრების მეთოდები; 2) ინფორმაციის დამუშავების ხერხები; 3) სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტისადმი შემგუებლობის ხარისხი; 4) ტექნოლოგიური ციკლის დასრულების ხარისხი.

საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების კლასიფიკაციის სისრულისათვის აუცილებელია სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც, მაგალითად, საბოლოო ინფორმაციული პროდუქტის ხასიათი, ფაქტოგრაფიული ინფორმაციის ანალიზის მეთოდი, პროგნოზირების წესები, გადაწყვეტილებების ვარიანტების სინთეზის ხასიათი, მათი მიღების მეთოდები.

კომპიუტერული სიტუაციური ანალიტიკურ-პოლიტიკური ცენტრები ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან არის ჩამოყალიბებული. ეს

სტრუქტურები უნიკალური ლოკალური ქსელებია, რომლებთანაც მიერთებულია ინფორმაციის გარე წყაროები, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს არა მარტო პოლიტიკური სიტუაციის მოდელირება, არამედ მუდმივად მოამარაგოს იგი ცინცხალი და აქტუალური ინფორმაციით, მაღალი სიზუსტით გააკეთოს საკვლევი სიტუაციის პროგნოზირება და შეიმუშაოს გადაწყვეტილებათა ვარიანტები ეფექტური მართვისათვის. მსოფლიოში საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ცენტრია ცნობილი. მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტ *დუაიტ ეიზენჰაუერის* (Dwight D. Eisenhower; 1890-1969) მიერ 1958 წელს შექმნილი, 3.5 მილიარდი დოლარის ბიუჯეტის მქონე, „თავდაცვის მოწინავე კვლევითი პროექტების სააგენტო" (Defense Advanced Research Projects Agency, DARPA); დაზვერვის სფეროში მოწინავე კვლევების სააგენტო (Intelligence Advanced Research Projects Activity, IARPA) აშშ, კორპორაცია RAND (Corporation, Researches and Development Corp.) აშშ და სხვ.

მოცემული პრობლემის არსობრივი ასპექტების ზოგადმა ანალიზმა სრულყოფილი სახე რომ მიიღოს, საჭიროა გაკეთდეს კონკრეტული ანალიზის ტექნოლოგიის დემონსტრირება. მაგალითისათვის შეიძლება განიხილულ იქნას საქა-

რთველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების გამოყენების მოდელი.[163]

დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და მისი გამოყენების, აგრეთვე, მოვლენების მუდმივი ხედვის არეში მოქცევის ამოცანის გადაჭრის მოთხოვნილება პრინციპულად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს (ტრადიციული ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიებისგან განსხვავებულისას), რომლის რეალიზება შესაბამისი კომპიუტერული სისტემის ბაზაზე ხდება. ამ სისტემის სპეციფიკა ისაა, რომ, ჯერ ერთი, აუცილებელია დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა, ამასთან, ამ მოცულობიდან სწრაფად უნდა მოხდეს ნებისმიერი გამოთხოვილი ამორჩეული ინფორმაციის წარმოდგენა, მიეცეს მას შესაბამისი სახე (მოთხოვნის მიხედვით) და დამუშავდეს ფორმალურად. ეს ყველაფერი უნდა უზრუნველყოს კომპიუტერმა. ამასთანავე, აუცილებელია ადამიანის მიერ თვალყურის დევნების პროცესში შესრულებული ინტელექტუალური ოპერაციების სისრულის უზრუნველყოფა, კერძოდ: **ინფორმაციის აზრობრივი ინტერპრეტაცია; ინფორმაციის მსგავსებადობის დონის განსაზღვრა; ინფორმაციის სისრულის, უტყუარობისა და არაწინააღმდეგობრიობის ხარისხის შეფასება; ინფორმაციის თვისებების შეფასება,**

[163] აღნიშნული თეორიული მოდელი შემუშავდა 1996 წელს ვ. კუპრაშვილის (ხელმძღვანელი), კ. ოდიშარიას და თ. შარაშენიძის მიერ.

რომელიც გამომდინარეობს ინფორმაციაზე თვალის მიდევნების მიზნებიდან; ინფორმაციის განზოგადება, დასკვნების ფორმირება და სხვ.

აუცილებელია საქართველოში არსებობდეს ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ცენტრი, რომლებიც ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ინსტიტუტებთან კავშირში ხელსშეუწყობენ საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული უშიშროების პოლიტიკის (სტრატეგიული ამოცანების) შემუშავებასა და განხორციელებაში; ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული მიმდინარე (ტაქტიკური) ამოცანების გადაწყვეტაში; ეროვნული უშიშროების პრობლემებზე ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასა და მათი შესრულების კონტროლში.

ეროვნულ უშიშროებას პრობლემები ექმნება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროებში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ.). ასეთი პროცესებისათვის დამახასიათებელი ნიშნების დროულმა გამოვლენამ უნდა უზრუნველყოს მათ წინააღმდეგ ზემოქმედებისათვის ორიენტირებული წინმსწრები გადაწყვეტილებების ფორმირება და რეალიზაცია.

ამ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად აუცილებელია განისაზღვროს:

- ზემოქმედების მიზანი, ფორმა;
- ადგილი (სივრცობრივი ან სტრუქტურული);
- დრო (პერიოდი);

- ობიექტი.

პირველი ორი ასპექტის განსაზღვრება გადაწყვეტილების მიმღების პრეროგატივაა, ხოლო დანარჩენი ასპექტების განსაზღვრისათვის აუცილებელია მუდმივი თვალყურის დევნება და სიტუაციის ოპერატიული ანალიზი. აქედან გამომდინარე, მაგალითად, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და მის აპარატს ამ ამოცანების გადაწყვეტაში თავისი ფუნქციების შესასრულებლად დიდი მოცულობის ინფორმაციის მოპოვება, თავმოყრა, დამუშავება და ანალიზი სჭირდება.

პრობლემის მოგვარების პროცესი თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში ერთიანი საინფორმაციო სივრცის (მათ შორის, კიბერსივრცის) შექმნას. ზოგადად ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცე, რომელიც, ამავე დროს, მსოფლიო საინფორმაციო სივრცის ნაწილს წარმოადგენს, არის ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გავრცელების საშუალებებისა და პირობების ერთობლიობა. ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა თავის მხრივ გულისხმობს:

- ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ამოცანების თითოეული კლასისათვის საჭირო მონაცემებისა და დოკუმენტების მასივების განსაზღვრას;
- ოპერატიული ინფორმაციის (მონაცემების, დოკუმენტების) მოპოვების, დაგროვებისა და გავრცელების წესის დადგენას;
- ოპერატიული ინფორმაციის მომპოვებელი ორგანოს (ორგანოების) სტრუქტურის, სტატუსის და მუშაობის წესის გარკვევას;

- ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამუშავებას.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვისაც, ვინაიდან სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების და მათთვის შექმნილი ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონირება შეუძლებელია ამ საინფორმაციო სივრცეში არსებული მონაცემთა და დოკუმენტთა მასივების გარეშე.

ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ზემოქმედი სიტუაციის ცვალებადობის მაღალი დინამიკის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დროის რეალური მასშტაბით მოვლენათა მსვლელობაზე მუდმივი თვალყურის დევნება, რათა დროულად გამოიკვეთოს კრიზისული სიტუაციის მომწიფების ნიშნები, აგრეთვე, უზრუველყოფილ იქნეს სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი რგოლის დონეზე მოტივირებული გადაწყვეტილებების (რომლებიც მიმართული იქნება წარმოქმნილი კრიზისული სიტუაციების გადასალახავად ან სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ მათი მიმართულებების ორიენტაციის შესაცვლელად) მიღების პროცესის შესაბამისი საინფორმაციო მხარდაჭერა.

საჭიროა იმგვარი სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების ხარისხიანი და ეფექტური პროცესის ორგანიზაციის ხუთი ურთიერთდაკავშირებული პრინციპი:

- დროის რეალური მასშტაბი;
- მოხერხებული და ამომწურავი ინფორმირება;

- პასუხისმგებლობა;

- ადამიანისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობათა ოპტიმალური შეხამება;

- ადაპტირების მაღალი ხარისხი, ავტომატიზებული საშუალებების ევოლუციური დანერგვა ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლის მიერ უკვე გამოყენებული ყველა აპრობირებული და ჩვეული მეთოდის ადაპტაცია.

ამასთან, გამოყენებული უნდა იქნეს მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ისეთი პროგრამული პაკეტები, რომლებიც:

- იძლევა მოდელირების, პროგნოზირების და ექსპერტული სისტემების აგების, აგრეთვე, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებთან ინტეგრირების საშუალებას;

- საბოლოო შედეგებს (პროგნოზებს) წარმოადგენს ეფექტურად (სწრაფად), თვალსაჩინოდ და ადვილად აღსაქმელად;

- შეაფასებს საწყისი ინფორმაციის სიზუსტეს, ვინაიდან საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ხარისხზე;

- იქნება გამოსაყენებლად მარტივი, ხოლო მომხმარებლის ინტერფეისი მოხერხებული და ნაცნობი.

ამ ამოცანების რეალიზაციის მოთხოვნები განაპირობებს სახელმწიფოში საინფორმაციო-ანალიზის და საინფორმაციო-პროგნოზირების სპეციალური ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - სპეციალური ავტომატიზებული სისტემა

ან სისტემა) შექმნის აუცილებლობას, რომელმაც სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე უნდა:

- მოახდინოს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტული სფეროების მიმდინარე მდგომარეობის ინფორმაციული ანასახის მუდმივი ანალიზი;
- გამოავლინოს ამ სფეროებში სიტუაციის განვითარების ტენდენციები, აგრეთვე, მათ მდგომარეობაზე ზემოქმედი ცვლილებები და გადახრები;
- დააგროვოს ცოდნა ამგვარი ცვლილებებისა (გადახრების) და შედეგების მიზეზების შესახებ;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე წარადგინოს აუცილებელი ინფორმაცია სისრულისა და უტყუარობის გარანტიით, ადეკვატურ და ადვილად ინტერპრეტირებადი ფორმით და დროის საჭირო მომენტში.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, აღნიშნულმა სისტემამ უნდა იმუშაოს პრინციპულად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის საფუძველზე, რომელიც განსხვავებული იქნება ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების ტრადიციული ტექნოლოგიებისაგან. წარმოდგენილი ტექნოლოგია შემდეგ ძირითად დებულებებს ეფუძნება:

- მან გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის მონაწილეები უნდა უზრუნველყოს თვალყურსადევნებელი საქმიანობისა და გარემოს (რომელშიც ეს საქმიანობა ხორციელდება) ინტერპრეტატორით;

- უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დამუშავებაში ადამიანისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობათა ოპტიმალური შეხამება, როდესაც ყველა ინტელექტუალურ ოპერაციას სახელმწიფო ინტერესების სფეროებში ასრულებს ადამიანი (სპეციალისტი), ხოლო კომპიუტერული კომპონენტი უზრუნველყოფს ამ სპეციალისტებისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ სახელმწიფო ინტერესების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენის, მათი განვითარების შესაძლო ტენდენციების პროგნოზების გაკეთების და წინმსწრები გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ეფექტურად განახორციელების შესაძლებლობებს;

- უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის ყველა მონაწილის რეგლამენტირებული ურთიერთქმედება და ინფორმაციული მომსახურების ფუნქციის ერთობლივი რეალიზაცია.

მოკლედ, ამ სპეციალური ავტომატიზებული სისტემის დანიშნულებაა დაეხმაროს ეროვნული უშიშროების საბჭოს მისი ფუნქციების შესრულებაში და ამ გზით ხელი შეუწყოს ქვეყნის ხელისუფლებას ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში უნდა შეგროვდეს მონაცემები ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე. მონაცემები სისტემაში სულ

ცოტა სამი სხვადასხვა დონის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

პირველ დონეზე, მონაცემთა გადამუშავების საფუძველზე, მოხდება ოპერატიული ინფორმაციის მიღება ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებსა და პრობლემებზე. ოპერატიული ინფორმაცია მალგანახლებადი, პირველადი, რუტინული ინფორმაციაა. ოპერატიული ინფორმაცია ქმნის იმის საფუძველს, რომ სახელმწიფო უწყებამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გააანალიზოს ქვეყნის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები და პრობლემები, განახორციელონ სიტუაციის პროგნოზირება, გამოიმუშაოს წინმსწრებ გადაწყვეტილებათა შესაძლო ვარიანტები. ამით ფაქტობრივად ჩამოყალიბდება ტაქტიკური ინფორმაცია (მეორე დონე), რომლის საფუძველზეც ეროვნული უშიშროების საბჭო შეძლებს გამოიმუშაოს ინტეგრირებული სტრატეგიული ინფორმაცია.

სტრატეგიული ინფორმაცია არის მთელი ქვეყნის მასშტაბით სიტუაციების შეფასება, ანალიზი, გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებათა შესრულებით მიღებული შესაძლო შედეგების პროგნოზები, ეროვნული უშიშროების კონცეფცია, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. ამ ჯაჭვში მთავარი კომპონენტებია ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტამაც უნდა განამტკიცოს სახელმწიფოს განვითარება და მოიცვას

ეროვნული უშიშროების გადაწყვეტის საშინაო, საგარეო, სამხედრო, სადაზვერვო, ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა საკითხები.

მონაცემები, როგორც სპეციალური ავტომატიზებული სისტემისათვის სტრატეგიული რესურსი, უნდა აკმაყოფილებდეს უტყუარობის, ოპერატიულობისა და კონფიდენციალურობის მოთხოვნებს. მონაცემების უტყუარობა და მათი მოპოვების დროულობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებებმა. სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოპოვებული მონაცემების ოპერატიული გადამუშავება, რაც გულისხმობს ინფორმაციის მინიმალური დაყოვნებით გადაცემას პირველი დონიდან უმაღლეს დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება საბოლოო გადაწყვეტილებათა ცდომილებები.

გადამუშავების პროცესში, თუ ის დიდი დაყოვნებით ხდება, მცირდება ინფორმაციის უტყუარობის დონე, ვინაიდან პროცესები, რომლებსაც ინფორმაცია ასახავს, განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდის. ამ უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილება იოლად შეიძლება, თუ სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში გამოვიყენებთ მონაცემთა დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს და სწორად წარვმართავთ დამუშავების პროცესს. ინფორმაციის დამუშავების ამგვარ ამოცანათა რეალიზაციისათვის უნდა არსებობდეს ან უნდა შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებები:

- დროული და სრული ინფორმაციის მოპოვების;
- შემოსული ინფორმაციის შერჩევის, აღრიცხვისა და კლასიფიკაციის;

- აღრიცხული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების;

- ინფორმაციის ხარისხის შეფასების;

- დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმირების;

- ინფორმაციის მუდმივი თვალყურისდევნების მიზნიდან გამომდინარე - შეფასების.

ქვეყნის უშიშროებას შეიძლება სხვადასხვა გარე თუ შიგა ძალები ემუქრებოდეს, რომელთა საქმიანობაში, როგორც წესი, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ მათი მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებათა ამოცნობას და მათი შესრულების ჩაშლას. ამდენად, სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის დაცვა უცილობელი პირობაა. შესაბამისად საჭიროა დამუშავდეს ინფორმაციის დაცვის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ამ მოკლე ანალიზის შემდეგ შეიძლება დახასიათდეს ჩამოსაყალიბებელი ავტომატიზებული სისტემა და განისაზღვროს მისი ფორმირების ძირითადი მიმართულებანი:

- ყველა ნიშნით იგი უნდა იყოს იერარქიული ორგანიზაციული მართვის სისტემა;

- უნდა შევიდეს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სპეციალური დანიშნულების სისტემათა კლასში;

- უნდა მივაკუთნოთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განფენილ განვითარებად ავტომატიზებულ სისტემათა

კლასს.

პირველი ნიშნის თანახმად, სპეციალური ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების მეთოდიკა. მეორე ნიშანი ის არის, რომ ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის დაცვას და მთელი სისტემის საიმედოობას, მუშაობის რეჟიმებს. მესამე ნიშანი გამომდინარეობს იქიდან, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფოს უშიშროებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო უწყებამ, რეგიონული და ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანომ. ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა მოიცვას ყველა ეს რგოლი, რაც განაპირობებს მის სირთულესა და შექმნის ეტაპობრიობას. რომლის განვითარება გულისხმობს მისი ეტაპობრივად შექმნისა და დროთა განმავლობაში მისი მოდერნიზაციის განხორციელების შესაძლებლობას.

მართვის ორგანიზაციული სისტემის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- სისტემის ფუნქციური სტრუქტურის განსაზღვრა (იერარქიის დონეთა რიცხვისა და ქვესისტემების არჩევა);
- მართვის ორგანიზაციის პრინციპების არჩევა, ე.ი. უნ-

და დადგინდეს დონეებს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულება (ეს უკავშირდება სხვადასხვა დონეს შორის ამოცანათა მიზნების შეთანხმებას და მათი მუშაობის სტიმულირებას, უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობის განაწილებას, გადაწყვეტილებათა მიღების კონტურების ორგანიზებას);

- ავტომატიზებულ სისტემასა და ადამიანებს შორის შესასრულებელ ფუნქციათა ოპტიმალური განაწილების დამუშავება;

- დონეებს შორის ინფორმაციის გაცვლის სატელეკომუნიკაციო სისტემის სტრუქტურის განსაზღვრა;

- სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევა.

საინფორმაციო სისტემის სტრუქტურის იერარქიულობას განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრის (პრეზიდენტის) მიერ უშიშროების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი.

რაც შეეხება ადამიანსა და სისტემას შორის ფუნქციათა გამიჯვნას, გამოყენებული უნდა იყოს ზოგადი მიდგომა:

- ამოცანები, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე უნდა დასვას ადამიანმა;

- საბოლოო გადაწყვეტილებები, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე უნდა მიიღოს ადამიანმა;

- მონაცემთა ინტელექტუალური დამუშავება, გადაწყვეტილებებისა და გეგმების შემუშავება, მოვლენათა პროგნოზირება, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დონეზე სისტემასთან დიალოგში უნდა განახორციელოს ადამიანმა.

მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის სატელეკომუნიკაციო სისტემამ მთლიანად უნდა უზრუნველყოს სისტემის ავტომატიზებული ობიექტების ურთიერთდაკავშირება. ორგანიზაციული სტრუქტურის იერარქიულობა ფაქტობრივად ისეთივე უნდა იყოს, როგორც მთელი სისტემისა, და მისი ფორმირება ნიშნავს:

- ავტომატიზაციის ობიექტების ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრას (ლაპარაკია კონკრეტულად სახელმწიფო უწყების იმ ქვედანაყოფებზე, რომლებიც სისტემაში ჩაბმულია);
- ავტომატიზაციის ობიექტების ქვედანაყოფებისა და ცალკეული თანამდებობის პირების ფუნქციური მოვალეობების დადგენას;
- გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცედურების ზუსტ განსაზღვრას;
- დოკუმენტების ურთიერთგაცვლას დონეებს შორის;
- შესრულების კონტროლსა და სისტემის ყველა რგოლის მოქმედების შეფასებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს საკუთრივ სისტემის ავტომატიზაციის საშუალებათა კომპლექსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დამუშავების აუცილებლობა. ეს არის სისტემაში ინფორმაციის დაცვის ორგანიზება და მთელი სისტემის ტექნიკური მომსახურება. ამრიგად, სპეციალურ საინფორმაციო სისტემას შექმნის მისი ფუნქციური და ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, ასევე ავტომატიზაციის ობიექტები იქნება ამ ორი სტრუქტურის ერთობლიობა.

როგორც აღინიშნა, სისტემა უნდა იყოს სამდონიანი იერარქიული სტრუქტურის მქონე ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებულ სისტემა:

1. ქვედა დონე (პირველი დონის ობიექტები) უნდა შექმნას სახელმწიფო უწყებებმა, რეგიონული და ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანოებმა. სისტემაში წარმოდგენილი უნდა იყოს საუწყებო საინფორმაციო-ანალიზური ცენტრების მეშვეობით;

2. საშუალო დონე (მთავარი ობიექტი) - ეროვნული უშიშროების საბჭომ და მისმა აპარატმა. სისტემასთან დაკავშირებული იქნება საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მეშვეობით;

3. უმაღლესი დონე (მეთაური ობიექტი) - პრემიერ-მინისტრის (პრეზიდენტის), პარლამენტის თავმჯდომარისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის სამუშაო ადგილებმა. სისტემაში წარმოდგენილი იქნება სამუშაო ადგილების სახით.

ექსპერტ-ანალიტიკოსები ცენტრის გამოთვლითი რესურსების მეშვეობით განახორციელებენ ოპერატიულ მუშაკთა ჯგუფის მიერ მოპოვებულ და ოპერატორთა მიერ სისტემაში შეტანილი მონაცემების ინტელექტუალურ დამუშავებას და შედეგებს სახელმწიფო უწყების პირველ პირს (კომისიას, საბჭოს და ა.შ.) წარუდგენენ. ზემონათქვამი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ:

1. სპეციალური ავტომატიზებული სისტემის ფუნქციური სტრუქტურა შემდეგი ქვესისტემებისაგან (სისტემებისაგან) უნდა შედგებოდეს:

- ინფორმაციული უზრუნველყოფის;
- გადაწყვეტილებათა მიღების;
- მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის;
- მისი ფუნქციონირების მართვის;
- მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის სატელეკომუნიკაციო ქსელი;
- ინფორმაციის დაცვის სისტემა.

2. სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემას შემდეგი სახის უზრუნველყოფა უნდა ჰქონდეს:

- საკადრო; ტექნიკური;
- ინფორმაციულ-ლინგვისტური;
- მათემატიკური და პროგრამული;
- სამართლებრივი;
- ორგანიზაციული.

სპეციალური ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელობას ოპერატიულად მიაწოდოს ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ინფორმაციული მომსახურება სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემაში შემდეგი სახის ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს:

1. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის (მათი მოთხოვნების შესაბამისად) ნებისმიერი (სისტემაში არსებული) საინფორმაციო-საცნობარო ინფორმაციის მიწოდება;

2. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებზე ანალიზური და სხვა სახის ინფორმაციის დამუშავება და წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით მიწოდება;

3. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციათა გამოვლენა და შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის.

საცნობარო ინფორმაცია მეთაურ ობიექტს უნდა მიეწოდოს როგორც მთავარი, ისე პირველი დონის ობიექტებიდან. საჭიროების შემთხვევაში პირველი დონის ობიექტებიდან მიღებული ინფორმაცია მთავარ ობიექტში უნდა გადამოწმდეს. რეგლამენტური ინფორმაციის ფორმირება აუცილებლად მთავარ ობიექტზე უნდა მოხდეს და ისე მიეწოდოს მეთაურ ობიექტს. საგანგებო ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც მთავარი, ისე პირველი დონის ობიექტები. პირველი დონის ობიექტებიდან საგანგებო ინფორმაცია ერთდროულად უნდა მიეწოდოს მეთაურ და მთავარ ობიექტსაც, ამ დროს გამოყენებული უნდა იყოს პირველი დონის ობიექტის ხელთ არსებული არხები.

ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგანგებო ინფორმაციის ფორმირებას. საგანგებო ინფორმაციის შემუშავება დაკავშირებულია სპეციალური სკალის ფორმირებასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა შეფასდეს ქვეყნის უშიშროების წინაშე წარმოქმნილი პრობლემის სიმწვავე, რაც განსაზღვრავს აღნიშნული ინფორმაციის გადაცემის ოპერატიულობას და მისი განხილვის წესსა და რიგს. აქვე უნდა დამუშავდეს პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები და მათი განხორციელების შესაძლო პროგნოზები.

დასმული ამოცანიდან გამომდინარე, სპეციალურმა ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროების მრავალასპექტიანი შეფასებისათვის საჭირო მონაცემების მოპოვების, თავმოყრის, შენახვის, ძებნისა და გადაცემის პროცესების ავტომატიზება. ეს მოთხოვნა დაკავშირებულია: ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებასა და ტაქტიკური და სტრატეგიული ინფორმაციის შემუშავებასთან. ფაქტობრივად, ინფორმაციის ეს სახეები ის სტრატეგიული რესურსია, რომელზეც დაფუძნებულია როგორც ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა, ისე ქვეყნის მართვაც.

სპეციალურმა ავტომატიზებულმა სისტემამ ასევე უნდა გააადვილოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების ანალიზი, გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავება და მათი შესრულების შედეგების პროგნოზირება. ეს მოთხოვნა მთლიანად დაკავშირებულია

ოპერატიული მონაცემების ინტელექტუალურ დამუშავებასთან, რის შედეგად სისტემასთან დიალოგში შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საცნობარო და რეგლამენტური, ისე საგანგებო ინფორმაციაც.

ამ მოთხოვნის ძირითადი არსი ისაა, რომ სისტემის მეშვეობით შემუშავდეს ალტერნატიული გადაწყვეტილებები და გაკეთდეს შესაბამისი პროგნოზი, რომელიც შემდგომ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას წარედგინება. საჭიროა, სისტემის მეშვეობით გადაწყვეტილებათა გამომუშავების ასეთი სქემის დანერგვა:

1. საგანგაშო ინფორმაციის გამომუშავების სქემისაგან განსხვავებით, რეგლამენტური ინფორმაციისათვის ამოცანათა კლასებში შემავალი ქვეამოცანების ანალიზი, გადაწყვეტილებათა ვარიანტების დამუშავება და პროგნოზი უნდა ხდებოდეს პირველი დონის ობიექტებზე;

2. მთავარ ობიექტზე მთლიანად ამოცანათა კლასების მიხედვით უნდა ხდებოდეს გაანალიზება, პროგნოზი და გადაწყვეტილებათა ვარიანტების დამუშავება;

3. ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსახორციელებლად მიეწოდება პირველი დონის ობიექტებს, რომლებიც მართავენ მათი რეალიზაციის პროცესებს, რაც აუცილებლად მოითხოვს ტაქტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ ყველა კლასის ამოცანის გადასაწყვეტი საქმიანობა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისაგან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას მოითხოვს. აქ შეიძლება სხვადასხვა მიდგომასთან გვქონდეს საქმე:

1. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების შერჩევის, დაპროექტების, სისტემური პროგრამების სრულყოფილი თეორიული და მეთოდური საფუძვლების მომზადებისა და დანერგვის მიზნით, შეიძლება აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში სამეცნიერო დაწესებულებები ჩართოს, რისთვისაც:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან ერთად უნდა განახორციელოს: შეკვეთილი პრობლემის პარამეტრიზაციის, კონცეპტუალური ალგორითმის მომზადების, პარამეტრთა წონადობებისა და პროგრამული მოდელის განსაზღვრის, მათემატიკური და პროგრამული ალგორითმების შემუშავების სამუშაოები;

- სისტემური პროგრამების თეორიული და სტრატეგიული უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებითი თანამშრომლობის საფუძველზე გამოყენებულ უნდა იქნეს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და კვლევითი ცენტრების სამეცნიერო პოტენციალი.

2. თითოეული კლასის ამოცანისათვის უნდა გამოიყოს პირველი დონის ობიექტი, რომელიც ითავებს ამოცანათა კლასისათვის ანალიზების, გადაწყვეტილებათა ვარიანტების მომზადებასა და პროგნოზების გათვლას, და წარუდგენს

მთავარ ობიექტს, რომელიც გამოიმუშავებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ვარიანტებს.

6.2.2. ეროვნული უშიშროების საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების საინფორმაციო სისტემების პრაქტიკაში განხორციელების ზოგიერთი ასპექტი

წინა პარაგრაფში განხილული თემა, საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზების თვალსაზრისით, გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული ანალიზისა და გლობალური მოდელირების ავტომატიზებული სისტემა „დიდგორის" დაპროექტებისას 1996-1997 წლებში (სამწუხაროდ, ხელისუფლებების ცვლილებების შემდეგ აღარ მიეცა განვითარების საშუალება).[164]

სისტემა „დიდგორი" იძლეოდა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო უწყებები გაცნობოდნენ ინფორმაციებს იმ საჭირო საკითხებზე, რომელთა ჩამონათვალიც ასევე მკაცრად იყო რეგლამენტირებული.

---

[164] მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტისა (ე. შევარდნაძე) და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის (ნ. საჯაია) მხარდაჭერისა სისტემა „დიდგორის" განხორციელება მაშინდელი კორუმპირებული მინისტრებისა და ჩინოვნიკების გარეგნულად შენიღბულ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგანაც სისტემის ამოქმედებით საბჭოსათვის სამინისტროებისა და სხვა უწყებების საქმიანობა გამჭვირვალე ხდებოდა, რაც ყოვლად მიუღებელი იყო კორუფციის ჭაობში ჩაფლული სახელმწიფო აპარატისათვის. სისტემის შექმნაზე მუშაობდნენ: ჰ. კუპრაშვილი (ხელმძღვანელი), თ. შარაშენიძე, კ. ოდიშარია, რ. კუკავა, დ. ლეკიშვილი.

„დიდგორის“ მმართველი ობიექტი ფლობდა ნებისმიერი სახის ინფორმაციას (ეკონომიკა, პოლიტიკა...) სამართავი ობიექტის შესახებ დროის ნებისმიერ მომენტში. სისტემა უზრუნველყოფდა: ოპერატიულობას; ინფორმაციის მაღალ სიზუსტეს; დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავებას.

სისტემა „დიდგორში“ მუშაობა გულისხმობდა ორი მიმართულებას: ინფორმაციული ავტომატიზებული სისტემის შექმნა (პირველადი ინფორმაციის ოპერატიული მიღება, გადაცემა, შენახვა, ასახვა); ინტელექტუალური სისტემების კომპლექსის შექმნა, ე.ი. სხვადასხვა მეთოდით (პოლიტომეტრიკული, სოციომეტრიკული, ეკონომეტრიკული და სხვ.) ისეთი სისტემების შექმნა, როდესაც გარკვეული პირობის დასმით, ბაზებში დაგროვილი ინფორმაციის გამოყენებისა და მოდელირების მეშვეობით სისტემამ უნდა წარმოგვიდგინოს გადაწყვეტილების რამდენიმე ვარიანტი, მოგვცეს სტრატეგიული ტენდენციების წინმსწრები განსაზღვრის შესაძლებლობა და დახმარება გაუწიოს ანალიტიკოსებსა და გადაწყვეტილების მიმღებთ.

მაგალითად, ეროვნული უშიშროების აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში 1996-1997 წლებში შეიქმნა პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზის ავტომატიზებული სისტემა „აისი“. იგი იყო სისტემა „დიდგორში“ მომუშავე ერთ-ერთი ინტელექტუალური პროგრამა.[165]

---

[165] იმ პერიოდში ეს მკაცრად გასაიდუმლოებული უნიკალური პროგრამა შეიქმნა პოლიტიკური მოვლენების პოლიტომეტრიკული მეთოდით ანა-

ცნობილია, რომ სისტემური პროგრამები იქმნება არსებითად ისეთ დარგებსა და პრობლემებზე, რომლებსაც ახასიათებთ მყარი რაოდენობრივი და განმეორებადი მახასიათებლები. სხვაგვარად ძნელდება მოვლენის პროგნოზირება და მაშასადმე ძნელდება სრულყოფილი სისტემური პროგრამის შემუშავება.

ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია პოლიტიკისა და პოლიტიკურ პრობლემატიკისათვის იმიტომ, რომ პოლიტიკურ მოვლენათა სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძალიან რთულია სწორედ რაოდენობრივი და განმეორებადი მახასიათებლების დადგენა. არადა ეროვნული უშიშროების აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური აქცენტირებული იყო აეგო ამგვარი პროგრამები სწორედ ისეთ მოვლენებზე, როგორიცა: „სეპარატიზმი", „დემოკრატია", „ეროვნული ინტერესები", „პოლიტიკური კულტურა" და ა.შ.

საჭიროა მოიძებნოს ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელი, უნდა დადგინდეს თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირი, მიაღწიო პროგრამის უნივერსალურობას ანუ შეიმუშავო ისეთი მეთოდი, რომლის საფუძველზეც აგებული პროგრამა დროსა და სივრცეში მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების იქნებოდა.

ლიზისა და პროგნოზისათვის. „აისის" თეორიული, მეთოდური, სისტემური, მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა: ჰ. კუპრაშვილი (ხელმძღვანელი), ჯ. ჯალიაშვილი, თ. შარაშენიძე, კ. ოდიშარია, რ. კუკავა, დ. ლეკიშვილი.

ეუს-ს ექსპერტული სისტემის საფუძვლად აღებულ იქნა აშშ-ი XX საუკუნის 60-70-იან წლებში დამუშავებული ე.წ. პოლიტომეტრიკული მეთოდი. რომლის ამოსვალი იყო რაოდენობრივი მახასიათებლები და პოლიტიკურ პრობლემებზე პროგრამების შექმნა. სწორედ ამ მეთოდის საფუძველზე, საქართველოში პირველად, ეროვნული უშიშროების აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურში დამოუკიდებლად იქნა შემუშავებული ინტელექტუალური პროგრამა.

პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემა „აისის" პრაქტიკულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ:

• განხორციელდა სეპარატიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური კვლევის ობიექტის პარამეტრიზება,[166] შემოღებულია პარამეტრთა გაზომვის შკალა;

• დადგენიდა პარამეტრთა რიცხვითი მნიშვნელობები, სეპარატიზმის სახეობები და ამ სახეობათა სიმრავლე;[167]

---

[166] უნდა ითქვას, რომ უკვე მოვლენის პარამეტრიზაცია არის უდიდესი დახმარება ანალიტიკოსისათვის, ასევე მმართველისათვის. ეს არის მოვლენის ყველა ასპექტით გაჟოლვის საშუალება. ამავე დროს პარამეტრიზაცია იძლევა პოლიტიკური სტატისტიკის სტაციონარული სტრუქტურის შექმნის შესაძლებლობას.

[167] დადგინდა თითოეული პარამეტრის სეპარატისტული და არასეპარატისტული მდგომარეობის განმსაზღვრელი პროცენტული ზღვრული მონაცემები, რომელიც დაეფუძნა დელფის მეთოდით ექსპერტიზას. განისაზღვრა თითოეული რაოდენობრივად გამოხატული პარამეტრის პოლიტიკური მნიშვნელობა. პარამეტრთა დადგენილი მნიშვნელობების, წონების მათემატიკური მეთოდით კომბინაციების გათამაშებით მიღებულ იქნა სეპარატიზმის 254 ვარიანტი. ამავე მეთოდით იქნა მიღებული სეპარატიზმის 6 ძი-

• დამუშავდა სეპარატიზმის განსაზღვრის პროგრამული მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა ლოგიკურ რეჟიმში დადგინდეს სეპარატიზმის სახე და გადაწყვეტილების ვარიანტი;

• შესაძლებელი გახდა სეპარატიზმის ცვლილება-განვითარების მრავალვარიანტული ტენდენციების გამოვლენა. პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზის დარგში განხორციელდა ჰუმანიტარულ-პოლიტიკური და მართვის თანამედროვე სისტემების სინთეზი.

პროგრამა „აისი“: უზრუნველყოფს სისტემური ანალიზის შესაძლებლობას და საექსპერტო შეფასებების საიმედოობასა და სიზუსტეს; ქმნის მრავალფეროვან ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა შემუშავების საშუალებას; იძლევა პრიორიტეტული, სტრატეგიული ტენდენციების პრევენციული განსაზღვრის შესაძლებლობას და პოლიტიკური მოვლენის თითქმის ყველა ასპექტში შესწავლის საშუალებას; განსაზღვრავს რაოდენობრივ მახასიათებელთა თვისობრივ მნიშვნელობებს; ადგენს მოვლენის (პრობლემის) ცვლილება-განვითარების მრავალვარიანტულ ტენდენციებს; გვაძლევს მოვლენათა წინმსწრები პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებათა გათვლის შესაძლებლობას; საშუალებას იძლევა გათამაშდეს სხვადასხვა სიტუაცია და გაკეთდეს მიღებული შედეგების ანალიზი.

რითადი მრავალვარიანტული სახეობა. საბოლოოდ, მიღებულ იქნა სეპარატიზმის სრული ალგორითმი. უკვე პროგრამას შეეძლო მიეღო ყოველი პარამეტრის მიხედვით ინფორმაცია და განეხორციელებინა მისი სისტემური ანალიზი.

„აისს“ აქვს მომხმარებლისათვის მაქსიმალურად გასაგები და მოსახერხებელი ინტერფეისი. იგი მაღალ დონეზე ახორციელებს შეტანილი მონაცემების კონტროლს დასაშვები მნიშვნელობების შეტანაზე, მომხმარებელს (ანალიტიკოსს) ანალიზის შედეგებს აწვდის როგორც გრაფიკული, ისე ტექსტური სახით. მასში არსებული ინფორმაციული ბაზის საფუძველზე ანალიზს უკეთებს შექმნილ სიტუაციას და იძლევა გარკვეულ დასკვნებს (რჩევებს, განსახორციელებელი ღონისძიებების და შესაძლო შედეგების შესახებ), რაც ფასდაუდებელი მასალაა შემდეგი სრული კონცეფტუალური ანალიზისა და სწორი პოლიტიკის წარმართვისათვის.

დამუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენება წარმატებით შეიძლება ყოველგვარი სიტუაციური ანალიზისათვის, ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის ანალიზისა და პროგნოზისათვის (როგორც პოლიტიკის სფეროში, ისე სამხედრო-სტრატეგიულ საკითხთა კვლევაში). მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროსა და სივრცეში. ამ თვალსაზრისით იგი უნივერსალურია.

„აისის“ გამოყენება დიდად აჩქარებს სახელმწიფოებრივ-მმართველობით სტრუქტურებში ანალიზური და პროგნოზული მუშაობის თვისებრივ სრულყოფას და ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა პრევენციული შემუშავების პროცესს და გაზრდის გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობას. პროგრამა 90%-ით აადვილებს ანალიტიკოსის მუშაობას. ამდენადვე ზრდის მის საიმედოობას.

საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების რეალიზების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში ამგვარი ტექნოლოგიების ეფექტურობის ამაღლების ძირითადი რეზერვები მოქმედი ფაქტორების (ადამიანური, სამეცნიერო-მეთოდური, ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვ.) ერთობლიობის გამოყენების გაუმჯობესებაში ძევს. კერძოდ, საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამეცნიერო კადრების პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის დონეზე, ორგანიზატორებისა და შემსრულებლების კვალიფიციურობაზე, დასაქმებული მთლიანი ჯგუფის მიზნებისა და მოქმედებების ერთიანობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მდგრადი უკუკავშირის შექმნაც (ტექნოლოგიებისადმი და კოლექტივისადმი ნდობაზე დამყარებული), რაც საშუალებას იძლევა სრულად იყოს გათვალისწინებული მათი მოთხოვნები პროგრამებისა და ინსტრუმენტარიუმების დამუშავების დროს, ზუსტად ფორმულირდეს მიზნები და ამოცანები, შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდოს საბოლოო პროდუქტის მოთხოვნების მაჩვენებლები.

6.2.3. ეროვნული უშიშროების სახელმწიფო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფა

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემას თუ არ გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების საშუალება, მაშინ მას ყოველთვის საქმე ექნება მადესტაბილიზებელი ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციასთან. ამ ცნობილი დებულების საფუძველზე აპრიორულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მიერ უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი რესურსების რაციონალური ხარჯვა, ეროვნული უშიშროების სისტემის ფუნქციონირების მაღალი ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია, თუ მის მიერ უგულველყოფილია ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული სტრატეგიული ანალიზის, პროგნოზირებისა და მოდელირების პროცესი და იგი ძირითადად დაკავებულია მიმდინარე ოპერატიული საქმიანობით.

მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე პროცესები - კომუნიკაციისა და ინფორმაციის სფეროში რევოლუციური გარდაქმნები, მასობრივი კომპიუტერიზაცია, უახლესი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და სრულყოფის მასშტაბები მიუთითებს ცივილიზაციის განვითარების არნახულ გაქანებასა და პერსპექტივაზე. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების სფეროებში კაცობრიობის მკვეთრი ნახტომების შემზადებაში.

ინფორმაცია დედამიწის გლობალურ სივრცეში უმნიშვნელოვანეს საკვანძო როლს ასრულებს და მას გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და მისი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფორმაციული ფაქტორების გააქტიურებას და სახელმწიფო პოლიტიკის სისტემურ უზრუნველყოფას. რადგანაც, დღეს, გააზრებული სისტემური საინფორმაციო პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის იარაღი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური და ხელსაყრელი საშუალებაა.

საქართველოს ერთიანი ეროვნული უშიშროების სისტემის შექმნა, როგორც სახელმწიფოს სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ერთერთი უმთავრესი გარანტისა, უპირველესად გულისხმობს ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საშინაო და საგარეო საფრთხეთა მონიტორინგის ერთიანი ინფორმაციული სივრცის, საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების ქვესისტემის ჩამოყალიბებას. რისთვისაც აუცილებელია, რომ ქვეყანაში არსებობდეს მაღალსაიმედო, სპეციალური დანიშნულების საკომუნიკაციო სისტემები. შესაბამისი მაღალგანვითარებული ელექტრონული საკომუნიკაციო გარემოს ფორმირება შესაძლებელს ხდის

თვისობრივად ახალ საფეხურზე იქნას აყვანილი საქართველოში სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების უშიშროების უზრუნველყოფა.

სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელება დაკავშირებულია საქართველოს ეროვნულ ინტერესთა სივრცეში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე შესაძლო საფრთხეთა გამოვლენა-პროგნოზირებასა და მათი განეიტრალების პროგრამების შემუშავება-რეალიზაციასთან. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი საფრთხეთა შესაძლო რეალიზაციის შედეგად ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის თავიდან აცილება.

საკუთრივ ეროვნული უშიშროების სისტემაში სტრატეგიული დაგეგმვის რეალიზაცია კი მოითხოვს უდიდესი მოცულობის ინფორმაციის მიღებას, თავმოყრას, გადამუშავებასა და ანალიზს. ცხადია, ასეთი მოცულობის სამუშაოს შესრულება შესაძლებელია თუ შესაბამის სისტემაში ჩართული ყველა დონის სახელმწიფო უწყება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების შესწავლას, ანალიზს, პროგნოზს, გადაწყვეტილებათა მოძებნას ხოლო სისტემის მეშვეობით ახდენს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებას, რის საფუძველზეც ქვეყნის უფლებამოსილ შესაბამის ინსტიტუტს შეეძლება მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები და მოქმედებაში მოიყვანოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ძალები და საშუალებები. ამ პროცესების რეალიზაცია

კი შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, ავტომატიზებული ინტელექტუალური სისტემების გამოყენების გარეშე.

სისტემას უნდა შეეძლოს შემდეგი ფუნქციების განხორციელება:

ა) საშინაო და საგარეო საფრთხეების გამოვლენა და პროგნოზირება, რომლებიც მიმართულია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების წინააღმდეგ;

ბ) ოპერატიული და ხანგრძლივი ზომების გატარება გამოვლენილი და პროგნოზირებული საფრთხეების (მუქარების), თავიდან აცილებისა და ნეიტრალიზაციის მიზნით;

გ) უშიშროების უზრუნველყოფის სათანადოდ მომზადებული ძალებისა და საშუალებების შექმნა და მათი მზადყოფნაში ყოლა;

დ) ყოველდღიურ და საგანგებო სიტუაციებში უშიშროების უზრუნველყოფის ძალებისა და საშუალებების მართვა;

ე) საგანგებო სიტუაციათა შედეგად დაზარალებულ რეგიონებში უშიშროების ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენის მიზნით სისტემური ზომების განხორციელება;

ვ) საერთაშორისო და რეგიონალურ უშიშროების სისტემებთან ურთიერთმოქმედება და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

სისტემის არსებობა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია.[168] დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ წინასწარი გათვლებისა და სიტუაციების მოდელირების გარეშე ბევრი მოუმზადებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა და მის გამოსწორებას ათეული წლები სჭირდება; სახელმწიფოებრივი მშენებლობის ქართულმა პრაქტიკამ ისიც აჩვენა, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში შეიძლება საქართველოს უმაღლესი ხელისუფალნიც კი აღმოჩნდნენ და სხვ.[169]

ასევე აუცილებელია ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული შესაბამისი სრულყოფილი საინფორმაციო ბანკის შექმნა (ინფორმაციის მიღება, დამუშავება, დაცვა, მონაცემთა ბაზებში გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით განთავსება), რათა ექსპერტ-ანალიტიკოსებმა სისტემასთან დიალოგში უზრუნველყონ:

ეროვნული უშიშროების ინტერესების პრიორიტეტულ სფეროებში მიმდინარე მდგომარეობის ინფორმაციული გამოსახულების მუდმივი ანალიზი;

მოვლენებისა და პროცესების ცვლილება-განვითარების ტენდენციების გამოვლენა;

---

[168] შონია, ო., სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემა. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2004.

[169] MacFarlane, N., Georgia: National Security Concept versus National Security. Chatham House, Russia and Eurasia Programme Paper REP PP 2012/01. Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi, (2012). http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/neil_security_eng.pdf [22.08.2022]

მოვლენათა წინმსწრები პროგნოზირება, სიტუაციების მოდელირება და გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავება ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის (სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების) შემუშავებისა და გადაწყვეტილებათა ოპერატიული მიღების უზრუნველყოფისათვის.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპი ინფორმაციული უზრუველყოფის ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა სრულყოს, ანუ მისთვის: სისტემიდან ნებისმიერი ინფორმაციის მოთხოვნისთანავე მიწოდება (საცნობარო ინფორმაცია); ეროვნული უშიშროებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ანალიტიკური ინფორმაციის წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით მიწოდება (რეგლამენტური ინფორმაცია); ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ "საგანგებო სიტუაციათა გამოვლენა და დაუყოვნებლივ მიწოდება (საგანგებო ინფორმაცია). რაც ეროვნული უშიშროების საბჭოს მისცემს საშუალებას სრულყოფილად განახორციელოს შემდეგი ფუნქციები: პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საშინაო და საგარეო საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების გამოვლენა და პროგნოზირება; ოპერატიული და ხანგრძლივი ზომების გატარება გამოვლენილი და პროგნოზირებული საფრთხეების, მუქარებისა და გამოწვევების თავიდან აცილებისა და ნეიტრალიზაციის მიზნით; ყოველდღიურ და საგა-

ნგებო სიტუაციებში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ძალებისა და საშუალებების მართვა; საერთაშორისო და რეგიონალურ უშიშროების სისტემებთან ურთიერთმოქმედება და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ანალიტიკური ინფორმაციის კლასიფიკაციის პროცესი: ტიპების, შინაარსის, მოწოდების პერიოდულობისა და წყაროების განსაზღვრა; საკითხებად დახარისხება; სახეებად დაყოფა. ასევე, ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი ბადის შექმნა, სისტემაში შემოსული ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში გადასაწყვეტი ამოცანების შესაბამისად განთავსებისა და მათი ყველა უფლებამოსილი პირისათვის ნებისმიერ დროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისათვის კი ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი, რათა უმაღლესი კვალიფიკაციის შესაბამისი დარგის მეცნიერ-ექსპერტებმა და ანალიტიკოსებმა შეუფერხებლად აწარმოონ ეროვნული უშიშროების შესაბამის სფეროში პროცესების მუდმივი, უწყვეტი მონიტორინგი, ანალიზი, ტენდენციების გამოვლენა, პროგნოზი, მოდელირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების ვარიანტების მომზადება.

სრულყოფას მოითხოვს საჭირო საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესი. საქართველოს კანონმდებლობამ უნდა დააფიქსიროს სამარ-

თლებრივ ველში ეროვნული უშიშროების სახელმწიფო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადაჭრის დონე და მათი გადაწყვეტის ყველა ასპექტის სამართლებრივი საფუძვლები. სწორედ ამ კანონმდებლობამ, უფრო ზუსტად, ეროვნული უშიშროების კანონმდებლობის ნორმათა ერთობლიობამ უნდა განსაზღვროს ეროვნული უშიშროების სფეროში საქმიანობის სხვადასხვა ასპექტისათვის ერთიანი წესები.

სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი, ასევე საინფორმაციო ინდუსტრიის მომსახურებისა და პროდუქციის ბაზარი ეროვნული უშიშროების სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს, შესაბამისად სახელმწიფო საინფორმაციო სივრცის ერთიანობის უზრუნველყოფისა და ეროვნული უშიშროების სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, მოითხოვს მათი, როგორც ერთიანი ტერიტორიულ-გამნაწილებელი სისტემის, განვითარების დარეგულირებასა და ორგანიზაციას.

საქართველოს საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკურ და საწარმოო პოტენციალი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და სხვ. დაკავებულნი უნდა იყვნენ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებით, დაპროექტებით, ტექნოლოგიების, სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის, ინფორმატიზაციის ტექნიკური საშუალებების, გამოთვლითი და სატელეკომუნიკაციო ტექნიკისა და

კავშირგაბმულობის საშუალებების შემუშავებითა და წარმოებით, ასეთი სისტემებისა და ტექნიკის დანერგვითა და ექსპლუატაციით.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალის ფორმირებასა და განვითარების შესახებ ცხადყოფს, რომ ამ საკითხისადმი ძირითადად ორი მიდგომა არსებობს.

პირველ შემთხვევაში ორიენტაცია აღებულია საზღვარგარეთული სამეცნიერო გამოკვლევების, ტექნოლოგიების, სისტემებისა და საწარმოო პროდუქციის მაქსიმალურ გამოყენებაზე. ასეთი მიდგომის რეალიზაციისას მკვეთრად მცირდება ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები, პროექტული და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ტარდება მინიმალური მოცულობით, საწარმოო პოტენციალი გადართულია ტექნიკური სისტემებისა და საზღვარგარეთული წარმოების საშუალებების დანერგვაზე, რომელთა შესყიდვაზეც, ძირითადად, გამოიყენება სახელმწიფოს ფინანსური რესურსები საინფორმაციო სფეროში.

ფაქტობრივად, ეროვნული საინფორმაციო ინდუსტრია გადადის სერვისული მომსახურებისა და უცხოური ლიცენზიების მიხედვით მასობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების დონეზე. მართალია, ასეთი მიდგომისას შესაძლებელია სახელმწიფოს საინფორმაციო სფეროს ფორმირება მოწინავე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლო-

გიებისა და მსოფლიო დონის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით და მისი ინტეგრაციის გამარტივება მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ ამით ქვეყანა უცხოელი მეწარმეების მკაცრი ტექნოლოგიური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ ექცევა, რაც საინფორმაციო სფეროში რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ინტერესებსა და უშიშროებას.

მეორე მიდგომა მხოლოდ საკუთარ სამეცნიერო გამოკვლევებზე, ტექნოლოგიებზე, სისტემებსა და წარმოების ტექნიკურ საშუალებებზე ორიენტაციას ეფუძნება. თანამედროვე პირობებში ეროვნული საინფორმაციო ინდუსტრიის შექმნა, რომლის პროდუქციაც ყველა მიმართულებით შეესაბამება საინფორმაციო სფეროში ტექნიკისა და მეცნიერების მოწინავე მიღწევებს, საერთაშორისო ინტეგრაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, თუ ქვეყანას შეუძლია ეკონომიკის სხვა სექტორებიდან საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარებისათვის გამოყოს და დახარჯოს უზარმაზარი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ეს მას კიდევ არ აძლევს იმის გარანტიას, რომ შეძლებს ფეხი აუწყოს განვითარების მსოფლიო დონეს.

ასეთმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ თვითიზოლაცია და, როგორც წესი, გეოპოლიტიკურ პროცესებზე ქვეყნის ზეგავლენის შემცირება, მისი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ჩამორჩენა არა მხოლოდ საინფორმაციო სფეროში, მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაციის

არსებითი გართულება და ამასთან გაიზარდოს ეროვნული ინფორმაციული უშიშროების საფრთხეც.

ამიტომ, ამ ორი მიდგომის დადებითი და უარყოფითი ასპექტებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს საინფორმაციო პოლიტიკა საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების სფეროში უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და საინფორმაციო სფეროში გაითვალისწინოს როგორც ტექნოლოგიური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფის, ისე ამ სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციის აუცილებლობა.

ამჟამად, საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური და დინამიკურად განვითარებადი სექტორია. ამ ბაზრისათვის, რომლის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლის კვალობაზე განუხრელად იზრდება, მიმდინარეობს აქტიური კონკურენციული ბრძოლა განვითარებულ ქვეყნებს შორის. მათ ნათლად აქვთ გაცნობიერებული ის, რომ მსოფლიო საზოგადოებაში მათი სტატუსი სწორედ ამ ბაზრის მდგომარეობასა და როლზეა ბევრად დამოკიდებული.

საქართველოში საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, ჯერჯერობით ვერ ახერხებს სათანადოთ ინტეგრირებას მსოფლიო ბაზარზე. უპირველეს ყოვლისა, ამ ბაზარს (ისევე

როგორც პროდუქციისა და მომსახურების სხვა სახის ყველა ბაზარს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში) მტკიცე განვითარების და სტაბილურობის მისაღწევად საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი რეგულირება ესაჭიროება, რომელიც ბაზრის ყველა მონაწილეს მათი საქმიანობისათვის სავალდებულო თანაბარი პირობებითა და წესებით უზრუნველყოფს, რომელიც სტიმულს მისცემს სამამულო სამეწარმეო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. ამ მნიშვნელობით მოცემული ბაზარი არ არის რაიმე გამონაკლისი და მისი დარეგულირება უნდა განხორციელდეს საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, საგადასახადო, საინვესტიციო და საბაჟო პოლიტიკის ჩათვლით.

სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის ფუნქციური ამოცანების გადასაწყვეტად და, ამასთან ერთად, საინფორმაციო სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ეფექტური გამოყენებისათვის არ არის საკმარისი მათი გადაწყვეტის მხოლოდ სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური შემადგენელი ნაწილების უზრუნველყოფა.

აუცილებელია „ადამიანური ფაქტორის“ გათვალისწინება და ამ მიმართულებით განათლების სისტემაში სწავლების „ახალი პრინციპების დანერგვა“. სახელმწიფოში უნდა იყოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების საინფორმაციო სფეროებში მუშაობისათვის პროფესიულად

მომზადებული სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა, რომელთაც შეეძლებათ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ქსელების, სისტემებისა და ტექნიკური მოწყობილობების ათვისების, დანერგვისა და ეფექტური ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

ყველა მოქალაქე საკმარისად უნდა იყოს მომზადებული იმისათვის, რომ გახდეს მათი მასობრივი ინდივიდუალური მომხმარებელი, როგორც საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად მოხმარებაში. ამასთან, სპეციალისტ-პროფესიონალებმაც და მასობრივმა მომხმარებლებმაც კარგად უნდა იცოდნენ და მტკიცედ დაიცვან საინფორმაციო სფეროში საქმიანობის სამართლებრივი ნორმები.

ამრიგად, აუცილებელია ქვეყანაში ერთიანი ეროვნული უშიშროების სათანადო სისტემის შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა დონეზე ყველა სახის საშიშროებისაგან (მუქარისაგან) თავდაცვა, რაც მიიღწევა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკით, ეროვნული უშიშროების სტრატეგიისადმი ინტეგრალური მიდგომით.

ეროვნული უშიშროების სტრატეგიისადმი ინტერგალური მიდგომა კი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ამ სფეროში დაგეგმვა უნდა განახორციელოს საშიშროებათა (მუქარათა, რისკების) მთელი სპექტრის, მათი ფორმირებისა და რეალიზაციის ეტაპების, კრიზისების განვითარების ალტერნატიული სცენარებისა და მათი დაძლევის გათვალისწინებით. რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტო-

რები, ხოლო პოლიტიკური მოვლენების ანალიზის, პროგნოზის და მოდელირების პროცესი გახდეს სისტემური და ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოს ხელისუფლება ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციითა და მისაღებ გადაწყვეტილებათა ვარიანტებით.

მეშვიდე თავი

უსაფრთხოების დაცვა

(ადამიანი: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემო, ტექნოლოგიები[170])

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების გაშუქების შემდგომ, ნაშრომის ბოლო თავი ეთმობა უსაფრთხოების დაცვის პრობლემას, რომელიც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში მოიაზრება, როგორც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ელემენტი, განსაკუთრებით ეკონომიკის (სამრეწველო-ტექნოლოგიური), გარემოს, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში და, ცხადია, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებში, რომლებიც თანამედროვე ეპოქის განვითარების პროცესის უმთავრესი ფაქტორი, მიზეზი და მამოძრავებელი ძალაა. დიდი მნიშვნელობა აქვს, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან ერთად, ქვეყანაში როგორ არის გადაწყვეტილი უსაფრთხოების დაცვის პრობლემაც. ტერმინი „უსაფრთხოების“ ეტიმოლოგიის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებში მისი გამოყენების შესახებ ნაშრომის მეორე თავის 2.3 პარაგრაფში, ასევე - მეოთხე თავის 4.1.2.1 და 4.1.2.2. ქვეპარაგრაფებშია საუბარი, ამიტომაც ამ თავში მასზე ყურადღება არ გამახვილდება.

---

[170] ტექნოლოგია - საშუალება ან აქტივობა, რომლითაც ადამიანი ცვლის და მანიპულირებს თავისი გარემოთი. Britannica https://www.britannica.com/technology/PDA [28.08.2022]

როგორც ცნობილია, ზოგადი განმარტებით, უსაფრთხოება არის უბედური შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების არასასურველი შედეგებისაგან ადამიანის, გარემოს, სამრეწველო ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცულობის მდგომარეობა.

იგი იხმარება ტერმინ „უშიშროებისაგან“ შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულ კონტექსტში,[171] ანუ როცა საფრთხის წყაროა საწარმოო, ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენები და პროცესები.

მათ გასაუვნებელყოფად, თავიდან ასარიდებლად დასახული და განხორციელებული უნდა იქნას სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური, აპარატულ-პროგრამული, სანიტარიულ-ჰიგიენური, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა ტექნიკური ღონისძიებები.[172]

---

[171] უშიშროების“ და „უსაფრთხოების“ ტერმინების შინაარსობრივი სხვაობის თვალსაჩინოებისთვის მაგალითი, ტერმინების „სასურსათო უშიშროებისა“ - „სასურსათო უსაფრთხოების“ შედარებით. ტერმინ „სასურსათო უშიშროებაში“ იგულისხმება სახელმწიფოში სურსათის (მაგ., ხორბლის და სხვ.) ამოწურვის საფრთხე, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შიმშილი და სხვა თანამდევი პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში ამ თვალსაზრისით იგულისხმება, რომ მთავრობა შეიმუშავებს ისეთი პოლიტიკას, გაატარებს ისეთ წინმსწრებ ღონისძიებებს, რაც პოტენციურ მსხვერპლს, ანუ ქვეყნის მოსახლეობას თავიდან აიცილებს მოსალოდნელ საშიშროებას. „სასურსათო უსაფრთხოებაში“ მოიაზრება სურსათი, რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, მაგალითად, თუ ის გაფუჭებულ კონსერვს გაუფრთხილებლობით მიირთმევს, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში თუ თუნუქის ქილაში მოთავსებულ თევზის კონსერვს იყიდი, უნდა დაიცვა უსაფრთხოების წესები - გახსნის შემდეგ დიდხანს არ უნდა გააჩერო თუნუქის ქილაში, თორემ შეიძლება თქვენი მოწამვლა გამოიწვიოს და სხვ.

[172] თვალნათელია ქართულ და ინგლისურენოვანი ტერმინების გამოყენების შინაარსობრივი შესაბამისობა, განსხვავებით რუსულისაგან. ქართული

უსაფრთხოების დაცვის პრობლემის აქტუალურობაზე მეტყველებს ის მონაცემები, რომლებიც მოტანილია გაეროს სპეციალიზებული სააგენტოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labour Organization, ILO) ანგარიშში: ყოველწლიურად 3 მილიონამდე ადამიანი იღუპება სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების ან პროფესიული დაავადებების გამო, 400 მილიონამდე ადამიანი კი იღებს საწარმოო ტრავმებს. მხოლოდ უბედური შემთხვევები და

ენის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც ტერმინი „Security" (უშიშროება) სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში გამოიყენება: „ეროვნული უშიშროება" (National security), „უშიშროების საბჭო" (Security Council) და სხვ. ხოლო ტერმინი „Safety" (უსაფრთხოება), როგორც ქართულ ენაში, გამოიყენება ბუნებრივი, ტექნოგენური ან საწარმოო ხასიათის კონტექსტში: „წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოება" (Industrial Safety), „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება" (Road Safety), „უსაფრთხოების ღვედები" (Safety belt), „ტექნიკური უსაფრთხოების წესები" (Safety code regulation) და სხვ. შედარებისათვის, მაგალითად, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) დოკუმენტებში ტერმინი „Security" ქართული „უშიშროების" კონტექსტშია ნახმარი, რასაც ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებაც მოწმობს: Political Affairs and Security Policy Division, Emerging Security Challenges Division, Science for Peace and Security, Cooperation and Regional Security Division და სხვ., ხოლო ტერმინი „Safety" (უსაფრთხოება), იმავე ნატოს დოკუმენტებში ყუმბარების აფეთქებასთან და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ შრომის უსაფრთხოების კონტექსტშია გამოყენებული. ნატოში არსებობს კიდეც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიც: The CNAD Ammunition Safety Group (AC/326 და Munitions Safety Information Analysis Center (MSIAC). ზოგიერთ სხვა ენაში განსხვავებული მდგომარეობაა, მაგალითად, რუსულ ენაში მხოლოდ ერთი ტერმინი Безопасность (ბეზოპასნოსტ) გამოიყენება, მიუხედავად საფრთხის წარმოშობისა და იმისა, როგორია გაუვნებელყოფის შინაარსი და ხასიათი, რა კავშირშია სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან, ბუნებრივ, ტექნოგენურ, საწარმოო, სამუშაო პროცესებთან: "Национальная Безопасность" (ნაციონალნაია ბეზოპასნოსტ), "Техническая Безопасность" (ტეხნიჩესკაია ბეზოპასნოსტ) და სხვ.

პროფესიული დაავადებები მსოფლიო ეკონომიკას ყოველწლიურად $3 ტრილიონზე მეტი დოლარი უჯდება.

საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად, 2010-2021 წლებში გარდაცვლილთა რაოდენობამ - 521, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 1 536 ადამიანს მიაღწია. თუმცა ეს ციფრები სანდო არ უნდა იყოს.

პროფკავშირებში თვლიან, რომ გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ბევრად დიდია, ვინაიდან საქართველოში აღრიცხვის პროცესი მოუწესრიგებელია.[173] პროფკავშირების ოფიციალური წარმომადგენლის *რ. ლიპარტელიანის* ცნობით, სტატისტიკის წარმოება ქვეყანაში ყველა მიმართულებით კატასტროფულია, 2019 წლამდე „არც კი ევალებოდათ დამსაქმებლებს, მსგავსი შემთხვევები ვინმესთვის ეცნობებინათ. აღრიცხვა ფაქტობრივად არ ხდებოდა".[174]

რატომ არის საჭირო უსაფრთხოების მართვის სისტემის გაუმჯობესება? ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში დაიწყო შრომასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ აკადემიურ დონეზე მსჯელობა. შრომის ჰიგიენის ფუძემდებელი

---

[173] მიუხედავად იმისა, რომ შრომის უსაფრთხოების კანონში უკვე 2019 წლიდან გაჩნდა ვლდებულება, რომლის თანახმადაც დამსაქმებელი ვალდებულია, შრომის ინსპექციას აცნობოს დასაქმებულის დაზიანების შესახებ (თუ ეს არ არის მსუბუქი დაზიანება).

[174] პერტაია, ლ. (2021). რატომ დაფიქსირდა 2020-ში შრომისას დაშავების მაქსიმალური რიცხვი. netgazeti.ge, 2021. https://netgazeti.ge/news/533086/ [24.08.2022].

იტალიელი ექიმის, *ბერნარდინო რამაცინის* (Bernardino Ramazzini; 1633-1714)[175] ქალაქ მოდენაში 1700 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დისერტაცია მუშების დაავადებათა შესახებ" (De Morbis Artificum Diatriba) [176] აღწერილია ქიმიკატების, მტვრის, ლითონების, განმეორებითი ან მკვეთრი მოძრაობების, უცნაური პოზებისა და სხვადასხვა ნივთიერებისა და მოვლენებისაგან გამოწვეული ჯანმრთელობისათვის საშიში საფრთხეები, რომლებსაც აწყდებოდნენ იმ ეპოქაში ორმოცდაათზე მეტი პროფესიის წარმომადგენელი მუშები.

მე-19 საუკუნის პირველ წლებში ინგლისში ხალხის შეშფოთება გამოიწვია ბამბის ფაბრიკებში მომუშავე ბავშვების ჯანმრთელობის საგანგაშო მდგომარეობამ. ამის შემდეგ, 1802 წლიდან ჩნდება გაერთიანებული სამეფოს აქტები ქარხნების შესახებ.

1833 წელს კანონით შეიქმნა სპეციალური პროფესიული საფაბრიკო ინსპექცია. თავდაპირველად მის უფლებამოსილებაში შედიოდა ტექსტილის მრეწველობაში ბავშვებისა და ახალგაზრდების სამუშაო საათების შემცირება (შემოღებულ იქნა ქრონიკული, გადატვირთული სამუშაოს თავიდან ასაცილებლად, რადგან დადგინდა, რომ უშუალოდ ამ მიზეზით ხდებოდა ჯანმრთელობის გაუარესება, აგრეთვე - უბე-

---

[175] https://www.britannica.com/search?query=Bernardino+Ramazzini [28.08.2022]

[176] https://www.britannica.com/search?query=De+Morbis+Artificum+Diatriba https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=ucm.5325108025&view=1up&seq=1 [28.08.2022]

დური შემთხვევების ზრდის გამო). შემდგომი, 1844 წლის კანონი ტექსტილის წარმოებაში უკვე აწესებდა მსგავს შეზღუდვებს ქალებისათვის სამუშაო საათებზე.

1840 წელს სამეფო კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნები სამთო მრეწველობის მუშების სამუშაო პირობების შესახებ, რომლებიც დოკუმენტურად ადასტურებდა სახიფათო გარემოსა და უბედური შემთხვევების მაღალ სიხშირეს. ამან გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება, რასაც მოჰყვა 1842 წლის კანონი შახტების შესახებ, რომლითაც შეიქმნა მაღაროებისა და ქვანახშირის შახტების ინსპექცია. 1850 წლიდან ინსპექტორებს მიეცათ საკუთარი შეხედულებისამებრ შენობაში შესვლისა და დათვალიერების უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ 200 წლის შემდეგ საქართველოს ე. წ. მილიონერთა პარლამენტშიც დაიწყო ამ მიმართულებით მოძრაობა. საქართველოს კანონში „შრომის ინსპექციის შესახებ“ უკვე არის მე-13 მუხლი: 1. შრომის ინსპექციის სამსახური ინსპექტირებას ახორციელებს: ა) დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე; ბ) საკუთარი ინიციატივით, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად“.[177] საქართველოს მთავრობის 2021 წლის #333 დადგენილების მიხედვით შეტანილი ცვლილებები ასეთია: ინსპექტი-

[177] საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ. 29/09/2020 იხ., #7178-Iს https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003057?publication=0 [28.08.2022].

რების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექცია უფლებამოსილია: ა) წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღეღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ინსპექტირებისადმი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში.[178]

1883 წელს *ოტო ფონ ბისმარკმა* (Otto Eduard Leopold von Bismarck; 1815-1898) მსოფლიოში პირველმა შემოიღო სოციალური დაზღვევის კანონი, ხოლო 1884 წელს - კანონი მუშებისათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ.

სამრეწველო წარმოების დასაწყისში, მე-19 საუკუნის ბოლოს, სამთო, მეტალურგიის, ნავთობისა და სხვა მრეწველობის მუშები პრაქტიკულად არ იყვნენ დაცულნი სამუშაო ადგილებზე დაზიანებებისაგან, პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან. ამის გამო მთელი მსოფლიოს მასშტაბით საწარმოებში სიკვდილიანობისა და დაზიანებების დონე განუზომლად მაღალი იყო. შექმნილმა მდგომარეობამ და ამ ნიადაგზე უკმაყოფილების ზრდამ აიძულა მთავრობები, კაპიტალისტები და მენეჯერები დაეწყოთ საქმიანობა უსაფრთხო სამუშაო პირობების შესაქმნელად. მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში შემოღებული კანონები აიძულებდა კომპანიებს, შეექმნათ და შეენარჩუნებინათ უსაფრთხო სამუშაო გარემო.

---

[178] საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2021). „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. #333.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5211628?publication=0 [28.08.2022].

ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე, გაირკვა, რომ მხოლოდ მუშებს არ სჭირდებათ დაცვა. გარემოც განიცდის მუდმივ უარყოფით ზემოქმედებას სამრეწველო საწარმოების საქმიანობისა და არასწორად ამოქმედებული ტექნოლოგიური პროცესების შედეგად. ასე რომ, ეკოლოგიისა და საწარმოო უსაფრთხოების მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების ხაზგასასმელად დროთა განმავლობაში მსოფლიოში გაჩნდა საერთაშორისო ტერმინი - HSE ანუ health (H), safety (S), Environment (E), რომელიც ქართულ ენაზე თარგმნისას იქნება: ჯანმრთელობა (ჯ), უსაფრთხოება (უ), გარემო (გ) - (ჯუგ).

მოკლედ, ჯუგ-ის (HSE) კონცეფციის არსი მდგომარეობს შემდეგში: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო განიხილება უმთავრეს პრიორიტეტად ადამიანის სიცოცხლისა და ქონების დაცვაში განსაკუთრებით მაღალი რისკის ინდუსტრიულ სექტორებში. სახიფათო სამუშაო გარემოს გამო ყველაზე მეტად ამ სექტორში ხდება სამუშაო ადგილებზე მიღებული დაზიანებების, სასიკვდილო ტრავმების, ავადმყოფობათა რაოდენობის ზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ადგილზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებასა და დანერგვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეუქცევადი ავარიების რისკები.

ჯუგ-ი (HSE) არის პროცესების, გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს პოტენ-

ციურ რისკებს კონკრეტული სამუშაო გარემოსათვის, შეიმუშავებს მოწინავე მეთოდებს ამ რისკების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, ასწავლის და ავარჯიშებს თანამშრომლებს, როგორ დაიცვან უსაფრთხოების წესები, აიცილონ თავიდან უბედური შემთხვევები, მოახდინონ დაზიანებებზე სწრაფი რეაგირება და ა.შ. ჯუგ-ი (HSE) მოიცავს მთლიანად პირადი უსაფრთხოების, ტექნოლოგიური უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და ზოგადად უსაფრთხოების სისტემას. იგი არ არის მხოლოდ საწარმოს სამართლებრივ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის შესახებ მოთხოვნები.

ჯუგ-ი (HSE) დასავლური კონცეფციაა, რომელიც ითვლება არა რაიმე ფორმალურ მაკონტროლებელ ან სადამსჯელო სისტემად, არამედ არის კარგად აპრობირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ადამიანის უსაფრთხოების, ტექნოლოგიური პროცესებისა და ეკოლოგიის სფეროში, ანუ მოიცავს ასევე გარემოსდაცვით საკითხებსაც.

როდესაც მოხდა საერთაშორისო კომპანიებისა და პრაქტიკის ინტეგრაცია ქართულ ეკონომიკაში, საქართველოშიც დაიწყეს ტერმინის HSE გამოყენება. გარკვეული კომპანიებისათვის მისაღები აღმოჩნდა ეს კონცეფცია. როდესაც სამრეწველო საწარმოებში გარემო ზიანდება, საფრთხე ექმნება არა მხოლოდ საშიში ობიექტების თანამშრომლებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც. კომპანიებმა ყველა ეს ფაქტორი უნდა დაარეგულირონ საწარმოო უსაფრთხოების მართვის სის-

ტემის დანერგვით, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეს-დღეობით ტექნოლოგიების, საწარმოო უსაფრთხოებისა და შრომის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების კონტექსტში.

ეს კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ინტეგრირებული ქართულ სინამდვილეში, თუმცა დაწყებულია მოძრაობა ამ მიმართულებით. HSE GEORGIA-ს სახელწოდებით შეიქმნა საკონსულტაციო კომპანია, რომელიც სხვადასხვა პროფილის კომპანიებისათვის ნერგავს შრომის უსაფრთხოების ახალ სისტემას.[179] საქართველოში სამშენებლო მასალების წარმოების ლიდერი (კასპში - ერთი და რუსთავში ცემენტის ორი ქარხანა, ცემენტის წისქვილი ფოთში, ცემენტის ტერმინალი სუფსაში, ბეტონის 13 ქარხანა და სხვ.) „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, როგორც ჩანს, აქცენტს ძირითადად აკეთებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე, იყენებს აბრევიატურას "Health & Safety", გარემოს დაცვა კი იგნორირებულია, მაშინ, როდესაც, კომპანიის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სწორედ გარემოს დაცვას.[180]

საბჭოთა საქართველოში გამოიყენებოდა ტერმინი „ტექნიკური უსაფრთხოება“. მისი დაცვა სავალდებულო იყო ქარხნებში, ფაბრიკებსა და სხვაგან. ტექნიკური უსაფრთხოების მიზანი იყო წარმოებათან დაკავშირებული ტრამვე-

[179] HSE GEORGIA https://hsegeorgia.ge/ [28.08.20212]

[180] ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. HEIDELBERGCEMENT GEORGIA https://www.heidelbergcement.ge/ka/health-and-safety [28.08.20212]

ბისა და დაავადებათა მინიმიზაცია. კანონმდებლობაში შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას განსაზღვრავდა შემდეგი ფაქტორები:

- წარმოებული პროდუქტის ფასთან და მომსახურების ღირებულებასთან შედარებით უმნიშვნელოვანესია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;
- არასაშტატო სიტუაციების შემცირება;
- მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად მომუშავეთა ტრამვების მინიმუმამდე დაყვანა;
- კვალიფიციური სპეციალისტების პროფესიული ტრამვების/დაავადებების გამო სამუშაო ადგილებზე არ ყოფნის მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობა.[181]

გამოიყენებოდა სხვა ტერმინებიც: „უსაფრთხოების სისტემა" – ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია როგორც შიგნიდან, ისე გარედან ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედებისგან დასაცავად. „უსაფრთხოების სისტემის ტექნიკური საშუალებები" - ტექნიკურ გადაწყვეტილებათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტის კონტროლს. ამ მხრივ, თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებში უკვე გვხვდება მაღალტექნოლოგიური პროგრამულ-სააპარატო

[181] იხ., ავტორის მოხსენება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე ლენინგრადში 1990 წელს: Купрашвили, Г. (1990). Доклад на тему: «Задачи профсоюзов Грузии на современном этапе». Вторая Международная Конференция по правам человека «Вильнюс-Ленинград 1990». Ленинград. 1-4 сентября 1990 года. 2nd International Human Rights Conference "Vilnius-Leningrad 1990".

კომპლექსები, რომლებიც მოიცავს თვალთვალის, პერიმეტრის დაცვის, სახანძრო და დამცავი სიგნალიზაციის სისტემებს, ასევე - დაშვების მართვისა და კონტროლის სისტემებსა და სხვ.

საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იყო ციფრების შელამაზების პრაქტიკა, რათა „გრანდიოზული" წარმატებების ფონი არ დამახინჯებულიყო, ამიტომაც უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების სტატისტიკა ხშირად არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილი საერთო-სახალხო საკუთრების სახელმწიფო საწარმოები ხელოვნურად გააპარტახეს და გაძარცვეს, ან მოექცა ახალი, კერძო მფლობელების ხელში, რომლებიც დიდად არ ავლენდნენ ინტერესს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მიმართ. ეს ტენდენცია ქართულ ბიზნესში დღესაც შეინიშნება.

ამჟამად საქართველოში ოფიციალურად გამოიყენება ტერმინი „შრომის უსაფრთხოება". როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა სტატისტიკის მიხედვით, მათ შორის - საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ადამიანი იღუპება და რამდენიმე ასეული ჯანმრთელობის დაზიანებას იღებს საწარმოო ინციდენტების შედეგად.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენდნენ მო-

მეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციები, სადაც ხდებოდა დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობა. ქართული კანონმდებლობა მეწარმეების წასახალისებლად და უცხოელი კომპანიების მოსაზიდად დამსაქმებლის ინტერესებზე უფრო იყო მორგებული, ვიდრე დასაქმებულის, შესაბამისად, ჯუგ-ი (HSE) - დასავლური კონცეფციაც არ იყო პრიორიტეტული. მზარდმა საგანგაშო სტატისტიკამ იძულებული გახადა ხელისუფლება, გაემკაცრებინა შრომის უსაფრთხოების სტანდარტები.

2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები, ვალდებულია უზრუნველყოს კანონის მოთხოვნების დაცვა. კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, მიზნად ისახავს ჯანსაღი, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. შრომის უსაფრთხოების კანონის მიერ დაწესებული პირობების შესრულება დამსაქმებლისაგან გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. თუმცა, ნათელია, რომ დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვა ორივე მხარის ინტერესებში შედის. კომპანიას სჭირდება ჯანმრთელი მუშახელი. თანამშრომელი ვერ იქნება ჯანმრთელი, თუ

მისი უსაფრთხოება სამუშაოზე დაცული არ იქნება. როდესაც საწარმოო ინციდენტის გამო მუშახელი ვეღარ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, საჭირო ხდება ახალი კადრის მოძიება და მისი ტრენინგი, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომ არაფერი ვთქვათ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე. საწარმოო ინციდენტების დროს არანაკლებ ზიანდება დამსაქმებლის რეპუტაციაც.

კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების ერთი ან მეტი სპეციალისტი ან შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები თანამშრომელი ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები, იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია, ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების არანაკლებ 1 სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის შემთხვევაში, ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური შრომის უსაფრთხოების არანაკლებ 2 სპეციალისტით. დამსაქმებელს ასევე შეუძლია ითანამშრომლოს გარე კომპანიასთან, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.

დამსაქმებელი ვალდებულია: ჰყავდეს ალკოჰოლურ/ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი; წარმოადგინოს მათი შემოწმების ჟურნალები; დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და

წესები; იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს; უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა საშიშროება არ შეუქმნას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას; აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები, მოთხოვნისას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს; უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება; უზრუნველყოს საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების დოკუმენტის წარმოება; აღმოფხვრას არსებული საფრთხეები და გაატაროს შესაბამისი მაკონტროლებელი ღონისძიებები; სამუშაო სივრცეში განათავსოს პირველადი დახმარების საშუალებებით აღჭურვილი კუთხე.

დამსაქმებელმა რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით უნდა შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება; უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი. აღნიშნული პერიოდულობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი

სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში. თუმცა კანონქვემდებარე აქტში შემოწმების პერიოდულობის არარსებობის შემთხვევაში დამსაქმებელი მაინც არის ვალდებული საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს შემოწმებები.

დამსაქმებელმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორები: ფიზიკური ფაქტორის, როგორიცაა მიკროკლიმატის, გაზომვის ვალდებულება ეკისრება ყველა დაწესებულებას საქართველოს მთავრობის N69-ე დადგენილების საფუძველზე, წელიწადში ორჯერ. დამსაქმებელი ვალდებულია, გაზომოს მიკროკლიმატი, შეაფასოს არსებული მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, თუკი სცდება მიკროკლიმატი დადგენილ ნორმებს, უზრუნველყოს მისი გამოსწორება.

ფაქტორების გაზომვა დაკავშირებულია მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარებასთან, კერძოდ, თუკი შრომის ისნპექციამ ეჭვქვეშ დააყენა სამუშაო სივრცეში არსებული სამუშაო პროცესის სიჯანსაღე, უფლებამოსილია, მოითხოვოს ფაქტორების გაზომვა (მაგალითად, თუ დაფიქსირდა მომეტებული ხმაური, სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ჰაერში მავნე ნივთიერებების თავმოყრა და ა.შ.).

დამსაქმებელი ვალდებულია თემატურად განსაზღვროს ინსტრუქტაჟების ჩატარების ჟურნალში დასაქმებულთათვის სამუშაო საათებში ინსტრუქტაჟის ჩატარების თარიღი, შინაარსი. სწავლება (ტრენინგები) უნდა ჩატარდეს: დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების

დაწყებამდე; დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას; ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე; განმეორებით, განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება: პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენასთან, აგრეთვე - მათგან თავის დაცვის მექანიზმებს; რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის - დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს; საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე - იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში; აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

კანონით გათვალისწინებულია დამსაქმებელისათვის გარკვეული სანქციების დაკისრება. ადმინისტრაციული სამა-

რთალდარღვევის ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) სამუშაო პროცესის შეჩერება. ზედამხედველი ორგანო გაფრთხილების ან დაჯარიმებისას გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ. დარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილი გონივრული ვადა განისაზღვრება ზედამხედველი ორგანოს მიერ დამსაქმებელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან კონსულტაციის საფუძველზე და აღინიშნება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე. სანქციების ოდენობა დამოკიდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხასა და სამართალდაღვევის სიმძიმეზე.

კანონი არ ვრცელდება: ა) შსს-ზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, შესაბამის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით; ბ) შრომით საქმიანობაზე საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ქართული კანონმდებლობით, შრომის უსაფრთხოების სფეროში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: შრომის უსაფრთხოება – დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს; საფრთხე - საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას; რისკი – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით; მძიმე სამუშაო – სამუშაო პროცესი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უპირატესად ადამიანის ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელ აპარატსა და ფუნქციურ სისტემებზე (გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მის საქმიანობას და რომელიც ხასიათდება ფიზი-

კური, დინამიკური დატვირთვით, ასაწევი და გადასაადგილებელი ტვირთის მასით, სტერეოტიპული სამუშაო მოძრაობების საერთო რაოდენობით, სტატიკური დატვირთვის სიდიდით, სამუშაო პოზის ფორმით, სხეულის დახრის ხარისხითა და სივრცეში გადაადგილებით; მავნე სამუშაო – საწარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომლის ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება, გაზარდოს სომატური და ინფექციური დაავადებების სიხშირე, დაარღვიოს შთამომავლობის ჯანმრთელობა; საშიშპირობებიანი სამუშაო – საწარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ადამიანის ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი; მომეტებული საფრთხე – საფრთხე, რომელიც ნაკლები რისკის შემცველი სხვა საშუალებებით ვერ ჩანაცვლდება; მავნე საწარმოო ფაქტორები – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორები, რომელთა ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება; საფრთხის შემცველი ფაქტორები – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული

დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება; სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა – სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება; საშიში შემთხვევა – იდენტიფიცირებადი მდგომარეობა (ტექნიკური ინციდენტი, სიმაღლიდან ვარდნა, აფეთქება, ხანძარი, მავნე ნივთიერების გაჟონვა და სხვა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგები; პროფესიული დაავადება – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

კანონი ბოლომდე ვერ პასუხობს თანამედროვე დასავლურ კონცეფციას. ამასთან, კანონი სრულად რომ ამოქმედდეს, საქართველოს მთავრობას წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაო აქვს, მისაღები აქვს უამრავი დადგენილება და შესამუშავებელია ბევრი ტექნიკური რეგლამენტი: სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელო-

ბის დაცვის მინიმალური მოთხოვნები; მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისას და დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები; სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით დასადგენი მინიმალური მოთხოვნები; სამუშაო ადგილზე აზბესტის, კანცეროგენების, მუტაგენებისა და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვა; სამუშაო ადგილზე ფიზიკური აგენტებით (ვიბრაციით, ხმაურით, ელექტრომაგნიტური ველით, ხელოვნური ოპტიკური რადიაციით) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დასაქმებულების დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები; მიწის ზედაპირზე და მიწის ქვეშ, აგრეთვე - ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები; სამუშაო ადგილზე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებით გამოწვეული რისკებისაგან, აგრეთვე - ქიმიურ აგენტებთან და ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვა; ფეთქებადი ატმოსფეროს გამო პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით დასადგენი მინიმალური მოთხოვნები; ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები და სხვ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება თვლის, რომ შრომის კოდექსში არაერთი პუნქტი ბიზნესის ზეწოლის ფონზე პაკეტიდან ამოღებულია, მათ შორის - სამუშაო საათების დღიური ოდენობა, ზეგანაკვეთური ტარიფი, ანაზღაურების შრომის ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია, ღირსეული დეკრეტული შვებულება, სოლიდარობის გაფიცვა, მინიმალური ხელფასი და ა.შ.

2020 წელს ცვლილებები შევიდა შრომის კოდექსის 2010 წლის საქართველოს ორგანულ კანონში, რითაც შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები ახლებურად მოწესრიგდა.[182]

შრომის კოდექსში ცვლილებების თანახმად, ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასთან და სამუშაოს შესრულებასთან, შვებულებასთან, შრომის ანაზღაურებასთან, სამუშაო ადგილზე ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გამართვასთან, აგრეთვე - სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიასთან დაკავშირებული საკითხები.

დოკუმენტის თანახმად, შრომითი დისკრიმინაცია აკრძალულია და დისკრიმინაციად მოიაზრება განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება, გამორიცხვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური

---

[182] საქართველოს შრომის კოდექსი, 17/12/2010
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21 [28.08.20212]

და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის - პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების გადახდა. დოკუმენტის თანახმად, შევიწროება სამუშაო ადგილზე, (მათ შორის - სექსუალური შევიწროება) არის ასევე დისკრიმინაციის ფორმა. ამასთან, დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ დავებზე მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება.

კანონის თანახმად, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. დოკუმენტში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის

შემდეგ განსაზღვრავს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს. კანონის თანახმად, სამუშაო დღის განმავლობაში, როდესაც სამუშაო დრო აღემატება 6 საათს, დასაქმებულს აქვს შესვენების უფლება. შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დრო შეადგენს არანაკლებ 6 საათს, შესვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს, სულ მცირე, 60 წუთი.

დასაქმებულს, რომელიც მეძუძურია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება. ორსულ ქალს მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი დრო სამედიცინო გამოკვლევისათვის, თუ ამგვარი სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარდეს სამუშაო დროის განმავლობაში. ორსულობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების გამო გაცდენილი სამუშაო საათები გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საპატიოდ ჩაეთვლება და შეუნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

კანონით რეგულირდება 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა სამუშაო გრაფიკიც. კერძოდ, ამ ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს და დღის განმავლობაში - 6 საათს. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24

საათს და დღის განმავლობაში - 4 საათს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს უფლება აქვს, დასვენების დღეების გარდა, თვეში ერთხელ ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღით ან დამსაქმებელთან შეათანხმოს შინაგანაწესისაგან განსხვავებული სამუშაო დრო.

დოკუმენტის თანახმად, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. არასრულწლოვნისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოს დროის ხანგრძლივობა დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო კვირის განმავლობაში - 4 საათს. მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი ღამის სამუშაოზე დასაქმებულისათვის 24 საათის განმავლობაში მაქსიმალური სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. აღნიშნული წესი არ მოქმედებს ცვლაში მუშაობის შემთხვევაზე. კანონით განსაზღვრულია ასევე ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების საკითხიც. კერძოდ, ამ მიზნით, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების გაჩენის შემთხვევაში - 143 კალენდარული დღე. აღნიშნული შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ბავშვის მოვლის გამო შვებულება 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების გაჩენის შემთხვევაში - 587 კალენდარული დღის ოდენობით. ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე. ბავშვის მოვლის გამო შვებულება შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ. კანონში განმარტებულია, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა დედის ექსკლუზიური უფლებაა, თუმცა ბავშვის მამა უფლებამოსილია ისარგებლოს დედის მიერ აღნიშნული შვებულების გამოუყენებელი დღეებით.

კანონში ცვლილებებით იზრდება სამმხრივი კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადა და ნაცვლად 1-ისა, ხდება 3 წელი. სამმხრივი კომისიის ახალი შემადგენლობა განისაზღვრება წინა შემადგენლობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. დოკუმენტით რეგულირებულია სტაჟირების საკითხიც. კერძოდ, პროექტის თანახმად, ანაზღაურების გარეშე სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს. ერთსა და იმავე პირს უფლება აქვს ერთსა და იმავე დამსაქმებელთან ანაზღაურების გარეშე სტაჟირება გაიაროს მხოლოდ ერთხელ.

საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წელს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2021 წლიდან ამოქმედდა შრომის ინსპექცია.[183] შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება და მისი მანდატის გაზრდა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი სიახლეა. მიღებული ცვლილებებით, შრომის ინსპექციის მანდატს ემატება შრომის უფლებების მონიტორინგიც. რას გულისხმობს ეს? აქამდე შრომის ინსპექცია ამოწმებდა მხოლოდ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტს და მისი უფლებამოსილების მიღმა რჩებოდა შრომითი ურთიერთობების, შრომის უფლებების მონიტორინგი. ახლა კი ინსპექციას ექნება შესაძლებლობა, შეამოწმოს, იცავს თუ არა დამსაქმებელი დასაქმებულის შრომით უფლებებს – სამუშაო დროის ხანგრძლივობას, მოთხოვნებს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს, შვებულების მიცემის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გაცემას, შრომითი დისკრიმინაციის საკითხებს და ა.შ., ანუ იმას, რაც შრომის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნებია.

ინსპექტირების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექტორის უფლებამოსილება: მონიტორინგის დაწყება შეეძლება დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით; ექნება უფლებამოსილება, თავისუ-

[183] საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, 29/09/2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003057?publication=0 [28.08.2022].

ფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში. შრომის ინსპექციას სასამართლოს ნებართვა დასჭირდება მხოლოდ იმ საქმეებზე, სადაც არსებობს გონივრული საფუძველი იძულებითი შრომისა და შრომით ექსპლოატაციასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც ინსპექციას უფლება აქვს, წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდეს ნებისმიერ შენობაში/სივრცეში.

ასევე ინსპექციას აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა ინსპექტირებისათვის საჭირო ვადით, მოიძიოს, გამოითხოვოს და გამოიკვლიოს ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო დარღვევასთან; აიღოს ნებისმიერი ნივთის, მასალის ან ატმოსფერული ჰაერის ნიმუში; განახორციელოს აზომვები, ჩანაწერები, ფოტო, ვიდეოგადაღება, ამონაწერის გაკეთება.

კანონში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კონფიდენციალობის დაცვაზე. ინსპექტორი უფლებამოსილია გამოკითხოს სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში ნებისმიერი პირი, აღნიშნული პირისგან ისეთი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე, რომელმაც შესაძლოა ამხილოს ეს პირი; კონფიდენციალობის პირობის დაცვით, შრომის ინსპექციის სამსახურში მოიწვიოს დამსაქმებელი, დასაქმებული ან ნებისმიერი სხვა პირი და გაესაუბროს მას.

შრომის ინსპექტორი, მათ შორის შრომის ინსპექციის სამსახურის ყველა თანამშრომელი, ვალდებულია, არ გაამჟღავნოს საჩივრის ავტორის ან გამოკითხული პირის ვინაობა. ინსპექტირების განხორციელებისას შრომის ინსპექციის სამსახური არ მიუთითებს, რომ ინსპექტირება დაიწყო საჩივრის საფუძველზე. საჩივრის ავტორის ან გამოკითხული პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობის საფუძველზე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამ ვალდებულებების დარღვევისას ინსპექტორი შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ან დაეკისროს სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა. რა ხდება დარღვევის დადგენის შემთხვევაში? შრომითი ნორმების (მოიცავს როგორც შრომის კოდექსით, შრომის უსაფრთხოების კანონით, შრომითი ხელშეკრულებით და სხვა აქტებით გათვალისწინებულ შრომით მოთხოვნებს) დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: გაფრთხილება, ჯარიმა, სამუშაო პროცესის შეჩერება (შრომის უსაფრთხოების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონით).

შრომის ინსპექციის სამსახური სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით - განსაზღვროს, როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული ან/და რა ოდენობის ჯარიმა უნდა იყოს დაკისრებული. ადმინისტრაციული სახდელი შრომითი ნორმის დარღვევის თანაზომიერი უნდა იყოს. ამასთან, დაკისრებული ჯარიმის

ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების მექანიზმიც. რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, დარღვევის ხასიათისა და დამსაქმებლის ეკონომიკური საქმიანობის გათვალისწინებით, 200 ლარიდან 1000 ლარამდე მერყეობს. აქვე არის გათვალისწინებული დარღვევის დამამძიმებელი გარემოებებიც, რაც არასრულწლოვნის, ორსული ქალის ან შშმ პირის მიმართ განხორციელებულ დარღვევას ეხება და სანქციის გაორმაგებას გამოიწვევს. კანონში ასევე აღნიშნულია, რომ ბავშვთა შრომის ან/და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევისათვის დასაშვებია სამუშაო პროცესის შეჩერების სახდელის გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურში უნდა შეიქმნას 7 წევრისაგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო. მასში იქნება სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ასევე - სამმხრივი კომისიის წარმომადგენლები დასაქმებულთა და დამსაქმებელთა მხრიდან (სამმხრივი კომისიის მხარეები არიან საქართველოს მთავრობა, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებები), პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის 3 წევრი.

მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს შრომის მთავარ ინსპექტორთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს შრომის ინსპექციის სამსახურისათვის. მთავარი ინსპექტორი ვალდებულია შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს მრჩეველთა საბჭოსა და საქართველოს პარლამენტს.

ამრიგად, უსაფრთხოების პრობლემა აქტუალურია და მოითხოვს უწყვეტ რეჟიმში მისი დაცვის სისტემის სრულყოფას. მუდმივად ჩნდება ახალი საფრთხეები ან ძველები ტრანსფორმირდება და ერგება ახალწარმოქმნილ რეალობებს სამუშაო ადგილებსა თუ ბუნების დაცვით გარემოში, ჯანდაცვასა თუ ტექნოლოგიებში. სამუშაო იძლევა ეკონომიკურ მოგებას და ბევრ სხვა სარგებელს, მაგრამ ხშირად იმავე სამუშაო ადგილზე საშიშროების ფართო სპექტრი საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. იგი ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ ქიმიკატებით, ბიოლოგიური აგენტებით, ფიზიკური ფაქტორებით, არახელსაყრელი ერგონომიული პირობებით, ალერგენებით, უსაფრთხოების რისკების რთული ქსელითა და ფსიქოსოციალური რისკის ფაქტორების ფართო სპექტრით. პირადი დამცავი აღჭურვილობა იცავს ბევრი ამ საფრთხისაგან, მაგრამ ხშირად ეს არ არის საკმარისი. მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხანგრძლივი სამუშაო საათები პროფესიული რისკის ფაქტორია, რომელსაც თან სდევს დაავადებების დიდი ტვირთი.

ბევრ ადამიანს აწუხებს სამუშაო ადგილზე ფიზიკური საფრთხეები. მაგალითად, საკმაოდ გავრცელებულია სმენის პროფესიული დაკარგვა; მრავალი მილიონი მუშა განიცდის სახიფათო ხმაურის ზემოქმედებას სამუშაოზე, რასაც მოწმობს სმენის დაკარგვის გამო მუშებზე ყოველწლიურად კომ-

პენსაციის სახით გაცემული მილიონობით დოლარი. ასევე საწარმოო ტრავმებისა და სიკვდილის ხშირი მიზეზია ვარდნები, განსაკუთრებით - მშენებლობებზე, სამთო მომპოვებლებში, სატრანსპორტო გადაადგილებაში, შენობების ტექნიკური მომსახურებისას, დასუფთავების დროს (საქართველოში ბევრი ასეთი ტრაგიკული შემთხვევა გახმაურდა).

ბიოლოგიური საფრთხეები მოიცავს ინფექციურ მიკროორგანიზმებს, როგორიცაა ვირუსები, ბაქტერიები და ამ ორგანიზმების მიერ გამოყოფილი ტოქსინები, მაგალითად, ჯილეხის ჩხირი. ბიოლოგიური საფრთხეები აზიანებს მრეწველობის დარგის მუშაკებს; გრიპი აინფიცირებს მშრომელთა ფართო ჯგუფს. ღია სივრცეში მომუშავეებს, ფერმერებს, ლანდშაფტის დიზაინერებსა და მშენებლებს ემუქრებათ მრავალი ბიოლოგიური საფრთხე, მათ შორის - ცხოველების ნაკბენები და შხამიანი მცენარეები, ცხოველთა გადამდები დაავადებები. ჯანდაცვის მუშაკები, ვეტერინარები სისხლით გადამდები პათოგენებითა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებით ინფიცირების რისკის ქვეშ არიან. საშიშ ქიმიკატებს შეუძლიათ ქიმიური საფრთხე შექმნან სამუშაო ადგილზე. ესენია: ნეიროტოქსინები, იმუნური აგენტები, დერმატოლოგიური აგენტები, კანცეროგენები, რეპროდუქციული ტოქსინები, სისტემური ტოქსინები, ასთმოგენები, პნევმოკონიოტიკური აგენტები და სენსიბილიზატორები.[184]

---

[184] Chemicals: Managing Chemical Safety in the Workplace. The National Institute for Occupational Safety and Health (NIOSH), CDC 24/7. https://www.cdc.gov/niosh/chemicals/default.html?CDC_AA_refVal=https%3A

ფსიქოსოციალური საფრთხეები მოიცავს რისკებს თანამშრომლების გონებრივი და ემოციური კეთილდღეობისათვის, როგორიცაა: სამსახურში დაუცველობის გრძნობა, ხანგრძლივი სამუშაო საათები, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ცუდი ბალანსი.

შეუძლებელია, აქვე არ შევეხოთ ნანოტექნოლოგიასაც. ნანოტექნოლოგიას აქვს პოტენციალი, შექმნას მრავალი ახალი მოწყობილობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მედიცინაში, ელექტრონიკასა და ენერგეტიკაში. ამასთან, ნანოტექნოლოგია ბადებს კითხვებს მის შესაძლო უარყოფით გავლენაზე ეკოლოგიასა ან/და გლობალურ ეკონომიკაზე.

1959 წელს ამერიკელმა ფიზიკოსმა *რიჩარდ ფაინმანმა* (Richard Philips Feynman; 1918-1988) თავის მოხსენებაში „იქ, ქვევით საკმარისი ადგილია", პირველად წამოაყენა მოსაზრება, რომ შესაძლოა ატომების გადაადგილება მექანიკურად, მანიპულატორების საშუალებით. ითვლება, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი ნანოტექნოლოგიის განვითარებაში.

ტერმინი „ნანოტექნოლოგია" პირველად 1974 წელს გამოიყენა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა *ნორიო ტანიგუჩიმ.* (Norio Taniguchi; 1912-1999) მან ამ ტერმინით განსაზღვრა რამდენიმე ნანომეტრის ზომის ობიექტის შექმნა.[185]

%2F%2Fwww.cdc.gov%2Fniosh%2Ftopics%2Fchemical-safety%2Fdefault.html [28.08.2022].

[185] Taniguchi N., On the Basic Concept of Nanotechnology. Proceedings of the International Conference on Production Engineering, Tokyo, 1974. https://www.scirp.org/(S(vtj3fa45qm1ean45vvffcz55))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1973088 [28.08.2022].

ზოგადად, ნანოტექნოლოგია არის მეცნიერების დისციპლინათშორისი სფერო (აერთიანებს ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ელექტრონიკას, მედიცინას და სხვ.), რომელიც საგნების ატომურ და მოლეკულურ დონეზე მანიპულირების მეთოდებსა და ხერხებს შეისწავლის. ნანოტექნოლოგია იკვლევს სტრუქტურებს, რომელთა ზომა 100 ნანომეტრს არ აღემატება, მოიცავს მასალებისა და მოწყობილობების შემუშავებას ამ ზომის ფარგლებში. განსაზღვრული რაოდენობის ატომებისა და მოლეკულების მანიპულაციით აწყობს და ქმნის სასურველი სტრუქტურის მასალებსა და ხელსაწყოებს. მას შეუძლია მიიღოს სასურველი ნანოობიექტები და ნანოსტრუქტურები ხელოვნური სინთეზით, რომელთა მსგავსები არ არსებობს საერთოდ ბუნებაში, შექმნას ჯერ არნახული სიმძლავრისა და სისწრაფის კომპიუტერები, საინფორმაციო საშუალებების სხვა ხელსაწყოები. უახლოეს ათწლეულში მისი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტემპი მოახდენს ნანორევოლუციას და კოორდინალურად შეიცვლება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ის აღიარებულია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. ნანოტექნოლოგია უკიდურესად მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც არსებული მოწყობილობების ახლებურად აწყობის საშუალებებს, ისე სრულიად ახალი მასალების შექმნას ნანოსკალის დონეზე.[186]

---

[186] ბიბილაშვილი, ა., თანამედროვე ნანოტექნოლოგიები. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2014

ნანოტექნოლოგია უკვე ქმნის ახალ გამოწვევებს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისათვის. მისი განვითარებისა და გართულების კვალობაზე, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება და გართულდება. ნაწილაკების ზომა უმეტეს დამცავ აღჭურვილობასა და პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას არაეფექტურს ხდის. დიდი ზომის სამრეწველო ნივთიერებების ტოქსიკოლოგიური მნიშვნელობები აღმოჩნდა არაზუსტი ნანონაწილაკების უნიკალური ბუნების გამო. როგორც ნანონაწილაკები ზომაში მცირდება, მათი ფარდობითი ზედაპირის ფართობი მკვეთრად იზრდება, რაც არსებითად ზრდის ნებისმიერ კატალიზურ ეფექტს ან ქიმიურ რეაქტიულობას მაკროსუბსტანციის ცნობილ მნიშვნელობაზე. ეს წარმოაჩენს ახალ გამოწვევებს უახლოეს მომავალში, რაც მოითხოვს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების თანამედროვე ზომების გადახედვას, რათა დაცული იქნას თანამშრომლების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ნანონაწილაკების ზემოქმედებისაგან.

ჩვენი აზრით, დღეს თუ არა ხვალ უსაფრთხოების პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგება სწორედ ნანოტექნოლოგიების, საერთოდ მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღესვე გაკეთდეს აქცენტი ამ მიმართულებით.

დღეს საქართველო უსაფრთხოების დაცვაში ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ შეუძლია თავი გამოიჩინოს იმ თვალსაზრისით, რომ ტექნოლოგიებიდან მომდინარე საგანგაშოდ მზარდ საფრთხეებზე

განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება და მისგან დაცვის მექანიზმების შემუშავებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. შეიძლება გამოვიდეს ინიციატივითაც, მსოფლიოში უსაფრთხოების დაცვის პოპულარული საერთაშორისო ტერმინის აბრევიატურას [187] - HSE ანუ health (H), safety (S), Environment (E), ჩაემატოს სიტყვა Technology. მაგალითად, HSET ანუ health (H), safety (S), Environment (E), Technology (T) - ჯანმრთელობა (ჯ), უსაფრთხოება (უ), გარემო (გ), ტექნოლოგიები (ტ) - ჯუგტ.

საქართველოში ოფიციალურად მიღებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის[188] მიხედვით, უსაფრთხოებას შემდეგი კოდები შეესაბამება: 0712.3.1 შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები Labour Protection end Environmental Technology; 0721.2.2 სურსათის უვნებლობა (Food Safety); 1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება Occupational Health and Safety; 1022.1.1 პროფესიული უსაფრთხოება Occupational Safety; უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები Security Services; 1032 ადა-

---

[187] HSET ანუ health (H), safety (S), Environment (E), Technology (T) - ჯანმრთელობა (ჯ), უსაფრთხოება (უ), გარემო (გ). არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპლექსისა, რომელიც სწავლობს და ახორციელებს გარემოს დაცვისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების პრაქტიკულ ასპექტებს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ის, რაც ორგანიზაციებმა უნდა გააკეთონ, რათა დარწმუნდნენ, რომ მათი საქმიანობა არავის ზიანს არ აყენებს.


[188] საქართველოს მინისტრის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ", 12/04/2019. [12.09.2022]

მიანებისა და საკუთრების დაცვა Protection of Persons and Property; შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ადამიანებს, ასევე მათი საკუთრების დაცვას. მოიცავს საპოლიციო მომზადებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახანძრო დაცვას. Is the study of services to the community concerning protection of property and persons. It comprises training in police work, public security, fire protection and fire-fighting; 1031.1.1 თავდაცვა და უსაფრთხოება Defence and Safety; 103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები Security Services.


1031-1039 დეტალურ სფეროებში შემავალი სწავლის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები: ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor – Field of study; მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study ან ბ) მეცნიერების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor of Science(BSc) – Field of study მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Science(MSc) – Field of study.

დანართი 1

პროფ. ჰ. კუპრაშვილის დიაგრამები




პროფ. ჰ. კუპრაშვილის დიაგრამა




პროფ. ჰ.კუპრაშვილის დიაგრამა

მალიანობაში ეროვნული უშიშროების თეორიასთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია გამოყენებითი, ხოცილური, ჰუმანიტარული, სახელმისმეტყველო, მათემატიკური, ტექნიკური, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები და სხვ. ოი აერთიანებს პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ტექნიკური და სხვა მეცნიერებების გამოყენებით პრაქტიკის,



ბროფ. ჰ.კუპრაშვილის დიაგრამა



*ამ შემთხვევაში ტერმინი „საფრთხე“ („საშიშროება“), რომელმაც შეიძლება ბიანი მიაყენოს მოსახლეობას, გარემოს... მომდინარეობს ბუნებრივი, ტექნოგენური, საწარმოო და სამუშაო პროცესის თავისებურებებიდან (მინიხძერვები, მასშტაბური კატასტროფები - სამრეწველო ავარიები, სახძრები, ხტიქეური უბედურებები; ეპიზოოტიები, ეპიფიტოტიები, ელსადგურები, მსტყბი, საწარმოები, მანქანა-დანადგარები, კომპიუტერული და ქსელური სისტემები, ხიუმიერებები, სამუშაო შეთოდები, გარემო პირობები, შრომის ორგანიზება და სხვ.), არის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და სხვა სასიათის.

კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება

კიბერუშიშროება - კიბერსივრცეში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობა, რაც მიიღწევა ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის შედეგად ეფექტური კიბერუსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებით, კიბერსივრცის მდგრადობით, არასასურველი შიდა და გარე მემოქმედებისაგან თავდაცვადობით.

კიბერუშიშროების უზრუნველყოფაში ამოსავალია პოლიტიკური მიზანი, ხოლო შედეგი - მისი მიღწევა.

სწავლების სფერო და კოდი: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031), სამართალი (0421), ეკოლოგია (0521.1.2) და სხვ.

კიბერუშიშროების კომპონენტი

კიბერუსაფრთხოება არის კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (ქსელები, კომპიუტერები, პროგრამები, მონაცემები, მონყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაშიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) საფრთხისგან „მექანიკური" დაცვის ტექნოლოგიების, მეთოდიკისა და პროცესების ერთობლიობა ანუ კიბერუშიშროების პოლიტიკური მიზნის მიღწევის მესაბამისი „ტექნიკური" შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა.

სწავლების სფერო და კოდი: ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (06) და სხვ.

პროფ. ვ. ყარამძოლის დაკვრამა

კიბერშიშროების უზრუნველყოფის სისტემა

კიბერსივრცეში ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება

კიბერუშიშროების პოლიტიკა

(სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის საქმიანობა).
სწავლების სფერო და კოდი: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031), სამართალი (0421), ეკოლოგია (0521.1.2) და სხვ.

- საქართველოს ეროვნული სტრატეგიის შემუშავება კიბერსივრცისა და კიბერუშიშროების სფეროში: სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპების დადგენა, კიბერუშიშროების ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების, განვითარების პრიორიტეტული ასპექტების განსაზღვრა და სხვ.;
- კიბერუშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა;
- ხელისუფლების მიერ კიბერსივრცისა და კიბერუშიშროების სფეროში კანონების, საშართლებრივი აქტების მიღება: ეროვნული ინტერესების დაცვის, მართვის პროცესის სრულყოფის, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნის, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების სრულყოფის შესახებ და სხვ.
- კიბერსივრცესა და კიბერუშიშროებასთან დაკავშირებული ქვეყნის სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა;
- საქართველოს მიერ დადებული ან აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების შესაბამისად ქვეყნის კიბერსივრცესა და კიბერუშიშროებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე კიბერსივრცესა და კიბერუშიშროებასთან დაკავშირებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება-გამხილვა

კიბერუსაფრთხოება

სწავლების სფერო და კოდი: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (06) და სხვ.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარება:

- კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა;
- შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვა;
- კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროს (ქსელები, კომპიუტერები, მონყობილობები, პროგრამები, მონაცემთა ბაზები) ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურებისა და პირების განსაზღვრა) და სხვ.

კიბერუშიშროების პოლიტიკური მიზნის მოთხოვნების შესაბამისი შედეგი:

კიბერუსაფრთხოების მიღწევის უზრუნველყოფა

პროფ. ჯ. კუპრაშვილის დიაგრამა

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, „მეცნიერება“.
2. ალადაშვილი, ბ. (2010). ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირების პარადიგმა. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, გვ.80-100.
3. ალადაშვილი, ბ. (2014). რუსეთი და საქართველო: მომდინარე ეკონომიკური უსაფრთხოების რისკების შეფასება. GBER (სეკბ): საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიურო. http://www.edu.gber.ge/?menuid=3&id=-29&lang=1 [20.08.2022]
4. ალავერდოვი, ე. (2019). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული ორიენტაცია. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, „ევროპულ-ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები“, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, გორი.
5. ალაფიშვილი, ლ. (2018). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა, ანგარიშვალდებულების და ზედამხედველობის აქტუალური საკითხები. სამართლის ჟურნალი, თსუ-ს გამომცემლობა, #1.
6. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. (2017). აშშ-ის საელჩო

საქართველოში, ოფიციალური ვებ-გვერდი. https://ge.usembassy.gov/ka/2017-national-security-strategy-united-states-america-president-ka/ [20.08.2022]

7. ანთია, ლ., ენერგეტიკული პოლიტიკა და დიპლომატია სამხრეთ კავკასიაში. წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ. 2019.
8. აქუბარდია, თ. (2020). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დაგეგმვა, კოორდინაცია და პრაქტიკა. ექსპერტის აზრი. საქართ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობათა კვლევის ფონდი, #135.
9. აქუბარდია, თ. (2019). ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სახელმწიფო დონეზე გაგრძელდეს ექსპერიმენტები ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. ინტერვიუერი კობა ბენდელიანი, "ინტერპრესნიუსი".
10. ბარნოვი, ა. (1999). საინფორმაციო უზრუნველყოფის ცნება და ანალიზისა და პროგნოზირერების პრობლემები. სტრატეგიული კვლევები, კრებული, # 1.
11. ბატიაშვილი, ზ. (2018). უსაფრთხოების მიმოხილვა „ჯიჰადისტური საფრთხეების ტრანსფორმაცია". საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
12. ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება". ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო".

13. ბაუმანი, ე. (2015). დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და პიროვნული კავშირები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. European.ge. http://european.ge/dasaqmeba-socialuri-usafrtxoeba/ [20.07.2022]
14. ბაღათურია, გ., ბაღათურია, ო., დოღონაძე, შ., იაშვილი, გ., იაშვილი, თ. (2018). კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში. თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი".
15. ბაღათურია, გ., თუთბერიძე, გ., ჩილოღლუ, ი., ხოშტარია, თ. (2018). ბიზნესკვლევის მეთოდები, თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი.
16. ბახსოლიანი, ნ., ხაზარაძე, ნ. (2012). სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ძველახლოაღმოსავლური მოდელის რეკონსტრუქციისათვის. ანალები, #8, გვ. 107-121.
17. ბიბილაშვილი, ა. (2014). თანამედროვე ნანოტექნოლოგიები. თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა.
18. ბილანიშვილი, გ. (2020). სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. საქართ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2845 [20.07.2022]
19. ბილანიშვილი, გ. (2019). ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - პრობლემები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/ge/publications/view/2681 [20.07.2022]
20. ბილანიშვილი, გ. (2018). რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/ge/blog/view/781 [20.07.2022]

21. ბჟეზინსკი, ზ. (2014). დიდი საჭადრაკო დაფა. თბილისი, გამომც. „არტანუჯი“.
22. ბუხრაშვილი, ე. (2014). ვერსალის ზავი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“. თბილისი.
23. გაბისონია, ირ., ტალიაშვილი, ა., ხიზანიშვილი, ს. (2021). სოციალური სამართლიანობა და საბაზრო ეკონომიკა. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“.
24. გაბისონია, ირ., ბეჟოშვილი, თ. (2019). ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმები - ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების სამართლებრივი რეგულირება სამშენებლო სამართალში. ჟურნ. *„იურისტი,* N7, თბილისი.
25. გაბისონია, ირ., გაბელია, ჯ. (2018). ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი. ჟურნ. *„იურისტი,* N6, თბილისი.
26. გაბისონია, ირ. (2018). ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები. ჟურნ. „იურისტი“, თბ., #5.
27. გამსახურდია, მ. (2021). რონალდ რეიგანი - ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. საერთაშორისო ურთიერთობები, სტუ..

28. გახოკიძე, ჯ., მიდელაშვილი, ს. (2014). ჰონკონგი, ჩინეთი 1997: განსჯისათვის. „მერიდიანი“, თბ.
29. გახოკიძე, ჯ. (2007). ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები. თბ., გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007.
30. გეგეშიძე, ა., (1997). გეოპოლიტიკა. თბილისი.
31. გეგეშიძე, ა. (1991). ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია. სახელმძღვანელო თბილისის მენეჯერთა სკოლის მსმენელთათვის, თბილისი.
32. გელაშვილი, ნ. (2019). საფრთხეებით გარემოცული ქვეყანა უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაციის გარეშე. რადიო თავისუფლება.
33. გვენეტაძე, ე. (2017). საერთაშორისო უშიშროების ასპექტები. გამომცემლობა „იურისტების სამყარო".
34. გვენეტაძე, ე. (2017). უშიშროების პრობლემები დიდ ახლო აღმოსავლეთში და სირიის საკითხი. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები*. #35-36.
35. გვენეტაძე, ე. (2016). რევოლუცია სამხედრო სფეროში და საერთაშორისო უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები*. #34.
36. გოგაშვილი, გ. (2009). ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა. სტრატეგიული კვლევები, თბილისი, გამომც. "საუნივერსიტეტო წიგნი", №2.

37. გოგიბერიძე, კ. (2020). ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა კიბერტერორიზმი და კიბერუსაფრთხოება. წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ.
38. გოგოლიძე, ი. (2015). უსაფრთხოების დილემა და გლობალური გამოწვევები. მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: ახალი საჯარო მმართველობა: გამოწვევები და პერსპექტივები (ახალი საჯარო მმართველობა: გამოწვევები და პერსპექტივები). ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
39. გუმბერიძე, ს. (2018). ეროვნული უშიშროების თავისებურებანი ინფორმაციულ ეპოქაში. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. სტუ. თბილისი, 2018.
40. გურამიშვილი, მ. (2017). ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა. შრომები, სტუ, თბ., გვ. 63-67.
41. ეჯიბია, მ. (2015).საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ეფექტური სტრატეგია სჭირდება. Europe for Georgia. http://eugeorgia.info/ka/arti-cle/554/saqartvelosenergousafrtxoebis-efeqturi-strategia-chirdeba/ [20.07.2022]
42. დარჩაშვილი, მ. (2016). მიხაკო წერეთელი საქართველოს ევროპული პოლიტიკური კურსის შესახებ (XX-ის დასაწყისი). ჟურნ. *საზოგადოება და ხელისუფლება.*

43. დარჩიაშვილი, დ. (2008). უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში 2004-2007. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინს-ტი, ი. ჭავჭავაძის სახელ. უნივერსიტეტი. თბ. https://www.-files.ethz.ch/isn/96507/SSR%20ge%20.pdf [20.07.2022]
44. დოდაშვილი, ს. (1832) წერილი ტფილისიდან პეტერბურგს ძმისადმი. ჟურნ. "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", #2, გვ. 47.
45. დოღონაძე, შ. (2011). სახელმწიფო მართვის ორგანოები და მათი საქმიანობის შედეგების განსაზღვრა. ჟურნ ხელისუფლება და საზოგადოება, № 19, თბილისი.
46. ვაშაყმაძე, მ. (2014). საქართველოს უსაფრთხოების სექტორის სამართლებრივი საფუძვლები. შვეიცარიის თავდაცვის, სამოქალაქო დაცვის და სპორტის ფედერალური დეპარტამენტის უშიშროების პოლიტიკის დირექტორატი (SIPOL). ჟენევა-თბ. https://www.dcaf.-ch/sites/default/files/publications/documents/The-Legal-Framework-of-SSG-Georgia_2014_geo.pdf [20.07.2022]
47. ვისრამიანი. (1962). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. რედ.: გ. წერეთელი, თბილისი, გამომც. და სტ., სსსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი.
48. ზაჩმანი, გ. (2014). საქართველოს ენერგოუსაფრთხოება. გერმანიის ეკონომიკური გუნდი. საქართველო. კვ-

ლევითი ნაშრომების სერია [PP/01/2014], ბერლინი/-თბილისი, ოქტომბ. http://www.get-georgia.de/wpcontent/uploads/2015/02/PP_01_2014_geo.pdf [20.07.2022]

49. თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/uploads/ModVision/tavda-cvis_saministros_xedva_2030.pdf [20.07.2022]
50. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/up-loads/2021/november/tavdacvis_strategiuli_mimoxilva_2021-2025.pdf [20.07.2022]
51. თაქთაქიშვილი, თ. (2010). ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები. www.education.ge http://education.ge/index.php?do=definition/view&id=488 [20.07.2022]
52. თევზაძე, დ. (2019). უსაფრთხოება, სტრატეგია, ეროვნული ინტერესები და ქვეყნის ომისათვის მზადება: ცნებათა გაგებისათვის. https://1tv.ge/video/usafrtkhoeba-strategia-erovnuli-interesebi-da-qveynis-omisatvismzadeba-cnebata-gagebisatvis/ [20.07.2022]
53. თევზაძე, დ. (2019). სამხედრო სტრატეგიის ევროპული ტრადიცია ანტიკურობიდან კლაუზევიცამდე. https://1tv.ge/video/davit-tevzadze-samkhedro-strategiisevropuli-tradicia-antikurobidan-klauzevicamde/ [20.07.2022]

54. იურინი, ა. (2016). უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისთვის: ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს? „კავკასიური სახლის“ ანალიტიკური პორტალი REGIONAL DIALOGUE. http://regional-dialogue.com/-security-2/ [20.07.2022]
55. კვაშილავა, გ. (2001). ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. /საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი // ბიულეტენი. # 59.
56. კვესელავა, ი. (2004, 2008). საქართველოს ისტორიის ქრონიკები. წიგ. I. , II. თბილისი.
57. კვესელავა, ი. (2016, 2016, 2017, 2018). საქართველოს ისტორიის ქრონიკები. წიგ. III, IV, V, VI. გამომც. „უნივერსალი“, .თბილისი.
58. კიკნაველიძე, მ., მულტიკულტურალიზმის გამოწვევები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. სტუ. 2020.
59. კიკნაძე, ა. (2017). თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
60. კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამომძიებო სისტემები საქართველოში. (2020). საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. დემოკ-

რატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) პროექტი „უსაფრთხოების სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“ (NED).

61. კუპრაშვილი, ნ. (2022). რას ლაპარაკობს და უჩვენებს მოსკოვი? ჟურნალისტიკის რესურსცენტრის სამეცნიერო - პრაქტიკული შრომების კრებული. გამომც. „უნივერსალი" https://www.academia.edu/s/e50462eb93 [20.07.2022]
62. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ჰიბრიდული ომი - ომის ახალი ფილოსოფია თუ ახალი ტერმინი? საერთაშორისო სამეცნიერომ ჟურნალი *სამართლის მაცნე*. სამართლის მეცნიერთა კავშირი, #5.
63. კუპრაშვილი, ჰ. (2022). კიბერსივრცე და ტერმინები: კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება. სტუ-ის შრომები – Work of GTU – Труды ГТУ, №2 (524), გვ. 167-177. ISSN 1512-0996. http://shromebi.gtu.ge/admin/uploads/shroma%20N2(524)/019-kuprashvili.pdf [20.07.2022]
64. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა. თბილისი. ს/ ს „ტექნიკური უნივერსიტეტი“. http://gtu.ge/Library-/Pdf/El_wignebi/erovnuli_ushishr.pdf [20.07.2022]
65. კუპრაშვილი, ჰ. (2021). ეროვნული უშიშროება და ეროვნული ინტერესები. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, ISBN 978-9941-25-906-7;
66. კუპრაშვილი, ჰ., კალანდაძე, გ. ოდიშელიძე, ნ. (2019). საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული

უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია (ნაწილი I). თანაავტორი. კრებული. თანამედროვე საერთშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. გამომც. „უნივერსალი", თბილისი, გვ. 111-190.

67. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ეროვნული უშიშროების სახელმწიფო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. იხილე, Proceedings Book - Science Georgia. International Conference on Global Practice of Multidisciplinary Scientific Studies Dedi¬cated to the 100th Anniversary of "GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY - GTU", June 24-26, 2022 / Tbilisi, Georgia. IKSAD GLOBAL PUBLISHING HOUSE, გვ. 313-319. ISBN: 978-625-8323-63-4
68. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, თბ., ს/ს „ტექნიკური უნივერსიტეტი", გვ. 250-253. https://gtu.ge/bef/pdf-/2022_Pdf/GLOBALIZACIA-6-2022_Monografia_UDC_-Shesc_30.06.22/globalizacia-2022_UDC%20339.15.pdf [20.07.2022]

69. კუპრაშვილი, ჰ. (2022). სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიოს გლობალური გამოწვევები“ შრომების კრებული. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 244-250.
70. კუპრაშვილი, ჰ., დავითაშვილი, ო. (2020). ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის პრობლემები. *„ხელისუფლება და საზოგადოება* - 2020“, მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, გვ. 415-423.
71. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშელიძე, ნ. (2019). ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან ბრძოლის სისტემური რეგულირება. ჟურნ *„ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)*“. № 4 (52) გვ. 5-11.
72. კუპრაშვილი, ჰ. (2019). სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები. თანაავტორი. ჟურნ. *პარალელი.* № 11, გვ. 98-111.
73. კუპრაშვილი, ჰ. (2019). მე-20 საუკუნის ბოლოდან საქართველოსა და სომხეთის გეოპოლიტიკური ჭიდილის რამდენიმე ასპექტი. მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: არაფრის მომცემი თამაშის გადალახვის გზები“. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 66-88.

74. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშარია, კ., ალფაიძე, ი. (2018). თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში. *ჟურნ. საისტორიო ვერტიკალები.* № 39, გვ. 39-47.

75. კუპრაშვილი, ჰ. (2017). ინფორმაციული ომის ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი. ჟურნ. "საისტორიო ვერტიკალები". № 37-38 (37), გვ. 15-24.

76. კუპრაშვილი, ჰ. (2017). ინფორმაციული ომის ცნება და წარმოშობის პერიპეტიები. *ჟურნ. საისტორიო ვერტიკალები.* № 37-38 (38), გვ.302-308.

77. კუპრაშვილი, ჰ. ოდიშარია, კ., ალფაიძე, ი. (2017). სახელმწიფოს პრობლემები და სისტემური მიდგომა მათ დასაძლევად. *ჟურნ. საისტორიო ვერტიკალები.* № 37-38 (38), გვ.332-336.

78. კუპრაშვილი, ჰ. (2015). ინფორმაციული იარაღის თავისებურების ზოგიერთი ასპექტი. ჯურნ. *საისტორიო ვერტიკალები,* # 31, გვ. 54-60.

79. კუპრაშვილი, ჰ. (2015). პრობლემები ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში. ჟურნ. *ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა),* № 4 (36), ტომი II, გვ. 46–56 http://www.odageorgia.ge/downloads/JURNALI%204%20(36)%20T83262.2-%202015.pdf [20.07.2022]

80. კუპრაშვილი, ჰ. (2013). საგარეო-პოლიტიკური უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. N4(28), თბილისი, გვ. 20-28.
81. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ინფორმაციის შემეცნებითი ასპექტები. ჟურნ. *პარალელი*. #3, გვ. 180-189.
82. კუპრაშვილი, ჰ. (2011). ტერმინები უშიშროება (security) თუ უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი. ჟურნ. *პარალელი*. #2, გვ. 154-157.
83. კუპრაშვილი, ჰ., კუპრაშვილი, მ. (2011). ეკონომიკური უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *სოციალური ეკონომიკა*. სპეც. ნომერი #1, გვ. 142-144.
84. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშარია, კ., ჯაფარიძე, გ. (2011). ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა (რამდენიმე ასპექტი). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, # 1 (10), თბილისი, გვ. 229-233, ISSN 1512-3979 https://gtu.ge/Journals/mas/Referat/2011(1-10)/229-233.pdf [20.07.2022]
85. კუპრაშვილი, ჰ. (2011). ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, # 1

(10), თბილისი, გვ. 227-229, ISSN 1512-3979 https://gtu.-ge/Journals/mas/Referat/2011(1-10)/227-229.pdf [20.07.2022]

86. კუპრაშვილი, ჰ. (2004). ეროვნული უშიშროების ცნების შინაარსი, პრობლემური სიტუაციის დახასიათება. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები.* #6, გვ. 51-60.
87. კუპრაშვილი, ჰ. (2003). პოლიტიკური პროცესის რეალიზაციის ინფორმაციული ასპექტები. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები.* # 4, გვ. 52-54.
88. კუპრაშვილი, ჰ. (2003). ინფორმაციული პროცესების ტექნოლოგიური და საინფორმაციო-ანალიტიკური ასპექტები. ჟურ. "პოლიტიკა". N8, გვ. 6-8.
89. კუპრაშვილი, ჰ. (2001). პოლიტიკური კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *კავკასიის მაცნე.* # 4, გვ. 20-21.
90. კუპრაშვილი, ჰ. (2001). სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *კავკასიის მაცნე.* # 4, გვ. 17-19.
91. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშარია, კ., შარაშენიძე, თ. (2001). საინფორმაციო ანალიზირება და პროგნოზირება მართვის პროცესში. ჟურნ. *კავკასიის მაცნე.* # 4, გვ. 15-16.
92. კუპრაშვილი, ჰ., შარაშენიძე, თ. საინფორმაციო პოლიტიკის სტრუქტურული ასპექტები პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. ჟურნ. *პოლიტიკური ტექნოლოგიები.* 2001. # 2, გვ.18-31.
93. კუპრაშვილი, ჰ., კიკნაძე, თ. (2002). ახალი რეალიები -

საინფორმაციო ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების ტრანსფორმაცია. ჟურნ. "პოლიტიკა". # 3, გვ. 32-35.
94. კუპრაშვილი, ჰ. (2000). ინფორმაციის ცნების გნოსეოლოგიური ასპექტები. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი III, გვ. 32-40.
95. კუპრაშვილი, ჰ. (2000). ადამიანის უშიშროების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციისა და პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი II, გვ. 33-44.
96. კუპრაშვილი, ჰ. (2010). აგვისტოს რუსული აგრესია - კრემლის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები*. # 21, გვ. 23-31.
97. ლეჟავა, ლ. (2018). აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
98. ლომინაძე, თ., ბურკოვი, ა., ბურჯანაძე, ვ. და სხვ. (2010). ქსელური პროგრამირების მეთოდი პროექტების მართვაში // აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა", შრომათა კრებული. თბილისი.
99. ლომიძე, ნ. გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ეროვნული ინტერესების ჭრილში. ჟურნ. *საისტორიო ვერტიკალები*. N15.

100. მათიაშვილი, გ. (2020). ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და ევროპული უსაფრთხოება. წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სადოქტორო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები, სტუ.

101. მაიასაია, ვ., ობოლაძე, ბ. ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში: (გლობალური და რეგიონული ასპექტები): პანკისის ისლამური "პანდორას ყუთი" და ქართული სპეცსამსახურები. თბილისი, გამომც. [გ.გ.], 2009.

102. მაკფერლეინი, ს. ნ. (2015). ოცნების ორი წელი: საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. Chatham House: Russia And Eurasia Program.

103. მაკფერლეინი, ს. ნ. (2012). საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება. რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა, პროგრამული სტატია. ჩეთემ ჰაუსი, ლონდონი.

104. მარგველაშვილი, მ., მუხიგულიშვილი, გ., კვარაცხელია, თ., ფარცვანია, მ. (2022). რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), თბილისი. https://t.co/7zHIsx7Wc1?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Eembeddedtimeline%7Ctwterm%5Escreenname%3AWEG_Georgia%7Ctwcon%5Es1_c14 [20.07.2022]

105. მარგველაშვილი, მ. (2017). ენგურჰესი და აფხაზეთის ენერგომოხმარება (ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევა). ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. გვ. 103-114. https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf [20.07.2022]

106. მარგველაშვილი, მ., მუხიგულიშვილი, გ., კვარაცხელია, თ. (2017). ენერგეტიკის სექტორის რეგულირება საქართველოში - პრობლემები და გამოწვევები. ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. გვ. 67-72. https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf [20.07.2022]

107. მარგველაშვილი, მ. (2015). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების მიმართულებები. http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoebis_riskebi.pdf [20.07.2022]

108. მაღრაძე, გ., მაისაია, ვ. (2017). 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/maisaia%20magradze.pdf [20.07.2022]

109. მიდელაშვილი, ს. (2019). მშვიდობიანი ეკონომიკური პოლიტიკა უკეთესი მომავლისათვის. ჟურნ. *განათლება* 1(24), სტუ, გვ.120-126.

110. მიშველაძე, რ. (2012). კულტურა და თანამედროვეობა. გამომც. „საქართველოს მაცნე", თბილისი.

111. მიქაძე, ბ. (2021). ტერორიზმი, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების მნიშვნელოვანი გამოწვევა. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელმ. ჰ. კუპრაშვილი. სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები შიფრი - 0312. სტუ.

112. მროველი, ლეონტი. ცხოვრება ფარნავაზისი http://www.georoyal.ge/?id=1946 [20.07.2022]

113. მშვიდობაძე, ხ. (2015). საქართველოს კიბერბარომეტრი. ანგარიში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი, გვ. 11-12.

114. მშვიდობაძე, ხ. (2013). ინფორმაციული და კიბერ პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. სტუ.

115. მჭედლიშვილი, ა. (2009). ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნის პრინციპები. ჟურნ. *სტრატეგიული კვლევები,* №2, თბილისი, გამომც „საუნივერსიტეტო წიგნი". http://strate.ge/index.php?option=com_content&view=article&id=54:2010-09-14-13-1216&catid=37:2010-01-10-15-00-24&Itemid=114 [20.07.2022]

116. ოდიშელიძე, ნ. (2021). ტრანსნაციონალური საფრთხეები და საქართველოს ეროვნული უშიშროება. დისერტაცია წარმოდგენილია დოქტორის აკადე. ხარისხის მოსაპოვებლად, სადოქტორო პროგრამა, საერთაშორისო ურთიერთობები. ხელმ. ჰ. კუპრაშვილი. სტუ.
117. ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). ლექსიკონი ქართული. ტომი მეორე, თბილისი, „მერანი".
118. ოსიძე, ლ. (2019). ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გვ.94-100.
119. პავლიაშვილი, ს., გუბელაძე დ. (2014). ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი კრიტერიუმები. საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი - for.ge. https://for.ge/view/36048/erovnuli-sasursaTo-usafrTxoebis-ZiriTadi-kriteriumebi.html [20.07.2022]
120. პაპავა, ვლ. (2017). ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა. თბ., საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf [20.07.2022]
121. პერტაია, ლ. (2021). რატომ დაფიქსირდა 2020-ში შრომისას დაშავების მაქსიმალური რიცხვი. netgazeti.ge. https://netgazeti.ge/news/533086/ [20.07.2022]

122. სარაიდაროვი, ლ. (2020). ისრაელი-საერთაშორისო უშიშროების სისტემაში. წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები, სტუ.

123. საქართველოს კანონი. (1996). ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ.

124. საქართველოს კანონი. (2015). ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. 3126-IIს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=11 წვდომა 30.03.2022.

125. საქართველოს კანონი. (2020). შრომის ინსპექციის შესახებ. #7178-Iს

126. საქართველოს კანონი. (2020). შრომის ინსპექციის შესახებ. #7178-Iს https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003057?publication=0 წვდომა 28.08.2022.

127. საქართველოს კანონი. (1997). საქართველოს თავდაცვის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28330?publication=20 [20.07.2022]

128. საქართველოს კანონი. (1996). ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ.

129. საქართველოს ორგანული კანონი. (2010). საქართველოს შრომის კოდექსი. #4113-რს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21 [20.07.2022]

130. საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2021). „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე

შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. #333. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5211628?publication=0 [20.07.2022]

131. საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2017). საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია 2017-2020. საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. №4, თბილისი, 1650 გვ.

132. საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2021). საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. №482. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0 [20.07.2022]

133. საქართველოს მინისტრის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, 12/04/2019. [12.09.2022]

134. საქართველოს კონსტიტუცია (2014).(15 მაისის მდგომარეობით). თბილისი, „უნივერსალი“.

135. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახუ-

რის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017. https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarihi%202017.pdf [20.07.2022]

136. საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი უსაფრთხოების კანონებისა და სტრატეგიების მოკლე მიმოხილვა. (2021). შემდგენელი: რ. ბახტაძე, მ. ჩირგაძე, ლ. აბესაძე, ნ. ბოჭოიძე, გ. მიქაუტაძე, ლ. ნაჭყებია, თ. ნაჭყებია. საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია, თბილისი http://yata.ge/ge/wpcontent/uploads/2021/03/უსაფრთხოების-დოკუმენტი.pdf [20.07.2022]

137. სიგუა, ს. (2016-2019). ქართული კულტურის ისტორია. წიგნი: I, II, III, IV. გამომც. „საარი", თბილისი.

138. სიხარულიძე, არ. (2016). რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის ძირითადი ტენდენციები და საქართველო. კავკასიური სახლის პორტალი - რეგიონული დიალოგი/Regional Dialogue. http://regional-dialogue.com/rus-sec/ [20.07.2022]

139. სიხარულიძე, ვ. (2015). უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში. ექსპერტის აზრი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, #49 https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/49-expert-opinion-geo.pdf [20.07.2022]

140. სონღულაშვილი, ა. (2001). ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. თბ., გამომც. „მეცნიერება".

141. სონღულაშვილი, ა. (1993). ავტონომიური ფორმირებე-

ბის შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე. ჟურ. *მაცნე*, ისტორიის სერია, #1, გვ. 19-33.

142. ტაბატაძე, მ. (2012). პროგნოზირების მეთოდების დამუშავება სახელმწიფო მართვის ამოცანებისთვის. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელმძღ. გ. ბაღათურია, სტუ.
143. ტაბატაძე, შ. (2020). ქურთების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები. დისერტაცია წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ.
144. ტურნეფორი დე, ჟ. პ. (1988). მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმანა მ. მგალობლიშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გამომც. „მეცნიერება".
145. ფონტი, ე.,მარგველაშვილი, მ., მუხიგულიშვილი, გ. (2017). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება MOSES მეთოდიკით. ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება" და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. გვ. 73-81. https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf [20.07.2022]
146. ქართველიშვილი, ი., შონია, ლ., კვესიტაძე, ს. (2021). საცნობარო-სამართლებრივ სისტემებში უსადენო ქსელების გამოყენება და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე ტ.15, N.2. თბილისი. http://science.org.ge/bnas/vol-15-2.html [20.07.2022]

147. ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბილისი, „სახელგამი“.

148. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1986). სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ.ჭაბაშვილი. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

149. ქართული მწერლობა. (1987). ტ. 1, (V-X საუკუნეთა მწერლობა), რედ.: რ. სირაძე, თბილისი, „ნაკადული“.

150. ქოჩორაძე, ო. (2008). გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები (კატეგორია "სივრცე"-ს პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შედარებითი ანალიზი). *ჟურნ. ხელისუფლება და საზოგადოება*. #3, გვ. 10. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/186972/1/Xelisufleba_Da_Sazogadoeba_2008_N3%20%287%29_T.%201.pdf [20.07.2022]

151. შამანაძე, ე. (2012).სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელმძღ, ჰ. კუპრაშვილი. სტუ.

152. შაქარიშვილი, დ. (2019). კიბერუსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. The Foreign Policy Council – FPC. https://foreignpolicycouncil.com/2019/02-/20/კიბერუსაფრთხოება-ეროვნუ/ წვდომა 21.08.2022.

153. შონია, ლ. (2020). კორპორაციული ქსელის მრავალდონიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და საშუალებების კვლევა. დისერტაცია წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა. სტუ.

154. შონია, ო., მაისურაძე, გ., ჯულაყიძე, ლ., შონია, ლ., კაიშაური, თ. (2021). პერსონალური მონაცემების დაცვის მეთოდები და საშუალებები. სახელმძღვანელო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

155. შონია, ო., ქართველიშვილი, ი. (2021). საცნობარო-სამართლებრივი სისტემებში უსადენო ქსელების გამოყენება და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია: საინფორმაციო საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები. სტუ-ს თემატური სამეცნიერო შრომების კრებული „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, #1(32), თბილისი.

156. შონია, ო., თოფურია ნ. (2017). მონაცემთა დაცვის ლოკალური და ღრუბლოვანი საშუალებები. თბილისი.

157. შონია, ო. (2004). სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემა. თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

158. შუბითიძე, ვ. (2013). ნიკო ნიკოლაძე - კაცი სახელმწიფო. გამომც. „გრაალი“.

Minárik, R. Jakschis, & L. Lindström (Eds.), 10th international conference on cyber conflict CyCon X: Maximising effects (pp. 263–281). Tallinn: CCDCOE;

255. Savchenko, O., Svyryda, M. (2020). THE MODEL OF PERSONAL PSY-CHOLOGICAL SECURITY AS A COMPLEX PHENOMENON. Psycho-logical journal, Vol 6 No 12. https://doi.org/10.31108/1.2020.6.12.7 [20.07.2022]
256. Shires, J. (2018). Enacting expertise: Ritual and risk in cybersecurity. Politics and Governance, 6, 31–40. doi:10.17645/pag.v6i2.1329
257. Shires, J. (2020). Cyber-noir: Cybersecurity and popular culture. Contemporary Security Policy, 41, 82–107. doi:10.1080/13523260.2019.1670006.
258. Slayton, R. (2017). What is the cyber offense-defense balance? Conceptions, causes, and assessment. International Security, 41, 72–109. doi:10.1162/ISEC_a_00267.
259. Stein, G. J. (1996). Information Attack: Information Warfare In 2025, research paper presented to 'Air Force 2025' http://csat.au.af.mil/2025/volume3/vol3ch03.pdf [20.07.2022]
260. Stevens, T. (2016). Cyber security and the politics of time. Cambridge: Cambridge University Press; Waever, O.
261. Szafranski, R. (1997). Neocortical warfare? The acme of skill // In Athena's camp. Ed. By J. Arquilla, D. Ronfeldt. - Santa Monica.

165. ცაცანაშვილი, მ. (1999). ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი, ტექინფორმი.

166. ცურტაველი, ი. (1983). შუშანიკის წამება. შემდგ. და რედ.: ო. ეგაძე. თბილისი, „ხელოვნება“, გვ. 83-86.

167. ჭავჭავაძე, ა. (1940). თხზულებანი. რედ. ი. გრიშაშვილი. თბილისი, „ფედერაცია“, გვ. 243.

168. ჭავჭავაძე, ი. (1984). თხზულებანი. შეადგინა მ. ლებანიძემ (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა; ტ. 63. სერია I), თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, გვ. 805.

169. ჭავჭავაძე, ი. (1941). თხზულებანი. პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. 2, გვ. 498.

170. ჭავჭანიძე, ვ. (2001). მეცნიერულ-ინფორმაციული ანალიზისა და პროგნოზირების პრობლემათა შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. # 1-3.

171. ხვიჩია, ე. (2012). ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელმძღ. ჰ.კუპრაშვილი. სტუ.

172. ხიზანიშვილი, ს., გაბისონია, ირ., ტალიაშვილი, ალ. (2019). სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“.

173. ხუხუნაიშვილი, ნ. (2021). ევროპის უშიშროების პრობლემები. დისერტაცია წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სადოქტორო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები. სტუ.

174. ჯავახიშვილი, ნ. ისტორიანი 2020 წელი, N114, N115, N116. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ქართლის_ბაგრატიონები წვდომა 21.08.2022.

175. ჯანაშია, ჯ. (2017). საქართველოში ნარკომანიასთან და ნაკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი. ჟურნ. *იურისტი* N2. თბილისი. გვ. 66-79.

176. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. HEIDELBERGCEMENT GEORGIA https://www.heidelbergcement.ge/ka/-health-and-safety [20.07.2022]

177. ჯიქია, მ. (2021). განათლების უფლების დაცვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიხედვით. იხ., სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა". მომზადდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. თბილისი. გვ. 195-203.

178. ჯიჯეიშვილი, ქ., ყიფიანი, მ., ჩხიკვიშვილი, გ. (2011). პოლიტიკური ფსიქოლოგია. საზოგადოება ცოდნა, თბ.

179. ჯორჯაძე, ა. (1989). წერილები. თბილისი, მერანი", გვ. 63-64.

180. ჰობსი, თ. ლევიათანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა ელ ვერსია https://library.iliauni.edu.ge › 2017/03 წვდომა 21.08.2022.

181. Arquilla, J. (2011). INSURGENTS, RAIDERS, AND BANDITS: How Masters of Irregular Warfare Have Shaped Our World. Chicago, Publisher: Ivan R. Dee
182. Arquilla, J. (2008). Worst Enemy: The Reluctant Transformation of the American Military. Chicago, Publisher: Ivan R. Dee.
183. Arquilla, J., Ronfeldt, D. (1997). In Athena's Camp: Preparing for Conflict in the Information Age, RAND Corporation (MR-880).
184. Arquilla, J., Ronfeldt, D. (1993). Cyberwar is Coming! Copyright: RAND Corporation, Document Number: RP-223. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/reprints/2007/RAND_RP223.pdf [20.07.2022]
185. Åslund, A. (2021). Confronting the Kremlin's New Hybrid War in Europe. (in English) [Online] Available at: https://www.project-syndicate.org/commentary/confronting-russian-hybrid-war-in-europe-by-anders-aslund-2021- [20.07.2022]
186. Bilanishvili, G. (2019). National Security Policy – Problems and Challenges. Security Review, Georgian Foundation for Strategic and International Studies.
187. Britannica https://www.britannica.com/technology/PDA [20.07.2022]
188. Bunker, R. J. (1996). Advanced Battlespace and Cybermaneuver Concepts: Implications for Force XXI." Parameters

26.3 : 108-120. Print. http://scholarship.claremont.edu/cgu_fac_pub/132/ [20.07.2022]

189. Chemicals: Managing Chemical Safety in the Workplace. The National Institute for Occupational Safety and Health (NIOSH), CDC 24/7. https://www.cdc.gov/niosh/chemicals/default.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fniosh%2Ftopics%2Fchemical-safety%2Fdefault.html [20.07.2022]
190. Cohen, Richard., (2001). Cooperative Security: From Individual Security to International Stability. George C. Marshall Center - European Center for Security Studies - Public Web. # 003. https://www.marshallcenter.org/en/-publications/marshall-centerpapers/cooperative-security-new-horizons-international-order/cooperative-security-individual-security-international [20.07.2022]
191. Cohen, R., Mihalka M. (2001). Cooperative security: new horizons for international order. The Marshall Center Papers, No.3.
192. Collier, J. (2018). Cyber security assemblages: A framework for understanding the dynamic and contested nature of security provision. Politics and Governance, 6, 13–21.
193. Cullen, P. (2018). Hybrid threats as a new 'wicked problem' for early warning. Strategic Analysis, May.
194. Cybersecurity in light of the COVID-19 crisis. (2020). The European Cyber Security Organisation (ECSO) recommendations. Brussels.

195. DDD Dictionary of Military and Associated Terms. Pg 150. As of November 2021. https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/dictionary.pdf\ [20.07.2022]
196. Deibert, R. (2017a). Trajectories of cyber security research. In A. Gheciu, & W. C. Wohlforth (Eds.), Oxford handbook of international security (pp. 531–546). Oxford: Oxford University Press;
197. Denning, D.E. (1999). Information warfare and security. ACM Press. https://archive.org/details/informationwarfa00denn [20.07.2022]
198. Dewar R. (2022). Cyberspace is a Consensual Hallucination. P. 2. Available from: https://www.researchgate.net/publication/325216608_Cyberspace_is_a_Consensual_Hallucination [20.07.2022]
199. Dewar, R. S. (Ed.). (2018). National cybersecurity and cyberdefense policy snapshots. Zurich: Center for Security Studies. (CSS), ETH Zurich;
200. Dunn Cavelty, M., Wenger, A. (2019). Cyber security meets security politics: Complex technology, fragmented politics, and networked science. Contemporary Security Policy, 41:1, DOI: 10.1080/13523260.2019.1678855, 33. 22-23. https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/Dunn%20Cavelty_Wenger_2019_Contemporary%20Security%20Policy_Cyber%20security%20meets%20security%20politics%20C

omplex%20technology%20fragmented%20politics%20and%20networked%20science.pdf [20.07.2022]

201. Egloff, F. J., & Wenger, A. (2019). Public attribution of cyber incidents. In F. Merz (Ed.), CSS analyses in security policy, 244 (pp. 1-4). Zurich: Center for Security Studies; Finnemore, M., & Hollis, D. B. (2016). Constructing norms for global cybersecurity. The American Journal of International Law, 110, 425–479.
202. Fischerkeller, M. (2018). Offense-defense theory, cyberspace, and the irrelevance of advantage. Alexandria, VA: Institute for Defense Analysis.
203. Frank, A.B. (2005). Pre-conflict management tools: winning the peace. - Washington.
204. Gat, Azar. (2006). War in human civilization. New York: Oxford University Press, p. 848.
205. GEORGIA vii. Georgians in the Safavid Administration. ENCYCLOPÆDIA IRANICA. https://iranicaonline.org/articles/georgia-vii- [20.07.2022]
206. Georgieva, I. (2020). The unexpected norm-setters: Intelligence agencies in cyberspace. Contemporary Security Policy, 41, 33–54. doi:10.1080/13523260.2019.1677389;
207. Glenn, R. W. (2009). Evolution and Conflict: Summary of the 2008 Is¬rael Defense Forces-U.S. Joint Forces Command "Hybrid Threat Seminar War Game," Santa Monica, CA: RAND.
208. Glenn, R. W. (2009).Thoughts on "Hybrid" Conflict. Small

Wars Journal https://webcache.googleusercontent.com-/search?q=cache:j-MMG7N2jI8J:https://smallwarsjour-nal.com/blog/journal/docs-temp/188glenn.pdf&cd=1&h-l=ka&ct=clnk&gl=ge [20.07.2022]

209. Gomez, M. A. (2019). Sound the alarm! Updating beliefs and degradative cyber operations. European Journal of International Security, 4, 190–208. doi:10.1017/eis.2019.2;
210. Gvineria, S. (2021). Russia Wages Hybrid Warfare and Increases Its Influence in Polarised Georgia. International Center for Defence and Security. https://www.academia.e-du/60797280/Russia_Wages_Hybrid_Warfare_and_Increases_Its_Influence_in_Polarised_Georgia [20.07.2022]
211. Hagmann, J., Hegemann, H., & Neal, A. W. (2019). The politicisation of security: Controversy, mobilisation. Arena Shifting. European Review of International Studies, 5, 3–29. doi:10.3224/eris.v5i3.01.
212. Hart, Joshua. (2019). The Influence of Psychological Security Mainte¬nance on Political Decision Making. Oxford University Press. Oxford Research Encyclopedias. Politics. https://oxfordre.com/politics/view/10.1093/a-crefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-927 [20.07.2022]
213. Henderson, C. (2010). Understanding International Law. John Wiley & Sons. p. 212 –. ISBN 978-1-4051-9764-9.

214. Hybrid Threat Force Structure Organization Guide. (2015). FM 7-100.4. Headquarters Department of the Army Washington, DC, 4 June.
215. Hitchens, T., & Gallagher, N. W. (2019). Building confidence in the cybersphere: A path to multilateral progress. Journal of Cyber Policy, 4, 4–21. doi:10.1080/237388-71.2019.1599032.
216. HSE GEORGIA https://hsegeorgia.ge/ [20.07.2022]
217. Hoffman, F. (2014).On Not-So-New Warfare: Political Warfare vs. Hybrid Threats // War on the Rocks, July 28.
218. Hoffman, F. G. (2009). Hybrid Warfare and Challenges // JFQ, issue 52, 1st quarter, p. 35.
219. Hoffman, F. G. (2007). Conflict in the 21-st century. The rise of hybrid wars. Arlington: Potomac Institute for policy studies.
220. Iasiello, E. (2020). From Georgia to Crimea. per Concordiam, Issue 1, Vol 10.01.
INTERNET USAGE STATISTICS. (2022). Internet World Stats. https://www.internetworldstats.com/stats.htm
221. Internet Usage in the European Union. (2022). Internet World Stats. https://www.internetworldstats.com/stats9.htm
222. GEORGIA. (2022). Internet World Stats. https://www.internetworldstats.com/asia.htm#geKeeley, Lawrence H. (1997). War Before Civilization: The Myth of the Peaceful Savage. Publisher: Oxford University Press, p. 37.

223. Kello, L. (2013). The meaning of the cyber revolution: Perils to theory and statecraft. International Security, 38, 7–40. doi:10.1162/ISEC_a_00138.

224. Kello, L. (2017). The virtual weapon and international order. New Haven, CT: Yale University Press; Leese, M., & Hoijtink, M. (Eds.). (2019). Technology and agency in international relations. London: Routledge.

225. Kobakhidze, Beka. (2021). Vulnerability of a small post-colonial state: georgia's international prospects in 1918. Geopolitica. https://www.geopolitic.ro/2018/05/vulnerability-small-post-colonial-state-georgias-international-prospects-1918/ [25.08.2022].

226. Kuprashvili, H. (2022). Functional Anatomy of the Staff of the National Security Council of Georgia. San Francisco: Academia Letters, Article 4502. https://doi.org/10.20935/AL4502 [20.07.2022]

227. Kuprashvili, Henri. (2022). The Problem of Borders and Georgia's Security Challenges in the Information Age. სტუ-ის შრომები - Work of GTU - Труды ГТУ, 231 №1 (523), p. 231-235. ISSN 1512-0996

228. Kuprashvili, Henri. (2021). SOME SECURITY CHALLENGES FOR GEORGIA. International Journal of Innovative Technologies in Social Science. 3(31). P. 87-89. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021/7677. [20.07.2022]

229. Kuprashvili, H. (2021). SHEVARDNADZE'S DIPLOMATIC CAROM OF 1983 YEAR. International Journal of Innovative Technologies in Social Science 3(31), P. 60-62. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021-/7671. [20.07.2022]

230. Kuprashvili, H. (2019). Shevardnadze's Geostrategic Carambola. World Science. 4(44), Vol.3. P. 38-45. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/30042019/6484

231. Kuprashvili, H., Sharashenidze, T. (2005). Political Aspects of the Formation of the National Information System in Post-Communist Georgia. Conference: Politics, Ethics, and the Challenges to Democracy in 'New Independent States'. Published by The Council for Research in Values and Philosophy. Volume: 29. Washington. 2005. Chapter XI. P. 133-141. ISBN-13: 978-1-56518-224-0 (pbk.).

232. Kuprashvili, H. (2002). The main instrument of realization of informational politics. Caucasiology. Russian Academy of Sciences, Institute of Linguistics. Moscow. № 2. p. 13-16.

233. Kuprashvili, H. (2002). Towards the Some Aspects of the Political Modernization of Georgia. Caucasiology. Russian Academy of Sciences, Institute of Linquistics. Moscow. №1. p. 9-13.

234. Kuprashvili, H., Sharashenidze, T. (2002). Some Aspects of

Informational-Analytical Securing of the Process of Political Modernization in Georgia. BULLETIN OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES. Volume 165, № 3, p. 647-649.

235. Kuprashvili, H. (2001). The aspects of informational policy within the process of political modernization. The first executive international scientific conference "Perspectives of the informational technologies in Caucasus" by ISN. International Relations and Security Network (ISN) (Switzerland). P. 1-3. http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&sqi=2&ved=0CCQQFjAA&url=http%3A%2F%2Fkms1.isn.ethz.ch%2Fserviceengine%2FFiles%2FISN%2F646%2Fichaptersection_singledocument%2Fc93be46b-e757-4eec-be5f-8ca8df8a4d69%2Fen%2Fdoc_648_259_en.pdf&ei=s [20.07.2022]
236. Liang, Qiao., Xiangsui, Wang. (2002). Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America. Pan American Publishing Company, Panama City, Panama https://books.google.ge/books?id=ejFV1568hqAC&printsec=frontcover&hl=ru&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false [20.07.2022]
237. Libicki, M. (2007). Conquest in cyberspace. National security and information warfare. - Cambridge, p. 216.

238. Lewis, J. A. (2018). Rethinking cyber security: Strategy, mass effects, and states. Washington, DC: Center for Strategic and International Studies.

239. Lind, W. S., Nightengale, K., Schmitt, J. F., Sutton, J. W., Wilson, G. I., (1989). The Changing Face of War: Into the Fourth Generation. Marine Corps Gazette, Pages 22-26 https://www.mca-marines.org/files/The%20Changing%20-Face%20of%20War%20-%20Into%20the%20Fourth%-20Generation.pdf; http://globalguerrillas.typepad.com/lind/the-changing-face-of-war-into-the-fourth-generation.html [20.07.2022]

240. Luce, E. (2018). Henry Kissinger: 'We are in a very, very grave period'. *Financial Times*. Retrieved October 4.

241. MacFarlane, N. (2012). Georgia: National Security Concept versus National Security. Chatham House, Russia and Eurasia Programme Paper REP PP 2012/01. Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi, http://css.-ge/wp-content/uploads/2019/07/neil_security_eng.pdf [20.07.2022]

242. Maness, R., & Valeriano, B. (201-6). The impact of cyber conflict on international interactions. Armed Forces & Society, 42, 301–323. doi:10.1177/0095327X15572997.

243. Maslow, A. H. (1954). Motivation and Perso¬nality. N. Y.: Harpaer and Row.

244. Mattis, J N., Hoffman, F. (2005). Future Warfare: The Rise

of Hybrid Wars // Proceedings Magazine, November, Vol. 132/11/1, p. 233.

245. McCarthy, D. (Ed.). (2018). Technology and world politics: And introduction. London: Routledge.

246. McCuen, J. J. (2008). Hybrid Wars," Military Review 88, no. 2 (March-April): 107-113, 108.

247. Mueller, M. L. (2010). Networks and states: The global politics of internet governance. Cambridge, MA: The MIT Press.

248. NATO Parliamentary Assembly Defence and Security Committee, "Hybrid Warfare: NATO's NewStrategic Challenge?" (2015). Draft Report, April 7. p. 3.

249. National Security and Terrorism. RAND Corporation. https://www.rand.org/topics/national-security-and-terrorism.html [20.07.2022]

250. National Security Act of 1947 (Public Law 80-253), Section 101(a), now codified at (50 U.S.C. 3021).

251. Nemeth, W. (2002). Future war and Chechnya: a case for hybrid war¬fare, Naval Postgraduate School, Monterey, Master Thesis.

252. Oxford living Dictionaries. https://en.oxforddictionaries.com/definition/us/cyberspace [20.07.2022]

253. Pindjak, P. (2014). Deterring Hybrid Warfare: A Chance for NATO and the EU to Work Together? // NATO Review.

254. Sabbah, C. (2018). Pressing pause: A new approach for international cybersecurity norm development. In T.

Minárik, R. Jakschis, & L. Lindström (Eds.), 10th international conference on cyber conflict CyCon X: Maximising effects (pp. 263–281). Tallinn: CCDCOE;

255. Savchenko, O., Svyryda, M. (2020). THE MODEL OF PERSONAL PSY-CHOLOGICAL SECURITY AS A COMPLEX PHENOMENON. Psycho-logical journal, Vol 6 No 12. https://doi.org/10.31108/1.2020.6.12.7 [20.07.2022]
256. Shires, J. (2018). Enacting expertise: Ritual and risk in cybersecurity. Politics and Governance, 6, 31–40. doi:10.17645/pag.v6i2.1329
257. Shires, J. (2020). Cyber-noir: Cybersecurity and popular culture. Contemporary Security Policy, 41, 82–107. doi:10.1080/13523260.2019.1670006.
258. Slayton, R. (2017). What is the cyber offense-defense balance? Conceptions, causes, and assessment. International Security, 41, 72–109. doi:10.1162/ISEC_a_00267.
259. Stein, G. J. (1996). Information Attack: Information Warfare In 2025, research paper presented to 'Air Force 2025' http://csat.au.af.mil/2025/volume3/vol3ch03.pdf [20.07.2022]
260. Stevens, T. (2016). Cyber security and the politics of time. Cambridge: Cambridge University Press; Waever, O.
261. Szafranski, R. (1997). Neocortical warfare? The acme of skill // In Athena's camp. Ed. By J. Arquilla, D. Ronfeldt. - Santa Monica.

262. Taniguchi, N. (1974). On the Basic Concept of Nanotechnology. Proceedings of the International Conference on Production Engineering, Tokyo, 18-23. https://www.scirp.org/(S(vtj3fa45qm1ean45vvffcz55))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1973088 [20.07.2022]
263. The Economist. (2022). What is hybrid war, and is Russia waging it in Ukraine? (in English) [Online] Available at: https://www.economist.com/the-economist-explains/2022/02/22/what-is-hybrid-war-and-is-russia-waging-it-in-ukraine [20.07.2022]
264. Towards a political sociology of security studies. Security Dialogue, p. 41, 649-658. doi:10.1177/0967010610388213.
265. Tziarras, Z. (2019). The New Geopolitics of the Eastern Mediterranean: Trilateral Partnerships and Regional Security. Re-imagining the Eastern Mediterranean Series:PCC Report, 3. Nicosia: PRIO Cyprus Centre.
266. Vandomme, R. (2010). From intelligence to influence: the role of information operations. Canadian Force College, Center for National Security Studies, Canada, viewed 22 January 2017 http://www.cfc.forces.gc.ca/237/251/vandomme-eng.pdf [20.07.2022]
267. Walker, R. G. (1998). Spec Fi: The United States Marines Corps and Special Operations, Master's Thesis, Monterey, CA, Naval Post Graduate School, December, p.4-5.

268. Walker, S. (2016). 100 Quotes about War. Compagnie du Savoir http://www.audiobooks.com/audiobook/100-quotes-about-war/255623 [20.07.2022]

269. Wang, J., Long, R., Chen, H., Li, Q .(2019) Measuring the Psychological Security of Urban Residents: Construction and Validation of a New Sca¬le. Front. Psychol. 10:2423. https://doi:10.3389/fpsyg.2019.02423 [20.07.2022]

270. Weber, V. (2018). Linking cyber strategy with grand strategy: The case of the United States. Journal of Cyber Policy, 3, 236–257. doi:10.1080/23738871.2018.1511741.

271. Wilson, T. L., & Hershey, D. A. (1996). The research methods script. Teac-hing of Psychology, 23(2), p. 97-99. https://doi.org/10.1207/s15328023top2302_5 [20.07.2022]

272. Wither, J. (2020). Defining Hybrid Warfare. per Concordiam, Issue 1, Vol 10.01.

273. Wolfers, A. (1962).Discord and Collaboration. Essay of International Politics. Foreword by Reinhold Niebuhr; Baltimore: The Johns Hopkins Press. https://www.cambridge.-org/core/journals/american-political-science-review/article/abs/discord-and-collaboration-essays-on-international-politics-by-arnold-wolfers-baltimore-the-johns-hopkins-press-1962-pp-xvii-283-600/18FF5E9C8E3A690B7B9EE-36ECE9602DE [20.07.2022]

274. Доктрина Информационной безопасности Российской Федерации - 2000. http://www.scrf.gov.ru/documents/5.html [20.07.2022]

275. Доктрина Информационной безопасности Российской Федерации - 2016 https://www.garant.ru/products/ipo/-prime/doc/71456224/ [20.07.2022]

276. Иншаков, С.М. (2021). Основы теории национальной безопасности. Издательство: Кнорус. С. 304. ISBN 978-5-406-01894-1

277. Купрашвили, Г. (2021). РАЗЛИЧНЫЙ АСПЕКТ (Рамзан Кадыров, Джохар Дудаев, Царь Грузии Георгий VII, Ибрагим I Ширваншах). International Journal of Innovative Technologies in Social Science 3(31), 2021. P. 68-72. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021-/7673 [20.07.2022]

278. Купрашвили, Г. (2010). Российская августовская агрессия - стратегическое поражение кремлевской политики. Информационно-аналитический портал „Грузия Online") https://www.apsny.ge/analytics/1265832443.php [20.07.2022]

279. Купрашвили, Г. (2005). Некоторые аспекты интеллектуальной поддержки национальной безопасности грузии. *ჟურნ. საისტორიო ვერტიკალები*, #8, გვ. 155-167.

280. Купрашвили, Г., Шарашенидзе, Е., Одишариа, К., Вели-заде, И. (2002). Математическое моделирование процессов развития этнополитических конфликтов в процессе политической модернизации. Ученые записки. Азербайджанский Технический Университет. Т. XI, №1. Баку. с. 53-57.

281. Купрашвили, Г., Шарашенидзе, Е., Одишариа, К., Вели-заде, И. (2002). Создание имитационной модели для государственной системы управления процессе находящейся в политической модернизации. Ученые записки. Азербайджанский Технический Университет, Баку. Т. XI, №1. с. 49-52.

282. Ломинадзе, Т., Тевдорадзе, М. и.т.д. (2009). Обеспечение информационной безопасности в беспроводных сетях. Сборник трудов VIII международной научно-практической конференции "Исследование, разработка и применение высоких технологий в промышленности", 27-28.10.2009, Санкт-Петербург.

283. НАТО приравняет кибератаки к военной агрессии. (2016). Euronews. http://ru.euronews.com/2016/06/15/cyberspace-is-officially-a-war-zone-nato ვნახულია 21.08.2022.

284. НАТО признало киберпространство равноправной сферой обороны. (2016). Информац.-аналитич. портал Грузия Online http://www.apsny.ge/2016/pol/1468046923.php [20.07.2022]

285. Почепцов, Г. Г. (2015). Информационные войны. Новый инструментарий политики. М.: Алгоритм.

286. Савин, Л. В. (2014). Сетевые угрозы национальной и международной безо¬пасности: стратегия, тактика, гибридные акторы и технологии // Экономические стратегии № 2.

საკუთარ სახელთა საძიებელი

1. აბაშიძე ირაკლი 98, 103, 111, 113
2. აბესაძე გურამი 687, 688, 695
3. აბესაძე ლ. 59
4. აბულაძე ილია 96, 97, 102, 110-112
5. ალაფიშვილი ლევანი 53
6. არქილა ჯონი 228, 235-237
7. აღმაშენებელი დავით მეოთხე 104
8. ბანკერი რობერტი 227
9. ბატონიშვილი (ბაგრატიონი) ვახუშტი 96, 99,
10. ბატონიშვილი (ბაგრატიონი) ალექსანდრე 702
11. ბახტაძე რ. 59
12. ბელი დენიელი 202, 215
13. ბერია ლავრენტი 104, 689
14. ბერტალანფი კარლ ლუდვიგ ფონ 36
15. ბიბილაშვილი ა. 615
16. ბილანიშვილი გიორგი 525, 528
17. ბისმარკი ოტო 587
18. ბოჭოიძე ნ. 59
19. ბუდიონი სემიონი 68
20. ბუტი მაქსი 427
21. ბუში ჯორჯ ჰერბერტ უოკერ 224
22. გაბელია ჯემალი 2, 439
23. გაბისონია ირაკლი 2, 439, 689
24. გათი აზარი 244
25. გამსახურდია ზვიადი 69, 104,

26. გამსახურდია კონსტანტინე 104
27. გახოკიძე ჯემალი 2
28. გეგეშიძე არჩილ 2
29. გვახარია ალ. 101
30. გვენეტაძე არსენი 2
31. გიორგი IV ლაშა 96, 99
32. გოგიაშვილი ომარი 687, 688
33. გორგანი (გორგანელი) ფახრ-ედ-დინ 100
34. გორგასალი ვახტანგ პირველი 96, 99, 101, 680
35. გრეი კოლინი 427
36. გრიშაშვილი იოსები 101
37. დავით სოსლანის ძე 96
38. დან კაველტი მირიამ 269
39. დემეტრაშვილი ავთანდილი 2, 13
40. დენინგი დოროთი 231, 232
41. დეტმერი უილიამი 40
42. დიუარი რობერტი 267
43. დოდაშვილი სოლომონი 101, 104,
44. დოლიაშვილი თეონა 688
45. დოლიძე ვალერი 695
46. დრუკერი პიტერი 203
47. ეიზენჰაუერი დუაიტი 540
48. ერეკლე I (ნაზარ-ალი ხანი) 197
49. ერეკლე II 690
50. ეჯიბია მ. 472
51. ვანდომე როჯერი 238

52. ვაშაყმაძე მინდია 53
53. ვახტანგ VI (ჰუსეინ ყული-ხანი) 195, 197, 198
54. ვენგერი ანდრიასი 269
55. ვილსონი გარი 247
56. ვინერი ნორბერტი 180, 201, 204, 250, 280, 420
57. ვოლფერსი არნოლდი 123
58. ზაჩმანი გ. 476
59. თამარ მეფე 96, 194, 196
60. თევზაძე დავითი 397, 398
61. თმოგველი სარგისი 100
62. თოდუა მაგალი 101
63. ილია მეორე 104
64. ინგოროყვა პავლე 102
65. კალანდაძე გიორგი 688
66. კალენი პატრიკი 435
67. კასტელსი მანუელი 203, 206, 208, 213
68. კილი ლოურენსი 244
69. კვესელავა იგორი 2
70. კიკნაძე თამარი 2, 694
71. კუკავა როლანდი 560, 562, 682
72. კუპრაშვილი ცირა 2
73. ლეკიშვილი დავითი 560, 562, 682
74. ლიანგი ქიაო 251
75. ლიბიკი მარტინი 232-234
76. ლინდი უილიამსი 247
77. ლიპარტელიანი რ. 584

78. ლომინაძე თამარი 2
79. ლუი XIV 195, 196, 198
80. მაინორი დეილი 225
81. მაისაია ვახტანგი 2, 9
82. მაკლუენი მარშალი 203
83. მაკქუენი ჯონი 427
84. მაკ-ფარლეინი ნილი 502
85. მარგველაშვილი მურმანი 475, 477
86. მარშალი ჯორჯი 330, 682-684
87. მასლოუ აბრაჰამი 326
88. მასუდა ინოჯეი 215
89. მატისი ჯეიმსი 424
90. მახლუპი ფრიცი 215
91. მემატიანე ლაშა-გიორგის დროინდელი 66, 96, 99
92. მეტრეველი როინი 98, 103, 111, 113
93. მირვან (მირიან) პირველი 98
94. მიქაუტაძე გ. 59
95. მორისი როზერტი 303
96. მროველი ლეონტი 62, 66, 96, 98, 104
97. მუხიგულიშვილი გიორგი 475
98. მცხეთელი ევსტათი 100
99. ნაიტინგეილი კეიტი 247
100. ნაზარ-ალი ხანი (ერეკლე I) 197
101. ნაჭყებია თ. 59
102. ნაჭყებია ლ. 59
103. ნემეტი უილიამი 424

104. ნიკოლაძე ნიკო 102
105. ნიკოლოზ პირველი (რომანოვი) 101
106. ოდიშარია კორნელი 541, 560, 562, 682, 691-693
107. ოდიშელიძე ნინო 2, 450, 688, 689-691
108. ორბელიანი სულხან-საბა 13, 97, 111, 112
109. ჟამთააღმწერელი 96, 99
110. ჟლობა დმიტრი 68
111. ჟორდანია ნოე 67, 68, 104
112. პერტაია ლ. 584
113. პუტინი ვლადიმერ 332,
114. რამაცინი ბერნარდინო 585
115. რატცელი ფრიდრიხ 89
116. რეიგანი რონალდ 224, 315
117. რონა თომასი 224-226
118. რონფელდი დევიდი 229
119. რუზველტი თეოდორი 109, 122
120. რუსთაველი შოთა 104
121. სააკაშვილი მიხეილი 69, 105, 698
122. საურმაგი 98
123. საჯაია ნუგზარი 560
124. სიანგშუი ვანგი 251
125. სირაძე რევაზი 100
126. სიჭინავა ალექსანდრე 2
127. სიხარულიძე ვასილი 529
128. სოფაძე გია 2
129. სტაინი ჯორჯი 230

130. სტალინი 421
131. სტოლტენბერგი იენსი 257
132. სულეიმან I 198
133. სუნ ძი 323, 421, 324
134. სუტონი ჯოზეფი 247
135. ტანიგუჩი ნორიო 614
136. ტოფლერი ელვინი 202
137. ტრუმენი ჰარი 109, 122
138. ტუკვაძე ავთანდილი 695
139. ტურნეფორი ჟოზეფი 195, 197
140. უმესაო თადაო 215
141. უოკერი რობერტი 423
142. ფარნავაზი 62, 66, 98
143. ფაინმანი რიჩარდი 614
144. ფონტი ელიზაბეტი 475
145. ქართველიშვილი იოსები 2, 189
146. ქოჩორაძე ოთარი 90
147. ყაუხჩიშვილი სიმონი 96, 98, 99
148. შალიკაშვილი ჯონი (მალხაზი) 226, 227
149. შარაშენიძე თეიმურაზი 541, 560, 562, 682, 695
150. შაფრანსკი რიჩარდი 230, 316, 317
151. შაქარიშვილი დავითი 21
152. შევარდნაძე ედუარდი 69, 104, 501, 560, 689
153. შენონი კლოდი 202, 204, 250, 280
154. შმიტი ჯონი 247
155. შონია ოთარი 571

156. შუბითიძე ვაჟა 102
157. ჩირგაძე მ. 59
158. ჩიტაძე ნიკა 2
159. ჩიქობავა არნოლდი 98, 103, 104, 107, 109, 111, 113, 691
160. ჩოლოყაშვილი ქაქუცა 104
161. ცვიკი ფრიცი 40
162. ცურტაველი იაკობი 99, 100, 104
163. ძიძიგური შოთა 98, 103, 111, 113
164. წერეთელი გიორგი 101
165. ჭაბაშვილი მიხეილი 98, 103, 104, 107, 109, 111, 113
166. ჭავჭავაძე ალექსანდრე 101
167. ჭავჭავაძე ილია 101, 104, 102
168. ჭილაძე ოთარი 104
169. ხელაია ამბროსი 104
170. ჯავახიშვილი ივანე 13, 104, 615, 691
171. ჯავახიშვილი ნიკო 197
172. ჯალიაშვილი ჯიმი 562, 682
173. ჯიქია მარიამი 2, 160
174. ჯორჯაძე ალექსანდრე 101
175. ჯუანშერი 96, 99
176. ჰენდერსონი კონვეი 244
177. ჰიტლერი 421
178. ჰოფმანი ფრენკი 424-427
179. ჰობსი თომასი 63-65, 57
180. ჰუსეინ ყული-ხანი (ვახტანგ VI) 197
181. Arquilla John 228-230, 235, 238, 316

182. Boot Max A. 427
183. Bunker Robert J. 227
184. Chen H. 326
185. Chitadze Nika 2
186. Cullen Patrick 435
187. Dewar Robert 268
188. Denning Dorothy E. 231, 232
189. Dunn Cavelty Myriam 269, 270
190. Frank Aaron B. 270
191. Gabelia jemal 2
192. Gabisonia irakli 2
193. Gakhokidze Jemal 2
194. Gat Azar 244, 245
195. Gegeshidze archil 2
196. Glenn Russell W. 427
197. Gray Colin S. 427
198. Gvineria Shota 429
199. Hart Joshua 323
200. Henderson Conway 244
201. Hershey D. A. 39
202. Hoffman Frank 424-427
203. Jikia Mariam 2
204. Kartvelishvili Ioseb 2
205. Keeley Lawrence H. 244
206. Kveselava Igor 2
207. Kiknadze Tamara 2

208. Libicki Martin C. 232, 234
209. Lominadze Tamar 2
210. Long R. 326
211. Minor Dale 225
212. Maslow A. H. 326
213. Mattis James 424
214. McCuen John J. 427
215. Liang Qiao 251
216. Lind William S. 247
217. Nemeth William 424
218. Nightengale Keith 247
219. Odishelidze Nino 2
220. Pindjak Peter 434
221. Rona Thomas P. 224
222. Ronfeldt David 229, 230, 235, 238, 316
223. Savchenko O. 325
224. Schmitt John F. 247
225. Sichinava Aleksandre 2
226. Sopadze Gia 2
227. Stein George J. 230
228. Sutton Joseph W. 247
229. Svyryda M. 325
230. Szafranski Richard 230, 316
231. Vandomme Roger 238
232. Walker, Robert. G. 423, 424
233. Walker Stuart 244

234. Wang J. 251, 326
235. Wenger Andreas 269, 268
236. Wilson Gary I. 247
237. Wilson, T. L. 39
238. Wolfers Arnold 123, 124
239. Xiangsui Wang 251
240. Почепцов, Г. Г. 228, 270
241. Савин, Л. В. 428

ავტორის შესახებ

პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი (2003); გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი; ვიცე-პოლკოვნიკი; ომის ვეტერანი; სპორტის დამსახურებული მოღვაწე. მსოფლიოში სრუტეთა ახალი წესით გადაცურვისა და საქართველოში პარაცურვის ფუძემდებელი; სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ბიატლსა და ტრიატლში; მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ზამთრის ცურვაში.

სპი-ში მუშაობა დაიწყო 1968 წელს და გაიარა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საფეხური: პრეპარატორი, ლაბორანტი, უფრ. მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი. ლექციებს კითხულობს 1976 წლიდან დღემდე.

ავტორი 5 მონოგრაფიის, 10 სახელმძღვანელოსი, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და კონფერენციაზე წაკითხული 100-ზე მეტი მოხსენების, ხელმძღვანელი 21 დოქტორანტის.

ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე - არჩეული იყო: ნახევრად არალეგალური «დავით აღმაშენებლის ჩოხოსანთა კავშირის - ჩოხოსნები 1973»-ის თავმჯდომარედ 1973 წელს (წევრები: გიორგი ცხოვრებაძე, ზურაბ გველესიანი, თამაზ შეროზია); ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია «იმედის» საწინამძღვროს წევრად (1989-1991); საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრად (1989-1992); ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია «აიეტის» თავმჯდომარედ 1990 წ.

ჯილდოები: ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (საქართველო); „მხედრული მამაცობისათვის" მედალი (საქართველო); „სამგალითო სამსახურისთვის" უკრაინის შჯ-ის მედალი (უკრაინა); ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების ოქროს მედალი (დიდი ბრიტანეთი); წლის ადამიანი-2002, გაზეთი "ახალი ეპოქა"; სტუ-ის აკადემიური საბჭოს საპატიო დიპლომი; ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის პრემია.

ავტორის უშუალოდ ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული რეალიები

სამსახურებრივი გამოცდილება:

- 1992-1996 წლებში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში - მთავარი სახელმწიფო მრჩეველი და სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.
- 1996-2004 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში: საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი; უშიშროების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის, ანალიზისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი; საორგანიზაციო და საიდუმლოების დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტი; ინფორმაციის ანალიზის განყოფილების უფროსი.
- 2005-2010 წლები: სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს სიტუაციური ცენტრის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, შიდაუსაფთხოების სამმართველოს ინსპექტორი.
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლიდან კითხულობს საგანებს: „ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა" (ბაკალავრიატი); „ინფორმაციული ომი", „საერთაშორისო უშიშროება, თანამედროვე გამოწვევები", „ინფორმაციული ომები და საერთაშორისო კიბერსივრცე" (მაგისტრატურა). არის შესაბამისი სილაბუსებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ცხრა დოქტორანტმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

პროგრამებში მონაწილეობა: UNDP. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი. GEO/99/013/A/01/99. „ეროვნული უშიშროების საბჭოს ქმედითუნარიანობის ამაღლება". მეცნიერ-კონსულტანტი (01.12.1999 - 30.11.2001).

ავტორი და ხელმძღვანელი:

1. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული ანალიზისა და გლობალური მოდელირების ავტომატიზებული სისტემა „დიდგორი". საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება # 05–ს,

12.02.1996.; პროგრამის მონაწილენი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები თ. შარაშენიძე, კ. ოდიშარია და რ. კუკავა, პროგრამისტი დ. ლეკიშვილი.
2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს პოლიტიკური მოვლენების პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზის ავტომატიზებული სისტემა „აისი". პროგრამის მონაწილენი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ჯალიაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები თ. შარაშენიძე, კ. ოდიშარია და რ. კუკავა, პროგრამისტი დ. ლეკიშვილი.
3. სტუ-ს სამართლისა და საერთშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2018 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია".
4. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე განხორციელებული პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე". საავტოროსერტიფიკატის # 7564.

კვალიფიკაციის ამაღლება:

1. გაიარა ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრის კოლეჯის უმაღლესი სახელისუფლო კურსი (CISS Class: 00-2, 2000, გარმიშ-პართენკირხენი).
2. აშშ-ს ევროპის შტაბისა და თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მე-2 სიმპოზიუმი „საქართველო - დიალოგი 2000" უშიშროების მოდელირების სინთეზური გარემო (მოდელირებული მინისტრთა კაბინეტის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის როლში).
3. ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრი, „კრიზისების მართვა" (2001 წლის 14-17 მაისი).
4. ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრი, „კიბერუშიშროების პრობლემები" (მიუნხენი, 2002 წლის 02-05 დეკემბერი).

ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის სხვა სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებები:

- უშიშროების სფეროში თანამშრომლობის საკითხები. ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის მრგვალი მაგიდა. თბილისი-მარიოტი, 2005 წლის 16 ნოემბერი.
- ნატო. კრიზისების მართვა: ტრანსფორმაციის ძირითადი ასპექტი. ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის მრგვალი მაგიდა. თბილისი 2006 წლის 20 ივნისი.
- ტერორიზმი და კონტრტერორიზმი: სტრუქტურა და მეთოდი. ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის მრგვალი მაგიდა. თბილისი 2007 წლის 4 აპრილი.
- ჩემი მოხსენება თემაზე: საქართველო ევროპის გზაზე. ნატო – რეგიონალური საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოებში. ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის სემინარი. თბილისი 2007 წლის 1 ნოემბერი, ავსტრიული ბიბლიოთეკა.
- საერთაშორისო სემინარი „საქართველოს ახალი როლი ავღანეთში". ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი. თბილისი. 2013 წლის 6 თებერვალი.
- ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროების კვლევების (CISS) და ჯორჯ მარშალის კურსდამთავრებულთა კავშირის სემინარი "მომავლის ენერგია და უშიშროება". თბილისი, 24.06.2014.
- კონფერენცია "ბრძოლა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ". ჯორჯ მარშალის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი. 09.03.2016.
- „ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ზოგიერთი ასპექტი". კონფ: რეგიონალური უშიშროების პრობლემები. ჯორჯ მარშალის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი. თბილისი, 2017 წლის 26-27 ივლისი.

- სემინარი თემაზე: "რეგიონული ეკონომიკური უშიშროება". ჯორჯ მარშალის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი.18.04.2018.
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: მთავარი საფრთხეები და გამოწვევები დემოკრატიის განვითარების გზაზე. ჯორჯ მარშალის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი. 20.03.2019.
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „კომპლექსური თავდაცვა მდგრადობის ასამაღლებლად" (თავდაცვისა და უშიშროების ციკლის ფარგლებში). ჯორჯ მარშალის უშიშროების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი. თბილისი, სასტუმრო „მერიოტი", 13.04.2022 და სხვ.

სამეცნიერო შრომების სია

დისერტაცია:

1. კუპრაშვილი, ჰ. (1999). საქართველოს გეოპოლიტიკური სტატუსი და პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში (საგარეო ფაქტორების როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე). დისერტაცია პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი. სპეც. 23.00.04 - **საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური პრობლემები და გლობალური განვითარება** / სამეც. ხელმძღვ. ს. შარიქაძე; თსუ. თბ., 157გვ. UDC: 327(479.22) + 32.001(479.22)
2. კუპრაშვილი, ჰ. (2003). საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. დისერტაცია პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. სპეც. 23.00.01 - **პოლიტიკური მეცნიერების თეორია და ისტორია** / თსუ-ს პოლიტოლოგიის კათედრა. თბ., 347გვ. [MFN: 26647] UDC: 32(01) + 338:0026 + 342.51

უცხოეთში გამოცემული სტატიები:

3. Kuprashvili, H. (2022). Functional Anatomy of the Staff of the National Security Council of Georgia. Academia Letters, Article 4502, San Francisco. https://doi.org/10.20935/AL4502
4. Kuprashvili, H. (2021). SOME SECURITY CHALLENGES FOR GEORGIA. International Journal of Innovative Technologies in

Social Science. 3(31), P. 87-89. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021/7677.

5. Купрашвили, Г. (2021). РАЗЛИЧНЫЙ АСПЕКТ (Рамзан Кадыров, Джохар Дудаев, Царь Грузии Георгий VII, Ибрагим I Ширваншах). International Journal of Innovative Technologies in Social Science 3(31), 2021. P. 68-72. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021/7673
6. Kuprashvili, H. (2021). SHEVARDNADZE'S DIPLOMATIC CA-ROM OF 1983 YEAR. International Journal of Innovative Technologies in Social Science 3(31), P. 60-62. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30092021/7671
7. Kuprashvili, H. (2019). Shevardnadze's Geostrategic Carambola. World Science. 4(44), Vol.3. P. 38-45. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/30042019/6484
8. Купрашвили, Г. (2008). Кого убьет сепаратистский бумеранг?. "ДЕЛО", САНКТ-ПЕТЕРБУРГ. #503, 24.03.08.
9. Купрашвили, Г. (2008). НАТО или Россия?. ИноСМИ.Ru.
10. Купрашвили, Г. (2006). Грузия на пороге событий 1991 и 1921 года?. Новый Регион, Политика.
11. Купрашвили, Г. (2006). Ситуация в Кодорском ущелье - одно из звеньев в общей цепи целенаправленной политики России. memo.ru; Новый Регион.
12. Купрашвили, Г. (2005). Некоторые аспекты информационно-аналитического обеспечения национальной безопасности. Кавказоведение. Российская академия наук, Институт языкознания. Москва. №8. С. 9-15.
13. Kuprashvili, H., Sharashenidze, T. (2005). Political Aspects of the Formation of the National Information System in Post-Communist Georgia . Conference: Politics, Ethics, and the Challenges to Democracy in 'New Independent States'. Published by The Council for Research in Values and Philosophy. Volume: 29. Washington. 2005. Chapter XI. P. 133-141. ISBN-13: 978-1-56518-224-0 (pbk.).

14. Купрашвили, Г. (2002). Математическое моделирование процессов развития этнополитических конфликтов в процессе политической модернизации. თანაავტორი. Ученые записки. Азербайджанский Технический Университет. Т. XI, №1. Баку. с. 53-57.
15. Kuprashvili, H. (2002). THE MAIN INSTRUMENT OF REALIZATION OF INFORMATIONAL POLITICS. Caucasiology. Russian Academy of Sciences, Institute of Linguistics. Moscow. № 2. p. 13-16.
16. Kuprashvili, H. (2002). Towards the Some Aspects of the Political Modernization of Georgia. Caucasiology. Russian Academy of Sciences, Institute of Linquistics. Moscow. №1. p. 9-13.
17. Купрашвили, Г. (2002). Создание имитационной модели для государственной системы управления процессе находящейся в политической модернизации. თანაავტორი. Ученые записки. Азербайджанский Технический Университет, Баку. Т. XI, №1. с. 49-52.
18. Kuprashvili, H. (2001). The aspects of informational policy within the process of political modernization. The first executive international scientific conference "Perspectives of the informational technologies in Caucasus" by ISN. International Relations and Security Network (ISN) (Switzerland), P. 1-3. http://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&sqi=2&ved=0CCQQFjAA&url=http%3A%2F%2Fkms1.isn.ethz.ch%2Fserviceengine%2FFiles%2FISN%2F646%2Fichaptersection_singledocument%2Fc93be46b-e757-4eec-be5f-8ca8df8a4d69%2Fen%2Fdoc_648_259_en.pdf&ei=s

მონოგრაფია:

19. კუპრაშვილი, ჰ. (2022). საქართველოს ეროვნული უშიშროება. არსებული ელექტრონული ვერსია მზადდება წიგნად გამოსაცემათ.
20. კუპრაშვილი, ჰ. (2014). ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება?! თბილისი. უნივერსალი. 61 გვ. ISBN 978-9941-22-407-2.

21. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ხუთი უკვდავი ქართველი. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. თბილისი. უნივერსალი. ISBN 978-9941-17-569-5.
22. კუპრაშვილი, ჰ. (2011). რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი. საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. ISBN 978-9941-14-978-8.
23. კუპრაშვილი, ჰ. (2011). "დიდი რუსიანობა" საქართველოში. XIX ს. პირველი ნახევარი. თბილისი. უნივერსალი. ISBN 978-9941-17-381-3.
24. კუპრაშვილი, ჰ. (1999). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები. თბილისი. "საზოგადოება ცოდნა". ISBN: 5-89512-126-8.

სახელმძღვანელო:

25. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ინფორმაციული ომები და საერთაშორისო კიბერსივრცე. სახელმძღვანელო. არსებული ელექტრონული ვერსია მზადდება წიგნად გამოსაცემათ.
26. კუპრაშვილი, ჰ. (2022). საერთაშორისო უშიშროება, თანამედროვე გამოწვევები. სახელმძღვანელო. არსებული ელექტრონული ვერსია მზადდება წიგნად გამოსაცემათ.
27. კუპრაშვილი, ჰ. (2017). ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 240 გვ. ISBN 978-9941-20-763-1
28. კუპრაშვილი, ჰ. (2016). ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ევროპაში. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 224 გვ. ISBN 978-9941-20-699-3
29. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა. თბილისი. საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. ISBN 978-9941-20-073-1.
30. კუპრაშვილი, ჰ. (2004). ქართული ცურვა . გამომც. "პოლიგრაფ+", თბილისი. ISBN 99940-0-190-6.
31. კუპრაშვილი, ჰ., აბესაძე, გ., მაცაბერიძე, მ., გოგიაშვილი, ო. და სხვ. (2004). პოლიტოლოგია. სახელმძღვანელო. თბილისი. თსუ. ISBN: 99028-33-53-X. (თსუ-ს მეთოდსაბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოდ, 527 გვერდი).

დამხმარე სახელმძღვანელო:

32. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ინფორმაციული ომი. ლექციების კურსი. ელექტრონული ვერსია CD-399. გაკეთებულია PowerPoint–ის პროგრამაში, წარმოდგენილია PDF-ში. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა.
33. კუპრაშვილი, ჰ., აბესაძე, გ., მაცაბერიძე, მ., გოგიაშვილი, ო. და სხვ. (2003). პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). თბილისი. უნივერსალი. ISBN: 99928-976-7-8.
34. კუპრაშვილი, ჰ., აბესაძე, გ., მაცაბერიძე, მ., გოგიაშვილი, ო. და სხვ. (2001). პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). თბილისი. თსუ. ISBN: 99928-33-53-X.

მეთოდიკური მასალა

35. კუპრაშვილი, ჰ. (2021). ეროვნული უშიშროება და ეროვნული ინტერესები. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, ISBN 978-9941-25-906-7;
36. კუპრაშვილი, ჰ. (2020).,,პირველი 45 წუთი...". მეთოდიკური მასალა. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 50 გვ. ISBN 978-9941-25-802-2
37. კუპრაშვილი, ჰ., დოლიაშვილი, თ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტები. პოლიტოლოგიის საკითხები სქემებში. თბილისი. თსუ, "საზოგადოება ცოდნა". ISBN: 5-89512-158-6.

კრებული

38. კუპრაშვილი, ჰ., კალანდაძე, გ. ოდიშელიძე, ნ. (2019). საერთაშორისო კიბერტერორიზმი და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგია (ნაწილი I). კრებული. თანამედროვე საერთშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, გვ. 111-190. ISBN 978-9941-26-493-1
39. კუპრაშვილი, ჰ. (1997). ჩვენი პოლიტიკის ზოგიერთი მომენტის შესახებ (სტატიების კრებული). თბილისი. სამხედრო კარტოგრაფიული ფაბრიკა. 152 გვ.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე დანერგილი პროფ. ჰ. კუპრაშვილის პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (შესაბამისობა ეროვნულ ინტერესებთან) ფარგლებში ჩატარებულ იმიტირებული სამსჯავროების მასალები (შემდგენლები: ჰ.კუპრაშვილი, ნ.ოდიშელიძე. რედ. ირ. გაბისონია):

40. პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები: პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები. ტ. I : ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ის პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ეროვნულ ინტერესებთან (საქმე N01ქ/001). თბილისი, მერიდიანი, 2020. 120გვ. ISBN: 978-9941-20-763-1.
41. პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები: პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები: ლავრენტი ბერია (ავტორი) // ტ. II : ლავრენტი ბერიას პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ეროვნულ ინტერესებთან (საქმე N01ქ/002). თბილისი, მერიდიანი, 2021. - 160გვ. - ISBN: 978-9941-25-844-2
42. პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები: პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები - ედუარდ შევარდნაძე. ტ. 21, ე. შევარდნაძის პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ეროვნულ ინტერესებთან (საქმე N02ს/007). თბილისი, 2022. 166 გვ. ISBN 978-9941-28-889-0.

საქართველოში გამოცემული სტატიები:

43. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ჰიბრიდული ომის პერიპეტიები. საერთაშორისო სამეცნიერომ ჟურნალი *სამართლის მაცნე*. სამართლის მეცნიერთა კავშირი, #5.
44. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ეროვნული უშიშროების სახელმწიფო პოლიტიკის სისტემური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. იხილე, *Proceedings Book - Science Georgia*. International Conference on Global Practice of Multidisciplinary Scientific Studies Dedicated to the 100th Anniversary of "GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY - GTU", June 24-26, 2022 / Tbilisi,

Georgia. IKSAD GLOBAL PUBLISHING HOUSE, გვ. 313-319. ISBN: 978-625-8323-63-4

45. კუპრაშვილი, ჰ. (2022). კიბერსივრცე და ტერმინები: კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება. *სტუ-ის შრომები – Work of GTU – Труды ГТУ*, №2 (524), გვ. 167-177. ISSN 1512-0996
46. კუპრაშვილი, ჰ. (2022). ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. *გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები.* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, თბილისი, ს/ს „ტექნიკური უნივერსიტეტი", გვ. 250-253. ISBN 978-9941-28-893-7 https://gtu.ge/bef/pdf/2022_Pdf/GLOBALIZACIA-6-2022_Monografia_UDC_Shesc_30.06.22/globalizacia-2022_UDC%20339.15.pdf
47. კუპრაშვილი, ჰ. (2022). სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიოს გლობალური გამოწვევები" შრომების კრებული.* საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, გვ. 244-250.
48. Kuprashvili Henri. (2022). The Problem of Borders and Georgia's Security Challenges in the Information Age. *სტუ-ის შრომები – Work of GTU – Труды ГТУ*, 231 №1 (523), p. 231-235. ISSN 1512-0996
49. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშელიძე, ნ. (2021). „პოლიტიკა სამსჯავროზე" და ერეკლე II. ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის მასალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალ „ანეულის" რედაქცია, თბილისი, გვ. 163-171.
50. კუპრაშვილი, ჰ. (2020). ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის პრობლემები. თანაავტორი. „ხელისუფლება და საზოგადოება - 2020" - მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, გვ. 415-423.
51. კუპრაშვილი, ჰ. (2020). ცურვის კოლხურ-იბერიული სტილი და მათი აღმნიშვნელი ტერმინები. II საერთაშორისო კონფერენციის

„ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ მასალები. თბილისი, გვ. 29-31.

52. კუპრაშვილი, ჰ. (2020). კუპრაშვილი, ჰ. ტერმინები უშიშროება და უსაფრთხოება და მათი გამოყენების წესი. ტერმინოლოგიის საკითხები. კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. IV, http://termbank.ge/wp-content/uploads/2020/11/ტერმინოლოგიური-კრებული-2020-16.08-compressed.pdf
53. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშელიძე, ნ. (2019). ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან ბრძოლის სისტემური რეგულირება. თანაავტორი. სამეცნიერო ჟურნალი ,,ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)". № 4 (52) გვ. 5-11.
54. კუპრაშვილი, ჰ. (2019). სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები. თანაავტორი. ჟურნ. *„პარალელი“*. № 11, გვ. 98-111.
55. კუპრაშვილი, ჰ. (2019). მე-20 საუკუნის ბოლოდან საქართველოსა და სომხეთის გეოპოლიტიკური ჭიდილის რამდენიმე ასპექტი. მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: არაფრის მომცემი თამაშის გადალახვის გზები“. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 66-88.
56. კუპრაშვილი, ჰ. (2018). პოლიტიკის სამსჯავრო – თემურლენგი და გიორგი VII-ის პოლიტიკა. სამეცნიერო ჟურნალი *,,ხელისუფლება და საზოგადოება* (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)". № 4(48), ტომი II, გვ. 136-153.
57. კუპრაშვილი, ჰ. ოდიშარია, კ., ალფაიძე, ი. (2018). თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში.თანაავტორი. ჟურნ. *“საისტორიო ვერტიკალები”*. № 39, გვ. 39-47.
58. კუპრაშვილი, ჰ. (2017). სახელმწიფო პოლიტიკის არსი. ჟურნ. *“საისტორიო ვერტიკალები”*. № 37-38 (37), გვ.32-68.

59. კუპრაშვილი, ჰ. (2017). ინფორმაციული ომის ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი. ჟურნ. *"საისტორიო ვერტიკალები"*. № 37-38 (37), გვ.15-24.
60. კუპრაშვილი, ჰ. (2017). ინფორმაციული ომის ცნება და წარმოშობის პერიპეტიები. ჟურნ. *"საისტორიო ვერტიკალები"*. № 37-38 (38), გვ.302-308.
61. კუპრაშვილი, ჰ. ოდიშარია, კ., ალფაიძე, ი. (2017). სახელმწიფოს პრობლემები და სისტემური მიდგომა მათ დასაძლევად. ჟურნ. *"საისტორიო ვერტიკალები"*. № 37-38 (38), გვ.332–336.
62. კუპრაშვილი, ჰ. (2015). ინფორმაციული იარაღის თავისებურების ზოგიერთი ასპექტი. *„საისტორიო ვერტიკალები"*, # 31, გვ. 54–60.
63. კუპრაშვილი, ჰ. (2015). პრობლემები ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში. სამეც. ჟურნ. *„ხელისუფლება და საზოგადოება"* (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), № 4 (36), ტომი II,გვ.46–56 http://www.odageorgia.ge/downloads/JURNALI%204%20(36)%20T83262.2-%202015.pdf
64. კუპრაშვილი, ჰ. (2013). ერთი მოვლენის დიპლომატიური და პოლიტიკური ასპექტები. სამეც. ჟურნ. *„ხელისუფლება და საზოგადოება"* (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). № 1 (25), გვ. 57–66. http://www.odageorgia.ge/downloads/JURNALI-1(25)-201378622.pdf
65. კუპრაშვილი, ჰ. (2013). საგარეო-პოლიტიკური უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. სამეცნიერო ჟურნალი *„ხელისუფლება და საზოგადოება"*. N4(28), თბილისი, გვ.20-28.
66. კუპრაშვილი, ჰ. (2012). საქართველოში სასულიერო წოდების შექმნის რამდენიმე ასპექტი. სამეც. ჟურნ. *„ხელისუფლება და საზოგადოება"* (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), № 4 (24), ტომი II, გვ. 56–62. http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi
67. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების ზოგიერთი ასპექტი. ინტერნეტჟურნ. *„მკვლევარი"*.

68. კუპრაშვილი, ჰ. (2012). ინფორმაციის შემეცნებითი ასპექტები. ჟურნ. *„პარალელი“*. #3, გვ. 180-189.
69. კუპრაშვილი, ჰ. (2011). ტერმინები უშიშროება (security) თუ უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი. ჟურნ. *„პარალელი“*. #2, გვ. 154-157.
70. კუპრაშვილი, ჰ. (2011). ძველბერძნულ-ქართულ უძველესი ტერმინი „იბერია“ თუ ახალი - ბიზანტიურ-რუსული „ივერია“?. ჟურნ. *„პარალელი“*. #1, გვ. 96-97.
71. კუპრაშვილი, ჰ., კუპრაშვილი, მ. (2011). ეკონომიკური უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *„სოციალური ეკონომიკა“*. სპეციალური ნომერი #1, გვ. 142-144.
72. კუპრაშვილი, ჰ. (2011). რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში სასულიერო წოდების შექმნის პოლიტიკური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა“ შრომები. საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი. გვ. 90-93.
73. კუპრაშვილი, ჰ., ოდიშარია, ჯ., ჯაფარიძე, გ. (2011). ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა (რამდენიმე ასპექტი). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, # 1 (10), თბილისი, გვ. 229-233, ISSN 1512-3979 https://gtu.ge/Journals/mas/Referat/2011(1-10)/229-233.pdf
74. კუპრაშვილი, ჰ. (2011). ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, # 1 (10), თბილისი, გვ. 227-229, ISSN 1512-3979 https://gtu.ge/Journals/mas/Referat/2011(1-10)/227-229.pdf
75. კუპრაშვილი, ჰ. (2010). აგვისტოს რუსული აგრესია - კრემლის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი. ჟურნ. *“საისტორიო ვერტიკალები”*. # 21, გვ. 23–31.

76. **Некоторые аспекты интеллектуальной поддержки национальной безопасности грузии.** ჟურნ. *"საისტორიო ვერტიკალები"*. 2005. #8, გვ. 155-167.
77. კუპრაშვილი, ჰ. (2004). ეროვნული უშიშროების ცნების შინაარსი, პრობლემური სიტუაციის დახასიათება. ჟურნ. "საისტორიო ვერტიკალები". #6, გვ. 51-60.
78. კუპრაშვილი, ჰ. (2003). პოლიტიკური პროცესის რეალიზაციის ინფორმაციული ასპექტები. ჟურნ. *"საისტორიო ვერტიკალები"*. # 4, გვ. 52-54.
79. კუპრაშვილი, ჰ. (2003). ინფორმაციული პროცესების ტექნოლოგიური და საინფორმაციო-ანალიტიკური ასპექტები. ჟურ. *"პოლიტიკა"*. N8, გვ.6-8.
80. Kuprashvili, H., Sharashenidze, T. (2002). Some Aspects of Informational- Analytical Securing of the Process of Political Modernization in Georgia. თანაავტორი. *BULLETIN OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES*. Volume 165, № 3, p. 647-649.
81. კუპრაშვილი, ჰ., კიკნაძე, თ. (2002). ახალი რეალიები - საინფორმაციო ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების ტრანსფორმაცია. ჟურნ. "პოლიტიკა". # 3, გვ. 32-35.
82. კუპრაშვილი, ჰ. (2001). პოლიტიკური კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *"კავკასიის მაცნე"*. # 4, გვ. 20-21.
83. კუპრაშვილი, ჰ. (2001). სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. *"კავკასიის მაცნე"*. # 4, გვ. 17-19.
84. კუპრაშვილი, ჰ. (2001). საინფორმაციო ანალიზირება და პროგნოზირება მართვის პროცესში. თანაავტორი. ჟურნ. *"კავკასიის მაცნე"*. # 4, გვ. 15-16.
85. კუპრაშვილი, ჰ. (2001). საინფორმაციო პოლიტიკის სტრუქტურული ასპექტები პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. თანაავტორი. ჟურნ. *„პოლიტიკური ტექნოლოგიები"*. # 2, გვ.18-31.
86. კუპრაშვილი, ჰ. (2000). გარდამაცვალი პერიოდის კორუფციის სოციალური და პოლიტიკური ანატომია. ჟურნ. *"პოლიტიკა"*. # 2 გვ. 18-24.

87. კუპრაშვილი, ჰ. (2000). ინფორმაციის ცნების განსეოლოგიური ასპექტები. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი III , გვ. 32-40.
88. კუპრაშვილი, ჰ., აბესაძე, გ. (2000). მასობრივი კომუნიკაციისა და პოლიტიკური კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტი პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი III, გვ. 13-20.
89. კუპრაშვილი, ჰ. (2000). ადამიანის უშიშროების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციისა და პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი II, გვ. 33-44.
90. კუპრაშვილი, ჰ., დოლიძე, ვ. (2000). პოლიტიკური პარტიის განსაზღვრისათვის. პოლიტოლოგიის საკითხები, საზ. "ცოდნა". ნაწილი I, გვ. 39-55.
91. კუპრაშვილი, ჰ., აბესაძე, გ. (2000). თანამედროვე პოლიტიკური მოდერნიზაციის თავისებურებები. თანაავტორი. პოლიტოლოგიის საკითხები. ნაწილი I, "საზ. ცოდნა", თბ., გვ. 3-9.
92. კუპრაშვილი, ჰ., შარაშენიძე, თ., კუპრაშვილი, ბ. (1999). ქვეყნის განვითარების ორიენტირი. თანაავტორი. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი III , გვ. 38-41.
93. კუპრაშვილი, ჰ. (1999). საინფორმაციო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი III, გვ. 10-22.
94. კუპრაშვილი, ჰ. (1999). ორი მოვლენის პოლიტიკური და დიპლომატიური ასპექტები. პოლიტოლოგიის პრობლემები. ნაწილი II, "საზ. ცოდნა", თბ., გვ. 42-52.
95. კუპრაშვილი, ჰ. (1999). ნომენკლატურა, ნეონომენკლატურა, ეთნოკრატია. თანაავტორი. პოლიტოლოგიის პრობლემები. ნაწილი II, "საზ. ცოდნა", თბ., გვ.29-41.
96. კუპრაშვილი, ჰ., ტუკვაძე, ა. (1999). სტაბილურობის საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები. თანაავტორი. პოლიტოლოგიის პრობლემები. ნაწილი I, "საზ. ცოდნა", თბ., გვ. 26-36.
97. კუპრაშვილი, ჰ. (1999). მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სტატუსი. პოლიტოლოგიის პრობლემები. "საზ. ცოდნა". ნაწილი I, გვ. 3-17.

98. კუპრაშვილი, ჰ. (1999). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგარეო პრიორიტეტები. ჟურ. *"პოლიტიკა"*. #2, გვ.49-53.
99. კუპრაშვილი, ჰ. (1998). სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის უმთავრესი ბერკეტი. ჟურნ. *"საქართველო"*. № 4, გვ.152-160.
100. Купрашвили, Г. (1984). Место и роль народного контроля в управлении социальными процессами. Тезисы докладов XXII научно-техни-ческой конференции профессорско-преподавательского состава втузов Закавказья. Изд. ГПИ, Тбилиси, с. 16.
101. კუპრაშვილი, ჰ. (1974). რუსეთის პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში და ქართული საზოგადოებრიობა (ჟურნალ "ცისკრის" დაარსება). სტუდენტთა XXXVI სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გამ. თსუ, თბ., გვ. 16-17.
102. კუპრაშვილი, ჰ. (1973). რუსეთის პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში და ქართული საზოგადოებრიობა.სტუდენტთა XXXV სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გამ. თსუ, თბ., გვ. 11-12.
103. კუპრაშვილი, ჰ. (1972). ლაზეთის საკითხი იუსტინიანე დიდის პოლიტიკაში სტუდენტთა XXXIV სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გამ. თსუ, თბ., გვ. 12-13.

კვლევები ასახული პუბლიცისტიკაში (400-დან მცირე ნაწილი):

1. დამოუკიდებლობის ესტონური გზა. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" N120. 21.VI.91.
2. ეროვნული მეობისა და იერსახის შესანარჩუნებლად გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" N6. 15.I.92.
3. ჩვენი პოლიტიკის ზოგიერთი მომენტის შესახებ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N44 12.III.92.
4. კი არ ველოდოთ, არამედ ვემზადოთ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა".NN187-188. 23.IX.92.
5. სახელმწიფო დროშაზე შავი ფერის გამო. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა".N6. 5.II.93;

6. გზა დემოკრატიისაკენ. ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის პროცესი. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". NN190-191. 31.VIII-1.IX.93.
7. სახელმწიფოზე, პარლამენტზე, ოპოზიციაზე და სხვაზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ჭრილში. გაზ. "უწყებანი".N35. 6.XI.93;
8. გამარჯვებას გააზრებული მოქმედება, მოთმინება და დრო სჭირდება. გაზ. "ბიზნეს კურიერი" N35. IV.94;
9. მომზადებული კადრები + რეორგანიზებული სახელმწიფო მმართველობითი ორგანოები = ეფექტურ საბაზრო ეკონომიკას. გაზ. "ბიზნეს კურიერი" N41. 1994;
10. ინტელიგენცია და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა. გაზ. "მშვიდობა ყოველთა" N1, VIII.94;
11. ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა არ დამარცხებულა. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N177. 30.XI.95;
12. დავივიწყოთ? გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N196. 14.VIII.97;
13. განუსაზღვრელ შესაძლებლობათა გარანტი. გაზ. „რეზონანსი". N212 5.VIII.97;
14. ყველაზე ეფექტიანი საბრძოლო იარაღი. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N192. 10.VIII.97;
15. ერთი მოვლენის პოლიტიკური გააზრებისათვის (მედლის მეორე მხარე). გაზ. „საქართველო". N5, 21-23.01.98; გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", N19. 27.I.98;
16. К ПОЛИТИЧЕСКОМУ ОСМЫСЛЕНИЮ ОДНОГО СОБЫТИЯ. Газ. "СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ", №25-26, 27.I.98, (გადმობეჭდა საქართველოს რესპუბლიკიდან);
17. მტრის მოქმედებაც ცხადყოფს. გაზ. „ივერია ექსპრესი", N13, 20-23.II.98;
18. საქართველოს სახელმწიფო დროშა - პოლიტიკური ფაქტორების გამოძახილი. გაზ. „ახალი თაობა", N71, 15.III.98;
19. ინფორმაციული უსაფრთხოება - სტრატეგიული ორიენტირი. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", N78, 01.IV.98;
20. 14 აპრილის აქციის როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N88, 14.V.98;
21. თუ გონს არ მოვეგებით, წითლების ხელით ეროვნულ სახელმწიფოს თავზე დაგვამხობენ. გაზ. „დილის გაზეთი". N239, 20.X.98;
22. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი ჩრდილ-ნათელი. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". N3, N4, N5, 1999 წლის 6-9 იანვარი;

23. ეკლესიაზე ტკივილით ნათქვამი... გაზ. „რეზონანსი“. N144, 30.V.99;
24. „ნინოს ჯვარმა“ ქართველი ერის შემკრები ძალა არ უნდა დაკარგოს. გაზ. „რეზონანსი“. N145, 31.V.99;
25. დიდი პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპი. გაზ. „ახალი საქართველო“. N31, 5-11.VII.99;
26. ქართული კორუფციის ანატომია. გაზ. „დილის გაზეთი“. NN87-88, 20-21.IV.00;
27. THE COLOURS OF THE FLAG UNFURLED. Newspaper "GEORGIA TODAY", N52, 23-24.III.01;
28. საინფორმაციო პოლიტიკისა და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. NN105-107, 2002 წლის 2-4 მაისი.
29. კიდევ ერთხელ საქართველოს სახელმწიფო დროშის წარმოშობის შესახებ. გაზ. "ახალი ეპოქა". # 6, 2003 წლის 14-20 თებერვალი.
30. სადაც ტანკი ვერ ჭრის, იქ ჭრის ინფორმაცია. რუსეთი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ტერორით საქართველოში განწყობებს ცვლის. გაზ. "ხვალინდელი დღე". # 152. 2003 წლის 9-11 აგვისტო.
31. ვარდების რევოლუციამ რუსული ინტერვენციის აწყობილი გეგმა არია. დასავლეთი საქართველოში წარმატებებს ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს. გაზ. "ხვალინდელი დღე". # 234. 2003 წლის 3 დეკემბერი.
32. ეროვნული უშიშროება თუ ეროვნული უსაფრთხოება? გაზ. "რეზონანსი". # 132. 2004 წლის 19 მაისი.
33. საიკაშვილის დასაწყისი. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". # 350. 2003 წლის 31 დეკემბერი.
34. "მეფემ არ იცის თორემ..." გაზ. "24 საათი". # 142. 2004 წლის 17 ივნისი.
35. გერბი კომენტარის გარეშე, ანუ საქართველო ოქროს საწმისის გარეშე. გაზ. "რეზონანსი". # 271. 2004 წლის 5 ოქტომბერი.
36. იყო ორი, გახდა ერთი! გაზ. "სამხედრო – 24 საათი". # 20. 2004 წლის 11-17 ოქტომბერი.
37. ენის გენოციდი?! გაზ. "ხვალინდელი დღე". # 200. 2004 წლის 19 ოქტომბერი.
38. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი. გაზ. "24 საათი". # 254. 2004 წლის 26 ოქტომბერი.
39. რაც ჯარგები ვართ, ქართველები ვართ, ანუ პოლიტიკური მანიპულაციის ანატომია. გაზ. "ხვალინდელი დღე". # 27. 2006 წლის 30–31 მარტი. ზეზვა ერგასტერიძის ფსევდონიმით.
40. მოსკოვი კავკასიისთვის ბოლო ბრძოლას აწარმოებს და ცდილობს, საქართველოს ხელისუფლება შეცვალოს. საინფ. სააგენტო "ახალი ამბები - საქართველო". 11.07.06.19:02

41. Вызовы Грузии. газ. «Свободная грузия». № 179, 13.07.06
42. კვლავ... გაზ. "რეზონანსი". # 192. 2006 წლის 19 ივლისი.
43. კონფლიქტის "გამჟღავნებული" მონაწილე მხარე (ცხელ რეგიონებში სტატუს კვოს შენარჩუნება რუსეთს მათი მშვიდი ანექსიისთვის სჭირდება). გაზ. "ხვალინდელი დღე". # 78. 2006 წლის 27–28 ივლისი.
44. Точка зрения . Журн. «ПОДРУГА» . №29, 06.2006. Сохранение статус-кво в горячих регионах России нужно для мирной аннексии. "Грузия Online", 01.08.06
45. იბერია თუ ივერია? გაზ. "რეზონანსი" . # 003, 11.01.07 .
46. მისია. გაზ. "რეზონანსი". # 071, 20.03.2007.
47. მისია. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა". # 52, 21.03.2007 (რეზონანსიდან გადმობეჭდა).
48. ა) ნატო თუ რუსეთი? გაზ. "რეზონანსი მთელი კვირა". #, 14.01.2008; „რეზონანსიდან" ჩემი ეს სტატია თარგმნეს და გადაბეჭდეს შემდეგმა გამოცემებმა:
ბ) ნატო თუ რუსეთი? ქართული პრესის მიმოხილვა, news.ge, 14.01.08;
გ) НАТО или Россия? Информационно-аналитический портал " Грузия Online ", 16.01.08 16:58, http://www.apsny.ge/analytics/1200527929.php
დ) НАТО или Россия? Пресс-Папье. Россия – в национальных СМИ стран Содружества, 16.01.08, http ://www .etpress .ru /?content =article &id =1974
ე) НАТО или Россия? ИноСМИ .Ru, 17.01.08, http://www.inosmi.ru/translation/238954.html
ვ) НАТО или Россия? (ГЛАВНЫЙ Форум > Грузия > Тема: Что-же всё таки происходит в Грузии?), ГРУЗИЯ Online, 17.01.08, 02:37:22, http ://forum .apsny .ge /index .php ?topic =1937.8340;topicseen
ზ) НАТО или Россия? Письмо рассылки "Утренние новости со всего мира", #137, 17.01.08, http://content.mail.ru/arch/20079/1786921.html http://snifs.narod.ru/0137_narod_17.01.2008.htm
თ) НАТО или Россия? KGB, 18.01.08, 11:49, http://gebnya.ru/forum0/upload/index.php?s=13610642398846e2798187379001aa2c&showtopic=531&mode=threaded&pid=16936
ი) НАТО или Россия? Молодежное движение Лазарэ. 19.01.08, http://www.mambosolutions.com/

ვ) НАТО или Россия? « Georgia : Грузия » (Форум), 26.01.08, 12:46, http://www.nukri.info/index.php?module=pnForum&func=viewtopic&topic=7913&start=2000

49. ა) მოსკოვი საქართველოსთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. ს/ს მედია ნიუსი. 31.01.08 16:30, http ://www.medianews.ge/geo/news/17304.html;
50. ბ) მოსკოვი საქართველოსთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება . გაზ. "ახალი თაობა", #30, 01.02.08, http://www.opentext.org.ge/08/akhalitaoba/030/030-5.htm
51. ა) რუსეთი აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების დაშოშმინებას ცდილობს . ს/ს მედია ნიუსი. 28.02.08, http://www.medianews.ge/geo/news/18716.html
52. ბ) რუსეთი აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების დაშოშმინებას ცდილობს. Boom.ge. 28.02.08, 13:10, http://news.boom.ge/geo/12/20080228/521157/
53. გ) Политолог: Власти РФ опасаются реакции северокавказских народов. Новый Регион. 28.02.08, http://www.nregion.com/txt.php?i=21259
54. დ) Грузинский политолог вступился за Михаила Неправдивого. Osinform. 28.02.08, 16:59, http://osinform.ru/2008/02/27/mid_rf_rossija_ne_pojdet_na_zakulisnye_sdelki_s_gruziej/
55. ა) დემოკრატიულმა ბაკხანალიამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ქვეყნის საგარეო ინტერეს. ს/ს მედია ნიუსი. 06.03.08,
56. ბ) დემოკრატიულმა ბაკხანალიამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ქვეყნის საგარეო ინტერეს. Boom.ge. 06.03.08, 13:40, http://news.boom.ge/geo/12/20080306/532178/
57. ა) признание независимости Абхазии означает шаг на пути самоликвидации РФ . "Новый Регион". 13.03.08, http://www.nregion.com/txt.php?i=21593
58. ბ) Абхазия, Южная Осетия и Приднестровье договорились достигать независимости вместе. "Кавказский узл" НОВОСТИ. 13.03.08, http://kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1209675.html
    გ) **Непризнанные для России**: рычаг давления и проблема одновременно... ИА МиК - информационно-аналитическое агентство (АНО «Маркетинг и Консалтинг»). 14.03.08, 10:35, http ://www .iamik .ru /?op =full &what =content &ident =40101
59. Грузинские территории уже фактически аннексированы Россией! SAKARTVELO_INFO . 24.03.08, http://www.sakartvelo.info/usr/result_g.php?key=114981

60. რუსეთის სამართლებრივ სივრცეში შესვლით აფხაზები ჩეჩნების ბედს გაიზიარებენ. ს/ს მედია ნიუსი. 01.05.08
61. რუსეთი თუ დასავლეთი? (სად არის აფხაზი ხალხის განვითარებისა და ეროვნული უშიშროების გარანტიები). გაზ. "რეზონანსი". # 190, 15.07.2008.
62. ა) კუპრაშვილი: აფხაზი ხალხი მნიშვნელოვანი არჩევნის წინაშე დგას - რუსეთი თუ დასავლეთი? ს/ს " ახალი ამბები - საქართველო". 18.07.2008. 16:18. http://newsgeorgia.ge/politics/20080718/42278417.html ეს სტატია თარგმნეს და გადაბეჭდეს შემდეგმა გამოცემებმა:
ბ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад - политолог. Georgian Times. 18.07.2008. http://www.geotimes.ge/print.php?print=11469&m=news
გ) абхазский народ стоит перед важнейшим выбором - Россия или Запад? Redtram International. 18.07.2008. 12:54. http://ru.redtram.com/go/142665471/
დ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад – политолог. И/А Новости - Грузия. 21/07/2008. 13:54. http://www.newsgeorgia.ru/geo1/20080721/42278612.html
ე) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад – политолог. МЕР-АПАГАН Ассоциация Армянской Молодёжи Аджарии. 21/07/08 . http ://www .mer -apagan .info /index .php ?name =News &op =view &id =796
ვ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад – политолог. Georgians. ru, 18.07.2008, http://www.georgians.ru/news.asp?idnews=9879
ზ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад - политолог. Информационно-аналитический портал Грузия Online.24/07/2008, 12:07, http://www.apsny.ge/analytics/1216922864.php http://www.apsny.ge/cgi-bin/news/printer.cgi?id=EkEyllylyugwSVJXCC http://www.apsny.ge/analytics/1216922864.php
თ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад - политолог. Молодежное движение Лазарэ. 25.07.2008, http://lazare.ru/index.php?option=com_content&task=view&id=11697&Itemid=5
ი) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором. Информационно-аналитический сайт " MyGeorgia Today ".

25.07.2008,
http://www.moods.ru/content/articles/index.php?article=2590
ჯ) Абхазский народ стоит перед важнейшим выбором: Россия или Запад – политолог. tbilisitoday.info. 24 июля 2008, http://tbilisitoday.info/index.php?name=News&op=view&id=1572
ლ) Этот товарищ - "доктор политический наук Грузии и историк Генри Купрашвили". « "Генри Купрашвили" » в блогах. 24 июля 2008, 10:38, http ://blogs .yandex .ru /search .xml ?how =tm &rd =2&text =%22%D 0%93%D 0%B 5%D 0%BD %D 1%80%D 0%B 8%20%D 0%9A %D 1%83%D 0%BF %D 1%80%D 0%B 0%D 1%88%D 0%B 2%D 0%B 8%D 0%BB %D 0%B 8%22
მ) "Грузия-Онлайн" снова опубликовала. Ante. 2008-07-24, 14:16, http ://vldln .livejournal .com /

63. პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი ირინა იმერლიშვილს ღია წერილით მიმართავს. "ჯი-ეიჩ-ენი", 18.12.13, http://ghn.ge/news-100523.html
64. „მაშ, რაისთვიღა ცოცხალ ვართ?!". გაზ. პრემიერი. #24 (041), 19-25.06.2014.
65. საზოგადოების წარმომადგენლები ირაკლი ღარიბაშვილს ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის მოიძიებაში დახმარებას თხოვენ. საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", 22.08.2014. http://ghn.ge/news-113494.html
66. ქიზიყელი ყმაწვილის უკვდავება. საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", 17:19 სთ. 08.10.14, http://ghn.ge/news-115996.html

წიგნის გამოცემა ამყარის დაძაბების დღის აღსანიშნავად დაიფინანსა
ქალიშვილმა ცისა კუპრაშვილმა